

საპარტმენტოს მმართველთა აკადემია

არქეოლოგიური კომისია

პ. ზატარაძის თ. ქაჯანაძე



სიხეზოვი-
-ანქოვილი-
-ნოქალაქი
სურთოქოქი



თბილისი
„მმართველთა“

1991

წინამდებარე მონოგრაფიაში პირველად ერთიანადაა განხილული ეგრისის სამეფოს, დასავლეთ საქართველოს ღელაქალაქის — ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქეის — IV—VIII საუკუნეების ხუროთმოძღვრული ნაგებობები.

ნოქალაქეი საქართველოს ნაქალაქართაგან გამოირჩევა ნაგებობათა სიმრავლით და მრავალფეროვნებით. აქ შეიძლება სხვა ნაქალაქარებზე უკეთ ვნახოთ ფეოდალური ქალაქის გეგმარება, დაცვის თავისებურებანი, საკულტო ნაგებობები და სხვა.

წიგნში განხილულია აგრეთვე ნოქალაქეის „ქვეყნის“, ქალაქის ირგვლივ განლაგებულ დასახლებათა ხუროთმოძღვრების მაღალმხატვრული ნაგებობანი.

ნოქალაქეის ექსპედიციის მონაპოვრის შესწავლის შედეგები მრავალსმეტყველია საქართველოს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისათვის.

წიგნი მდიდრულადაა ილუსტრირებული ნახაზებით, ნახატებით, ფერადი და შავთეთრი ფოტოსურათებით.

რედაქტორი საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი
პროფ. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა

რეკენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. ლ. ო. მ. ო. უ. რ. ი.,
ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.

№ $\frac{0504000000}{M 607(06)-90}$ 182-90

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5-520-00755-1

წინასიტყვა

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) ისტორიის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დედაქალაქის, ციხეგოჭი-ნოქალაქევის, არქეოლოგიურ შესწავლას. ნოქალაქევისა და მის „ქვეყანაში“ 16 წლის განმავლობაში ჩატარებულმა გათხრებმა მრავალმხრივი მასალა გამოავლინა.

ამ მიდამოებში ყველაზე მნიშვნელოვანია ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთა შორის გამოირჩევა ეკლესიები, სასახლეები, აბანოები, ციხე-სიმაგრეები და სხვა ნაგებობები.

აქვე არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ნოქალაქევი მთელ საქართველოში ის ერთადერთი ძეგლია, სადაც გამორჩეულად შეიძლება ნახოთ ძველი ქალაქის დიდებულება, ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ზოწყინვალება.

სწვანაირად, აბა, როგორ შეიძლებოდა წარმოგვედგინა იმ ხალხის შემოქმედება, რომლებზედაც ნოქალაქევი მშენებლობის თანამედროვე, ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია გვაუწყებს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ შეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და შორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიციქვითი“.

ასეთი ხალხის ხუროთმოძღვრებას ეძღვნება ეს წიგნი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ძველი ნაქალაქარების მეცნიერული შესწავლა ფაქტიურად იწყება 1930 წელს, როცა აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით შეუდგნენ ნოქალაქევის გათხრებს. მართალია, ეს გათხრები სულ რამდენიმე თვე ვრძელდებოდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა შესამჩნევი იყო¹.

ნაქალაქარების დიდი მასშტაბის, გეგმაზომიერ გათხრებს კი საფუძველი ეყრება 30-იანი წლების ბოლოს, იბერიის დედაქალაქ მცხეთაში. ამ დროიდან მოკიდებული ნაქალაქარების გათხრების რაოდენობასთან ერთად იზრდება მოპოვებული მასალებიც. ყველაფერი ეს მეტად ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის სხვადასხვა პერიოდის საქალაქო ცხოვრებაზე საერთოდ და კერძოდ ყოფაზე, კულტურაზე და სხვა.

ნოქალაქევის გათხრები აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ წამოიწყო 1973 წელს. უკვე ჩატარდა 16 კამპანია და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება!

გათხრების დაწყებისას ნაქალაქარზე არქიტექტურული ნაგებობებიდან ჩანდა ქვედა ტერასაზე მდგარი „ორმოცმოწამეთა“ ეკლესია, სასახლისა და კოშკის ნანგრევები, სუროთი დაბურული ვალაენები, ციტადელზე „მისარონი“ ჩაქცეული ვადახურვით და სხვა. ამ ვრცელ ტერიტორიაზე საითაც გაიხედავდით ყველგან გაუვალი ტყე და ჯაგნარი იყო. ამავე დროს, ცენტრში მდებარეობდა სასაფლაო, რომლის ტერიტორია დაფარული იყო რკინის გისოსებით. ნელ-ნელა ტყე გაიჩეხა. სასაფლაო გადავტანინეთ და ექსპედიციას საშუალება მიეცა ჩატარებინა გეგმაზომიერი გათხრები. ასეთმა მასშტაბურმა გათხრებმა ბევრი ახალი ძეგლი გამოავლინა. ზოგი მათგანი კი უიშვიათეს მონაპოვარს წარმოადგენს.

ნაქალაქარის გათხრებს როცა ვიწყებდით, მასზე ცოტა რამ ვიცოდით, გაუგებარი და გასარკვევი კი საკმაოდ ბლომად იყო.

ექსპედიციას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაერკვია, თუ რა ძეგლთან ჰქონდა საქმე, ნოქალაქევი ძვ. წ. III საუკუნის ციხეგოჯი და ადრე შესაუყუნეებს არქეოპოლისია. თუ სხვა რომელიღაც ძეგლი. პირველივე წლების მუშაობამ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა: ქართველ შემართანეებთან ნახსენებში „ციხეგოჯი“² და ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები „არქეოპოლისი“³

¹ ამ გათხრებს ორი სტატია მიეძღვნა: A. M. Schneider, Archeopolis (Nokalakevi), Forschungen und Fortschritte, 1931, VII Tahrj, № 27; ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I. თბ., 1948, გვ. 188.

² ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 24.

³ პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 182; ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წ. I; 1981, გვ. 38-47.

დღევანდელი ნაქალაქეია. ეს მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უკვე სოუკუნეხანებვარია, რაც მეცნიერებს აწუხებს, საბოლოოდ დადგენილია, რაც ექსპედიციის მუშაობის დიდი მიღწევაა.

ექსპედიციის კიდევ ერთ კითხვაზე უნდა გავცა პასუხი. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ შერვან-ყრუს შემოსევის შემდეგ მოხრებულ ნაქალაქარზე — „არს ციხე კვალად და სასახლე დაღინანისა“⁴. ექსპედიციამ მუშაობისას ისიც გარკვეია, თუ რა დარჩა XVI—XVIII სს. დაღინანების მშენებლობიდან.

როგორც ვხედავთ, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოსალოდნელი იყო სამი პერიოდის მშენებლობის ნაშთების მიკვლევა. ჩატარებულმა მუშაობამ ამ პერიოდების მშენებლობის ნაშთები გამოავლინა და მკვეთრად გამოიჩინა ერთი-მეორისაგან.

ეს პერიოდები ქრონოლოგიურად შემდეგი ხაზით ლავდება. მშენებლობის პირველი პერიოდი მოდის ძვ. წ. III—1 საუკუნეებზე. ეს ის პერიოდია, როდესაც აქ ერისთავმა ქუჯიმ საერისთავოს ცენტრი გააჩინა და ცოხე-გოჯი ააგო.

მეორე პერიოდი მოდის ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ხანაზე, რომელიც თავსდება ახ. წ. IV—VIII საუკუნეებში (შერვან-ყრუს ლაშქრობამდე). მესამე პერიოდი ემთხვევა ნაქალაქეში დაღინანების რომელიღაც უმცროსი შტოს დასახლებას (XVI—XVIII სს.).

მართალია, პირველი პერიოდის უშუალოდ ნაგებობა არ არის, მაგრამ ნაგებობათა ნაშთები ცალკეული ქვების სახით რამდენიმე ადგილზეა ნაპოვნი. ამაში ნაქალაქარზე არსებული ნაგებობები ძირითადად მოდის ეგრისის სამეფოს პერიოდზე. დაღინანების მფლობელობის პერიოდიდან კი სულ რამდენიმე ნაგებობის ნაშთები გამოვლინდა.

ციხეგოჯი-არქეოპოლისი, რადგან იგი ლაზიკის, ეგრისის სამეფოს, დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი იყო, მთლიანობაში უნდა იყოს შესწავლილი. მაგრამ ერთი ექსპედიცია ასეთ ვრცელ ტერიტორიას ხომ ვერ გაწვდებოდა, ამიტომ სწავლობდა მხოლოდ ნაქალაქეებსა და მის „ქვეყანას“. ჩვენი შესაძლებლობები 15—20 კილომეტრის რადიუსს არ სცილდება. მიუხედავად რადიუსის სიმოკლისა, გათხრების შედეგები მეტად შესამჩნევი გამოდგა.

ჩვენ მიერ გათხრილი გარე ობიექტებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მარტილის სიახლოვეს მდებარე ნოჯიხევი. აქ, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს, ერთ პუნქტში, აღმოჩნდა სამი ცხოვრების კვალი, დაწყებული V საუკუნიდან XVIII ს-ის ჩათვლით. აქედან სამხრეთ-დასავლეთით, თითქმის სამ კილომეტრზე მდებარე ნაჯახოვოში გამოვლინდა IX ს. ეკლესია, რომელიც XIV ს. იქნა დაქცეული. ორი აბანო გამოვლინდა მდ. ტეხურის ხეობაში. ერთი მათგანი მდებარეობს ნაქალაქევის ზემოთ სამ კილომეტრზე „დუდა-მოკას“ შიდაპარტში. ხოლო მეორე ქვემოთაა, ნაქალაქევიდან ათიოდე კილომეტრზე, მდინარის მარცხენა მხარეს, ვაკეზე, სოფელ ნოსირის ტერიტორიაზე. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ის აბანოც, რომელიც მდებარეობდა მარტილის ტერიტორიაზე ე. წ. ნამარანუზე⁵.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 166—167.

⁵ ეს აბანო (აღბათ, მასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობებიც) შეეწირა ჩვენს სამოსელამდე სტალინის მშენებლობას (აბანოს რამდენიმე ფრაგმენტი ინახება მარტილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

აღნიშნულის გარდა, განვლილი პერიოდის განმავლობაში, ექსპედიციამ ოთხ ციხეზე იმუშავა. ამათგან ორი სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდეც იყო ცნობილი⁸ (შხეფისა და „საკალანდარაშვილოს“ ციხეები), ხოლო კოტიანეთისა და აბედათისა ჩვენ მიერ იქნა მიკვლეული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე მკვლევართა მიერ მიუკვლეველი „ონოგურისის“ ციხე ექსპედიციის მიერ იქნა ლოკალიზებული; აბედათის ციხე ბიზანტიის წყაროებში მოხსენებული ონოგურისის ციხეა.

ამათ გარდა, მცირე მასშტაბის სამუშაოები მრავალ პუნქტში ჩატარდა. ახლა რაც შეეხება ნოქალაქევსა და მის სიახლოვეს მდებარე არქიტექტურული ნაგებობების გამოცემის საკითხს. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთი, სხვადასხვა მასშტაბით, გამოცემული იქნა პირველ და მეორე კრებულში⁹, მაგრამ ერთიანად მხოლოდ ამ წიგნში ვცემთ¹⁰ (ამ მონოგრაფიის პირველი ნაწილი ეკუთვნის პ. ზაქარაიას, ხოლო მეორე თავი — თ. კაპანაძეს).

ამავე საკითხებზე მოხსენებები გატანილი იყო საკავშირო და მსოფლიო სესიებზე და სიმპოზიუმებზე.

⁸ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 232; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 167—168.

⁹ პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეჭვიანიძე, ნოქალაქევის 1973 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, — არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, 1975, გვ. 97—110; პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეჭვიანიძე, გ. გვიჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, — არქ. ექსპედიციები, V, 1977, გვ. 103—113; P. Zakariaia, V. Lekvinadze, N. Lomouri, Bedi Kartlisa, Bevue de Kartvelologie, [vol. XXXVII, Paris, 1979; Altertum---; პ. ზაქარაია, ე. ლეჭვიანიძე, გ. გვიჩიძე, თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1978—79 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, — არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980, გვ. 55—63; პ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1973—1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, — ნოქალაქევი-არქეოლოგია, წ. 1, თბ., 1981, გვ. 77—119; შ. იაშვილი, მ. ზამთარაძე, ეგრისის მეფეთა სასახლე, იქვე, გვ. 184—197; თ. კაპანაძე, ნოჩხევის ტეტრაკონქი, იქვე, გვ. 220—227; პ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1978—1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, — ნოქალაქევი-არქეოლოგია, წ. II, 1987, გვ. 47—90; თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, იქვე, გვ. 90—125; ზ. სხირტლაძე, ნოქალაქევის ორმოცმეორე მთა ეკლესიის თავდაპირველი ფერწერული დეკორის შესახებ, იქვე, გვ. 126—136; შ. იაშვილი, პ. ზაქარაია, შხეფის ციხე, იქვე, გვ. 190—203 და სხვ.

¹⁰ ნაქალაქარის არქიტექტურული ძეგლების აზომვაში და გამოხაზვაში სხვადასხვა არქიტექტორები მონაწილეობდნენ, მაგრამ დიდი ნაწილი ეკუთვნის მ. ანდრიაძეს და კ. მელითაურს. ფოტოფიქსაციის ძირითადი ფონდი ეკუთვნის პ. ზაქარაიას.

ცინებმოჯის სიმაზრბიეზი ღა საირო ნაზბეოზბი

ჰალაჰის ზაზბრბა

ციხეგოჯი დასაველთ საქართველოსათვის ორჯერ იყო სხედასხვა ხასიათის ცენტრი. ეს ძალიან ნიშანდობლივია და ამას ახსნა სჭირდება. ცხადია, სიმეგრისათვის ადგილის შერჩევას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა სტრატეგიული მდგომარეობა, ამასთანავე, პოლიტიკური სიტუაციებიცაა მხედველობაში მისაღები. კოლხეთის მთავარი მტერი უფრო ხშირად ზღვიდან მოდიოდა. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ცენტრის არჩევის საქმეში. ცენტრის არჩევა ზღვის სანაპიროზე, ზემოაღნიშნული გარემოების გამო, საშიში იყო. აქედან გამომდინარე, უკეთესი იყო ცენტრი თუ ქვეყნის შიგნით იქნებოდა. მტერი ზღვით მოვიდოდა თუ სამხრეთის მთებს გადმოლაზავდა, ქვეყნის შუაში მდებარე ცენტრი მობილიზებას უფრო ადვილად მოახერხებდა. სანაპიროზე მდებარე ცენტრს კი მოულოდნელად შეიძლება თავეს დასხმოდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ, სრულიად ლოგიკურად, ყოველ მხრივ გამართლებულად მიგვაჩნია ქვეყნის შუაგულში, ტეხურის პირას, ცენტრის გამართვა პირველად ძვ. წ. III ს. და მეორედ — ახ. წ. IV ს.

იმ ეპოქების შესვეურებმა, როცა გადაწყვიტეს ცენტრის გარეხა ქვეყნის შიგნით, ამის შემდეგ ბუნებრივად ხელსაყრელი ადგილი უნდა მოეძებნათ. ადგილობრივ მცხოვრებთ არ შეეშლებოდათ ასეთი ადგილის შერჩევა. ჯერ ერთი, თვით ადგილი უნდა ყოფილიყო მშრალი, კოლხეთის დაბლობისგან გამორჩეული, რათა იქ ჭანმრთელ ჰაერზე ცხოვრება ადვილი ყოფილიყო. მეორე პირობა, აუცილებელი ქალაქის შექმნისათვის, ესაა მისი სამეურნეო რაიონით გარშემორტყმა. ნოქალაქევის ირგვლივ სწორედ სოფლის მეურნეობისათვის შეტად ნოყიერი მიწები; ქალაქს გარს ერტყვა თავისი მარჩენალი. მესამე პირობაა გზის სიახლოვე. მართალია, ქალაქი, თუ საერთოდ დასახლება, გზას საჭიროების შემთხვევაში თვით „მოქაჩავს“, მაგრამ ეს ხდება ახლო მანძილიდან, ძალიან შორიდან კი იგი გზას თვით ვერ „მიიზიდავს“. ნოქალაქევი ეს საკითხიც დადებითად უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.

დასაველთ საქართველოში, ანტიკურ თუ შუა საუკუნეებში, მთავარი მაგისტრალი თუ სად გადიოდა, საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ შესაღები ვარაუდები დიდი ხანია გამოთქმულია. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში კ. განმა ნახა, თუ რას წარმოადგენდა კოლხეთის დაბლობზე მთავარი სამდინარო არტერიის, რაიონის სანაპიროები. ზღვის სიახლოვეს მიდამო აქ თითქმის ყველგან გაუვლი იყო. მაშასადამე, ამ კაობზე მთავარი სახმელეთო გზა ვერ გაივლიდა. გზა მხოლოდ მშრალ ადგილებზე უნდა გასულიყო ასეთს კი წარმოადგენდა ჩრდილო მხარე, მთების ძირი. კ. განს თავისი მოგზაურობისას

ცხენისწყლის ზედა წელში უნახავს „ბამბუას ხიდი“. „ბამბუა“ მას „პომპეუსის“ დამახინჯებელ მიაჩნია¹. ეს ხიდი, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ნ. ბერძენიშვილმაც ნახა და ისიც პომპეუსის ლაშქრობასთან აკავშირებს მას². არაა გამორიცხული, რომ ძვ. წ. 65 წელს, იბერიაში ლაშქრობის შემდეგ, პომპეუსი შვე ზღვაზე, ქ. ფაზისში, დაბრუნებულიყო სურამი-ხონის გავლით, მშრალზე. ხონის სიახლოვეს ცხენისწყალი გაშლილი და ამავე დროს წყალუბვი იყო და შესაძლოა, ზემოთ აიწია, პომპეუსმა შედარებით ვიწრო ადგილი ნახა, ააგო ზარი და სამშვიდობოს გავიდა. აქედან კი, მარტვილის გავლით, მთების ფერდობებს გაპყვებოდა და შედარებით ადვილად მიაღწევდა ფაზისს. იმავე გზით, ისევე ფერდობების გაყოლებით, იგი ადვილად მიაღწევდა არა მარტო სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ფაზისს, არამედ ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე მდებარე კელასურ-სოხუმის მიდამოებს. ეს გზა, ცხადია, თუ ზედ დღევანდელ ნოქალაქებზე, ძველ ციხეგოჯზე, არ გაივლიდა, იქვე ახლოს მაინც მოხდებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ციხეგოჯი ელინისტურ ხანაშიც კოლხეთის სახელმწიფოს მთავარ მაგისტრალზე მდებარეობდა. გამოდის, რომ ამანაც განსაზღვრა ქუჩის მიერ ამ ადგილის არჩევა³.

ციხე-ქალაქისათვის კონკრეტული ადგილის შერჩევასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ ეპოქებში, ელინისტურ და ადრე შუა საუკუნეებში, ციხეზე დარტყმის თუ მისი თავდაცვის იარაღები თითქმის ერთნაირი იყო, ასე რომ, ადგილს შერჩევის საქმეც, ამ მხრივ, ერთნაირად წყდებოდა.

იმ ეპოქებში ციხე შეიძლებოდა მიუდგომელ ადგილზე აეგოთ. მისგან განსხვავებით ციხე-ქალაქს ძნელად მისადგომი ადგილი სჭირდებოდა. ქალაქში რომ ხალხი ცხოვრობდა, მათ ხშირი მოძრაობა უზღუდებოდათ. სწრაფი და მარჯვე მოძრაობისათვის აუცილებელი იყო ტრანსპორტი, ტრანსპორტს კი სათანადო შესასვლელი სჭირდება. ასეთია ჰიშკარი, ჰიშკარი თავისთავად ადვილად მისადგომი უნდა ყოფილიყო. იგი ქალაქს იმდენი უნდა ჰქონოდა, რამდენი გზაც ადგებოდა, მაგრამ ბევრიც საშიში იყო. ჰიშკარში ყარაულები იდგნენ. მათი ნებართვის გარეშე ქალაქში ვერაიენ ვერ შევიდოდა და ვერც გამოვიდოდა.

დღევანდელი ნოქალაქევი ყველა ზემოჩამოთვლილ პირობას მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა (სურ. 1).

ქალაქს წყალი სჭირდებოდა, ამიტომ მდინარის ნაპირია შერჩეული (წყაროს წყალი ახლო-მახლო არსად იყო). მდინარის მხარე, დასავლეთის ნაპირი, ნერტიკალურ საღ კლდეს წარმოადგენდა. ამ მხრიდან ქალაქში შედწევა შეუძლებელი იყო. სამხრეთით მდინარის ნაპირი და ჩრდილოეთის მთის ფერდობი ძნელი მისადგომი იყო, ხოლო აღმოსავლეთის მხარის ქვედა მონაკვეთი ეკე იყო და ადვილმისადგომი, სწორედ ამ ერთ მხარეს საგანგებო დაცვა სჭირდებოდა.


ასეთია, აქ, ტუხურის მარცხენა ნაპირას, საერთოდ ქალაქისა და კერძოდ დედაქალაქის გაჩენის პირობები.

¹ К. Ган. Экскурсия в Нокалакеви летом 1903. — Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества, вып. II, 1907, с. 12—143.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 461.

³ ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოოლისი-ციხეგოჯი. — ნოქალაქევი-არქეოოლისი, წ. I, თბ., 1981, გვ. 34—36.

ექსპედიციის ნოქალაქევეში ჩასვლის დროს (1973 წ.) ამ ნაქალაქართან დაკავშირებული ბევრი საკითხი იყო გაურკვეველი. განვლილი წლების განმავლობაში ზოგი რამ გაირკვა, მაგრამ გასარკვევ-დასაზუსტებელიც კოტა არ დარჩენილა. უნდა დავიწყოთ შორიდან, მატიაწეებში ამ ადგილის პირველი ხსენებიდან.




სურ. 1-ა. ნოქალაქევი. ტოპოგეგმა.

კოლხეთის სამეფოს ტერიტორია ადრეანტიკური ხანიდან ფაქტიურად შოიციავდა დასავლეთ საქართველოს. სამწუხაროდ, ამ სამეფოს დელაქალაქის სახელი და მისი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის და არც კოტად თუ ბევრად დამაჯერებელი ვარაუდია გამოთქმული⁴. ისტორიული წყაროებით ამ ობიექტზე კოტა რამ ვიციოთ. კერძოდ, ძვ. წ. III ს. დასაწყისში, კოლხეთის

⁴ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ მათი აქ განხილვა ამჟამად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია (ივ. ჭავჭავიძე, ქართული ერის ისტორია, წ. I, თბ., 1951, გვ. 275—276;

დაუსტრებულ სამეფოში შედის იბერიის მეფე ფარნავაზი. იგი ვინმე ქუჯის აძლევს ერისთავობას და ცოლად რთავს თავის დას (უნდა ვიფიქროთ, რომ ქუჯი თუ მეფის ოჯახიდან არა, აუცილებლად დიდებულთა წრიდან იქნებოდა). ერისთავი ქუჯი აგებს ციხეგოჯს. აი, როგორაა ეს ამბავი გადმოცემული ლე-



1-ბ. ნოქალაქევი. გეგმა უზნებისა და კვადრატების აღნიშვნით.

ონტი პროველთან: „ფარნავაზ... დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“⁵.

6. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 47, 49; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, წ. 1, 1970, გვ. 41.

⁵ ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 24.

აქ არ არის მითითებული, თუ სად აშენებს ქუჩი ციხეს. სამწუხაროდ, არც ასეთი ტოპონიმი დღეს ზემოალნიშნულ ტერიტორიაზე შერჩენილი.

მაგრამ გვაქვს მემბტიანის გვიანი მინიშნება. ლეონტი მროველის ზემო-მოყვანილ ცნობაში ნახსენებ „ციხეგოჯის“ გვერდით არშიაზე, გვიან, რომელიც მემბტიანეს მიუწერია: „ოდიშის ნაქალაქევი“. გვიან საუკუნეებში კიდევ ახსოვდა ვილაცას, რომ ციხეგოჯი ის პუნქტია, რომელიც ამჟამად ოდიშში (ამ ეპოქაში სამეგრელოს ოდიშს ეძახდნენ) ნაქალაქევის სახელითაა ცნობილი. ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი მკვლევრისათვის.

მემბტიანე ჟღანშერი იქ, სადაც აღწერს მურვან-ყრუს ლაშქრობას, ახსენებს ციხეგოჯსაც. აქაც სხვა დროს (სხვა მელნით და სხვა ხელით) მიუწერიათ, რომ „ციხეგოჯი ნაქალაქევია“. მთლიანად ტექსტი ასეთია: „მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად შიცივალნეს აფხაზეთად, შეუდგა კვალსა მათსა და შემუსრა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა“⁶. აქაც უნდა გავიმეორროთ, რომ გვიან საუკუნეებში მემბტიანეებს კიდევ ახსოვდათ „ციხეგოჯისა“ და „ნაქალაქევის“ იდენტურობა.

აქ კიდევ ერთ საინტერესო გარემოებასთან გვაქვს საქმე. ჟღანშერი წერს: „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“. აქ ერთი შეხედვით „სამ-ზღუდე“ და „ციხეგოჯი“ ერთი და იგივე პუნქტის სახელებია, მაგრამ სინამდვილეში ციხეგოჯის „სამ-ზღუდეობა“ კერძო შემთხვევას, ციხის თავისებურებას უნდა გადმოგვცემდეს.

ციხისა და ნაქალაქარის ეს თავისებურება ექსპედიციისათვის მხოლოდ რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ გახდა გასაგები.

საქმე იმაში გახლავთ, რომ წლების განმავლობაში, დიდი მასშტაბის სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ქალაქის აღმოსავლეთის მხარეზე გამოვლინდა მისამე გალავანი. ე. ი. ქალაქს ერთ მხარეზე, იქიდან საიდანაც მთავარი შესასვლელი იყო, სამი ზღუდე უვლიდა (ამ საკითხზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი). ასეთი მაგალითი მეორე არ არის. ეს ადრევე შეუმჩნეველად და ამიტომაც წერს ჟღანშერი: „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“⁷. ერთი ქალაქის დამცველი სამი ზღუდე გაკვირებლიათ თანამედროვეებს!

XVIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწისათვის, ვახუშტი ბაგრატიონისათვისაც, ცნობილი ყოფილა „ნაქალაქევისა“ და „ციხეგოჯის“ იდენტურობა და იგი უფრო გარკვევით, ძირითად ტექსტშივე წერს ამაზე. მასთან ვკითხულობთ: „აწ სუნაკს⁸ ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა (პირველი — პ. ზ.) მეფის ფარნაოზის ეამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთავო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით,

⁶ ჟღანშერი, ქართლის ცხოვრება, მით. წიგნ. გვ. 234—235.

⁷ იქვე, გვ. 235.

⁸ ვახუშტის დროს და წინა საუკუნეებშიც „სუნაკი“ უფრო ცნობილი იყო, ვიდრე „ნაქალაქევი“, „ნაქალაქევა“ დიდება რამდენიმე საუკუნით ადრე დაკარგა, ხოლო ვახუშტის დროს „სუნაკი“, აი, რას წარმოადგენდა: „არს სუნაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, სასულიერო აფხაზთა კათალიკოზისა“. როგორც ვხედავთ, „სუნაკი“ დიდი მნიშვნელობის პუნქტი იყო.

შემუსრა ყრუმ (მურვან-ყრუმ — პ. ზ.), არამედ იყო კჳალად ქალაქი და სასახლე დადიანისა“⁹.

როგორც ვხედავთ, ეს დიდი გეოგრაფი სრულიად გარკვევით წერს: „არსნაქალაქევი ციხე-გოჯად წოდებული“. მისთვის საეჭვო არ იყო ამ ორი სახელწოდების იდენტურობა. საინტერესოა, თუ ასე უკვალოდ რატომ გაქრა ქალაქის სახელი „ციხე-გოჯი“?

კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ ციხეგოჯის სახელწოდებას. „დავითისა და კონსტანტინეს მარტივლობის“ ავტორი, როცა აღწერს აფხაზეთიდან მურვან-ყრუმს დაბრუნებას, მისი თქმით, იგი გაივლის „ქალაქსა ჭიხან-ქუჯისასა“¹⁰. ეს „ჭიხან-ქუჯისა“ კი ავტორის მიხედვით მდებარეობდა „ქვეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჳყონდიდისასა“.

ციხეგოჯი ამ ფორმით სხვა ხელნაწერებში არ გვხვდება. ამიტომ მისი შემოწმება შეუძლებელია. თავისთავად კი „ჭიხან-ქუჯისა“ მეგრულად ნიშნავს „ციხე ქუჯისა“. თავისთავად ასეთი ფორმით ციხის მოხსენიება გასაკვირი არ არის, რადგან ციხე, მართლაც, ქუჯისა იყო, მის მიერ იყო აგებული¹¹.

ასევე ბერძნულ (ბიზანტიურ) წყაროებში ნახსენები ერთი ქალაქი ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ მისი ადგილსამყოფელი არა ჩანს. ეს სახელია „არქეოპოლისი“ (ბერძნულად — „ძველი ქალაქი“). იგი ბიზანტიურ წყაროებში VI საუკუნიდან იხსენიება. მართალია, „არქეოპოლისი“ არ არის „ნაქალაქევის“ პირდაპირი თარგმანი, მაგრამ შინაარსობრივად მათ შორის განსხვავება არ არის (ერთი ნიშნავს „ძველ ქალაქს“, მეორე — „ნაქალაქარს“). ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიელების აქ მოსვლის დროს, VI ს., იგი უკვე „ნაქალაქევი“, ე. ი. ნაქალაქარი იყო.

ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, გარე ცნობით დაბეჭითით იმის თქმა არ შეიძლება, რომ VI და წინა საუკუნეებში ამ ქალაქს ადგილობრივნი „ნაქალაქევის“ ეძახდნენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქალაქს, მოქმედ ქალაქს, „ნაქალაქევის“ უწოდებდნენ. უფრო სარწმუნოა, რომ იგი ადგილობრივთათვის ციხეგოჯი იყო.

ბიზანტიურ წყაროებში, მართალია, ვრცელი და ამომწურავი ცნობები არ არის არქეოპოლისზე, მაგრამ ის რაც არის, მეტად მნიშვნელოვანია.

ბიზანტიელი მემკვიდრე პროკოპი კესარიელი თავის ნაწარმოებში „ომი სპარსელებთან“ საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ლაზიკის (ეგრისის) ქვეყანას, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთ ნაპირას (ე. ი. მარჯვენა ნაპირას — პ. ზ.) და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“¹² (ხაზი ჩემია — პ. ზ.).

იგივე ავტორი, როცა სპარსთა სარდლის მერმეროეს ლაზიკაში ლაშქრობას აღწერს, წერს: „მერმეროემ, ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა. წაიყვანა ჭარი ერთი ქალაქის, არქეპოლისის, წინა აღმდებულს“.

⁹ ვახუშტი, აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა, — ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 777.

¹⁰ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, წ. I, 1946, გვ. 238.

¹¹ ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წ. I, 1981, გვ. 18—45.

¹² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 101.

რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში¹³ (ხაზი ჩემი — პ. ზ.).

რა მალალ შეფასებას აძლევს ლაზთა ქალაქ არქეოპოლისის VI ს-ის მრავალი ბიზანტიელი მოგზაური და ისტორიკოსი. დღეს ასეთი ცნობა მკვლევარისათვის, რომელსაც მხოლოდ ნანგრევები დახვდა, უდავოდ ბევრის მთქმელია! თითქმის ასეთივე შეფასებას აძლევს იუსტინიანე იმპერატორის (527—565 წწ.) „ნოველაც“. იგი, როცა აღწერს პოლემონის პონტოს მდგომარეობას, ერთგან წერს: „...შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო... რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესობის სახელიც და ეწოდა იუსტინიანე და შემდეგ არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეები“...¹⁴ (ხაზი ჩემია — პ. ზ.).

ყველა ამ ცნობის მიხედვით ციხეგოჯი-ნოქალაქევი, მათ მიერ არქეოპოლისად წოდებული, ამ პერიოდში არის „უდიდესი და ძველი სიმაგრე“, „ძველთაგანვე აშენებული,... ძალიან გამაგრებული“ და ბოლოს — „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“.

ამჟამად ნაქალაქარი ისეთ გრანდიოზულ ნანგრევებს წარმოადგენს, რომ ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვეძლო გვემსჯელა მის გამაგრებაზე. მაგრამ ამ ცნობების გარეშე ვერ დადგინდებოდა, რომ ლაზიკაში არქეოპოლისი „უდიდესი და ძველი სიმაგრეა“ — და ხაზია გასმული — იგი „მთავარი ნაქალაქია“, მთავარ ქალაქში, ცხადია, არქეოპოლისიც იხეგოჯის დედაქალაქობა იგულისხმება.

მეტად საინტერესოა იმავე ავტორის მიერ თვით არქეოპოლისის აღწერა. აი, რას ვკითხულობთ პროკოპი კესარიელთან: „არქეოპოლისი მდებარეობს ერთ მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე, რომელიც ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან ჩამოდის“. აღწერა იმდენად ზუსტია, რომ იგი შეიძლება ბოდა ეთქვა მხოლოდ დაკვირვებულ მნახველს.

ეგრიელთა დედაქალაქი რომ ქვეყნის შიგნით უნდა ყოფილიყო და არა ზღვის სანაპიროზე, ეს აშკარაა, რადგან ზღვით მტერი მოდიოდა და იქ დამაგრება ძნელი იყო. ასე რომ, ამ ადგილას, ტეხურის ნაპირზე, წებობის ყელში ცენტრის გაჩენა სრულიად გამართლებული იყო. არქეოლოგიური მონაცემებიც ხომ ამას მიგვიჩვენებს, ნაქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი სწორედ IV—VIII საუკუნეებზე მოდის.

ნაქალაქარზე დანარჩენ ისტორიულ მასალას მოვიყვანოთ საპირობის მიხედვით, ქვემოთ, ძეგლების განხილვისას.

ვათხრები ნაქალაქარის ორ მონაკვეთზე მიმდინარეობს ძირითადად. ესაა ქვედა ტერასა და ზემოთ ციტადელი (სურ. 1). ქალაქის მესამე ნაწილს, რომელიც მათ შუა მდებარეობს, ფერდობზე ჯერჯერობით მცირედ შევხებით. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში არქეოლოგის ბარი არსად წაწყდომია ქუჩის მიერ აგებულ ციხეს ან მის კედელს. მაგრამ მთლად უიმედობაც არ არის.

¹³ იქვე, გვ. 182.

¹⁴ იქვე, გვ. 33—36.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე აშკარად გამოჩნდა ქუჩის ციხის აგების პერიოდის, ე. ი. ელინისტურ ხანაში გამოყენებული ქვები. ესაა საკმაოდ დიდი ზომის თლილი ქვები. მათში ჩარჩენილია რკინის საწვავების (პირონების) ბოლოები¹⁵. ყველა ქვა მეორედ და გამოყენებული და ძნელია თავდაპირველი ზომების ჭადგენა (ჩვენამდე მოღწეული კი ასეთი ზომებისაა: 85×48 სმ). ქართული მშენებლობის ტექნიკის განვითარების გზა რომ ვიცით, ჩვენთვის აშკარაა: ყველა ეს რკინის სამაგრიანი ქვა კირის ხსნარის შემოღებამდე გამოყენებული, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III—1 საუკუნეებში. ეს კი თავისთავად გულისხმობს ქუჩისა და მის მომდევნოთა მშენებლობას. თავისთავად მშენებლობის ეს ტექნიკა შემდეგში მდგომარეობს. გათლილი ქვები ლაგდება პორიზონტალურად. გვერდივერდ მდებარე ქვები ერთ ხაზზე ჩაითლება და ბოლოები ჩაულრმავდება. ასე მომზადებულ ფოსოში მოთავსდება ორივე ბოლომოდუნული რკინა (არსებობს სხვა ფორმებიც, მაგრამ ორი ქვის ერთმანეთთან დამაგრების პრინციპი ერთია). ერთ პორიზონტზე დალაგებული ყველა ქვა ამ წესით მაგრდება ერთმანეთთან. ფაქტიურად, ასე იქმნება მონოლითური კედელი¹⁶ (ეს ტექნიკა შეცვალა კირის ხსნარის შემოღებამ).

ქუჩის ციხის ნაშთი მიწის ზემოთ აშკარად არაა შემორჩენილი. გათხრებით მიკვლეულმა ქვებმა კი მიგვანიშნეს მხოლოდ ციხის არსებობაზე, მაგრამ თუ სად იდგა ის ციხე, ამაზე არავითარი მითითება არ არის. ლოგიკით, ტრადიციას თუ გადავხედავთ, ქველი ციხე უნდა მდგარიყო მთაზე. აქ არსებულ მთის წვერზე, იქ, სადაც ეგრებმა ციტადელი გამართეს, ძველი ციხის ნაშთი დღეს წინ არ აღმოჩენილა. ქვედა ტერასაზე, იქ, სადაც ქვები ნაპოვნია, იმავე მთის შვერილია დასავლეთით. მდინარისკენ მიმართულ ამ შვერილზე ეგრისის მეფეთა მცირე ციხის ნაშთია დარჩენილი. აქაც ქუჩის დროინდელი მშენებლობის ნაშთი ჯერ არ გამოჩენილა. ენახოთ, მომავალი გათხრები თუ რას მოგეცემს.

ნაქალაქარის სამივე მონაკვეთზე, რაც მიწის ზემოთ იდგა, ან გათხრებმა გამოაშხეურა, ეს ყველაფერი ეგრისის მეფობისდროინდელია (IV—VIII სს.). მცირე ნაწილი კი XVI—XVIII საუკუნეებისაა. ეს ნაგებობები მხოლოდ კირის ხსნარზეა ნაგები და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ეპოქებში მხოლოდ დულაბზეა აგებდნენ.

ციხეგოჯის ტერიტორიაზე მშენებლობაზე, ან ნგრევაზე მემათიანეებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. ასე რომ, აქ არსებულ ნაგებობათა დათარიღება მხოლოდ არქიტექტურულ-მხატვრულ ანალიზზე იქნება დამყარებული. ცხადია, გამოყენებული იქნება ზოგადი ცნობები ქალაქზე, პოლიტიკურ სიტუაციათა გათვალისწინებით.

ადრეულ ეპოქებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ახლა საუბარს გავაგრძელებთ მომდევნო პერიოდის მასალებზე. ნაქალაქარზე I—III საუკუნეების არქეოლოგიური მასალა შედარებით მცირეა. ესაა რომის ექსპანსიისა და აღდგობა-

¹⁵ ქვების ერთი კარგი ნიმუში ჩაშენებულია სამეფო აბანოს ცივი აუზის გამოყოფ. კედელში, ზოლო მეორე V ს. შუა ხანებში აშენებული სამწვეფიანი ბაზილიკის ჩრდილოეთის კედელში (დადიანების დროინდელი დაშენების მიჯნაზე).

¹⁶ აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში) მშენებლობის ეს ტექნიკა დიდი ხანია ფიქსირებულია (ა. აფაქიძე, ქალაქები და სამოქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. წ. I, თბ., 1963, გვ. 80; ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1956, გვ. 23).

რივი ძალების დაქსაქსულობის ხანა. თუ ამ ხანაში არქეოლოგიური მონაპოვების სიმცირეა, ნაგებობები საერთოდ არ ჩანს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახ. წ. II ს. არსებულ ლაზთა (ეგრთა) სამეფოს დედაქალაქი, გამომდინარე როჲის იმპერიის მიზნებიდან, ზღვის სანაპიროდან შორს ვერ იქნებოდა¹⁷.

რომის იმპერიის დასუსტების შედეგად სიტუაცია იცვლება. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია IV ს. დასაწყისიდან, როდესაც ბიზანტიასთან დამოკიდებულებამ მიიღო ფორმალური ხასიათი, სწორედ ეს პერიოდია მიჩნეული შესაფერისად ლაზიკის სამეფოს ახალი დედაქალაქის გაჩენისათვის¹⁸.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ქვეყანაში ცენტრის არჩევის ზოგიერთ საკითხზე. აქ კიდევ უნდა დავუმატოთ რამდენიმე გარემოება, თუ რატომ იქნა ეს ადგილი შერჩეული (ტაბ. I—VI).

დაცვის თვალსაზრისით ქვეყნის ოთხი მხრიდან შედარებით მყუდრო იყო ჩრდილოეთის მხარე. კავკასიონის მთების კალთებზე განლაგებული ეს მხარე ბუნებრივად სხვებზე უკეთ იყო დაცული. ციხეგოჯისათვის ადგილის შერჩევისას შეუძლებელია ეს გარემოება არ ყოფილიყო გათვალისწინებული. ზურგის საიმედოობა დიდი კომპონენტია საერთოდ უშიშროების საკითხის გადაწყვეტაში.

არანაკლები მნიშვნელობისა იყო ქალაქის მასაზრდოებელი რეგიონის შერჩევა. აუცილებელი იყო ჯანმრთელი ჰავა, წყალი და საკვები. ქალაქის ირგვლივ მდიდარი და მრავალფეროვანი მოსავლიანი ადგილები იყო. ამ მხარეს თავისუფლად შეეძლო ქალაქის მოსახლეობის საკვებით მომარაგება.

ქალაქისათვის სტრატეგიულად მარჯვე ადგილის შერჩევის საკითხზე, ტეხურის პირას, ხეობის ვიწროების დასაწყისში, ჩვენ ადრევე ვისაუბრეთ.

ამდენად, აქ, ძველ ნაციხარ-ნაქალაქარზე ქალაქის გაშენება ყოველმხრივ გამართლებული იყო.

ახლა უშუალოდ ქალაქისა და ქვეყნის დაცვის სისტემის განხილვაზე გადავალთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხეთის დაბლობისათვის მთა საიმედო ზურგს ყოველთვის წარმოადგენდა, ამიტომ ქვეყნის დაცვა ამ პრინციპს დაეყრდნო. მართალია, დაცვის სისტემა ადრე შუა საუკუნეების დასაყვეთ საქართველოში სპეციალურად არავის შეუღწავლია, მაგრამ მის ერთ ნაწილზე ჩვენ არაერთხელ ვვისაუბრია. ახლა ამავე საკითხს მოკლედ შევეხებით.

როცა ეგრისი-ლაზიკა მთლიანად დასაყვეთ საქართველოს მოიცავდა, მაშინ ერთიანად გააზრებული დაცვის სისტემა თუ როგორი იყო, ეს დიდი პრობლემაა და მასზე სპეციალურად ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. მე ამჟამად აღვნიშნავ მხოლოდ მის ერთ მონაკვეთზე მეტად გონივრული სისტემის არსებობას (სამწუხაროდ, ეს სისტემა მხოლოდ წინასწარულადაა შესწავლილი, ისიც სხვადასხვა ექსპედიციებში ყოფნის დროს).

ეგრისელი მეფეებისა და ქვეყნის სტრატეგების მიერ შემუშავებული დაცვა ლოგიკური ჩანს. მათი გააზრება დამყარებულია ქვეყნის რელიეფის კონტრასტულობაზე და მტრის მოსალოდნელი თავდასხმის ორიენტაციაზე. ქვეყნის თავდასხმის საშიშროება უფრო ზღვიდან და სამხრეთიდან ჰქონდა. პოლიტიკურ სიტუაციათა მიხედვით მტრის შემოსევა არც აღმოსავლეთიდან

¹⁷ ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, 1981, გვ. 32.

¹⁸ იქვე, გვ. 33; ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, — შრომები, ტ. II, 1952, გვ. 308—312; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 68—79.

იყო მოულოდნელი, შედარებით ნაკლებად იყო, მოსალოდნელი ჩრდილოეთიდან, რადგან კავკასიონის ქედი ძნელი გადმოსალახი იყო. აქედან გამომდინარე, მთები მიიჩნეეს თავშესაფარად და ციხეებიც ამის მიხედვით განალაგეს. ამ ქაქვის ცენტრს დედაქალაქი ციხეგოჯი წარმოადგენდა¹⁹.

ზოგადი საკითხების განხილვის შემდეგ შეიძლება შევუდგეთ უშუალოდ ნაქალაქარის აღწერა-ანალიზს.

მდინარის ნაპირზე მდებარე ნაქალაქარს მრავალფენოვანი გალავანი უვლის (სურ. 1). კედლებით შემოფარგლული ფართობი 17—18 ჰა-ს უდრის. გალავნები მთის რთულ რელიეფს მიჰყვება და ამიტომ ძირითადად უსწორ-მასწოროდ მიემართება. ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია ქართული ციხე-ქალაქებისა და სიმაგრეებისათვის²⁰. საქმე იმაში გახლავთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მთა თუ გორა თითქმის ყველგანაა. ერთიცა და მეორეც მისადგომად უფრო ძნელია, ვიდრე ვაკე. ამ სრულიად აშკარა უპირატესობიდან ჩვენი წინაპრები სალ, ლოგოჯურ დასვენას აკეთებდნენ და ყოველგვარი სიმაგრისათვის ირჩევდნენ დიდ ან პატარა მთაებს. მართალია, საქართველოში ვაკე ადგილებიცაა, რომელთაგან გამოიყოფა კოლხეთის დაბლობი და ალაზნის ველი, მაგრამ აქ სიმაგრეები იგებოდა უკიდურესი აუცილებლობის დროს და ისიც მცირე რაოდენობით (აქ საუბარი ციხეებზეა და არა ციხე-ქალაქებზე).

ციხეგოჯი-ნაქალაქის ქვედა მონაკვეთს სამ მხრიდან უვლის მდინარე ტუხური (სურ. 1). ეს კი სიმაგრის ამგებთათვის მეტად ხელსაყრელი იყო. ამას ემატება ისიც, რომ აქედან მდინარის ნაპირი სამხრეთის მთელ სიგრძეზე 20—25 მეტრის სიმაღლისაა და საკმაოდ ფლატეცაა, ზოლო რაც შეეხება მეორე მხარეს, დასავლეთის, აქ კლდოვანი ნაპირი ისეთი ქარაფია და მაღალი, რომ იქიდან ამოსვლა ფაქტიურად შეუძლებელია.

ციხე-ქალაქი ძირითადად სამ არათანაბარ ნაწილადაა დაყოფილი. ამათგან ქვედა მონაკვეთი სხეებზე მოხერხებული და მთავარია. მისი დიდი ნაწილი ვაკეა, რომელიც ჩრდილოეთით ფერდობს წარმოადგენს. ამ აღმართს თავზე მთის პლატო მოკავებული აქვს ციტადელს, შიდაციხეს. მისი გეგმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე წაგრძელებულია და უსწორო აბრისით სამკუთხედს უახლოვდება. გალავნის ჩრდილოეთის ხაზს აღმოსავლეთით და დასავლეთით ანთავრებს თითო კოშკი.

ქალაქის ქვედა მონაკვეთსა და შიდაციხეს აერთიანებს გალავანშემოზღუდული საკმაოდ დიდი მონაკვეთი, რომელიც განლაგებულია შესამჩნევად დამრეც ფერდობზე (ტაბ. IV—VI). მისი დასავლეთის გალავანი მთის ქედს მიჰყვება. ამ დასავლეთის ხაზის დახრის კუთხე თითქმის თანაბარია, ზოლო აღმოსავლეთისა — სრულიად განსხვავებული. აღმოსავლეთის ფერდობზე ამჟოლი გალავანი ზოგჯერ სწორდება. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთის ხაზის სიგრძე თითქმის ორჯერ მეტია დასავლეთისაზე, რადგან პირველი შიდაციხეს სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში უერთდება, აღმოსავლეთისა კი თითქმის შორს მდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხემდე მიდის.

¹⁹ დაევის ამ სისტემაზე უფრო დაწვრილებით იხილეთ აქვე ცალკე სტატია.

²⁰ გამოკვლევის წარმოადგენს ქართლ-კახეთში XVIII ს. 30-იანი წლებიდან გავრცელებული ე. წ. ციხე-გალავნები (Древние крепости Грузии. Тб., 1969); პ. ზაქარაია, თავდაცვითი ღონისძიებანი XVIII ს. ქართლ-კახეთში, — ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVI—B, 1967, გვ. 237—260.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის გალაგნებს შორის აგების დრო და ტექნიკაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია. პირველი თუ ნატეხი ქვითაა ნაგები მეორე— კვადროვანია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის გალაგანი, რომლის პერიმეტრიც სამ კილომეტრს აღემატება, არსადაა მთლიანად თავდაპირველი სახით შერჩენილი. ამასთანავე, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ თხუთმეტი კამპანიის დროს ნახევარიც არ არის მთლიანად შესწავლილი (ზოგან გალაგნის ხაზი თითქმის გამოვლენილია, ზოგან მცირედ, ნაწილი კი ხელუხლებელია. ასე რომ, ამჟამად გალაგნების სრული განხილვა ვერ ჩატარდება).

განხილვას დავიწყებთ დასავლეთის ხაზიდან, რადგან ეს მონაკვეთი, რამდენადაც ამას გალაგნის ნაშთი გვიყარნახებს, ყველაზე მარტივი უნდა ყოფილიყო (ტაბ. II—V).

ნაქალაქარის ქვედა ტერასის დასავლეთის მონაკვეთს ჩრდილოეთიდან თავზე დასყურებს მცირე ციხე (ტაბ. V). ამ ციხესა და ციტადელს შორის მთის ქედზე მიმავალი გალაგანი ერთი ხაზისაგან შედგება. კედლის სისქე ერთ მეტრს არ აღემატება. ამ ხაზზე უფრო სქელი კედელი საჭირო არ იყო, რადგან კედელი ჯერ მდინარის ქარაფს მიჰყვება, შემდეგ კი ძნელად მისადგომი მთის დაშრევი ფერდობია. ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები კარგად განუსაზღვრავს ფორტიფიკატორს და ამიტომ კედელი მხოლოდ ერთი მეტრი სისქისა გაუკეთებია. ეს კედელი თითქმის ძირამდეა დარღვეული და ამიტომ სიმაღლე არსად დგინდება.

ამ ხაზზე მდებარე მცირე ციხე ფერდობზე მიმავალ გალაგანშია ჩართული. როგორც ეტყობა, მისი დანიშნულება იყო სამეფო უბნის დაცვა. მართალია, ამ მხრიდან ქალაქში შემოდღევა მთის რელიეფის გამო ძნელი იყო, მაგრამ შეუძლებელი არ ყოფილა.

ამ ციხიდან დარჩენილია სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები. დანარჩენი კი, ნიადაგის გამოცლის გამო, მთლიანად მოშლილია. შერჩენილ კედლებში რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს. ამათში აშკარად გამოირჩევა თავდაპირველი ფენა, რომელიც IV ს-ით თარიღდება, ხოლო ბოლო პერიოდის ფენა XVI—XVII საუკუნეებისა უნდა იყოს. პირველი ფენა თუ ფლეთილი ქვითაა ნაგები, მეორე ფენა რიყის ქვისაა.

ამჟამად ამ ციხის არსებულ კედლებში, სამხრეთის მხარეს, ერთი კარია, რომელიც ციხეს ქალაქის ქვედა ნაწილთან აკავშირებდა. იგი ვაჭრილია სწორედ თავდაპირველ კედელში. მიუხედავად იმისა, რომ ციხის კედლები სიმაღლით ათ მეტრამდეა შერჩენილი, მათში სხვა არავითარი ხვრელი არ არის. ციხის შიგნით ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების დროს მოპოვებული მცირე არქეოლოგიური მასალა ყველა ქალაქობის დროინდელია. იქვე იქნა ნაპოვნი რამდენიმე გვიანი საუკუნეების ქვევრი. ამ პატარა ციხეს გალაგანი ებჯინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. პირველი მათგანი ზემოთქენს, ციტადელისაკენ მიემართება, ხოლო მეორე ქვემოთ ეშვება, 70—80 მეტრის შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, გვირაბს გადაუვლის და შემდეგ ქალაქის სამდინარო გალაგანი ხდება.

გალაგნის ეს ხაზი, ე. ი. კედელი, რომელიც ჩამოდის პატარა ციხიდან (საერთო სიგრძით 100 მეტრამდე), ჩაივლის გვირაბს, სამეფოს აბანოს და გვიანდელ ხიდს. ამ მონაკვეთზე კედელი სისქით არსად აღემატება ერთ მეტრს, პატარა ციხის ზედა ხაზის მსგავსად, რადგან მდინარის ციკაბოს მიუყვებოდა.

ეს მონაკვეთიც ნაგებია ფლეთილი ქვით რიგების დაუცველად, კირის დულა-
ბი საკმაოდ შეკრვილია.

გასული საუკუნის ბოლოს (ზოგი ცნობით 1886 წ.), ხიდის ბურჯის ჩა-
ყრის დროს, გალავნის რომელი მონაკვეთი დაინერგა, უცნობია. ხოლო ხი-
ლიდან დაწყებული მთელი სამხრეთის ხაზი გალავნისა ნაწილობრივ შერჩენი-
ლია და ბევრი რამის გარკვევა ხერხდება, თუმცა მრავალი ნაშთი საბოლოოდ
დაკარგულია. მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი — თავიდან ბოლომდე, მთელ
სამხრეთის მხარეს მიჰყვება ორი პარალელური ხაზი. ორი გალავანი ერთმე-
ნეთზეა მიტყუპებული, კედელი კედელზეა მიდგმული, რაც ამ მხარეს განა-
სხვავებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხაზებისაგან.

ხილიდან სამოქალაქო აბანომდე ას მეტრამდეა. აქ გამავალი ორი ხაზის
შუა ნაწილი, ფერდობის გამოცლის გამო, დიდი ხნის წინათ ჩანგრეულა. ამ
ორი ხაზიდან გარე ჩვენ აღვადგინეთ ადგილზე არსებული ყველა მონაკვეთი,
(შიდა კედლის სისქეა 160 სმ., გარესი — 120 სმ. გალავნის ასეთი სითხელე
გამოწვეულია ისევ მდინარის ციცაბო ნაპირით). ახლა საშიშ მდგომარეობაშია
აბანოს სიახლოვეს მდებარე მონაკვეთი ოციოდე მეტრზე, რადგან გარე კე-
დელს კლდის სუსტი ქანი დიდ მანძილზე გამოსცლია. საჭირო იქნება სასწრა-
ფო ზომების მიღება და ალბათ, ეს მოხერხდება (გარე გალავანი მდლაა, შიდა
გალავანი კი ორი მეტრით ღრმალა და მას არაფერი ემუქრება).

პარალელურად მიმავალი ეს ორი კედელი, მართალია, სხვადასხვა დრო-
სა ნაგები (შიდა კედელი სამეფოს გაჩენის პირველივე წლებში, IV ს. დასაწყის-
შია აგებული, ხოლო მეორე, გარე გალავანი, დაახლოებით ასიოდე წლის შემ-
დეგ), მაგრამ მშენებლობის ტექნიკაში დიდი განსხვავება არ არის. ორივე
კედელი ნაგებია ფლეთილი ქვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გარე კედ-
ლის საფასადო წყობა უფრო წესიერია — ოსტატს ქვები სანახევროდ დაუ-
ძუშავებია (20—40 სმ სიგრძე-სიგანით) და პორიზონტებად დაულაგებია. თი-
თქმის ერთნაირი ზომის ქვებით პორიზონტალურად დალაგებული წყობა ძა-
ლიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნოქალაქევის მეორე გარე გალავნის ყველა მონაკვეთზე არ არის ასეთი
წყობა. ამ მხრივ სამაგალითოა კედელი სამხრეთის გაყოლებაზე, კოშკიდან
აღმოსავლეთით ბოლომდე და სხვაგან (ტაბ. XVI—1).

წყობის ამ სისტემას მეტ-ნაკლებად ჩვენ ვხედავთ იმ ეპოქის ყველა იმ
ძეგლში, რომელიც დაცვის ერთიან ჯაჭვში მოვაქციეთ (აბედათი, კოტიანეთი,
„საკალანდარაშვილო“, ეკი და სხვები).


ქალაქებისა და ციხეების კედლების წყობის ასე წესიერად დალაგება
ანკარად მოგვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოში V ს. ბოლოს აგებულ უჯარ-
მის ციხეს²¹ და სადღაც იმავე ხანებში აგებულ, მცხეთის მიდამოებში მდგარ
ბებრისციხეს.

როგორც ეტყობა, ქვების მქისედ დამუშავება, ზომებით კვადრატს მიახ-
ლოება, ძირითადად რიგების პორიზონტალობის დაცვა, ადრეული საუკუნეების
დამახასიათებელი შეიძლება მივიჩნიოთ.

სამხრეთის გალავნის განხილულ მონაკვეთს მოსდევს სამოქალაქო აბანოს
შენობა, თუ როგორ იყო ეს შენობა დაკავშირებული გალავანთან, უცნობია,
რადგან ფერდობის გამოფიტვის გამო აბანოს კედელი, გალავანთან ერთად,
დიდი ხნის წინათ დანგრეულა.

²¹ ი. ციციშვილი, უჯარმა, თბ., 1982, ტაბ. 12—14.

აბანოდან აღმოსავლეთით, კოშკამდე მეტად რთული სურათი დაგვხვდა ზოგან პარალელურად მიმავალი გალავნების ნაშთები 1—2 მეტრის სიწარლზეა შერჩენილი, ზოგან კი თითქმის მიწაქვეა გასწორებული. წყობა და კედლების სისქეც მცირედ განსხვავდება ზემოაღნიშნულისაგან (გარე კედლის სისქე 90 სმ, შიდა კედლისა 227 სმ). გარე ვიწრო კედელი ყოველ რიყის ქვითაა ნაგები, შიდა კედელი კი — საკმაოდ დიდი ზომის უფორმო ქვით. იგი არ ჰგავს სხვა გალავნებს და არც იყო გალავანი. ქალაქის გალავანი მის სამხრეთით გადიოდა. იგი გათხრებით გამოვლინდა 1986/87 წლებში. იგი გამოდის კოშკის აღმოსავლეთით, გალავნის კუთხიდან, მიემართება მდინარისაკენ. ამ ადგილას მდინარის ნაპირი წყალს წაუღია. შემდეგ გალავანი ცერად მიემართება დასავლეთით (მისი ფრაგმენტი აღმოჩნდა კოშკის სამხრეთ-დასავლეთით). ეს გალავანი თუ როგორ უერთდებოდა სამოქალაქო აბანოს, ფერდობის ჩამონგრევის გამო არ ირკვევა, წესით მისი ხაზი აბანოს გარეთ უნდა ყოფილიყო. თანაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შიდა გალავანზე შიგნიდან სათავსებია მიშენებული და ყოველი მონაკვეთის გალავანი მცირედ განსხვავებული წყობითაა ნაშენი. დროით კი ისინი თითქოს არ განსხვავდებიან. ალბათ, სხვადასხვა ოსტატი იყო და ამითაა გაპირობებული განსხვავებული წყობა.



2. ნოქალაქევი. სამხრეთის გალავნის ცენტრალური მონაკვეთი.

სირთულე იწყება მას შემდეგ, რაც გაცედებით გალავანზე მიშენებულ ნაგებობებს, საქმე იმაში განლავთ, რომ აქვე, გაგრძელებაზე მდგარი კოშკი „საცდელი პოლიგონივითაა“, ეგარს უშენებია, მეტრს უნგრევი და იცით რამდენჯერ? გასამიჯნი და დასათვლელია (სურ. 2, ტაბ. IV, XVI).

რადგან კოშკის ტერიტორია ბევრჯერ წარმოადგენდა სამშენებლო მოედანს, ამიტომ 6—7 ფენიდან არც ერთი არ ირკვევა ბოლომდე. მომდევნო გაშენდითმა სამუშაოებმა ეგებ მეტი სიზუსტე შეიტანოს. ამჟამად კა ასეთი სურათია.

პირველი, უადრესი გალავნის ნაშთი შემორჩენილია კოშკის გარეთ, აღმოსავლეთით (მასზე კოშკი ნაწილობრივ გადადის). იგი, როგორც ეტყობა, მდინარის ნაპირზე უხვევდა დასავლეთით და მიემართებოდა ე. წ. სამოქალაქო აბანოსკენ (სურ. 2).

მეორე სამშენებლო ფენაა კოშკური შვერილი (ტაბ. IV, XVI). იგი ზომით (160 სმ) და წყობით ესადაგება ქალაქის პირველ გალავანს. შიგნით თხელი კედლით ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ამ ორიდან დასავლეთისაში მოწყობილი იყო ჭიშკარი. მისი ნაშთი ჭიშკრის ზღურბლის ისეთივე თლილი ქვით, როგორც ეს აღმოსავლეთის ჭიშკრებშია, აქაცაა დადასტურებული (ტაბ. XIII—2).

ამ შვერილის დანგრევის შემდეგ მის შიგნით ჩაუშენებიათ სწორკუთხა კოშკი (კედლის სისქე 145 სმ). ამ კოშკისგან დარჩენილია სამი კედელი ორი სართულის სიმაღლეზე (პირველი სართული იწყება ეზოდან თითქმის ორ მეტრზე). დაახლოებით ორი სართულის შუაზე, შიგნიდან, გადის აგურის ორი რიგის სარტყელი (onus mixtum). ამათ გარდა კოშკის შიგნით დანარჩენი კედლების განსაზღვრა დღეს შეუძლებელია.

აღწერილის გარდა კიდევ ერთი საინტერესო დეტალია. კოშკის ჩრდილოეთის კედელს ეზოდან ებჯინება ერთ ხაზზე განლაგებული ხუთი პილონი, ისინი თლილი ქვით ბრწყინვალედაა ნაგები (სურ. 2, ტაბ. XVI—2). მათგან დასავლეთით მდგარი დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი, ხოლო აღმოსავლეთის ბოლოს მდებარე — სამ მეტრაშდეა. ხაზია გასაშვლი იმ გარემოებისათვისაც, რომ დასავლეთის ორ პილონს შორის დიდი ზომის ქვებია დაფენილი. მათი ზედაპირი გამწვლეულა ფეხით შესამჩნევადაა გახეხილი. ცხადია, პილონების მოქმედების დროს, აქ გადიოდა ქალაქში შესასვლელი ერთ-ერთი გზა.

ექსპედიციამ ამ პილონების დანიშნულება ზუსტად ვერ დაადგინა. ასე კონტად ნაგები ნაქალაქარზე სხვა არაფერი დგას. ერთადერთი ვარაუდი, რომელიც ექსპედიციას გააჩნია, ესაა მათი დანიშნულების განსაზღვრა გალავნის ნაწილად. ისინი გალავნის ზედა ხაზზე ქმნიდნენ ე. წ. საბრძოლო ბილიკს. ყოჩაქე ქვის წყობით ასეთი შვერილები გააჩნია ციტადელის სამხრეთის გალავანს მთელ სიგრძეზე.


კოშკის მომდევნო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხემდე თითქოს უფრო მეტი გარკვეულობაა. ამ ხაზზე სამი თუ ოთხი სამშენებლო ფენაა. გალავნების მთელი სიგრძე ოთხმოც მეტრაშდეა. გალავნები შუაზე გადასკდარა და აღმოსავლეთის მონაკვეთი გადაწოლილია, მეორე ნახევარი კი ფეხზეა.

უშუალოდ კოშკის მიმდებარე მონაკვეთი, დაახლოებით ორმოციოდე მეტრზე, სამჯერ მაინცაა გადაკეთებული. თავდაპირველად აქაც სქელი, ორმაგი გალავანი მოდიოდა, მაგრამ 2—3 მეტრის სიმაღლეზე გადანგრეულა და გვიან, XVI—XVII საუკუნეებში, დადიანებს თხელი კედელი დაუშენებიათ (გვიან საუკუნეების პატარა ფეოდალს მეტი შესაძლებლობა არ ექნებოდა).

ქვედა, ერთმანეთზე მიტყუებული კედლებიდან შიდა პირველადია, მეორე, გარე კედელი მასზე ასიოდე წლის შემდეგაა მიშენებული. ზოლო რაც შეეხება იქვე, ეზოს მხარეს, გალავანზე მიდგმული ქვის კიბე თუ როდისაა აგებული, ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელდება. საქმე იმაშია, რომ პარალელურად მიმავალი ორი კედელი განსხვავებული წყობითაა აგებული და მათ სტილში აშკარა სხვაობაა. შიგნიდან მიდგმული კიბე კი თლილი ქვის დიდი კვადრებითაა ნაგები და კონსტრუქციულად გალავანთან არ არის დაკავშირებული; იგი მასზეა მიდგმული.

ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, გალავნებზე სამგანაა მიდგმული კიბე, მაგრამ სამივე განსხვავებული წყობითაა შესრულებული. ამათგან ჭიშკრის სიახლოვეს გარე, მესამე კვადროვან გალავანზე მიდგმული კიბე განსხვავდება ორივესაგან (სურ. 3, ტაბ. XII—1). ეს გასაგებიცაა, რადგან მათი აგების დრო


დიდად შორს არის ერთმანეთისაგან და სტილისტურადაც დიდი განსხვავებაა, ხოლო დანარჩენი ორი უფრო ერთმანეთს მიაგავს და ერთი და იმავე დროს თუ არა, ერთ ეპოქაშია აგებული. ეს ეპოქა კი ყველაზე მეტად მოსალოდნელია იყოს პირველი გალაენის აგების დრო, ე. ი. IV ს. დასაწყისი, წარმოდგენილია 10—12 მეტრის სიმაღლეზე მდებარე საბრძოლო ბილიკზე ასვლა კაპიტალური კიბის გარეშე. არაა გამორიცხული, რომ ხის კიბეებიც იყო. ბრძოლა, თავდაცვა ხომ მაღლა, ქონგურების დონეზე ხდებოდა. იქ მეომართა ასვლა და იარაღის ატანა, ცხადია, კიბის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ხის კიბეების განლაგება ახლო-ახლოს შეიძლებოდა, მაგრამ ისინი ნაკლებად საიმედო იყო, რადგან ხანძარი ადვილად დააზიანებდა. ამიტომ ქვის კიბე აქა-იქ მაინც უნდა ყოფილიყო. როგორც ვეცნობა, ამითაა გაპირობებული ერთი ქვის კიბის მოწყობა აღმოსავლეთით (ქიშკრის სიახლოვეს, სურ. 3, 9, 11), ხოლო მეორესი — სამხრეთით. მტრის გარემოცვის შემთხვევაში, ორი კიბე მოთხოვნას ვერაფრით დააკმაყოფილებდა. ამიტომაც აუცილებლად ვუშვებთ დამატებით ხის კიბეების არსებობას.



სურ. 3. ნოქალაქევი. აღმოსავლეთის გალაენის ვეგმა.

ამ საერთო მსჯელობის შემდეგ დაეუბრუნდებით კიბეების კონკრეტული მონაცემების აღწერას. მათ წყობაზე ზემოთ ვწერდით, მაგრამ აქაც გავიმეორებთ, რომ ორი შიდა კიბე უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, მესამე გარე კი უფრო პატარა ქვითაა წაგები და ქვის მასალა სხვაა. საფეხურების ზომები კი ასეთია: აღმოსავლეთის გარე კვადროვანი გალაენის შიდა კიბის საფეხურის სიმაღლე 22 სმ, სიგანე 30—31 სმ, ხოლო კიბის მთლიანი სიგანე 175 სმ. იქვე მახლობლად, ქიშკართან ახლოს, ეზოს შიგნით მდებარე კიბის საფეხურის

სიმაღლე 23—26 სმ, სიგანე 30—33 სმ. ხოლო კიბის მთლიანი სიგანე 217 სმ. მესამე კიბე კი, რომელსაც კონკრეტულად ახლა ვიხილავთ, სხვებზე მეტადაა დაზიანებული და ამავე დროს არასტანდარტულია. ამიტომ დანამდვილებით ვიცით მხოლოდ კიბის მთლიანი სიგანე — 210 სმ და საფეხურის სიმაღლე — 23—24 სმ. საფეხურის სიგანე ზუსტად არ დგინდება (კიბის შიდა ხაზზე მდებარე ქვებზე საფეხურისებრი ამონაჭრებია. მათი დანიშნულება არ ირკვევა). ეს კიბე ჩვენ გათხრებისას აღმოვაჩინეთ, მაგრამ შემდეგ, როცა 1930/1931 წლების ა. შნაიდერის დროინდელი ფოტოები გადმოგვეცეს, გაირკვა, რომ მაშინაც იმავე მდგომარეობაში ყოფილა (როგორც ეტყობა, შემდეგში კიბე ისევ ძიწას დაუფარავს).



სურ. 4. ა. ნოქალაქევი. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის გეგმა.
ბ. ნაქალაქარის კიშკრის ჩრდილოეთით მდებარე კოშკის გეგმა.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ ბოლო პერიოდში აგებული კედელი ნაქალაქარში ჩასახლებული დადიანების დასაცავად იყო აგებული. ამ დადიანებზე ცოტა რამ ვიცით. მათზე პირველი ცნობა ვახუშტის მოეპოვება. იგი წერს: „აწ სენაკს ზეით უნაგიარას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე-ჯოგად წოდებული. ეს აღაშენა პირველი მეფის ფარნაოზის ეამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამის საერისთავო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კვალად და სასახლე დადიანისა“²². სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია ზუგდიდში იყო, მაგრამ საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებს თავიანთი მცირე თუ დიდი სათავადოები ჰქონდათ. ასეთებიდან შეიძლება დავასახელოთ, ჭაჭვინჯი, ხიბულა, ნოქალაქევი, ბეთლემი და სხვა.

²² ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 166—167.

თუ თვალს გადავაკლებთ დადიანების მიერ ძველ გალაკნებზე დაშენებულ კედლებს, ვნახავთ, რომ მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ჰქონდათ ეგრი-სის მეფეთა შესაძლებლობები. თუ ძველი კედლები სისქით 150 სანტიმეტრიდან 250 სანტიმეტრამდეა, ახალი კედლები მერყეობს 60—100 სანტიმეტრს შორის, ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განსხვავებაა მასალაში და მშენებლობის ტექნიკაშიც. ძველი კედლების ერთი ნაწილი ყორე კვითაა ნა-გები, მაგრამ წყობაში გემოვნება ჩანს. ხაზები სწორია და კედლები მტკიცე-ძველი კედლების მეორე ნაწილი თლილი კვადრებითაა ნაგები და ხაზები დახვე-წილია. არაფერი ამის მსგავსი არ არის დადიანისეულ კედლებში: აქ კედლის ძირითად მასალას რიყის ქვა წარმოადგენს, ურევია ყორე ქვაც. ამასთანავე, ნაგებია ისე, რომ არსად სიმკვეთრე არ არის დაცული. ეს იგრძნობა როგორც გემის ხაზებში, ისე კედლების ზედაპირზე. აშკარად ჩანს — სხვა ეპოქაა სად შეიძლო დასუსტებულ-დაქუცმაცებული ქვეყნის ერთ სამთავროს ის, რისი შემძლეც იყო დასაუღლები საქართველოს ძველი მფლობელი! ამ საკითხზეც ნათლად ჩანს ძველი ეგრების კულტურული თუ ეკონომიკური სიძლიერე²³.

მეორე, გარე გალავნის ფასადი, შეიძლება თამამად ითქვას, მხატვრული ნაწარმოებია. ოსტატი თითქმის ერთი ზომის (30—40 სმ) ქვებს პორიზონტუ-ლად ალაგებს და ნამდვილ მხატვრულ ფასადს ვღებულობთ (ტაბ. XVI—1). ასეთი წყობაა მხოლოდ სამხრეთის კოშკიდან აღმოსავლეთის კუთხემდე. გა-ლავნის ამ მონაკვეთის ასეთი გამოყოფა რითაა გამოწვეული, ამჟამად ძნელი გადასაწყვეტია.

ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე ძლიერაა დანგრეული, ამი-ტომ მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. თანაც დარჩენილი კედლები ყველა გადაწეულია. ამას ემატება კოშკისა და კედლების უზარმა-ზარი ნანგრევები. ამ კუთხეზე მხოლოდ ერთი აზრის გამოთქმა შეიძლება გარ-კვევით: საბოლოოდ, სამივე დროის მშენებლობის შემდეგ ეს კუთხე ყოფილა


²³ თუ რისი შემძენი იყვნენ აქ მცხოვრები დადიანები ციხის გაპართვის დროს XVI ან XVIII ს., ეს წერილობითი წყაროებით არ დგინდება, მაგრამ XIX ს. რომ ლარბინი იყუ-ნენ, ამას დიუბუა დე მონპერეს ნაწერებიდან ვიგებთ. დიუბუა მარტილის გამოვლით მოსულა ნოქალაქეის შესასწავლად (იგი საქართველოში მოგზაურობდა 1833/34 წლებ-ში) და აქვე ბევან დადიანის სახლში დაბინავებულა (ბევანი მაშინდელი მთავრის ლევან V ძმისწულია). ნაქალაქარის ტერიტორიაზე მას ჰქონია ხის სახლი. როგორც ეტყობა, მას-პინტელმა გაითვალისწინა საპატრიო სტუმრების მიღების საკირო დონე და შეწუხებულს მათ-თვის უთქვამს: მე, მიუხედავად დადიანობისა, ღარიბი ვარ და დათანხმდით ჩემი ბძაძისელის აღუქსანდრე დადიანის მიწვევაზე, იგი ჩემზე ხუთჯერ მდიდარაო. ცხადია, მასპინძლის ასეთი შიშობითი შემდეგ დიუბუასა და მის მზღებლებს სხვა გზა არ ჰქონდათ და აღუქსანდრეს მიწვევაზე დათანხმებულან. იქ კი სულ ლხინი და დროსტარება ყოფილა.

დიუბუა არ უთითებს სოფლის სახელს, მაგრამ ამბობს, რომ ეს დადიანი ცხოვრობდა შდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს, მთაზე. ნოქალაქეის ზემოთ. ტეხურაზე დადიანები მხოლოდ ბეთლემში ცხოვრობდნენ. ეტყობა, მათი მასპინძლები ბეთლემელი დადიანები იყვნენ (ცფიქ-რობთ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მწერალ შალვა დადიანის წინაპარნი. ბეთლემში, 1982 წ. 29 მაისს, მის პატრვისაცემად დაწესდა „შალვაობა“).

ნოქალაქეელი დადიანები გასულ საუკუნეში და ამ საუკუნის დასაწყისშიც ღარიბები იყვნენ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ მიერ აგებული არაერთარი კაპიტალური ნაგებობა არ დარჩენილა. ადგილობრივთა მონაყოლით, მათ ერთი ხის სახლი ჰქონიათ ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, პატარა ხის სახლი კი მდგარა გალავნის გარეთ, იქ, სადაც ამჟამად რესტორანია (ნათი ეზოდან დარჩენილია დიდი კვადრია).

ჭალაქის დაცვის მთავარი კვანძი. აქვე უნდა ყოფილიყო ციხისთავის სამყოფიც.

თავდაპირველად, როდესაც ჭალაქს უვლიდა მხოლოდ ერთი გალავანი (შიდა, ეზოსკენ მდებარე), მაშინვე ციხისთავის სამყოფიც აუგიათ და ეს სრულიად ლოგოკურიცაა, რადგან ჭალაქს და ისიც ასეთ დიდს, მულშივი დაცვა და



სურ. 5. ნოქალაქევი. განაკვეთი და რესტავრაციის პროექტი ძველი კოშკის ხაზზე.

მეთაური უნდა ჰყოლოდა. ასეთი დანიშნულებისათვის ჭალაქის ქვედა ნაწილში სწორედ ეს კუთხე იყო, რადგან მხოლოდ ეს კუთხე უყურებდა გაშლილ მოსადგომებს. აქედან კარგად დაიხვერებოდა ჭალაქისკენ მომავალი გზები. კოშკისმაგვარი მოგრძო საცხოვრებელი უეჭველად ბანით დამთავრდებოდა. რქიდან კი მზვერავეები შორს იმზირებოდნენ (აქ საუბარია სამხრეთისა და აღმოსავლეთის მისადგომებზე. დანარჩენი მხარეები მთებით იყო ჩაკეტილი). ამ კოშკის გარეთ, სამხრეთით, რაღაც შენობის დიდი ნანგრევებია, მაგრამ სირთულის გამო ჭერჭერობით გაწმენდას ვერ ვახერხებთ, ამიტომ გარკვევით ვერაფერს ვამბობთ.

ამ პირველი გალავნის პარალელურად, თითქმის ერთი მეტრის დაცილებით, როცა მეორე გალავანი გაიყვანეს, მან სამხრეთითაც მოუხვია და კოშკამდე მიადწია. მოხვევით კი მოუხვია, მაგრამ, როგორც ვტყობა, სწორკუთხონი მოხვევა არ ყოფილა. ჩრდილოეთიდან მომავალ კედელს სამხრეთის ბოლოში ორიოდ მეტრის სიგრძის შევრილი გაუჩნდა. ეს შევრილი ამჟამად მართა დაჩენილი და შორიდან კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს, კედლებისა და ფენების გაურკვეველობას ისიც ზრდის, რომ სამხრეთის გალავნებთან ერთად ეს კუთხეც მთლიანად გადაწეულია. მართალია, ციხისთავის საცხოვრებელი დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთ დეტალზე შეიძლება საუბარი. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის კედელი შუაზე განგრეულია და სამხრეთისა შესამჩნევადაა გადაწეული, კარგად ირკვევა, რომ სათავისს გეგმა ვრძელი სწორკუთხედიანია. პირველი საართულის კედლები ზოგი 1,6—2 მეტრის

სიმაღლეზეა შერჩენილი. ამ სართულს კარი ჩრდილოეთით, მოხერხებულ ადგილზე ჰქონია. ორსართულიანობა არ ირკვევა, მაგრამ გალავნების სიმაღლეებიდან გამომდინარე, არანაკლებ ოთხისა უნდა ყოფილიყო. ცხადია, დამამთავრებელი ბანი იქნებოდა. ბანი, ჩვეულებრივად, სადაზვერვოდ და თავდაცვისათვის გამოიყენებოდა.

ახლა თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს ჩრდილოეთით ავეყვებით, შუამდე ერთნაირი სურათია: პარალელურად მიმავალი ორი კედელია. კედლებს შუა ინტერვალი მერყეობს 60—80 სანტიმეტრს შორის.

გალავნების კუთხიდან ზემოთ, სამოცდაათიოდე მეტრზე იწყება ქალაქის დაცვის ურთულესი კვანძი. აქ, სხვას ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, სამ გალავანში სამი სხვადასხვა პერიოდის კონსტრუქცია განლაგებული. თითოეულ მათგანს საკუთარი გადაწყვეტა აქვს, ისეთი, რომელიც მეორეს არა აქვს. ამ გალავნებს ჩვენ აქ განვიხილავთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ეზოდან გარეთ გამოვალთ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს უბანი სამშენებლო ფენების გამიჯვნის თვალსაზრისით მეტად რთული გამოდგა. თავდაპირველად აქ მიწის ფენა შიდა კედელთან 3—4 მეტრზე იყო, გარე, მეორე კედელს 7—8 მეტრზე ფარავდა და მის გარეთ არსებული კვადროვანი კოშკი და მოცილებით მდგარი ისევე კვადროვანი გალავანი საერთოდ არ ჩანდა. ამ შესამე კედლის არსებობაზე მხოლოდ აქა-იქ მინიშნებით ვხვდებოდით. ამიტომ ყველა გალავნის ქრონოლოგიური გამიჯვნა, კონსტრუქციის გამოვლენა და დათარიღება რთული საქმე გამოდგა და მის საბოლოოდ დადგენას ათზე მეტი წელი მოუწია. დიდ ხანს ვეძიებდით კოლოსალურ მიწის სამუშაოებს. მაგრამ შრომა დაგვიფასდა — ქართული ქალაქმშენებლობის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა.

ახლა ამ გალავნების განხილვას უფრო დაწვრილებით თუ მივყვებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთით საბოლოოდ გარკვეულ სამი კედლიდან ექსპედიციის ჩასვლისას ნაწილობრივ ჩანდა ახლო-ახლო მდგარი, ყორე ქვით ნაგები, ორი კედლის მცირე მონაკვეთები. ამას ისიც ემატებოდა, რომ გალავნის შიგნით და გარეთ დასახლებული იყვნენ, და მათი იქიდან გადაყვანის გარეშე გაწმენდა და გათხრა შეუძლებელი იყო. ამას კი ხუთი წელი დასჭირდებოდა²⁴.

ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე, სხვაგან საჩქარო სამუშაოების გამო, გამუდმებით ვერ ვმუშაობდით, ამიტომ კედლების თანმიმდევრობის დადგენა ასე დიდხანს გაგრძელდა.


გალავნის სამი ზაზიდან შუა კედელში, ექსპედიციის ჩასვლისას, ერთი კონსტრუქცია იყო (სურ. 3). ამ განგრეულ კონსტრუქციაში, ალბათ, ბოლო ასეულ წლებში²⁵, გადიოდა ის ერთადერთი სატრანზიტო გზა, რომელიც დღევანდელ სენაკის რაიონს მარტვილის რაიონთან აერთებდა²⁶.

²⁴ გადაყვანა მოხდა მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (№ 118 გ. 1976 წ. 12 თებერვალი). რაიონის ხელმძღვანელობამ ეს პროცესი მალე დასრულა. ყველა კმაყოფილი დარჩა.

²⁵ მდ. ტეხურაზე 1886 წ. აგებული რკინის ხიდი ამ გზას უფრო მყარად ამკვიდრებდა (მანამდე აქვე ქვის ხიდი ყოფილა). ამ კლდეან ნაპირებს შორის სამოციოდე მეტრია და საფიქრებელია, რომ ხიდი იქვე იქნებოდა უფრო ადრეც, ეგრისის სამეფოს დროსაც.

²⁶ ადრე ეს გზა აკავშირებდა სამეგრელოს ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიც იყო სენაკი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვა. ხოლო აღმოსავლეთით ჯერ მარტვილს და შემდეგ

ნაქალაქარის შესასვლელის წინ ამ გზის ორივე მხარეზე აღმართული ხეები და ბუჩქებით დაფარული გორაკები არავენ იცოდა თუ რას მალავდა. ნელ-ნელა გამოჩნდა გარეთა კვადროვანი ქვეთ შემოსილი ვალავეანი, მათში ჩართული კოშკები და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ, მიწა ნელა ხსნიდა პირს.



სურ. 6. ტიშკრის საკეტი.

უპირველეს ყოვლისა, გაირკვა, რომ ეს კვადროვანი კედელი პირველი კი არ იყო, როგორც ამაზე აღრე წერდნენ²⁷, არამედ — ბოლო. მომქმედი ტიშკრის სამხრეთით ათიოდე მეტრზე მეორე ტიშკრის აღმოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო. ჯერ მისი აგურის თაღის ნაწილი გამოჩნდა, მაგრამ ძირამდე ჩასვლა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ეს მხოლოდ მეათე კამპანიის დროს შეეძებლით.

სამივე ტიშკრის გახსნა-გაწმენდამ ერთგვარი სიცხადე შეიტანა ქალაქის ამ უბნის გადაწყვეტაში და ქრონოლოგიაში (ტაბ. VI, VII). ძველი ტიშკრის გახსნამ დაგვარწმუნა, რომ იგი არა მარტო თვით არის თავდაპირველი, არამედ ეზოდან მდებარე პირველი კედლის ნაწილია. გაურკვეველობა გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ტიშკრის მიდამოებში რამდენიმე სამშენებლო ფენაა ერთმანეთში მჭიდროდ გადაჯაჭვული. მშენებლობის ტექნიკის მსგავსების გამო, ფენების გამიჯვნა და კედელთა მიმართულებების გარკვევა ძალიან ძნელი შეიქნა. ხოლო მას შემდეგ, რაც გაიწმინდა ეს უბანი და კედ-


ცხენისწყლის გალმა — ხონს, ქუთაისს და ა. შ. გზა ეგრისის სამეფოს დროსაც დაახლოებით იმავე ხაზზე გაივლიდა.

²⁷ ს. ყაუხჩიშვილი, დამატება, — ნოქალაქევი-არქეოლოგია, I, გვ. 235.

ლების დონეებიც დადგინდა (ეზოსკენ მდებარე პირველი კედლის ძირი ორი მეტრით დაბლაა მეორეზე), თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა (სურ. 3, 7, 8, 10, 11).

გაირკვა, რომ ეზოდან პირველ კედელში ჩართული ჭიშკარი, გვერდებზე მდებარე საყარაულოებით, სამი მეტრით გარეთაა გამოშვებული და მდებარეობს შუა კედლის ხაზზე. თანაც კედლები არა მარტო წინაა გაწეული, არამედ ბოლოები გასქელებულია. ყველაფერი ეს ნაპარნახევია უკეთ დაცვის პრინციპებით. შვერილი ჭიშკარი, ფაქტიურად, კოშკის როლს ასრულებდა. გალავნის ვარეთ გასული კოშკის ბანიდან ციხის მისაღვომების დაცვა უფრო მარჯველ მოხდებოდა.

ამ ჭიშკრის შიგნით, ორივე მხარეზე გრძელი და ვიწრო სათავსები იყო. ისინი განკუთვნილი იქნებოდა მცველებისათვის. მათ საკმაოდ გრძელი ფრონტი ჰქონიათ, რადგან გასასვლელის სიგრძე თითქმის ათი მეტრია. მტერი, რომელიც ჭიშკრიდან შემოიჭრებოდა, ამ გრძელ და განიერ ტალანში მოხედებოდა და ქალაქში გასვლა გაუძნელებოდა²⁸.



სურ. 7. ნოქალაქევი. პირველი და მეორე ჭიშკრები აღდგენილი სახით.

ჭიშკრის გასასვლელის ორივე მხარეზე მდებარე სათავსებს შორის გასვლა საგრძნობლად ძნელი იქნებოდა. მათი ეზოსკენ მდებარე მონაკვეთები თითქმის

²⁸ მიუხედავად დაცვის ხაზის ასეთი გამაგრებისა, მტერი სხვადასხვა დროს, როგორც გათხრებით ირკვევა, ქალაქში შეჭრილა და აუობრებია.

კერძოდ, ამ უზნის გაწმენდისას (1976 წ.) საინტერესო შემთხვევას წააწყდით. მტრის ერთ-ერთი შემოტევისას ქალაქის დაცვას უკან არ დაუხევია, მაგრამ მაინც დაეცემა. დამცველებთან ერთად რკინის აბჯარასხმული მცველი ნაგებობის კარში თავდაყირა ჩავარდნილა. ეგრისელებს თავს დამხოზია გადმონგრეული კედელი.

შემდეგ ამ ნანგრევებზე, სხვადასხვა მიმართულებით, განსხვავებული კედლები დაუშენებიათ. მეომრის ჩონჩხი ამოვიღეთ (შეიძლება ამ ევრს, სამშობლოს დამცველს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე ისევე დაედგას ძეგლი, როგორც ახლა ჩვენი ეპოქის სამამულო ომში დაღუპულებს), ჩონჩხი დაფუძალით, აბჯრისა და მუზარადის ნარჩენები შევიანათ, რკინის აკაზმულობა უანგს ძალიან დაუზიანებია.

ერთნაირი გეგმისა და თანაც განსხვავებული ზომისაა (სურ. 3). თუ რითაა გამოწვეული შიდა სათავსების ასეთი გადაწყვეტა, კონკრეტულად ახლა ძნელი სათქმელია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი ნაკარნახევია შვერილი ნაწილების ჯანმტკიცების ამოცანით. სათავსებს თითო კარი აქვთ.

ამ საყარაულობების კედლები ეზოსკენ შერჩენილია საშუალოდ 1,5 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ გარეთა კედლები დარჩენილია 5—6 მეტრის სიმაღლეზე (ეს ნაწილი, ალბათ, შეინარჩუნა მასზე დაყრილმა ნანგრევებმა). კედლების ასეთი სიმაღლე გვევარაუდებინებს, რომ ეს სათავსები ორსართულიანები იყო. საბრძოლო ბანი (ამჟამად საყარაულოს კედლები, კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით, მცირედ აწეულია). თავისთავად საექვო არ ჩანს ის გარემოება, რომ სათავსების ზემოთ, ჭიშკრის თავზეც, საბრძოლო ბანი უნდა ყოფილიყო. იმ ეპოქისათვის ჭიშკრის დაცვის სხვა ვარიანტი წარმოუდგენელია.

მიუხედავად ჭიშკრის დაცვის ასე გონივრულად გადაწყვეტისა, ალბათ, მეტრის ჭარბმა ძალებმა დაცვის ხაზი, აქ თუ სხვაგან, გაარღვია, კედლების ზედა ნაწილები გადაანგრია და ქალაქში შეიჭრა. ამის შემდეგ, როგორც ეტყობა, ქალაქის მესვეურებს, ქალაქის გამაგრების არსებული სისტემა დამაკმაყოფილებლად ვერ მიუჩნევიათ და ახალი სისტემა შეუმუშავებიათ. ეს ახალი სისტემა, ფაქტიურად, გულისხმობდა ახალი, დამატებითი კედლის აგებას. მათ შეეძლოთ ახალი კედელი აეგოთ სხვადასხვა ფორმის, ზომისა და მოხაზულობისა, რადგან ვაქე ადგილი ამის საშუალებას იძლეოდა. მშენებლებმა აირჩიეს ყველაზე მარტივი და შეიძლება, სწორი გზა. ისინი აძლიერებენ პირველ ხაზს, მას გარედან უმატებენ მეორე ხაზს. პირველი კედელი თუ 1,6 მეტრის სისქისაა, მეორე კედელი 2 მეტრია. მისი გარე ხაზი გაუსწორდა პირველი ჭიშკრისა და ზემოთ ფერდობზე მდგარი შვერილი კოშკის გარე ზედაბირს.

ამჟამად ორივე კედელი მრავალ ადგილასაა დაზიანებული და არსად არაა თავდაპირველი სახით. ეს გარემოება ხელს გვიშლის ზუსტად წარმოვიდგინოთ, თუ რა კავშირი ჰქონდა ამ ორ კედელს და როგორ ეხმარებოდნენ ისინი ერთმანეთს.


დღევანდელი მდგომარეობით ეს ორი კედელი ჭიშკრის მიდამოებში, ორივე მხარეს, ერთმანეთისაგან დაცილებულია 80—100 სანტიმეტრით, მაგრამ სამხრეთისაკენ მათ შორის მანძილი ნელ-ნელა მცირდება და კუთხის სათავსთან ნახევრდება, ხოლო დასავლეთით მოხვევის შემდეგ, ე. ი. სამხრეთის მხარეს, ვიდრე ხიდამდე, როგორც ადრევე ვწერდით, ორივე კედელი ერთმანეთზეა მტკუპებული.

ანალოგიური შემთხვევა საქართველოში სხვაგან არა გვაქვს. ამიტომ ანალოგის გამოყენებას მოკლებულნი ვართ. ადგილზე შერჩენილი ნაწილები მრავალ კითხვაზე პასუხს არ იძლევა, ამიტომ მხოლოდ ზოგი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

ამ კითხვებიდან მთავარია, თუ როგორ მთავრდებოდა ერთი ან მეორე ელავანი და როგორ იყო მოწყობილი საბრძოლო ბილიცი და ქონგურები. ერთია გონიო (აფსაროსი) და მეორე — ანაყოფია (ახალ ათონთან). მათ მიხედვით კედლის დამთავრება, ე. ი. ქონგურები და სავალი ბილიცის სახე ზოგადად დგინდება, მაგრამ იქ კედლები ცალმავია აქ კი — ორიმავი.

რადგან ეს ორი ვალავანი ერთმანეთზე მიდგმულია, ან ზოგან მცირედაა დაცილებული, დაცვის ამოცანის შესაბამისად, შეიძლებოდა როგორც მათი ცალ-ცალკე გადაწყვეტა, ისე გაერთიანებაც.

აქ წარმოდგენილ რეკონსტრუქციის პროექტებზე (სურ. 10, 11) მეორე ვარიანტია მოცემული. პარალელურად მიმავალ ორ კედელს, დღემდე მოღწეული ნაშთის მიხედვით, ორგან ჰქონია გზიდან ქვის კიბე. ერთი მათგანი პირველივე წლებში გამოვლინდა სამხრეთით, მდინარის მხარეს, ერთადერთი კოშკის სიახლოვეს (სურ. 2).




სურ. 8. ნოქალაქევი. აღმოსავლეთის კიშკარი ეზოდან.

იმ ეპოქის გალავანს აუცილებლად ქონგურები უნდა ჰქონოდა. მაშინდელი თავდაცვითი ტექნიკის გამოყენება შეიძლებოდა საბრძოლო ბილიკიდან, რომელიც ქონგურებს იყო ამოფარებული. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ერთ საინტერესო ცნობას აქ ერთხელ კიდევ მოვიყვანთ. პროკოპი კესარიელი აღწერს სპარსეთის ჯარების სარდლის მერმეროეს მიერ არქეოპოლისის აღების ცდას²⁹. იმ მომენტში გარნიზონის უფროსებმა „ოდონაქემ და ბაბამ... რამდენიმე ჯარისკაცი დაიბარეს და დაავალეს მათ კ ბ ი ლ ა ნ ე ბ ი დ ა ნ მ ო ე გ ე რ ი ე ბ ი ნ ა თ (ზაზი ჩემია — პ. ზ.) მოიერიშენი“. ამ ტექსტიდან

²⁹ გეორგიკა. ტ. II, გვ. 194.

ამჟამად ჩანს, რომ ნოქალაქევის გალავანი კბილანებით, ანუ ქონგურებით, მთავრდებოდა, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო ბილიკს, უმისოდ ქონგურებს ვერ გამოიყენებდნენ. ასე რომ, სამივე კედელი აუცილებლად ბილიკებიანი ქონგურებით დამთავრდებოდა. ერთი ასეთი ბილიკიანი ქონგურებით დავამთავრეთ გალავნებიდან შუა ხაზი (ვიშკრის სიახლოვეს).

ამ ქონგურების დადგმა რეალურ საფუძველს ეყრდნობოდა. ექსპედიციის დასაწყისში, ვიშკრის ჩრდილოეთით მეორე (შუა) კედელს გვერდები ჩამოშლილი ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთ შემადგენელზე დარჩენილი იყო ქონგურისა და ქონგურებს შორისი ღიობის კვალი (ქონგურების კედლების სისქე 60—65 სმ, ქონგურების სიგანე 110—115 სმ, ქონგურებს შორის მანძილი — 60—65 სმ). ამ ნაშთებით ჩვენ ექვემოთხალად გავივით სამი ზომა, მაგრამ არ ვიცოდით სიმაღლე. სიმაღლის დასადგენად კი მოვიშველიეთ იმ ეპოქის ორი ძეგლი — გონიო და ანაკლია. მაგრამ ეს ძეგლები სხვა მასშტაბებისაა, ამიტომ მათთან ერთად მხედველობაში მივიღეთ კედლის პროპორციები და მათ შევეუფარდეთ საჩვენო ქონგურები³⁰ (ცდომილება არა გვეგონია 10—20 სმ-ზე მეტი იყოს).



სურ. 9. ნოქალაქევი. ვიშკართან აღდგენილი კიბე და გალავნები.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ გალავანს, მაშინ როდესაც იგი მარტო იყო, ჰქონდა საკუთარი ქონგურების მწკრივი და მათი თანმხლები საბრძოლო ბილიკიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც მის წინ აღმართეს ახალი კედელი, რადიკალურად

³⁰ ქონგურები პირველად აღვადგინეთ ათიოდე მეტრის სიგრძეზე. ვაიარა წლებმა. ბევრი სპეციალისტი ჩამოვიდა, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, ისე რუსეთიდან და უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან (ანტიკოსები, ბიზანტინოლოგები და სხვები). სპეციალისტებთან ყოველთვის ვქონდა საუბარი ქონგურების ფორმებზე და პროპორციებზე. მათ შიღეს ჩვენ მერ გაკეთებული. ამის შემდეგ ქონგურების რაოდენობა გაზარდეთ. მნახველისათვის ქონგურებთან დამთავრებული ციხე ბევრს ნიშნავს.

ლური ცვლილებები უნდა მომხდარიყო. აქ მაშინდელი გადაწყვეტის ორი ვარიანტი გვესახება. ერთი — თუ ორივე კედელი ქონგურებით იყო აღჭურვილი, მაშინ წინა, მინიმუმ ორი მეტრით დაბალი უნდა ყოფილიყო უკანაზე. მეორე — წინა კედელი ქონგურებით იყო აღჭურვილი, უკანა კი საბრძოლო ბილიკის ღონეზე მთავრდებოდა. ჩვენ მეორე ვარიანტი უფრო რეალურად გვესახება. რატომ? ქალაქი დიდი იყო, მეტრებიც მრავალრიცხოვანი. თავდასხმა და მოგერიება ხდებოდა აღმოსავლეთით, 200—300 მეტრის ფრონტით, ხოლო სამხრეთით, მთლიანად მდინარის გაყოლებაზე. მოზღვაებულ მეტრს დამხდურიც მრავალრიცხოვანი თუ ჰყავდა, ომი შესაძლოა დამცველთა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ამ მრავალრიცხოვან დამცველს მაღლა დასადგომი და ჩქარი პოზიციონირების ფართობი სჭირდებოდა. ნოქალაქევის გალაგებიდან დაცვა ხდებოდა მხოლოდ ზედა ხაზიდან. თვით კედლებში არ ყოფილა არავითარი საბრძოლო ხერხელები. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ წინა მთავრდებოდა ქონგურებით, უკანა — ეზოსკენ მდებარე გალავანი — კედლის საველი ბილიკის ღონეზე, ხოლო მათ შორის ფიცარნავი იქნებოდა გამართული. ასეთი ხერხით მიღებული საველი ნაწილის სიგანე 3,5 მეტრი გამოდის. ასეთი სიგანის საველზე, რომელიც რამდენიმე ასეულ მეტრზე იყო გადაჭიმული, ცხადია, დიდძალი მეომარი დაეტეოდა.


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ აქ ვიძლევით ორი ვარიანტი ალდგენის ზემომოყვანილ ვარიანტს (სურ. 7—8), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველ ვარიანტს გამოვრიცხავთ.

1976—1977 წლებში ჩატარებული სამუშაოები შევეამოწმეთ 1983 წელს აღმოჩენილი შიგნითკენ მიღებული კიბის საფეხურების მიხედვით. ალდგენის პროექტის შედგენისას ვისარგებლეთ არსებული საფეხურების ზომებით. ამ ზომებით ნახაზზე აღდგენილმა კიბემ მიაღწია სწორედ მეორე კედლის ქონგურების ბილიკამდე და დარჩა მცირე მონაკვეთი კიბის ბაქნისათვის. ფაქტიური მონაკვეთისა და ანალოგიების გამოყენებითაა მიღებული ალდგენის ის პროექტი, რომელიც აქვეა წარმოდგენილი (სურ. 9, ტაბ. VIII).

ახლა რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ძველი და ახალი ჰიშკრების მოწყობის საკითხს. თავდაპირველი ჰიშკრის სიგანე 4,25 მეტრია (სურ. 3). ასეთი განიერი ჰიშკარი ძალზე დიდი იყო, მისი დაცვა გაჭირდებოდა. როგორც ვიცით, ეს გარემოება მიუღიათ მხედველობაში და შემდგომი ორივე გვერდის ამოშენებით ჰიშკარი დაუეწირობებიათ. დავიწროებული კარის სიგანე (2,2 მეტრი) სრულიად საკმარისი იქნებოდა ბორბლიანი ტრანსპორტისათვის. ასეთ ჰიშკარს იყენებდნენ ორი გალავნის არსებობის მანძილზე, მაგრამ შემდგომი ვაჟაყქმეს. რას უნდა გამოეწვია ეს გაუქმება? დღეს ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. შეიძლება იყოს რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის მხოლოდ ერთი გვესახება უფრო მისაღებად: ესაა — ქალაქის რომელიღაც დიდი კატასტროფა. ვფიქრობთ, ეს ის კატასტროფაა, რომლის დროსაც დააქციეს კარიბჭე და ქალაქის დამცველი ერთ-ერთი ეგრი ჩაიშარხა მის კარში. როგორც ვიცით, კარიბჭე და მისი მიდამოები ისე იყო დანგრეული, რომ დაცვის სისტემის გადაგეგმვარება მოუხდებოდა. ეს ჰიშკარი საბოლოოდ ამოქოლეს და სხვაგან ახალი ჰიშკარი გაჭრეს.

დავიწროებული ჰიშკრის საბოლოოდ გაუქმება, მისი ამოქოლვა, ტექნიკურად ისეა შესრულებული, რომ ახლა მთლიან ფორმებში გარკვევა არ ხერხდება. როგორც ნახაზზედაც ნაჩვენებია გვაქვს, ამოქოლავთ კედელი ცო-

ტათი შიგნით დაუწყვათ, მეორე მხარე კი შევრილადა. ახლა გარედან ნიშასავეთ რომ არის, მისი ახსნა შეიძლება იმ მომენტში რაღაც ხელისშემშლელი მიზეზით. ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ხის კიშკარი, რომელიც და-




სურ. 10. ნოქალაქევი. გალენების რესტავრაციის პროექტი კიშკრის მიდამოებში (აქსონომეტრია).

ზიანებული თუ იყო და მის მოხსნას დატოვება ამჯობინეს. ხოლო ამ ამოქოლილ კიშკარზე გარედან მიშენებული კვადროვანი კოშკი როცა გამოწვეეს და დაანგრირეს (ალბათ, არაბებმა 736—738 წლებში), დაიწვა ხის კიშკარიც. ამ ხანძრის შედეგი არა მარტო კიშკრის შიგნით დანახშირებული ხის სართულშუა გადახურვის მიხედვით ჩანს, არამედ დაწითლებულ-დამსკდარი ქვის

კედლებით, გათხრისას კოშკის დანგრეულ კედლებზე იღო 15—20 სანტიმეტრის სისქის ნაცრიანი ფენა, ხოლო თვით კვადროვანი კედლები ისე იყო დაწითლებული, თითქოს ხანძარი ახლახან მომხდარიყო (ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ძალის ხანძარი უნდა ყოფილიყო, რომ კოშკის სამი მეტრის სისქის კედლები გაენგრია).

კიშკრის ზღურბლზე იყო დანახშირებული სქელი ფენა. ამ ფენიდან ამოღებული დამწვარი და შემდეგ დაქანებული რკინის ნივთების გულდასმითმა გასინჯვამ საინტერესო შედეგი გამოიღო. გაირკვა, რომ კიშკრის რკინის საკეტთან გვეკონდა საქმე. ეს კი, ჭერჭერობით, მგონი, პირველი შემთხვევაა საქართველოს სინამდვილეში (სურ. 6, ტაბ. XV—2).



სურ. 11. ნოქალაქევი. გალავნების რესტავრაციის პროექტი კიშკრის მიდამოებში (აქსონომეტრია).

რკინის ჭაჭვიანი საკეტი, რომელიც იქ გამოვლინდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დღევანდელ დონეზეა გადაწყვეტილი. დღეს სადარბაზოების, თუ ბინების კარები დაახლოებით იმავე ტექნიკით იყენდება, როგორც ეს ხლებოდა ეგრისის სამეფოში, დაახლოებით ამ 1500 წლის წინათ!

აქვე ვიძლევიტ ეგრისის სამეფოს დედაქალაქის პირველი კიშკრის საკეტის ნახაზს (სურ. 6) და ფოტოს (ტაბ. XV—2). ჩვენ ვეცადეთ აღმოჩენილი ნივთი ნახაზზე გვეჩვენებინა სამი მხრიდან და იქვე ვიძლევიტ კიშკრის ნახატს ამ საკეტით.

საკეტის მიხედვით კიშკრის ხის ფიტრები 12 სანტიმეტრამდე სისქისა ყოფილა. კიშკრის ერთ ფრთაში საკმაოდ მკვრივად ჩამაგრებული იყო ჭაჭვი. ხოლო მეორე ფრთაში — ჭაჭვის დამკერი.

ჯაჭვის ჩასამაგრებელი ბრტყელი რკინის ფირფიტაა (მისი სიგრძე 15,5 სანტიმეტრია, ხოლო სიგანე ერთ ბოლოში 12 სმ, მეორე ბოლოში კი 13,5 სმ, სისქე 0,5 სმ). იგი ოთხი რკინის ფეხით სქელ ხის კარში იყო ჩამაგრებული (ფეხის სიგრძე 11,5 სმ). კარის გარეთ მყოფს ადვილად რომ არ მოეხსნა საკეტო, ამიტომ ხეში გასაყრელი რკინის ფეხებიც საგანგებოდაა დამზადებული. ოსტატს ოთხივე რკინის ღერო ჩამოუსხამს ისე, რომ „ქული“ ხეში ყოფილა ჩამალული. შიგნითვე გამოშვერილი რკინის ღეროს წვეტიანი თავი მეორე რკინის სწორკუთხა ნაქერში გაუყრიათ და გადაულუნავთ, ზოგი — ერთ მხარეს, ზოგიც — ორივე მხარეს (ის, რომელიც ორკაპა იყო).




ასე დამაგრებულ საკეტს აქვს ორი კუთხოვანი ხვრელი. ამ ჩაჭრილებიდან ერთი საჭირო იყო ჯაჭვის ჩასამაგრებლად, ხოლო მეორე — გასაღების შესაყოფად. რკინის ფირფიტას შიგნით, ორ ხვრელს შორის, მოთავსებულია რკინის ღერო, რომელსაც სხვადასხვანაირი ბოლოები აქვს. მის შუა სქელ ნაწილში კი სამი ხვრელია. ერთ მთვანში წვრილი რკინაა გაყრილი, ხოლო ორი გამპოლ ხვრელს წარმოადგენს (ეს რკინის ღერო ორი მხრიდან ნაჩვენებია ნახაზზე მარჯვნივ, ზემოთ). ეს გამოკრილი ხვრელები საჭირო იყო გასაღების კბილანების მოსადებად. ღეროში გაყრილი წვრილი რკინა საკეტს ჯაჭვთან დააფიქსირებდა. თვით ეს რკინის ღერო ზამბარასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ზამბარა აღარ შემოგვრჩა (ის თხელი იყო და ჟანგი შექამდა), მაგრამ შესაძლოა მის დასამაგრებლად იყო განკუთვნილი ის წვრილი ხვრელები, რომლებიც თითოა ფირფიტის ბოლოებზე. ხის სქელ კარს, რკინის ფირფიტის ქვეშ, ძვირე ღრუ ექნებოდა, რათა რკინის ღეროს ემოძრავა გასაღების ბრუნვის შესაძამისად.

ჯაჭვის ერთი ბოლო დამაგრებული იყო კარის ცალ ფრთაზე. მეორე, თავისუფალ ბოლოს ჰიშკარის დაკეცივისას ჩაყოფდნენ ჰიშკარის მეორე ფრთაზე დამაგრებული ფირფიტის შიდა ჰრილში. ამ მომენტში, რკინის გასაღების ტრიალით, ჯაჭვის ბოლო მავრდებოდა (ჯაჭვის სიგრძე 50 სანტიმეტრია). ცხადია, ასე დაკეტილი ჰიშკარის გარედან გაღება შეუძლებელი იყო (მხოლოდ შემტკრევა შეიძლებოდა). ჰიშკარისთვის მეტი სიმტკიცის მისაცემად ურდულიც რქნებოდა გამოყენებული.

ახლა თუ დავუბრუნდებით ჰიშკარის ამოქოლის შემდეგ სამუშაოებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მის ზემოთ ორი კედელი გადაუყვანიათ, რათა დანჯრეული კარიბჭის „ჩატეხილი კბილი“ ამოეცოთ (სურ. 3, 7). ერთი კედელი დაშენეს უშუალოდ ჰიშკარს, მეორე კედლით კი შეერთდა პირველი გაღავნის ხაზი, რომლის შეწვევა გამოწვეული იყო კარიბჭის კოშკური შვერილით.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ ახალი ჰიშკარის გაქრის დროს უკვე არსებობდა პარალელურად მიმავალი ორი გაღავანი და აგებდნენ გარეთა, მესამეს, კვადროვან გაღავანს. ჰიშკარი გაუჭრიათ ძველის ჩრდილოეთით ათიოდე მეტრზე (მისი სიგანე 2,85 მ). გარე გაღავანი ამჟამად დაზიანებულია, მაგრამ გადასასვლელის თავდაპირველი ფორმების წარმოდგენა შეიძლება, ხოლო შიდა, პირველი გაღავნის ხაზიდან დარჩენილია ერთი მეტრი სიმაღლის კედელი, რომელსაც განგრევის კვალი აშკარად ეტყობა. ჩვენ ვავსინჯეთ ჰიშკარის დონის ქვემოთ ორი კედელი და აშკარად გამოჩნდა განგრევის კვალი (ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არავის ეგონოს ჰიშკარი კედლების თანადროული). ორივე გაღავანი უხეშად გამოუგრევიათ და შემდეგ

ნაპირები მოუპირკეთებიათ თლილი ქვით. გარე კედლის საპირე ქვეები ორივე მხარეს თაღის დასაწყისამდეა შერჩენილი. თაღი თუ რა მასალისაგან იყო, არ ჩანს, მაგრამ ქვედა ნაწილი ისე კაპიტალურადაა ამოყვანილი თლილი ქვით,



სურ. 12 ნოქალაქევი. ციტადელის სამხრეთის კედელი. კვადროვანი გალავნის დეტალები.

რომ ზემოთ ძნელი წარმოსადგენია სხვა მასალა. ხოლო რაც შეეხება ძველ კიშკარს, იქ სხვა წესითაა ნაგები. იმ კიშკარის გვერდები, განსხვავებით მეორე კიშკარისგან, სადაც ყოველ რიგში დიდი ზომის ორ-ორი ქვა დევს, ამოყვანილია პატარა თლილი ქვით, ხოლო თაღზე აგურია ნახმარი. თაღის ზემოთ მდებარე კედლის სიმძიმის შიშით აგურის თაღი ორრიგად გადაუყვანიათ. ასევე პატარა თლილი ქვით იყო ამოყვანილი კარიბჭის შეერილი კოშკური მასის წიბოები. ოსტატს ასეთი წიბური არა მარტო სიმტკიცისთვის სჭირდებოდა, არამედ სილამაზისთვისაც.

ქალაქის კიშკრების განხილვისას უნდა შევეხოთ სამდინარო კიშკარსაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ისეთ ქალაქს როგორც ციხეგოჯია, აუცილებლად უნდა ჰქონოდა სახმელეთო და სამდინარო კიშკრები.

ეგრისის მეფეთა რეზიდენციად ნოქალაქევის გადაქცევისთანავე ჩაფიქრებული იქნებოდა მისთვის ორი ჰიშკრის — სახმელეთო და სამდინარო ჰიშკრების აუცილებლობა. ქალაქს საერთოდ შეიძლება რამდენიმე ჰიშკარი ჰქონოდა, მაგრამ ისეთ განსხვავებულ ჰიშკრებს, როგორც აქ აღვნიშნეთ, მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავდა.

ციხეგოჯ-არქეოპოლისის ჰიშკარი აღმოსავლეთით, ყველაზე მარჯვე მხრიდან ჰქონია. ასევე, სამდინარო ჰიშკარი მდინარის გაყოლებზე ყველაზე მარჯვე ადგილასაა (სურ. 3, 13, ტაბ. II).

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ანტიკური ხანიდან მდინარე რიონი და მისი შენაკადები სანაოსნო იყო. მაშინდელი წყალუხვობის დროს მდ. ტეხურიც სანაოსნო იქნებოდა³¹. ცხადია, აქ იგულისხმება ბრტყელძირიანი დიდი ზომის ნაგების მოძრაობა. ვაჭარნი, თუ სხვა კეთილი სურვილებით ზღვით მოსულნი, მდინარეს ამოუყვებოდნენ. მაგრამ იმავე გზით მტერსაც შეეძლო ემოდრავა, ამიტომ ქალაქში სამდინარო შემოსასვლელს საგანგებო გადაწყვეტა ესაჭიროებოდა. ეტყობა, ამ ამოცანის სირთულე ძველ ეგვიპტელებს კარგად ესმოდათ და იგი იმ დროისათვის უდავოდ ბრწყინვალედ გადაუწყვეტიათ.

ამ საკითხთანაა დაკავშირებული ციხეგოჯის წყლით მომარაგების საკითხიც.

ქალაქის წყლით მომარაგების საკითხი ძველ ეგრისელებს კარგად ჰქონიათ გადაწყვეტილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ნოქალაქევის ტერიტორიაზე წყარო არ არის, ხოლო ქის გათხრა, ნიადაგის წყლების თავისებურების გამო, მხოლოდ აღმოსავლეთის მონაკვეთში შეიძლებოდა, ისიც მცირე დებიტით. ქალაქის რელიეფს თუ გავითვალისწინებთ, ჩრდილოეთის მხარე, ფერდობი და მთის წვერზე ციტადელი, ნამდვილად დღესაც და მაშინაც უწყლო იქნებოდა.

ჯერ ციხისა და შემდეგ ქალაქის აგება სწორედ ამ პუნქტში, ყოველგვარი სხვა პირობების გარდა, იმასაც ითვალისწინებდა, რომ ამ ადგილას იყო მდინარე. მთებიდან მომდინარე ტეხური ცივი და ანკარაა. იგი დასალევად ახლაც სასიამოვნოა.


მდინარის სასმელად გამოყენება უკვე გადაწყვეტილი ექნებოდათ ძვ. წ. III ს. დასაწყისში, როდესაც აქ ერისთავმა ქუჯიმ ციხის აგება განიზრახა. მაგრამ კონკრეტულად თუ როგორ ხდებოდა ციხიდან მდინარეზე ჩასვლა, ამაზე ვერაფერს ვიტყვით სათანადო მონაცემების უქონლობის გამო. მაშინდელ ციხეს, ალბათ, გალავანი ექნებოდა და მდინარისკენ გასასვლელიც.

მდინარე ქალაქს ორი მხრიდან უვლიდა. სამხრეთის მხარეს მდინარე გაშლილია და დასაცავად ძნელია. დასავლეთის მხარეს კი, იქ, სადაც მდინარის ქალაქოტი ვიწროვდება, ქალაქის ნაპირიც მაღალი და ფლატეა. სწორედ ეს „ყელია“ მისადგომად, ნავსადგურად შერჩეული. ამ ადგილას გაუკეთებიათ გვირაბი, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გაჭრილი, დანარჩენი კი ქვითაა ნაგები (სურ. 13).

³¹ ცნობების სიმწიროს გამო ადრეულ ხანაზე ვერ მივუთითებთ, მაგრამ XVII ს. რომ ტეხური სანაოსნო იყო, ამას პაეღე ალქაიელის აღწერიდანაც ვიგებთ, მასთან კითხულობთ: „არის ექვსი დიდი მდინარე, რომელზედაც დასცურავენ ხომალდები.“

პირველია მდინარე კოდორი, მეორე ლალიძგა, მესამე ენგური, მეოთხე ხობი, მეხუთე ტეხური, მეექვსე — ცხენისწყალი“ (თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 114).

აი, რას წერს ამის შესახებ ი. გრძელიშვილი, რომელმაც ნოქალაქევი გეოლოგიურად სპეციალურად შეისწავლა: „ეს მიწისქვეშა ნაგებობა მდინარის ნაპირიდან დაახლოებით სივრცის ორ მესამედზე მიჰყვება კირქვების ფენათა



სურ. 13. ნოქალაქევი. გვირაბი.

მიმართებას და გამოსავალთან კი თითქმის სწორი კუთხით სამხრეთისაკენ უხვევს. ამ შემთხვევაშიც ძველ მშენებლებს მიწისქვეშა სამუშაოების გასაადვილებლად გონივრულად აქვთ გამოყენებული არსებული ბუნებრივი პირობები. ჩანს, გვირაბის გაყვანამდე კირქვის ფენების მიმართების გასწვრივ აქ ყოფილა პატარა ხრამი, რომლის ნაპირებიც ჩამოუსწორებიათ და გამოუყენებიათ გვირაბის თავის საყრდენ კედლებად, ხოლო ტერასულ ნალექებში, რომლებიც ადგილი სათხრელია, გვირაბისათვის სასურველი მიმართულება მიუციათ და ფხვიერ გრუნტებში გაუმაგრებიათ როგორც კედლები, ისევე თალი⁴³².

გვირაბის ზედა ნაწილი ისეა მონგრეული, რომ იქ ბევრი რამის დადგენა ძნელდება, მაგრამ ძირითადის გაგება მაინც შესაძლებელია. აქ ქალაქის მხარე, კლდის სახით, ადგილზეა, ხოლო გარედან მოშენებული კედელი დანგრეულია და ჩანს მისი კვალი. გვირაბის ბოლოს, მდინარეში, კარი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ კარის გამოვლით შეძლებდნენ ქალაქში შესვლას. შიგნით, იქვე ახლოს იყო აუზი, სადაც მდინარის მხრიდან კედლის ქვეშ არსებული რამდენიმე ვიწრო ხერხლით წყალი შემოდის (კარიდან შემოსულნი გვერდით

³² ი. გრძელიშვილი, ნოქალაქევის ციხე-ქალაქის მშენებლობის გეოლოგიური პირობებისა და ტექნიკის ზოგიერთი საკითხი, — საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, № 5, 1948, გვ. 327—328.

ვაუვლიდნენ). ეს ხერელები ისეა განლაგებული, რომ, ჩანს, წყალი გამდინარე იყო, რის გამოც აუზში იგი მუდამ ახალი იქნებოდა³³. ქალაქი წყლით სწორედ ამ აუზიდან მარაგდებოდა (რადგან დახურული იყო გვირაბი, მტრის შიში არა ჰქონდათ).

მთელს საქართველოში ასეთი განიერი, მაღალი და ბრწყინვალედ ნაგები გვირაბი სხვა ძეგლზე არ არის (ტაბ. XVII—1). ესაა მაღალი დონის ინჟინრული ნაგებობა. სხვა მონაცემებით რომ არ გვექონდეს, ჩვენ სწორედ ეს მხარე გვირავსა და გვათქმევინებდა, რომ იგი არ არის მდინარიდან მხოლოდ წყლის ამოსატანად აგებული. გვირაბი მრავალ ქალაქს (უფლისციხე, თმოგვი, გრემი და სხვა) და ციხეს (ხერთვისი, ჭაქვინჯი, გორი, ხულუტი და სხვა) აქვს, მაგრამ ისინი თითქმის ერთი დანიშნულებისთვისაა გათვალისწინებული, ესაა ქალაქისა და სიმაგრის წყლით მომარაგება. ქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისისთვის კი ეს იყო მისი სახელისა და დიდების მათწყებელი კიშკარი; ზღვითა და მდინარით მოსული შინაური თუ უცხოელი, მიღებული ასეთ მაღალკამარის გასასვლელში, უდავოდ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მოექცეოდა.

ამ გვირაბს წყლით მომარაგების ფუნქციაც რომ ეკისრებოდა, ამას გვიდასტურებს VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელიც. მასთან ვკითხულობთ: „რადგან იქაურ მცხოვრებლებს სხვა წყალი არსაიდან არა აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა ზათ თავისუფლად შეძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“³⁴.

ნოქალაქევეში წყარო ახლაც არა ჩანს და არც წყალსადენის ნაშთს წაუწყდომივართ. წყალსადენის მიღების ფრაგმენტები ნაპოვნია, მაგრამ ისინი აბანოებისა უნდა იყოს.

გვირაბის საერთო სიგრძე ორმოც მეტრს აღემატება. იგი ზემოთ, მიწის დონეზე იწყება. კედლები ჯერ მდინარის პარალელურად მიემართება და შემდეგ მკვეთრად მარცხნივ უხვევს კლდოვანი ნაპირის გაყოლებაზე (სურ. 13). გვირაბს პირი მდინარის მიმართულებით აქვს, რაც განგებაა გაკეთებული. ასეთი მდებარეობისას გვირაბის პირს წყლის ტალღა ნაკლებად მოხვედებოდა. ამავე დროს, ქვემოდან ამოსული ნაგები მდინარის მოფარებულში უკეთ დამაგრდებოდნენ. აქვე იმასაც უნდა შევხვდეთ, რომ გვირაბში მდებარე აუზი ასეთი განლაგებისას წყლით უკეთ მომარაგდებოდა.

გვირაბს ქვეს კიბე ჰქონდა. ბევრი ქვა დაკარგულია, მაგრამ შუა მონაკვეთში თოთხმეტი საფეხური კარგად შენახული დაგვხვდა. საფეხურების აღდგენისას სწორედ კიბის დარჩენილი ნაწილის ზომებით ვისარგებლეთ (სურ. 13).

მშენებლებს გვირაბის განათების საკითხიც კარგად გადაუწყვეტიათ. როგორც ეტყობა, ზედა ნაწილის განათება კარიდან იგულისხმებოდა, ხოლო პირველი მოხვეულისა და ბოლომდე კამარიდან ანათებდნენ. კამარის ცენტრალურ ხაზზე განულაგებული პატარა (10×15 სმ) სწორკუთხა სარკმელი-ამბრაზურები. ადგილზე დაგვხვდა ორი ამბრაზურა. ბოლოსკენ მონგრეული კამარა როცა აღვადგინეთ, დავაყოლეთ ერთი ამბრაზურაც (ინტერვალი და ზომები დაეცავეთ).

³³ გვირაბის ბოლო წყლითაა დაფარული და მისი გადაგდება კედლის ნაშთის გამოსავლენად, ვაძნელდა. თბილისში და ფოთში, ჩვენ საქმოდ კომპეტენტურ ორგანიზაციებს ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ჩერკეზობით არაინ კისრულობს ამ სამუშაოს შესრულებას.

³⁴ პროკოპი კესარიელი, გვ. 188—189.

გვირაბის ზედა ნაწილი, მიწის დონეზე, გადაკეთებულია. გვირაბის კამარის მიმართულებას და კარს თუ დაეკვირდებით, მივხვდებით, რომ კამარა კიდევ ზემოთ მიემართებოდა. შემდეგ, რაღაც მიზეზით, ეს ბოლო მოარღვიეს და გადააკეთეს. კარი ქვემოთ ჩასწიეს და წინ მცირე სათავსი გააკეთეს. ამ სწორკუთხა სათავსის ორი კედელი თითქმის ძირამდეა დარღვეულა და თუ სად იყო კარი, არ ირკვევა (ეს სათავსი მცველთათვის იქნებოდა).

გვირაბის გარე შიდაშრიტების გათხრებისას ერთი საინტერესო დეტალი გამოვლინდა. გვირაბის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, გარედან მიწაში ჩაფლული იყო ერთი მოზრდილი ქვევარი. ეტყობა, იგი მეომართათვის წყლის მარაგისთვის იყო განკუთვნილი. გალენის სიახლოვეს ეს პირველი ქვევარი იყო, რომელიც ექსპედიციამ აღმოაჩინა. შემდეგში ასეთი ქვევარები გალავნების მთელ სიგრძეზე იქნა გამოვლენილი. ზოგან ქვევარი თითოა, ზოგან კი — ჯგუფად. ცხადია, მათი დანიშნულება იყო მეომრების წყლით სწრაფად, მარჯვედ მომარაგება.

გვირაბამდე ხუთიოდე მეტრზე სამხრეთით, მდინარისკენ, გალავანთან ახლოს მდგარა რაღაც შენობა. მისი დასავლეთის ნაწილი, ფერდობის ჩამოშლისას, გალავანთან ერთად დაღუპულა. დარჩენილია აღმოსავლეთის კედელი და შიდა გამყოფი კედლების ნაშთები. განამარა ორ-ორ კედელს შორის მანძილი ნახევარ მეტრს ცოტათი აღემატება. შენობის დანიშნულების დადგენა, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძნელია ეტყობა, ეს შენობა გვირაბთან იყო დაკავშირებული.

ტიშკებისა და გვირაბის საკითხების გარკვევის შემდეგ შეიძლება დავუზრუნდეთ ნაქალაქარზე მდებარე ნაგებობების განხილვას.

გათხრებმა ბოლო პერიოდში ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ცენტრალურ მონაკვეთებზე გამოავლინა რამდენიმე გალავნის ნაშთი. ეს ნაშთები 20—60 სანტიმეტრის სიმაღლისაა, ამიტომ არსად არც კიშკარი და არც კარია შერჩენილი. ეს უსახო ნაშთები მიგვივითებენ მხოლოდ იმაზე, რომ ეს კედლები, თავის დროზე, რაღაცას შემოფარგლავდა, მაგრამ რა ფორმით და რისთვის, არ ირკვევა (თითქოს ნოქალაქეუში მანამდე ცოტა გვეკონდა თავსატეხი!). ერთი რამ ცხადია — ქალაქი საუკუნეების განმავლობაში სახეს იცვლიდა. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ცხოვრება ყოველ მომენტში თავისას მოითხოვდა!

კერძოდ, ახლა შეიძლება ვისაუბროთ ქალაქის შიგნით, გალავნებთ გამოყოფილ თუ მეტი არა, სამ მონაკვეთზე მაინც. პირველია სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთი, მეორე მას დასავლეთით ესაზღვრება, ხოლო მესამე მეორე სასახლესა და კარიბჭის კოშკს შემოფარგლავდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველი კარიბჭის დანგრევის შემდეგ იგი აღარ აღდგენიათ (აღბათ იგი ისე იყო დანგრეული, რომ მისი აღდგენა აღარც ღირდა). ქალაქის მესვეურებს განუზრახავთ გამაგრების ახალი სისტემის შექმნა, ამიტომ კიშკარი ცოტათი ზემოთ გაჭრეს და ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთსაც სხვა სახე მისცეს. V საუკუნის ბოლოს, თუ VI ს-ის დასაწყისში მომხდარმა ტრაგედიამ შესაძლოა იქვე მდგარი მეფეთა პირველი სასახლეც შეიწირა. ყოველ შემთხვევაში, იმავე ეპოქაში, პირველ მეოთხედში თუ არა პირველ ოთხ ათეულ წელში მაინც, შენდება მეორე სასახლე ცენტრალურ მონაკვეთში.

ახლა, თუ რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა თითოეულ გალავნით შემოკავებას. ამის მტკიცება შეიძლება ზემოაღნიშნული სამიდან მხოლოდ ერთ

იალავანზე. ესაა ახლად შექმნილი სამეფო ცენტრის შემოფარგვლა. მეორე სასახლე და ახალი ბაზილიკა იმყოფებოდა უშუალოდ მეფის განკარგულებაში. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, მეფეს ეშინოდა არა მარტო გარეშე მტრისა, არამედ საკუთარი ქვეშევრდომისაც, ამიტომ საჭირო იყო მათგან დაცვა. ამის გამო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ანტიკურ თუ ფეოდალურ ხანაში, ქალაქიდან გამოყოფილია ჭიუხერენის სამყოფო.

ორი დანარჩენი გალავნით შემოფარგლული მონაკვეთი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფართობზეა. პირველი მათგანი, აღმოსავლეთისა, შემოფარგლულია სამი მხრიდან, მეოთხე იყო თუ არა ჭერ არ ჩანს (სურ. 1—ბ). ამ მონაკვეთის ჩრდილო კედელი გადადის პირველი კარიბჭის ნანგრევებზე, შემდეგ უხვევს სამხრეთით და ებჯინება პირველი სასახლის დასავლეთის კედელს და მეორე კუთხიდან გრძელდება. აშკარად ჩანს, რომ სასახლის შენობაზე გვიანაა ეს კედელი მიდგმული (წყობაც განსხვავებულია). სასახლე ამ პერიოდში დანგრეული იყო და შეიძლება გალავანში ჩართეს მისი კედლის ნაშთი, ან შენობამ თუ გააგრძელა ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, იგი უკვე ქალაქის ცენტრი არ ყოფილა (ყოფილი სასახლის შენობის გამოყენება მრავალი მიზნისათვის შეიძლებოდა). მესამე კედელი სასახლიდან ხუთიორე მეტრითაა დაცილებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ შემოკავებულ ნაწილსა და ქალაქის გალავანს შორის მებრძოლთა სამობრძოლ ტალანია დატოვებული.

ამ გალავანზე დასავლეთით მიკრული მესამე გალავნის დანიშნულებაც არ ჩანს თუ რისთვის იყო. ტერიტორიულად მის ფარგლებში ხვდებოდა სამხრეთის ერთადერთი კოშკი, მაგრამ მათი კავშირი არ დგინდება.

ნაქალაქარის სხვადასხვა ადგილას გამოვლენილმა კედლების ნაწილებმა, არაა გამორიცხული, რომ ახალი შემოზღუდვები გამოაყენინოს.

ახლა, სანამ განხილულ ორ გალავანს ზემოთ ავეყვებოდეთ, უკეთესია ქალაქის აღმოსავლეთის ქვედა მონაკვეთზე საუბარი მოვითავოთ. ამ მონაკვეთში ფაქტიურად განსახილველი დავგრჩა გარე მესამე კვადროვანი გალავანი. გარე კვადროვანი გალავანი თავისი კოშკით, როგორც აღვნიშნეთ, გათხრებამდე თითქმის არ ჩანდა. იგი 5—8 მეტრის სიმაღლეზე ნანგრევებით იყო დაფარული. ამას ემატებოდა გაუვალი ტყე ჭაგნარით. ქალაქის აღმოსავლეთის მონაკვეთი გარედან, კვადროვანი გალავნის ჩათვლით, ათიორე წელი ითხრებოდა და სულ მცირე მონაკვეთი დარჩა. საბოლოოდ ჭერ კიდევ არაა დამთავრებული; აქა-იქ კიდევ აკლია გათხრა და გაწმენდა.

ქალაქის დაცვის გასამაგრებლად მესამე კედლის დამატება აშკარად შედეგია მესვეურთა გამოცდილებისა. ეტყობა, ორმა კედელმა ამ მონაკვეთში მტრის შემოტევას ერთხელ თუ რამდენიმეჯერ ვერ გაუძლო. ამიტომაც გადაუწყვეტიათ უფრო მტკიცე კედლის აგება და ამ მიზნით კოლოსალური სამუშაოები ჩაუტარებიათ³⁵. ამ კედლის გეგმა და მშენებლობა შესრულებულია დიდი

³⁵ ამ კვადროვანი გალავნის სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება, მისი სისქე ყველგან 2.5 მეტრია. კედლის სიმაღლეს საშუალოდ 8 მეტრს თუ ვეღობთ, მაშინ შესრულებული იქნება თითქმის 20.000 კუბმეტრი ქვის სამუშაო (ამას თუ დაეუმატებთ მიწისქვეშა საძირკვეს, რომლის სიღრმე სამ მეტრს აღემატება, მეტად დიდ ციფრს მივიღებთ). ეს რაც შეეხება კუბატურას. მაგრამ არანაკლებ შთაბეჭდილება თლილი ქვის ფართი. როგორც ვიცით, კედელი ორ მხარეს შემოსილია დიდი ზომის თლილი ქვის კვადრებით. კედელს იმავე ზომეში თუ ვიანგარიშებთ, ფსალფხისათვის მივიღებთ 1600 კვადრატულ მეტრს. ამას თუ დაეუმატებთ ამ კედელში ჩართული კოშკების შემოსვას, ფაქტი ნამდვილად ჩაგვაფრქვებს და ეგრისის სამეფოს ძლიერებას იკვირებანებს გახდის!

გამოცდილების, მაღალი გემონების ფორტიფიკატორის მიერ. მის ავტორს კარგად განუსაზღვრავს ქალაქის მდებარეობა, რელიეფის თავისებურება და ისე დაუგეგმავს ახალი კედლის აღმართვა (სურ. 1).

უპირველეს ყოვლისა, გადასაწყვეტი იყო ქალაქის ქვედა ნაწილის უკეთ დაცვა. ამ სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთს, როგორც მოსალოდნელი იყო, მტერი სხვა ადგილებზე მეტი ჰყავდა. ამიტომაც მას საგანგებო გამაგრება სჭირდებოდა. ასეთ საგანგებო გამაგრებამ ჩაუთვლიათ ახალი გალავნის აგება კუთხის ორივე მხარეს, ყველაზე საშიშ მონაკვეთზე. ეს ახალი გალავანი თავდაპირველად გალავანს ექვს მეტრამდეა დაცილებული და მის პარალელურად მიემართება.

მესამე კედელი არ არის ისეთი მარტივი, სწორხაზოვანი, როგორც პირველი და მეორე გალავანია. აქ არა მარტო აგების, ფორტიფიკაციის, მაღალი დონე ჩანს, არამედ მისი ამგები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებაც³⁶.

როგორც აღრე აღვნიშნეთ, კვადროვანი გალავანი სამხრეთით იწყება, კუთხიდან დაახლოებით ორმოცდაათ მეტრზე, მერე უხვევს აღმოსავლეთის მხარეს და მიემართება ჩრდილოეთით მთის აღმართის დასაწყისამდე. ამ ხაზის საერთო სიგრძე 200 მეტრს აღემატება. ამ ადგილიდან ძლიერი აღმართი იწყება და მტერს შექანისმებით შეტევა აღარ შეეძლო. ეს ბუნებრივი პირობები კარგად გაუთვალისწინებია შვენებელს და ამიტომაც კედელი აღარ გაუგრძელებია (ტაბ. VI).

ქალაქის გალავნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეები ერთი სისტემითაა გადაწყვეტილი. ფაქტიურად, ეს ახალი სქელი და მაღალი კედელი, ქალაქის სუსტ ადგილზე, ფარის როლს ასრულებდა. ეს ფარი, ასეთი მტკიცე და მაღალი კედელი, წამდელიად, საიმედოდ იქნებოდა, მაგრამ, ცხადია, არა განუსაზღვრელად. არაბთა სარდლის მურეანის უთვალავ ჯარს და ისიც ყოველგვარი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილს, მან, ალბათ, ვეღარ გაუძლო და დაეცა (არაა გამოორიცხული, რომ ქალაქის დამცველები გაეტეხა ხანგრძლივ ალყას).

ქალაქის ვაკე კუთხის დაცვა კარგად, მოფიქრებულადაა გადაწყვეტილი. ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ დაცვის გააზრებაში ჩანს ამგების დიდი გამოცდილება³⁷.

³⁶ ეს კვადროვანი კედელი მდინარის ნაპირიდან ციტადელის ჩრდილო ბოლომდე გრედდება და როგორც აღვნიშნეთ, კლომეტრზე მეტი სიგრძისაა. კედლის კუბატურა და ფასადების ფართი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ამასთან ერთად, ე. წ. შავი საშუალო — ქვის კარიერის გამართვა — ხომ მხედველობაშია მისაღები. ქვის გამოტანა-მოზიდვა, გათლა, დაწყობა რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე, იმავე საშუაოებში შედის კირის გამოწვა, ქვიშის მოზიდვა და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ. ასეთი კოლოსალური საშუაოების ჩატარება მხოლოდ ძლიერ ქვეყანას შეეძლო.

³⁷ აქ შეიძლება გაიხსენოთ მცხეთაში ნაპოვნი ბერძნულწარწერიანი ქვა, რომელიც ეკუთვნოდა ავრელი აქოლისს, მხატვართუხუცესსა და ხუროთმოძღვარს. გველევართა ერთობლივი აზრით, ავრელი უნდა ყოფილიყო მცხეთის მთავარი ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი. (ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, წ. 1, თბ., 1963, გვ. 134—137). IV ს. და უფრო აღრეც, თუ იბერიის დედაქალაქს, მცხეთას ჰყავდა მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი, დასაშვებია, რომ ეგრისის სამეფოს დედაქალაქსაც ჰყოლოდა იგივე თანამდებობის პირი. თავისთავად ცხადია, ასეთი პირი გამოცდილი სპეციალისტი იქნებოდა.

ვათრებით დადგინდა პირველი და მეორე გალაენის სხვადასხვა დროის ჰიშკარები, მაგრამ დიდხანს უცნობი იყო მესამე, გარე კვადროვანი გალაენის ჰიშკარი. საქმე იმაში იყო, რომ მეორე გალაენის გარღვეული ჰიშკარი ბოლო დრომდე მოჭმელებდა. ახალი ხიდის აგებამდე (1966 წწ.) ამ გარღვეულ ჰიშკარში ვადიოდა სენაკიდან მარტვილისკენ მიმავალი გზატკეცილი.

როგორც ეტყობა, ამ გზის მშენებლობის დროს ჰიშკარის წინ კვადროვანი კედელი დადაბლეს და ზედ გადაატარეს მოხრეშილი გზა. ახალი მასალის შეშოსვლის შემდეგ მასზე დაასხეს ასფალტი. ამ გზით ექსპედიციაც სარგებლობდა, რადგან სხვა გზა ნაქალაქარის ტერიტორიაზე არ შედიოდა. არსებული ჰიშკარის წინ, რადგან კვადროვანი კედელი არ ჩანდა, საჭირო შეიქნა მისი აბრისის დადგენა. მთლიანად გზის მოშლას მოვერიდეთ და მხოლოდ სამხრეთის ხაზი, დაახლოებით 30—40 სანტიმეტრის სიგანით, ვავაშიშველეთ. გამოჩნდა კუტი კარის ნაშთი. რადგან მის მოპირდაპირე კედელში ასეთივე კარი იყო და აგრეთვე მდინარისკენ მდებარე კვადროვანი კედლის მეორე შვერილსაც იმავე ადგილას კუტი კარი ჰქონია, ჩვენ იგი დავიტანეთ ნახაზზე და ასევე გამოვაქვეყნეთ პირველ კრებულში³⁸ (სურ. 7), მაგრამ სინამდვილეში უფრო რთულ გადაწყვეტასთან გვექონია საქმე.

მეორე ჰიშკარის მთლიანად აღდგენასთან დაკავშირებით, გადაწყვეტიტეთ მასი დაცვა თანამედროვე განიერი და მაღალი ტრანსპორტისაგან და მდინარის ნაპირის გასწვრივ შესასვლელი გზა ვავიყვანეთ. გზის აქედან გადატანამ საშუალება მოგვცა აგვეყარა მოასფალტებული გზა, რათა მთლიანად გავგეხსნა კვადროვანი კედლის კუთხის ორივე ხაზი. ასფალტის აყრამ სრულიად ახალი სურათი წარმოგვიდგინა. აქ აღმოჩნდა ჰიშკარი, რომელმაც ბევრ რამეში შეიტანა სიცხადე (სურ. 3).

როგორც გარკვეა, აქ ადრეულ გადაკეთებასთან გვექონია საქმე. თავდაპირველად დაწყებული კუტი კარი გადაუკეთებიათ და კედლის ჩრდილო მხარეზე ჰიშკარი გაუქრათ. ჩვენ ადრე უკვე ვნახეთ კედლის შიდა ხაზის მცირედ გახსნის დროს ამოქოლილი კუტი კარის შიდა ხაზი. ახლა კი კედლის სრულმა გაწმენდამ ორი სამშენებლო ფენა გამოავლინა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ორივე ჰიშკარი (მეორე და მესამე პერიოდების კედლებში) ერთი ოსტატის მიერ ერთი სისტემითაა აგებული და მათ სიგანეშიც 2—3 სანტიმეტრია განსხვავება (საშუალოდ ორივე 285 სანტიმეტრის სიგანისაა), თანაც პირველი გალაენის ჰიშკარს წირთხლებზე ე. წ. ნაოთხალი არა აქვს. აქ კი, ორივეგან, მართალია, სხვადასხვა ზომისა, მაგრამ ნაოთხალებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივეგან ორფრთიანი კარები ჩანს. პირველი მათგანი, ე. ი. მეორე გალაენის ჰიშკარში, კარები რკინისა ყოფილა, რადგან იქ ოთხკუთხა რკინის ბუდე, ზედ დაუანჯული რკინისავე კარის ქუსლით, ვიპოვეთ და მუზეუმშია დაცული. რაც შეეხება საურდულეს, პირველს შეშორჩენილი აქვს, მაგრამ მეორის კედელი მხოლოდ ათიოდე სანტიმეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი და ცხადია, საურდულეც არ შერჩებოდა (ტაბ. XIII—1).

ჰიშკარამდე არსებული მცირე კარი რომ ამოქოლილია, ეს გასაკვირი არ არის, რადგან ციხის აღმოსავლეთის ხაზზე განლაგებული სამი კარიდან ორი ამოქოლილი დაგვხვდა (ერთი ასეთი კარია სამხრეთით მდებარე შვერილის ჩრდილო კარი, ხოლო მეორე — ჰიშკარის ჩრდილოეთით, ჩიხის ბოლოს მდებარე).

³⁸ ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, გვ. 96.

როგორც ეტყობა, ამდენი კარის დაცვა გაუჭირდათ და ისინი ამოქოლეს, ასევე ამოქოლით აქ მდებარე მეორე კარიც, მაგრამ მოქმედად დაუტოვეზიათ ტრშკრის მოპირდაპირედ, სამხრეთით მდებარე მცირე კარი (ტაბ. XI:1—1).

ახლა, რაც შეეხება ტრშკრების განლაგებას, — ისინი ხუთიოდე მეტრითაა ერთმანეთისგან დაცილებული, მაგრამ აქ მთავარია მათი ჟრთოერთიმიწარტება. ტრშკრები ერთმანეთისადმი პერპენდიკულარულადაა მიმართული. ასეთი გადაწყვეტა მისი ავტორის, ფორტიფიკატორის, გამოცდილებაზე და გამჭირახობაზე მეტყველებს.

პირველ ტრშკართან გარედან მომდგარ მტერს, კუთხით განლაგებული კედლების გამო, ორი მხრიდან ურტყამდნენ. მიუხედავად ამისა, მტერი თუ შეანვრევედა ტრშკარს, მას დაუშენდნენ ირგვლივ მდებარე ოთხი კედლიდან. მხოლოდ ამ წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ მტერი მიალწევედა მეორე ტრშკარს, რომლის რკინის კარების გარღვევა თავისთავად ძნელი იყო და მას ემატებოდა დარტყმა მინიმუმ სამი კედლიდან. მტერს აქ მოუხდებოდა მკვეთრი ოთხმოცდაათგრადუსიანი კუთხის გაკეთება, რაც თავისთავად ბრძოლების მსვლელობისას საკმაოდ ძნელი იყო. ბოლოს, თუ მტერი რკინის ტრშკარსაც გაანგრევედა, ქალაქი დაცემულად უნდა ჩათვლიყო.

მესამე გარე ტრშკრის აღმოჩენამდე, ექსპედიციას მიაჩნდა, რომ ტრშკარი თუ უნდა ყოფილიყო სადმე, იგი იქნებოდა მდინარის ნაპირზე, იმავე კვადროვან გალავანში. საქმე იმაში გახლდათ, რომ ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც კედელი საძირკვლიანად ამოგდებული იყო ახალი ხიდის მშენებლობის დროს (1966 წ.). ამასთან, იქვე ახლოს იყო ნაპოვნი ტრშკრის წიროხლის ერთი კვა (სურ. 12-ბ). მეორე ისეთივე ქვა, მაგრამ 2—3 სანტიმეტრით განიერი, ეპოვნეთ ამ ახალი ტრშკრის მიდამოებში. იგი გადატანილი იყო ამ ადგილიდან, სხვა კვადროვან ქვებთან ერთად. გაშლილ ადგილზე, ქარ კიდევ ათიოდე წლის წინათ (როცა ეს ადგილები გაიწმინდა, კვადროვანი კედლის ქვები გაშლილ ადგილას იპიტომ გადაგვექონდა, რომ რესტავრატორებს შერჩევის საშუალება ქონოდათ).

ამ ფაქტიური მასალიდან გამომდინარე, ჩვენ ვვარაუდობდით კვადროვან კედელში მეორე ტრშკრის არსებობას მდინარის მხარეს (იგი მაშინ სავარაუდოდ დავიტანეთ ქალაქის გენგეგმაზე).

არქეოლოგის ტრშკრების შესახებ ცნობებს ვეაწედის VI ს. შუა ხანების ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. იგი წერს, რომ არქეოლოგის — „ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისაკენ, რომ გადის; ის, მართალია, მიუწვდომელი არაა, მაგრამ, მისგენ რომ აღიხარ დაბლობის მხრით, ის ადგილი სწორი არ არის. მეორე კარი კი ციყბო ადგილას გადის და ის ძალიან ძნელი მისასვლელია: ამ კარის წინ ადგილი ბუჩქნარიათა კარგა დიდ მანძილზე“³⁹. ამ აღწერის ზუსტი მისადაგება დღევანდელი არქეოლოგისათვის საკმაოდ ძნელია, ძეგლი დაზიანებული და მრავალჯერ გადაკეთებულია.

პროკოპი კესარიელის დროს ნოქალაქევეს უკვე ქონია მესამე, გარე კვადროვანი გალავანი. ამ ხანზე, როგორც აღწერეთ, ერთი ტრშკარი ზემოთაა, მტორე კი, სავარაუდოდ, ქვემოთ, მდინარის მხარეს.

ვარაუდო მდინარისპირა ტრშკრისა ჩვენ ადრე გამოვტყვით და აქვე გავოშეორებთ, მაგრამ იმ ეპოქაში სხვა ვარიანტი ყოფილა. 1987 წ. სამხრეთით მდგარი ერთადერთი კოშკის გარე მხარე გავწმინდეთ სამხრეთით მიმდებარე

გალავანთან ერთად. გამოჩნდა აქ მდგარი პირველი კოშკის თუ სწორკუთხა შევრილის ძირი. ეს კოშკი თუ გალავნის სწორკუთხა შევრილი, კედლის სისქით (155—160 სმ.) და წყობით, ძალიან გავს ქალაქის პირველ გალავანს, რაც თავისთავად მათ თანადროულობაზე მიუთითებს. ამ კედელში გამოვლინდა, ჭიშკრის ზღურბლის მცირე ნიუანსით, ისეთივე თლილი ქვა (სურ. 2. ტაბ. XIII—2), რომელიც ადრე ვნახეთ აღმოსავლეთით მდებარე პირველი კედლის ჭიშკარში (მართალია, ამას, პირველის მსგავსად, კარის ბუდეები არა აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს).

კოშკი, ჭიშკართან ერთად, მტერს დაუნგრევიდა, მის აღდგენას ახლის აგება ურჩევიათ. ახალი კოშკი დანგრეულ ძველ კოშკში შიგ ჩაუდგამთ. კოშკის დანგრეული კედლები და ჭიშკრის ნაშთი ახალი კოშკის გარეთ დარჩენილა. საუკუნეების განმავლობაში იგი ნაწილობრივ მიწას დაუფარავს. ამ კოშკს შემდეგაც განუცლია არაერთი გადაკეთება, ჭიშკრის ნაშთი კი დღემდე დარჩენილა. ზიურილი მიწისაგან გაწმენდის შემდეგ ჭიშკრის ზღურბლი ახალივით გამოიყურება.

ამ ნაშთის აღმოჩენის შემდეგ პროკოპი კესარიელის მიერ კარების აღწერის პასუხის კიდევ ერთი ვარიანტი გაჩნდა. ის რომ წერს: „ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისაკენ, რომ გადის; ის, მართალია, მიუწვდომელი არაა, მაგრამ, მისკენ რომ აღიხარ დაბლობის მხრით, ის ადგილი სწორი არ არის“ — ეს ზუნდოვანი აღწერა ამ ჭიშკარს უფრო ესადაგება, ვიდრე აღმოსავლეთის ცენტრში მდებარეს, მაგრამ გამორიცხული არც ის არის.

პროკოპის ზემომოყვანილი მონათხრობის გაგრძელებას კი ახსნა უფრო ძნელად ეძებნება. იქ ვკითხულობთ: „მეორე კარი კი ციცაბო ადგილას გადის და ის ძალიან ძნელი მისასვლელია: ამ კარის წინ ადგილი ბუჩქნარიანია კარგად დიდ მანძილზე“. პროკოპის „კარში“ თუ ჭიშკარი (კარიბჭე) იგულისხმება, მაშინ ასეთი ჭიშკარი ნოქალაქეებს ნამდვილად არ გააჩნია. ხოლო თუ „კარში“ სატრანსპორტო გასასვლელი კი არ იგულისხმება, არამედ ჩვეულებრივი კარი. (შხოლოდ ადამიანის გასასვლელი), მაშინ მის აღწერილს პასუხი მოეძებნება. ასეთი კარი, ციცაბო და ძნელად მისადგომ ადგილზე, მართლაც, არის. იგი მდებარეობს კვადროვანი გალავნის იმ კედელში, რომელიც ზემოთაა, აღმაჰიმავეალი გალავნის იმ პერპენდიკულარულ ხაზში, რომელიც გენგეგმის № 22: კვადრატშია.

ახლა დავუბრუნდეთ კვადროვანი გალავნის განხილვას.

კვადროვანი გალავნის ხაზი ძველ გალავანს ექვსი მეტრითაა დაცილებული. აღმოსვლეთის ხაზზე, იქ, სადაც ორი კოშკია ჩართული, ათიოდ მეტრი სიგანის შევრილი კეთდება. ასეთი გადაწყვეტით ახალი კედლის ავტორმა დაცვისათვის ორი დიდი საქმე გააკეთა: პირველი — კუთხოვანი შევრელებით დაცვა გააძლიერა, შევრელებს შორის გალავანთან მისულ მტერს ორი მხრიდან ურტყამდნენ, ამიტომ მტრის შეტევის ძალა მკვეთრად სუსტდებოდა. მეორე — კოშკი აუცილებლად, თუ მეტი არა ექვსი-შვიდი მეტრით მაინც, უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გარე გალავანი. ეს საჭირო იყო კოშკების დაცვის სისტემაში ჩართვისათვის. ეს კოშკები გალავანზე რამდენიმე მეტრით მაღლები უნდა ყოფილიყვნენ, კოშკიდან სროლისას წინა ხაზზე განლაგებული მეომრები რომ არ დაზიანებულიყვნენ. თუ მათ შორის სიმაღლეში განსხვავება არ იყო, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ კოშკები არ იყო გათვალისწინებული დაცვისათვის. ასეთი რამ კი ფორტიფიკაციის ისტორიამ არ იცის. კოშკის და-

წინშეულება, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვად, მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ კოშკს, დაცვასთან ერთად, ხშირად იყენებდნენ საცხოვრებლადაც, თუ სხვა დანიშნულებებისათვის, მაგრამ უპირველესი დანიშნულება მაინც დაცვა იყო.

ამ გალავანში ჩართული ორივე კოშკის ნაშთი არაჩვეულებრივად მკვრივია და მტკიცედაა ნაგები. აღმოსავლეთის ამ ხაზზე ძველ ჭიშკართან მდგარი კოშკი ნაწილობრივ ორი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი (სურ. 5), მისი გეგმა მოგონივრებულა სწორკუთხედიან (შიდა ზომები: 6,10 X 4,30 მ. კედლის სისქე 3 მ). კოშკის კედელი და იმავე ოსტატის მიერ აგებული გალავანი, პირველი და მეორე გალავნებისაგან განსხვავებით, შემოსვის სისტემაზეა აგებული. ეს ტექნიკა თავისთავად გულისხმობს, რომ მშენებლობისას ჭერ აიგება მოპირკეთების თლილი ქვები და შემდეგ მათ შორის სივრცე სხვადასხვა ქვით ამოყობება და დულაბით შეივსება. ასეთი ტექნიკით ეს წყობა ბრწყინვალედაა შესრულებული. წყობა და დულაბიც მკვრივია. მიუხედავად ამისა, როგორც ეტყობა, საოცარი ძალის მქონე მტერმა გალავანიც და კოშკიც დაანგრია! და არა მარტო დაანგრია, არამედ ისე გამოწვა, რომ იგი დაიარღვა და დარჩენილი კედლების ზემოთ ჩვენ 20—30 სანტიმეტრის სისქის ნაცარი და ნახშირი დაგვხვდა. მისი გადატლის შემდეგ კი თვალს განსაცვიფრებელი სურათი წარმოუდგა; კოშკის შემოსვის მოთეთრო ქვა ხანძრისაგან დამწვარი, დაწითლებული და დამსკდარი იყო⁴⁰.

კოშკისაგან გადაჩენილია პირველი სართული მთლიანად და მეორე სართულის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე. პირველი სართულის კედლები მთლიანადაა შერჩენილი და არსადაა კარი ან საჩუქმელი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში აგულისხმება სართულიდან იატაკში ჩასასვლელის არსებობა. მართლაც, ამ სწორკუთხა ხერგის ფრაგმენტი ვადარჩენილი სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. აქედან, ალბათ, ხის კიბე იქნებოდა ჩასასვლელად. თუ რისთვის იყო გამოყენებული ეს ბნელი სართული, ძნელი სათქმელია. იგი შეიძლება დღეიერი ყოფილიყო, ან დამხმარე სათავსი. ჩვენ გათხრით ჩავედით ცოკოლის სართულშიც, მაგრამ იატაკი გამოკვეთილად აქაც არ გვიჩანავს. თუ მიწის ტყეპნილ, მკვრივ ფენას მხედველობაში არ მივიღებთ, იატაკის სხვა მასალა არ ყოფილა.

იქვე, აღნიშნული მიწის იატაკზე იღო ბეტონის მოზრდილი ორი ფრაგმენტი, რომელიც ჩანგრეული კამარის ნაწილი უნდა იყოს. თუ ორივე ფრაგმენტს ერთმანეთს მივადგამთ, იგი აღდგება როგორც კამარა. მისი კვეთი მოისრაო. ასეთ თაღსა და კამარას აღრეშუასაუქუნეებში არ იყენებდნენ. თაღისა და კამარის შესრულ ფორმას ვხვდებით მხოლოდ VIII—IX საუკუნეებიდან⁴¹. თუ, მართლაც, ამ სათავსის კამარაა, იგი VIII ს. 30-იან წლებში არაბთა სარდლის მურვანის მიერ ქალაქის დანგრევის შემდეგი პერიოდისა უნდა იყოს. ე. ი. იგი თავდაპირველი კი არ არის, არამედ რომელიღაც განახლების დროინდელია.

მიუხედავად იმისა, რომ კოშკის ზედა სართულები არ ვადარჩენილა, ჩვენ უიციოდ, რომ მათ კამაროვანი გადახურვა ჰქონიათ. ამას ადასტურებს კამარის

⁴⁰ ეს კედელი ჩვენ გათხრით 1975 წელს, ნახანძრავი მას ახლაც კარგად ეტყობა (ქვე-ში, როგორც შევნიშო, ისე ვარეთ, ვაწითლებულია).

⁴¹ პ. ზაქარაია, VIII—IX საუკუნეების ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XVI, № 5, 1955, გვ. 407—414.

ის ქვეები, რომლებიც ჩვენ მიერ გათხრისას ამოღებულ იქნა ამ კოშკიდან და ბლომად იყო მის გარეთაც კვადროვანი გალავნის შიგნით⁴².

იპ რამდენიმე კოშკიდან, რომლებიც ამ ხაზზე მდინარიდან მთის წვერამდეა განლაგებული, მხოლოდ ერთგანაა შერჩენილი მეორე სართულის ნაწილი. ეს კოშკი კი მდებარეობს კვადროვანი გალავნის ჩრდილოეთის ბოლოს, ციტადელის პირდაპირ. იმ კოშკს ჩვენ თავის დროზე განვიხილავთ, მაგრამ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც ახლა გვჭირდება.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის ამ კოშკს პირველი სართული კარგად აქვს შენახული, ხოლო მეორე სართულის დასავლეთისა და სამხრეთის კედელი ერთ მეტრამდეა დაჩენილი (სურ. 19). სწორედ ამ ფრაგმენტებიდან დასავლეთის კედელზე შერჩენილია საკმაოდ კობტა ორი კრონშტეინი (ტაბ. XX—1). ეს კრონშტეინები ნაპირებშია. როგორც ეტყობა, ამ კრონშტეინებზე მთავარი კოჭები იყო გადებული, ხოლო მათზე საწინააღმდეგო მიმართულებით უფრო სომეხო კოჭები იქნებოდა. რადგან ამ კოშკის გაწმენდის დროს შიგნით, ბოლომდე იყო კამარის ქვეები, ცხადია, მეორე და თუ კიდევ იყო სართულები, ისინიც გადახურული იქნებოდა კამარებით, ამას მოითხოვდა კოშკის მდგრადობა.

უკეთ შერჩენილი ამ კოშკის ანალოგიას თუ გამოვიყენებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭიშკართან მდებარე განსახილველ კოშკსაც პირველ სართულზე კოჭოვანი გადახურვა ჰქონია. ასეთივე კონსტრუქცია შეიძლება მეორე სართულზე იყო, ხოლო მესამე აუცილებლად კამაროვანი იქნებოდა. ეს ორი დანიშნულებით კეთდებოდა: ერთი კონსტრუქციული მოსაზრებით — შემკვრელად, ხოლო მეორე — ბანის უფრო მყარად მოსაწყობად (სურ. 5).

ახლა, რაც შეეხება გალავნის შიგნით მდებარე კოშკის სიმაღლეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კოშკი თუ ქალაქის დაცვაში აქტიურად იყო ჩართული, მაშინ იგი გარე გალავანზე მაღალი უნდა ყოფილიყო, აქ ყველაფერი ცხადია და საკამათო არაფერია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ რა სიმაღლისა იყო გალავანი, რომ კოშკი იმაზე მაღალი წარმოვიდგინოთ.

იქვე გაშვალა ქალაქის მეორე, შუა გალავნის სიმაღლე თორმეტ მეტრამდე აღწევს. როგორც ვხედავთ, ქალაქის ამ მიდამოებში (დაახლოებით 150 მეტრის სიგრძეზე) კედელი ასეთი სიმაღლისა ყოფილა საჭირო. კოშკი უფრო მაღალი თუ არა, ისეთივე სიმაღლისა მაინც უნდა ყოფილიყო. თუ უკვე მდგარი ორი კედელი ასეთი სიმაღლისა იყო, მაშინ წინა ხაზზე მდგარი ახალი, მესამე კედელიც ასევე მაღალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ შეიძლება ერთი გარემოება გავითვალისწინოთ. ამ ახალი კედლის ინიციატორებს ქალაქის დაცვიდან თუ აღრე აგებული ორი კედლის გამოთიშვა უნდოდათ, მაშინ ეს კედელიც ისევე მაღალი უნდა ყოფილიყო, როგორც ძველები. მაგრამ ასეთი გადაწყვეტა დაცვის შესუსტებას გულისხმობდა, ამას კი ქალაქის არც ერთი მესვეურა არ დაუშვებდა. პირიქით, ისინი მესამე კედლის აგებით დაცვას აძლიერებდნენ და არა ასუსტებდნენ. გარე მესამე კედლის სიმაღლე მინიმუმ რვა მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. თუ გალავანზე შიგნიდან მიღებულ კიბეს ან კიბის საფეხურებს აღვადგენთ, ზუსტად ამ სიმაღლეს მივიღებთ. ასეთ სიმაღლეს მოითხოვდა თავდასხმელთა ტექნიკაც. იმათ სანგრევ მანქანებთან ერთად მოჰყავდათ სა-

⁴² კამარის ეს ქვეები ახლაც აწყვია კედლის გარეთ. თუ ნაწილობრივ აღდგენის პროექტის შედგენა მოხერხდა, ამ ქვეებს გამოვიყენებთ (კამარის მოხაზულობის აღდგენა ადვილია ამ ქვეების გამოყენებით, მაგრამ ძნელია სართულის სიმაღლისა თუ სხვა დეტალების წარმოდგენა).

ბრძოლად გამზადებული სპილოები⁴³. არ იყო გამორიცხული მომხდურების მიერ გალავნის გარეთ დროებითი ნაგებობების აგება, სიღანაც გალავნის შიგნით მყოფთ ადვილად დააზიანებდნენ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ნოქალაქების ფორტიფიკატორის მიერ აუცილებელი იყო. კერძოდ, თუ როგორ უტყე-დნენ ციხეს სპარსელები, ამაზე პროკოპი კესარიელთან ერთგან კარგი ცნობა გვაქვს.

„სპარსელთა ჯარებოს ჯარდალმა მერმეროემ, როდესაც მდინარე ფაზისი (როინი) გადალახა და მის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში (ხაზგასმა ჩვენია— პ. ხ.). ზოგიერთების გამოკლებით ყველანი ცხენოსნები იყვნენ და მათ რვა სპილო მიჰყვებოდათ თან: მათ ზურგზე იდგნენ ხოლმე სპარსელები და იჭიდან, როგორც კომშიდან, უშენდნენ მტერს თავში. ასე რომ, მართლაც გაუკვირდებოდა კაცს ომების დროს გამოაშჷარაებული ამტანობა და მოხერხებულობა სპარსელებისა...“⁴⁴.

ახლა დგება საკითხი, თუ რა სიმაღლისა უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნულ გალავანში ჩართული კოშკი, თუ გალავანი მინიმუმ რვა მეტრი სიმაღლისა იყო. ჩვენ ისევე ვიმეორებთ, თუ კოშკი დაცვაში იყო ჩართული, მაშინ იგი გალავანზე შესამჩნევად მაღალი უნდა ყოფილიყო, მათ შორის სიმაღლეების ასეთი დიდი სხვაობა გამოწვეული იყო მათი დაშორებით. კოშკი გალავნისგან თითქმის ექვსი მეტრითაა დაშორებული. ამას ემატება გალავნის სისქე, რომელიც 2,5 მეტრია. კოშკზე მდგარ მებრძოლს საშუალება უნდა ჰქონოდა გალავანთან ახლო მომდგარ მეომრისათვის ესროლა. სასროლი იარაღი კი ადრე-შუასაუკუნეებში მხოლოდ რამდენიმე ასეულ მეტრზე მოქმედებდა (მშვილდისარი, შურდული და ქვის ქურჯი).

კოშკის სიმაღლე, როცა მას წინ რვა მეტრის სიმაღლის კედელი ეფარება და მცველს გალავანთან ათ მეტრზე მოსული მტრის დაზიანება შეუძლია, უნდა განისაზღვროს მინიმუმ თორმეტი-ცამეტი მეტრით. ასეთ სიმაღლეში სამიოთხი სართული თავისუფლად ჩაეტევა. ეს თუ ასე იყო, მაშინ მივიღებთ, რომ ციხეგოჯის პირველი გალავანი და ეს კოშკი დაახლოებით ერთ სიმაღლეზე რქნებოდნენ (სურ. 5).

რაც შეეხება კოშკის დამთავრებას, ზედა ხაზის გადაწყვეტას, აქ მხოლოდ ერთი ვარიანტი წარმოგვიდგება: ესაა ქონგურები საბრძოლო ბანი. ქონგურების ფორმა მხოლოდ სწორკუთხა შეიძლებოდა ყოფილიყო, ხოლო მათი სიმაღლე ბილიციდან პარაპეტიანად — საშუალოდ ორი მეტრი. ვფიქრობთ, ქონგურების კედლების სისქე 50—70 სანტიმეტრზე მეტი არ იქნებოდა (პარაპეტსა და ქონგურს შედარებით უფრო მცირე ზომის ქვით ააშენებდნენ, ვიდრე ამას ფასაღზე ვხედავთ). თუ ეს ასე იყო, მაშინ მებრძოლებს, სასიარულოდ და მოქმედებისათვის, თითქმის ორი მეტრი სიგანის კედლები დარჩებოდათ. ეს კი სრულიად საკმარისი იქნებოდა. ერთი რიგი მებრძოლებისა ქონგურების წინა ხაზს დაიკავებდა. ამას გარდა, სწრაფი მოძრაობა-გადაადგილებისათვის

⁴³ ციხის აღების მონაწილე სპილოებს ზოგჯერ სხვადასხვა ზომის კოშკურა ედგათ და მათზე დამდგარ მეომარს შეეძლო ციხის დაბალ კედელზე ასტომა, ან სროლა ზემოდან. ცხადია, ყველაფერი ეს გამოცილდ მშენებლებს გათვალისწინებული ჰქონდათ. ამიტომ ცდობილად უნდა აღვიქვამოთ მათი მანქანების საბრძოლო ტექნიკის გათვალისწინებით.

⁴⁴ გეორგიკა, ტ. 11, პროკოპი კესარიელი, გვ. 182.

კიდევ რჩებოდა 1,5 მეტრი. როგორც ვხედავთ, მესამე სქელი (2,5 მ) გალაგნის აგება ორი რამით იყო გამოწვეული: ერთი — მტერს მისი განგრევა გაუჭირდებოდა და მეორე — ზედა საბრძოლო ხაზი თავისი სიგანით საესე-ბით დააკმაყოფილებდა დაცვას⁴⁵.

განსახილველ მონაკვეთზე, კოშკის პირდაპირ მდებარე სწორკუთხად გაწეული გალაგნის შიდა მხარე მიუჩნევით ყველაზე მარჯვე ადგილად და აქ დაუყოლებიან კიბე საბრძოლო ბილიკზე ასასვლელად (სურ. 5, ტაბ. XII—1). კიბიდან დარჩა შვიდი საფეხური. ამ საფეხურების მიხედვით დაახლოებით შეიძლება ვიანგარიშოთ საბრძოლო ბილიკის დონე. თავდაპირველი სიმაღლის აღდგენა ასე მოხდება: რადგან ვიცით შვიდი საფეხურის სიგანე და სიმაღლე, ამიტომ მას ვავაგრძელებთ სამხრეთის იმ კედლამდე, საითყენაც მიემართება კიბე. კიბის ბოლოს მხოლოდ ორი ვარიანტის წარმოდგენა შეიძლება. პირველი — კიბე უშუალოდ მიდის ბილიკამდე, ე. ი. კედლებამდე, მეორე — ბილიკის წინ კიბესთან კეთდება მოედანი. მოედანი თუ იყო, იგი ერთ მეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი საჭიროება, ვფიქრობთ, არ იქნებოდა. თუ უმოედნოდ იქნებოდა კიბე, მაშინ კედლის სიმაღლე გარედან ბილიკამდე რვა მეტრი იქნებოდა, ხოლო ბილიკთან მოედნის არსებობის შემთხვევაში კედლის სიმაღლე დაიკლებს დაახლოებით ერთი მეტრით. ორმეტრიან ქონჯურებთან ერთად კედლის ეს სიმაღლე გარედან მტრისათვის მიუწვდომელი თუ არა, ნამდვილად, ძნელად ასაღები მაინც იქნებოდა.

რაც შეეხება იქვე, შიგნით მდებარე კოშკში შესასვლელს, თუ როგორ იყო იგი მოწყობილი, არ ჩანს. მას პირველ სართულზე, რომელიც დამხმარე სათაგის წარმოადგენდა, გარედან კარი არ ჰქონია. მეორე სართულზე კი კარი მას აუცილებლად ექნებოდა. თუ როგორ ხდებოდა კარამდე მისვლა, ეს არ ჩანს. ქვის კიბის ნაშთიც არაა. შესაძლოა, კარი დასავლეთით იყო და კედლის არსებული ნაშთით თუ ვიმსჯელებთ, შიგნით, სართულშია კავშირისათვის ხის კიბე იქნებოდა გამოყენებული.

გარეთა და შიდა გალაგნებს შორის განიერ გასასვლელში მოსახვედრი კარები გონივრულადაა გადაწყვეტილი. ამ კოშკის მიდამოებში, სწორკუთხად შევრილი გალაგნის გვერდებზე, სამხრეთით კუტი კარია. ეს სათადარიგო კარი მარჯვედ მოძრაობისათვის სრულიად საკმარისია (სურ. 5).

თუ რა მასალის იყო კარები, არ ჩანს. საფიქრებელია, რომ კარები რკინით მოკედილი ხისა იქნებოდა, რომლებიც შიგნიდან ურდულეებით იკეტებოდა. საურდულე და კარის ქუსლის ბუდე ბევრგანაა დარჩენილი.

აქ კარების მასალაზე დაბეჭივებით ვერ ვამბობთ, რადგან ვიცით, რომ იქვე ახლოს მდებარე ჭიშკარი რკინისა იყო. გათხრების დროს დაგვხვდა გასასვლელის სამხრეთით, ოციოდე სანტიმეტრის ქვის ბუდეში ჩასმული რკინის ქუსლი (ტაბ. XII—2), რომელშიც ჩაყანგული იყო ასევე რკინის კარის ქუსლი⁴⁶. ამის შემდეგ აღვილი წარმოსადგენია, თუ როგორ საგულდაგულოდ იყო გამაგრებული ეგრეთ ძველი ქალაქი. ქალაქს უვლიდა სქელი და მაღალი კედლები, რკინის ჭიშკრით!

⁴⁵ არაბებმა VIII ს. 30-იან წლებში თუ როგორ აიღეს ქალაქი, როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, სამხრეთითა და ჩრდილოეთით ეს კვადროვანი კედელი ქვედა ხაზზე განგრეული არსად არ არის. შეიძლება, სხვა მხრიდან, უფრო თხელი კედლების ხაზიდან (სამხრეთიდან, დასავლეთიდან) აიღეს ქალაქი. თუმცა, არაბთა სიმრავლეს რა გუქმებდა, მათ დიდი მსხვერპლით კედლებზე გადასვლაც შეეძლოთ!

ქიშკართან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხზე არ გვიმსჯელია. ეს რკინის ქიშკარი დაკიდებული იყო მეორე პერიოდის ორმეტრიანი სისქის გალვანში. აღნიშნული რკინის კარის ქუსლის ნაშთით (ტაბ. XII—2), ეს ადვილად დგინდება⁴⁶, მაგრამ არ ირკვევა, თუ როგორი იყო შიდა, მის პარალელურად მიმავალი გალვანის ქიშკარი (ორივე კედელი ხომ ერთდროულად გაიჭრა). რადგანაც რკინის ქიშკარის ნაშთი იქ არ დაგვხვდებოდა, ამიტომ უნდა დავუშვათ ხის კარის არსებობა (ხე მოქედელი უნდა ყოფილიყო). თავისთავად ყოველ გალვანს თავისი ქიშკარი ექნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე გალვანის არსებობა გაუმართლებელია.

კვადროვანი გალვანის აქ განხილულ შევირლ ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთის პირდაპირ თავდაპირველად კუტი კარები იყო. ჩრდილოეთის კარი დანგრეულია და დარჩენილია მხოლოდ ორმოციოდენ სანტიმეტრის სიმაღლეზე, მეორე, სამხრეთის კარი კი დარჩენილი იყო თაღის ნაწილით. ასე რომ, რესტავრაციისათვის თაღის აღდგენა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და მას ჩვენ ზუსტად დაეუბრუნეთ თავდაპირველი ფორმა (ტაბ. XII—1). შეიგნიდან კარის გაღობურების აღდგენა ადვილზე მონაკვემებით ადვილი იყო, იგივე არ ითქმის ვარეთა ფასადზე. აქ აშკარად იყო დარჩენილი მხოლოდ არქიტრავის ბუდე. მისი აღდგენაც შესაძლებელი იყო, რადგან გვერდით არქიტრავის ბუდე და ანალოგია იმავე კედლის ფერდობზე მდებარე მონაკვეთში, ერთ-ერთი კოშკის გვერდით მდებარე კარზე (ტაბ. XIX—1). აქ არქიტრავის ქვის ზემოთ ისევე დიდი სწორკუთხა ქვაა, ქვემოთ 5 სანტიმეტრის სიმაღლის „გამტვრითავი თალით“. ამ ნიმუშის მიხედვით ქვედა კარის არქიტრავი გამტვრითავი თალით აღვადგინეთ (ტაბ. XII—2). აქ საეჭვო, ვფიქრობთ, პრინციპში არაფერია (შესაძლოა ქვების ზომებში იყოს განსხვავება).

იქვე, არქიტრავის ზედა განმტვრითავი სწორკუთხა ქვის ერთ მხარეს, მოვათავსეთ ის ჭვრიანი ქვა, რომელიც კარის მიდამოებში იყო ნაპოვნი (ტაბ. IX). მოპირდაპირე მხარეს კი სიმეტრიისათვის მოვათავსეთ იმავე ზომის ქვა ისევე ამობურცული რელიეფით.

რაც შეეხება წრეში ჩახატულ ჭვარს, იგი, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში პირველად ჩნდება V ს. და მომდევნო პერიოდში მას იშვიათად მიმართავენ. აქედან გამომდინარე, როგორც ეს ჭვარი, ისე განმტვრითავი თალი, თუ აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია V ს. მეორე ნახევრისათვის⁴⁷, ვფიქრობთ, იგივე შეიძლება დამახასიათებელი იყოს დასავლეთ საქართველოსათვისაც. შეიძლება მთლიანად კვადროვანი კედლებიც ასევე დათარიღდეს.

კვადროვანი გალვანის სამხრეთის მონაკვეთი უფრო მეტადაა დანგრეული, ამიტომ თავდაპირველი სახის წარმოსადგენად შედარებით ნაკლები მასალებია დარჩენილი (ტაბ. XIV—1).

პირველი გალვანის ხაზი სწორხაზოვნად მიემართებოდა ბოლომდე და მას ამთავრებდა თლილი ქვით ნაგები კოშკი. ამჟამად მისგან ერთი კედელია გადაჩენილი, ხოლო ამ კოშკის უზარმაზარი ფრაგმენტი იქვე თავდაყირა გდია (მათი აღდგენა ჭერჭერობით არ მოხერხდა).

⁴⁶ რკინის ქიშკარის ეს ნაშთი გადაეცა ნოქალაქეის არქეოლოგიურ მუზეუმს.

⁴⁷ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, — ენციკლის მოამბე. III, ტფ., 1938, გვ. 329; Г. Н. Чубинашвили, Болниси. სურ. 6, გვ. 22, 181—88, 141; ლ. რაქელიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, — ქართული ხელოვნება, წ. 2, 1948, გვ. 31.

კვადროვანი გალავანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში კუთხეებს ქმნის და ფართოვდება. ამ შევირლის კედლები შიგ მდგარი კოშკის პარალელურად მიემართება. მათ შორის მანძილები წინა კოშკის კედლის მსგავსია, ექვს მეტრ-თან ახლოსაა. სამწუხაროდ, ამ შევირლის სამხრეთი მხარის მეტი ნაწილი და აღმოსავლეთი მხარე მოუშლიათ 60-იან წლებში ახალი ხიდის მშენებლობის დროს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კუთხე, სამხრეთის გალავანთან ერთად, ადგილობრივთა ცნობით, დაახლოებით 1946—48 წლებში მეწყერს დაუნგრევია. ამ კუთხის ყველა კედელს ნახანძრავი ეტყობა და ნახშიროვანი ფენაც საკმაოადაა. მტრის მიერ ციხის ადრევე დანგრევის შემდეგ, რაც გადაჩრა, მეწყერს ისიც დაუნგრევია და კედლები გადაუწვევია.

აქ მდგარი კვადროვანი კოშკი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე შუაზეა გადატეხილი, რის გამოც სამხრეთის მონაკვეთი გადაწოლილია (სურ. 4 ა, ტაბ. XIV—1). ეს კოშკი, წინა კოშკისგან განსხვავებით, შიგნით და გარეთ, კარგად აღილი ქვითაა შემოსილი. ცოკოლი ათიოდე სანტიმეტრითაა გამოწყული. პირველი სართულის კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი და კარკმლები არ ჩანს, ალბათ, აქაც კარი და კარკმლები ზედა სართულებზე იქნებოდა. ეს კოშკი შესამჩნევად დიდია კიშკართან მდგარ კოშკთან შედარებით (შიგა ზომებია: 6,3 X 7,5 მ, ხოლო კედლების სისქე სამივე მხარეს 3,2 მ). კოშკის სიდიდე გამართლებულია იმით, რომ ციხის ეს კუთხე უფრო საპასუხისმგებლო იყო, ვიდრე ზემოთ, კიშკრის სიახლოვეს. ადვილი შესაძლებელია, რომ იგი ციხეში მთავარი იყო და დონჟონს წარმოადგენდა. მისი ბანიდან კარგად დაიზვერებოდა როგორც მდინარის მხარე, ისე აღმოსავლეთის მისადგომები. არაა გამორიცხული, რომ ეს კოშკი, ზედა კოშკისაგან განსხვავებით, ოთხსართულიანი ყოფილიყო.

კოშკის კედლების პარალელურად მიმავალ კვადროვან გალავანში შერჩენილია მხოლოდ ერთი კუთი კარი ჩრდილოეთის მხარეს (მისი სიგანე, სხვების მსგავსად, 1,3 მ). ციხის ამ მონაკვეთში სხვა არავითარი დეტალი არ ჩანს.

ორიოდე სიტყვით უნდა აღვწეროთ მესამე გალავანი, რომელსაც ჩვენ „კვადროვანს“ ვეძახით. ქალაქის შემომყოლი პირველი და მეორე გალავანთ ძირითადად ნაგებია 20—40 სანტიმეტრის შქონე ყორე ქვით. მესამე გალავანი სხვა ტექნიკითაა ნაგები. 250 სანტიმეტრის სიგანის კედელი ორივე მხრივ მოპირკეთებულია თეთრი, ოდნავ მოყვითალო კირქვით. ქვების გარე პირის სიგანეები, ჩვეულებრივ, მერყეობს 50 სანტიმეტრიდან 150 სანტიმეტრამდე (გვხვდება მეტიც და ნაკლებიც). ქვების სიმაღლე კი მერყეობს 50 სმ-დან 120 სმ-მდე. ქვების სისქე საშუალოდ 40—70 სანტიმეტრია. მოსაპირკეთებელ ქვებს შორის კედელი ამოყორილია სხვადასხვა ქვით, კირის დუღაბზე. ასეთი კედლის დანგრევა იმ ეპოქის კედლის სანგრევი ტექნიკით შეუძლებელი თუ არა, მეტად ძნელი იქნებოდა.

გალავნის ამ მონაკვეთის გათხრებისას აღმოჩნდა ათამდე ქვა, რომელთაც გარე პირი სამკუთხად აქვთ ჩამოკვეთილი (სურ. 12 ბ). ერთი მათგანიც იმავე პროფილს ატარებს, მაგრამ ზემოდან წყლის გადმოსაყვანი ღარი აქვს. მას უთუოდ ბანიდან წყლის გადმოსაყვანად იყენებდნენ. შესაძლოა ეს პროფილირებული ქვები კოშკის შიგნით კოჭოვანი გადახურვის კონსტრუქციები იყოს (ამ ნაეიოთხს მომავალში დაზუსტება დასჭირდება).

თუ დავუბრუნდებით კვადროვანი გალავნის განხილვას, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი დასავლეთისა და ჩრდილოეთის ბოლო ჩიხივითაა

გადაწყვეტილი (სურ. 1, 4 ა). მათ შორის ის განსხვავებაა, რომ დასავლეთის ჩიხი ღრმაა, ხოლო ჩრდილოეთისა — მოკლე. მტერი თუ პირველში მოხვდებოდა, მას სამი მხრიდან შეუტევდნენ და იქიდან ძნელად დააღწევდა თავს. ჩრდილოეთის შვერილი კედელი, რადგან ერთ მეტრს არ აღემატება, ამიტომ იქაც მტერს სამი მხრიდან შეუტევდნენ, მაგრამ მომწყვედვია გაძნელებოდა. ამ ბოლო კედლების კუთხეებიც თითქმის სხვების ტოლია. ამათგან ჩრდილოეთისა და ქვედა კოშკის გარეთა გალავნის ჩრდილო კარიც ამოუქოლავთ. ციხეში კარი რაც უფრო ნაკლები იქნებოდა, მით უკეთესი იყო.

ციხის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მონაკვეთის განხილვის დამთავრების შემდეგ, გალავანს ზემოთ უნდა ავყვეთ. ზემოაღნიშნული კვადროვანი გალავანი ჩრდილოეთის ჩიხთან მთავრდება და ზემოთ გრძელდება მხოლოდ პირველი და მეორე გალავანი. დაახლოებით 100 მეტრის შემდეგ კი ისევ ჩნდება კვადროვანი გალავანი, მაგრამ იგი ფერდობს თითქმის პორიზონტალურად მიჰყვება, ისე რომ აღმამიწვეალ კედელთან თითქმის სწორ კუთხეს ქმნის.

ციხის კვადროვანი კედლის ჩიხსა და ზედა კუთხის პარალელურად მიმავალი კედლები შუაზე წყდება და მათი კვალი ნანგრევებში იკარგება. მცირე ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შიდა კედლის კვალი ზემოთვე გრძელდება. გათხრებამდე ამის საბოლოოდ დადგენა ძნელია, მაგრამ აქ წარმოდგენილი ვარიანტი თუ გამართლდა, მაშინ მივიღებთ, რომ ქალაქის გალავნის ქვედა მონაკვეთი თავდაპირველად ზემოთ გამოვლენილ დარბაზულ ეკლესიასთან მთავრდებოდა. ასეთი ვარიანტის დროს გასარკვევე რჩება, თუ როგორ უერთდებოდა ქალაქის ეს ქვედა ნაწილი ციტადელს. ამჟამად დაბურულ ტყეში გალავნის კვალი ყველგან არ ჩანს. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ციტადელი ცალკე ყოფილიყო, მაშინ ის თავის ფუნქციას დაკარგავდა, ცალკე მდგარი ციტადელი, შიდა ციხე, თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა⁴⁸.

მესამე გალავნის, კვადროვანი კედლის, აგების დროს მკვეთრად შეცვლილია ქალაქის გამაგრების სახე (სურ. 1). შეცვლილია როგორც ციხის გეგმა, ისე ბევრად გაზრდილია მისი ფართობი. ქვემოთ, მთის ფერდობის შუაზე, როგორც აღვნიშნეთ, ხელახლა იწყება კვადროვანი კედელი, ჭერ, დაახლოებით 50 მეტრის სიგრძეზე, ფერდობზე პორიზონტალურად მიემართება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ უხვევს და ცერად, ტეხილი ხაზებით მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ბოლოს ისევ მკვეთრად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ციტადელის კედელს ებჯინება⁴⁹. აქედან კი ციტადელის კედელს ეკვრის და მასთან ერთად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ციტადელის კოშკთან გალავანი სწორ კუთხეს ქმნის და რკიოდე მეტრზე მთის ციკაბომდე მიდის. ამით ამთავრებს სელას კვადროვანი გალავანი, მაგრამ მის მიერ გავლილ კილომეტრიან გზაზე დიდი მრავალფეროვნებაა. კვადროვანი გალავნის აგებით კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქალაქის მესვეურებმა მისი გამაგრების საკითხი სულ

⁴⁸ ჩვეულებრივ, ციტადელის მთავარი დანიშნულებაა ქალაქისა თუ ციხის ქვედა ნაწილში, ვაკირების შემთხვევაში, ზემოთ, უფრო გამაგრებულ ნაწილში შეხიზნა და თავდაცვა. ცხადია, ციტადელი დაკავშირებული იქნებოდა ქვედა ნაწილთან, მაგრამ მისი გარკვევა ტყე გაჩხვამად და გათხრებამდე შეუძლებელია.

⁴⁹ ამ აღმართზე, ზემოთვე ჩანს პატარა კარის ნაშთი, შემდეგ კი მთის ფერდობზე რთული ფორმებია. მომავალ გათხრებამდე მათზე ვერაფერს ვიტყვით.

ახლებურად გადაწყვიტეს. იმავე დროს მათ ქალაქს მისცეს ახალი მასშტაბი. მართალია, ჩვენ ზუსტად არ ვიცით ადრე თუ როგორ უკავშირდებოდა ქალაქის ქვედა ნაწილი ზედას, ციტადელს, მაგრამ შუა საუკუნეების ქალაქთა დაგეგმარების საერთო პრინციპებიდან თუ გამოვალთ, ისინი შეერთებული უნდა ყოფილიყო. ახალმა კვადროვანმა კი ქალაქი აშკარად განამტკიცა და შეკრა.

მთის ფერდობის ყველაზე დაქანებულ ადგილზე კედელი გადაქცეულია და მისი ნაშთი ჩამორეცხილ მიწას დაუფარავს. ამიტომ ამ ხაზზე ვერაფერს ვაძებთ. ვალავანი თავიდან ბოლომდე ერთი სიგანისაა და 2,5 მეტრს უდრის. ასევე, კედლების შემოსავაში და მშენებლობის ტექნიკაშიც ერთგვარობაა ყველგან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესამოსავი ქვის ზომებიც მთელ სივრცეზე ერთნაირია⁵⁰.

კვადროვანი კედლის განხილვას გავაგრძელებთ ქვემოდან, სადაც ხაზი, კიშკრების ზემოთ, ჰორიზონტალურად გადის და ნელ-ნელა აეყვებით ციტადელამდე, ვალავნის პირველი ხაზი, რომელიც დაახლოებით 50 მეტრის სიგრძისაა, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კოშკით მთავრდება (სურ. 14—16). კოშკი (№ 3) ძალიანაა დანგრეული და მთლიანად გეგმა არ იკითხება. პირველი ექსპედიციის დროს, 1930/31 წლებში, იგი შიგნიდან გაუწმენდიათ და მისი ფართობი მთლიანად ჩანს, მაგრამ გარეთა კედლები ნაწილობრივ მაინც რომ გამოეჩინათ, ეგებ, მეტის თქმა შეგვძლებოდა⁵¹.

ამ ვალავანში ჩარჩეული კოშკების განხილვისას წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ხუთ კოშკს შევეხებით. ყველა ისინი სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. ეს კი, თავისთავად, მშენებლის დიდ მომთხოვნელობაზე მეტყველებს.

კუთხის ამ პირველი კოშკის გეგმა გრძელი სწორკუთხედიანია (შიდა ზომები: 3,90 X 7,85 მ), ჩრდილოეთის კედელი თითქმის ორი სართულის სიმაღლეზეა დარჩენილი. აქ გათხრის შემდეგ მეორე სართულზე კარის ნაშთი გაპოვდნენ. მისი გვერდითი კედლები ფერდობის დონეზეა შერჩენილი. ამ ქონაკვეთებზე არავითარი ხვრელები არ არის. კოშკის სამხრეთის ნახევარზე მხოლოდ კედლების გარე კონტურია დარჩენილი. კარი გაჭრილია პირველ სართულზე, დასავლეთით, სპეციალურად ჩაკვეთილ უბეში (სურ. 14).


კოშკიდან დასავლეთით 10 მეტრზე, ვალავანში კუტი კარია გაჭრილი, იგი ისევე იქნებოდა გადაწყვეტილი, როგორც ყველა კუტი კარი (ტაბ. IV). ამაში ჩვენ ვგულისხმობთ სწორკუთხედს (სიგანით 1,4 მ), რომელიც შიგნიდან ტიპანითაა გადახურული, გარედან კი არქიტრაული იყო განმტკირთავი თაღით. არქიტრავის ქვა ჩამოვარდნილია და დარჩენილია მხოლოდ შიდა თალი.

⁵⁰ თუ საიდანაა მოტანილი კვადროვანი ვალავნის კირქვა, ზუსტად არ ჩანს. თვით ნაქალაქარის ტერიტორია კირქვაზეა ვაშენებული, მაგრამ, მთის ტყით დახურვის გამო, ზედაპირზე არ ჩანს ქვა თუ არა. კარიერის ნაშთი ჩანს ციტადელის დასავლეთის მონაკვეთში და ერთგან ფერდობზე.

ისე კი უნდა ითქვას, რომ ამდენი ქვის, რომელთა უმრავლესობის წონა ტონასთან ახლოსაა (მეტრია), მაშინდელი ტრანსპორტით ზევით ატანა ვაუჭირდებოდათ, ამიტომ უნდა ვფიქროთ, რომ ზემოთ აშუშავდნენ და შერე ძირს ჩამოჰქონდათ.

⁵¹ ეს კოშკია, სადაც ა. შნაიდერმა იატაკის დიდი თლილი ლოდების ქვეშ აპოვნა კვისარ მავრიკის (582—602 წწ.) 23 ცალი ოქროს მონეტა (ს. ყაუზჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. წ. I, თბ., 1948, გვ. 199). მართალია, კოშკი ტექსტში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ ადგილობრივებმა (მაშინდელმა მუშებმა) ზუსტად მიგვიითხეს.

ამ კოშკის, როგორც ეტყობა, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვიდრე ქვემოთ, ჭიშკართან მდგარს, რადგან მისი ფართი მასზე დიდია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარესთან მდგარ კოშკზე ნაკლებია⁵². მშენებელს, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი გაანგარიშებული ჰქონია. კოშკების ზომები დანიშნულებით განუსაზღვრავს. სხვებს სჭარბობს მთავარი კოშკი, რომელიც ქალაქის ქვედა კუთხეს დარაჯობდა. მას მოსდევს ის, რომელიც




14. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავანი. № 3 კოშკის პირველი სართულის გეგმა.

მთის აღმართის საწყისს დარაჯობდა, შემდგომ ჭიშკართან მდგომი კოშკი, რომლის მომდევნოა სულ ზემოთ, კვადროვანი გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი (ფართი — 18,9 მ). დანარჩენი მათ მოსდევს და თანაც ისიცაა აღსანიშნავი, რომ ისინი სხვა ტიპისაა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კოშკის ზემოთ გალავანი, სადაც იგი სამ ადგილზე კუთხეს ქმნის, დანგრეულია (საერთო სიგრძით ეს მონაკვეთი 200 მეტრს აღემატება). ამ მონაკვეთიდან გალავნის ხაზი სწორდება და სამი კოშკი და ერთი ბურჯია ჩართული. მიწით დაფარული კუთხეების შემდეგ პირველი კოშკი მთლიანად მიწით იყო საკსე და გავწმინდეთ. ვაირკვა, რომ იგი თავისი გეგმით არ ჰგავს არც ერთ მანამდე განხილულს. სამწუხაროდ, იატაკის ზემოთ

⁵² მდინარესთან მდგარი კოშკის შიდა ფართობია 47,25 მ², ჭიშკართან მდგარისა — 26,50 მ². განსახილველი კოშკისა — 29,60 მ².

კედლები მთლიანად მორღვეულია და დგინდება მხოლოდ გარე კონტური. მისი კედლების გარე ზომების (4,4×4,2 მ) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ბურჯია ან პატარა კოშკი. ეს სწორკუთხედი მთლიანად გალავნის გარეთაა გამოშვებული, ცხადია, რომ იგი მართო ბურჯად არ იყო აგებული. მის შიგნით, ფართის სიმცირის გამო, სათავსო არ გამოვიღოდა, მაგრამ ქონგურებიანი საბრძოლო ბანი აუცილებლად ექნებოდა. სიმაღლის განსაზღვრა ძნელია. ლოკურად იგი გალავანზე მაღალი უნდა ყოფილიყო.




სურ. 15. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავანი. № 3 კოშკის მეორე სართულის გეგმა.

ამ კოშკის მარჯვენა მხარეს (ეზოდან), გალავანში ჩართული კუტი კარი მთელია და იგი სხვა ასეთივე კარების გადახურვის ნიმუშად გვრჩება (ტაბ. XIX). სწორკუთხა კარი, რომლის შიდა სიგანე 1,2 მეტრია, შიგნიდან გადახურულია ნახევარწრიული თალით, გარედან კი — არქიტრავით. დიდი ზომის არქიტრავის ქვის ზემოთ 5 სანტიმეტრის სიმაღლის ვიწრო განმტვირთავი თალია. ასეთი თალის არსებობა თავისთავად მიუთითებს მის ზემოთ მაღალ გალავანზე. მაღალი გალავნის სიმძიმეს არქიტრავის ქვა, ალბათ, ვერ გაუძლებდა, ესაა მიზეზი მის ზემოთ განმტვირთავი თალის გაკეთებისა.

თავისთავად აღსანიშნავია, რომ ასეთი ხერხი საქართველოში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემჩნეულია მხოლოდ V ს. ბოლოს ისეთ ძეგლებში, როგორცაა ბოლნისის სიონი⁵³ და იმავე ეპოქის აკაურთას ეკლესია⁵⁴.

აქედან გამომდინარე, ვიმეორებთ, შეიძლება ამ გალავნის ერთ-ერთ დამთარი-ლებელ ნიშნად ეს ელემენტი მივიღოთ. ეს კი V ს. ბოლოა. ეგრისის ისტორიისათვის ეს მონაკვეთი სწორედ ძლიერების ხანაა.

ამ კოშკის ზემოთ, სამოციოდე მეტრზე უკვე ნამდვილი კოშკია, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტით. მისი გადაწყვეტა არც წინას ჰგავს და არც მომდევნოს. თუმცა სამივეს ორიგინალური გადაწყვეტა აქვთ და არც ერთი არ იმეორებს მეორეს (სურ. 1, 17 ა, 18). ეზოს მხრიდან კეთდება საკმაოდ ღრმა და განიერი ნიშა (კოშკი № 6). ნიშიდან კართით (სიგანით 1,35 მ) ვხვდებით ტალანგივით გრძელ და ვიწრო სათავსში (სიღრმე 7,4 მ. სიგანე — 2 მ). მისი სწორკუთხა ბოლო მორღვეულია, მაგრამ კოშკის ფორმა და ზომები დგინდება. კედლები სიმაღლით მეტრნახევარს აღწევს, ამიტომ ეზოსთან მკაფიო შიშვლებელი კარის მეტი სხვა არაფერი ჩანს, კოშკის სართულიანობა და სიმაღლე შეიძლება მიახლოებით გალავანთან ერთად განისაზღვროს.



სურ. 16. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავანი. № 3 კოშკის სამხრეთის ფასადი.

ზემოთყენ, მომდევნო კოშკამდე თითქმის 90 მეტრია. კოშკის გეგმა გალავნიდან ორივე მხარეს შევარილია (გალავნიდან ეზოსკენ შევარილის სიგრძე 1,4 მეტრია, გარეთკენ კი — 3,9 მეტრი). საერთო ჯამში მისი სიგრძე გალავ-

⁵³ Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, 1941, გვ. 141, ნახ. 5, 6.


⁵⁴ ლ. რაჭულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, — ქართული ხელოვნება, წ. 2, 1948, გვ. 31, სურ. 4, ტაბ. 17.

ნის სისქესთან ერთად 7,8 მეტრია. იგი წინა ბურჯს ერთი მეტრით სჭარბობს. მაგრამ სივანეში 60 სანტიმეტრით ნაკლებია. ამ ბურჯის შიგნით ნორმალური სათაფსი ნამდვილად ვერ გაიმართებოდა, მაგრამ ხანი ქონგურებით იქნებოდა. ბურჯის გვერდით ისევე კუტი კარია (სურ. 1).

ბოლოს, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი კოშკი სხვებზე უკეთაა შემონახული (სურ. 17 ბ., 19). მისგან დარჩენილია პირველი სართული და მეორის მცირე ნაწილი (კოშკი № 8).

კოშკში შესასვლელი ეზოდან კუთხეშია (ტაბ. XXX—2). ეს კარი, სხვების მსგავსად, გარედან არქიტრავითაა, შიგნიდან კი თალითაა გადახურული. შიგნით კოშკი თითქმის კვადრატულია (4,3×4,48). განათებული ყოფილა თითო სარკმლით ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ამათგან პირველის ქვედა ნაწილი კარგადაა შემონახული, მეორისგან მხოლოდ კვალია დარჩენილი. ნოქალაქევის კოშკებიდან სარკმელი მხოლოდ აქაა. იგი გეგმაში ზუსტად აგებულ ტრაპეციას წარმოადგენს, ვიწრო ბოლოთი გარეთკენ (შიდა სივანე — 0,95 მ, გარე სივანე — 0,2 მ). სარკმელს გადახურვა პორიზონტალური ჰქონდა.

კოშკის გამოწმენდისას და გარეთაც კამაროვანი გადახურვის მრავალი ქვაა გამოვლენილი. პირველ სართულს კი კოჭოვანი გადახურვა ჰქონია. დასაკვლეთის კედელზე კოხტად გამოთლილი ორი კრონშტეინია (სურ. 19). ისინი განლაგებული არიან კიდეებისკენ. როგორც ეტყობა, მოპირდაპირე მხარესაც




სურ. 17. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავნის № 6 და № 8 კოშკების გეგმები.

ანეთივე კრონშტეინები ექნებოდა, მათზე გაიდებოდა მთავარი კოჭები, ზე-
შოდან კი ფიცარნაგი უნდა ყოფილიყო (ტაბ. XX—1).

ზედა სართული, თუ სართულები, გადახურული ყოფილა კამარებით. ამ
დასკვნამდე მივყავართ კამარის თლილი ქვების დიდ რაოდენობას, რომლებიც
სართულის შიგნიდან ამოვიდნენ.

კვადროვანი გალავანი მოდის ქვემოდან. იგი ჯერ ვაკეზეა და შემდეგ
აღმართზე მიემართება. საფიქრებელია, რომ ვაკეზე, იქ, სადაც მტერი ყო-
ველგვარი სახის საბრძოლო მოწყობილობით ადვილად მიუდგებოდა, კედლის
სიმაღლე მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთის ფერდობზე, ამიტომ ფერდობ-
ზე ქვემოდან მომდგარი მტერი ფეხს ისე ვერ მოიკიდებდა, როგორც ქვევით
და, ვფიქრობთ, თუ გალავანის სიმაღლე ქვევით 8 მეტრით განესაზღვრეთ, აქ
საშუალოდ ექვსი მეტრი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ეს კოშკი უნდა
გიგულისხმობთ ორსართულიანი, საბრძოლო ბანიით.

კოშკის მარჯვნივ (ეზოდან) გალავანში ისევ კუტი კარია, მისი არქიტრავის
ქვა ჩაფარდნილია⁵⁵, მაგრამ თალი ადგილზეა დაძრული ქვებით. ეს შესაშვ



სურ. 18. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავანი. № 6 კოშკის ფასადის რეკონსტრუქციის
პროექტი.

⁵⁵ ფერდობის გაწმენდისას უამრავი ქვა აღმოჩნდა. არაა გამორიცხული, რომ მისი სა-
ბოლოოდ გაწმენდის შემდეგ არქიტრავის ქვაც აღმოჩნდეს.

შემთხვევაა, როდესაც ამ აღმართის კოშკების გვერდით თალი ადგილზეა (სურ. 19).

განხილულ კოშკთან გალავანი სწორ კუთხეს ქმნის, ზემოთკენ მიემართება. გალავნის ეს მონაკვეთი, რომელიც სიგრძით ას მეტრამდეა, მთლიანად მიწით იყო დაფარული და ჩვენ რამდენიმე ადგილას გავწმინდეთ. გაირკვა, რომ გალავნის ცოკოლი, ისე როგორც სხვაგანაც, 5—7 სანტიმეტრით შეერილია. ცოკოლის ქვემო მონაკვეთები ჰორიზონტულადაა დალაგებული და ამიტომ საფეხურებითაა გადაწყვეტილი.

ეს კედელი ციტადელის გალავანს ებჯინება. აქ გაწმენდის დამთავრებამდე ვერაფერს ვიტყვი. სხვადასხვა დროის კედლები დამიწებულია და ისეა ერთმანეთთან გადახლართული, რომ გეგმის აღდგენა ჭერჭერობით შეუძლებელია⁵⁶.

კვადროვანი გალავანი, რომელიც იქვე მდგარ კოშკს აღმოსავლეთით უყვლის, ძალიანაა დაზიანებული და განსაკუთრებული არაფერი ჩანს. როგორც ჩრკვევა, იმ ფორტიფიკატორმა, რომელმაც დააგეგმარა კვადროვანი გალავანი, ამომწურავად წარმოდგინა საშიშროება და სამხრეთით, აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით, მთის ციცაბომდე, ყოველი მისადგომი გადაკეტა. ეს ხაზი, რომელიც კოშკებითაა გამაგრებული და კილომეტრს აღემატება, გრანდიოზული ნაგებობა იქნებოდა და ყოველი ჭურის მტერს შიშს თუ არ მოგვრიდა, ღრმად ჩააფიქრებდა მაინც.

ციტადელის განხილვამდე შეიძლება ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ, რომ ცხნის ის მონაკვეთი, რომელიც ზედა და ქვედა ციხეებს შორის არსებობს, საკმაოდ დამრეც ფერდობზეა განლაგებული. ეს ფართობი ისეა ტყით დაბურული, რომ ზედაპირზე ნაგებობის კვალი არ შეიმჩნევა. მისი გაწმენდა და ვათხრების წარმოება მომავლის საქმეა. ჩვეულებრივ დროს იქ, როგორც საცხოვრებლად ნაკლებად გამოსაყენებელი, შეიძლება არაფერს ცხოვრობდა, მაგრამ ომის დროს უთუოდ გარნიზონი დადგებოდა.


ციტადელი მაღალი მთის პლატოზეა განლაგებული. აქაც გალავანი ძირითადად რელიეფს მიჰყვება (სურ. 1). მისი გეგმა უფრომო გრძელი სამკუთხეულია. მისი სამივე კუთხე განსხვავებულადაა გადაწყვეტილი, სხვებზე მარტივია სამხრეთ-დასავლეთის კუთხე, სადაც მდებარეობდა ქალაქის ქვედა ნაწილთან დამაკავშირებელი კარი (სურ. 26).

შიდა ციხეს სამხრეთის მხარეზე ორი ვიწრო შესასვლელი ჰქონია (სურ. 12 დ, 26), კიშკარი კი არა⁵⁷. ეს გასაგებნიცაა, რადგან ციტადელში ფართო შესასვლელი საშიშროებას ქმნიდა. ამ ორი შესასვლელიდან მთავარი იყო ქალაქთან უფრო ახლოს მდებარე, სამხრეთ-დასავლეთისა. აქ კარგად მოფიქრებულ რთულ სისტემასთან გვაქვს საქმე (სურ. 26). გარედან მოსული, გალავანში ჩატანებული კარით, პირდაპირ ზვდება განიერ და გრძელ ტალანში. ტალანის ბოლოს მდებარე კარით ციტადელის ეზოში შევდივართ, ხოლო მარცხნივ მდებარე კარით — სათავსოში. ეს სათავსო კარგა მოზრდილია. იგი, როგორც ეტყობა, დამცველთა სამყოფს, საყარაულოს წარმოადგენდა. ამიტომაც მას ორი შესასვლელი ჰქონია. ერთი მათგანი მას თუ ტალანთან აკავშირებდა, მეორე

⁵⁶ ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან, ნაწილობრივ გაწმენდილ მონაკვეთზე, კვადროვანი კედლის კვადროვანივე ბურჯები უნდა იყოს.

⁵⁷ საურბე გზა საუკუნეების განმავლობაში მწყობრიდან გამოსულა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კლანილად ამოწვლილ გზის კვალი ახლაცაა.

უერთდებოდა ეზოს. პირველის იატაკი და ტალანის იატაკი ერთ დონეზე იყო. ეზო კი ოთახის კუთხესთან მაღლა ყოფილა და იმიტომ კარში სამი საფეხურია ჩართული. ამ სათავსს სქელი კედლები აქვს (გარე ორი კედელი გალავნისაა). გადახურვა ხისა უნდა ყოფილიყო, რაზეც მიგვიჩივებს იატაკზე დაყრილი დამწვარი ძელების ფრაგმენტები. ტალანსა და კარებს, ალბათ, კოჭოვანი გადახურვა ჰქონდა.



სურ. 19. ნოქალაქევი. კვაროვანი გალავნი. № 8 კოშკის რესტავრაციის პროექტი.

ციტადელის მეორე კარი იმავე სამხრეთის გალავნის აღმოსავლეთ ბოლოსკენაა (სურ 12 დ). იგი თითქმის დანგრეულია და ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზე იყო შერჩენილი. მისი სრული ფიქსაციის შემდეგ მას მიწა დავაყარეთ და სატრანსპორტო გზა ზემოდან გადავატარეთ⁵⁸. სწორედ ამ გზის მშენებლობის დროს კარის გვერდით ნიშაში აღმოჩნდა ძირს ორრიგად დაწყობილი 22 ამფორა. იგი ნანგრევების ქვეშ იყო მოყოლილი და უმრავლესობა ჩამტვრეული იყო. ეს ამფორები ადგილობრივი ნაწარმია⁵⁹.

შიდა ციხის ჩრდილო კედლის ბოლოებში, ფაქტიურად ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეებში, დიდი კოშკები დგას, ხოლო ერთი პატარაც მათ შუაა. საერთოდ, მთელი ქალაქის მთავარ კოშკს წარმოადგენდა ჩრდილო-დასავლეთისა⁶⁰ (ტაბ. XX—1).

ჩრდილო-დასავლეთის ნაგებობა მარტო კოშკს კი არ წარმოადგენს, არამედ რთულია. ამჟამად ნანგრევებში ძნელია სამშენებლო ფენების გამოიკვანა. მთლიანად გაშენდასაც ჭერჯერობით ვერ ვახერხებთ, რადგან ნაგებობის კედლები დარღვეულია და ნაწილები ცვივა⁶¹.


⁵⁸ შიდა ციხის ტერიტორიაზე დიდი მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოებია ჩასატარებელი, რომელიც ალბათ რამდენიმე წელს გაგრძელდება. ასევე, არქეოლოგიური სამუშაოებიც დიხანს იწარმოებს. ყველა ამ სამუშაოს ჩასატარებლად კი ტრანსპორტია საჭირო. ციტადელის კედლებში, რადგან სხვაგან ამაზე მოსახერხებელი ადგილი არ იყო, სამანქანო გზადროებით აქედან შევიყვანეთ.

⁵⁹ ნოქალაქევი-არქეოპოლისი, შ. 1, ტაბ. XLII—1.

⁶⁰ როგორც ეტყობა, მისი როლი შემდეგ საუკუნეებშიც შესამჩნევი ყოფილა, და იდგილობრივნი მხოლოდ მას ეძახიან „ციხის“, რაც ქართულად „ციხეს“ ნიშნავს.

⁶¹ ჩვენი იქ ყოფნის დროს, ამ ათიოდე წლის განმავლობაში, კოშკიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოვარდა.

ამ ნაგებობაში მინიმუმ ოთხი სამშენებლო ფენაა, მაგრამ ზრც ერთი არჩანს ბოლომდე. კედლების ნაწილი, გარდა იმისა, რომ დარღვეულია, ერთმანეთში ისეა შესული, რომ ზუსტად გამოიყვნა შეუძლებელია.




სურ. 20. ნოქალაქევი. ციტადელის მთავარი კოშკის პირველი სართულის გეგმა.

ნაგებობა ბოლო პერიოდში ორი ნაწილისაგან შედგებოდა (სურ. 20—25). ჩრდილოეთით იყო კოშკი, ხოლო სამხრეთით საცხოვრებელი თავდაცვითი ფუნქციებით. კოშკის ქვედა ნაწილი თითქმის ათი მეტრის სიმაღლეზე ყრუა, ხოლო ზემოთ — კამაროვანი. არაა გამორიცხული, რომ ქვედა ყრუ ნაწილშიც სათავსი იყო, მხოლოდ ზემოდან ჩასასვლელით. დაზიანებული კამაროვანი სართულის დეტალების გარკვევაც ვერ ხერხდება. ალბათ, იგი, უპირველეს ყოვლისა, სადაზვერვოს წარმოადგენდა. აქედან სამხრეთით კოლხეთის მთელი დაბლობი მოჩანს, ჩრდილოეთით მარტვილის მიდამოები და სხვა.

ამ კოშკში აღმოსავლეთიდან რალაც კედელი შედის, უკეთ — კოშკი დაშენებულია ადრე არსებულ გალავანზე. იქვეა წვრილი და ღრმა, დღეს გაურკვეველი ხერხობები. მოკლედ, როგორც აღვნიშნეთ, კოშკი რამდენიმე სამშენებლო ფენისგან შედგება. ამ დიდი შენობის („ჩიხას“) სამხრეთის მონაკვეთის გეგმა გრძელი სწორკუთხედიანია (სურ. 20, 21). აქ აშკარად ოთხი სამშენებლო ფენა მაინც არის. ამას გარდა, არის მცირე გადაკეთებები, რომელთა განსაზღვრა, კედლების დაზიანების გამო, ძნელდება. ამ გრძელი შენობის მოკლე მხარეებიდან ჩრდილოეთისა კოშკსა აქვს მოკაეებული, სამხრეთისა დგას ბოლო პერიოდის გადაკეთებით, რაც აშკარად მიგვითითებს მის ორფერდა და მთავრებაზე, ეს კი, თავისთავად, მეტყველებს შენობის ორფერდა სახურავზე; (სურ. 23, 24).

შენობის ქვედა ნაწილი სანახევროდ მიწით იყო დაფარული და ნაწილობრივ გავწმინდეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩავედით კოშკის კედლების ჩამონგრევის შიშით.

შენობის ქვედა მხარე აშკარად ორი გამიჯნული ნაწილისაგან შედგება. ერთია ფლეთილი ქვით ნაგები კედლები, რომლებიც სამი სართულის სიმალეზეა შერჩენილი და მეორე — მის შიგნით თლილი ქვის კვადრებით ნაგები, განიერთალებიანი პილონები (ტაბ. XXII—1). ამ უკანასკნელის დანიშნულება გაუგებარია, რადგან არ ირკვევა ასეთი დიდი პილონების ფუნქცია⁸². თანაც აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შუა თალის არეში, გარე კედელში კარის კონტურია, მაგრამ მასაც არა აქვს გარკვეული ფორმა, რადგან გარედან არ ჩანს (გარედან მიწის მოცლაშაც ყველაფერი ვერ გაარკვია).



სურ. 21. ნოქალაქევი. ციტადელის შთავარი კოშკის მეორე სართულის გეგმა.

გრძელი შენობის გრძივ კედლებთან, დაბლა სამ-სამი თალია, მაგრამ გაწმენდამდე საბოლოოდ გარკვევა, თუ როგორ და რისთვის მოხდა მათი აგება, შეუძლებელია.

ამ თაღოვანი პილონების ზემოთ, გარე კედლებში, როგორც აღვნიშნეთ, ორი პერიოდის მშენებლობა ჩანს. ქვედა სამშენებლო ზოლი, რომელიც არათანაბრად გადის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე (აღმოსავლეთის კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია), ორიდან ოთხი მეტრის სიმალემდე

⁸² გ. ჩუბინაშვილმა 1928 წელს აღწერა ეს ნაგებობა, მაგრამ, ალბათ, მაშინ მიწით უფრო მეტად იყო დაფარული და კარგად ვერ დაუთარილებია. ამის შედეგად მან ქვედა კვადროვანი თაღები მშრალად ნაწყობად მიიჩნია (იხ. მისი—К вопросу о Нокалакеви.—Вопросы истории искусства. ტ. I, გვ. 96).

აღწევს, ზემოთ კი გვიანი საუკუნეების, ალბათ, დადიანების დროინდელი, დანაშენია. ქვედა კედლებში ჩანს სართულშუა გადახურვის საკოჭაეები (ტაბ. XXI—1). ამავე მონაკვეთზე, დასავლეთის მხარეს, შუაში რამდენიმე მეტრზე აგურის სამფენიანი წყობაა (ტაბ. XXI—1). ასეთივე, ე. წ. შერეული წყობა აღვწერეთ ქალაქის ქვედა ნაწილის იმ კოშკში, რომელიც ჩართულია სამხრეთ-ჩრდის გალავანში. ასე რომ, მათი აგება ერთ ეპოქაში ეკვს არ იწვევს.

ამ აღრეშუასაუკუნეების კედლის ზედა ნაწილის მონგრევის შემდეგ იგი აღუდგენიათ იმავე გაბარიტებში, მაგრამ სხვა სისტემით. ამ ახალ კედლებში სათოფეების მცირე რაოდენობაა და ისიც არაა გამოკვეთილი ფორმით, რაც თავისთავად სათოფეთა წარმოშობის აღრეულ ეტაპზე მიუთითებს. ეს ეტაპი ჩვენ XVI საუკუნედ მიგვაჩნია⁶⁸. სამწუხაროდ, თარიღის უფრო დაზუსტება ვერ ხერხდება სხვა მონაცემების უქონლობის გამო. სამხრეთის კედლის ზედა ნაწილში გვერდიგვერდ განლაგებული სამი საკვამელიც რაიმე დამახასიათებელი ფორმებით არ გამოირჩევა. რაც შეეხება კედლების წყობას, იგი კოშკივით ოდნავ ზედაპირმოსწორებული ქვითაა ნაგები, ისე, როგორც პირველი და მეორე პერიოდის გალავნები.

მეორე კოშკი, რომელსაც თითქმის მთლიანად მოკავებული აქვს ციტიდელის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე, თავისი საერთო მასშტაბით, მცირედ ჩამოუვარდება პირველს, მაგრამ იმაზე მეტადაა დაზიანებული (ტაბ. XXI—2). საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ აქ სამი სამშენებლო ფენა მაინცაა. გარედან ეს ფენები არ იმიჯნება, ისევე როგორც შიგნით. გაწმენდის დაწყებამდე, ქვემოდან ზუთიოდე მეტრის სიმაღლეზე, დაგვხვდა კუბური მასა, ზემოთ კი გამოიყოფოდა პატარა კოშკი ეზოთი. ქვედა კუბური მასა გარედან ყრუა. ვიწრო კოშკი აღმართულია აღმოსავლეთის მონაკვეთის შუაზე. მას ჩრდილოეთით კიდევ პატარა ეზო ახლავს, სამხრეთით კი ტალანია, რომელიც უერთდება დასავლეთის დიდ ეზოს. ამ უკანასკნელის კედლებში ერთი თუ ორი უსახო ხერელია, რომელიც სათოფეს მოგვაგონებს. კოშკისა და გალავნის კედლებში სხვა დეტალი არაა შემორჩენილი. კედლები ნაგებია ოდნავ დამუშავებული ქვით.

ამ კოშკის დასავლეთით მდებარე ზედა ეზოს გაწმენდას ჩვენ მთელი ერთი სეზონი (1982 წ.) მოვანდომეთ, მაგრამ რთული პირობების გამო ვერ დავაბთავრეთ. ე. წ. ეზოს ქვეშ აღმოჩნდა დარღვეული ორი თუ სამი სამშენებლო ფენა. ერთი მათგანი უფრო მკვეთრად განსხვავებულია. ესაა რომელიღაც შენობის (კოშკის?) ორი კედელი, რომელიც აგებულია თლილი ქვის კვადრებით. ჩრდილოეთის მხარეს კარიც კი გამოჩნდა. დანარჩენი კედლების ვამოვლენის შემდეგ შეიძლება გაირკვეს მისი დანიშნულება. საქმეს ართულებს შემდეგი დროის დანაშენები და დანგრეული კედლები. კოშკის დანარჩენი ნაწილების გაწმენდა ჯერ არ დაგვიწყია.



კოშკის შიდა ეზოს გაწმენდასა აღმოჩენილი მცირე რაოდენობის კერამიკული მასალა IV—VII საუკუნეებში თავსდება. უფრო ზუსტად დამათარიღებელი მასალა აქ არ ამოსულა.

გალავნის ჩრდილო ხაზზე კიდევ ერთი მცირე ზომის კოშკია მიდგმული (სურ. 1). მისი კედლები ორ მეტრამდეა შერჩენილი და კარი, ან სხვა ელემენტი არ ახლავს. მისი თხელი კედლები და მცირე ზომები ორ სართულზე

⁶⁸ П. П. Закарая. Древние крепости Грузии. Тбилиси, 1969, с. 216—219.

მეტს ვერ აიტანდა. იგი უფრო დამატებით სათვალთვლო პუნქტად უნდა წარმოვიდგინოთ.


ციტადელის შიგნით, ეზოში, რამდენიმე ადგილზე გაკეთდა საცდელი თხრილი, მაგრამ შენობების კვალი არ აღმოჩენილა. მხოლოდ ერთგან — „ჩიხასა“ და




22. ნოქალაქევი. ციტადელის მთავარი კოშკისა და სასახლის ფასადი და განაკვეთი.

დასაღვლეთ გალავნის კუთხეში — ეტყობა, ნაგებობა იყო, მისგან მხოლოდ გალავანზეა შემორჩენილი ფრაგმენტი. გათხრებმა შეიძლება ნაგებობის ხა-
ძირკველიც გამოავლინოს.

ახლა ვადავლივართ ციტადელის მისადგომების განხილვაზე. პირველად უნდა შევხვთ გზის საკითხს. ციტადელის ყოველ მხარეს ამჟამად დაბურული



0 2 4 68



სურ. 23. ნოქალაქევი. ციტადელის ციხისთვის სასახლის ფსაღი და განაკეთი.



1. ნოქალაქევი, ხელი დასავლეთიდან.




2. ნოქალაქევი, ნაქალაქარის აღმოსავლეთი მონაკვეთი.



3. ნოქალაქევი. გალავანი ფერდობზე.



4. ნოქალაქევი. ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთი.



5. ნოქალაქევი. გალავანი გარედან.



6. ნოქალაქევი. გალავანი ეზოდან.



7. ნოქალაქევი. «ორმოცოწამეთა» ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



8. ნოქალაქევი. ჭიშკრის კოშკი სამხრეთ-დასავლეთიდან.



9. ნოქალაქევი. მეფეთა პირველი სსახლის ნაშთი.



10. ნოქალაქევი. მეფეთა მეორე სსახლე დასაღვლითიდან.



11. ნოქალაქევი. ციხედელზე „ჩიხა“ დასაველეთიდან.



12. ნოქალაქევი. „მისარონის“ ეკლესია ციხედელზე.




13. ნოქალაქევი. სამხრეთის კოშკი ეზოდან.



14. „საკლანდარაშვილო“. ციხე დასავლეთიდან.



15. კოტიანეთი. ციხე დასავლეთიდან.



16. ახვლეტი. ციხე დასავლეთიდან.

ტყეა. ციტადელზე ასასვლელი გზის ძებნა პირველივე წელს დავიწყეთ, მაგრამ ფრაგმენტის მეშვეობით მხოლოდ სავარაუდო ხაზი დავადგინეთ. იგი იწყებოდა ქალაქის ჰიშირიდან სამასობდე მეტრზე აღმოსავლეთით და კლავნილი ხაზით ციტადელის სამხრეთის კედლის ბოლოს მდებარე მცირე კარს ადგებოდა. აქედან კი მისი გაგრძელება სამხრეთის გალავანს მიუყვებოდა და იმავე დასავლეთის გალავანის ბოლოში მდებარე მეორე მცირე კარს ადგებოდა. ამ საურმე გზის ხაზზე, ალბათ, სადღაც იყო ქალაქის ქვედა ნაწილისა და ციტადელის აღმოსავლეთიდან შემომსაზღვრელი კედელი, მაგრამ ექსპედიციას ჭერ ამ მონაკვეთში არ უმუშავებია და ამიტომ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის ამ შუა მონაკვეთის შემომსაზღვრელი გალავანის მცირე ნაშთი (სურ. 1) დაგვხვდა მოპირდაპირე მხარეზე ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის კუთხერში. ეს ორი კედელი კონსტრუქციულად ებმებოდა ერთმანეთს, რაც მათ თანამედროვეობაზე მიუთითებს (ეს ფაქტი დაფიქსირებულია 1978 წლის ტაპო-გეგმავზე). სამწუხაროა, ეს გალავანი, როგორც ეტყობა. ციკაბო კლდე მიუყვებოდა და კლდის ჩამოშლას გალავანიც თან ჩაუტანია და მხოლოდ მცირე ნაშთებია აქა-იქ დარჩენილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთით ის მაღალი და ვიწრო ქედი, რომელიც ციტადელს ებჯინება, გალავნიდან ასიოდ მეტრზე იყო ჩაკეტილი. ფაქტიურად ეს იყო უღელტეხილი, რომელზედაც გადიოდა საურმე გზა. ეს ეზა ქალაქს აკავშირებდა (მდ. ტეხურის ამჟამინდელი გზის გარდა) ჩრდილოეთით მდებარე სოფლებს. ეს უღელტეხილი ჩვენ ამოვავეთ სამანქანო გზის გაყვანის დროს.

ციტადელის დაგეგმარების დროს მხედველობაში მიუღიათ მთის წვერის რელიეფი და კედლებიც შესაფერისად გადაუწყვეტიათ. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეებზე შედარებით ძლიერი დამრეცი ფერდობებია, ამიტომ აქ მხოლოდ კედლის ერთი ხაზია, რომელიც სისქით მერყეობს 120—140 სანტიმეტრს შორის. კედლებს, არც შიგნითა და არც გარეთ, კონსტრუქციის ან სხვა მინაშენი არა აქვს. ორივე ხაზი ძალზე დაზიანებულია და ორი სამშენებლო ფენა ჩანს. ორივე ყორე ქვითაა ნაგები, მაგრამ ქვედა ფენის ქვები უკეთაა დამუშავებული და უფრო დიდებია. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ მონაკვეთზე არ არის კედლების ზედა ნაწილი დარჩენილი. ასე რომ, არ დგინდება, თუ როგორ მთავრდებოდა გალავანი — დასავლეთის გალავანის სიმაღლე 3—5 მეტრზეა შერჩენილი, ხოლო ჩრდილოეთისა 1—3 მეტრზე.

მტრის შიში ციტადელს, როგორც გალავანის გადაწყვეტიდან ჩანს, სამხრეთიდან მოელოდა. ქალაქიც აქეთაა, მთის ფერდობი ამ მხარეზეც დაქანებულია, მაგრამ არა იმდენად, როგორც სხვა მხარეებზე. ამ ფერდობზე კაცი აღვილად მოიკიდებდა ფეხს და შეტევატ შეეძლებოდა, მხოლოდ მძიმე ტექნიკას ვერ გამოიყენებდა.

გალავანის სამხრეთის ხაზზე აშკარად იკვეთება სამი სამშენებლო ფენა, მაგრამ ზოგან სხვა ოსტატის ხელიც ჩანს. კედელი ნაწილობრივია გაწმენდილი ეა მის მთლიანად გაწმენდას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება. დღესდღეობით შემდეგი სურათი ჩანს: 1,6 მეტრის სისქის ქვედა კედელი ნაგებია საკმაოდ კარგად თლილი ქვით (ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათია გარედან. შიგნიდან მიწაა მიღესილი და კედელი მხოლოდ ზოგან ჩანს). გარედან გაწმენდამდე კედელი ჩანს 4—5 მეტრის სიმაღლეზე. კედლის ამ ფენაშია დასავლეთით, კედელში მდებარე ის კარი, რომელიც აღრე განვიხილეთ.

ციტადელის გალავნის სამხრეთის ხაზის დაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით ახალი სისტემა შეუქმნიათ. ესაა საბრძოლო ბილიკი, რომელიც აღწერილ გალავანზე შიგნიდანაა დამატებული (სურ. 12 დ, XX-გ).

საბრძოლო ბილიკი ანუ მეომართა სავალი ჩვენ ვნახეთ ქალაქის ქვედა ნაწილში, სადაც ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო კედლების სისქის ანგარიშზე. აქ შეუძლებელია თავიდანვე არ გაეთვალისწინებინათ ბილიკი ქონგურებით, მაგრამ ბილიკის სიგანემ (ალბათ დაახლოებით ერთი მეტრისა იქნებოდა) ვერ დააკმაყოფილა და ქალაქის მესვეურთა გადაწყვეტილებით იგი გააძლიერეს. ამ მიზნით, არსებულ გალავანზე, შიგნიდან პერპენდიკულარულად, 2—2,5 მ ინტერვალით მიუშენებიათ 1,5 მეტრი სიგრძისა და 0,75 მ სიგანის კედლები. ამჟამად ეს კედლები თითქმის ერთ დონეზეა გადარღვეული და როგორ მთავრდებოდა, არ ჩანს, მაგრამ ანალოგიებით ამის დადგენა შეიძლება.




სურ. 24. ნოქალაქევი. ციტადელის მთავარი კოშკისა და სასახლის აღდგენის პროექტი.

VI საუკუნეში აგებული პეტრას ციხის (დღევანდელი ციხისძირი) ციტადელზე ასეთივე სისტემაა გამოყენებული. ერთგან, არსებული ფრაგმენტის მიხედვით, გარე კედელზე შიგნიდან პერპენდიკულარულად მიშენებულია მოკლე კედლები, რომელთაც ზემოთ თაღები აკავშირებთ. თაღების ზემოთ კი მებრძოლთა სავალია შექმნილი. იქვე გარე კედელს ქონგურები ექნებოდა, მაგრამ არაა შემორჩენილი. ნაშთების მიხედვით, ასეთივე გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო რუსთავის ციხის იმ ფრაგმენტზე, რომელიც აღრეშუასაუკუნეებით თარიღდება⁶⁴. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე ხერხია გამოყენებული:

⁶⁴ კ. მელითაური, აღრეფეოდალური რუსთავის ციხის კონსტრუქციები. — ძეგლის მეგობარი, № 51, თბ., 1979, გვ. 24—31, სურ. 1, 3, 4.

ადრეული შუასაუკუნეების ეგვიპტისა და იბერიის ტერიტორიაზე განლაგებულ ციხეებზე. ქართული ფორტიფიკაციის ისტორიისათვის აქ მიღებული დასკვნა მნიშვნელოვანია.


ნოქალაქევიში გალავანზე მიდგმულ შვერილ კედლებს შორის არ არის დაცული თანაბარი მანძილი, რაც ერთგვარად ხელს უშლის მათი ზედა ნაწილების თაღებით შეკვრის გადაწყვეტის საქმეს. მიუხედავად ამისა, თაღებით გადაწყვეტა მაინც რჩება პირველ ვარიანტად. ამავე დროს, იბადება მეორე ვარიანტი: შვერილები ზემოდან შეერთებული იქნებოდა ფიციანაგით. პირველი და მეორე ვარიანტის შემთხვევაში საშენ მასალათა განსხვავებას მებრძოლთა სამოძრაოდ არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მხოლოდ ხანძრის შემთხვევაშია ხის მასალა ნაკლებად საიმედო.



სურ. 25. ნოქალაქევი. ციტადელის მოავარი კოშკის აღდგენის პროექტი.

ნოქალაქევიში გალავანსა და მერე მიდგმულ კედლებს შორის განსხვავებაა საშენი მასალისა და წყობის ტექნიკის მხრივაც. პირველი საშენებლო ფენა თუ მარტო სანახევროდ დამუშავებული ქვითაა ნაგები, მეორე ფენას აგური ურევია. ამავე დროს, ამ მინაშენებში ქვა ფლეთილია და წინანდელთან შედარებით პატარა ზომისაა. აგურის ფენა კი სამ-სამი რიგისაგან შედგება აგური გამოყენებულია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ჩიხას“ დასაველეთის კედელში და ქალაქის ქვედა მონაკვეთის სამხრეთის კოშკის შიდა მხარეს. სამივე შემთხვევაში აგურს მცირე რაოდენობით იყენებენ და ისიც არა მთლიან შრეებად, არამედ ნაწილობრივ, აქა-იქ. ვფიქრობთ, რომ აგურის გამოყენების ეს სისტემა, შერეული წყობა; უფრო მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე მიგვიჩვენებს, ვიდრე გვიანდელზე (ტაბ. XXI—1).

ქალაქის გამაგრების სისტემის განხილვამ აშკარად დაგვანახა მისი მაღალი თვისებები. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ქალაქის გალავანი არაერთხელ ყოფილა დაზიანებული. მაგრამ მისი საბოლოოდ მოსპობა მტრებმა მაინც ვერ შეძლეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული... შე-
 ჰუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი“⁶⁵.
 აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ არაბებმა ქალაქი საბოლოოდ
 მწყობრიდან ვერ გამოიყვანეს, ე. ი. VIII ს. 30-იანი წლებიდან მას კიდევ
 გაუგრძელება არსებობა და შხოლოდ „შემდგომად მოოხრდა ქალაქი“. სამ-
 წუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია იმ საბუთებს, რომლებზედაც ეყრდნობოდა
 ქალაქმა რომ მცირე მასშტაბით გააგრძელა ცხოვრება, ამაზე ნაგე-
 ზობების გადაკეთებებიც მეტყველებს და არქეოლოგიური მონაპოვარიც (არ-
 ქეოლოგიური მონაპოვრით ქალაქის ცხოვრება მცირე მასშტაბით IX—X საუ-
 ეუნებშიაც გრძელდება).



სურ. 26. ნოქალაქევი. ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის გეგმა.

მიუხედავად იმისა, რომ მატრიანეთა ფურცლებზე არ არის დარჩენილი
 ფაქტი ქალაქის აღებისა, მასზე აშკარად მეტყველებს გათხრები. ქალაქის ქვე-
 და მონაკვეთის ტერიტორიაზე, თითქმის ყველგან, შეხვდებით დანახშირებულ
 ფენებს, რაც მტრის მოქმედების აშკარა კვალია.

ჩვენამდე მოაღწია ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნო-
 ბამ, სადაც მოთხრობილია ქალაქის ალყაზე, ეს ვრცლად აღწერს ეგრისის ის-
 ტორიას, დაკავშირებულს ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესებთან. მათი ინტე-
 რესები ისე გადაეჭაჭვა ეგრისის მიწაზე, რომ ძნელი იყო თავის დაღწევა.
 მაგრამ ეგრისელი თავგამოდებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ცხა-
 დია, მეტად ძნელი იყო ბრძოლა მაშინდელი მსოფლიოს ორი უდიდესი იმპე-
 რიის წინააღმდეგ, მაგრამ ცდა არ დაუკლიათ და შედეგიც სახეზეა.

პროკოპი კესარიელი ვრცლად აღწერს იმპერატორ იუსტინიანე I-ის
 (527—565 წწ.) ომებს. ზოგიერთ მათგანს, რომელშიც ნაჩვენებია არქეოპო-

⁶⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, ვვ. 166—167.

ლისის სიმბტიკე, აქვე მოვიყვანთ. შედარებისათვის, თუ როგორ მსჯელობდნენ მაშინ, დაეწიებთ სხვა ციხიდან.

სპარსელები შემოვიდნენ იბერიიდან და სურთ განდევნონ ეგრისიდან ბიზანტიელები და თვით დაიპყრონ იგი. ჯარს მოუძღვება მერმეროე, „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი (ვარდციხე — პ. ზ.), რომელიც ყველაზე უწინარეს ხედებოდა გზაზე იბერიიდან კოლხეთში შემოსულთ. ადგილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწისთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა. სპარსელებმა რომ გაიგეს ეს, მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ, მერმეროემ რომ შეიტყო, მოწინააღმდეგენი მდინარე ფაზისის შესართავთან დაბანაკებულანო, გაემართა მათ წინააღმდეგ. ის უმჯობესად თვლიდა ჯერ ესენი გაენადგურებინა და ისე შემოერთყა ალყა არქეოპოლისისათვის, რათა ისინი ზურგში არ მოქცეულიყვნენ და სპარსთა ჯარისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. არქეოპოლისის ზღუდეს რომ მიუახლოვდა, გამაღიზიანებელი დაცინებით მიესალმა იქ მყოფ რომაელებს“. შემდეგ მოთხრობილია მათი პასუხი და მერმეროეს გამგზავრება ფაზისის შესართავისაკენ. იქიდან ბიზანტიელთა ჯარი წასული რომ დახვდა, ისეც დაბრუნდა არქეოპოლისში. შემდეგ აღწერილია არქეოპოლისის მდებარეობა და მისი წყლით მომარაგების საკითხი, რომლებიც ჩვენ ზემოთ სხვადასხვა ადგილას განვიხილეთ. გაგრძელება კი ასეთია: „რადგან მერმეროე მოწადინებული იყო და ცდილობდა მთელი თავისი ძალით ჰკვეთოდა აქ ზღუდეს, შემდეგნაირად მოიქცა. პირველ ყოვლისა საბირებს უბრძანა გაეკეთებინათ კრიოს მანქანები, კარგა ბლომად, და ისეთები, რომელთა ტარებასაც შესძლებდნენ ჯარისკაცები მხრებზე, რადგან ჩვეულებრივი მანქანების მოტანას ვერაფერით შეუძლებდა ვერ შესძლებდა ის არქეოპოლისის ზღუდესთან, რომელიც მთის ძირში მდებარეობდა; მას კი სძენოდა, რაც რომაელთა მოკავშირე საბირებს მოემოქმედათ პეტრას ზღუდესთან ცოტა ხნის წინათ, მისდია გამოგონებელთა კვალს და სურდა ეს გამოცდილება გამოეყენებინა. მათაც ბრძანება შეასრულეს; უმაღლეს ააგეს უამრავი კრიო იმართადე, როგორც — ზემოთქმულისა არ იყოს, — ამის წინ აუგეს საბირებმა რომაელებს. შემდეგ კი გზაენის ეგრეთ წოდებულ დოლომიტებს ქალაქის დაქანებული ადგილებსაკენ და ავალებს მათ მთელი თავიანთი ძალით შეავიწროვონ იქ მყოფი მოწინააღმდეგეები... ისინი (დოლომიტები — პ. ზ) ყველანი ქვეითად იბრძვიან, თითოეული მათგანი ატარებს მახვილსა და ფარს და ხელში ს:ში ხელშუბი უჭირავს. ისინი მარდად ხტან, როგორც კედლებსა და მთის მწვერვალებზე, ისე ტრიალ მინდორზე. ამიტომაც მერმეროემ აქ უბრძანა მათ იერიშის მიტანა, თვითონ კი მთელი დანარჩენი ჯარით წაუძღვა კრიოს მანქანებსა და სპილოებს და ქვემო კარისაკენ გაემართა. სპარსელებმა საბირებთან ერთად ხშირ-ხშირად დაუშინეს კედელს და ისრებით მტვერი აადინეს იქაურობას, ისე რომ, ცოტა დააკლდათ კინაღამ აიძულეს იქ მყოფი რომაელები დაეტოვებინათ კოშკები, ხოლო დოლომიტებმა კედლებიდან შუბაკები დაუშინეს ზღუდის შიგნით და კიდევ უფრო მეტი ზარალი მიადევენ პირდაპირ მყოფ მტერს. რომაელთა საქმეები ყველგან გაფუჭდა და საფრთხეში ჩავარდა: ისინი უქილურეს ვაჰირეებში აღმოჩნდნენ, მაშინ ოღონაქემ და ბაბამ (ბიზანტიელთა სარდლები — პ. ზ.) — სივადკაცე გამოიჩინეს თუ ჯარისკაცთა გამოცდა უნდოდათ, თუ რამ საღმრთო ძალამ აამოძრავა ისინი — რამდენიმე ჯარისკაცი დაიბარეს და დაავალეს მათ კ ბ ი ლ ა ნ ე ბ ი დ ა ნ მ ო ე გ ე რ ი ე ბ ი ნ ა თ

მოიერიშენი (ხაზი ჩენია — პ. ზ.), ხოლო დანარჩენი ჯარისკაცები შეკრიბეს და მიმართეს მათ მოკლე მოწოდებებით... ესენი (რომაელები — პ. ზ.) სპარსელებს უცებ დაესხნენ თავს, ამ მოულოდნელი თავდასხმით დაარეტიანეს ისინი და ბევრნი მოკლეს ისე, რომ ვერც შეებრძოლნენ და განძრევაც ვერ გაბედეს მათ წინააღმდეგ. სპარსელები ხომ არასგზით არ მოელოდნენ, რომ მტერი, რომელიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, გამოვიდოდა ციხიდან და შეუტევდა მათ, ამიტომ ისინი ერთმანეთის შორის-შორის იდგნენ, როგორც საიერიშოდ და უმწყობროდ იყვნენ, ზოგიერთებს კრიოს მანქანები ეჭირათ მხრებზე და უიარაღონი იყვნენ და ცხადია, ბრძოლისათვის მოუშალაღებლნი; დანარჩენებს კადჯე დაკომული მშვილდები ეჭირათ ხელში და ზედ წამომდგარ მტერს ვერაეითარი ხერხით ვერ მოიგერიებდნენ. ასე ცელავდნენ რომაელები და ელტდნენ სპარსელებს მარჯვნივ და მარცხნივ. ამ დროს მოხდა შემდეგი ამბავი: ერთი სპილო — დაჭრილი, როგორც ზოგიერთები ამბობენ, თუ თავისთავად აღბორცებული — უთავბოლოდ შემოტრიალდა, ყალყზე შედგა, მასზე მჯდომნი გადმოაგდო, სხვები კი დაქსაქსა. ამის გამო ბარბაროსებმა დაიწყეს უკან დახევა, რომაელები კი უშიშრად დაედევნენ მათ და ვინც კი შეხვდებოდათ, კლავდნენ... რომაელებმა ხელთ იგდეს სპარსელთა ოთხი დროშა, რომლებიც მაშინვე მეფეს გაუგზავნის ზეზანტიაში...“⁶⁶.

აქ ეს ამონაწერი ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ იგი შეიცავს მრავალმხრივ საინტერესო ცნობას. ამას გარდა, ასეთი დიდი ისტორიის მქონე ძეგლზე ბრძოლასთან დაკავშირებით ამის მეტი სხვა ცნობა არ გაგვაჩნია⁶⁷.

მოყვანილი ამონაწერიდან ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორ იყო გამაგრებული VI ს. შუა ხანებში (კერძოდ, ეს ომი მოხდა 551 წელს) ქალაქი არქეოპოლისი. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელებს მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ, ხოლო დამცველებს შესამჩნევად მცირე, მათ მაინც ვერ აიღეს ქალაქი.

სპარსელთა მრავალრიცხოვნობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ბრძოლისას მათ დაჟარგეს ოთხი ათასი მეომარი, მათ შორის სამი სარდალი. მიუხედავად ამ ზარალისა, მერმეროე დარჩენილი ჯარით მოხირისში მიდის და ქუთაისში ზამთარს რომ არ მოესწრო, იგი კიდევ აპირებდა ომის გაგრძელებას. ამას გარდა, იმავე პროკოპოსთან ცოტათი ქვემოთ ვკითხულობთ, რომ მერმეროემ სხვადასხვა გზით ხელში ჩაიგდო უქიმეორიონის ციხე. მან ქუთაისის ციხეს ხის კედელი შემოავლო და შიგ მცველად „არანაქლებ სამი ათასი კაცისა“⁶⁸ ჩააყენა: „უქიმეორიონშიც დატოვა საკმაო ხალხი“⁶⁹ და თვითონ ჩადგა შორაპნის ციხეში. როგორც ვხედავთ, არქეოპოლისთან დამარცხებისა და მას შემდეგ რაც მან 4000 მეომარი დაჟარგა, სამ ციხეში აყენებს ჯარს და როცა გაიგო რომაელები და ლაზები ფაზისის შესართავთან შეყრილანო, იქითკენ გაეშურა. როგორც ეტყობა, მას თან კიდევ იმდენი ჯარი ჰყავდა, რომ მისი მიახლოვებისას, შიშით რომაელები და ლაზები იმ ადგილს გაეცალნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, — მერმეროე არქეოპოლისის კედლებს უტევდა დიდძალი ჯარით (ყოველ შემთხვევაში, ჯარის რაოდენობა ოთხი ათასს ბევრად აღემატებოდა).

⁶⁶ პროკოპი, გვ. 186—194.

⁶⁷ იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1951, გვ. 255—257.

⁶⁸ პროკოპი, გვ. 205.

⁶⁹ იქვე.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ციხეში საშენ მასალად ქვაა გამოყენებული, მაგრამ ყოფილა გამოწვლინებები.

კოლხეთში ხე-ტყე ბლომად იყო და მისი გამოყენება სიმაგრეების ასაშენებლად ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ყველა ეს სიმაგრე დროებითი უნდა ყოფილიყო.

თქმულის საილუსტრაციოდ ავათია სქოლასტიკოსის ნაშრომიდან ერთ ამონაწერს მოვიტანთ: „ნახორაგანმა... ვადაწყვიტა ქალაქ ფაზისისაყენ წასულიყო და იქ გამოეწვია რომაელები. მისი აზრით, იქაური სიმაგრის აღება ძალიან ადვილი იყო, რადგან მთლიანად ხისაგან იყო აგებული“⁷⁰.

ასეთ კედლებს „ცეცხლიან ისრებს სტყორცნიდნენ, ცულებით მიჰქონდათ იჭრიში კედელზე, — კედელი ხომ ხისა იყო და ასე ადვილად შეიძლებოდა მისი დაჩეხვა“⁷¹. როგორც მოსალოდნელი იყო, ხის კედლებს ცეცხლსაც ადვილად უეიდებდნენ და ცულებით ჩეხდნენ.

„ხის კოშკი“ ყოფილა აგრეთვე პეტრას ციხეში. ამ ქვის ციხის ნანგრევებში ახლაც შეამბეჭდავია, თორემ 550 წელს, როცა იქ ბრძოლები მიმდინარეობდა, ცხადია, ციხე მძლავრი იქნებოდა, მაგრამ ხის კოშკი შაინც ჰქონია. ახლა ამის ახსნა ზუსტად ძნელია, მაგრამ შეიძლება ვარაუდის გამოთქმა. ხის კოშკის დროებითი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ბრძოლების დროს დარღვეული კოშკის მაგიერ ხისა ააგეს, ან ისევე, სიჩქარეში ახალი კოშკი დაუმატეს.

პროკოპის მიხედვით ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ რომაელთა მერ პეტრას ციხის აღება ხის კოშკის სისუსტეს მიეწერება. მასთან ვკითხულობთ: „სამხრეთის საშინელი ქარი დიდი ხმაურით ეკვეთა მათ და კოშკის ერთი ფიცარი გადაწვა რალაცნაირად... ალი თანდათან მოვლო და მდევას სახელით ცნობილ ზეთისა და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა წყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი სპარსელები გადაწვა...“⁷².

სწორედ დროებითი სიმაგრეებისთვის რომ იყენებდნენ ხის მასალას, ამაზე პროკოპისთან ვკითხულობთ: „რადგან უკვე ზამთრის უამი იყო დამდგარი, მერმერომ ხის კედელი ააგო კოტაისში და ჩააყენა იქ სპარსელ მეომართაგან შედგენილი მცველი რაზმი“⁷³.

როგორც აღვნიშნეთ, ეგრისში ციხეებს დროებით ხისაგან აგებდნენ, ჩვეულებრივ, მათ მხოლოდ ქვისგან აშენებდნენ.

ადრეფეოდალურ ხანაში თუ როგორ იყენენ შეიარაღებული როგორც ადგილობრივნი, ისე დამპყრობნი, ბიზანტია და სპარსეთი, ამაზე ზოგადი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ბიზანტიელთა ცნობებიდან; ისინი ამა თუ იმ ომის აღწერის დროს ახსენებენ მეომრის აკაზმულობას, თუ საერთოდ საბრძოლო საშუალებებს⁷⁴.

მაგალითად, მიდიელ მეომარს მუზარადი ეხურა და ფარი ეჭირა⁷⁵. ევრიელ მეომარს მუზარადი რომ ეხურა და ჭაქვის პერანგი ეცვა, ამაში ჩვენ

⁷⁰ გეორგია, II, გვ. 175—176.

⁷¹ გეორგია, III, გვ. 79.

⁷² იქვე, გვ. 114.

⁷³ პროკოპი, გვ. 203.

⁷⁴ შეიარაღებაზე ზოგადი წარმოდგენა გვაქვს-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ წყაროებში ძირითადად ცნობები ენება სპარსელებს, ბიზანტიელებს და სხვებს, მაგრამ ევრიელთა შეიარაღებაც იგივე უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი აღნიშნულ სამყაროში ცხოვრობდნენ და მათ ებრძოდნენ, ან რომელიმეს მხარეზე იბრძოდნენ.

⁷⁵ გეორგია, III, გვ. 114.

დაგვარწმუნა კიშკართან გადმონგრეული გალავნის ქვეშ მოყოლილმა ჩონჩხმა, რომელიც 1976 წელს აღმოჩნდა.

მეომარს, ცხადია, მუზარადი თუ ჰქონდა, აბჯარიც ექნებოდა. გარდა ამისა, ომის დროს, მტრის დასაშინებლად, სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ. კერძოდ, იქვე ვკითხულობთ: „ატყდა საშინელი ხმაური და ორივე მხრით საყვირებმა საომარი ხმები ააქლერეს. სპარსელებმა ბობლანს (ბობლანი საბას შინდელით დაფდაფია — პ. ზ.) დაჰკრეს და საზარლად ახმაურდნენ მტრის დასაშინებლად; ცხენების ქიხინი, ფარების ერთმანეთზე ცემა და აბჯარიც 3 ის ე ლ ა რ უ ნ ი რაღაც საშინელი ხმით ირეოდა ჰაერში“ (იქვე, გვ. 115).

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მეომრის აღჭურვილობა ძვირფასი იყო და მას ისე იოლად ვერ შეეღებოდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ ბრძოლაში სპარსელთა დამარცხების შემდეგ, რომაელებმა „მოწინააღმდეგეთა გვამებსაც კი საჭურველი აპყარეს და ხელთ იგდეს ურიცხვი იარაღი და სხვა ქონებაც. დაღუპულთაგან ზოგიერთი მარტო ფარსა და აბჯარს კი არ ატარებდა და აპარსს, არამედ ოქროს ძეწყვებს, ყელსაბამსა და საყურეებსაც...“ (იქვე. 122).

მეომარს მახვილიც რომ ჰქონდა, ამაზე ცნობას (გვ. 116) ავტორი იძლევა სპარსელებისა და რომაელების ერთ-ერთი ბრძოლის დროს: „მაშინვე დაიწყეს ბრძოლა ზოგმა სარისებით, სხვებმა კიდე მახვილებით“.

ფოთთან ბრძოლის აღწერისას აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ რომაელთა ჯარის ერთი ნაწილი იყო „ფარებითა და შუბებით შეიარაღებული“, ხოლო ერთ-ერთი სარდალი იყო „მძიმედ შეიარაღებული ჯანები“. იქვე გვჩვენდება აღწერა, კერძოდ: „ისაგრიელები... შურდულებითა და ხელშუბებით იყვნენ შეიარაღებულნი“⁷⁶. ხელშუბები, ჩვეულებრივის გარდა, სპეციალურად დამზადებულიც ყოფილა. „საგანგებოდ დამზადებული ხელშუბები, დიდის ძალით გასროლილი, შორს აღწევდნენ, ისე რომ, ბევრი შორით მიმავალი ბარბაროსიც მათი ცხენებითურთ, უჩინრად განგებისა და მოულოდნელად, ძირს დასცა“⁷⁷.

ბრძოლის დროს შორს სასროლი იარაღი ძირითადად იყო მშვილდისარი და შურდული. ისარზე, აი, რას წერს აგათია ფაზისის ციხესთან ბრძოლების დროს: სპარსელები „უბად ეცნენ ზღუდეს: იმათ უფრო მეტის სიმძლავრით დაუშინეს ისრები, რომ ამით თავზარი დაეცათ რომაელებმათვის... ისრები ხშირ-ხშირად და ერთბაშად მიდიოდა, ერთიმეორეს შიპყებოდა, მათ მთელი პაერი დაფარეს. დაფარეს თავისი სიხშირით და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ისინი ერთმანეთს შეხორცებოდნენ, თითქოს ნამქერი ამოვარდნილიყო ან დიდი სეტყვა მოსულიყო საშინელ ქართან ერთად“ (გვ. 113).

ეს ისტორიკოსი პირდაპირ საოცრებას აღწერს ისრების რაოდენობაზე. რისინი ერთმანეთს მიპყებოდნენ, ერთმანეთს შეხორცებოდნენო, თითქოს ნამქერი, ან დიდი სეტყვა მოსულიყოო. ქეშმარიტად სურათი მეტად შთაბეჭდავიან იმავე აგათიას შურდულის გამოყენებაზე და მის შედეგებზე კარგი მაგალითი აქვს მოყვანილი. ქალაქის დამცველები სპარსელების შემოტევას გალავნიდან მრავალმხრივ იცავდნენ. დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა „მცირე ქვები, შურდულით გასროლილი, მთიელთა მუზარადებსა და

⁷⁶ გეორგიკა, III, გვ. 101.

⁷⁷ იქვე, გვ. 115.

ფარებს ტეხდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ მიდიელებს კედელს მიახლოებოდნენ, რადგან ძალიან უშლიდნენ ხელს⁷⁸.

ციხის ალების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა სპალიონები. თუ რას წარმოადგენდა სპალიონი, ამაზე გარკვევით გვიყვება აგათია სქოლასტიკოსი. ონოგურისის ციხის ალების სამზადისისას რომაელები, რომლებიც დაბლობში იყვნენ დაბანაკებულნი, „ამზადებდნენ ეგრეთწოდებულ სპალიონებს, ღიდი ქვების სატყორცნელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ზღუდისათვის დაეშინათ. სპალიონი წნელისგან არის დაწნული. სახურავის მსგავსად, ისე მკერივად, რომ ვერაფერი გაატანს ვერც ერთი ადგილიდან, ორივე გვერდი ქვევით არის ჩაქიმული და ირგვლივ ფარავს იმას, ვინც მის ქვეშაა მოთავსებული. ზემოდან ყველგან ბუწვებსა და ტყავებს აფარებენ და ისე მალავენ მანქანას, რომ სიმავრედ გამოდგეს და ისრების ამორება იქნეს შესაძლებელი; შოგ უშიშრად იმალებიან კაცები, უჩინრადაც ასწევენ მას და, სადაც სურთ, იქ გადაიტანენ. თუ ის კოშკთან ან ზღუდესთან იქნება რამენაირად მიტანილი, მაშინ ისინი, რომლებიც მის ქვეშ არიან მოთავსებული, ამოთხრიან ხოლმე მიწას და გასწმენდენ ამონათხარს. გააშიშვლებენ საძირკველს და, მის შემდეგ რაც მოქლონებითა და უროებით გამუდმებით სცემენ, ჩამოანგრევენ შენობას. აი, ამნაირად ემზადებოდნენ რომაელები ალყის შემოსართყემელად“⁷⁹.

იმავე აგათიასთან სხვადასხვა ადგილას ჩამდენი მეჭერაა საუბარი სპალიონზე. სპარსელებისა და რომაელების ერთ-ერთი ბრძოლის დროს ვკითხულობთ ავტორთან: „ბარბაროსები ძალიან იტანჯებოდნენ და წვალობდნენ, მაგრამ თავის დაცვაზე მაინც არ აუღიათ ხელი. ზოგიერთებმა მოიტანეს სპალიონი და ისე გაემართნენ რომაელთა საფრისაკენ იმ განზრახვით, რომ გაენადგურებინათ მათთვის ყველაფერი. მაგრამ დაიმალებოდნენ სპალიონში, ერთმა სკლავმა... შუბი ესროლა იმას, ვინც უკეთ ჩანდა, და სასიკვდილოდ დაქრა. ის რომ დაეცა, სპალიონი მაშინვე შეირყა და გადაყირადა და, როგორც კი შეზნექილი ნაწილი უკუღმა შემოტრიალდა, სპალიონში დამალული მეომრები მთლად გაშიშვლდნენ. რომაელებმა დაუშინეს სწრაფად ისარი და ყველანი ამოხოცეს“⁸⁰.

სპალიონის გამოყენების სხვა ხერხიც არის აღწერილი აგათიასთან. კერძოდ, ფოთის ციხის ალყის დროს (555 წ.) „ერთნი მანქანებს ეზიდებოდნენ და, ეგრეთწოდებული სპალიონების ქვეშ შემძვრალნი, ცეცხლიან ისარს სტყორცნიდნენ“⁸¹.

სპალიონი თავდამსხმელისათვის დიდი ძალა იყო, ამიტომ დამცველები სხვადასხვა გზით ცდილობდნენ მის მწყობრიდან გამოყენებას.

აგათიას სხვა შემთხვევაშიც აქვს აღწერილი, თუ როგორ გამოჰყავთ მწყობრიდან მტრის სპალიონი. ამაზე ვკითხულობთ: ციხის ზღუდის გალავნიდან „სპალიონებს ესროდნენ უზარმაზარ ქვებს, რომლებიც ყუთებს ანადგურებდნენ“⁸².

⁷⁸ გეორგიკა, III, გვ. 114.

⁷⁹ იქვე, გვ. 53.

⁸⁰ იქვე, გვ. 172—173.

⁸¹ იქვე, გვ. 113—114.

⁸² იქვე, გვ. 114.

როგორც ვხედავთ, სპალიონი ციხის აღებისას დიდ როლს თამაშობდა. ამ დროს მთავარი იყო გალავნთან მისვლა და შემდეგ ზემოდან გადასვლა, ან მისთვის ძირის გამოთხრა. ამ საქმისათვის სპალიონი ყველაზე უკეთესი მოწყობილობა იყო.

როგორც ვნახეთ, სპალიონის დახმარებით ზღუდესთან მიდიოდნენ, მაგრამ ამას გარდა იყო მანქანები, რომლებიც უშუალოდ ზღუდის სანგრევად იყო გამოიყენებოდა. სამწუხაროდ, წყაროებში არ არის აღწერილი კონკრეტულად თუ რას წარმოადგენდა ეს მანქანები, მაგრამ მათ გამოყენებაზე ხშირად საუბარი. აქ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ.

პროკოპი კესარიელს სხვებზე უკეთ აქვს აღწერილი ეს მანქანები და მათი გამოყენების ხერხები, მოქმედების შედეგები, ამიტომ აქ ამონაწერს ვრცლად მოვიყვანთ. იგი აღწერს პეტრასთან (ციხისძირთან) სპარსელებისა და რომაელების ბრძოლას. 550 წელს სპარსელები ციხეში არიან გამაგრებულნი, ხოლო რომაელები გარედან უტყვენ. რომაელებმა მოიშველიეს კავკასიის მთებში მცხოვრები საბირები. „ესენი რომ მივიდნენ იქ, რომაელთა ჯართან ერთად ზღუდის ბრძოლაში ჩაებნენ. როდესაც ამათ დაინახეს, რომ რომაელები ვაკირეებში არიან და არ იციან, როგორ უშველონ შექმნილ მდგომარეობას, გამოიგონეს რაღაც მანქანა, რის მსგავსიც არც რომაელთაგან და არც სპარსელთაგან ვინმეს — მას აქეთ, რაც აღამიანები არსებობენ — აზრად არ მოსვლია, თუმცა ორივე სახელმწიფოში ყოველთვის დიდი ყოფილა რიცხვი ოსტატებისა და ახლაც არის. თითოეულ ამ ქვეყანას ხშირად გამოუყენებია ყოველ ესე მანქანა, მკაცრ და ძნელმისაველ ადგილებში მდებარე სიმაგრეთა ზღუდეებს შებრძოლებიან; მაგრამ არც ერთს მათგანს აზრად არ მოსვლია ის, რაც მაშინ ამ ბარბაროზებმა ქმნეს; ესეთა მსველელობაში მუდამ ასე სჩვევია აღამიანთა ბუნებას ახალ გამოგონებათა მოპოვება“. ე. ი. მანქანა აუცილებელი და ჩვეულებრივი ყოფილა ციხეების ასაღებად. მერე პროკოპი აგრძელებს: „ესე საბირები იყენებენ ზღუდის მანქანას არა ისე, როგორც ამას ჩვეულებრივ აქვს ადგილი, არამედ სრულიად ახალი წესით. ამ მანქანაში ისინი ბოძებს კი არ სდებდნენ, სწორად ან მრუდდ, არამედ ერთმანეთთან გადაბმულ მსხვილ ჯონებს და ბოძების ნაცვლად ყველგან ამათ მოაწყობდნენ. მთელ მანქანასაც ტყავით დაფარავდნენ და ამნაირად მალავდნენ ზღუდის მანქანას; მხოლოდ ერთ ბოძს ჩამოჰკიდებდნენ მანქანის შუაში, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, ფომფლე ჯაჭვებით და ბოძის ბოლო, გაწვეტიანებული და რკინით მოჭედილი, ხშირ-ხშირად უშენდა ზღუდეს, ვითარცა ისრის წვერი. იმდენად მსუბუქი გამოჰყავდათ მათ მანქანა, რომ უკვე კი აღარ იყო საჭირო იქაურ კაცებს ეთრიათ და ეზიდათ ის, არამედ ორმოცი კაცი, რომელთაც უნდა აეწიათ ბოძი და ესროლათ ზღუდის წინააღმდეგ, მანქანის შიგნით რომ იმყოფებოდნენ და ტყავით იყვნენ დაფარული, სრულიად შეუწუხებლად წაიღებდნენ ზღუდის მანქანას მხრებზე. ამ სამმა ბარბაროსმა გააკეთა ასეთი მანქანები, ბოძები რკინითურთ იმ ზღუდის მანქანებს გამოაცალეს, რომლებიც რომაელებს ჰქონდათ უკვე დამზადებული და კედელთან მოთრევა კი არ შეეძლოთ: თითოეული ასეთი მანქანა ჩაიბარა სულ ცოტა ორმოცმა რომაელმა ჯარისკაცმა, საგანგებოდ დარჩეულმა, რომლებმაც ის ზღუდესთან ახლოს მიიტანეს. თითოეული მანქანის ორივე მხარეს იდგნენ სხვა მეომრები, რომელთაც აბჯარი ჰქონდათ ასხმული და თავი ჩაფხუტით დაფარული ზედმიწევნით და ეჭირათ შუბები, რომელთა ბოლოები ანკვისისებურ რკინებს ეყრდნობა; ეს კი მათ იმის გულისთვის ჰქონდათ დამზადებული, რომ როდესაც მანქანის სროლა კედელზე ქვათა წყობას

შეარყევდა, ამ შუბების საშუალებით შესძლებოდათ მათ შერყეული ქვების განთავისუფლება და ამოძარცვება. ასე მოჰქადეს ხელი საქმეს რომაელებმა და კედელიც წშირი რტყმისაგან ინგრეოდა, მანქანათა ორსავე მხარეს მდგომნი კი ანკისისებური შუბებით აძრობდნენ შენგრეულ ქვებს შენობის წყობიდან და სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქი მაშინვე აღებული იქნებოდა. ზოლო სპარსელებმა ასე მოისაზრეს: ზღუდის ზემოთ მათ დადგეს ხის კოშკი, რომელიც ძველადვე დაემზადებინათ, აავსეს ის საუკუთესო მებრძოლებით, რომელნიც შექურცილი იყვნენ რკინის ლურსმნებით და აბჯრით, თავზედაც და დანარჩენ სხეულზედაც. მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი საწამლავეთ, რომელსაც მიდიელები წავთას ეძახიან, ელინნი კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ ზღუდის მანქანებს, რომლებიც — ცოტა დააკლდა — თითქმის ყველა გადაიწვა“. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, საქირო იყო არა მარტო ზღუდის დასანგრევი მანქანების გამოგონება, არამედ — მისი საწინააღმდეგო საშუალებებისაც. მოკლედ: შემტევი თუ სანგრევ მანქანას იყენებდა, დამცველი — მისი მოსაპობის საშუალებას!

შემდეგ იქვე აგრძელებს ავტორი: „მაგრამ მანქანებთან მდგომნი, როგორც ნათქვამი იყო, განუწყვეტლად იგერიებდნენ ნასროლს იმ შუბების საშუალებით, რომლებიც ახლახან მოვიხსენიე, ასუფთაობებდნენ და უმალვე მიწაზე ვადმოჰყარდნენ ხოლმე ყველაფერს, მანქანებში ჩაცვივულს. მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამ საქმეს; ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი წაედებოდა, მაშინვე წაევიდებოდა ხოლმე, თუ ის მაშინვე არ იქნებოდა უკუგდებული“⁸³.

ციხეში შეღწევის მრავალი ხერხი რომ არსებობდა, ამაზე იმავე პროკოპისტან ვკითხულობთ: „ბესსას კი რომაელთა მთელი ჯარით პეტრასთეის ჰქონდა ალყა შემორტყმული, რომაელებმა გამოთხარეს კედელთან, იქ, სადაც დაგისთემამ წინათ თხრილი გააკეთა და გალაენის ის ნაწილი აიღო“. შემდეგ ავტორებს მოყოლას: „დაგისთეს გაბრუნების შემდეგ სპარსელებმა გადაწყვიტეს კედლის ამ დანგრეული ნაწილის კვლავ აგება. იმათ წინანდებურად კი არ ააგეს, არამედ შემდეგნაირად: დაცარიელებული ადგილი აავსეს ქვიშით, მის ზემოთ დაალაგეს მსხვილი ბოძები, რომლებიც ზედმიწევნით გააშალაშინეს და სრულიად სწორად დადგენილი შეკრეს დიდ სიფართოზე და, ამრიგად, რომ გამოიყენეს ეს ბოძები ბალაევრად ნაცვლად გალაენის საძირკვლისა, მათ ზემოთ ოსტატურად ააგეს შენობა. რომაელებმა ეს არ იცოდნენ“. ე. ი. საქირო იყო არა მარტო კედლის აგება, არამედ ისეთნაირად აგება, რომ მტერი ვერ მიმხვდარიყო მათ მიერ გამოყენებულ ხერხს. და ავტორებს ავტორი: „და ეგონათ, რომ საძირკვლის ქვემოთ გაჰყავდათ თხრილი, და, მთელი ადგილი რომ დააცარიელეს იმ ბოძების ქვევით ... შესძლეს ძალიან შეერყიათ თითქმის მთელი ზღუდე, მისი ნაწილი კი ერთბაშად ძირს დაეცა, მაგრამ ისე, რომ დაცემული ნაწილი არც მეორე მხარეს მიაწვა, არც ქვათა წყობა შეირყა მის გამო, არამედ ის დაცარიელებულ ადგილში დაეცა მთლიანად და შეურყევნულად ერთგვარი პირდაპირი დაშვებით, თითქოს მანქანის საშუალებით, და დაიჭრა თავისივე საკუთარი ადგილი. მართალია არა ისეთ სიმადლებზე, როგორც წინათ, არამედ უფრო ნაკლებზე. მოხდა ისე, რომ როდესაც მთელი ადგილი ბოძების ქვეშ დაცარიელდა, ეს ბოძები მთელი მათზე აგებული შენობითურთ იქვე დაეშვა, ხოლო რომაელებისათვის კედელი შეუვალი შეიქნა, ვი-

ნაიდან სპარსთა დიდმა ბრძოლამ, — მერმეროესთან ერთად იქ ხომ დიდძალი სპარსელობა მისულიყო, — წინანდელ ნაგებობას ბევრი მიაშენა და ძალიან ძაღალი ზღუდე ააგო. რომაელებმა რომ დაინახეს, რომ ზღუდის შენქარული ნაწილი კვლავ გაიმართა, ველარაფერი გააწყვეს და სასოწარკვეთილებას მიეცნენ, რადგან მათ არც გამოთხრა შეეძლოთ უკვე, ვინაიდან გვირაბი ეგრე ჩამოენგრიათ, და არც კედლის მანქანის გამოყენება, ვინაიდან ისინი დაქანებულ ფერდობზე უკედლავენენ, მანქანა კი შეიძლება მითრეულ იქნეს და ეაკებულსა და სრულიად სწორად აღგილას⁸⁴. (ხაზი ჩემია — პ. ზ.).

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ნოქალაქევის მშენებელ-ფორტიფიკატორები, ციხის სიმაგრეზე ზრუნვისას, გამოდიოდნენ სრულიად რეალური მდგომარეობიდან. ქალაქის ძნელად მისადგომ მხარეებზე მხოლოდ ერთ გლავანს აშენებენ, შედარებით ძნელად მისადგომ მხარეებზე — ორ კედელს, ხოლო სწორ მხარეს — პარალელურად მიმავალ სამ გლავანს. ცხადია, ასეთი დიდი გამოცდილების ქვეყანას, ქალაქის გამაგრებაზე ზრუნვისას, სხვისი კარნახი, თუ დახმარება ნამდვილად არ ესაჭიროებოდა.

იმავე პროკოპისთან სხვაგანაცაა საუბარი ზღუდის დასანგრევად გვირაბის გათხრაზე⁸⁵, კედელთან თხრილზე⁸⁶ და სხვა ასეთ ხერხებზე.

ახლა თვით ზღუდის სანგრევე მანქანებზე ბიზანტიელ ავტორთა ცნობებზე მსჯელობას გავაგრძელებთ კიდევ რამდენიმე ამონაწერის მოყვანით. კერძოდ, ფოთთან ბრძოლისას აგათია ერთგან წერს: „ქალაქის ასაღებად საჭირო მანქანების იქ მიტანაც არ გაუძნელდებოდა“⁸⁷. მანქანები საკმაოდ მძიმე ყოფილა, მაგრამ აქ ალბათ ადგილის სისწორეც იგულისხმება.

რომაელები ფოთთან ბრძოლისას, როგორც მოსალოდნელი იყო, სათანადოდ ყოფილან შეიარაღებულნი. მათ სატვირთო ზომალდები ნაპირთან მიუცურებიათ, ანძებზე, ციხის კოშკებზე დიდი ნაგები ყოფილა ჩამოკიდებულნი. ნაგებში მებრძოლები იდგნენ, „მშვილდის რეზი და შურდულეებით შეიარაღებულნი და სათანადო შორსმტყორცნელი მანქანებითაც შეიარაღებულნი“⁸⁸.

საინტერესოა, რომ მანქანებისათვის ადგილობრივაც ტყეებში ეძებენ მასალას. იმავე აგათიასთან ვკითხულობთ, რომ სპარსელთა სარდალი „ნახორაგანი კი ისეთ თავხედობამდე მივიდა, რომ ის თავის მუშებსა და მსახურებს, რომლებიც ტყეში იყვნენ გაფანტული ხეების საჭრელად შეშისათვის და საომარი მანქანების საჭიროებისათვის“ (ხაზი ჩემია — პ. ზ.), ყველას უბრძანა, როგორც კი დაინახავდნენ ჰაერში ამოსულ კვამლს, ეს იმის ნიშნად მიეღოთ, რომ რომაელთა ზღუდეს ცეცხლი აქვს წაქიდებული, თავი დაენებებინათ საქმისათვის და ზირბილით მოსულიყვნენ მასთან, რათა მათაც შეენოთთ ცეცხლი და ამრიგად სწრაფად გადაეხევათ ყველაფერი“⁸⁹.

⁸⁴ გეორგია, II, გვ. 165—167.

⁸⁵ იქვე, გვ. 85.

⁸⁶ იქვე, გვ. 104, 106, 107; გეორგია, III, გვ. 106.

⁸⁷ გეორგია, III, გვ. 106.

⁸⁸ იქვე, გვ. 112.

⁸⁹ იქვე, გვ. 112.

როგორც ეტყობა, ეს სანგრევი მანქანები თან მიჰქონდათ, მაგრამ ადგილობრივად შეიძლებოდა მათი დამზადება. ისეთ ტუიან ქვეყანაში როგორც ცოლხეთი იყო, ხე-ტუის ნაკლებობა არ ექნებოდათ.

იმ ეპოქაში ციხეთა კედლების შენგრევის, ციხეთა აღების ყველაზე მძლავრი იარაღი ზემოაღწერილი მანქანები იყო. აქ მოყვანილი ვრცელი ამონაწერიდან ირკვევა, რომ ეს მანქანა არ ყოფილა ერთგვაროვანი. სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული წესი ჰქონია, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ერთი იყო. ეს იყო რკინისთავის მქონე მორის „ხშირი რტყმა“. ცხადია, ციხის კედელი რაც უფრო მტკიცედ იყო ნაგები და სისქვე მეტი ჰქონდა, მისი დანგრევა ძნელი იყო და პროცესის ხანგრძლივობაც იზრდებოდა.

ყოფილა კიდევ კედლის სანგრევი მანქანა კ რ ი თ. ამაზე პროკოპისთან ვკითხულობთ: „მთელი ეს კოშკები, მიწიდან დაწყებული უმაღლეს წვერამდე, უდიდესი, ერთმანეთთან გადახლართული ქვებისაგან ააშენეს, რათა რაც შეიძლება ნაკლებ მოსახერხებელი ყოფილიყო მათი შერყევა კრიოთი ან სხვა მანქანით“⁹⁰.

როგორც ეტყობა, ამ მოთხოვნილებებიდან გამომდინარე იყო აგებული ნოქალაქევის კედლებიც. ქალაქის შედარებით ადვილად მისადგომი მხარე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთი, სხვადასხვა სისქის მქონე სამი კედლით იყო შემოზღუდული. ამათგან, ქალაქის მესვეურებმა, ციხის პირველი კედელი თუ 160 სანტიმეტრისა გააყეთეს, მეორე — 200 სანტიმეტრისა, ხოლო მესამე — 250 სანტიმეტრისა. როგორც ეტყობა, პირველმა კედელმა მტრის შემოტევის რომ ვერ გაუძლო, სისქეს მოუმატეს, იმანაც რომ უმტყუნა, კიდევ გაზარდეს. მიუხედავად ასეთი ზომების მიღებისა, ამ სამმა ხაზმაც ვერ გაუძლო არაბთა სარდლის, მურვან-ყრუს, უთვალავ ჯარს. ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხერხით აიღეს მათ ციხე, მაგრამ ნახანძრალი, სქელი ნაცრის ფენა, ყველგან ჩანდა, ხოლო ერთგან კი, ჰიშკრის გვერდით მდებარე დიდი კვადრებით ნაგები კოშკი, რომლის სისქე ზუსტად სამი მეტრია, ისე გამოუწვავთ, რომ ნანგრევებმა დღემდე შემოინახა ძლიერი ხანძრის წითელი კვალი. კოშკის ნანგრევებზე დანახშირებული ფენა 15—20 სანტიმეტრი იყო, ხოლო კედლები — ძლიერი ხანძრისაგან გაწითლებული.

კოშკის გამოწვა-დანგრევის ერთი კარგი მაგალითი აქვს აღწერილი იმავე პროკოპის. პეტრასთან ბრძოლის დროს „სპარსელებმა რომ მიწაში მალულად გვირაბი გაიყვანეს, ერთ-ერთი კოშკის ქვეშოთ აღმოჩნდნენ; იქიდან გამოალაგეს მრავალი ქვა და მათ ადგილას შეშები ჩააწყვეს, რომელთაც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. ალი რომ თანდათან ზევით იწევდა, ქვების ძალა შეარყია, მთელი კოშკიც შეანძრია და უეცრად ძირს დაანარცხა მაშინვე (ხაზი ჩემია — პ. ზ.). ხოლო რომაელებმა, რომელნიც კოშკში იყვნენ, წინდაწინ იმდენად მაინც იგრძნეს რა ხდებოდა, რომ ზომები მიიღეს და ძირს კი არ დაეცნენ, არამედ გაიქნენ და ქალაქის ზღუდის შიგნით აღმოჩნდნენ. ამით აიხსნება, რომ მტერმა დაბლობში კედელი გაანგრია და ადვილად შესძლო ქალაქის დაპყრობა“⁹¹.

რალაც ამგვარი უნდა მოემოქმედათ არაბებს ნოქალაქევის კოშკთან, თუ

⁹⁰ გეორგია, II, გვ. 86.

⁹¹ იქვე.

კომუნიზმთან, შედეგი კი დამცველთათვის მეტად სავალალო გამბედაობა. ამასთან დაკავშირებით აქ არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ პროკოპის ცნობა არქეოპოლისის ციხის კედლების აუღებლობაზე. გაწვილებული სპარსთა სარდალი მერმეროე წებელიდან უკან ბრუნდება „დამაშინვე გაემართა არქეოპოლისის წინააღმდეგ იმ განზრახვით, რომ ალყა შემოერტყა მისთვის. ზღუდე რომ მოსინჯა და ვერაფერს გახდა, კვლავ გამობრუნდა“⁹².

ახლა უნდა შევეხოთ სიმაგრის წყლით მომარაგების საკითხს, რადგან მას უშუალოდ დაკავშირებულია აქვს დაცვასთან. უწყლოდ წარმოუდგენელია გარნიზონის მოქმედება.

ციხეგოჯი-ნოქალაქების მშენებლებმა წყლის მომარაგების საკითხი კარგად მოწყობილი გვირაბით თუ გადაწყვიტეს, პეტრაში სამმაგი წყალსადენი გაუყვანიათ. ავტორი გვიყვება, რომ სპარსელმა ხოსრომ კარგად იცოდა, რომ „რომაელები ყოველი ღონით ეცდებოდნენ მის გარემოცვას და მაშინვე დაუყოვნებლივ შეეცდებოდნენ წყალსადენის გადაჭრას, და ამიტომ მოისაზრა შემდეგი: ის წყალი, რომელიც ქალაქში შემოდის, სამ ნაწილად გაჰყო, საკმაოდ ღრმა თხრილი ამოიღო და ჩააშენა სამი მილი: ერთი ქვემოთ, თხრილის ძირში, რომელიც მან ნეხვითა და ქვებით დაფარა შუა თხრილამდე; აქვე მეორე მილი ჩადვა და დამალა, ხოლო ზედ მესამე დააშენა, მიწის ზემოთ და ყველასათვის დასაწახვად. ამ ხერხმა კარგი შედეგი გამოიღო, რომაელები ორჯერ შეცდნენ, და ამიტომ ციხის აღება დაუგვიანდათ.

ისტორიკოსთა მიერ ეგრისის ტერიტორიაზე აღწერილი ბრძოლებისას ხშირად ნახსენები სპილოები. ამ ცხოველებს სპარსელები სხვადასხვა მდგომარეობაში მარჯვედ იყენებდნენ. აქ მოვიყვანოთ ნათქვამის რამდენიმე საილუსტრაციო მასალას.

ფაზისის წინააღმდეგ ბრძოლისას სპარსელები და რომაელები ერთმანეთს ეჯიბრებიან სისწრაფეში. სპარსელთა ჯარის სარდალმა რომაელთა ჯარით სავსე ნავეებს გზა გადაუღობა, „შეშებოთა და ნავეებით გადაღობა მდინარე მთელ სიგრძეზე და უკან დააყენა სპილოების მთელი ხროვა, რომლებიც შეუშვა წყალში იმ მანძილზე, რამდენზედაც მათ შეეძლოთ შესვლა“⁹³. ამის დამნახველმა რომაელებმა ნავეები მაშინვე მიაბრუნეს.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სპილოებს შემდეგ ბრძოლებშიც საკმაოდ ეფექტურად იყენებდნენ. იმავე ავტორთან ცოტათი ქვემოთ ვკითხულობთ: სპარსელებს „საფარად... სპილოები დაეყენებინათ წინ, რომლებიც მიბრუნდნენ და მაშინვე აფორიაქებდნენ იქაურობას, თუკი სადმე რომაელთა რაზმები იდგა; ხოლო მათ ზურგზე მოთავსებული მშვილდისრები ძალიან დიდ ზიანს აყენებდნენ მოიერიშე რომაელებს, რადგან მაღლა იყვნენ და ზევდიან საუკეთესოდ უმიზნებდნენ ისრებს“⁹⁴.

სპილოები, როგორც ვხედავთ, სპარსელებისათვის დიდ მებრძოლ ძალას წარმოადგენდა.

ბიზანტიელ ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსთან ვრცელადაა მოთხრობილი ბიზანტიელებისა და სპარსელების ბრძოლა ნესოსთან და ფაზისთან, რომაელები ემზადებიან მტრის მოახლოების შემთხვევისათვის, ალაგებენ ჯარის ნაწილებს და მერე წერიან: „გარდა ამისა ციხის წინ რომაელებს ტაგრუცი

⁹² გეორგიკა, II, გვ. 211.

⁹³ გეორგიკა, III, გვ. 98—101.

⁹⁴ აქვე, გვ. 118—121.

აღმართათ, საკმაოდ მტკიცე, რომლის შემწეობით მათ მტრის პირველი იერიშები აქვე უნდა შეეჩერებინათ და რომელიც საფარსავით უნდა ყოფილიყო კედლისათვის. მათ ამ კედლისა ძალიან ეშინოდათ, და სრულიად მართებულადაც, ვინაიდან ის ხისაგან იყო გაკეთებული და დროთა ვითარებაში ბევრგან ჩამონგრეულიყო კიდევ. ამ ტაგრუცის ირგვლივ მათ საკმაოდ განიერი თხრილიც გაეყვანათ, რომელიც წყლით ამოვსებულყო პირამდე, ისე, რომ მთლად დაეფარა და დაემალა პალოები, რომლებიც იქ მიჯრით იყო ჩარკობილი“⁹⁵.

სიტყვა „ტაგრუცი“ პროკოპისთანაცაა ნახსენები. მასთან ერთგან პეტრას ციხეზე ასე წერია: „ეს ქალაქი თავდაპირველად აუშენებიათ, გალაუნის საძირკველი მეტწილად კლდეზე დაუფუძნებიათ, ხოლო ზოგან საძირკველი ტაგრუცზე დებულა“⁹⁶.

ტაგრუცის განმარტება ქართულ ლექსიკონებში ისეთია, რომ მშენებლობასთან და სიმაგრესთან არაფერი აქვს საერთო. ამიტომ გაუგებარია, თუ რას წარმოადგენდა იგი. ერთი რამ კი ცხადია — იგი ციხის გალაუნის დამხმარე სიმაგრეა.

აქვე ორიოდ სიტყვით არ შეგვიძლია არ შევეხოთ საკითხებს — დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა მშენებლობას, და ბიზანტიელთა მიერ აგებული სიხეხამე მონღოლ იმ ეპოქის ადგილობრივ ნაგებობებთან დამოკიდებულებას.

ბიზანტიელ ისტორიკოსთა მრავალ ცნობათა შორის ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა პროკოპი კესარიელის ცნობა, სადაც ვკითხულობთ: იუსტინიანემ „ლაზიკის მიწა წყალზეც ააგო ერთი ციხე, სახელად ლონირონი, და ამ ქვეყანაში ვიწრობებიც გაამაგრა, რომელთაც, ჩვეულებრივ, კლსურებს ეძახიან, რათა მოწინააღმდეგენი ლაზიკეს შესავალშივე ჩაეკეტათ. გარდა ამისა, ქრისტიანეთა ეკლესიაც განაახლა ლაზიკეში, — ძველიც იყო და ნაგებობაც დაზიანებულიყო. აგრეთვე ღირსშესანიშნავი ქალაქი პეტრა დააფუძნა ლაზიკეში“⁹⁷.

ამათ გარდა, ბიზანტიელებს კიდევ ორი სიმაგრე აუგიათ. იქვე ამის შესახებ ვკითხულობთ: „რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტოუნტი, რომლებიც ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებული“⁹⁸.

შემდეგ ეს ციხეები ისევ ბიზანტიელებს დაუნგრევიათ სპარსელთა თავდასხმის მოლოდინში. იმავე პროკოპისთან ამაზე ასე წერია: „ლაზიკიდან მეოტის ტბის მიმართულებით რომ მიდიხარ, ორი ციხე, სებასტოპოლი და პიტოუნტი, და ანგრიეს რომაელებმა, როდესაც გაიგეს, რომ ხოსროს იქ ჯარის ვაგზავნა განეზარაბა ამ ციხეების ასალებად, ახლა კი აუსტინიანე მეფემ მთელი ეს სებასტოპოლი განაახლა, ზღუდისა და სხვა სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა და სხვა გაამშენიერა ის გზებითა და სხვა ნაგებობებით, რის გამოც ის სილამაზით და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა“⁹⁹.

ლაზიკაში იუსტინიანეს მშენებლობიდან ჩვენ ამჟამად მხოლოდ ციხეები გვანტერავენ. ზემომოყვანილ ცნობებს თუ ვერწმუნებით, იუსტინიანეს, ალ-

⁹⁵ გეორგიკა, II, გვ. 165.

⁹⁶ იქვე, გვ. 101.

⁹⁷ პროკოპი კესარიელი, გვ. 220—221.

⁹⁸ იქვე, გვ. 136.

⁹⁹ იქვე, გვ. 222, 137.

ბათ, 527—565 წლებში, ლაზიკაში სამი ციხე აუგია. ამათგან სებასტოპოლისი და პიტეუნტი ცნობილია, ხოლო ლოსორიონი მითითებული არ არის. თანაც ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს. ამ პუნქტის ლოკალიზაციას რამდენიმე მკვლევარი შეხებია, მაგრამ საბოლოო სიტყვა, ჩვენი აზრით, თქვა ვ. ლექვი-ნაძემ. მან დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე მდგარი ე. წ. თამარის ციხე გააიგივეა ლოსორიონთან. ეს მან გააკეთა ორი გზით. პირველი გზა ეს იყო პროკოპის აღწერის თანმიმდევრობაზე დაკვირვება და მეორე — ძეგლის გათხრის შემდეგ გამოვლენილი ნაგებობის შესწავლა¹⁰⁰.

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია, რომ დასავლეთიდან ზღვით მოსული დამპყრობი ზღვის იმედი იყო და თავიანთ საყრდენ პუნქტებს ზღვის სანაპიროზე აგებდა. ასეთივე აზრს გამოთქვამს ვ. ლექვიანაძეც. მისი აზრით, ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები, ვენეციელები და ოსმალებიც კი სიმაგრეებს აგებდნენ ზღვის სანაპირო ხაზის გაყოლებით და ეს სრულიად ლოგიკურიც არის, რადგან ადგილობრივთა შემოტევის შემთხვევაში ზღვაში რეიდზე მდგარი ხომალდების იმედზე იყვნენ; გაჭირვებისას გემებზე დასხდებოდნენ და ადგილს გაეცლებოდნენ. აქედან გამომდინარე, ლოსორიონიც სანაპიროს სიახლოვეს უნდა მოქმედებდა.

ვ. ლექვიანაძის მსჯელობა ლოსორიონის ლოკალიზაციის შესახებ ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია და ეს პუნქტი „ბათუმის“, ანუ „თამარის ციხესთან“ უნდა იყოს გაიგივებული.

ახლა, თუ რას წარმოადგენს ლოსორიონის ციხე, იგი თავისი გეგმით ტიპურია ბიზანტიისათვის. ამ გეგმის მქონე ციხეები ბიზანტიის იმპერიის მრავალ მხარეში შეგვხვდება.

ლოსორიონის ციხის გეგმა კვადრატს მიახლოებულია (21×23) მ. მისი ორი კუთხე სწორკუთხად შევრილია. მესამე კუთხეში, ისევე შევრილად, სწორკუთხა კოშკია მოთავსებული. მეოთხე კუთხე, სამწუხაროდ მოშლილია (ვ. ლექვიანაძე, სურ. 2). რომის იმპერიიდან მოკიდებული ასეთი ტიპის ციხეები ჩვეულებრივად ვაკეზეა განლაგებული. აქ კი ეს ციხე საკმაოდ მაღალ გორაკზეა შედგმული. ამ გორაკის ირგვლივ და ქვეყნის ამ მონაკვეთში საერთოდ, ვაკე ადგილი რამდენიც გნებავთ იმდენია. ასეთი ტიპის ციხისათვის გორაკის შერჩევაზე ამჟამად მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. შესაძლოა ბიზანტიელებმა ციხის აგებისას, ადგილობრივ ფორტიფიკატორებთან ერთად, იმუშავეს. მათ კი თავიანთი ტრადიციული გადაწყვეტა შესთავაზეს. არაა გამორიცხული, რომ ძალთა ასეთმა შეერთებამ მოგვცა ბიზანტიელთა ტიპური ციხე მაღლა, გორაკზე.

ზემომოყვანილი ტექსტის მიხედვით იუსტინიანეს სებასტოპოლისშიც აუგია ციხე. ამ ციხეს 50-იანი წლების ბოლოს მიაკვლიეს ლ. შერვაშიძემ და ლ. სოლოვიოვმა¹⁰¹. მათ აღმოაჩინეს სამფენიანი კასტელების ნაშთები. ამათგან III კასტელაა ჩვენთვის საინტერესო. მას გამთხრელები IV საუკუნით ათარი-ლებენ, მაგრამ ასეა კი? ვ. ლექვიანაძის აზრით, ეს III კასტელა ის ციხეა, რომელიც იუსტინიანემ აავა, მართლაც, ის ფრაგმენტი, რომელიც ზღვას ვადაურჩა და არქეოლოგებმა გამოავლინეს, აშკარად ანალოგიურია ლოსო-

100 В. А. Леквиадзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. — Византийский вестник. М., 1973, т. 34, с. 169—173.

101 Л. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев. Исследование древнего Себа-стополиса. — Советская археология, 1960, № 3, с. 172—178.

როონისა (В. Леквинадзе, სურ. 6). აქედან შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ლოგიკური დასკვნის მიღება: ბიზანტიელები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ციხეს თავისებურად აშენებდნენ¹⁰². ყველა ციხე, მდგარი ეგრისის ტერიტორიაზე, განსხვავებულია ზემომოყვანილი ორი ციხისაგან. პირველი თუ ბიზანტიურია, მეორე ადგილობრივია.

ჩვენ ამ საკითხზე ასე ვრცლად სხვა ყველა მიზეზთა შორის იმიტომაც ვწერთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც რუსეთიდან ან უცხოეთიდან ჩამოსული კოლევები ნოქალაქების გალაგების დანახვისას წამოიძახებენ „რომაულია“, „ბიზანტიურია“. მართალია, მას შემდეგ, რაც ისინი ნაქალაქარზე რამდენიმე საათს ან დღეს დაჰყოფენ, მერე უქარწყლებათ ასეთი აზრი. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ეგრისი ცალკე, „დახურულად“ არ არსებობდა და ისიც ზოგადად „ბიზანტიის სამყაროში“ ცხოვრობდა.

ჩვენი ზემონათქვამის დასადასტურებლად აქ პროკოპი კესარიელის ერთ ციტატასაც მოვიყვანთ. ლაზეთის აღწერისას ერთგვარ წერს: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის (როონის — პ. ზ.) აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ქველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლისიც არის აქ და პიტუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაგან“¹⁰³.

ისეთი ბიზანტიელი ავტორი, როგორცაა პროკოპი კესარიელი, რომელიც არ ტოვებს არც ერთ მომენტს აღნიშნოს ბიზანტიელთა მშენებლობა და საერთოდ ბიზანტიელთა საქმიანობა, ცხადია, არ გამოტოვებდა არქეოპოლისზე მათ ღვაწლს. მაგრამ რაც მან დაწერა, იმაზე მეტი არ იცის, არც გაუგონია და ამიტომაც არ აღუნიშნავს¹⁰⁴.

ვინ იცის, ნოქალაქე-არქეოპოლისმა, მანამდე ან მას შემდეგ, რამდენი ბრძოლა გადაიტანა! რამდენსა და ვის შემოტევას გაუძლო და როდის და როგორ მოერღვა კედლები სამწუხაროდ, მატთანეთა ფურცლები დუმან.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ნოქალაქე-არქეოპოლისის გამაგრება და საერთოდ ეგრისის სამეფოს დაცვის ერთიანი სისტემა, მაღალ დონეზე მდგარა და რამდენადაც დღეს ამის თქმა შეიძლება, არაფრით ჩამოუვარდება იმ ეპოქის მოწინავე ქვეყნების ქალაქების გამაგრებას.

საფუძვლიანად ნოქალაქეებისა და ეგრისის სამეფოს სხვა ციხეების ურთიერთშედარება და ანალიზი მომავლის საქმეა. ჯერ აუცილებელია პირველწყაროების ძირფესვიანად შესწავლა და შემდეგ შედარებითი ანალიზი ეგრისისა და იბერიის ციხეებისა. ასევე აუცილებელია მათი განხილვა მაშინდელი სამყაროს ფონზე.

102 აქ საინტერესოა შევეხოთ პეტრას ციხესაც. ბიზანტიელთა ცნობით, პეტრასაც (ციხისძირს) იუსტინიანე აგებს (პროკოპი, გვ. 34—35, 74). რთულ რელიეფზე მდგარი პეტრას ციხე, სამწუხაროდ, ძალიანა დაზიანებული და გათხრილიც ბოლომდე არ არის (შესაფერისად გამოცემულიც არ არის). ამიტომ ამ ციხის გეგმაზე და ტიპზე ჯერჯერობით გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება (В. Леквинадзе, გვ. 173—177, სურ. 3; К. Н. Мелитаяри. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. II. Тбилиси, 1972, с. 16—19).

103 პროკოპი, გვ. 101.

104 რაც შეეხება ბიზანტიელთა მიერ სებასტოპოლისში და პიტუნტში მშენებლობას, იგი იუსტინიანემ „განახლა“ (გვ. 222).

წინამდებარე სტატია უნდა ჩავთვალოთ როგორც წინასწარული, რადგან გათხრები თვით ნოქალაქევეში ჯერ შორსაა დამთავრებისაგან, ხოლო ეგრისის სამეფოს სხვა ციხეების გათხრები მხოლოდ წამოწყებულია.

ხელნაწერის გამომცემლობაში გადაცემის შემდეგ ნოქალაქევეში ჩატარებულმა კანონიებმა ბევრი რამ დაგვიგროვა სათქმელი, ამთგან მხოლოდ ორ განსაკუთრებულ აღმოჩენაზე აუცილებლად უნდა ვთქვათ, რადგან ერთ მათგანს შესაზრნევი ცვლილება შეაქვს ძველი ქალაქის დაეგმარებაში, ხოლო მეორე — ჩვენს წარმოდგენას ამდიდრებს ძველი სამეგრელოს საკულტო ნაგებობებზე.

ჩვენ აღრეც გვითქვამს, ნაქალაქარის ტერიტორია რომ ტყითაა დაბურული. ექსპედიციის დაწყებიდან ტყეს მიზნობრივად ვჩეხავთ, რადგან მთლიანად მისგან გაწმენდას ვერ მოვერევით და გამართლებულიც არ იქნება, რადგან იგი მალევე გაიფურჩქნება.


ექსპედიციის ბაზის ზემოთ, ფერდობზე მდებარე ტყის მომდევნო წლისათვის საჭირო მცირე მონაკვეთს ზამთარში მცველებს ვაძლევეთ გასაჩეხად (შეშად მიაქვეთ სახლში, ექსპედიციის თანხები კი იზოგება). გაზაფხულზე განთავისუფლებულ ადგილზე დაუბრკოლებლად ვიწყებთ გათხრებს. ასე მოხდა 1990 წელსაც. მცველთაგან ყველაზე დაკვირვებულმა (ყვეტე ხურცილავამ) ამბავი დაგვახედრა, რომ მან ნახა რომელიღაც კედლის ფრაგმენტში ჩაყოლებული კერამიკული მილი. ჩვენ ვნახეთ ეს ახალი ობიექტი. კედლიდან მილი კი გამოდიოდა, მაგრამ რისთვის უნდა ყოფილიყო იგი ამ კლდოვან ქიმზე, გაუგებარი იყო, ასე მალა წყაროსწყალი არ იყო და შორიდან გამოსაყვანიც არსად ჩანდა. შევუდექით ობიექტის შესწავლას. ჯერ გავაგრძელებინეთ ტყის გაჩეხვა და გაწმენდა ეკალ-ბარდისაგან, შემდეგ კი დავიწყეთ მიწის აღება.

სეზონის განმავლობაში ძეგლის მთლიანად გათხრა ვერ მოვასწარით, მაგრამ ძირითადი მგონი გაირკვა.

მთის კლდოვან ქიმზე ოთხკუთხად მოშენებულია კედელი (სურ. 27, ტაბ. LXV). მთავარი კედლის სიგრძე 26,5 მეტრია, ხოლო კუთხეების შემქმნელი ზევით ამავალი კედლები სიგრძით 5 მეტრამდეა შერჩენილი. დარჩენილი კედლების სიმაღლე 1,5 მეტრს არ აღემატება. ასეთი მძლავრი კედლებით (კედლების სისქე 1,20 მ.) შემოზღუდული ფართობი, კედლების სათანადო სიმაღლის დროს, საკმაოდ ბევრ წყალს დაიტევდა (არსებული კედლის ნარჩენების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ აუზის ტევადობას, იგი 100³ მეტრს აღემატება. ვფიქრობთ, კედლების სიმაღლე 2—3 მეტრი მაინც იქნებოდა. თუ ეს ასე იყო, მაშინ წყალსაცავში 300³ წყალი მაინც დაეტეოდა. ეს კი საკმაოდ დიდი მარაგია). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრძივი კედელი, კედლის რელიეფის შესაბამისად მცირედ რკალურია. წყალსაცავის კედლებში სამი მილია. ორი მათგანი კერამიკულია, ერთი კი კედელში დატანებული ხვრელია (ყვეთში 12×14 სმ.). ამთგან ორი აღმოსავლეთის ბოლოშია ერთმანეთან ახლოს, მეხამე კი — მეორე ბოლოში (სურ. 27, ტაბ. LXVI). პირველი ორის ირგვლივ იატაკი დუღაბით კარგადაა მოწესრიგებული, რათა სუფთა წყალი მილებში ადილად გასულიყო. მესამე მილი, ცოტათი იმაზე დაბლაა და ირგვლივ იატაკზე დუღაბიც არა აქვს, ამიტომ შეიძლება გვევარაუდა. რომ იგი საჭიროების შემთხვევაში. აუზის დასაცლელად იყო განკუთვნილი. გრძელი კედლის დაახლოებით შუაზე რაღაც მოკლე კედლის ნაშთია. მის დანიშნულებაზე ვერაფერს

გიტყვით. კედლები ნაგებია ყორე ქვით, ისე როგორც ქალაქის გალავნების უდიდესი ნაწილი.

ნაგებობის აღწერა დავამთავრეთ, მაგრამ გასარკვევეი დაგვრჩია ორი დიდი საკითხი: პირველია — აუზის წყლით მომარაგება, ხოლო მეორე — წყალსაცავის დანიშნულება. ძეგლის ფრაგმენტულობის გამო არც ერთ ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხი არ გვაგვარჩნია. ჟერჯერობით პასუხები ვარაუდის დონეზეა.



სურ. 27. ნოქალაქევი. წყალსაცავის გეგმა.

როგორც აღვნიშნეთ, წყალსაცავი მიშენებულია მთის შვერილ ქიშზე (ტაბ. I.XV—1), აქ ახლო-მახლო წყარო არ ჩანს და ალბათ არც იყო. ქალაქის ტერიტორიაზე წყარო რომ არ იყო, ამას VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდანაც ვიგებთ: „რადგან იქაურ მცხოვრებლებს სხვა წყალი არსაიდან არა აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა მათ თავისუფლად შესძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“. აქ ნახსენებ „ორ კედელში“ უნდა იგულისხმებოდეს ის გვირაბი, რომელიც იქვე ოცი-ოდე მეტრის ქვევითაა მდინარის ნაპირზე გაკრილი. მაშ, ასე მაღლა, კლდეზე საიდან უნდა მიეღო წყალი აუზს? თეორიულად შეიძლება ერთი გზის მიითებდა, ესაა მდინარის წყლის გამოყვანა შორიდან. კერამიკული მილების წყალსადენი მთის ფერდობს უნდა გამოყოლოდა, მაგრამ აუზის სიახლოვეს კლდოვანი მთა

ისეთი მკვეთრად ვერტიკალური და რთულად მიხვეულ-მოხვეულია, რომ მაშინ კი არა დღევანდელი ტექნიკით აღჭურვილმა სპეციალისტებმაც ვერ გაბედეს ბაზისათვის წყალსადენის გამოყვანა. ახლა, მოკლე დასკვნა, რომ გავაყეთოთ, უნდა ვთქვათ, რომ ადგილზე წყარო არ იყო, შორიდან ვერ გამოიყვანდნენ, მაშ რა დარჩა? ჩვენი აზრით, დარჩა წვიმის წყლის მოგროვება (ტაბ. L XV).

წვიმის წყლის მოგროვების საკითხი საერთოდ მშრალ ადგილებში კარგადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, გარეჯის უდაბნოში. აქ ძირითადად ტიტველი კლდეებია. მათ ზედაპირს ღარავენ აუზის მიმართულებით (აუზი უფრო ხშირად კლდეშია ჩაკეტილი, მაგრამ არის კედლებით მოზღუდულიც), რათა წყალს მისცენ გარკვეული გეზი. ნაქალაქების აუზის ჩრდილოეთი ფერდობიც კლდეოვანია, მაგრამ იგი ისეა ბუჩქებით დაბურული, რომ მის საბოლოო გაწმენდამდე ვერაფერს ვიტყვი. თავისთავად გარეჯის უდაბნოში წვიმის წყლის მოგროვებას თუ ახერხებდნენ, ეს გაცილებით უკეთ შესრულდებოდა წვიმიან კოლხეთში.

ახლა იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, თუ რისთვის იყენებდნენ აუზის წყალს. აქ ჩვენ მისი გამოყენების ორი ვარიანტი გვესახება. პირველია — რაღაც მიზეზის გამო მდინარის წყლის გამოყენების საშუალებების მოსპობა (გვირაბის დაზიანება, იქ გარედან მტრის შეღწევა და სხვა), ხოლო მეორე — აბანოსათვის საჭირო წყლის მარაგი. ამათგან პირველი ვარიანტი დასაშვებია (ვინ იცის, მაშინ, ომიანობის პირობებში, რა სიტუაციებს ჰქონდა ადგილი). ხოლო რაც შეეხება აბანოს საჭიროებისათვის წყალსაცავის ამენებას, არც ესაა გამორიცხული.

ექსპედიციამ ნაქალაქარზე ორი აბანო აღმოაჩინა. ერთი მათგანი დიდია და უკეთესად ნაგები, ხოლო მეორე შედარებით ნაკლები. პირველ მათგანს ჩვენ პირობით „სამეფო“ შევარქვით, ხოლო მეორეს — „სამოქალაქო“. გათხრებმა ვერც ერთი მათგანის წყლით მომარაგების საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან პირდაპირი მონაცემები არ გამოვლენილა. სამეფო აბანო, რომელიც წყალსაცავთან ახლოსაა, თითქოს მარაგდებოდა იმ ბუნებრივი ცხელი გოგირდოვანი წყლით, რომელიც იქვე გვერდით უნდა ყოფილიყო. ამ წყალს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან იგი უნდა გამქრალიყო ამ ასიოდე წლის წინ, მაშინ როდესაც მასზე დააშენეს ხიდის ბურჯი. მოკლედ, მისი წყლით მომარაგების საკითხი დიად დარჩა. ახლა ამ აუზმა ეს საკითხი ზელახლა დააყენა.

წყალსაცავიდან აბანომდე სულ სამოცდაათიოდე მეტრია. ცხადია, ამ მანძილზე მაშინ კერამიკული მილებით წყალსადენის გაყვანა არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ მისი ნაშთიც კი არსად გამოვლენილა. ჩვენ აბანოს ირგვლივ 5—7 მეტრზე ყაშირამდე ვართ დასული, მაგრამ წყალსადენის კვალიც არ გამოჩენილა. აღნიშნული მანძილის შემდეგ ჩრდილოეთით, აუზის მიმართულებით, ფერდობის შემომზღუდავი ვალავანია აღმართული. ვალავანსა და აუზს შორის გათხრილი არ არის, მხოლოდ აქა-იქ საცდელი თხრილებია გავლებული. ამ თხრილებში ჭერჭერობით არაფერი აღმოჩენილა. ვნახოთ, მომავალში გათხრები რას მოგვცემს. ამ წყალსადენის გაყვანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მილები რომლებიც წყალსადენის დამცველი კედლიდან გამოდის, მიწის დონიდან (გარედან) სამი მეტრის სიმაღლეზეა. ტექნიკურად მასთან კერამიკული წყალსადენის მიერთება, საკმაოდ რთული იქნებოდა, მაგრამ გაკეთება შეიძლებოდა.

ჭერჭერობით წყალსაცავის გამოყენებაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი (არაა გამორიცხული, რომ მას იყენებდნენ როგორც „ტექნიკურ წყალს“).

მეორე ობიექტი, რომელზეც აქ გვინდა საუბარი, ესაა სოფ. ხორშის მაცხოვრის ეკლესია.

დასავლეთ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა დროს განსხვავებული ექსპედიციები გვქონდა. ერთ-ერთი მათგანი იყო 1967 წ. ჩატარებული რამდენიმეკაციანი დაზვერვითი ექსპედიცია, რომელმაც ცხენისწყლიდან განთიადამდე (ახლა ცანდრაფში) ბევრი ძველი მოიხილა. მათ შორის სოფელ ხორშში (სენაკის რ-ნი) გვიჩვენეს ეკლესიის ნანგრევები და მისი ქვებისგან აგებული დუქანი. ნოქალაქევის ექსპედიციის პირველ წლებში მათ მივაკითხეთ, მაგრამ დუქანის დანერგვა მომავლისთვის გადაიტანეს. გავიდა ხანი და 1989 წელს ექსპედიციაში მოვიდა ამ სოფლის „ძველის მოყვარული“ ახალგაზრდა ოლეგ იროდის ძე ბუკია, მან შეგვატყობინა, რომ „დუქანს ანგრევენ და ეკლესიის ქვებს გადაყრას უპირებენ“. წავედით ადგილზე, ადგილობრივნი დაგვეთანხმნენ, რომ დუქანი არსებული წესით უნდა დაირღვეს, რომ ისტორიული ქვები გადარჩეს. ამის შემდეგ ყველაფერი წესის დაცვით წარიმართა. ჩვენს მიერ გადარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები შემდეგში გადაირჩა და დროებით სკოლის ერთ ოთახში ჩანლაგდა. მცირედ გაიწმინდა აგრეთვე ტყით დაბურული ეკლესიის ნანგრევები. პარალელურად ძველის შესახებ სტატია გამოაქვეყნეთ ადგილობრივ გაზეთში და „ძველის მეგობარში“ (№ 2, 1989 წ.).

გადაწყდა მომდევნო წელს ნანგრევები გავეწმინდა. მომდევნო წელს ასეთი სამუშაოები საკმაოდ მალაღონეზე ჩატარდა. ძველი გაიწმინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხერხდა მხოლოდ გეგმის დადგენა და დამატებით ჩუქურთმიანი ქვების მოგროვება. ეკლესიის ირგვლივ გათხრების გაშლა ვერ შევძელით, ახალი სასაფლაოს არსებობის გამო.

ეკლესიისგან მიწის ზემოთ დარჩა აღმოსავლეთის კედლების ჩონჩხი. მისი გარეთა თლილი ქვის პერანგიდან ორიოდ ქვაა დარჩენილი, შიდა პირი კი უქეთაა შერჩენილი (ტაბ. LXVI—2).

ეკლესიის კედლების ნაშთების საბოლოოდ გამოვლენის შემდეგ, წარმოვიდგა საკმაოდ ორიგინალური გეგმა (სურ. 28). იგი არაა მკვეთრად გამოვლენილი ტიპი. შეიძლება გვეფიქრა, რომ გადაკეთებულთან ვეჭვს საქმე, მაგრამ გათხრების ამ ეტაპზე შშენებლობის სხვა ფენის ნაშთი არ გამოვლენილა.

ამჟამად ძველი საშენიანი ეკლესიის ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს. ეკლესიის სამი გვერდი ცოკოლის ზემოთ თითქოს დანით გადაჭრეს. ჩანს ორსაფეხურიანი ცოკოლი, რომელთაგან ზედა ლილეოვანია, რაც თავისთავად მის ადრეულობას გამორიცხავს. თითო კარია სამივე მხარის ცენტრებში. ამათგან დასავლეთის თავდაპირველია, ხოლო გვერდებზე მდებარე კარები შეიძლება შემდეგ იყოს გაჭრილი, ან გადაკეთებული.


ეკლესიის დარბაზის სივანე საკმაოდ ჰარბობს სივარძეს, რაც იშვიათი შემთხვევაა. სამი ნაეი ერთმანეთს უერთდებოდა ორ-ორი თალით. ამაზე მიგვიტოთებს მათ შორის შემორჩენილი სწორკუთხა სვეტის თითო ნაშთი. დასავლეთის კედელზე თალის დასაყრდენად პიდასტრები არ ყოფილა. ამ მხარეზე თალები შეიძლება პირდაპირ კედლის სიბრტყიდან იწყებოდა, ან კრონშტეინი იყო. აღმოსავლეთით კი აფსიდის კედლების საკმაოდ გრძელი სწორკუთხა შევრილებია.

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთის „გატყაული“ კედლები ადგილზეა. შიგნით, აფსიდის კედლების ცენტრში ეტყობა კონქის დასაწყისი და გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშა. საკურთხეველს ანათებდა სამი საკმლიდან შე-

მოსული სინათლე. სამწუნაროდ, არც ერთ სარკმელს წირთხლები არ შერჩენია, ამიტომ ზომებზე და ფორმებზე ვერაფერს ვამბობთ.

ეკლესიის აღმოსავლეთის მხარე არაა ერთხაზოვანი. მაშინ როდესაც გვერდითი ნაეები სწორკუთხად მთავრდება, შუა ნაეი შევირილია, გარედან ხუთწახნაგოვანია. ასეთი გადაწყვეტა შუასაუკუნეების სამეგრელოსათვის ჩვეულებრივია. შევირილაფსიდიანი ეკლესიები, როგორც წახნაგოვანი, ისე ნახევარწრიული, გვხვდება V საუკუნიდან. (თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, ნოქალაქევი-არქეოლოგია. წ. II, გვ. 907). იგივე ფორმები მეორდება შუა ფეოდალურ ხანაშიც. მაგალითად, ასეთია ხობი, ციხში, ჩხოროწყუ და სხვა, როგორც ვხედავთ, ტრადიცია საუკუნეები გრძელდება.

ეკლესიის ისტორია, მისი წარსული უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი შეეწირა 1923 წლის ანტირელიგიურ კამპანიას. აღგილობრივთა გადმოცემით ამ დიდი ტერიტორიის მქონე მთა-გორიან სოფელში ამ კამპანიას ხუთი ეკლესია შესწირვია (ამის გარდა ჩვენ ვნახეთ კიდევ ორის ნანგრევი. ის ეკლესიები გასული საუკუნისა ყოფილა).



სურ. 28. ხორში. ეკლესიის გეგმა.

განსახილავ ეკლესიას გეგმა, ან მთლიანად მისი გადარჩენილი სახე, ვერ ათარიღებს. ერთადერთ დამატარიღებლად გვრჩება მორთულობის გადარჩენილი ელემენტები და ჩუქურთმა (შესაძლოა ძეგლზე ბარელიეფები და წარწერაც იყო, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია).

მორთულობისა, საერთოდ და კერძოდ, ცალკეული ჩუქურთმის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ იგი მიეკუთვნება ხუროთმოძღვრების დაღმავალ პერიოდს. ჩუქურთმის უმრავლესობა გეომეტრიულია, რაც თავისთავად ზემომოყვანილ ეპოქაზე მიგვითითებს, მაგრამ ცოტა არ არის ფოთლოვანიც (ტაბ. LXVII). ჩუქურთმა საკმაოდ ბევრია, მაგრამ არქიტექტურული დეტალი მხოლოდ ერთია. ესაა აფსიდის სამხრეთ-აღმოსავლეთის წახნაგის სარკმლის სასწაულად გადარჩენილი ზედა ქვა. ამ სარკმელს სწორკუთხა მოჩარჩოება ჰქონია. ასეთი ფორმა, როგორც გამოჩაყლისი, გვხვდება სხვადასხვა დროს, მაგრამ უფრო ხშირად XIV ს-ის პირველ ნახევარში. რმავე ეპოქაზე მიუთითებს მორთულობის ყველა დეტალი და კერძოდ ქრისტიკნიკაც (ზარზმა, ცაიში, გერგეტის სამება, ახალდაბა). ამ შემთხვევაში პირველ რიგში ფასადის სიბრტყის შიგნით მორთულობის ჩაკვეთაზეა საუბარი. შართალია, იგი აღრეც გვხვდება, მაგრამ დამახასიათებელი აღნიშნული ხანისთვისაა. ამას გარდა, დათარიღებისათვის კარგი დეტალია სარკმლის მოჩარჩოების ლილვების კაპიტლებთან მიერთების ადგილები. გლუვზედაპირიანი ლილვები „იკვრება“ ორნამენტიანი „სამაჯურით“, შემდეგაა ბურთულები, რომელთა ორივე მხარეს კონუსურობისკენ აქვს ტენდენცია. ამას კიდევ ემატება ლილვებთან ასიმეტრიულად დაკავშირებული გრეხილორნამენტიანი კვადრები. ასეთი ვადაწყვეტა უფრო ახლოსაა ზარზმასთან და ცაიშთან. ამავე ეპოქისათვისაა დამახასიათებელი ფოთლების ეს წვეტიანი, ხისტი დამუშავება, რომელიც იქვე სარკმლის აშიაზე და ერთ-ერთ ქვაზეც ვხვდავთ.

ახლა ამით ვამთავრებთ ძეგლის წინასწარ, საინფორმაციო განხილვას. მომავალმა გათხრებმა ეგებ მეტი სიცხადე შეიტანოს და უკეთ გაგვარკვევინოს ძეგლის ადგილი ამ რეგიონის წარსულში.

ს ა ს ა ხ ლ მ ი მ ი

ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამი სასახლეა და ერთი სასახლის ტიპის ნაგებობა. ამათგან სამი ერთი ეპოქის, ნოქალაქევის ქალაქობის დროინდელი, მეოთხე კი გვიანია, მაშინდელი, როდესაც ძველ ნაქალაქარზე ადგილობრივი თავადი დასახლდა. გვაქვს კიდევ ერთგან დიდი შენობის ნანგრევი, მაგრამ იგი იმდენად ფრაგმენტულია, რომ ძნელია გარკვეული რამის თქმა.

თავდაპირველი სახით არც ერთ მათგანს არ მოუღწევია, მაგრამ გვემარების აღდგენა ყველგან შეიძლება.

პირველი სასახლის ნანგრევები მთლიანად მიწით იყო დაფარული და ზედ წილების განმავლობაში ხნავდნენ და თესავდნენ. შენობიდან მხოლოდ სამირკველია დარჩენილი (კედლის სისქე 75—85 მმ), თუ მხედველობაში მოვიდებით და გვიხსენებთ აგრეთვე ადრეფეოდალური ხანის სასახლეებს, ნოქალაქევის ობიექტი ორსართულიანი მაინც იქნებოდა. სამწუხაროდ, შენობა ისეა დაზიანებული, რომ სარკმლები კი არა, კარების ზღურბლიც კი არსად ჩანს. შეგვიძლია ვინააუბროთ მხოლოდ გვეგზე (ტაბ. X, XI).

სასახლეს მოგროძო გვემა ჰქონია (სურ. 29). შუაზე მხოლოდ ერთი დიდი ღარბაზია გრძივ მხარეებზე ღია აივნებით. ღარბაზის ბოლოებზე, მცირე განსხვავებით, სამ-სამი ოთახია. ამ ოთახებიდან შუაში დიდებია და უტოლდება ღარბაზის სიგანეს, ხოლო განაპირები აივნების სიგანისაა.

ვეფიქრობთ, სასახლის მეორე სართულის გეგმა ქვედას განლაგებას იმეორებდა. როგორც ჩვეულებრივ გვხვდება, ქვედა სართული განკუთვნილი იქნებოდა მისაღებად, სასადილოდ და სხვა საქმიანობისათვის, ზემოთ კი საძილე-მოსასვენებელი იქნებოდა.

სასახლის ვიწრო მხარეებზე, დასავლეთით და აღმოსავლეთით, კედლები გრძელდება, მაგრამ ისინი კონსტრუქციულად არ არიან დაკავშირებულნი ძირითადი შენობის კედლებთან. ამ კედლების სისქე (40—50 სმ) გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაგებობები ერთსართულიანი უნდა ყოფილიყო. არაა გამორიცხული, რომ ეს ნაგებობები ვიგულისხმობთ სასახლის დამხმარებელად.

სასახლესთან დაკავშირებით ერთ ვარაუდს უნდა გაუხსნათ ხაზი. ესაა აიენიანი სახლის ტიპი, რომელიც დასავლეთ საქართველოში დღესაცაა გავრცელებული. ასე კარგად გამოკვეთილი აიენიანი სახლი, IV საუკუნისა ან სავრთოდ იმ ეპოქისა, მგონი, სხვაგან ჯერ არსად აღმოჩენილა. ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ ღიააიენიანი სახლის ტრადიციულობა, როგორც ეტყობა, ძალიან შორიდან მოდის. ასეთი დასკვნა მეტად საინტერესოა.


ჩვენ ამ ნაგებობის კონსტრუქცია მოვახდინეთ, მაგრამ ისეთი გაანგარიშებით, რომ კარების შესაძლო ადგილებს დავწიეთ ზღურბლის დონემდე. ასე რომ, მომსვლელი ადვილად წარმოიდგენს კარების სავარაუდო ადგილებს. ხოლო რაც შეეხება აიენებს, იქ გარე ხაზზე დავამაჯრეთ აიენის ხის სვეტებისათვის ქვის ბაზისები. ბაზისებს მივეციით ის მარტივი ფორმა, რომელიც აღრეული პერიოდის ძეგლებზე გვხვდება.

V ს. ბოლოს, როგორც ეტყობა, ნოქალაქებს დიდი უბედურება დაატყდა თავს. მართალია, ამაზე ისტორიულ წყაროებში მითითება არა გვაქვს, მაგრამ გათხრებისას ნახანძრავი ყველგან ჩანდა და თანაც ორი ნაგებობა — მეორე ხასახლე და ბაზილიკა — ახალადაა აგებული. მტრის შემოსევის კატასტროფას შეეწირა მეფეთა ეს პირველი სასახლე და დიდი ზომის სამნავიანი ეკლესია. ერთი და მეორეც სამეფო ცენტრის აუცილებელი ნაგებობებია და ამიტომ ახალს აგებენ. ახლის აგება მომხდარა იმ მიზეზით, რომ დანგრეულის აღდგენა შეუძლებელი ყოფილა. მეფემ სასახლე კი ააგო უფრო დიდი, მაგრამ ეკლესია აღრე მდგარს ზომებში ერთი მესამედით ჩამოუყვარდება. ამითაც შეიძლება დავასკვნათ, მტრის დარტყმა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ იმავე თუ სხვა მეფეს ნაგებობათა აღდგენა ძველი მასშტაბით არ შეძლებია. იგი სამნავიანი ბაზილიკის აღგილზე ისევ სამნავიან ბაზილიკას დგამს, მაგრამ ზომებით ნაკლებს.

პირველი სასახლე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში იდგა. ახალი კი ცენტრისკენ გადაუწევიათ. ასეთი გადაწყვეტა მეფის ახალ გეგმასთან იყო დაკავშირებული. მეფეს გადაუწყვეტია ციხის შიგნით ახალი სიმაგრის შექმნა, ეს ჩვეულებრივია, ე. ი. როდესაც ქალაქში სამეფო უბანი, ანუ შიდა ცხე გამოყოფილია. ფეოდალურ სამყაროში, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ყოფილიყო ეს, სიუზერენს ეშინოდა არა მარტო გარეშე მტრისა, არამედ საკუთარი ქვეშევრდომისაც. ასეთი იყო სამყარო — „ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა“, თითოეულ მათგანს საკუთარი თავის უსაფრთხოებაზე უნდა ეფიქრა.

ძველი დიდი ბაზილიკის ნანგრევზე სამხრეთით დადგმულია სასახლე, ხოლო ჩრდილოეთით მიდგმულია ეკლესია. მეფემ სასახლესთან ერთად ააგო ვალაქანი და მასში ჩართო კოშკი. ვალაქანი შემოფარგლული იყო მეფეთა სასახლის უბანი, ფაქტიურად, იგი შიდა ციხეს წარმოადგენდა. კოშკი ორ ფუნ-

ქციას ასრულებდა. პირველი, ეს იყო კიშკარი, ხოლო მეორე — შესასვლელის ღამცველი. პირველი სართული თალებით იყო გახსნილი. ასეთი განიერი თალები ტრანსპორტსაც გაატარებდა, მაგრამ ორივე მხარეს ქვის ზღურბლს არ ეტყობა ბორბლის ხშირი ხაზუნის კვალი. ქვეითისათვის გაცილებით მცირე ზოზის გასასვლელიც იკმარებდა. როგორც ეტყობა, ეს კოშკი თავისი განიერი თალით, უპირველეს ყოვლისა, მეფეთა სამყოფის ტრიუმფალური შესასვლე-ლია. ამას გარდა, თალოვანი გასასვლელი ცხენოსანს, მხედარსაც გაატარებდა.



სურ. 29. ნოქალაქევი. მეფეთა პირველი ხასახლის ნაშთის აქსონომეტრია.

სხვებზე აღრე ფრანგი მკვლევარი და მოგზაური დიუბუა დე მონპერე ეწვია ნოქალაქევს. იგი მოკლედ აღწერს ნაქალაქარს, გამოთქვამს სხვადასხვა აზრებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გეანტიკურებს მისი ნათქვამი სასახლეზე. სამწუხაროდ, იგი მხოლოდ ზოგადი სიტყვებით აღწერს მწვანეში ჩაფლულ ნანგრევებს და დასძენს, რომ ორსართულიანი ლაზთა სასახლიდან მხოლოდ ასეთი ნანგრევი დარჩა¹⁰⁵.


¹⁰⁵ Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caycase. Paris. 1839, გვ. 56.

ა. ნ. მურავიოვმა იმავე საუკუნის 40-იან წლებში ინახულა ნოქალაქევი. იგი მხოლოდ ორიოდ სიტყვით მოიხსენიებს მეფეთა სასახლის ნანგრევებს, იქვე მდგარ ეკლესიას სამრეკლო-კოშტან ერთად¹⁰⁶.

კ. განმა 1903 წელს ინახულა ნოქალაქევი. ის ასე წერდა სასახლეზე: „Совершенно разрушен красовавшийся прежде... дворец царей лазов, остались лишь следы толстых стен фундаментов — часть камней от стен послужила при постройке школьного здания, втиснутого в эти развалины и находящегося тут же, рядом с церковью.“¹⁰⁷

აქ აღნიშნულმა სკოლამ, როგორც ადგილობრივებმა გადმოგვცეს, მრავალი ვადაკეთებებით მოაღწია ჩვენამდე და მხოლოდ 50-იან წლებში დაიშალა, მას შემდეგ, რაც სოფელში ააგეს ახალი სკოლა.

როგორც ამ წიგნებში, ისე სხვაგანაც ნოქალაქევის მეფეთა სასახლე, მდგარიც ორმოცმონამეთა ეკლესიის სიახლოვეს, მხოლოდ იხსენიება და მეტი არაფერი. ამ წიგნებში ერთადერთი ცნობაა საინტერესო, ესაა ის, რომ ადგილობრივებმა გადმოცემით იციან, რომ ესაა მეფეთა სასახლე (სურ. 30, 31, ტაბ. XVII—2).



სურ. 30. ნოქალაქევი. მეფეთა მეორე სასახლის პირველი სართულის გეგმა.

ექსპედიციის ჩასვლისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ნაქალაქარი ტყითა და ჭაგნარით იყო დაფარული, ნაგებობათა სილუეტების გარკვევა მაინც შეიძლებოდა. ვალაენის შიგნით, საერო ნაგებობებიდან ეს ნაგებობა გამოირჩეოდა და ჩვენ თითქოს ეჭვი არ შეგვპარვია, რომ ეს უნდა ყოფილიყო ლაზთა მეფის სასახლე.

სასახლიდან, ფაქტიურად, ჩანდა ერთი სართული, მაგრამ ეტყობოდა, რომ კედლები ქვემოთაც გრძელდებოდა. გათხრები და გაწმენდა დავიწყეთ მხო-


¹⁰⁶ А. М. Муравьев. Грузия и Армения. Спб., 1848, с. 270.

¹⁰⁷ К. Гая. Экскурсия в Нахалакеви летом 1903 г. — Известия КОМАО, вып. II, Тифлис, 1907, с. 13.

ლოდ 1976 წელს, რადგან მანამდე არ მოხერხდა გვერდებზე და პირველი სართულის თავზე არსებული ახალი „კაპიტალური“ სამარხების გატანა. როგორც კი ეს სამუშაოები ჩატარდა, მაშინვე შეუღლებით კედლების სუროსგან გაწმენდას და გათხრებს. ერთიც და მეორეც, მრავალი მიზეზის გამო, მეტად რთული შესასრულებელი გამოდგა. მთლიანად შენობის გამოვლენას მოეწონით სამი სეზონი.

ამ ნაგებობის გათხრისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ბევრი არ არის, მაგრამ საინტერესოა მრავალფეროვნებით. ეს მასალა ძირითადად გამოკეცულია¹⁰⁸. ახლა მხოლოდ აღენიშნავენ იმას, რაც შენობასთანაა დაკავშირებული. ესაა კრამიტი და ლურსმანი.

ფრაგმენტების მიხედვით სასახლე გადახურული ყოფილა ბრტყელი და ნახევარწრიული კრამიტით. ეს მიწა სასახლის დანგრევის შემდეგ იმდენჯერაა ნატრიალები, რომ მთელ კრამიტს არ მოუღწევია. ნატრებიდან ჩანს, რომ ბრტყელი კრამიტი გვერდბაქეცილი იყო, ჩვეულებრივი, ისეთი როგორც გვხვდება, საერთოდ, იმ ეპოქის ძეგლებზე. ხოლო რაც შეეხება ნახევარწრიულ კრამიტებს, ისიც ასევე გატრელებულ ფორმას მიეკუთვნება. განსხვავება მხოლოდ შენობის გრძივი გვერდების საფასადო კრამიტებშია. აქ, ისე როგორც იქვე მდგარ ბაზილიკაზე, გამოყენებული ყოფილა ანტიფიქსებიანი კრამიტები. ამ შემთხვევაში ათიოდე გადარჩენილი ანტიფიქსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ყველაზე ჭვარია გამოსახული (სურ. 1). თანაც ერთი ჭვარი მეორეს არ იმეორებს. არის შემთხვევები, როცა ჭვრები ტიპით ერთნაირი არიან, მაგრამ ზომებით განსხვავდებიან. როგორც ეტყობა, ყალიბს არ იყენებდნენ,



სურ. 31. ნოქალაქევი. მეფეთა მეორე სასახლის ფასადები და განაკვეთები.

¹⁰⁸ შ. იაშვილი, შ. ზამთარაძე, ეგრისის მეფეთა სასახლე. — ნოქალაქევი-არქეოლოგისი, წ. I, თბ., 1981, გვ. 189—193.

აღბათ, ჯერებს და მთლიანად კრამიტის წინა პირს ხელით ძერწავდნენ. ამიტომ ზომებშიაუ განსხვავებაა.


ანტეფიქსიანი კრამიტის დამზადების აქ აღნიშნული წესი მარტო ამ სასახლისათვის არ ყოფილა. ასეა დამზადებული იქვე მდგარი სამნავიანი ეკლესიისა და ნაჯახოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიის კრამიტებიც (ტაბ. LIV—2).

რაც შეეხება ლურსმანს, ისინი რკინისგან ჰედვითაა მიღებული და რამდენიმე ზომისაა. ფორმით კი ყველა ერთმანეთს იმეორებს. ლურსმნის განივი კვეთი თითქმის კვადრატულია, მას ერთ მხარეს წრიული ქული აქვს, ხოლო მეორე ბოლოს — წვეტი. სასახლე ორ ან შეიძლება სამ ეტაჟადაა აგებული. პირველად აუგიათ ჩრდილოეთის მონაკვეთი (გარე ზომები: 15,4×11,12), შემდეგ მიუშენებიათ სამხრეთის მონაკვეთი (გარე ზომები: 10,5×11,2 მ). ორივე გარე ორ სწორ ხაზს შიგნითაა მოთავსებული. შენობა მთლიანად ჩრდილოეთის მონაკვეთში ყრუკედლებიანი სარდაფით იწყებოდა. მეორე სართული ერთ დიდ დარბაზს წარმოადგენს (ფართი — 114 კვ. მ). ეს მისაღებად იქნებოდა განკუთვნილი. მისი კედლებიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა მთელ სიმაღლეზე დაზიანებულიადაა მოღწეული, ხოლო ორი დანარჩენი ძირამდელა მოთხრილი. ამიტომ შენობის კარ-ფანჯარებზე ეერაფერს ვიტყვი. არსებული კედლებიდან აღმოსავლეთისას ორი უფორმო ზერელი აქვს. ეტეობა, აქ, თავის დროზე, სარკმლები უნდა ყოფილიყო. არსებული კედლები შიგნით და გარეთ თლილი ქვითაა შემოსილი, მაგრამ საფასადო ქვები უფრო დიდი ზომისაა, გათლილიც უკეთაა და ზომებითაც დილია.

ამ შენობას ერთი დეტალიცა აქვს შემორჩენილი, რომელიც აშკარად მიუთითებს შენობის სამსართულიანობაზე, ესაა კიბე მიშენებული შენობის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეზე. იგი მიწის დონეზე ორი მხრიდან იწყება (დღეს მიწის დონე დაწეულია). შეერთებისას მცირე ბაქანი იქმნება, აქედან კი ერთი წარში ზემოთ მიემართება. ზემოთაც ბაქანი იქმნება. ამ ბაქნიდან იქნებოდა შესამე სართულში შესასვლელი. ეს კაპიტალური კიბე აშკარად უთითებს მესამე სართულის არსებობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ ამ სართულის კედლები შერჩენილი არ არის. შენობის სამივე ნაწილს არ გააჩნია ისეთი მკვეთრი სტილისტიკური ნიშნები, რომ მათი ზუსტად დათარიღება შეიძლებოდეს. როგორც აღვნიშნეთ, სამივე მონაკვეთი ცალ-ცალკეა აგებული, მაგრამ ეს დომხდარა ერთ ეპოქაში, დროის ახლო მონაკვეთებში, ჯერ ბაზილიკის ნანგრევებს სიახლოვეზე დაუდგამთ ერთი დიდი დარბაზი, შემდეგ შენობა გაუზრდიათ სამხრეთის დიდი სათავსით. შეიძლება ჩრდილოეთის ვრცელ დარბაზს ზედა სართული ჰქონდა და სართულებს შორის კავშირი შიდა კიბით ხდებოდა. უფრო სწორი ვარაუდი შეიძლება იყოს შემდეგი: სამხრეთის მინაშენის წარმოქმნისას შენობა უფრო კაპიტალური გახადეს და ამის სამ სართულს გაუსწორეს თავდაპირველი ნაგებობა. ასეთ შენობას უკვე კაპიტალური კიბე აუცილებლად ესაქიროებოდა და იგი მიაშენეს კიდევაც ჩრდილო-დასავლეთის კუთხეს. ამ შემთხვევაში კიბის ერთი ნაწილი გადავიდა ბაზილიკის ნანგრევებზე. სასახლას მეორე ნაწილი პირველზე პატარაა (ფართი — 88 კვ. მ). აგი გვგმით კვადრატს უახლოვდება, პირველ სართულს დასავლეთით, ცენტრში კარი აქვს. ამ კარის გვერდები სწორხაზოვანია, ნათხალების გარეშე, რაც თავისთავად ადრეულ საუკუნეებზე მიუთითებს.

ამ სართულის განათება ხდებოდა ორი წვრილი სარკმლით, რომლებიც

ვანლაგებული იყო აღმოსავლეთის კედელში. ამათ გარდა, სამივე გარე კედელში სხვადასხვა ზომის რამდენიმე სწორკუთხა ნიშია განლაგებული, მეორე სართულის კედლების მცირე ფრაგმენტია დარჩენილი, ზოლო მესამე სართულიდან არაფერს მოუღწევია.




სურ. 32. ნოქალაქევი. დაღიანების სასახლის გეგმა და განაკეთი.

სასახლის ეს მონაკვეთიც, პირველის მსგავსად, თლილი ქვითაა მოპირკეთებული. მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ შიდა კედლები შემოსილია შედარებით პატარა ქვით, ზოლო ფასადებზე უფრო დიდი და უკეთ გათლილი ქვებია.

როცა აღმოსავლეთის მხრიდან უყურებთ სასახლის ორივე მონაკვეთის ფასადებს, აშკარად ერთგვარობაა, თითქოს ერთი ოსტატის აგებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენობების ეპოქა ერთია, განსხვავება მხოლოდ მშენებლობის ეტაპებშია. ეს ეტაპი კი VI ს. დასაწყისია, ყოველ შემთხვევაში, 40-იან წლებს არ უნდა გადაცდეს.

სასახლის ორივე მონაკვეთს ხის კოკოვანი გადახურვა ჰქონია. ამის ნაშთი კარგად ჩანს სამხრეთის მონაკვეთის პირველ სართულში. აქ ერთი დიდი კოქის გასადებად შუაზე, ჩრდილოეთის კედელზე პილასტრია მიშენებული. აქედან მეორე კედლამდე ორი საყრდენი ყოფილა. ერთი მათგანი, მარანის კედელში ჩაშენებული აქამდეა მოღწეული.



სურ. 33. ნოქალაქევი. სამეფო უბნის კიშკრის კოქის გეგმა გათხრების შედეგებით.

სასახლის სამხრეთის მონაკვეთის პირველი სართული XVI—XVII სს. მოსულ დადიანებს მარნად გადაუკეთებიათ. ამ მიზნით ერთი მხარე, სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთი გამოუყვიათ. დანარჩენში კი ქვევრები ჩაუყრიათ (სხვადასხვა ზომის ქვევრი ვარედან ყველა კარის 8—10 სანტიმეტრის სისქის ხსნარითაა შემოკირული. ეს წები მთელს საქართველოში შემოდის მხოლოდ XVI ს-დან). კუთხეში მოკაეებული ადგილი დაბალი კედლით ყოფილა სა-

ერთოსგან გამოყოფილი. უფრო მაღალ დონეზე, ისევე შიგნით, სწორკუთხად შემოღობილია, სადაც, ალბათ, აგროვებდნენ ყურძენს. იქვე გაუმართავთ საქაჯავი, რომლისგან დარჩენილია მარტო ძირის ქვა (სურ. 30). ქვას ჩრდილოეთით (შიგნითკენ) ღარი აქვს ჩაკეტილი. ამ ღარის წინ მოწყობილია საკმაოდ ღრმა ორმო, სადაც გროვდებოდა დაწნეხის შემდეგ გამოღინებული ყურძნის სითხე. ამ ორმოდან, სპეციალური ქურქლით, მაქარს გადაიტანდნენ ქვევრებში (შიგნით ქვევრების დიდი რაოდენობა იყო, მაგრამ დაშლილი იყო, მიწას გაყვა. შედარებით კარგად შერჩენილი პატარა რამდენიმე ქვევრი ახლაცაა იტაქში ჩაფლული).

მარნის ზედა სართულის კედლებიდან მცირე ფრაგმენტია დარჩენილი, ხოლო მესამე სართულიდან აღარაფერია შერჩენილი.

სართულშუა გადახურვა, აქაც, როგორც პირველ მონაკვეთში, ხის, კოჭოვანი ყოფილა. მთავარი კოჭის ცენტრში გასაღებად, ჩრდილოეთით, ძველი კედლისათვის განიერი პილასტრი მიუშენებიათ, როგორც ეტყობა, შუაზე ორი საყრდენი ყოფილა. ერთი მათგანი საქაჯავის გამომყოფ კედელშია ჩაშენებული, მეორე კი აღარ გადაჩენილა.

ძველი სასახლის გადაკეთება თუ როდის უნდა მომხდარიყო, ამაზე ისტორიულ წყაროებში პირდაპირი მითითება არ არის. არის მხოლოდ XVIII ს. პირველი ნახევრის ცნობა ვახუშტი ბაგრატიონისა. იგი მოკლედ ჰყვება ციხე-გოჩის ისტორიას და ბოლოს ასკვნის: „აწ არს ციხე კვალად და სასახლე დადიანისა“¹⁰⁹.

ახლა უშუალოდ იმაზე, რაზეც ვახუშტი წერს, რომ აქ დადიანებმა სასახლე ააგესო. ჩვენი ნოქალაქევეში ჩასვლისას ასეთი სასახლე არ ჩანდა. ნაქალაქარი ისე იყო ტყე-ჩაგნარით დაფარული, რომ საექვო ნანგრევებიც არსად ჩანდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ნელ-ნელა ნაქალაქარის ქვედა ტერასა გაიჩეხა, დასავლეთის მონაკვეთში, აღრევე აღმოჩენილი „სამეფო აბანოს“ სიახლოვეს არსებული მცირე შემადლება ვახდა გათხრის ობიექტი. მალე გამოიკვეთა სწორკუთხა შენობის კვალი. იმავე სეზონში დამთავრდა მისი გაწმენდა. შენობიდან დარჩენილი იყო დაახლოებით 1,5 მეტრი სიმაღლის კედელი. კედლებს შიგნით მოთავსებული იყო ერთიანი დარბაზი, გვეგით დაახლოებით კვადრატს მიახლოებული (სურ. 32). ამ შენობის სამხრეთის კედელი, 20-იან წლებში, როდესაც აქ გადიოდა სენაკი-მარტვილის სამანქანო გზა, გზის გაფართოების მიზნით აუღიათ. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ექ გზა ექსპლედირებამ გადაეცა, გათხრით მოიძებნა მეოთხე კედლის ნაშთი. ამ კედლით შეიკრა შენობა (მილა ზომები: 8,6×7,8 მ. კედლის სისქე 1,5 მ).

შენობის კედლები თითქმის ერთ სიმაღლეზეა გადანგრეული. კედლები დიდრონი რიყის ქვითაა ნაგები, მხოლოდ ერთი კარია აღმოსავლეთის ცენტრში.

ამ შენობის ნაშთის ერთი შეხედვაც საკმარისია იმისათვის, რომ ითქვას — მას არაფერი აქვს საერთო ეგრისის სამეფოს დროინდელ მშენებლობასთან! მასალა — რიყის ქვა, კედლის წყობის ტექნიკა, კარის წირთხლების მოწყობა და სხვა დეტალები, აშკარად გვიან საუკუნეებზე მიუთითებს.

განვილი თხუთმეტი წლის განმავლობაში სხვა შენობის კვალიც არ აღმოჩნდა და მოსალოდნელიც არ არის, რადგან ყველგან გათხრილია, ან მოსინჯუ-


¹⁰⁹ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 166.

ლი მაინც არის. მხოლოდ ეს შენობა, თავისი ყველა მონაცემით, შეიძლება დადიანების სასახლედ მივიჩნიოთ. კედლების სისქეს თუ მივიღებთ მხედველობაში, იგი შეიძლებოდა ორსართულიანი და, არაა გამორიცხული, სამსართულიანი ყოფილიყო.

შენობის შიდა ტერიტორიის გაწმენდისას მიწაში აღმოჩნდა მხოლოდ კრამიტისა და კერამიკის უსახო ნატეხები.

დადიანების ხელი ქალაქის ძველ გალავანსაც შეხებია. ისინი აქ რომ დასახლდნენ, სიმაგრეც ხომ სჭირდებოდათ. ახლის აგება მათ არ შეეძლოთ ან უკიდურეს შემთხვევაში თუ ააგებდნენ, იქნებოდა მცირე მასშტაბისა, აქ კი მათ დახვდათ უზარმაზარი ნაქალაქარის დაზიანებული გალავანი. დადიანებს ვადაუწყვეტიათ ძველი გალავნის შეკეთება. ცხადია, მათ ციხის კედლები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში დახვდებოდათ, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა. მათი ხელი ნაქალაქარის ქვედა ტერასის ირგვლივ ჩანს ორგან: ერთი სამხრეთ გალავნის შუაზე მდგარი კოშკიდან აღმოსავლეთით და მეორე აღმოსავლეთის გალავნის შუა ხაზის ჩრდილოეთ ბოლოში. ორივეგან ახალი კედლები რიყის ქვითაა ნაგები და სისქით 60 სანტიმეტრია.

ასეთი კედლები ეპოქის ეკონომიკური თავისებურებიდან გამომდინარეობს და მართო დადიანებისთვის არაა დამახასიათებელი. ძველი ეგრი გალავანს 160 სანტიმეტრიდან 250 სანტიმეტრამდე აკეთებდა. მათ გაცილებით მეტი შესაძლებლობები ჰქონდათ, ისინი კედლებსაც სქელს აგებდნენ და სამუნ



სურ. 34. ნოქალაქევი. სამეფო უბნის კიშკრის კოშკის ფასადები და განაკეთო.

მასალად თლილ ან სანახევროდ თლილ ქვას ხმარობდნენ. გვიან კი, იქვე გამავალი მდინარის რიყის შემყურენი იყვნენ. ამ გვიან ეპოქაში საერთოდ შეიმჩნევა რიყის ქვის მასიური გამოყენება.

ნოქალაქევეში არსებული სასახლეები ამით ამოიწურება. თითოეული მათგანი თავისი ეპოქის მშენებლობის დონის კარგი მაგალითია.

ნოქალაქევისა და მისი „კვანის“ აბანოები

ნოქალაქევისა და მის ირგვლივ, თხუთმეტობედ კილომეტრის რადიუსით, აბანოების სიმრავლე აშკარად მიუთითებს ეგრისის სამეფოს არა მარტო სანიტარული კულტურის მაღალ დონეზე, არამედ ქვეყნის საერთო სიძლიერეზეც, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და მშენებლობის მაღალ ტექნიკაზე. თანამედროვემ განსაკვირბ არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ნოქალაქევისა და მის გარშემო გამოვლენილია ექვსი აბანო (არაა გამორიცხული, რომ კიდევ აღმოჩნდეს), რადგან იგი იყო სახელმწიფოს ცენტრი. საგულისხმოა, რომ, ისე როგორც სხვაგან, ცენტრის ირგვლივ განლაგებული იქნებოდა დიდებულითა რეზიდენციები, მაგრამ იმ ეპოქის აბანოები ხომ გვხვდება მთელს დასავლეთ საქართველოში, სადაც, ცხადია, აბანოები ციხის მფლობელებს და ისევ დიდებულებს ეკუთვნოდათ. კერძოდ, აბანოები მიკვლეულია ზღვის სანაპირო ზოლზე — ციხისძირში (პეტრაში), ბიკვინტაში და ცოტათი ღრმად — შუხუთში (ლანჩხუთის რ-ნი).

ნოქალაქევისა და მის გარშემო აბანოები გამოვლენილია ახლა მიტოვებულ ადგილებზე, მათი დანგრევის შემდეგ იქ ცხოვრება აღარ გაგრძელებულა. ეს გასაგებიცაა, რადგან თითოეული ქალაქი, ციხე თუ რეზიდენცია წარმოშობილი იყო განსაკუთრებულ პირობებში, ერთ პოლიტიკურ გარემოში. აღნიშნული ობიექტები ცხოვრების წარმომშობ მიზნებთან ერთად ქრება, ახალ პირობებს ახალი პუნქტების გაჩენა მოყვებოდა.

ეგრისის სამეფოს სიძლიერის პერიოდში ორი აბანო შენდება თვით დედაქალაქ ციხეგოჯში, რომელიც მდინარე ტუხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ციხეგოჯიდან სამიოდე კილომეტრზე, ჩრდილოეთით, ისევ მდინარის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ბეთლემის მიდამოებში, შენდება მომცრო აბანო. მისი გაშენება მდინარის ნაპირზე გაპირობებული იყო ბუნებრივი, გოგირდოვანი ცხელი წყლის არსებობით. დედაქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე, დღევანდელი სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე დიდებულის რეზიდენციის შემადგენელია მცირე ზომის აბანო. ამ პუნქტიდან ჩრდილოეთით ხუთიოდე კილომეტრზე, დღევანდელ მარტვილში, სტადიონის მშენებლობის დროს, ამ ოციოდე წლის წინათ დაანგრავს აბანო, რომლის ფრაგმენტები ამჟამად ინახება იქვე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საფიქრებელია, რომ აქაც რომელიღაც დიდებულის რეზიდენცია ყოფილა. ბოლოს ერთი აბანოც აღმოჩნდა სოფელ ნოსირის ტერიტორიაზე. აქაც უნდა ვიგულისხმოთ მცირე დასახლება, მაგრამ სხვა შენობების კვალს დღემდე არ მოუღწევია.

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის აბანოები სხვაგანაცაა აღმოჩენილი, მაგრამ ერთ პუნქტში და მის ირგვლივ აბანოების ასეთი სიმრავლე საქართველოში ჯერჯერობით სხვაგან არ არის.

სანამ ჩვენი ობიექტების განხილვაზე გადავალთ, მაინც საინტერესოა ჩამოვთვალოთ საქართველოში ის აბანოები, რომლებიც დღემდე აღმოჩენილი. ამ შემთხვევაში უპირანია ჩამოთვლა დაეწყოთ დასავლეთ საქართველოდან.

ქვეყნის ამ ნაწილში პირველად აბანო აღმოჩნდა ბიკვინტის ტერიტორიაზე. იგი მხოლოდ წინასწარულადაა გამოცემული და თარიღდება II—III საუკუნეებით¹¹⁰. აბანო მიკვლეულია აგრეთვე ციხისძირში (პეტრეშო). ამ აბანოს სათავსებიც ისევე ანფილადურადაა, როგორც ბიკვინტაში. ციხისძირის აბანოს გამომცემელი მას აღრეშუასაუკუნეებით ათარიღებს, დაკონკრეტების გარეშე¹¹¹ (სხვა მონაცემებით ავტორი ალბათ გულისხმობს იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქას, რადგან ეგრისის (ლაზიკის) ეკლესიებს იგი მხოლოდ ამ ეპოქით ათარიღებს).

შემდეგი აბანო, რომელიც გაითხარა 1962—1963 წლებში, შუხუთშია (ლანჩხუთის რაიონი). სათავსოთა განლაგება აქაც ანფილადურია, მაგრამ ორიგინალურადაა გადაწყვეტილი და თანაც ვესტიბიულში მოზაიკაა. მას გამომცემლები ათარიღებენ IV—V საუკუნეებით¹¹².

ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოში სხვა აბანო არ არის მიკვლეული. აღმოსავლეთ საქართველოში იმ ძველი ეპოქების აბანოებიდან პირველი ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს აღმოჩნდა არამაზისხევში. იგი ავტორთა დასკვნით აგებულია II—III საუკუნეებში¹¹³. ეს აბანო ტიპურია იმ ნაგებობებს შორის, სადაც სათავსები განლაგებულია ანფილადურად.

მომდევნო წლებშია მიკვლეული ბაგინეთის ციხე-ქალაქის მცირე ზომის აბანო. ეს აბანო ძალიან ცუდადაა მოღწეული, მაგრამ მისი გეგმარების გადაწყვეტა რომ ისევე ანფილადურია, ეს კი ირკვევა. მისი გამთხრელისა და გამომცემლის მიერ იგი დათარიღებულია არამაზხევის აბანოსთან ერთად ახ. წ. I საუკუნით¹¹⁴.

ნაქალაქარ ურბნისში 50-იან წლებში აღმოჩენილი აბანოს გეგმარებაც ანფილადურია და სათავსები — ცივი, თბილი და ცხელი, — თანმიმდევრობითაა განლაგებული, მაგრამ კედლების მოყვანილობა უცნაურია. აქამდე ჩამოთვლილი აბანოების გეგმა თუ სწორი ზაზებისა და წრეებისაგან შედგებოდა, ურბნისში, არც ერთ კედელს ნორმალური სწორი, ან წრიული ხაზი¹¹⁵ არა აქვს, თითქოს მისი გეგმა განგებ არის დაბრეცილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სათავსები თავიანთ ფუნქციებს ასრულებდნენ და მიზანიც მიღწეული იყო.

110 ვ. თოლორაძე, ბიკვინტის ნაქალაქარის IV უბანი. — დიდი ბიტიუნტი. II. თბ., 1977, გვ. 145—156.

111 В. А. Левинадзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. — Византийский временник, № 34, М., 1973, с. 174—177.

112 П. П. Захарая, В. А. Левинадзе. Археологические раскопки в Шухути. — მაცნე, 1966, № 1.

113 ა. აფაქიძე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 147—160.

114 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 38—39.

115 პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 69—80.

არის კიდევ ერთი აბანო, უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი. ესაა ნ ა ქ ა -
ლ ა ქ ა რ ძ ა ლ ი ს შ ი, სასახლის კომპლექსში შემავალი აბანო. იგი მისი გა-
მთხრელის მიერ II საუკუნით თარიღდება¹¹⁶.

გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ იბერიასა და ეგრისში, ცხადია, აბა-
ნოები გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ ან არ გადარჩენილა ან კიდევ ჯერ
არ გამოუვლენიათ. მიუხედავად აბანოების სიმცირისა, შეიძლება მათი ერთი-
ნაღ შესწავლა და ზოგიერთი საკითხის განზოგადებაც.

ჩვენ ამჟამად ციხეგოჯსა და მის „ქვეყანაში“ გამოვლენილ აბანოებს
განვიხილავთ. დაეიწყებთ ციხეგოჯიდან.

ციხეგოჯში, (რადგან ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო) მოსალოდნელი
რყო მინიმუმ ორი აბანოს გამოვლენა. ძველ სამყაროში, ეს იქნებოდა მონათ-
მფლობელური, თუ ფეოდალური, სხვადასხვა სოციალურ ფენებს თავ-თავის-
თვის ჰქონდათ აბანოები. წარმოუდგენელი იყო მეფე-დიდებულთ ებანავათ
მონებთან, თუ ყმებთან ერთად. ამიტომაც მათ ცალ-ცალკე ჰქონდათ აბანოები.
ასე იყო ფეოდალური ხანის ბოლომდე. კონკრეტულად შეიძლება XVI—XVII
საუკუნეების კახეთის დედაქალაქის გრემის მაგალითის მოყვანა. იქ მეფე-დი-
დებულები ქალაქის აღმოსავლეთის მონაკვეთში ცხოვრობდნენ და იქვე ჰქონ-
დათ აბანო. ასევე, სავაჭრო უბანს, რომელსაც დასავლეთის მონაკვეთი ეკავა,
საყუთრად ჰქონდა აბანო¹¹⁷ (აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იქ, სადაც
ბევრი ხალხი იყო, ე. ი. სავაჭრო უბანში, აბანოს აგურის იატაკი თითქმის
ბოლომდეა გაცვეთილი, ხოლო დიდებულთა უბანში იატაკი ოდნავაა გაცვე-
თილი). ასეთივე სურათია შუა ფეოდალური ხანის ისეთ ქალაქში, როგორცაა
დმანისი¹¹⁸. მაღლა, ქალაქის ციტადელში, იქ, სადაც ციხისთავი და შეიძლება
სხვა დიდებულებიც ცხოვრობდნენ, მცირე ზომის აბანოა, ხოლო ქვემოთ, მდი-
ნარის ნაპირზე მეორე აბანოა. იგი სამოქალაქო უნდა ყოფილიყო. მაგრამ იყო
ქალაქები, თუ ციხე-ქალაქები, ცალკეული რეზიდენციები, სადაც ერთი მეპო-
ტრონიც იყო. ასეთ ბუნქტებში, შესაძლოა, ერთი აბანო ყოფილიყო. ასეთებიდან
აქ შეიძლება რამდენიმე აღვნიშნოთ. კერძოდ, ციხე-ქალაქ ბაგინეთში მხოლოდ
ერთი აბანოა აღმოჩენილი¹¹⁹. მცხეთის ერისთავთა რეზიდენცია არმაზში ისევ
ერთი აბანოა¹²⁰. ციხისძირში (პეტრაში) ერთია აბანო¹²¹. აქაც სათავსები მწკრივ-
ზეა განლაგებული. დღევანდელი გურიის შუაში, სოფელ შუხუთის ტერიტო-
რიაზე მცხოვრებ დიდებულსაც მხოლოდ ერთი აბანო სჭირდებოდა¹²².

ზემოგამოთქმულ დებულებას თუ მივიღებთ, მაშინ სრულიად ლოგიკურია
ორი აბანოს გამოვლენა ციხეგოჯ-ნოქალაქეში. ერთი მათგანი (დასავლეთით
მდგარი) დიდია, კაპიტალური და მაღალი გემოვნების მქონე ოსტატის მიერაა

116 ა. ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები აღმანსა და ძალისში, თბ., 1981, გვ. 36—51, სურ. 2.

117 ბ. ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975, გვ. 82, 104.

118 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულ-
ტურა, თბ., 1938, 347—363.

119 ა. აფაქიძე, შოთ. ნაშრ., გვ. 38.

120 ა. აფაქიძე, მცხეთა, I, გვ. 147.

121 В. Лехвиадзе. О постройках Юстиняна в Западной Грузии. — Визан-
тийский восток. М., 1973, с. 174—176.

122 П. Закария, В. Лехвиадзе. Археологические раскопки в Шухуты. —
მაცნე, 1966, № 1.

აგებული, ხოლო მეორე (აღმოსავლეთით მდგარი) პატარა. მის ოსტატს საკუთარი თავისთვის დიდი მოთხოვნები არ წაუყენებია.

ზემოჩამოთვლილ აბანოებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, მაგრამ აუცილებლად აღვნიშნავთ მათ შორის საერთოს, როგორც მთელი საქართველოსათვის, ისე აბანოების შემქმნელ ქვეყნებთანაც. უმისოდ გაურკვეველი იქნება როგორც მათი წარმოშობის საკითხი საქართველოში, ისე ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს თითოეულ მათგანს.

ციხეგოჭი-ნოქალაქევის აბანოები

ნაქალაქარის აბანოებიდან უკეთ შემორჩენილი და უკეთესი ნაგებობაა, ვ. წ. სამეფო აბანო¹²³ და განხილვასაც იქიდან ვიწყებთ.

სამეფო აბანო. ნაქალაქარის ორი აბანოდან უკეთესსა და დიდს ექსპედიციამ პირობით უწოდა „სამეფო“, ხოლო მეორეს, შედარებით პატარას და მდარედ ნაგებს — „სამოქალაქო“. ამ შემთხვევაში ჩვენ ეხელმძღვანელობდით იმ გარემოებით, რომ ქალაქის საზოგადოების სხვადასხვა ფენას სხვადასხვა აბანო უნდა ჰქონოდა. მართლაც, ქალაქში სრულიად განსხვავებული აბანოების აღმოჩენამ ეს აზრი განგვიმტკიცა. შენობათა განსაზღვრის შემდეგ კი უკეთესი დიდებულებს მიეკუთვნა, ხოლო შედარებით მდარე მოქალაქეებს. მოხმარების თვალსაზრისით ამ უკანასკნელში შედიოდნენ მეომრებიც. ქალაქის დამცველებიც.

სამეფო აბანო გათხრების დაწყების პირველ წელს გაიწმინდა. საინტერესო იყო მისი მიკვლევა ამ ტყით დაბურულ ტერიტორიაზე. მთელ ნაქალაქარზე ხომ თავისუფალი ადგილი მხოლოდ სატრანზიტო გზა იყო, რომელიც ამ ტერიტორიაზე გადიოდა. დანარჩენი ხეებითა და ჭაგნარით იყო დაფარული. ჩვენს ჩასვლამდე ცოტათი ადრე აქ, ხიდან ელექტროხაზის ჭიხურის აგება მოუნდომებიათ. მიწის სამუშაოების დაწყებისას ნაგებობის ნაშთებს წაწყდომიან და ძეგლის მცველს მუშაობის გაგრძელება აუკრძალავს. ჩვენი ჩასვლისას დაგვახვედრეს ფრაგმენტები, რომლითაც ცხადი გახდა, რომ აბანოსთან გვემონდა საქმე.

მის გათხრას ჩასვლისთანავე შევეუდექით და ძირითადი სამუშაოები პირველივე სეზონში დავამთავრეთ. ხოლო ძეგლის საბოლოო გათხრას და მიმდებარე ძალიან მდიდარი ტერიტორიის ათვისებას კიდევ ორი სეზონი მოვანდომეთ, შეიძლება გადაუქარებულად ითქვას — შედეგი ბრწყინვალე გამოდგა. თვით აბანო მალალი გემოვნების მქონე, გამოცდილი ოსტატის მიერაა აგებული.


გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის აბანოების აღმოჩენა საქართველოში არ არის ახალი. თუ არა ვცდებით, მათი რიცხვი ამჟამად თხუთმეტს ჰპარბობს¹²⁴. თავისთავად თითოეული მათგანი საინტერესოა, მაგრამ მათ შორის არის განსაკუთრებული, ზოგი საერთო გადაწყვეტით, ზოგი მოზაიკით და სხვა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ობიექტიც მრავალი რამით გამოირ-

123 ბ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1973—77 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. — ნოქალაქე-არქეოლოგია. წ. 1, 1981, გვ. 81—84.

124 ისეთ პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველო, ეს რიცხვი ცოტა არ არის, მითუბრუნდებოდა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მეზობელ ქვეყნებში იმ ეპოქების აბანოები ორიოდეა მიკვლეული.

ჩვეა, მაგრამ მათში განსაკუთრებული მეტად ორიგინალური დაგეგმარება და სიდიდეა.

ამ ობიექტის აღმოჩენამდე საქართველოში გამოვლენილი აბანოები, ძირითადად, ერთი ტიპისანი იყვნენ. ამ ტიპში სათავსები ლაგდება ანფილადურად.



სურ. 35. ნოქალაქევი, „სამეფო“ აბანოს გეგმა.

ნოქალაქევეში ასეთი სიმარტივე არ არის, პირიქით, აქ გეგმარების სირთულეა და მრავალფეროვნება. ეტყობა, დამკვეთი და დამპროექტებელი საქმას გამოცდილებიანი ყოფილან.

ნოქალაქევის აბანოს გეგმა ირეგულარია. გეგმის შემქმნელს უზრუნია, პირველ რიგში, სათავსოთა კომპაქტურობაზე, მათი ურთიერთკავშირის მოხერხებულობაზე, მაგრამ მხედველობიდან არ გამორჩენია ფსაადების მხატვრულობაც, ასე რომ, აქ ყველაფერი გათვლილია. ამიტომაცაა ნოქალაქევის აბანო შესანიშნავი საქართველოში ამ დანიშნულების ნაგებობათა შორის.

ვიტრუვიუსი, ძვ. წ. I საუკუნის არქიტექტორი და მეკლევარი, აბანოებზე რეკომენდებს, აღნიშნავს, რომ თვით აბანოს შენობა ცხელ ადგილზე უნდა დიდგას. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ უნდა ფარავდეს მთა, ტყე და სხვა, რომ მზის ძალა მაქსიმალურად გამოიყენონ. კერძოდ, ნოქალაქევეში ასეთ მიდგომას ჩვენ აშკარად ვხედავთ: ორივე აბანოს შენობა მღინარის სამხრეთის მაღლა ნაპირზეა წამოდგმული.

რომაულ აბანოებში ასეთივე მიდგომა თვით აბანოს შენობის ორიენტაციის განსაზღვრისას: აბანოს შენობის ცხელი მხარეები ქვეყნის ცხელი მხარეებისკენ უნდა იყოს ორიენტირებული.

იქვე ავტორი დასძენს, რომ ჩვეულებრივ ბანაობა მიღებული იყო ნაშუადღევს — საღამომდე¹²⁵. ეს პრინციპი, როგორც ეტყობა, მომდევნო საუკუნეებში დარღვეულია, რადგან რომაელ ხალხს ბანაობის დიდი მოთხოვნილება ჰქონიათ. ამიტომ იმპერატორებს დილიდანვე შეუშვიათ ხალხი, რომ ყველას მოესწრო იქ ყოფნა¹²⁶.

სამეფო აბანოს ორიენტაცია ამ პრინციპზეა აგებული, ე. ი. ის სათავსები, რომლებიც საჭიროებენ სითბოს, ორიენტირებული არიან ცხელი მხარეებისკენ. კერძოდ, შენობის განაპირას განლაგებულ ცხელ საბანაოებს სამი მხრიდან უვლის მზე — აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ასე რომ, ოსტატმა ბუნებიდან მომდინარე სითბო მაქსიმალურად გამოიყენა (სურ. 35, ტაბ. XXIII—XXV).

აბანოს ჩრდილოეთით ორი კარი აქვს. ისე ჩანს, თითქოს, ერთი შესასვლელი უნდა იყოს და მეორე — გამოსასვლელი. შესასვლელად, ლოგიკურად, მარცხნივ მდებარე უნდა ყოფილიყო, რადგან იგი უფრო ახლოსაა ცივ საბანაოსთან, ფრიგიდარიუმთან (Frigidarium). ამ კარიდან შემოსული უფრო ადვილად უკავშირდებოდა თბილ და ცხელ საბანაოებს. ხოლო მარჯვნივ მდებარე მეორე კარი უშუალოდ უკავშირდება ბანაობის შემდეგ დასასვენებელ დარბაზს. ამიტომ იგი მხოლოდ გამოსასვლელი უნდა ყოფილიყო.

ფაქტიურად, ორივე კარი ერთი სათავსის სხვადასხვა მკლავშია მოთავსებული. ამიტომ ამ სათავსის განსასაზღვრავად ანტიკური სამყაროს აბანოებში მიღებული მოძრაობის ჰქემა უნდა გამოვიყენოთ. ჩვეულებრივ, ანტიკურ აბანოში შესასვლელიდან უშუალოდ გასახდელში, აპოდიტერიუმში (Apodyterium) შედიხართ, ხოლო აბანოში ყველა საჭირო პროცედურის დამთავრების შემდეგ, ისევე ამ სათავსში ხედებით. აქ დაისვენებთ, ჩაიცვამთ და წახვალთ, ე. ი. დიდი სათავსი გასახდელი და დასასვენებელია. ამ დარბაზიდან ტოვებთ აბანოს.

რომის დიდი და პატარა აბანოების სათავსოების მოწყობაში ყოველთვის ერთგვარობა არ ყოფილა. კერძოდ, გასახდელი, აპოდიტერიუმი ყველა აბანოს არ ჰქონია. თუ ასეთი არ იყო, მაშინ გასახდელად იყენებდნენ ცივ საბანაოს. აქ ტოვებდნენ ტანისამოსს.

ზოგჯერ ისეთ დიდ ნაგებობებშიც კი არ ყოფილა გასახდელი გამოყოფილი, როგორც თერმებია, როცა შენობას ასეთი სათავსო არ გააჩნდა, რომელები თურმე ქირობდნენ ტანისამოსს დამკავებელ-შემნახველებს. უნდა ვიფიქროთ,

¹²⁵ Витрувий. Десять книг об архитектуре, т. I, М., 1936, с. 106—107.

¹²⁶ Ч. Камерон. Термы римлян. М., 1939, с. 20.

რომ საქართველოში მდგარ აბანოებში ამდენი მომსვლელი არ იქნებოდა და ამიტომ ყოველთვის მოხერხდებოდა ტანისამოსის შენახვა¹²⁷.

ასეთივე მდგომარეობაა მოსაცდელის გადაწყვეტილას. მოსაცდელის ფართი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო აუზების გამტარუნარიანობაზე¹²⁸.

ახლა მივყევთ „სამეფო“ აბანოს პროცედურას.

გასახლელიდან ფართო ღიადით ვხვდებით თითქმის კვადრატულ მოზრდილ სათავსში (ფართი — 15,1 მ), სადაც ერთი კედლის გასწვრივ ორი სწორკუთხა აბაზანაა. აბაზანებიდან ერთი მომტროა, მეორე — გრძელი. ორივე აბაზანა განკუთვნილი იყო ცივი წყლისათვის. როგორც ირკვევა, ეს ის სააბაზანოა, რომელსაც ანტიკურ სამყაროში ფრიგიდარიუმს უწოდებდნენ. აბაზანის კედლები არ შემორჩა, ამიტომ წყლის შემოყვანის გზა არ ჩანს, მაგრამ მისი გაყვანისათვის ორი აუზის იატაკში ხვრელია. ამ სათავსში, ალბათ, ბევრი წყალი ისხმებოდა და ამიტომაც ოსტატს იატაკზე თლილი ქვა დაუფია. იატაკიდან წყლის გაყვანის საკითხიც კარგადაა გადაწყვეტილი. აბაზანების სწორ კედელს შიგნიდან პარალელურად მიყვება ათიოდე სანტიმეტრის სიგანის ჩაღრმავება. ამ ღარის შუაზე არსებული ხვრელით წყალი ჩადიოდა მილში, იქიდან კი — გარეთ გამავალ კოლექტორში. თავისთავად ცივ აბაზანებს შეიძლება ორი დანიშნულება ჰქონდა: პირველი — ეს იყო მისი გამოყენება ზაფხულის თვეებში. ვისაც არ უნდოდა თბილ სათავსებში ბანაობა, აქ ცივ აბაზანას მიიღებდა და გავიდოდა. მეორე — მისი გამოყენება შეეძლო ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, ცხელი აბაზანის მიღების შემდეგ.

აქედან ერთადერთი კარით შევდივართ მცირე ზომის სათავსში, რომელიც თბილ სააბაზანოს, ტეპიდარიუმს (tepidarium) წარმოადგენს. ამ სათავსს შენობის ცენტრალური ნაწილი უკავია და ფაქტიურად სამ სათავსთან არის დაკავშირებული. ცივი სააბაზანოდან ხომ შემოვებით, მარცხენა კარით ცხელ სააბაზანოში მოვხვდებით, ხოლო მარჯვენათი — დამატებით სააბაზანოში.

თბილი სააბაზანოს გეგმა მომტრო სწორკუთხედიან, ერთ ბოლოში აფსიდური აუზით (ფართი, აბაზანის გარეშე, 2 კვ. მ). სათავსის იატაკი კარგადაა მერჩენილი, იგი მიღებულია ე. წ. პიდრავლიკური ხსნარით,

რომის იმპერიაში აბანოებისათვის მაგარ და წყალგაუმტარ ხსნარს ღებულობდნენ კირის, ქვიშის (საჭიროების შემთხვევაში ხრეშის დამატებით) და დანაყილი აკურის ფხენლისაგან. პიდრავლიკური ხსნარის მიღების იგივე ტექნიკა გვიანანტიკურ ხანაში უკვე ჩვენში დამკვიდრებულა (ყველა ქართულ აბანოში ეს ტექნიკა გვხვდება).

ამ სათავსში გაირკვა სრულიად მოულოდნელი რამ. იატაკის ქვეშ კალორიფერი არ ყოფილა გამართული. ეს გამოჩალისია, რადგან ჩვეულებრივ ცხელი და თბილი სათავსების იატაკები ქვემო სართულიდან, კალორიფერიდან, თბება და ცხელდება. სხვა მხრივ შიგ ბანაობა შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა. ახლა რა გამოდის — იატაკი არ თბება, კედლები არ თბება, სითბო კი აუცილებელი იყო. ერთადერთი გზა, საიდანაც სითბოს მიიღებდა ეს სათავსი, იყო ცხელ სათავსთან შეერთებული კარი. რადგან სათავსი ძალიან პატარა იყო, იქიდან გამომავალი სითბო საკმარისად მიუჩნევიდა.

¹²⁷ Камерон, გვ. 12. 14.

¹²⁸ Витрувий, გვ. 107.

ცხადია, სათავსებისათვის სიბოლოს მიწოდება მშენებელს წინასწარ გათვალისწინებული ექნებოდა, თორემ ტექნიკურად მას შეეძლო ქვედა სართულის დონეზე ცხელ და თბილ სათავსებს შორის კედელი თალით გაეხსნა¹²⁹.

თბილი აბანოს აუზის წინ ქვის დაბალი ბაიერია, ხოლო შიგნითკენ — ერთი საფეხური. აუზი მთლიანად ისევ პილრაულიკური ხსნარით იყო შეღესილი, წყლის გასასვლელი გარე კედელში კარგადაა შერჩენილი, მაგრამ კედლების მოშლის გამო არ ჩანს, თუ როგორ შემოდიოდა საბანაო წყალი. ანალოგიებით თუ ვიმსჯელებთ, აქ უნდა დაეუშვათ ორი კერამიკული ხაზის — თბილი და ცივი წყლის — შემოსვლა. ეს მილები, ალბათ, გვერდი-გვერდ ჰდებარებოდა მოსაზრებებელ სიმაღლეზე. საჭიროების მიხედვით წყალს გაანულებდნენ.

თბილი სააბაზანოდან მარცხნივ მდებარე კარით ვხვდებით ცხელ სააბაზანოში, კალდარიუმში (caldarium). იგი ორი ნაწილისაგან შედგება და მთელი სამხრეთის მხარე უჭირავს. პირველი სათავსი გეგმით კვადრატს მიახლოებულია (ფართი — 9,6 კვ.მ), ხოლო მეორე მოგაძოა (ფართი 12,2 კვ. მ). შენობის ეს მონაკვეთი ძალიანაა დაზიანებული, მაგრამ ძირითადის გარკვევა ხერხდება. გარე კედლებს დაზიანების გამო ეს მხარე მხოლოდ პირობით შეიძლება აღდგეს.

როგორც ჩვეულებრივ, ისევე აქაც თბილი და ცხელი სააბაზანოები ორსართულიანია. პირველ სართულში კალორიფერი, ჰიპოკაუსტია გამართული. ესაა სვეტებიანი დაბალი სათავსი, რომელიც ტექნიკურად აუცილებელია (ზედა სართულის სააბაზანოების გასათბობად).

აბანოს საქვაბე მოწყობილი ჰქონია დასავლეთის ბოლოში. დაზიანების გამო ახლა არ ირკვევა საცეცხლე როგორ იყო გამართული, მაგრამ იგი აქ სათავსის გარეთ რომ იყო, ეს საეჭვო არ არის, რადგან მისი აღვილი მხოლოდ აქაა და თანაც გათხრისას გარეთა სათავსში ამოვიდა დანახშირებული მორები. აქ სბილენძის ქვაბი იდგა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი საქვაბე, ამის აღდგენა დღეს შეუძლებელია.

აქვე წარმოდგენილ გეგმაზე ჩანს, თუ რა რთული გადაწყვეტა აქვს ჰიპოკაუსტს. აქაა თავში და შუაში თაღოვანი კონსტრუქცია, რომლებიც ზედა სართულის იატაკის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, ხოლო მასიურ საყრდენად გამოყენებული იყო მრგვალი აგურის (დიამეტრი 18 სმ) სვეტები (სვეტები შედგენილია 7 სმ სიმაღლის წრიული აგურით, რომლებიც სანტიმეტრის სისქის ხსნარითაა შეერთებული. კალორიფერის სიმაღლე 60—65 სმ). დასავლეთის მონაკვეთში მრგვალი აგურის სვეტების ნაცვლად ერთგან იდგა 4—5 ცალი კერამიკული მილი (ეს მილები სიმპცილისათვის ამოვსებული იყო კერის ხსნარით). ჰიპოკაუსტის გრძელი მონაკვეთის შუაში ქვის თალი იყო გამართული. ესეც იატაკის დამატებითი საყრდენი იყო.

¹²⁹ ჩვენ აღრე გვეგონა, რომ თბილი სათავსის ქვეშ ცხელი ჰაერი შემოდიოდა იმ ორი სწორკუთხა მილით, რომლებიც ცხელი სათავსის გვერდით მდებარე სწორკუთხა აუზის ქვეშ შედიოდა, მისმა საბოლოო გამოწმენდამ დაგვარწმუნა, რომ ამ მილების დანიშნულება იყო გათბო მხოლოდ კედელში შეჭრილი აუზის იატაკი (აბანოს გათხრისას ერთადერთი სათავსი იყო თბილი აბანო, რომელსაც ჰქონდა ფერადი ხსნარით კარგად მოვებული იატაკი. დაგვენანა მისი დანერგვა იმ მუხარით, რომ გავგვევო, თუ რა ხდებოდა ქვეშ. მხოლოდ ერთგან ლომით ჩავვებრტვით და როცა ენახეთ, რომ იქ სიციარეღუა, ვიფიქრეთ, ისე როგორც ყველგან, აქაც კალორიფერი იქნებოდა, მაგრამ არა. იქ, როგორც ეტყობა, კამაროვანი სივრცეა).

თვით ზედა სართულის იატაკი თუ როგორ იყო კონსტრუქციულად გამართული, ამას აღმოსავლეთის მონაკვეთში დარჩენილი ფრაგმენტებიდან ვივებთ. ხაზებზე თანაბრად განლაგებულ აგურის კოლონებზე გადებული ყოფილა კერამიკული ფილა (დიდი აგური ზომით მერყეობს 45—50 სმ შორის). მეორე ფენად შედარებით მცირე ზომის (საშუალოდ 25—26 სმ) აგურებია დალაგებული. ამაზე ზემოდან გადასხმულია ე. წ. ჰიდრაულიკური ხსნარი, სისქით 2—4 სანტიმეტრი. ასეთი სისქის იატაკს ახურებდა ის ცხელი ჰაერი, რომელიც საცეცხლედან გამოდიოდა. მაგრამ ცხელი სააბაზანოს გასახურებლად ეს არ იყო საკმარისი, ამიტომ კედლებიც ხურდებოდა. ასეთი სისტემის გათბობის ფრაგმენტიცაა დარჩენილი აღმოსავლეთის მონაკვეთის მოპირდაპირე კედლებზე. მთელ კედლებზე დამაგრებული ყოფილა გვერდებდაკეცილი კრამიტები. ასე აწყობილი კრამიტების ვერტიკალური ღარები ფაქტიურად რადიატორის როლს თამაშობდა. ვერტიკალურად განლაგებული კრამიტების ძირი ქვემოდან ღია და ჰიპოკაუსტის ცხელი ჰაერი მასში შედიოდა და შემდეგ ხდებოდა ჰაერის ცირკულაცია. ამ სახით ხდებოდა კედლებზე მიმაგრებული კრამიტის „მიღების“ გახურება. იატაკისა და კედლების გახურება, ცხადია, გამოიწვევდა თვით სააბაზანოს სათავსის გახურებასაც¹³⁰.

ცხელი სათავსის შიდა კედლებში ხუთი საკვამურია დატანებული. როცა შორებით დიდ ცეცხლს დაანთებდნენ, ალბათ, ჰაერის წვეთსათვის ასე ბევრი საკვამური აუტოლებელი იყო. საჭიროების შემთხვევაში საკვამურებს ზემოდან დაგმანავდნენ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თბილი სააბაზანოს გათბობა ამ ცხელი სააბაზანოდან ხდებოდა შუაზე მდებარე კარით.

ახლა რაც შეეხება სააბაზანო აუზებს. ასეთი აუზი თითო ყოფილა თითოეულ სათავსში. ამათგან ერთი, მარმარილოს მდგარა ცხელი სააბაზანოს პირველ სათავსში (ჩანგრეულ იატაკში ვიპოვნეთ კარგად დამუშავებული მარმარილოს ფილები), ხოლო ცხელი სააბაზანოს მეორე სათავსში აუზი კედელში ნიშანავითაა მოწყობილი.

პირველი სათავსის ჩანგრეული იატაკიდან ამოვიღეთ აგურის ფრაგმენტი (ტ. XXV—2) ბერძნული წარწერით. ეს წარწერა წვეტიანი იარაღით აგურზე გამოწვამდა შესრულებულში¹³¹. პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა ეს წარწერა წაკითხა და სავარაუდო ახსნა მოგვცა¹³². იგი წარწერას ასე კითხულობს: „მოძღინარე მხურვალეაა (ამისი) დასათვალთვინებელი (ე. ი. შესამოწმებელი) ადგილი“. როგორც ეტყობა, ამ წარწერით მშენებელი მიუთითებდა იმ ადგილზე, საიდანაც, აბანოს ექსპლოატაციის დროს, შეიძლებოდა სიბობს შემოწმებარეგულაცია. მართლაც, იქვე, გარე კედელში დატოვებულია ღიობი, საიდანაც შეიძლებოდა ჰიპოკაუსტში შესვლა. წარწერას მისი გამომცემი მიახლოებით VI—VII სს. ათარიღებს. ნაქალაქარის გათხრების სხვა მონაცემები ამ თარიღს

¹³⁰ რომის თერმების ცხელ სააბაზანოებში ჰერაც ხურდებოდა. (Y. Kamron. *ბით. შრ.*, გვ. 17). შესაძლოა ჩვენშიც ასე იყო, მაგრამ შოლწეული აბანოების ნაშთები ამ საკითხის გარკვევის საშუალებას არ იძლევა.

¹³¹ იმ დროის დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მხოლოდ ბერძნული წარწერებია გავრცელებული (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 182).

¹³² თ. ყაუხჩიშვილი, ნოქალაქეის ბერძნული წარწერები. — ნოქალაქეი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981, გვ. 197.

არ ეთანხმება. იგი აგებული უნდა იყოს ადრე, IV—V სს., უფრო, ალბათ, V ს-ში.

აქ ჩვენ განვიხილეთ სამი, განსხვავებული დანიშნულების სათავსი — ცივი, თბილი და ცხელი. ასეთი სათავსები, მხოლოდ ანფილადური განლაგებით, საქართველოს გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის აბანოებში ყველგან გვხვდება. მაგრამ ნოქალაქეში არის კიდევ ერთი სათავსი თავისი აუზით, რომლის მსგავსი გადაწყვეტა სხვა აბანოებში არ გვხვდება. ეს სათავსი მდებარეობს თბილი აბანოს მარჯვენა მხარეს და ისინი კარით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს სათავსი თბილ აბანოზე ცოტათი დიდია. აფსიდალური აუზი კი ისევ სამხრეთით აქვს. სწორკუთხა სათავსსა და აუზს შორის დაბალი ბარიერია, შიგნით კი ერთი საფეხურია. ეს აუზიც, სხვა აუზების მსგავსად, წყალგაუმტარი მოწითალო ხსნართაა შეღესილი. აუზის იატაკის დონეზე წყლის გასასვლელი ხერეღია, რომელიც კოლექტორს უერთდება.

ამ სათავსის იატაკი, ცივი სააბაზანოს მსგავსად, თლილი ქვითაა მოფენილი. გამოდის, რომ ამ სათავსის არც იატაკი და არც კედლები არ თბებოდა, ამიტომ გაურკვეველია მისი დანიშნულება. აქ შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი ვარიანტი: ერთი — სათავსი ცივ სააბაზანოს წარმოადგენდა, ან აუზში ორივე ხაზი შემოდინდა და გაზავებით აქ თბილ წყალს იყენებდნენ. შესაძლოა სააბაზანო ნეიტრალური დანიშნულებისა იყო; შემსვლელი ძირითადი პროცედურის გავლის შემდეგ აქ გადაივლებდა წყალს და გადიოდა დასასვენებელ ოთახში.

ამ სათავსის ჩრდილოეთით მდებარე კარით მოხვდებით ბოლო სათავსში, რომელიც ყველა მონაცემით რამდენიმე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ესაა ოთხშკლავა, ჯვრის გეგმის ვრცელი სათავსი. მის აღმოსავლეთის შკლავში გარედან შემოსასვლელია და იგი უერთდება, ამავე დროს, როგორც ცივ სააბაზანოს, ისე ბოლო ნეიტრალურ სათავსს. ამიტომ მისი გამოყენება გასახდელ-მოსაცდელად მთლად მოხერხებული ვერ იქნებოდა, ჩრდილოეთის შკლავში მეორე კარია, საიდანაც ალბათ ტოვებდნენ აბანოს. ორი დანარჩენი შკლავი თავისუფალია და მათი გამოყენება გასახდელად თავისუფლად შეიძლებოდა. ეს სათავსი ისეთი დიდია, რომ მას მხოლოდ გასახდელ-მოსაცდელის ფუნქცია არ ექნებოდა. ალბათ, აბანოდან გამოსულნი აქ დაისვენებდნენ და ისე ნავიდობდნენ.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ყველა დანარჩენი ხუთი სათავსისაგან უანსხვავებით, აქ, იატაკზე კერამიკული დიდი ფილებია დაწყობილი (ზომით: 40×40×3 სმ). ცხადია, ეს, შემთხვევითი არ არის. ოსტატი იატაკის მასალას არჩევს საჭიროების მიხედვით. ცივ სააბაზანოში იგი იყენებს თლილ ქვას, რათა დაღვრილი წყალი ღარივად ადვილად გაეიდეს. თბილ და ცხელ სააბაზანოებში აგურის იატაკი იყო და მას მოლესვა სჭირდებოდა. ეს სამუშაო შესრულდა პილრაულიკური ხსნარით. გასახდელ-დასასვენებელ ოთახში ადამიანი სველი ტანით გამოდის. საჭირო იყო ეს სისველე იატაკს შეეწოვა. ასეთ მასალად გამოდგებოდა აგური. მართალია, ისიც მაგარია, მაგრამ არა ისეთი, როგორც ქვა. აგურის პორებიანი ზედაპირი წყალს მცირედ შეისრუტავდა. აქ, ალბათ, მხოლოდ აგურის იატაკი არ იქნებოდა, მასზე დააფენდნენ ფარდაგს ან კილოფს, რომ დაჭლომა ან წამოწოლა შეძლებოდათ.

ანტიკური აბანოების მკვლევრის ჩ. კამერონის დავიერებით, ცხელ აბანოში დაბანილი ადამიანი რომელი გზითაც იქ მოხვდა, იმავე გზით უკან არ ბრუნდებოდათ, სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება. ცხელი სათავსიდან გამო-

სულს ორგანიზმი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს სიცვიისათვის. აქედან გამომდინარე, იგი თბილ აბაზანას გამოიყენებდა, ან იმ სათავსში ცოტა ხნით შეჩერდებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ იგი გადავიდოდა ცივ სააბაზანოში, ან პირდაპირ გასახდელ-მოსაცდელში¹³³.

აქვე შეიძლება ქართული და რომაული აბანოების შედარებისათვის ერთი მომენტიც აღინიშნოს. ესაა ქართული აბანოების ფუნქციონალური, პრაქტიკული დანიშნულება, მაშინ, როდესაც რომაული აბანოები უზარმაზარი იყო, მრავალი ადამიანის გატარება შეეძლო და უამრავი დანიშნულების სათავსებიც ჯაჩნდათ.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რომაელებს ჰქონდათ სპეციალური დიდი დარბაზი, სფერისტერიუმი (sphaeristerium), რაც ჩვენთან გამორიცხული იყო. ასეთი დიდი რამ კი არა, ჩვენთან არ იყო ისეთი მცირე მოცულობის სათავსი, როგორც იყო ლაკონიკი (laconicum), ოფლის მოსაღვანად განკუთვნილი¹³⁴.

აბანოს კედლები ნაგებია მცირე ზომის სწორკუთხა ქვით. წყობის საერთო ხედი სასიამოვნოა. თლილი ქვის კარის ზღურბლი ორივეგან კარგადაა შერჩენილი. ზღურბლზე კარის ჩასაკვები გონივრულადაა გადაწყვეტილი.

აბანოს კედლები ზოგან ერთ მეტრამდეა შერჩენილი, ამიტომ გადახურვის ფორმებისა და სარკმლების მდებარეობის საკითხზე პირდაპირ პასუხს ვერ ვძებნულობთ.

ამ საკითხებზე ნაწილობრივ პასუხის გაცემა ხერხდება აბანოს ნანგრევებში დარჩენილი ნაშთებით. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ კამარების ნაშთები, სხვა ვარიანტი აბანოსთვის არც იყო მოსალოდნელი. ქვით ნაგები შენობა ქვისავე კამარებით უნდა ყოფილიყო გადახურული — აბანოს შიდა სათავსების ორთქლსა და ცხელ ჰაერს ხის გადახურვა ხომ ვერ გაუძლებდა. კამარების მოხაზულობა ნახევარწრიულია.

ხოლო რაც შეეხება სარკმლებს, ნანგრევებში ბლომად იყო ნაპოვნი მიწის ნატეხები (ყველაზე დიდი ზომის ნატეხი 27 სანტიმეტრისა იყო). ცხადია, სარკმლები შეშინული იყო¹³⁵, მაგრამ თვით სარკმლები სად იყო განლაგებული არ ჩანს. იქვე, ასიოდე მეტრზე მდებარე ე. წ. სამოქალაქო აბანოს შერჩენილი აქვს ერთი სარკმელი, რომელიც სწორკუთხაა და გარეთა ზომა 30 სანტიმეტრია. უნდა დავუშვათ, რომ ამ აბანოსაც სარკმლები კედლებში ვერტიკალურად ექნებოდა და იგი აუცილებლად შეშინული იყო.

ახლა რამდენიმე სიტყვა აბანოს წყლით მომარაგებაზე. ნოქალაქევის ტერიტორიაზე წყაროს წყალი არ არის და თუ ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს მოვუსმენთ, იგი არც VI ს. ყოფილა. ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „რადგან იქაურ მცხოვრებლებს სხვა წყალი არსაიდან არა აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა მათ თავისუფლად შეძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“¹³⁶. „პროკოპის ორი კედელი“ ფაქტურად ის გვირავია, რომელიც ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთზე ახლაცაა. როგორც ვეცნობა, ციხეგოჯის ქალაქობის დროს მას ეს გვირავი წყლით კვებავდა. ამ წყლის გამოყენება აბანოებში მხოლოდ

¹³³ Камерон, с. 13.

¹³⁴ Камерон, с. 12; Витрувий, с. 15.

¹³⁵ ძალისას აბანოს გამთბრელის ცნობით, ცეცხლფარეშის ოთახში, სხვა ნივთებთან ერთად, აღმოჩენილია „სარკმლის შინის ნატეხები“ (ა. ბოხოჩაძე, შთ. შრ., გვ. 46).

აუზში თუ აუზებში დაგროვებით მოხდებოდა. ასეთი აუზი კი ნოქალაქევის არც ერთ აბანოსთან არ ჩანს.

წყალი მათ მდინარე ტეხურიდანაც შეეძლოთ გამოეყვანათ, მაგრამ ეს ტექნიკურად ძალიან ძნელია, რადგან უკვე ქალაქის ტერიტორიაზე, მისი დასავლეთის ფერდობი ისეთი სალი კლდეა, რომ მასზე შორიდან მომავალი კერამიკული წყალსადენი ვერ დამაგრდებოდა (ახლაც, მაღალი ტექნიკის ეპოქაში, ბაზამდე წყალსადენის ამ გზით გამოყვანა ვერ იქისრეს).

ექვსა ქმნის ის ერთადერთი კერამიკული მილი, რომელიც, ჩვენ ჩამოსვლამდე, საღდაც აბანოს სიახლოვესაა ნაპოვნი და ამჟამად სკოლის მუზეუმში ინახება. საფიქრებელია, რომ იგი უნდა იყოს აბანოს შიდა მილი, რომელშიც ცხელი ან ცივი წყალი გადიოდა და აუზებისაკენ მიემართებოდა.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემებიდან მომდინარეობს. 70-იან წლებში, როცა ჩვენ აქ მუშაობა დავიწყეთ, დაგვხვდა ას წელს გადაცილებული რამდენიმე მოხუცი და ბევრი რამ საინტერესო გვიამბეს. კერძოდ, ამ აბანოსთან დაკავშირებით ასეთი ცნობა მოგვაწოდეს: აბანოს სამხრეთით, გვერდზე, მდინარის ნაპირზე, ყოფილა ბუნებრივი გოგირდოვანი ცხელი წყალი. იგი სამკურნალოდ ითვლებოდა, ისე როგორც ეს არის ამჟამადაც მდინარის აყოლებაზე სამიოდე კილომეტრზე, დედამოკას ცხელ აბანოებში.

გასულ საუკუნეში, ნოქალაქევის აბანოს გვერდით მდებარე ცხელ წყალს, ყოველგვარი სპეციალური მოწყობილობის გარეშე, სამკურნალოდ იყენებდნენ. ხალხი თურმე ბლომად დადიოდა და პირდაპირ დაგუბებულ წყალში წვებოდა.

ასეთ „სტუმრიანობას“ ნაქალაქარის მფლობელი დადიანები შეუწყუხებია და მათ „სამკურნალო ორმო“ ამოუქოლავთ. შემდეგ კი, 1886—1891 წლებში აქ აუგიათ ის რკინის ხიდი, რომელიც ახლაცაა. ხიდის მარცხენა ნაპირის ბურჯს დაუფარავს ის ადგილი, სადაც წყალი ამოდიოდა. ამის შემდეგ წყალი გაქრაო, გვიყვებიან ადგილობრივნი.

აქ საინტერესოა გავიხსენოთ ა. მურავიოვის (ნოქალაქევი იყო გასული საუკუნის 40-იან წლებში) ნათქვამი: „На берегу Техури есть ещё остатки тёплых минеральных вод, времён греческих, над которым хочет устроить владетель новые бани“.¹³⁷

მეორე მოგზაური კ. განი, რომელიც აქ იყო 1903 წელს, ამბობს, რომ „При постройке... моста закрыт находившийся тут же на левом берегу тёплый минеральный источник и уничтожены остатки древней бани...“¹³⁸

როგორც ვხედავთ, აქ მინერალური წყლის არსებობას ორივე ავტორი აღნიშნავს, მაგრამ პირველმა იგი თუ ნახა, მეორის დროს უკვე დაკარგული იყო ახალი ხიდის ბურჯის დაშენებით.

ახლა მდინარის სანაპიროზე თბილი წყალი არსად ჩანს (ჩვენ თბილი წყალი ბევრი ვეძებთ იქვე და ქვემოთ მდინარის ჩაყოლებაზე, მაგრამ ამაოდ). ამიტომ ზემომოყვანილი გადმოცემის შემოწმება შეუძლებელია. მაგრამ ეს აბანო ცხელი გოგირდოვანი წყლით რომ მარაგდებოდა, ეს უეჭველი ჩანს.

¹³⁷ პ რო კო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, ვეორგია, ტ. 2, გამოც. ს. ყუხჩიშვილისა, თბ., 1965, გვ. 188—189.

¹³⁷ А. Муравьев. Грузия и Армения. Спб., 1848, с. 274.


¹³⁸ К. Ган. Эхскурсия в Нахалакеви летом 1903 г. — ИКОМАО, Тифлис, 1907. с. 13.

აქ შეიძლება გავიხსენოთ კამერონის ცნობა, რომ რომის აბანოებში წყალს იყენებდნენ სამკურნალოდაც, პირველ რიგში ავადმყოფობიდან ძველი წყაროები ახსენებენ თავის ტკივილს, დაღლას და სხვა. მოკლედ, იქ ბევრი კეთდებოდა, იყო მიღების წესი და სხვა.

ნოქალაქევის ორივე აბანოს წყლით მომარაგების საკითხი, შესწავლის ამ დონეზე, ვარაუდის დონეზე წყდება.

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ა ბ ა ნ ო . განხილული აბანოებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასიოდე მეტრზე, მეორე აბანოა, რომელსაც პირობით „სამოქალაქო აბანო“ შევარქვით. იგი პირველზე მეტადაა დაზიანებული, მაგრამ ძირითადი მომენტების გარკვევა მაინც ხერხდება. ესაა მდინარის მხარეს, ვალაენის გაყოლებაზე გრძივად გაწოლილი ნაგებობა. მისი დასავლეთის მონაკვეთში შედარებით თითქმის ყველაფერი გასაგებია, ხოლო აღმოსავლეთის მონაკვეთი, დაზიანების გამო, ძნელად ირკვევა.

საქმე იმაშია, რომ აბანო ქალაქობის დროს გაუქმებულია და ახალი კედლების დაშენებით მისთვის სხვა ფუნქცია მიუციათ. ჩვენ ახლა არ ვიმსჯელებთ ამ შენობის მეორე პერიოდის ცხოვრებაზე, არამედ შევეხებით მხოლოდ პირველ პერიოდს.



სურ. 36. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანოს გეგმა.

აბანოს ძირითადი ნაწილი განლაგებულია დასავლეთით (სურ. 36, 37, ტაბ. XXVI). იგი მოცულობით არაა დიდი, მაგრამ ქართული აბანოებისათვის დამახასიათებელი ყველა ნაწილი გააჩნია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარიდან ვხვდებით გასახდელ-მოსაცდელში. გასახდელი სათავსი დასავლეთით მდებარე მცირე სარკმლით ნათდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში შემორჩენილი აბანოებიდან ეს ერთადერთი აბანოა, სადაც სარკმელი აღვილზეა.

ამ ერთი სარკმლის მიხედვით მაშინდელი აბანოების განათებაზე კატეგორიულად შეუძლებელია საუბარი, მაგრამ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, რომ ასე იყო ალბათ, ე. ი. განათება შემინული სარკმლებით გვერდითი კედლებიდან კეთდებოდა.

რომის იმპერიის აბანოებში ძირითადად სარკმლები კეთდებოდა გვერდით კედლებში, მაგრამ გვხვდება გუმბათის ცენტრში გაჭრილი სარკმლებიც (К а м е р о н . გვ. 19, 24, ტაბ. IV და სხვ.).

იმ ეპოქის, ე. ი. გვიანანტიკურ აბანოებში, შეშინვის ნიმუშები სხვაგანაცა აღნუსხული, კერძოდ, მინის ნატეხები უპოვიათ ზერსონესის აბანოების გათხრისას, ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში¹³⁹. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, აქ არმაზის ხევის აბანოს გამთხრელი ს. კალანდაძე ვარაუდობს, რომ სამხრეთის კედელში შეშინული სარკმლები უნდა ყოფილიყო, რადგან გათხრისას მას უამრავი მინის ნატეხი უპოვნია სწორედ ამ კედლის გასწვრივ¹⁴⁰. გასახდელ-მოსაცდელთან დაკავშირებულია სხვადასხვა დანიშნულების სამი სათავსი. მარჯვნივ მცირე ზომის ცივი აბაზანაა¹⁴¹. მას გასახდელისგან გამოყოფს დაბალი მოაჯირი, რომლის ძირში გადის მილი, რომლითაც იწრიტებოდა გასახდელის იატაკზე დაკრთვლილი წყალი. თავისთავად გასახდელის იატაკი მოლესილი იყო პიდრაკლიკური ხსნარით. ასევე იქნებოდა აბაზანაც.

შესასვლელი კარის პირდაპირ, სამი საფეხურით, ხვდებოდა ვიწრო სათავსში, რომელიც ერთგვარად ჩიხს. წარმოადგენს. მას შემორჩა კიბის ბაქანი, მაგრამ ბოლოსკენ ჩანგრეულია სათავსის იატაკი, ამიტომ თუ რას წარმოადგენდა რგი, არ ირკვევა. შესაძლოა აქ ინვენტარის შესანახი, ან არაა გამორიცხული, რომ ტუალეტი იყო (როგორც აღვნიშნეთ, ბოლო მონაკვეთი ჩანგრეულია და არაფერი ირკვევა).

ასეთ სათავსთან დაკავშირებით არ იქნებოდა ურიგო, რომ გაგვეხსენებინა რომის აბანოებში (თერმებში) წესად შემოღებულ დაბანის წინ ტანის დაზეღვა (ეს არ იყო მხოლოდ რომელიმე სოციალური ფენის უპირატესობა). ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი იყო სათავსი, რომელსაც უნქტუარიუმი (unctuarium) ეწოდებოდა.

რომაელები დაბანის წინ ტანზე ზეთს ისევამდნენ და შედიოდნენ სავარჯიშო დარბაზში. ვარჯიშობის შემდეგ კი პირდაპირ გადიოდნენ ცხელ საბანაოში. იყო თუ არა ასეთი წესი საქართველოში, ამაზე ვერაფერს ვიტყვით. ასევე არაფერი ვიცით იმაზე, ქართველი აბანოდან გამოსვლისას რომაელებით ისევამდა თუ არა სურნელოვან მალამოს¹⁴².

გასახდელიდან მარცხნივ თუ წავალთ, კარით მოვხვდებით კვადრატულ სათავსში, რომელიც თბილ საბანაოს წარმოადგენდა. აუზი და იატაკი არ დაგვხვდრია. ადგილზეა მხოლოდ პიპოკაუსტი, კვადრატული კვეთის ქვის სადგარებით (სადგარის კვადრატული ზედაპირის გვერდები მერყეობს 25—30 სანტიმეტრებს შორის, ხოლო სიმაღლე 50 სანტიმეტრია). ჩაცვენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ იატაკი აქაც დიდი ზომის კერამიკული ღილებით და აკურებით ყოფილა შედგენილი. თუ აღრე განხილული აბანოს მხედვით ვიმსჯელებთ, აქაც იატაკი პიდრაკლიკური ხსნარით იქნებოდა მოლესილი. ხოლო რაც შეეხება აუზს, მისგან არაფერი დარჩენილა, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომლითაც შეიძლება აუზის ადგილის სავარაუდო მინიშნება. გვერდით სათავსში ცხელი წყლის აუზი ჩრდილოეთის კედელშია მოთავსებული და იქვე, ჩრდილო კედლიდან შემოდის კერამიკული მილი. იმავე მხარეს საქებიდან კედელს თუ მცირე მილი გამოუყვებოდა, ან პირველი მილი გაგრძელდებოდა, მაშინ აუზის ადგილი მხოლოდ თბილი საბაზანოს ჩრდილო კედელთან უნდა ვივლისხმობთ.

¹³⁹ К. К. Косцюшков-Валужнич. Отчет о раскопках в Херсонесе в 1904 г. — ИАК, вып. 20. Спб., 1906, с. 47.


¹⁴⁰ ა. აფაქიძე, მცხეთა, I, თბ., 1956, გვ. 158—159.

¹⁴¹ აბანოს ამ მონაკვეთის გარე კედელი ფერდობიანი გადავარდნილი იყო. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დარჩენილი კუთხის ქვით კედლის ეს ხაზი აღვადგინეთ.

¹⁴² Камерон, с. 12—14.

თბილი სააბაზანოს სხვა დეტალებიდან აღსანიშნავია საკვამურები. ორი მათგანი მოწყობილია დასავლეთის კედელში¹⁴³.

თბილი სააბაზანოდან კარით მოხვდებით ცხელ სააბაზანოში. მისი გეგმა გრძელი ოთხკუთხედიანია, სამხრეთით ღრმა ნიშით. სათავსი ძალიანაა დაზიანებული, მაგრამ ყველაფერი ირკვევა, გარდა იმისა კედლები ხურდებოდა თუ არა. აქაც იატაკი შედგებოდა ფილებისა და აგურისაგან. იატაკი დაყრდნობილია კერამიკული მილებისა და მილად შედგენილი კრამიტისგან მიღებულ საყრდენებზე.



სურ. 37. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანოს დეტალები.

სათავსის ჩრდილო მხარე მთლიანად გასქელებულია შიგ აუზის მოსათავსებლად. აუზი გეგმით მოგრძო სწორკუთხედიანია (ტაბ. XXVI—2). აუზში ჩასასვლელად ერთი საფეხურია შიგნითა მხრიდან. აუზის ეს მხარე მობანავეთა შესასვლელად ღია იქნებოდა (შესასვლელი მოსალოდნელია თაღოვანი ყოფილიყო).

ამ აბანოში კიდევ ერთი მეტად საინტერესო დეტალია შერჩენილი. ესაა გათბობის სისტემა.

ცხელი სააბაზანოს აღმოსავლეთის კედელში ქვაბია მოწყობილი (სურ. 37, ტაბ. XXVII—1). ამ ქვაბის ჩრდილოეთის ზედა ნაპირზე იწყება ცხელი წყლის წყალსადენი. იგი კედლის ბოლოს დასავლეთით უხვევს და შედის ზემოაღწერილ აუზებში. თვით საცეცხლე და ქვაბი კი შემდეგნაირადაა მოწყობილი: ამ საცეცხლეში შესავლელი გარედან, ჩრდილოეთითაა. მისი დასავლეთის კედელში, რომელიც ამავე დროს ცხელი სააბაზანოს კედელიცაა, მოწყობილია საცეცხლე და მის ზემოთ ქვაბი. საცეცხლე კამაროვანია, ზედა

¹⁴³ ეს საკვამურები ქვემოდან კედელშია შეჭრილი. შემდეგ კი კედელზე მიმაგრებული კრამიტებით აღიოდა ზემოთ და ალბათ, ასევე გადიოდა გარეთ.

მცირე ხერელით. ეს ხერელი (დაახლოებით 20X30 სმ) იმავე დროს ქვაბის ძირს წარმოადგენდა. სწორედ ამ ხერელზე იღო სპილენძის (ან რომელიღაც ლითონის) ფილა, ან შეიძლება — ტაშტი. თვით აუზი აგურისა იყო, მაგრამ რადგან ძირი სპილენძისა ჰქონდა, ცეცხლის სიმზურვალე ადვილად გადაეცემოდა და წყალი ცხელდებოდა. „ქვაბი“, ფაქტიურად, აგურით ამოშენებული კუბია, მაგრამ მისი კედლები სამი თუ ოთხი ფენის პილარული ხსნარითაა დაფარული (ფენების ასეთი რაოდენობა შეიძლება შეკეთებაზე მიუთითებდეს). ასე იდეალურად შელესილ „ქვაბში“ ცივი წყალი თუ როგორ შედიოდა, ახლა არ ჩანს კედლის დაზიანების გამო, მაგრამ თუ როგორ გადიოდა ცხელი წყალი, ეს კარგად ჩანს (სურ. 37). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ცხელი წყლის გასაყვანი კერამიკული მილზე განსხვავება ცივი წყლის მილებისგან იმით, რომ ეს მილები უკეთ განლექილი თიხისაგანაა გამოწვევარი და თანაც უფრო სქელკედლებია და წერილი¹⁴⁴ (ტაბ. XXVIII—1).

საქართველოში მდგარი აბანოები იმდენადაა დაზიანებული, რომ არსად დგინდება, თუ როგორ იყო მოწყობილი საცეცხლე, საქვაბე და თუ რას წარმოადგენდა თვით ქვაბი. რამდენადაც ლიტერატურით ცნობილია, ვათბობის სისტემის საკითხი რომის თერმებშიც ვერაა ბოლომდე გარკვეული. ვიტრივიუსის ცნობით, აბანოში იდგა სამი სპილენძის ქვაბი. ამათგან ერთი ცხელი წყლისათვის იყო, მეორე თბილი წყლისათვის და მესამე ცივისათვის. ამათგან დუმილზე იდგა მხოლოდ ცხელი წყლის ქვაბი. რადგან ეს ქვაბები მილებით იყო შეერთებული, ცხელი ქვაბი ივსებოდა მომდევნოებიდან წყლის ხარჯვის შესაბამისად¹⁴⁵.

ვიტრივიუსის ასეთი სიტყვიერი განმარტების საილუსტრაციოდ ჩ. კამერონს მოყვანილი აქვს ტიტუსის აბანოს მოხატულობა, მაგრამ კამერონი მას ნამდვილად არ მიიჩნევს და თავის აზრებს გამოთქვამს, მაგრამ არც ეს არის დამაჯერებელი¹⁴⁶.

ვიმედოვნებთ, რომ სადმე აღმოჩნდება საქვაბე ქვაბით და ყველაფერი ნათელი გახდება.

საცეცხლეში თალის წინ ბრტყელი ქვებია დაფენილი. ეს საჭირო იქნებოდა შორების დასალაგებლად. ხოლო ნაცარს, როგორც ეტყობა, ყრიდნენ იქვე ზღინარისკენ არსებული კარით, ამ გარე სათავისის სამხრეთის კედელი მდინარის ჩარღვეულ ნაპირს ჩაპყლიდა და არ ირკვევა სათავისის ფართი. იატაკზე დარჩენილი დიდძალი ნაცარის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაცარს აქ აგროვებდნენ და აქედან ყრიდნენ მდინარეში.


აბანოს ძირითად კორპუსზე აღმოსავლეთით მოდგმული, ანფილადურად ჯანლაგებული სამი სათავსიდან, პირველის დანიშნულება გარკვეულია, იგი ცეცხლფარეშის სამუშაოდაა განკუთვნილი, მაგრამ მას რომ ორი სათავსი მოსდევს, მათზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვი, რადგან მათი კედლები ზოგან ძირამდეა დარღვეული, ზოგან კიდევ 60—80 სანტიმეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ასეთი დაზიანების გამო ამ სათავსთა დანიშნულებაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, ერთი რამ კი ცხადია, სამივე სათავსი აბანოსთან იყო დაკავშირებული. პირველი სათავსისაგან განსხვავებით, მეორე, შუა სათავსის

¹⁴⁴ ძალისის ერთ-ერთ აბანოში ქვაბისა და საქვაბის დაახლოებით მსგავსი სურათია (ა. ბოხოჩაძე, მთ. შრ., გვ. 59).

¹⁴⁵ Витрувий, с. 107.

¹⁴⁶ Камерон, с. 16, 17, 18.

იატაკზე აქა-იქ კიდევ ეტყობოდა ჰიდრავლიკური ხსნარის ნაშთები, ხოლო ბოლო სათავსში 15 სანტიმეტრის სისქის ჰიდრავლიკური ხსნარით შეზავებული იატაკი დაგვხვდა. იგი კარგად იყო დატული. ცხადია, ორივე სათავსს წყალთან ჰქონდა საკმე, მაგრამ მათ საბანაოდ იყენებდნენ თუ არა, ამის მიმანიშნებელი არაფერია.



სურ. 38. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანოს კერამიკული მილი.

ერთგვარად ვითარების გარკვევა შეეძლო იმ სათავსებს, რომლებიც განლაგებულია ამ სათავსის სამხრეთით. ისინი უშუალოდ ზემოაღწერილ სათავსებთანაა კარგებით დაკავშირებული, მაგრამ მდინარის ნაპირის ჩამოშლის გამო მათი გარე კედლები აღარ არსებობს.

მოკლედ, ამ სათავსოთა დანიშნულება და მათი კავშირი აბანოს ძირითად კორპუსთან ვარაუდის დონეზე რჩება.

წყლით მომარაგების საკითხი ამ აბანოშიც გაურკვეველია, ისე როგორც ეს აღვნიშნეთ „სამეფო“ აბანოს განხილვისას, აბანოს ირგვლივ გათხრებისას წყალსადენი, ან მილები არ აღმოჩენილა. დულაბში ჩასმული კერამიკული მილის ფრაგმენტი აღმოჩნდა აბანოს ქვემოთ, მდინარის ნაპირზე (სურ. 38). ცხადია, ფრაგმენტი ამ აბანოდანაა ჩაეარღნილი, მაგრამ მის მიხედვით არ ირკვევა იგი გარე წყალსადენისაა, თუ შიდა (კედელში გამავალი, აუზში ჩაქონარე). ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერამიკული მილი მკვრივად ზის დულაბში, ამიტომ კედელში ჩაყოლებული უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, ნოქალაქევის ორივე აბანო, ცალ-ცალკე ორიგინალური და უნიკალური, პრინციპში ერთი ეპოქის პროდუქტია. ისინი ერთმანეთისგან სათავსოთა განლაგების პრინციპით და ზომებით განსხვავდებიან, მაგრამ დამპროექტებელთა ცოდნა, გამოცდილება და უნარი ერთი ეპოქისეული ჩანს. ეს ეპოქა IV—V საუკუნეებია.

როგორც აღრევეც აღვნიშნეთ, ნაქალაქარის გარეთ კიდევ ოთხი აბანოა. ამათგან ორი, ნოსირისა და ნოჯინევისა, ჩვენ გავთხარეთ, მესამე, მარტვილის ტერიტორიაზე მდგარი, ბულდოზერმა 60-იან წლებში დაანგრია და ახლა აბანოს რამდენიმე დეტალი ინახება იქვე მუზეუმში. ხოლო მეოთხე, ბეთლემისა, გადაკეთებული სახით დგას.

ამ ძეგლების ასეთი მდგომარეობის გამო, პირველ ორზე მსჯელობა შედარებით შეიძლება, ხოლო ორ დანარჩენზე — მხოლოდ ზოგადი აზრის გამოთქმა. საერთო დასკვნის სახით, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე აბანო ეგრისის სამეფოს დროინდელია, უფრო კონკრეტულად კი, მისი დიდების ხანის და არა გვიანი. კერძოდ, VI ს. 40-იანი წლების შემდეგ მათი წარმოშობა ძველი წარმოსადგენია.

ნოსირის აბანო მდებარეობს ამ დიდი, გაშლილი სოფლის დასავლეთის მონაკვეთში¹⁴⁷. ეს ადგილი მდინარე ტეხურის მარცხენა მხარესაა, დაახლოებით ნაპირიდან სამასი მეტრის დაშორებით. ამჟამად აბანოს ირგვლივ სხვა ნაგებობა არ ჩანს და არც ჩვენმა სადაზვერეო თხრილებმა გამოიღეს შედეგი. როგორც ეტყობა, ეს აბანო პლანტაციებში გზის დატოვებამ გადაარჩინა. გვერდებზე, იქ, სადაც დაფნის პლანტაცია უნდა გაეშენებინათ, ტრაქტორი უფრო ღრმად გადააბრუნებდა მიწას და თუ რაიმე ნანგრევი იყო, არაფერი ეადარჩებოდა.

სხვა ნაგებობის გარეშე, აქ მარტო აბანოს აგება მაშინდელი პირობებისათვის წარმოუდგენელია. აბანო რომელიმე დიდებულის საცხოვრებელთან ჩნებოდა დაკავშირებული. დასავლეთ საქართველოში, ზღვის სიახლოვეს, ასეთი გადაწყვეტა სოფელ შუხუთში (ლანჩხუთის რ-ნი) ვნახეთ¹⁴⁸. გათხრების შედეგად მივაკვლიეთ აბანოს და სასახლეს. არ იყო ეკლესია და სხვა საჭირო ნაგებობები. მეორე, ასევე კარგი მაგალითი მოგვცა ნოჯინევა, სადაც გაითხარა აბანო და ეკლესია, მაგრამ აღარ დავგვხვდა სასახლე და სხვა ნაგებობები.

ამ ორი მაგალითიდან გამომდინარე და საერთოდ, ლოგიკურადაც, დიდებულის რეზიდენციას აუცილებლად უნდა ჰქონოდა სასახლე, ეკლესია, აბანო და დამხმარე ნაგებობები. ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს ვილას ტიპის დასახლებების გათხრილი სამი პუნქტიდან ყველაზე „გაძარცვულად“ გამოიყურება ნოსირი; აქ მხოლოდ აბანო დავგვხვდა. ისიც ისეა დაზიანებული, რომ ძირითადად მხოლოდ გეგმის კონტური იკითხება და შიგ რამდენიმე დეტალი.

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში, სოციალური და კულტურული ყოფის საინლუსტრაციოდ, ამ მაღალი კლასის წარმომადგენელთა ცხოვრების დონის განსასაზღვრავად კოლხეთის სამ პუნქტში — შუხუთში, ნოსირში და ნოჯინევა-


¹⁴⁷ აბანოს აღმოჩენა შემთხვევით მოხდა. კოლხეთის დაბლობზე, დაფნის პლანტაციის შუაზე ვადის შიდა გზა. სოფლის ბიჭებს, ფეხბურთის კარების გასაქვებლად ერთგან ძელო რომ ჩაურჭვიათ, ნიდავა ჩანგრეულა. მათ უფროსებისათვის დაუძახათ, რომლებმაც რაი-აღმასკომს შეატყობინეს და მათ — ჩვენ.

ექსპედიციის ბაზიდან ეს ობიექტი კარგა მოშორებითაა. ადგილზე მუშის შოვნა შეუძლებელია. ამიტომ მიზილიზაციით დღეში საშუალოდ 10—15 მოწყაფე გამოჰყავდათ. ჩვენც სეზონში ერთი თვე შეგვეძლო მხოლოდ აქ მუშაობა, ამიტომ ობიექტის გათხრა თითქმის ხუთო წელი გაგრძელდა.

¹⁴⁸ П. Закарая, В. Леквинадзе, მთ. ნაშრ.

ში — მიკვლეული რეზიდენციები მრავლისმეტყველია. მაშინდელი დასავლეთის სამყაროს მსგავსად აქაც გვაქვს *vila rustica*-ს ტიპის დასახლებები.

მართალია, არც ერთი მათგანი მთლიანად არაა შენარჩუნებული, მაგრამ ისინი ნაწილობრივ ერთმანეთს ავსებენ.



სურ. 39. ნოქალაქევი. კერამიკული ფილები სხვადასხვა ადგილებიდან.

ჩ. კამერონს მოჰყავს ისტორიული წყაროებიდან ამოღებული ცნობები და ანკენის, რომ რომაელთაგან ცალკეული პირები აგებდნენ აბანოებს თავი-

ანთი მოთხოვნები მისხედვით. ცალკეულ შემთხვევებში ზომებიც განსხვავებულია, სათავსოების რაოდენობაც სხვადასხვაა. ალბათ, ასე იყო ჩვენთანაც, თითოეული აგებდა თავისი საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით¹⁴⁸.

ჩვენი ჩასვლისას, ნოსირში გათხრები რომ დაეიწყეთ, ნაგებობის ნაშთები გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 20—30 სანტიმეტრის სიღრმეზე. ესაა შენობის საძირკველი და არსადაა საარქმელი კი არა, კარის ზღურბლიც კი. შენობის ქვედა ნაწილი, პირველი სართული, ერთ დონეზეა გადაჭრილი, როგორც ერთობა, ბულდოზერის დანით, და კედლები ფაქტიურად დარჩენილია კალორიფერის იატაკიდან 15—20 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ასე რომ, ჩვენ მიერ ჩასატარებელი აღწერისა და ანალიზის დროს, დავეყრდნობით აბანოს პირველი სართულის იატაკზე შერჩენილ დეტალებს. მსჯელობისას ზოგჯერ უნდა დავეყრდნოთ ანალოგიებს, გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის აბანოების გადაწყვეტის საერთო პრინციპებს.

აბანოს ორიენტაცია, ქვეყნის მხარეების მიხედვით, როგორც სხვაგან, ისე აქაც, ზუსტი არ არის, მაგრამ შენობა დადგმულია იმ საერთო პრინციპების დამოკიდებულად, რომელიც მიღებული იყო თავიდანვე რომელიც ოსტატების მიერ და შემდეგ გავრცელებული მთელს მაშინდელ სამყაროში. რა იგულისხმება ამ საერთო პრინციპში: ესაა აბანოს ცხელი სათავსების ორიენტაცია ქვეყნის ცხელი მხარეებისაკენ, მზისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხელი და თბილი საბანაოები და საქვებე მიშვერილი უნდა ყოფილიყო სამხრეთით და დასავლეთით. აბანოს ამ შენობაში ისინი თითქოს ცოტათი ჩრდილოეთითაა გადაწეული. თანაც უნდა დაეუმართო ის ცნობა, რომ რომაელები აბანოებში ძირითადად შედიოდნენ დღის ბოლოს, მაშინ, როცა მზის სითბოს მაქსიმალური ძალა ჰქონდა¹⁴⁹. სამწუხაროდ, ჩვენს აბანოებზე, მათ მშენებლობაზე, მშენებლებზე, ექსპლოატაციაზე მატანეთა ფურცლებზე არაერთი ცნობა არ შემორჩენილა. ამიტომაც მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდეთ თვით აბანოების მონაცემებს.

ნოსირის აბანოს გეგმა არ არის სტანდარტული, იგი ორიგინალურია, მაგრამ საერთო გადაწყვეტა აქაც ჩვეულებრივია (სურ. 40, ტაბ. XXIX). ამაში ეგულისხმობთ იმას, რომ არის ცივი, თბილი და ცხელი საბანაოები, ყველა საჭირო ელემენტით.


აბანოს საქვებე სამხრეთითაა. იგი გეგმით მოზრდილი სწორკუთხედიანია, კარით სამხრეთის კედელში (კარი ცენტრიდან ცოტათი გადაწეულია, მაგრამ ამის ახსნა ამჟამად შეუძლებელია). იატაკზე სამი აგურია დარჩენილი, მაგრამ ამით არ დადგინდება აქ იყო თუ არა კალორიფერი, ე. ი. სვეტებზე დამდგარი სართული. ერთი რამ კი ცხადია — ამ სათავსიდან, საცეცხლედან ორი განიერი ზერელით ცხელი ჰაერი გადიოდა ცხელი და თბილი საბანაოების კალორიფერებში. ამ კვადრატულ საცეცხლე-საქვებზე წინა ნაწილის ჰაერის დაუყოვნებლივ გადასასვლელად, ამ სათავსის ზემოთ, ალბათ, მეორე სართულის დონეზე, იქნებოდა ქვაბი, რომლიდანაც კერამიკული მილებით ცხელი წყალი წავიდოდა სათანადო აუზებში.

ახლა აქედან თუ გადავალთ პირველ სათავსში, რომელიც ცხელ საბანაოს წარმოადგენს, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკმაოდ დიდი გაქა-

¹⁴⁸ Камероя, с. 15.

¹⁴⁹ Витрувий. Жит. Зб. გვ. 106—107.

ნებითაა გადაწყვეტილი. შუაში დიდი ზომის (30 კვ. მ) კვადრატს მიახლოებული დარბაზია, რომლის გვერდებზე შეერილ აფსიდებში აუზები იყო მოწყობილი. შენობის ამ მონაკვეთის დეტალებიდან გარკვეული მხოლოდ აუზების მოხაზულობა და მათ ქვეშ გამართული კალორიფერებია. რაც შეეხება ამ ცხელი საბანაოს დარბაზის კონსტრუქციას, მას მხოლოდ მიახლოებით ვივებთ, რადგან რამდენიმე კერამიკული სვეტი და მათი დასაყრდენია დარჩენილი.



სურ. 40. ნოსირი. აბანოს გეგმა.

აუზები, როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე სართულის იატაკზე შესამჩნევად დაბლა იქნებოდა. ეს ახლაც, ნანგრევებსაც კარგად ეტყობა, მაგრამ თუ რა განსხვავება იყო სიმაღლეებში, ზუსტად დადგენა შეუძლებელია.

აუზების იატაკი მცირედ დაზიანებული დაგვხვდა. იგი 7—8 სანტიმეტრის სისქეზე მოგებული იყო მოწითალო პილრაგლიკური ხსნარით. იმავე ხსნარით იყო შეღესილი ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზე შერჩენილი კედლები. ეს ტექნიკა, როგორც ყველგან აღნიშნული გვაქვს, ყველა აბანოზე გვხვდება. მაშინ იგი ამართლებდა, რადგან რომის იმპერიის ყველა პუნქტში ამას უხვდებით და შემდეგ ეს ტექნიკა მიიღო და აითვისა ბიზანტიის სამყაროშიც. ჩვენში იგი ახ. წ. I—II საუკუნეებში აგებული აბანოებიდან მოკიდებული მთელი აღრეშუასაუკუნეები გვხვდება¹⁵¹. აბაზანიდან წყლის გასაყვანად ფსკერზე მიღებია დატანებული.

¹⁵¹ მცხეთა. I, გვ. 15; ა. ბოხოჩაძე, მით. შრ. გვ. 39.

ახლა იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი აბაზანების ქვეშ კალორიფერები. კალორიფერების „სართულის“ სიმაღლე აქ მეტად დაბალია, 30 სანტიმეტრია. ასეთი გადაწყვეტა დარბაზის იატაკიდან აუზის ჩაწევის აუცილებლობის შედეგია. საყრდენებად, სვეტებად, გამოყენებულია დარბაზის ქვედა სვეტებზე გაცილებით ვიწრო კერამიკული მილი (ეს მილები გრძელები ყოფილა და გადაუტეხიათ. ახლა სიმაღლეა 30 სმ, დიამეტრი კი 14—15 სმ). და თანაც ზედა ნაწილი მომტკრეული აქვს სპეციალურად, რომ საკურო ზომამდე დაეყვანათ (მილები სხვა დანიშნულებისთვის იქნებოდა დამზადებული).

კერამიკულ მილი-საყრდენს გადაწყვეტილი ბოლები ღია ჰქონდა. ორივე აუზის ქვეშ გამართული კალორიფერების გადაწყვეტა მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან (ტაბ. XXIX—2). აღმოსავლეთით ეს კერამიკული სვეტები დგას ხსნარით მოსწორებულ იატაკზე დამაგრებულ თითო აგურზე (აგურის ზომები: 40×36 და სხვ.). სვეტს ზემოთაც ისევე აგური ადევს, რომელიც კამიტელის როლს ასრულებს და სვეტის ფართს ზრდის. ასეთი აგურისთავიანი სვეტები ახლო-ახლოს დგას და უკვე მათზე დადებულია ღიდი ზომის (47×52×5; 47×54×5) კერამიკული ფილები. დასავლეთის აუზის ქვეშ ცოტათი განსხვავებული სურათია. აქაც აგურების ორი ფენაა კერამიკული სვეტების ზემოთ, მაგრამ პირველისგან განსხვავებით აქ ორივე კერამიკული ფილაა და არა აგური და ფილა. ასეთი კონსტრუქციითაა შექმნილი ერთიანი იატაკი, რომელზედაც დასხმულია ის მოწითალო ხსნარი, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. ასეთი იატაკი ისეთი მტკიცე გამოდგა, რომ არც წყალი გაუტარებია და არც ჩანგრეულა ხმარების პერიოდში. ხმარებაში კი, როგორც კალორიფერებში დაგროვილი მქვარტლის რაოდენობა გვიჩვენებს, საკმაოდ ხანგრძლივად ყოფილა.

ცხელი საბანაო დარბაზის იატაკისა და კალორიფერის კონსტრუქციები პრინციპში ზემოაღწერილის მსგავსი იქნებოდა, ხოლო კალორიფერის სართულის სიმაღლე — შედარებით მაღალი.

კალორიფერის სართულის იატაკის ნაწილზე შერჩენილია აგურები, რომელთა მიხედვით შეიძლება კერამიკული სვეტების განლაგებაზე მსჯელობა. კერამიკული სვეტები მწკრივზე ყოფილა განლაგებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. აქაც, სვეტებს, რადგან თითო აგური ძირს უყვია, ზემოთაც თითო ექნებოდა დადებული. ასე, სვეტებს შორის აგურის „კამიტელების“ დახმარებით მანძილი მცირდებოდა და ზედ ადვილად განლაგდებოდა სქელი და ფართო კერამიკული ფილები. კერამიკული სვეტების სიმაღლით¹⁵² თუ ვიმსჯელებთ და ზედა და ქვედა აგურების სისქესაც დავუმატებთ, კალორიფერის „სართულის“ სიმაღლე დაახლოებით 50 სანტიმეტრი იქნებოდა. ზემოდან, ანუ მეორე სართულის იატაკზე მხოლოდ და მხოლოდ აგურნარევი ხსნარი შეიძლებოდა ყოფილიყო. ადგილზე ნაპოვნი ფრაგმენტის მიხედვით ხსნარის ფენა 7—8 სანტიმეტრისა ყოფილა.

როგორც ყველგან, ისე აქაც, ცხელ საბანაოს, კალდარიუმს მოსდევს თბილი საბანაო, ტეპიდარიუმში, მისი ფართობი (27,40 კვადრატული მეტრია) მცირედ ნაკლებია ცხელ საბანაოზე. მისი გვემაც ზუსტად სწორკუთხედიანია. აქაც იატაკი დულაბითაა მოსწორებული. ამ მოსწორებულ იატაკზე, წინა სათაესის

¹⁵² მთელი კერამიკული საყრდენი არ დარჩენილა. არსებულის მაქსიმალური სიმაღლეა 32 სმ. პროპორციებით თუ ვიმსჯელებთ, მისი სიმაღლე 40—45 სმ უნდა ყოფილიყო. დიამეტრი კი 20—22 სმ.

შსგავსად, აგურები აწყვია, აგურზე კერამიკული სადგარი იქნებოდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აქაც პირველი საართული კალორიფერის საართულია. გადახურვა, ე. ი. ზედა საართულის იატაკის კონსტრუქცია, ისეთივე იქნებოდა, როგორც წინა სათავსში. თვით კალორიფერის სათავსის გათბობა ხდებოდა წინა სათავსის კალორიფერიდან გამომავალი ცხელი ჰაერით. ე. ი. ცხელი ჰაერი, გამომავალი დასავლეთის ბოლოში მდებარე საცეცხლედან, გამოივლიდა ცხელი საბანაოს პირველ საართულს, იქიდან კი გამყოფ კედელში არსებული თაღოვანი ღიობით თბილ. აბანოს კალორიფერში მოხვედებოდა. საბოლოოდ ცხელი ჰაერი საკვამურებიდან უნდა გასულიყო, მაგრამ ისინი არ ჩანან, რადგან კედლების ამ ადგილებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ასევე არ შემორჩენილა და არც არავითარი მონაცემებია იმისა, თუ როგორ იყო აუზი მოწყობილი თბილ საბანაოში.

აბანოს ჩრდილოეთის მონაკვეთის ღერძი აღწერილი ნაწილის ღერძის პერპენდიკულარულადაა დაგეგმარებული. აბანოების ჩვეულებრივ სქემას თუ ავილებთ, ეს მონაკვეთი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო შემოსასვლელ-ვესტიბულისთვის, გასახდელისა და ცივი აუზისათვის. ეს სამივე მონაკვეთი არის, მაგრამ კედლები გადაკვეთილია ძალიან დაბალ დონეზე, ისე რომ, კარების ევალიც არსად ჩანს. ამიტომ, ცხადია, მთლიანად გარკვეულ სახეს ვერ ვლებულვით.

არსებული მონაცემებით, ასეთი სურათის წარმოდგენა შეიძლება: შუაში ვიწრო ღერეფანია. მის გარეთა კედელში შემოსასვლელი უნდა ყოფილიყო. მეორე თავში იქნებოდა უშუალოდ თბილ აბანანაში შესასვლელი. ღერეფნიდან მარჯვნივ კარით მოხვედბოდით სწორკუთხა ოთახში, რომელიც გასახდელ-მოსაცდელი უნდა ყოფილიყო. ღერეფნის მარცხნივ მთელ სიგრძეზე განიერი საფეხურია, რომელსაც მოსდევდა მეორე საფეხური. ასევე განიერი, რომელიც ფაქტიურად ცივი აბანოს ბარიერს წარმოადგენდა. ამ ბარიერის სიმაღლე არ ვიცით, მაგრამ ერთი მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო და შეიძლება ორი იმდენიც. ამ ბარიერს მოსდევს კვადრატს მიახლოებული მოზრდილი (25 კვ. მ) სათავსი, რომლის იატაკი და კედლები მოწითალო, ჰიდრაულიკური ხსნარითაა დაფარული. დასავლეთის კედელში ერთგან კერამიკული მილია დაყოლებული. მისი გარეთევენ დაქანება გვიჩვენებს, რომ შიგნიდან გარეთ გადიოდა წყალი. ცხადია, ეს სათავსი სხვა არაფერია, თუ არა ცივი საბანანო, ფრიგიდარიუმი.

აბანოს გადაწყვეტა, იმ საერთო სურათის ჩარჩოში თავსდება, რომელიც მ-ლებული იყო იმ ეპოქის საქართველოში, მაგრამ ამავე დროს ორიგინალურია. გამოცდილი ოსტატის ხელი ჩანს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ არ არის ის მარტივი ანფილადურობა, რომელიც უმრავლესობას ახასიათებს. ასეთი ძეგლებისათვის დამახასიათებელი ერთი ღერძის მაგიერ, აქ გამოკვეთილად ერთმანეთის საპირისპირო ორი ღერძია. ანაც ჩანს გეგმის ლოგიკური გადაწყვეტა; ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ახლა თუ გადავხედავთ საქართველოში აღმოჩენილ აბანოებს, ვნახავთ, რომ ნოსირის აბანოს ყველაზე მეტი საერთო აქვს შუხუთის აბანოსთან¹⁵³. ნოსი-

¹⁵³ П. П. Закарая, В. А. Леквинадзе. Археологические раскопки в Шухутн. — შატნე, 1966, № 1, გვ. 120—135.

რის მსგავსად, შუხუთიე რომელიდაც ფეოდალის ვილას წარმოადგენდა და იმ პერიოდისათვის გამორჩეული დასახლება უნდა ყოფილიყო.

მართალია, შუხუთის აბანოს ვესტიბულის იატაკი მოზაიკით იყო მორთუ-ლი და ნოსირში ასეთი არა ჩანს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქაც ყო-ფილიყო (დარჩენილი კედლების ზემოთ მეორე სართულის იატაკამდე, ალბათ, 50—70 სმ მაინც იქნებოდა).

ამ ორ აბანოს შორის მსგავსებაზე როდესაც ვსაუბრობთ, თავიდანვე გარ-კვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ დასავლეთის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქმიან მონაკვეთზე. ამ „საქმიან“ მონაკვეთში პირობითად ჩვენ ვგულისხმობთ საქვაბეს, ცხელ და თბილ სააბაზანოებს. აქ ბევრი რამაა საერთო, მაგრამ მასშტაბი, ნოსირთან შედარებით, მცირეა.

ორივეგან საქვაბე-საცეცხლური დასავლეთის ცენტრში სწორკუთხა სა-თავის წარმოადგენს. ამას მოსდევს ცხელი სააბაზანო, რომლის გვერდებზეც წრიული გეგმის აფსიდალური შვერილებია. სწორედ ამ აფსიდებშია ორივე-გან აბაზანები გამართული. ცხელი სააბაზანოს მთავარ ღერძზე სწორკუთხა ვეგმის მქონე თბილი სააბაზანოა. აქაც, მათ შორის მდებარე კედლებში არ-სებული ხერხელებით უკავშირდება ორივე სათავის კალორიფერი ერთმანეთს. ასე რომ, ქვედა კალორიფერის სართული საცეცხლედან მომავალი ცხელი ჰაერისათვის გაერთიანებულია.

საინტერესოა თუ რა საერთო აქვს ამ ორ ძეგლში კალორიფერების გა-დაწყვეტას. ნოსირში ორივე მონაკვეთში იატაკი მტკიცე დულაბითაა მოსწო-რებული. შემდეგ, ასეთ იატაკზე, ალბათ, კერამიკული სვეტების ასამაღლებ-ლად, თითო აგურია დამაკრებული. რამდენადაც დღეს ამის შემოწმება შეიძლე-ნა, იგი სწორხაზოვნად იყო განლაგებული, ხოლო წრიული მოხაზულობის შიგ-ნით როგორც მოუხერხებოდათ, ისე ალაგებდნენ (მთავარი იყო ზედა იატა-კის კერამიკული საფენები კარგად მოკრებოდა ერთმანეთს). სწორკუთხა და წრიულ მონაკვეთებზე სვეტების განლაგება პრინციპში შუხუთშიაც ისევეა გადაწყვეტილი, მხოლოდ კალორიფერების იატაკის მოწყობაშია მცირე გან-სხვავება. შუხუთში, ცხელ მონაკვეთში სქელ დულაბზე აგურის იატაკია გამა-რთული, ხოლო თბილისში, ისე როგორც ნოსირში, კირის დულაბის იატაკია მოწყობილი. აქვე შეიძლება ერთ საკითხსაც შევეხოთ. ესაა ქვედა სართულებ-ში, კალორიფერებში, თვით სადგარების მოწყობის საკითხი. ეს სადგარები, ანუ სვეტები ქვედა სართულის ქერის, ე. ი. ზედა სართულის იატაკის მოსაწყო-ბადაა განკუთვნილი. რადგან ამ სართულზე ცხელი ჰაერი მოძრაობს, ამიტომ საჭიროა ის იყოს ცეცხლგამძლე. ასეთია ქვა, აგური და კერამიკული მილი. ესაა, ამითვე ვეულებს ქვა სჭობს, მაგრამ ასე მრავლად თლილი ქვის შოვნა, ალბათ, ძნელი იყო, ამიტომ ვინც რას შოულობდა, იმას იყენებდა. არის შემთხვევა, როცა ოსტატი სამივე მასალას იყენებს. ასეთია, მაგალითად, ზემო-განხილული ნოქალაქევის ე. წ. სამეფო აბანო. იქ ძირითადად გამოყენებულია წრიული აგურები, მაგრამ რამდენიმე ადგილას ქვა იყო გამოყენებული და ახვევ კუთხეებში სამგან ნახშირი იყო კერამიკული მილებიც. მეორე „სა-სოქალაქო აბანოში“ გამოყენებულია სწორკუთხა ქვა და კერამიტი¹⁵⁴. უფრო

¹⁵⁴ ორი კერამიტი ერთმანეთზე, პირი პირზეა მიღებული და ასე იქმნება მილი (ესაბიძ-გეს გამოანსკლისია).

ადრე აგებული მცხეთის არმაზისხევის¹⁵⁵ აბანოშიც ძირითადად აგურია ნახმარი (ზოგი წრიულია, ზოგიც კვადრატული).

ნოსირში, რამდენადაც ფრაგმენტებით შეიძლება მსჯელობა, მხოლოდ კერამიკული მიღები უნდა ყოფილიყო. ოღონდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მიღები ორი ზომისა იყო. მომცრო ზომისა გამოყენებული იყო აუზების ქვეშეთ, ხოლო დიდი ზომისა — ცხელი და თბილი აბანოების ჰიპოკაუსტებში.

განსახილველი დაგვრჩა ერთი ძირითადი საკითხთაგანი. ესაა ცხელი საბანაოს სათავსის კედლების გაცხელების საკითხი. აქაც არაა ერთგვარობა ყველა დღემდე აღმოჩენილ აბანოში. ზოგან გვერდებაკეცილი კრამიტებია კედლებზე განფენილი და რადიატორივით მოქმედებს. ასეთი იყო, მაგალითად, არმაზისხევის¹⁵⁶. ნოქალაქევის „სამეფო აბანოში“ (სურ. 35), შუხუთში¹⁵⁷ და სხვაგან განსხვავებულ გადაწყვეტას ვხვდებით, კერძოდ ურბნისში, კედლებზე „რადიატორებად“ მაგრდებოდა კვეთში ოთხკუთხა კერამიკული მიღები. ნოსირში დარჩენილი მცირე ფრაგმენტებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხელი საბანაოს კედლებზე აყოლებული იყო გვერდებაკეცილი კრამიტები (სამწუხაროდ, მთელი კრამიტი არ შემოგვრჩა და ამიტომ ზომები არ დგინდება).

როგორც ვხედავთ, ნოსირის აბანო, მართლაც, მაღალი დონის ოსტატის შიერაა აგებული. მან აბანო ააგო მაღალი წრის ეგროსელი დიდებულის საოჯახო გამოყენებისათვის.

აბანოს ტერიტორიაზე არაერთი არქეოლოგიური მასალა რაიმე კონკრეტულ თარიღზე მიმთითებელი ნაპოვნი არ ყოფილა. ასევე აღვნიშნეთ უკვე გავიმეორებთ, რომ წერილობითი წყაროებშიც არაერთი მინიშნება არ არის იმაზე, თუ ვინ იყო ის, ვინც აქ რეზიდენცია გამართა.

აბანო, ყველა მონაცემით, IV—VI საუკუნეების აბანოთა წრეში აუცილებლად ხვდება, მაგრამ ამჟერად საკითხის დაკონსტრუქციისათვის, ეგებ, მისი სიახლოვე შენუთის აბანოსთან საფუძველი იყოს მათი ერთდროულობისა. შენუთის აბანო, ძირითადად მოზაიკაზე დაყრდნობით, IV—V საუკუნეებით თარიღდება¹⁵⁸. ამჟერად, სხვა მასალების უქონლობის გამო, ამ თარიღზე უნდა შევიჩერდეთ.

ბ ე თ ლ ე ბ ის ა ბ ა ნ ო მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ნოქალაქივიდან ჩრდილოეთით სამიოდე კილომეტრზე. მისი აქ აგება გაპრობებული ყოფილა ბუნებრივი თბილი წყლის არსებობით.

მდინარის დღევანდელი ზედაპირიდან, დაახლოებით ნახევარი მეტრის სიჩაღლეზე, ახლაც ამოდის თბილი წყალი (წყლის სითბო 20 გრადუსია). ამ ადგილას მდინარის ფსკერი და ნაპირებიც კლდოვანია, სწორედ ამ კლდოვანი ნაპირიდან გამოდის თბილი წყალი.

აბანოს შენობა მცირე ზომისაა. მისი გეგმა გარედან ტრაპეციის მაგვარია, ამიტომ ვიღებთ ორივე მხარეზე მაქსიმალურ წერტილებს (10,7X9,1 სმ). იგი ნაწილობრივ მაღალ ნაპირზე შეუქმნიათ. აბანო ჩვენამდე მთლიანად სახეცვლილია მოღწეული. ორმოციანი წლების ბოლოს, აბანოს მიმდებარე მთის ფერდობზე პიონერთა ბანაკი გაუმართავთ და ეს ძველი აბანო საკუთარ

155 ა. აფაქიძე..., მცხეთა. I, თბ., 1955, სურ. 103—105, 108, 110.

156 იქვე, სურ. 109.

157 П. Закарая, В. Лехвиадзе, *Ист. Зр.*, ტბ. III-6.

158 П. Закарая, В. Лехвиадзе, Шухутская баня. — *Византийский вестник*, т. XXVIII, с. 234.

აბანოდ უქცევიათ. მათ შიგნით თუ რა დახვდათ, არაა ცნობილი, მაგრამ ამათ ისე გადაუქვებიათ, რომ ძველიდან არც ერთი ღეტალი არაა დარჩენილი. აბანოს შიგნით ბეტონის აუზები მოუწყვიათ (ახლა ისიც დაზიანებულია). ანდნად, თავდაპირველ შიდა გადაწყვეტაზე არაერთი მონაცემი არ არის. ისე, სათავის ახლანდელი ზომების (5,20×5,80 მ) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ტრადიციული სამი სათავის (ცივი, თბილი, ცხელი) მაგივრად მოთავსდებოდა ერთ-ერთი მათგანი, რადგან აბანო ბუნებრივ თბილ წყალზე იყო დადგმული, საფიქრებელია, რომ წყალს არ ათბობდნენ (ბანაობისათვის საჭირო კონდიციამდე აყავდათ თუ არა წყლის სითბო, უცნობია. წყალი გათბობას თუ საჭიროებდა, მაშინ იქვე უნდა ყოფილიყო საცეცხლე-საქვებეც). ყველაზე მეტად მოსალოდნელია აქ ყოფილიყო მხოლოდ თბილი საბანაო. როგორც აღვნიშნეთ, აბანოს შენობა კლდეშია შეჭრილი, და ამიტომ ორი ფასადი აქვს. ამათგან ჩრდილოეთის ფასადი მთლიანია, ხოლო დასავლეთისა დაახლოებით სანახევროდაა კლდიდან გამოსული. ამ კედლებისა და საერთოდ ფასადების გაკეთებაში ჩანს მშენებლის მალად ოსტატობა. ის ადგილობრივი კაცი იქნებოდა და ძალიან კარგად ესმოდა მდინარე ტუხურის ხასიათი. მდინარის კალაოტი აქ ვიწროა და ადიდების შემთხვევაში (ადიდება კი ჩვენი აქ ყოფნის თხუთმეტი წლის დავკვირებით წელიწადში ერთხელ მაინცაა) ფასადებს მდინარის ტალღები სათანადოდ დარტყმებს მიაყენებდა და ქვებს თუ არ მოგლეჯდა, ნელ-ნელა ზედაპირს გადააყლიდა.

ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომ ხუროთმოძღვარს გადაუწყვეტია შენობის კედლების საიმედოდ აგება. გარდა იმისა, რომ ფასადების თლილი ქვა დულაბშია ჩასული, იმავე დროს რკინის სამაგრებიცაა ჩამაგრებული. ე. ი. ოსტატი უკვე ორი გზით აკავებს ფასადის ქვას. ამას გამოცდილმა ოსტატმა კიდევ ერთი რამ დაუმატა. ესაა კედლების გარე პირზე ჩვეულებრივი ხსნარის მაგივრად პილრაგლიკური ხსნარის გამოყენება. ეს აგურის ფხენილით შემზადებული ხსნარი, გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივ კირის ხსნარზე უფრო მტკიცეა, წყალსაც არ ატარებს. როგორც ვხედავთ, ოსტატმა არა მარტო ფასადების ქვები გაამაგრა და მდინარეს არ მისცა მათი მოგლეჯვის საშუალება, თვით აბანოს კედლებიც დაიცვა ადიდების შემთხვევაში წყლის შეკონვისაგან. ეს, მართლაც, გამოცდილებისა და მაშინდელი სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონის მაუწყებელია.

ახლა რაც შეეხება აბანოს თარიღს. ცხადია, იგი ეგრისის სამეფოს დროინდელია, მაგრამ ეგრისის სამეფოს არსებობის მთლიანი პერიოდი — IV—VIII საუკუნეები — ძალიან დიდი ამპლიტუდაა. უშუალოდ შენობას ისეთი განსაკუთრებული მონაცემი არა აქვს, რომელიც მის თარიღზე მიგვითითებდა, ამიტომ ისიც, სხვა აბანოებთან ერთად, IV—V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ნოჯიხევის აბანო. სოფელი ნოჯიხევი მდებარეობს მარტვილის რაიონში, აბაშა-მარტვილის გზატკეცილზე. სოფელი დღეისა და სამხრეთით შორს გრძელდება, ხოლო არქეოლოგიური ობიექტი იქვე, გზის ნაპირასაა, ასიოდე მეტრზე. აქ არსებულმა ორმა გორაკმა და მათ შემომსაზღვრელმა ციხემ განსაზღვრა ამ სოფლის სახელი. საქმე იმაში გახლავთ, რომ მეგრულად „ჩიხა“ აღნიშნავს ციხეს და გორაკსაც. რადგანაც აქ ციხის ნანგრევებია, ამიტომ ადგილს და სოფელს შეერქვა „ნოჯიხევი“ ანუ „ნაციხარი“.

ეს ადგილი ვაკეა, მდინარე აბაშის ჰალაა და იქ მდგარი ორი გორაკი, როგორც შემდეგში გათხრებმა გააჩვენა, ფაქტურად მიწით დაფარული ნანგრევები იყო.

აქ, გორაკების ქვემოთ 50-იოდ მეტრზე, მდინარისაკენ, ორგან ჯაგნარით დაფარული ბორცვები ყოფილა. ერთ-ერთი მთვანის ბულდოზერით გაწმენდის დროს, კოლმეურნეებს გამოუვლენიათ აბანოს კერამიკული სადგარები. როდესაც მათ გული იჯერეს „განძის“ ძებნით, აღმოჩენის შესახებ შეატყობინეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს¹⁵⁹. იმას ადგილზევე უნახავს და შეუფასებია აღმოჩენის მნიშვნელობა და რაი აღმასკომის საშუალებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „არქეოლოგიური კომისიისათვის“ მიუმართავს თხოვნით, რათა ძეგლი შეესწავლათ. მუ, როგორც არქეოლოგიური კომისიის წევრი, ვესწრებოდი იმ სხდომას, სადაც ეს საკითხი იხილებოდა. კომისიამ მთხოვა, რადგან იქვე ახლოს ვიმყოფებოდი ნოქალაქევის ექსპედიციასთან ერთად, მენახა ძეგლი და მოვქცეულიყავი საჭიროების მიხედვით.

ექსპედიციის რამდენიმე წევრთან ერთად ვნახე ძეგლი და მივიღეთ გადაწყვეტილება: ძეგლი გადაგვეჩინა საბოლოო დაღუპვისაგან. ამისათვის საჭირო იყო გათხრების ჩატარება დაუყოვნებლივ.


დავიწყეთ გათხრები, ამ ვაკეზე აღრევე გადაუჭრიათ ნაგებობის ზედა ნაწილი, მერე, როგორც „მოუსავლიანი“ ადგილი, რიყის ქვის მოსაგროვებლად უქცევიათ. ამ ქვაყრილზე ამოსული ჯაგნარი და ხეები 4—5 მეტრი სიმაღლისა იყო. გაწმენდის პროცესში გაირკვა, რომ ნანგრევებში ჩამალული შენობა მცირე ზომის აბანოა. მის მთლიანად გაწმენდას თვეზე მეტი მოკუნდით. ნაგებობა ბოლომდე გაეწმინდეთ, გაეაკრიალეთ, მაგრამ თვით შენობა ისე დაგვხვდა დანგრეული, რომ აბანოს სქემა მთლიანად ვერ აღვადგინეთ. ვიცით კარგად კონტური და ზოგიერთი დეტალი. ბევრი რამ ვარაუდის ფარგლებშია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აბანოს სამხრეთ-დასავლეთით ოციოდ მეტრზე გამოვლენილი იქნა აბანოს თანადროული მცირე ზომის, ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია. ცხადია, ყველა ეს ობიექტი ერთ ანსამბლში შედის. როგორც ეტყობა, აქ რომელიღაც დიდებულის საცხოვრებელი იყო (იქვე იქნებოდა სასახლე და სხვა სამეურნეო ნაგებობები, მაგრამ არ შემორჩენილა). მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ფეოდალი, ვინც აქ დასახლდა, მაინცა და მაინც დიდი შესაძლებლობისა არ ყოფილა, რადგან ნაგებობათა მასშტაბი მცირეა (აბანოს ზომები 5,5×10,1 მ, ეკლესიისა — 5,8×5,8 მ). მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია, აღრეული პერიოდის ფეოდალი ცხოვრობდა დამოუკიდებლად, ყველაფერი საჭირო და აუცილებელი საკუთარ სამოსახლოში ჰქონდა.

აბანოს შენობა ისეა დანგრეული, რომ ძნელია გარკვევით ფენების გამოიკვანა, პირველი სართულის, ე. ი. კალორიფერისა და საქვების სართულიც არ იკითხება, ხოლო ზედა სართული, სადაც ბანაობდნენ, ფაქტიურად აღარაა შემორჩენილი.

აბანოს პირველი სართულის აღმოსავლეთის მონაკვეთი დათმობილი ჰქონია საცეცხლეს, ხოლო დასავლეთისა ცხელ სათავეს აუზით (სურ. 41, ტაბ. XXVIII—2). თუ როგორ იყო მოწყობილი საქვებზე, დაზიანების გამო არ ირკვევა, ხოლო ქვედა იარუსზე მდებარე საცეცხლეს კარი აღმოსავლეთის კედლის მონაკვეთშია. დარჩენილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვები უნდა მდგარიყო ცენტრთან ახლოს, იმ კედლის წინ, სადაც იწყება კალორიფერისაკენ მიმავალი მაღალი და განიერი „არხი“. ამ გვირაბის მაგვარი არხით საცეცხ-

¹⁵⁹ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ელიავა, საქართველოს ისტორიის დიდი მოამაგე.

ლედან ცხელი ჰაერი შედიოდა კალორიფერში. ამ უკანასკნელის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე მოკავებული აქვს აბაზანას, რომლის იატაკი კალორიფერის იატაკის დონემდეა ჩაუვანილი. თავდაპირველად აუზის კედლები აღიოდაზნდა სართულის იატაკამდე და იქიდანაც შეიძლებოდა ამოშვებული ყოფილიყო. როგორც ვხედავთ, აუზი საკმაოდ ღრმა ყოფილა.



სურ. 41. ნოჩიხევი. აბანოს გეგმა.

შენობის ჩრდილო ნაწილში, საქვაბეს ზემოთ, უშუალოდ ქვაბის თავზე, რთული კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო: ცივი წყლის შესვლა, ცხელის გამოსვლა, საქვამურების სისტემა და სხვ. ამავე მონაკვეთში უნდა ყოფილიყო აბანოში შესასვლელი, გასახდელ-მოსაცდელი (სხვაგან იგი არსად დაეტეოდა). იქვე, მის გვერდით იქნებოდა ცივი აბაზანა (შენობის სიმეტრიის გამო ცივი აბაზანა შესაძლოა გამოყოფილი სათავის არც იყო და იქვე, გასახდელის გვერდით, მხოლოდ აბაზანა იქნებოდა). აბანოს ეს მხარე ისეა დანგრეული, რომ შეტის გარკვევა შეუძლებელია.

გასახდელიდან პირდაპირ ცხელ საბანაოში ზღვებოდნენ. იქ არსებული-წრიული აბაზანა შემდეგში გადაუკეთებიათ, შუაზე გაუყვიათ და საკმაოდ ვიწრო აუზი დარჩენილა (შესაძლოა ცხელი წყალი საკმარისი არ იყო აუზის,

ასავსებად და ამიტომ დააპატარავეს). აუზი თავდაპირველად რომ მთლიანად გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი ერთიანი და იატაკი აგურით იყო მოფენილი. აუზის გაყოფის შემდეგ სახმარად დარჩენილი ნაწილი (აღმოსავლეთის მონაკვეთი) ძალიან მაგარი ხსნართაა შელესილი (აქ აგურის ფხვნილი არ ურევია) და მოპირაღებული ზედაპირი აქვს (ასეთი სუფთა ზედაპირი სხვა აბანოებში არ შეგვინიშნავს). აუზს ნახმარი წყლის გასასვლელი დასავლეთით აქვს.

აუზის აღმოსავლეთის კედელს კერამიკული მილები გასდევს. მისი არც თავი ჩანს და არც ბოლო, ამიტომ გარკვეული დასკვნის გამოტანა ძნელია, მაგრამ საკვამურისკენ მიმავალი მილი უნდა იყოს. თვით მილები დიდებია, ისეთი როგორც კალორიფერშია სვეტებზე გამოყენებული, ეტყობა ერთი საკვამური ჩრდილოეთის კედელში იყო და იქამდე კალორიფერიდან ამ მილებით არხი იყო შექმნილი. მეორე საკვამური მდებარეობდა კალორიფერის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში.

თვით კალორიფერის კონსტრუქცია კერამიკულ სვეტებზე იყო გაწყობილი. ეს მილისებრი სვეტები ორნაირია. ერთი ნაწილი მთლიანია და ამიტომ ამოვსებულია ხსნართ¹⁶⁰, რათა ერთიანი, მტკიცე ყოფილიყო. კერამიკული სვეტების მეორე ნაწილი გვერდებზე ამოჭრილია¹⁶¹. ეს მას სჭირდებოდა შემდეგი მიზეზის გამო: კალორიფერში ცხელი ჰაერის შეშვების შემდეგ კერამიკულ მილს გარედან ცხელი ჰაერი რომ შემოეკვროდა, შიგნით კი ცივი იქნებოდა, ტემპერატურათა სხვაობა კერამიკულ მილს (რადგან თავები დაფარული ჰქონდათ), ცნადა, გახეთქავდა. ამის თავიდან ასაცილებლად კერამიკულ მილებს გვერდებზე ხერხელებს უკეთებდნენ (ასეთი გადაწყვეტა ჩვეულებრივია, ყველგან გვხვდება).

ნოჯიხევის აბანოში სვეტებზე კვადრატული აგურებიცაა ჩრდილოეთით ორგან გამოყენებული. აქ ცხელი ჰაერი გამოდიოდა და ვიწროებში კონსტრუქციულად მეტი სიმტკიცე იყო საჭირო.

როგორც ვხედავთ, ნოჯიხევის აბანო ეგრისის სამეფოს დროინდელი ნაგებობაა, ყველაფრით თავისი ეპოქის ნაწარმოებია. სხვებისგან მას გამოარჩევს მხოლოდ კამერულობა, ზომების სიმცირე.

კერძოდ, ზუსტი თარიღისათვის მას კონკრეტული მონაცემები არა აქვს. შეიძლება დათარიღებაში დაგვეხმაროს იქვე, მასთან ერთად აგებული ტეტრაკონქის ტიპის ნაგებობა. იგი კი, სტილისტიკური მონაცემებით, ჩვენ V—VI საუკუნეთა მიჯნით დავათარიღეთ. უფრო შეიძლება VI ს-ის დასაწყისისა იყოს.

მ ა რ ტ ვ ი ლ ის ა ბ ა ნ ო . ოციოდე წლის წინათ, 60-იანი წლების ბოლოს, მარტვილში, მდინარე ინჩხიას მარჯვენა მხარეს შემალების დასავლეთის ფერდობი ბულდოზერით მოუსწორებიათ სტალიონის ასაგებად. ამ პროცესის დროს, მშენებელთა უყურადღებობით, დანგრეულა აბანოს შენობა და რაღაც ნაგებობები. როცა ყველაფერი მოთავდა, რაღაც ნივთებმა მშენებლები დაინტერესა და შეატყობინეს ადგილობრივი მუზეუმის დირექტორს (გივი გლიავას). იგი მაშინვე მიხვდა, რომ აბანო დაუნგრევიათ, ხოლო საინტერესო

¹⁶⁰ კერამიკული მილის ყველაზე დიდი ნიმუში 37 სმ სიმაღლისაა, მას კონუსური ფორმა აქვს და ქვემოთ დიამეტრი 18 სმ, ზემოთ კი — 12 სმ-ია. მილი თავდაპირველად უფრო გრძელი იქნებოდა. მას, ალბათ, აკლია 5—10 სმ.

¹⁶¹ ასეთი მილის უფრო პატარა ნატეხია შემონახული. ფრაგმენტის სიმაღლე 26 სმ, ხოლო გარე დიამეტრი — 17 სმ. დაახლოებით შუაზე, მოპირდაპირე მხარეებზე, სწორკუთხადა ამოჭრილია 3—5 სმ.

ნივთები იყო აბანოს კალორიფერის კერამიკული სადგრები. მას რამდენიმე აგური, კერამიკული ფილა და კერამიკული სვეტი წამოუღია და ექსპოზიციაში შეუტანია.

სწორედ ამ ექსპოზიციის დათვლიერების დროს, 1973 წელს, ჩვენთვის ცნობილი გახდა მარტვილის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ვილას არსებობა. ნოჯიხევეში, ნოსირში და შუხუთში, დიდებულების საცხოვრებლებზე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე მარტვილის საცხოვრისზე. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ეგრისის სამეფოს პერიოდში, მთელი მისი ტერიტორია მოფენილი უოფილა აბანოებით. აბანოებს აგებდნენ ქალაქებში, ციხეებში და ცალკეულ საცხოვრებლებთან. თანაც იმასაც უნდა გავსვას ხაზი, რომ ეს აბანოები ერთმანეთთან ახლოსაა. ასეთებიდან აღსანიშნავია ნოქალაქევი და ბეთლემი, ნოჯიხევი და მარტვილი და ვინ იცის კიდევ რა სურათი იყო IV—VIII საუკუნეებში (ბევრმა, ალბათ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, ან არაა გამორიცხული, რომ კიდევ აღმოჩნდეს).

ობრისის სამეფოს დასავლეთის ნაწილის დაცვის სისტემა


დასავლეთ საქართველოში წლების განმავლობაში მუშაობის დროს, ციხეების განლაგებაზე დაკვირვებისას გამოჩნდა აზრი, რომ აქ დაცვის ერთიანი სისტემაა. ესაა ერთიანი ძლიერი ქვეყნის მესვეურთა მიერ კარგად მოფიქრებული სიმაგრეთა განლაგება (სურ. 42).

რადგან ეგრისის (ლაზიკის) სამეფო ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ამიტომ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მისი რელიეფი. რელიეფი კი მეტად რთული და მრავალფეროვანი იყო, ამიტომ დაცვა მხოლოდ ერთ სისტემას ვერ დაეყრდნობოდა. სიმაგრეთა ნანგრევების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. მათი განლაგების მიხედვით შეიძლება ზოგიერთი დაკვირვების გამოთქმა.

თუ როგორ იყო გამაგრებული რიონის მარცხენა მხარე კოლხეთის დაბლობის მიდამოებში, ან საერთოდ სამხრეთით, ეს ჯერ კიდევ დადგენას მოითხოვს. შედარებით უკეთ ჩანს დაცვის საერთო გადაწყვეტა ლაზიკის აღმოსავლეთის მონაკვეთში. აქ ისეთი დიდი ციხეები, როგორიც იყო ვარდციხე, შორაპანი, სკანდე და სხვა, აღმართულია მთავარი მაგისტრალების გადამკვეთად გზაჯვარედინების გათვალისწინებით. ცხენისწყლის დასავლეთით კი სხვა სურათია. აქ, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ციხეები განლაგებულია მთისა და ბარის, კოლხეთის დაბლობისა და ჩრდილოეთით მისი მომიჯნავე მთების, შეერთების ზოლზე. ქვეყნის მესაკუთრეებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ მტერთან გამაგრება ძნელი იყო დაბლობზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სიმაგრეებს აღმართავდნენ ხეობების დასაწყისში, მტერს ქვეყნის სიღრმეში შეღწევა გაუქირდებოდა. ხეობებში, მთების მიღმა, შეხიზნულთა დაცვას საწყის პუნქტებში აღმართული ციხეები იკისრებდნენ.

ნაშრომის ამ თავში ჩვენ წარმოვადგენთ აქ აღმართული ერთ-ერთი დაცვის სისტემის რამდენიმე რგოლის წინასწარული შესწავლის შედეგს. ამ სის-

ტემის მთლიანად წარმოდგენას კი დიდი მუშაობა სჭირდება, რაც მომავლის საქმეა.



სურ. 42. ვერისის სამეფოს ციხეები.

ა ბ ე ლ ა თ ი

სოფ. აბელათი მდებარეობს მარტვილის დასავლეთით, ჩიხში. იგი აბაშა-მარტვილის გზატკეცილიდან მოშორებითაა, რის გამოც ამ მხარის მოხილვა, ჩვენ აღრე ვერ მოვახერხეთ. ამიტომ იქ მდებარე ციხე ექსპედიციისათვის გვიან, შემთხვევით შეიქნა ცნობილი.

მარტვილის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა¹⁶² რამდენიმეჯერ შემოგვთავაზეს რაღაც „საოცარი დილეგის“ ჩვენება. ერთხელ (1983 წელს), როცა დრო გამოვნახეთ, მათ წავეყვიეთ. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა: ჩვენს წინ იდგა აღრეფეოდალური ხანის, ვერისის სამეფოს დროინდელი, დიდებული ციხე¹⁶³.

¹⁶² ესენი იყვნენ უბილავა რობი და ჯამბურია დემურია.

¹⁶³ მათ მიერ „დილეგად“ მიჩნეული ნაგებობა აღმოჩნდა ციხის ერთ-ერთი კოშკი, რო-

ციხე აბედათის სახელი ცნობილი არ არის. ადგილობრივ ვერავეითარი ვადმოცემა ვერ მოვიძიეთ. აქ გაგვახსენდა აკად. ნ. ბერძენიშვილის დღიურები, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად, დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, იგი ეძებს ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებულ „ონოგურისის“ ციხესაც. სამწუხაროდ, მან უდროობისა და უამინდობის გამო ციხის ძიება ვერ დაასრულა, მაგრამ გამოთქვა ვარაუდი, რომ „...ციხე ონოგურისი არქეოპოლისის ახლოს და მის საკონტროლო ადგილებში...“ იგულისხმება¹⁶⁴.

ექსპედიცია ცდილობდა დროის შერჩევას, რომ იქვე ახლოს, ბანძის გვერდით მდებარე სოფელ ონოლიაში ეძებნა ბერძენთა „ონოგურისი“, მაგრამ სათანადო დრო მანამდე ვერ გამოიძებნა. თავისთავად კი სახელების — „ონოგურისისა“ და ონოლიას — დაკავშირება საცდელი ჩანდა¹⁶⁵.

სოფელი აბედათი აბაშის ხეობაშია და ნოქალაქევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრითაა დაცილებული. სოფელი დღეს დიდი და გაშლილია მთის ფერდობებსა და ვაკეზე, მაგრამ თავდაპირველად შეიძლება სოფელი მხოლოდ ციხის სიახლოვეს, ფერდობებზე მდებარეობდა.

სოფლის ერთი ნაწილი მთების სიღრმეშია განლაგებული, იქ, სადაც ციხეცაა მოთავსებული, მაგრამ მთლიანად ეს ადგილი იქვე, აღმოსავლეთით გამდინარე აბაშის ხეობას წარმოადგენს.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ვრცლად წერს იმპერატორ იუსტინიანეს დროის ლაზიკის ტერიტორიაზე სპარსეთისა და ბიზანტიის ომებზე. ამ ომების მსვლელობისას აგათია ბევრჯერ ახსენებს ონოგურისს, მაგრამ მისი მდებარეობა ზუსტად არა აქვს მითითებული.

სპარსელთა გამოცდილმა სარდალმა, რომელიც დიდი ჯარით რომაელთა წინააღმდეგ დასავლეთით მიემართებოდა, გეზი შეიცვალა, ხიდი გასდო „ფაზისზე“ და ჯარი გადაიყვანა მარჯვენა ნაპირზე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ამის შემდეგ ავტორებთან ვკითხულობთ „ონოგურისის ციხეში, რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საქირო სასიმაგრო საფრად (ზაზი ჩემია — პ. ზ.), ჩაყენებული იყვნენ სპარსელები, და აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა და კვლავ კოტაისისა და მუხიანისისაკენ გაბრუნდა“.

აქ პირდაპირაა ორი რამ ნათქვამი: პირველი — ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებშია და მეორე — იგი არქეოპოლისის „საფარია“.

ძირითადად ამ ცნობებზე დაყრდნობით ს. ყაუხჩიშვილი, აგათიას ტექსტის გამოცემისას, ვრცლად მსჯელობს, თუ სად არის ეს ონოგურისი. იგი სწორ დასკვნებს აკეთებს, რომ ციხე აუცილებლად ცხენისწყლის დასავლეთითაა, უნაგირას მთებში და ცხადია, არქეოპოლისის სიახლოვეს¹⁶⁶. ვახუშტის ცნობით, კი — „უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული“¹⁶⁷. სწორედ ამ უნაგირას მთების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ

შელიც ფერდობზე იყო მიდგმული და ჩასასვლელი ზემოდან ჰქონდა. ეს იშვიათია და ამიტომაც მათ ეს კოშკად კი არ მიიჩნიეს, არამედ დილეგად.

164 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 463. (სხვიდასხვა ადგილას, ავტორი ამ საკითხს რამდენიმეჯერ ეხება).

165 ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 465.

166 გეორგიაც, ტ. III, გვ. 39—41.

167 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 166, 167.

ებდათის მთაზე მღებარეობს ის ციხე, რომელიც ონოგურისად მივიჩნიეთ. სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა¹⁶⁶.

აგათიას თავისი წიგნის ერთი მონაკვეთი მიძღვნილი აქვს 554 წელს ონოგურისის ციხისთვის ბრძოლისადმი. მივეყვით მის თხრობას.

რომაელთა სტრატეგოსს „მარტინეს წაქეზებით რომაელებმა მთელი თავისი ჯარით მიიტანეს იერიში ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ“¹⁶⁷. მათ „იმედი ჰქონდათ, რომ ამ ციხეს მალე დაიპყრობდნენ“.

ამის შემდეგ აგათია ჰყვება, თუ როგორ და რითი აპირებდნენ რომაელები ციხეზე შეტევას (რადგან მეტად საინტერესოა. ციტატას მოლიანად მოვიყვანთ): „სტრატეგოსები და მთელი ჯარაც, რომელიც მოლიანად მოვიყვანეთ იყვნენ დაბნააკებული, ამზადებდნენ ეგრეთწოდებულ სპალიონებს, დიდი ქვებას სატყორცნელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ზღუდისათვის დაეშინათ. სპალიონი წნელისაგან არის დაწნული სახურავის მსგავსად, ისე მკვრივად, რომ ვერაფერი გაატანს ვერც ერთი ადგილიდან, ორივე გვერდი ქვემოთ არის ჩაქიმული და ირგვლივ ფარავს იმას, ვინც მის ქვეშაა მოთავსებული. ზემოდან ყველგან ბეწვებსა და ტყავებს აფარებენ და ისე მალავენ მანქანას, რომ სიმარტედ გაზოდგეს და ისრებს ამოკრება იქნეს შესაძლებელი; შიგ უშიშრად იმალებიან კაცები, უჩინრადაც ხოლმე და მას, სადაც სურთ, იქ გადაიტანენ, თუ ის კომშთან ან ზღუდესთან იქნება რამენაირად მიტანილი, მაშინ ისინი, რომლებიც მის ქვეშ არიან მოთავსებული, ამოთხრიან ხოლმე მიწას და გასწმენდენ ამონათხარს, გააშიშვლებენ საძირკველს და, მის შემდეგ რაც მოქლონებითა და უროებით გამულმებით სცემენ, ჩამოანგრევენ შენობას. აი, ამნაირად ემზადებოდნენ რომაელები ალყის შემოსარტყმელად“¹⁷⁰.

ამის შემდეგ მოთხრობილია სხვადასხვა ეპიზოდები. წარმოდგენილი იყო ციხის აღების რამდენიმე გეგმა და ბოლოს ერთმა ვარიანტმა გაიმარჯვა და „მტრატეგოსებთან ერთად ეცნენ და მათთანვე შეუდგნენ საქმეებს. იმათ აამოძრავეს მანქანები და სცადეს ციხის კარების აღება, გარს შემოერთყნენ ზღუდეს და ყოველი მხრიდან დაუშინეს. სპარსელებიც გაიფანტნენ ციხის კბილანხაზე და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იცავდნენ თავს შექმნილ პირობებში; ხშირ-ხშირადაც უშენდნენ მტრს ისრებს და გარედანაც იცავდნენ ციხეს. ზევოდან რაღაც ტილოები და წამოწანსამები გადმოჰქიდნენ და ამით ისრების ძალას ასუბტებდნენ, რომლებიც მათ წინააღმდეგ მოდიოდა, ორივე მხრით მეტად გულმოდგინედ და მწვავედ იბრძოდ-

¹⁶⁶ აგათიას იქვე ერთი ასეთი ვარაუდი აქვს გამოქმული ონოგურისის ციხის სახელწოდების წარმოშობაზე: „ეს სახელი ძველადვე შეერქვა ამ ადგილს, შესაძლებელია იმის გამო, რომ პუნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შემოიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძველად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის...“ ამ ცნობის შემოწმება ამჟამად არ ხერხდება.

¹⁶⁷ გეორგიკა, III, გვ. 52.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 53.

ნენ. და ეს უფრო ბრძოლას ჰგავდა, ვიდრე ალყას. ასეთი იყო ორივე მხრით აღულები და საქმიანობის განმტკიცება: ერთნი იბრძოდნენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და არა მცირეოდენ ხიფათს მისცემოდნენ, მეორენი კი — უფრო იმიტომ, რომ რცხვენოდათ — რახან მოვიდნენ, უშუდგოდ როგორ გაბრუნებულყვნენ ისე, რომ არც ეს ციხე აელოთ და არც არქეოპოლისის გაენთავისუფლებინათ მტრის მუხობლობის აკან¹⁷¹ (ხაზი ჩემია — პ. ზ.).

ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ შეცდნენ რომელი სტრატეგოსები სტრატეგიის შემუშავებაში და როგორ წააგეს ბრძოლა იბერიიდან მომავალი სპარსელების ჯართან და ციხის ირგვლივაც. როგორც იტყვიან, რომაელები ქულმოგლეჯილი გაიქცნენ. გაქცეულების მდევნელებს ციხიდან გამოსული სპარსელთა ჯარიც მიემატა. გაქცეულებს მდინარეზე¹⁷² გადებულ ვიწრო ხილზე გაუქირდათ გადასვლა და მორევში ვარდებოდნენ. ასეთი მძაფრი ბრძოლების შემდეგ აგათია წერს: „წინანდელს ბანაკში, რომელიც არქეოპოლისის მახლობლად იყო გაშლილი, მათგან აღარავინ დაბრუნებულა“. რომაელებმა ზარალიც ბევრი ნახეს და სამარცხვინოდაც დამარცხდნენ.

ონოგურისის ციხის მნიშვნელობაზე კიდევ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ აგათიიდან: „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიჯაშვებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჭდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწაწყალზე. სტრატეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით გაემგზავრებულყავით იმათ წინააღმდეგ, გაგვენადგურეზინა ისინი და, ამრიგად, განვთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან“¹⁷³.

როგორც ვხედავთ, ონოგურისი „არქეოპოლისის მიდამოებშია“. არქეოპოლისის სამხრეთით კოლხეთის დაბლობია, სადაც წარმოუდგენელია, რომ ლაზებს ციხე აეგოთ, ხოლო ჩრდილოეთით მთებია და ციხის აგებას აზრი არ ჰქონდა. არქეოპოლისიდან დასავლეთით კი არის ციხე კოტიანეთისა, მაგრამ იგი იმდენადაა პატარა, რომ მნიშვნელოვან სიმაგრედ ვერ ჩაითვლებოდა (იგი უფრო საყარაულოა). დარჩა ერთადერთი მხარე აღმოსავლეთით. არქეოპოლისიდან პირდაპირ, აღმოსავლეთით აბაშის, ნოღელას და ცხენისწყლის დაბლობებია და აქაც ციხე მოსალოდნელი არ არის (ამავე ხაზზეა სოფელი ონოლიაც). ის მთა, რომელზეც არქეოპოლისია, იქვე ახლოს უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მეათე კილომეტრზე დღევანდელი სოფელი აბედათია, სადაც დგას დიდი ზომის ციხე. ციხე არქეოპოლისის თანადროულია.

ყველაფერი ზემოთქმული ჩვენ უფლებას გვაძლევს, აბედათის ციხე გავაიგივეოთ ონოგურისის ციხესთან.


სოფელ აბედათს ჩრდილოეთიდან მაღალი მთა დაპყურებს. ამ მთის წინა პირზე დგას ციხე (ტაბ. XXX—1), რომელიც ძირითადად იცქირება სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ადგილის შერჩევის, დამკვეთის, მიზანი

¹⁷¹ გეორგიკა, III, გვ. 56.

¹⁷² არქეოპოლისის აღმოსავლეთით პირველი მდინარე აბაშაა. ეს სახელი კი, ეახუშტის ცნობით, გვიანდელია (გვ. 166). აგათია ასახელებს „კათარის წყალს“ (გვ. 58). აბაშაზე ამჟამად არის სოფელი „კადარი“. ს. ყაუხჩიშვილი ამ ორ სახელს ერთმანეთს უკავშირებს და წერს: „იქნებ, ბერძნული kados შდ. აბაშის ამ ძველ სახელწოდებასთან იყოს დაკავშირებული“ (იქვე, გვ. 60—61).

¹⁷³ გეორგიკა, III, გვ. 48—49.

იქნებოდა. ასეთი გადაწყვეტა კი თავისთავად გამართლებული იყო, რადგან ეს მონაკვეთი მტერს სწორედ სამხრეთიდან მოელოდა. სატრანსპორტო გზა, შთავარი გზა, რომელიც იბერიიდან მოდიოდა და ზღვისკენ მიემართებოდა, სწორედ აქვე ახლოს, მთებისძირა ზოლზე გადიოდა¹⁷⁴ (ზონი-მარტივილი-სენაკი და ა. შ.).



სურ. 43. აბქაზთის ციხე. გენგეგმა.

აქვე შეგვეძლო ციხესთან დაკავშირებული გზის შესახებ სხვა ვარიანტიც წარმოგვედგინა. ესაა ქვემოდან ამომავალი გზის გავლა ციხესთან და შემდეგ ჩრდილოეთით გაგრძელება. სოფლიდან მომავალი ხეობა თანდათანობით ვიწროვდება და ციხის მისადგომებთან თითქმის იკვრება და თანაც აღმართიც იზრდება. ცხადია, აქ საურმე გზა იქნებოდა. იგი გაუვლიდა ციხის ძირას გამართულ წყაროს, შემდეგ კი ციხის გავლით ჩრდილოეთით, უღელტეხილზე გადაივიდა. ამის ზევით სოფლები ახლაცაა, მაგრამ მათ გზა მარჯვდ უღებზე გვერდებზე გამავალი აბაშის, ან ტეხურის ხეობებიდან. თანაც ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ ორ მდინარეს შორის, ზემოთ მანძილი საშუალოდ 10 კილომეტრია.

¹⁷⁴ К. Г а н. Экскурсия в Накалакеви летом 1903 г. — Изв. Кавк. отд. импер. Московского археол. общества, вып. II, 1907, с. 12—143; 5. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართვე-

ამ ვიწრო აღმართში ჭარის გავლა გაკვირდებოდა. მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ იგი იარაღითა და სანოვაგით დატვირთული იქნებოდა. მსუბუქად შეიარაღებული ჭარი, ცხადია, გაივლის ზედა სოფლების დასალაშქრავად, მაგრამ სხვა მხრივ აქ ჭარს არაფერი ესაქმებოდა, მით უფრო თუ წარმოვიდგენთ, რომ სატრანსპორტო გზა ქვემოთ, მთების ძირას გადიოდა. არაა გამორიცხული, რომ თუ რომელიმე სარდალი, მოვლით, ტენხურის ხეობის ზედა წელიდან ნოქალაქევი-არქეოპოლისზე მოულოდნელ თაუდასხმას განიზრახავდა, შექლებდა მის განხორციელებას, ისე როგორც ეს ხდებოდა მთიანი საქართველოს ძნელად მისადგომ რეგიონებში. სამწუხაროდ, მრავალრიცხოვან მტერს ათასი წლების განმავლობაში საქართველოს არც ერთი კუთხე არ დაჩინია დაულაშქრავი.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მცირე მასშტაბით რამდენიმე წელია ახლათში მუშაობს, ციხის დიდად დაზიანების გამო, ჭერაც არ არის მისი აბრისი მთლიანად დადგენილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ის ციხე, რომელიც ახლა სოფელს დაჰყურებს, არაა ერთდროული. მის გარეთ არის რამდენიმე კედლის ფრაგმენტი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ისინიც ციხის გალავნის ნაშთებია.

ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით 100—150 მეტრზე ვაკეა, შემდეგ კი ამ მხარეებზე რელიეფი იწვეს და საკმაოდ მაღალი მთაა წამოშდგარი. ამ მთის წვერზე, 300—400 მეტრის დაცილებით, ჩაღაც კედლის ნაშთია. მეორე უფრო გრძელი კედლის ნაშთი ციხის ჩრდილოეთითაა. კედლების ეს ნაშთები მიწის ზედაპირის დონეზეა. ციხის დასავლეთით და ჩრდილოეთით ტყე და ჭაენარი თუ არ გაიჩეხა და დიდი მასშტაბის საძიებო სამუშაოები არ ჩატარდა, ისე ამ კედლების დანიშნულებაზე არაფრის თქმა არ შეიძლება (ეს სამუშაოები კი მომავლის საქმეა). თუ ისიც ციხის გალავნის ნაშთები აღმოჩნდა, მაშინ ის რაც ახლა დგას, ციტადელი იქნება.

ახლა წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ციხეს, რომელიც ქვედა ტერასაზე დგას. ესეც ძალიანა დაზიანებული და გათხრებიც არაა დამთავრებული, რომ სამშენებლო ფენები მაინც ბოლომდე გარკვეულიყო. აქ მოვიყვანთ ციხის შესწავლის დღევანდელ მდგომარეობას.

ციხის გათხრებმა გამოავლინა, რომ იგი მინიმუმ სამი ფენისაგან შედგება¹⁷⁵. თავდაპირველი ფენის ნაშთი გათხრებამდე ჩანდა მხოლოდ ციხის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. ასევე, დასავლეთის გალავნის სამხრეთის ნახევარი ამჟამად განსხვავდება ჩრდილოეთის მონაკვეთისაგან. არის საექვეო ადგილები ჩრდილოეთის კედელშიც.


მთლიანად ციხე ორი გალავნისგან შედგება. მთავარია ის, რომელმაც აქამდე მოაღწია და ეზოს შემოფარგლავს 10—12 მეტრის სიმაღლის კედლებით. მისი გეგმა უწესო ტრაპეციის მაგვარია, ჩრდილოეთისა და აღმოსავ-

ლოს ისტორიის საკითხები, ტ. XIII, თბ., გვ. 460—461. ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეოფი. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, გვ. 34—36.

¹⁷⁵ ციხის შიგნით კულტურული ფენა დრმა არ არის, 100—150 სმ არ აღემატება. ამ უკანასკნელ პერიოდში აქ სასაფლაო ყოფილა. საფლავები გაჯატანინეთ, მაგრამ ფენები მთლიანად არეული იყო. ეზოს ორი მესამედი გადათხრილია. არქეოლოგიური მასალა ადრეფეოდალური ხანისაა, მაგრამ არის XI—XIII სს-ის მოკიქული კერამიკა, დასავლეთ საქართველოს XIII—XIV სს-ის კირმანული და XVII—XVIII სს-ის თურქული ვერცხლის მონეტები და ჩიხუხები.

ლეთის კედლები თუ სწორ კუთხეს ქმნიან, დასავლეთის მომრგვალებულია და უერთდება ცერად მომავალ სამხრეთის გალავანს (სურ. 44).

ციხის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მონაკვეთი, მთის რელიეფის შესაბამისად, მეორე გალავნითაა შემოფარგლული (აღმოსავლეთის მიმართუ-



სურ. 44. აბღათის ციხის გეგმა.

ლებით ეს მცირე გალავანი პირველს 26 მეტრითაა დაცილებული, სამხრეთით კი — 13 მეტრით). ფერდობს მიმყოლი ეს მეორე გალავანი ზემოდან მიწის დონეზეა დარღვეული, მაგრამ ქვემოთ ათიოდ მეტრის სიმაღლეზე ჩადის, ფერდობს მიმყოლი გალავანი გამაგრებულია კონუსური კონტრფორსებით. ადრეულ ხანაში ასეთი კონტრფორსები ვავრცელებული არ არის, მაგრამ ვგზვდება, მაგალითად, ჭაქვინჯში (პ. ზაქარაია, ჭაქვინჯა, სურ. 3, 6).


ამ ფერდობის მიმყოლ გალავანში ჩართულია კოშკი, რომლის გეგმა კვადრატულია. მისი მასა ზემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება. კოშკის პირველ სართულზე ყრუ კედლებია, ზედა ორ სართულს კი მცირე სარკმლები ანათებს. არსებულ კედლებში კარი არ არის და არც უნდა ყოფილიყო, რადგან გარედან მას იგი არ სჭირდებოდა. კარი იქნებოდა ციხის ზედა ტერასაზე, კოშკის ბოლო სართულზე და ეზოს დაუკავშირდებოდა. მოძრაობა ზემოდან ქვე-
 ლით მოხდებოდა, რაც ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ. სართულშუა გადახურვა ხიხა იყო.

ფერდობზე გამავალი გალავანი, მასში ჩართული კოშკით, ციხის თავდაპირველ ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს. ციხის დათარიღება, ცხადია, IV—VI სს-ით შეიძლება, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი ალბათ მთელი შუა საუკუნეები მოქმედებდა, ვიდრე XVIII ს-ის ბოლომდე. ამ ხნის განმავლობაში მას მრავალი დიდი და მცირე გადაკეთებები განუცდია.

გათხრებმა ეზოს შიგნით და აღმოსავლეთით გალავნის გარეთ გამოავლინა ციხის ნაშთები. დარღვეული კედლების სიმაღლე ერთ მეტრს არ აღეშატება, ძველი კედელი ჩამოყალიბებულია აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში. სამწუხაროდ, ეს კედლები იმდენად ფრაგმენტალურია, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება და ციხის გეგმის მოხაზულობის აღდგენა ვერ ხერხდება.

პირველი ციხიდან დარჩენილია ჩრდილოეთის გალავნის ხაზი, რომელიც შემდეგი დროის გალავნიდან სამი მეტრითაა დაცილებული და მის პარალელურად მიემართება. მისი გაგრძელება მერმინდელ გალავანშია ჩართული. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მდგარი სამსართულიანი კოშკი, გრძელი, სასახლის ტიპის სათავსით, სამფენიანი ჩანს, ამათგან კოშკი უკეთაა შერჩენილი. მის სამხრეთით მდგარი საცხოვრებელიდან მხოლოდ პირველი სართულია გადარჩენილი, ისიც ორი მეტრის სიმაღლეზე. ეზოდან მხოლოდ საცხოვრებელშია ორი შესასვლელი. მის შიგნით ყველაფერი მოშლილია, მაგრამ კარების მიხედვით თუ ვიშსჯელებით, ორნაწილიანი იყო. არაა გამორიცხული ეს საცხოვრებელი ორი პერიოდის ნაგებობა იყოს. ციხის ეს კუთხე საცხოვრებელი კოშკით, ალბათ, ციხისთავისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

ციხის პირველი ფენის კიდევ ერთი დეტალი აღმოჩნდა. ესაა ჩრდილოეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კოშკური ჭიშკრის ნაშთები. ალბათ, ციხეში შესასვლელი მოწყობილი იყო აქ მდგარი კოშკის პირველ სართულში. ნოქალაქევის ანალოგიით თუ ვიშსჯელებით, კოშკის პირველი სართული თაღოვან-კამაროვანი გასასვლელი იქნებოდა (გასასვლელის სიგანე 3 მეტრია). მეორე სართული მცველებისთვის იქნებოდა განკუთვნილი, ხოლო მესამეზე საბრძოლო ბანი უნდა ყოფილიყო.



სურ. 45. აბელათის ციხის დასავლეთის ფასადი.

გალავნის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, ახლანდელი გალავნის შიგნით და გარეთ, რომელიც კედლების ნაშთებია. მათი მოხაზულობა კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს.


ციხის ეზოში, ცენტრალური მონაკვეთი ჭერ მთლიანად არ არის გათხრილი. გამოჩნდა სწორკუთხა შენობის ნაშთი, მას აღმოსავლეთის ხაზი მორღვეუ-

ლი აქვს, ამიტომ თუ რა შენობის ნაწილია, არ ირკვევა. მაგრამ ერთი რამ ცხადია — იგი არ არის კოშკის ნაშთი, იგი საცხოვრებელია, შესაძლოა სასახლე ყოფილიყო (კოშკის ნაშთი რომ იყოს, მაშინ ყრუ, მასიური უნდა ყოფილიყო).

ციხის ეზოს აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი დარბაზული ეკლესია IX ს-ის შემდეგ უნდა იყოს აგებული¹⁷⁸. თუ სად იყო პირველი ეკლესია, არაა ცნობილი. თავისთავად ცხადია, რომ ციხეს, თანაც ისეთ დიდსა და მნიშვნელოვანს, როგორც ონოგურისია, აუცილებლად საკუთარი ეკლესია უნდა ჰქონოდა. მომავალმა გათხრებმა შეიძლება ეკლესიის ნაშთები გამოავლინოს.

პირველი ციხის კედლები ძირითადად ერთი მეტრის სისქისაა, ზოგან კი კოტათი მეტი. შეიძლება ასეთი თხელი კედლები იყოს მიზეზი ამ ადრეული ციხის თითქმის ძირფესვიანად დანგრევისა. ეგრისის სამეფოს ისეთი ციხეები, როგორცაა — შხეფი, კოტიანეთი და „საკალანდარაშვილო“, გალავნების სისქის ასეთივე სურათს ავლენს.

პირველი ციხის ნანგრევებზე აგებული მეორე ციხე განსხვავებული გეგმისაა. ეს ახალი ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. მთავარი ციხე ისაა, რომელსაც ტრაპეციის მაგვარი მოხაზულობა აქვს, მეორე კი, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, მას ეკერის აღმოსავლეთით და სამხრეთით. პირველი მათგანი უკეთაა შერჩენილი, მეორე კი მიწის დონეზეა დანგრეული, მაგრამ გარედან, ფერდობზე მდებარეული გალავანი საკმაოდ დიდი სიმაღლისაა.



სურ. 46. აბელათის ციხის განაკვეთი დასავლეთით.

მომდევნო პერიოდის ციხეს, განსხვავებით პირველი პერიოდის ციხისაგან, შესასვლელი მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთიდან აქვს. აქაც კოშკი ყოფილა. მცირე ზომის ეს კოშკიც ორსართულიანი მაინც იქნებოდა, თუ მეტი არაა. ე. ი. ქვემოთ ტრანსპორტის გასასვლელი, მეორე სართულზე მცველთა სამყოფი და ზემოთ — თავდაცვითი ბანი (შესაძლოა სართულიანობა მეტი იყო, მაგრამ კოშკი ბანით მაინც დამთავრდებოდა). ადრეულსა და ამ კოშკს შორის კედლე ის განსხვავებაა, რომ პირველი გალავნის გარეთ გადიოდა, შვერილი იყო, მეორე კი გალავნის შიგნითაა მოქცეული. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ

¹⁷⁸ ამ ეკლესიის განილიზა იხ. გვ. 229.

ნოქალაქევეშიც კიშკრის კოშკი შევრილი იყო, შეიძლება ეს ეპოქის დამახასიათებელი იყოს.

ამ მეორე სამშენებლო ფენის ციხის კედლები ხუთი მეტრიდან 10—20 მეტრის სიმაღლემდეა შერჩენილი. ყველაზე მეტად დაზიანებულია სამხრეთის მხარე, ნაკლებად — აღმოსავლეთისა. ჩრდილოეთისა თითქმის ერთ სიმაღლეზეა თავიდან ბოლომდე შერჩენილი. დასავლეთის ყველაზე მაღალია, მაგრამ ძველი და შემდეგი ფენები ერთმანეთშია შეზრდილი და გადაბმის ადგილზე ვერტიკალურადაა დაზიანებული. ასეთ მაღალ კედლებშიც არავითარი ამბრაზურა არ არის. როგორც მოსალოდნელი იყო, იმ ადრეული ეპოქისათვის ამბრაზურები კედლებში არც უნდა ყოფილიყო. დაცვა მთლიანად მოხდებოდა ზედა საბრძოლო ბილიკიდან, რომელიც ქონგურების გაყოლებაზე იქნებოდა. კედლების დამამთავრებელი ასეთი მონაკვეთი, სამწუხაროდ, არსად არაა შერჩენილი. მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც გვიანი, ერთ-ერთი გადაკეთების აშკარა ნაშთია. ესაა სვანურ კოშკებში გამოყენებული სალოდებების ნაშთი (სურ. 45, 46). იგი შერჩენილია დასავლეთის მაღალი გალავნის ცენტრალურ ნაწილში, ზემოთ. სალოდებების თაღები მორღვეულია და დარჩენილია პილასტრების მავგარი მისი შევრილი საყრდენები, თაღების მოშლის შემდეგ მასზე ახალი კედელი დაუშენებიათ (ვინ იცის ეს მერამდენე სამშენებლო ფენა). ასე მაღლა, გალავნის ზემოთ სალოდებების გამოყენება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას შიგნიდან გაყვებოდა ე. წ. საბრძოლო ბილიკი. სწორედ ამ მონაკვეთში, შიგნიდან დარჩენილია ის „ბილიკი“, საიდანაც დამცველები ყრიდნენ ლოდებს, ასხამდნენ ცხელ სითხეს და სხვა.

გვიან საუკუნეებში სვანური ფორმის სალოდებების გამოყენება, ასევე, ეგრისის სამეფოს დროინდელი შეხვის, ჭაქვინჯის ციხეებშიაც გვხვდება (პ. ზაქარაია, ჭაქვინჯი, სურ. 6—11). როგორც ეტყობა, „მეზობლების“ ასეთი „გადაძინილი“ გასაკვირი არ უნდა იყოს!

თავისთავად, თუ როდის უნდა გამოეყენებინათ სვანური სალოდებების ფორმა სამეგრელოში, ძნელი სათქმელია, ცხადია, ეს მოხდა გვიან საუკუნეებში, მაგრამ არაუგვიანეს XVI საუკუნისა.

მეორე პერიოდის ეს ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით. ქვა საშუალო ზომისაა, მაგრამ წყობის შესავსებად ბევრია პატარაც. ოსტატის ისე აწყობს ნატეხ ქვას, რომ მისი სწორი მხარე ფასადის ზედაპირის სისწორეს ემსახურება. იქ, სადაც ამის შესაფერისი ქვა არ ჰქონდა, იგი ქვის ზედაპირს თლის. ფასადებზე ბევრგან ნახვთ კარგად თლილ მოზრდილ ქვასაც. ასეთი თლილი კვადრები წყობაში ისეა ჩართული, რომ რაიმე ფენა, ან სისტემა განლაგებაში არ ჩანს, შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ ქვედა ფენებში, იქ, სადაც მოზრდილი თლილი კვადრებია გამოყენებული, პირველი ციხის ნაშთთან უნდა გვექონდეს საქმე.

ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით რამდენიმე კრილი გავატარეთ, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი აღმოჩენილა. მხოლოდ ერთგან, გალავნის ჩრდილოეთით, ქვების გროვის გაწმენდის შემდეგ გათხრებით გამოვლინდა ნაგებობა. მისმა საბოლოოდ გათხრამ გამოავლინა ბუხრიანი შენობა. შენობა, ეტყობა, ხისა იყო. დარჩენილია ქვების ერთი ფენა ოთხივე მხარეს. ამის ზემოთ იქნებოდა ხის სახლი. დასავლეთის კედლის ცენტრში დარჩენილია სწორკუთხა ნიშანი ბუხარი. ბუხარი ნაგებია კირის დუღაბზე პატარა ზომის აგურით (10,0×13,5×2,5 სმ). ასეთი ზომის აგური სხვაგან არსად შეგვხვედ-

რია. ისინი ძალიან კარგადაა გამომწვარი. არაა გამორიცხული, რომ ეს ცეცხლ-გამძლე აგური იყოს.

ასეთივე ორი ბუხრის ნაშთი დარჩენილია ციხის აღმოსავლეთის მონაკვეთში, პირველი გალავნის გარეთ. ბუხრიანი ხის სახლების დათარიღება ძნელია, ხათანადო მონაცემების უქონლობის გამო, მაგრამ, ვფიქრობთ, გვიანი საუკუნეებისა უნდა იყოს.

ჩრდილოეთით მდგარ სახლთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ღებრალი უნდა აღვნიშნოთ. ამ ბუხრიანი სახლის სრული ფიქსაციის შემდეგ გაითხარა იატაკის ქვემოთ. 1—1,5 მეტრზე ჩასვლის შემდეგ გამოვლინდა ელინისტური ხანის, ძვ. წ. III—I სს-ის კერამიკული მასალა. ალბათ, ფენა სხვაგანაც იქნება, მაგრამ ჭერჭერობით არ გამოვლინდა. აქვე შეიძლება იმასაც გაესვას ხაზი, რომ ციხის შიგნით ახ. წ. IV ს-ზე ადრეული მასალა არ აღმოჩენილა.

კოტიანეთი

ნოქალაქევიდან დასავლეთით სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი კოტიანეთი. ეს დიდი სოფელი გზატკეცილის ორივე მხარეზეა. მის ჩრდილო, განაპირა ხაზზე იწყება მთები. ერთ-ერთი მთის ქიშზე დგას პატარა ციხე. იგი ჩვენ მიერ აქ განხილულ ყველა ციხეზე პატარაა, მაგრამ მის ამგებს ციხისათვის საჭირო ყველა ელემენტი განულაგებია.

ციხე ისე მალა არაა, როგორც სხვა ციხეები (ვაკიდან 20—25 მეტრზე თუ იქნება), მაგრამ ისეთი ქიშია შერჩეული, რომ აქედან სამხრეთით დიდი მანძილი იხვევრება. რაც შეეხება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეებს, აქეთ-კენ მთებია და პორიზონტი თითქმის დაეკტილია. როგორც ეტყობა, მის ამგებს ასეთი სიტუაცია აწყობდა — მოკლე ხეობა და მის ჩამქეტად დადგმული ციხე.

ციხე გეგმით უწესო ოვალურია (სიგრძე 20,10, სიგანე 14,50 მ). იგი შედგება გალავნის, კოშკისა და ეკლესიისაგან. ამთ ემატება თხრილი, რომელიც ციხეს გარს უვლის. სწორედ ამ უკანასკნელის გარეშე იმ ეპოქაში ეგრისის ჭეფეებს ვერ წარმოედგინათ ციხე, დიდი იყო იგი თუ პატარა.


ციხის ჩრდილოეთის მხარე ეზოს ჰქონდა დათმობილი, აღმოსავლეთის ნახევარში კი კოშკი და ეკლესია იყო განლაგებული. ციხის ყველა ელემენტი დაზიანებულია (სურ. 47, ტაბ. XXXII).

კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (4,00×3,70 მ). მისგან დარჩენილია სარდაფის სართული და მეორე სართულის ქვედა ნაწილი. ამ გადარჩენილ კედლებში კარი ან სარკმელი არ არის. წესით, კარი მეორე სართულზე უნდა ყოფილიყო. კოშკის დაზიანების გამო, ცხადია, სართულიანობაც არ დგინდება. იგი ნაგებია ქვით. კედლების შიდა პირი შედარებით მკირე ზომის ქვითაა ამოყვანილი. გარედან კი შემოსილია საკმაოდ დიდი ზომის თლილი ქვით.

ასევეა ნაგები ციხის გალავანიც (სისქე 100 სმ). გალავნის შიდა პირი ძირითადად საშუალო ზომის ქვითაა ამოყვანილი, მაგრამ ბლომდაა დიდი ზომის თლილი ქვაც. ასეთი წყობით ამოყვანილი კოშკისა და ციხის კედლებს გარედან როცა უყურებთ, ძლიერი ნაგებობის შთაბეჭდილება გრჩებათ.

ეგრისის სამეფოს ციხეების უმრავლესობას თან ახლავს ეკლესია (გარე ზომებია 6,10×8,20 მ). ასეა აქაც. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე

თითქმის მთლიანად მოკავებული აქვს ეკლესიას. ეს ძალზე პატარა ეკლესია, ალბათ, აკმაყოფილებდა ციხის გარნიზონს, თუ მცველებს.



სურ. 47. კორიანეთის ციხე. გეგმა.

ეკლესია ამჟამად სანახევროდ მიწაში ზის. მისი კამარა ჩანგრეულია, ზოლო კედლები — დაზიანებული. შესასვლელი დასავლეთის კედლის შუაზეა. განათება კი აღმოსავლეთის ერთადერთი სარკმლიდანაა. ეკლესიის კედლები, შიგ და გარეთ, საშუალო ზომის თლილი ქვითაა შემოსილი.

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე გალავანი ვერტიკალურ კლდეშენაა შესული. ეს ციხე კირქვის მთაზე დგას. ამ ათიოდე წლის წინათ ამ კლდის აფეთქება დაუწყიათ, რათა კირის გამოსაწვავი ქვა გაეზიდათ¹⁷⁷. ზუსტად არ დგინდება, თუ რამდენია მოტეხილი, მაგრამ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გვითხრეს: „გალავნიდან კლდის ქარაფი 2—3 მეტრზე იყო“. თუ მათი ცნობა სიმართლეს შეიცავს, მაშინ უნდა ითქვას, რომ თავდაპირველადვე ეს მხარე მიუდგომელი ყოფილა. დანარჩენი სამი მხარე კი აქაც თხრილითაა შემორკალული. ამ თხრილით შუენებლები ციხეს მიუდგომელს ხდიდნენ.

თვით თხრილი სანახევროდ ამოვსებულია, ამიტომ თავდაპირველი პროფილი არ დგინდება, მაგრამ ეტყობა საკმაოდ შთამბეჭდავი ყოფილა. დღეს სიღრმე 3—4 მეტრს არ აღემატება და სიგანე 9—10 მეტრს, მაგრამ ადრე უფრო დიდი იქნებოდა.

ციხის შიგნით და გარეთაც ვაწარმოვეთ გათხრები, მაგრამ მიწა ღარიბი გამოდგა და ცოტა რამ მოგვცა. ყველა მონაპოვარი ეგრისის სამეფოს დროისაა. როგორც ეტყობა, ციხემ სიცოცხლე შეწყვიტა ეგრისის სამეფოს დაცემისთანავე.

¹⁷⁷ ეს ქვის კარიერი ჩვენ დავახურობეთ 1983 წელს.

როგორც ვნახეთ, კოტიანეთის ციხის ყველა მონაცემი მხოლოდ აღრეფოდალურ ხანაზე მიგვითითებს, ცხადია, ისიც აშკარად ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანას, IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება.

შ ხ ე ფ ი

შხეფი მღებარეობს სენაკი-მარტილის გზაზე, პირველიდან სამიოდე კილომეტრზე (ტაბ. XXXIII—1). სოფელი დიდია და გაშლილი. მისი, გზის სამხრეთის მხარე შედარებით ვაკეა, მოპირდაპირე მხარე კი — მთავორიანი. სწორედ ამ, ჩრდილოეთის მხარეს, გზიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე, ერთ-ერთი მთის მაღალ შვერილზე წარმომდგარა დიდი და შთაშებულადი ციხე. თუ რომელიმე ციხეზე ითქმის — იგი ამ მხარეზე ბატონობსო, ეს ყველაზე მეტად ამაზე ითქმის. აქედან კოლხეთის დაბლობი ხელის გულივით მოჩანს; საღამო ეამს, მზის ჩასვლისას შავი ზღვის ვიწრო ზოლიც იმზირება.

ციხე ნაზარდია (სურ. 48—52). ოთხი სამშენებლო ფენა აშკარად ჩანს, მაგრამ არც ერთი ფენა მთლიანად არ იკითხება. აქ ბევრი რამ იყო გასარკვევი და სამი სეზონი ნოქალაქევის ერთმა რაზმმა იმუშავა¹⁷⁸. რაზმმა საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა, მაგრამ გაცილებით მეტი დარჩა გასაკეთებელი. ეს სამუშაოები კი მომავალ წლებში უნდა შესრულდეს. ახლა ჩვენი აღწერა და ანალიზი დაეყრდნობა ბოლო მონაპოვრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ციხე IV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მომქმედდოდა იყო, მასზე ისტორიული ცნობები მეტად მცირეა. ამ ცნობებს დასაწყისშივე მოვიყვანო.

ამათგან, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი ხასიათის ცნობას გავეცნოთ. ვახუშტი ბაგრატიონთან ვკითხულობთ: „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლეთის კიდებზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“¹⁷⁹. ავტორის ამ ლაკონური წინადადებიდან, უპირველეს ყოვლისა, ვიგებთ, რომ ვახუშტის დროს, XVIII ს. პირველ ნახევარში, ციხე მოქმედი იყო და „დიდ-შენს“ წარმოადგენდა. ამავე დროს, დგინდება, რომ აქ იყო „სასახლე დადიანისა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ცხოვრობდა სამეგრელოს მმართველ დადიანთა გვარის რომელიღაც შტოს წარმომადგენელი (თვით მთავარი დადიანი ზუგდიდში ცხოვრობდა). ცნობილია, რომ მთელს სამეგრელოში დადიანთა გვარის სხვადასხვა წარმომადგენლები, შხეფის მსგავსად, ცხოვრობდნენ აქვე ახლოს, ნოქალაქევეში, ჰაქეინჯაში, ხიბულაში და სხვა ადგილებში.


ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთ. ტრაგედიას გადმოგვიცემენ მემპტიანეები. ტახტისათვის ბრძოლას შეეწირა უდანაშაულო ბავშვი. ძმები გიორგი და მამია დადიანები ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ. გარდაიცვალა გიორგი (1582 წ.), მამიას დარჩა ტახტი, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა გიორგის მემკვიდრე მცირეწლოვანი ლევანი. „დაშთა დადიანს ძე ერთი, რომელსა ეწოდა ლეონ. მამინ განირისხა ღმერთი მამია დადიანმა, წაართუა ღელასა მისსა, და წარმოყევანა ყრმა იგი, და შხეფის ციხეში დაატყვევა, და იყო ყრმა იგი გამოუტყველო,

¹⁷⁸ რაზმის უფროსი ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. იაშვილი. გათხრების ჩატარება ძნელი შეიქნა, რადგან ნოქალაქევიდან დაველიოდით და ადგილზე მუშებიც არ იყო, მხოლოდ ათიოდე შორაფე გვყავდა. ციხის ეზოს აღმოსავლეთის მონაკვეთში მღებარე წყაროსწყლის რევიმის დარღვევისაუ მოვერიდეთ.

¹⁷⁹ ქართლის ცხოვრება, IV, თხ., 1973, გვ. 777.

და ვერ გაუძლო ტყუეობასა, შეწუხდა ყრმა იგი განშორებისათვის, დედისა
 თვისისა, და გარდმოიგდო თავი თვისი ციხისა მისგან და ესთე აღესრულა იგი¹⁸⁰.

აქედან ჩვენი თემისათვის ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: XVI
 L-ის სადადიანოში შხეფის ციხე ყველაზე საიმედო ყოფილა.



სურ. 48. შხეფი. ციხის ტოპოგვება.


მეორე ეპიზოდზე მამია დადიანთანაა დაკავშირებული. არ მიეშველა იმე-
 რეთის მეფე ლეონს მამია დადიანი, როცა იგი დაამარცხა ქართლის მეფე
 სეიმონმა. შურისძიების მიზნით იმერთა მეფე ოდიშს შეესია. „შეიყარა ამიერ
 მკყრობელი იმერეთისა ლევან და იმიერ დადიანი მამია. ეწუნენ ურთიერთას
 და გაემარჯუა დადიანსა და შეიპყრა მკყრობელი იმერეთისა ლეონ. და პყრო-
 ბილ ყვეს იგი ოდიშის ციხესა შხეფისასა, და მუნ მოკუდა ლეონ“¹⁸¹.

ამდენი „ცოდვა“ დასდებია შხეფის ციხეს სულ რაღაც 2 თუ 3 წლის გან-
 ჭავლობაში და ციხის მთელი ცხოვრება თავიდან ბოლომდე აღრიცხული რომ
 იყოს, წარმოგიდგენიათ რამდენი რამ გვეცოდინებოდა. ციხე „ცოდვების“ ჩასა-
 დენად ხომ არ იყო აგებული, იგი მხარისა და საერთოდ, ქვეყნის დაცვას ემსა-
 ხურებოდა, და ვინ იცის მოსახლეობა რამდენჯერ გადაურჩენია.

¹⁸⁰ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 504; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 821.

¹⁸¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 532; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 821.

რაც შეეხება შხეფზე სამენციერო ლიტერატურას და მოგზაურების ცნობებს, ასეთი ზევრი არ არის, მაგრამ რაც არის, იმას სხვადასხვა ადგილას საჭიროების მიხედვით მოვიყვანთ. ახლა თვით ძეგლს განვიხილავთ.



სურ. 49. შხეფი. ციხის განაკეთი.

შხეფის ციხე მთის წვერზე დგას. სამხრეთით ციცაბოა და ასევე მეტად ძნელი იქნებოდა. აღმოსავლეთით, მთასა და ფლატეს შორის ვიწრო გასასვლელი იყო. მეტრის აქედან რომ არ მოველო, ამიტომ იგი გადაუკეტიათ ათიოდე მეტრის სიგრძის კედლით. რადგან ციხეზე ასასვლელი ერთადერთი საურმე გზა ასე მიემართებოდა, ამიტომ ამ კედელში დატანებული იყო ჭიშკარი. კედლისა და ჭიშკრის ფრაგმენტები დღემდეა მოღწეული.

ჭიშკრის გავლის შემდეგ გზა ჩრდილოეთიდან უვლიდა და დასავლეთიდან ადგებოდა თხრილს. ეს თხრილი, როგორც ეგრისის სამეფოს სხვა ციხეებში, ისე აქაც გარს უვლიდა ციხეს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სამი მხრიდან უვლიდა, ხოლო მეოთხე, სამხრეთის მხარეზე მიუღვამელი, ციცაბო იყო. თხრილი ციცაბოსთან ერთად პირველ გადასალახავ „სიმაგრეს“ წარმოადგენდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხდური თხრილში ჩავიდოდა გადასვლის მიზნით, მას ზემოდან დამცველები აშკარად დაჯაბნიდნენ¹⁸².

ციხის გეგმა გრძელია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა გაჭიმული. სხვადასხვა დონეზე სამი ეზოა განლაგებული. ეს ეზოები სხვადასხვა დროსაა გაკეთებული. გათხრებმა გამოავლინა მეოთხე ფენაც. სინამდვილეში ქრონოლოგიურად ეს „მეოთხე ფენა“ არის პირველი ციხის ნაშთი.


რამდენადაც გათხრებით გამოვლინდა, თავდაპირველად აქ მდგარა ერთი ოთხკუთხა კოშკი მცირე ვალაყნით. ასეთი ყოფილა პირველ ხანებში თვით ციხე-

¹⁸² სამწუხაროდ, ეს თხრილი მოუსპიათ 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ციხის ეზო „გასართობად“ გამოუყენებიათ. თანამედროვე ძლიერი ტექნიკით სამანქანო გზის ბოლომდე ამოყვანას შეეწირა იგი.

ჩვენ ეს თხრილი ნანახი გვაქვს 1946 წელს. თხრილი ნახაზე ნაჩვენებია აქვს კ. მელითაურს ჰაეის ნაშრომში: Крепости дофеодалальной и раннефеодалальной Грузии, кн. II, Тбилиси, 1972. გვ. 40. სურ. 60. ამ ნახაზიდან თხრილი გადაიტანეთ გვიან გაკეთებულ ტოპოგრაფიაზე.

გოჭი (ციტადელზე მდგარი „ჩიხა“), კოტიანეთი, ეკი და სხვებიც. როცა საკი-
როებამ მოითხოვა, ზოგიერთი ციხე გადაკეთდა, მასშტაბი გაიზარდა.


შხეფის პირველი ციხის გალაენის ნაშთი შემდეგი დროის დიდ კოშკს
რგვლივ უვლის და ჩრდილო გალაენს ებჯინება. ამ ფენის კედლები ფლეთილი
ქვითაა ნაგები, მაგრამ წყობის ხასიათით აშკარად განსხვავდება მეორე ფენი-
საგან.



სურ. 50. შხეფი. შოგარი კოშკის გეგმები.

პირველი ფენა თუ სამეფოს არსებობის დასაწყისისაა, არც მეორე ფენაა
მისგან შორს. ისიც არ სცილდება IV საუკუნეს. პირველი ფენის კედლები
ძირაძვე ყოფილა დანგრეული, მეორე ფენის კოშკი პირველი ფენის კოშკის
ნანგრევებზე აღუმართავეთ. პირველის მსგავსად, აქაც კოშკი გეგმით კვადრატს
შიახლოებული ოთხკუთხედია (სურ. 50, 51, ტაბ. XXVIII—XXV).

ეს ძლიერი, მასშტაბური კოშკი ჩართულია გალავანში, რომელიც ძირითადად მთის რელიეფს მიყვება, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთის გალავნისათვის საჭირო სუბსტრუქცია ძალიან დაბლა იწვება. თვით გალავნის ხაზი აღმოსავლეთით სწორხაზოვანია. ასევე მცირე შეღუნვით, სამხრეთის ხაზიც სწორად ჰიმართება. ხოლო ჩრდილოეთის გალავანი თავიდანვე ცერად, კოშკის შემდეგ კი მკვეთრად უხვევს და სამხრეთისას ებჯინება. ასე რომ, ციხეს ფაქტობრივად სამი კედელი აკრავს ამიტომ გეგმაც სამკუთხედს უახლოვდება. გალავანს დროთა ვითარებაში ნგრევა და აღდგენა რამდენიმეჯერ განუცდია. ჩრდილოეთის კედლის ქვედა ნაწილი პირვანდელია, ხოლო ზედა გვიანსაუკუნეებშია დაშენებული. სამხრეთით კედლის ქვედა ნაწილი ეზოს დონეზე ძველია. ხოლო



სურ. 51. შხეფი. მთავარი კოშკის განაკვეთი სამხრეთით.

ზედა აქაც გვიანია. ორივე გალავნის ზედა ნაწილები სათოფეებითაა გაწყობილი. თვით სათოფეების ფორმები და რაოდენობა მისი გავრცელების ადრეულ პერიოდზე, ე. ი. XVI ან XVII საუკუნეებზე მიუთითებს.

აღმოსავლეთით გამავალი კედელიც ძველი ჩანს.

ეზოს გალავანში მოქცეულია ორი კოშკი. ერთი მათგანი დიდია, მასიური და ძველია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი — გვიანია.

პირამიდული მოყვანილობის ძველი კოშკი ოთხსართულიანია. კოშკის ერთადერთი კარი სამხრეთითაა, ოთხი მეტრის სიმაღლეზე. ამ კარით პირველ სართულზე ვხვდებით. წინა ნაწილის გარდა, ეს სართული ამოვსებული იყო ხანძრის შედეგად ზემოდან ჩამოცვენილი დამწვარი კოჭებითა და მიწით. სართულის განათება მარტო კარიდან ხდებოდა. დანარჩენ სამ კედელში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშებია (ტაბ. XXXVI—1). მათ სამეტრნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. მეორე სართულის კედლებში ნიშები უფრო პატარებია, სარკმლები კი სამ კედელში თითოა. მესამე სართული მეორის მსგავსადაა გადაწყვეტილი. მხოლოდ სარკმლები წინაზე წვრილია. ამ სამი სართულის კედელი შიგნიდან ერთ ვერტიკალზეა განლაგებული. ხოლო მეოთხე სართულის კედლები ოციოდე სანტიმეტრით შიგაა შეწყული. ქვედა ორ სართულზე სარკმლები შუაშია განლაგებული, რომ გასახედალ მოხერხებული იყოს. მეოთხე სართულზე კი სარკმლები იატაკის დონეზეა (იქამდე ვერ მივალწივით, ამიტომ ამ გადაწყვეტას დეტალურად ვერ ვხსნით)¹⁸³. ყველა სარკმელი გარედან ოთხკუთხა მოხაზულობისაა. მესამე და მეოთხე სართულები შიგნითაც ასეთივე ფორმისაა, მეორე კი თაღოვანია. ასევე თაღოვანი გადახურვა აქვს კარს შიგნიდან.

მეოთხე სართული გადაკეთებული უნდა იყოს, მაგრამ დღეს ამის შესწავლა შეუძლებელია. ისიც არ ირკვევა, თუ როგორ ხდებოდა დაცვა. თუ პირველი სართულის კედლები სისქით, 2,5 მეტრია, მეოთხე სართულისა — 1,5 მეტრამდეა. ამ კედლებში განლაგებული სარკმლები მხოლოდ განათებისთვის თუ გამოდგებოდა.

ამ სარკმლებს დაზვერვის დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ძნელი გამოსაყენებელი იქნებოდა, ხერხეთა სივიწროვის გამო. თანაც, ამ სარკმლებს თუ დასაზვერად იყენებდნენ, მაშინ ასეთივე უნდა ყოფილიყო გარე ჩრდილოეთის კედელში, მაგრამ იქ არ არის (ქვედა სართულებში ხერხელის დატანება გარედან თუ საშიში იყო, ზემოთ მათი არსებობა შესაძლებელი იყო).


აქ უნდა გავიხსენოთ დიუბუა დე მონპერეს ნახატი, რომელიც შესრულებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში¹⁸⁴. შხეფის ციხე დახატულია სამხრეთ-დასავლეთიდან საკმაოდ მაღალ დონეზე (ტაბ. XXXIV). ამ ნახატის მიხედვით ციხის სამივე კოშკზე სახურავად გამოყენებულია ყავარი, ხოლო რაც შეეხება კოშკების გადახურვის ფორმებს, იგი სამივეზე სხვადასხვაა. ცენტრში მდგარ დიდ კოშკს ორფერდა სახურავი აქვს. დასავლეთით მდგარ ოთხკუთხა კოშკს პირამიდული სახურავი ამთავრებს, ხოლო აღმოსავლეთით მდგარ ცილინდრულს — კონუსური. ასეთი ფორმის სახურავები ქართლ-კახეთისათვის და დასავლეთ საქართველოსთვისაც დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გვხვდება როგორც გამოჩაკლისი. აქ უნდა ყოფილიყო ქონგურებიანი ბანი. ჩვენი აზრით, XVI თუ XVII საუკუნეებში დიდი მასშტაბის რეკონსტრუქცია ჩატ-

¹⁸³ კოშკის გამოწმენდის შემდეგ ჩრდილო კედლთან აღმოჩნდა მიწურ იატაკში ჩაფლული ორი პატარა ქვევრი და ერთი დერჯი. სამივე ქურბული სავსე იყო თოფების კაის „ჩასართებით“. მათი სურათი რაოდენობა 543 ცალია. „ჩასართების“ ასეთი რაოდენობა ჭერ არსად აღმოჩენილა. კალებს ზომები ძირითადად ასეთია: 40×40×8, 42×41×10, 31×34×6, 28×16×6, 25×20×5 მმ.

¹⁸⁴ Frederic Duhois de Montpereux, Atlas, № 5, 1843.

ტარებიან. ვფიქრობთ, მაშინაა აგებული აღმოსავლეთით მდგარი ცილინდრული კოშკი, ხოლო ორ დანარჩენ კოშკზე დაუშენებიათ. ამ ორ კოშკს სევანური ტიპის სალოდეები აქვს და სახურავი და მისი ფორმაც იქიდან მომდინარეობს, ხოლო ცენტრალურ კოშკს ორფერდა სახურავი გაუყეთეს.

იგივე მდგომარეობაა შხეფის ციხის თანადროულ ჭაქვინჯის ციხეზეც. იქ, რომელიღაც დიდი კატასტროფის შემდეგ, ერთი კოშკი ზელახლა აუგიათ სევანურ ყაიდაზე, ხოლო დანარჩენებისათვის ისევ სევანური სალოდეები დაუშენებიათ. ესეც იმავე ეპოქაშია გადაკეთებული¹⁸⁵. ეს ორი მაგალითი თავისთავად მეტად საინტერესო შემთხვევაა, მაგრამ არავინ უწყის, თუ რა და რატომ მოხდა ასე! რამ განაპირობა სევანეთიდან, რომელსაც მკვეთრად ინდივიდუალური სახე აქვს, არქიტექტურული ფორმების „სესხება“?



სურ. 52. შხეფი. ცილინდრული კოშკის გეგმები.

ერთი გამონაკლისი აღმოსავლეთ საქართველოშიც გვაქვს. ესაა 1679 წელს სოფ. წინარეზში აგებული კოშკი¹⁸⁶. ქართლის შუაგულში ერთადერთი ასეთი კოშკის გაჩენა უფრო საკვირველია, ვიდრე სევანეთის გვერდზე მდებარე სამეგრელოს მაგალითები.

¹⁸⁵ პ. ზაქარაია, ჭაქვინჯა, თბ., 1980, სურ. 6, 7.

¹⁸⁶ ვ. ბერიძე, წინარეზელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI—XVIII სს. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV—B. გვ. 209.

ამ საკითხზე საგანგებო მუშაობაა საჭირო, იგი ასე ადვილად გადასაწყვეტი არ არის.

ახლა, თუ დაეუბრუნდებით შხეფის კოშკებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი კოშკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი ერთდროულია და მას აგებისას გაუყეთეს „სევანური“ სალოდეები, ხოლო ორ კუთხოვან კოშკს, იმავე დროს, რესტავრაციის შედეგად დაეღმა სევანური სალოდეები. ვიმეორებთ: თავდაპირველად შხეფის კუთხოვან კოშკებზე კუთხოვანივე ქონგურები და საბრძოლო ბანი უნდა ჰქონოდათ.

შხეფის ციხის იმავე ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დგას ცილინდრული კოშკი (სურ. 49, 52). იგი ორსართულიანაა, საბრძოლო ბანით. კარი ამჟამად პირველ სართულზეა, მაგრამ იგი გვიან უნდა იყოს გაჭრილი. თავდაპირველი კარი მეორე სართულზეა, იმავე ვერტიკალზე. პირველ სართულზე, ქერთან ახლოს, სამი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში სარკმლის გვერდებზე თითო ამბრაზურაა. ისინი საღებვერო უფროა, ვიდრე სათოფე. მეორე სართულის კედლებში, კარის გარდა, სარკმლები და სათოფეებია სხვადასხვა ღონეზე. მესამე სართული საბრძოლო ბანს წარმოადგენს. წრიულ კედელში თორმეტი ამბრაზურა თანაბრადაა განლაგებული. ეს ამბრაზურები, სევანთში გავრცელებული ფორმების მსგავსების გამო, სალოდეებში უნდა იყოს, მაგრამ მათი გამოყენება სათოფეებდაც შეიძლებოდა.

ახლა რაც შეეხება კოშკის ბანის გადახურვას. საქართველოში ძირითადად ღია ბანი კეთდებოდა. ასეთი გადაწყვეტა ორ მიზანს ემსახურებოდა. პირველი ეს იყო ბანის გამოყენება საჭირო შემთხვევაში კოცონის დასანთებად, ხოლო მეორე — კოშკის სიმალიდან მიდამოს დაზვერვა. ხოლო რაც შეეხება სალოდეებს, სათოფეებს და საზარბაზნებს, მათი გამოყენება ერთნაირად შეიძლებოდა როგორც დახურული სათავსიდან, ისე ღია ტერასიდან. ამ შემთხვევაში, რადგან ამ კოშკს გადაშვებული სალოდე-სათოფურები აქვს სევანეთის კოშკების მსგავსად, მას სახურავიც სევანური აქვს. ამიტომ კოშკი ერთ-ერთ თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა.

საერთოდ, კოცონს ანთებდნენ ყველაზე მაღლა მდგარი კოშკის ბანზე. ამ ციხის ღონეონი იყო ცენტრში მდგარი მაღალი კოშკი. ამიტომ კოცონისათვის, სიგნალის გადასაცემად ეს კოშკი იქნებოდა მოხერხებული, მაგრამ იმ პირობა, ვინც ეს ცილინდრული კოშკი ააგო და „სევანური“ დაბოლოება მისცა, მთავარ კოშკსაც „სევანური ქული“ დაახურა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ციხის მეპატრონეს, როგორც ეტყობა, სიგნალის გადასაცემად კოშკის ბანი არ სჭირდებოდა. რადგან ცეცხლსასროლი იარაღი უკვე შემოსული იყო, ამიტომ იგი სიგნალს თოფითა და ზარბაზნით გადასცემდა. ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგაც კოშკების გადახურვა ბანური რჩება.

შხეფის ცილინდრული კოშკის სიახლოვეს, სამხრეთ ვალაყანში კარის მსგავსი ჰქილია. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ესაა შვერილი ტუალეტი, რომელსაც მონგრეული აქვს გარე კედელი. XVI ს-დან კოშკებში დაცხების გალავნებში თითქმის ყველგან გვხვდება ასეთი გადაწყვეტა. მისთვის ადგილი კარგადაა შერჩეული ციხის იმ მხარეს, სადაც ეზოდან გარეთა მიწის ღონე შესამჩნევად დაბალია (სამიშროება ნაკლები იყო).

ციხის ზედა ეზოსთვის შემოვლებული გალავანი ამჟამად ატარებს ვალაკეთების ნიშნებს. როგორც ზემოთაღნიშნულად აღვნიშნეთ, ყველგან ჩანს სათოფეები. გალავანში არსადაა მეორე იარუსი, რომელსაც მეომართა საბრძოლო ბილიც

უწოდებენ. უამისოდ კი არ იქნებოდა. როგორც ეტყობა, ზედა იარუსს ფიკრული ბილიკი წარმოადგენდა.

ციხის ზედა ეზოში სხვა ნაგებობებიც ზღვარა. მათ შორის აღსანიშნავია ეკლესია, რომელიც დიდი კოშკის აღმოსავლეთით, ჩრდილო გალავანზეა მიდგმული, იგი პატარაა, ეზოში მეტეს აღგილი არ იყო და გარნიზონი უსაყდროდ ხომ ვერ იქნებოდა!

ეკლესიის კედლები მიწის დონიდან ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზეა შეჩენილი. იგი დარბაზულია, აღმოსავლეთის აფსიდით. მისი სხვა დეტალი არ დარჩენილა.

აქვე, ორ კოშკს შორის და ეკლესიის სამხრეთით, მდებარეობს ბუნების ეშვითი ქვნილება, წყაროს წყალი (სურ 49). საქმე იმაში გახლავთ, რომ თვით ციხე ღვას საკმაროდ მაღალი მთის წვერზე. ეზო დიდი არ არის, მისი სიგრძე 33 მეტრია, ხოლო სიგანე — 18, ასეთ ფართობზე, როგორც ეტყობა, მუდმივად ღვას წყალი. ამ წყაროს წყალზე გაუკეთებიათ აუზი (რომლის ზომებია — სიგრძე 4,5 მ, სიგანე 3,5 მ და სიღრმე 3 მ). აუზში ანკარა წყლის ზედაპირი ციხის ეზოდან დაახლოებით ერთი მეტრია. ასეთ დონეზე წყალი თუ როგორ ჩერდება გაუგებარია (მისი დონე წლის პერიოდების მიხედვით მცირედ იცვლება). თუ რა საიდუმლოს ინახავს აქ სწორი ნიადაგი, ძნელი სათქმელია.

ამ აუზის წყალი ციხის გარნიზონისათვის, თუ მეცხოვრებთათვის საკმარისი არ ყოფილა, ამიტომ დამატებითი წყალსადენი გაუყვანიათ.

წყალსადენის სათავე ჩრდილოეთით 1—1,5 კილომეტრზეა. იგი საინტერესო ინჟინრული ნაგებობაა. ციხე და წყარო სხვადასხვა ფერდობებზეა. წყალსადენს დაღმართი უნდა გამოეველო და აღმართზე უნდა ამოსულიყო. მაშინდელი ტექნიკის პირობებში ამის შესრულება საკმაროდ რთული იყო. მაშინ წყალსადენის გასაყვანად მხოლოდ კერამიკული მილები არსებობდა. მილები შეერთების ადგილას, აღმართში წყალს გაუშვებდა. ამიტომ წყალსადენს მთლიანად კირის დულაში სვამდნენ. წყალსადენის აქა-იქ მოსიჩქვისას გაიჩქვია, რომ კერამიკული მილები ზოგან მთლიანად დულაშია ჩასმული, ზოგან კი მხოლოდ მილების შეერთების ადგილებია შემოსილი. როგორც ეტყობა, მისმა გამყვანმა ოსტატმა კარგად იცოდა თავისი საქმე და შედეგიც კარგი ჰქონია.

წყალსადენის მილებიც ოსტატს შესაფერისად აქვს დამზადებული. დაღმართზე ჩამავალი წყალსადენის მილების სიგრძე საშუალოდ 50 სანტიმეტრია, აღმართზე ასვლისას კი მილების სიგრძეს ზრდის 70 სანტიმეტრამდე. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ დაღმართში ჩაწყობილი მილების კედლის სისქე 15 მილიმეტრია, აღმართზე ამავლისა კი — 20 მმ¹⁸⁷.

ციხის წყლით მომარაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ციხის გარეთ, ჩრდილოეთით ქმსებრი ორმო. ამჟამად მისი სიღრმე 6 მეტრს აღწევს. იგი კლდეში ჩაჭრილია და ამ სიღრმეზე წყალი ამჟამად არ ჩანს. თუ არა ჭა, სხვა რა უნდა იყოს იგი? (ადგილობრივ ყვებიან, „დილეგი“ იყო. მისი დიამეტრი არ სცილდება 130 სანტიმეტრს. ასეთ ვიწრო და ღრმა თხრილს დილეგად ვერ გამოიყენებდნენ). არაა გამორიცხული, რომ იგი თავდაპირვე-

¹⁸⁷ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, არქიტექტორი ილია აღმაია სენაკლე იყო. იგი გაუდგმობთ ზრუნავდა იმ რაიონში განლაგებულ ძეგლებზე და არაერთი ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი შეადგინა. მათ შორისაა შეხდის ციხეც. მისი მოკლე გამოკლევა გამოქვეყნებულია „ძეგლის მეგობარში“ (1979 წ. № 51), იქვეა წყალსადენზე მისი დაკვირვება.

ლალ უფრო ღრმა ყოფილიყო და შიგ წყალი მდგარიყო (მისი ამოწმენდა ტექნიკურად რთული გამოდგა და ამიტომ ვერ გავაკეთეთ).

ახლა, თუ დაეუბრუნდებით ციხის ზედა ტერასაზე მდგარ ნანგრევებს, დავგრა განსახილველი მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში აღმართული ნაგებობის კვალი ბუხრით. თუ დიუბუას ნახატს მოვიშველიებთ, აქ მდგარა საცხოვრებელი სახლი. პირველი სართულის იატაკში სხვადასხვა ზომის ქვევარია ჩაყრილი. ზედა სართულიდან მხოლოდ ბუხარია დარჩენილი (ბუხარს საყრდენი კედელი ქვემოთ „ყრუა“). დიუბუას ნახატზე სახლს ერთმანობიანი სახურავი აქვს (ბუხრის საკვამური მილი ნახატზე კარგად ჩანს). გალავნის კედელში სამი სარკმელია ჩართული.

აქ ისევ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის განმარტება: „არს შხეფს ციხე დიდ-ნაშენი და სასახლე დადიანისა“¹⁸⁸. ციხის შიგნით სხვა სახლი არ დგას და აღგილიც არ არის. ერთადერთი ვარიანტია, რომ ეს შენობა იყო „სასახლე დადიანისა“.

ზედა ეზოს დასავლეთის მონაკვეთი სამიოდე მეტრით დაბლა იწევს და დიდი, ვანიერი კარით გადის სამხრეთით, პატარა, ოთხკუთხა მესამე ეზოში. აქ აშკარად გადაკეთებასთან გვაქვს საქმე, მეორე ეზოს აღმოსავლეთის კედელი ზედა ციხის გალავანია. იქვე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მოკავებული აქვს მასიურ ბურჯს, რომელიც წაგრძელებულია სამხრეთით. ხოლო რაც შეეხება ამ ქვედა ეზოს სამხრეთის კედელს, იგი ორი მეტრი სისქისაა და ბევრად აღემატება ციხის ყველა დანარჩენ გალავანს. ხოლო რაც შეეხება ამ მეორე ეზოს, მისი ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები 80 სანტიმეტრი სისქისაა და ზედა ხაზზე სათოფეებითაა აღჭურვილი. ეს ორი კედელი აშკარად გვიანია, ალბათ, XVII—XVIII საუკუნეებისა (ისინი აგებული ჩანს ძველი კედლების დანგრევის შემდეგ).

ამ მეორე ეზოს დასავლეთის კედელში კარია, გვიან, ალბათ, ჩვენს დროში, გაჭრილი. მაგრამ ნამდვილი კარი ისაა, რომელიც სამხრეთის სქელ კედელშია. იგი კაპიტალურია, როგორც შეშენის ამ ციხეს; სისქით და წყობის თავისებურებით გავს დიდ ეზოსა და პატარა ეზოს შორის გამავალ კედელს. ვფიქრობთ, ეს ორი გალავანი ერთდროულია, მაგრამ ახლა არ ირკვევა, სად და როგორ გრძელდებოდა აღნიშნული სამხრეთის გალავანი. შემდეგში, აქვე ზომ ახალი კოშკი აღიმართა. სხვა კარებისაგან განსხვავებით, ამ სამხრეთის კარის გადახურვა არქიტრაულია, ორივე მხარეს ტიმპანით. კარის წირთხლები და ტიმპანთა თაღები მაღალი გემოვნებითაა ნაგებო.

მცირე ფართის მქონე მესამე გალავანს სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთი აქვს მოკავებული. ამ ეზოს სამხრეთისა და დასავლეთის კედელი აქვს თავისი, ხოლო ორი დანარჩენი ძველი ციხის კედლებია. ეს ახალი კედლები, იქვე, სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში მდგარ კოშკზე გვიანაა აგებული. ეს კოშკი და და ორი თხელი კედელი ტექნიკით, წყობის ხასიათით, ისე დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ისინი სხვადასხვა დროს, ცხადია, სხვადასხვა ოსტატს მიერაა აგებული.

ეს პატარა ეზო მიწით იყო დაფარული. ვათხრებძისას თითქმის ორი მეტრი სიმაღლის მიწა იქნა ვადაყრილი. გარე წერილ კედლებში მარტივი სათოფურებია განლაგებული. კედლების სისქე, წყობის ტექნიკა და მარტივი

¹⁸⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 166.

სათოფეები იმაზე მიგვიითხოვენ, რომ ეს კედლები XVI—XVII სს-ებშია აგებული.

აქვე, კუთხეში აღმართული კოშკი მონუმენტურია და შთაბეჭდავი. მას ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც ზედა ცენტრალურ პირამიდულ კოშკს და მას ზომებითაც ჩამოუვარდება, მაგრამ მნახველზე მაინც დიდ გავლენას ახდენს.

ციხიდან მხოლოდ ამ კოშკს აქვს წარწერა. იგი პირველად გამოსცა მარი ბროსემ 1849 წელს. მისთვის წარწერის პირი მიუწოდებია არქიტექტორ ნოროვის¹⁸⁹. ეს წარწერა დაკარგულად მიაჩნდათ და გამოჩნდა ახლა, ამ ეზოს ზღვისგან გაწმენდის დროს.

წარწერა კარგადაა დაცული (ტაბ. XXXVI—1) და შემდეგ წარმოადგენს:

†: ԿԸՅԿԷ: ԴՆ¹: ԿՆԽԴՆ ԾԸԴԶ

ზუ: ԿՄԾԸԸ: ԶԸԿՄԸԶ ԿՄ

ՈԸ: ԸԸ ԴՄ[ԸԸ] ՆԾԻԸԶ: ԿՄ: ՈԸ

იგი ასე იკითხება: „ქრისტე, კოშკი ესე კარის თუვალი შედან აღაშენა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ. ვინცა სთქუა, შეუნდოს ღმერთმან“.

წარწერას თარიღი არა აქვს და არც მისი ამგების, შედანის გვარია ცნობილი.

წარწერის პირველ გამომცემს მ. ბროსეს ექვიც არ ეპარებოდა, რომ „შედანი“ კი არა, „ბედანია“ და მას მიიჩნევს XIII ს. ისტორიულ პირად დადიანთა საგვარეულოდან. მის აზრს იმეორებს მ. ჟანაშვილიც, რომელიც გზად გაივლის შხეფში² (თვით წარწერა მას მცირე ცვლილებებით მოჰყავს). მისი აზრით, ეს ბედანი არის 1243—1259 წლებში მოხსენებული პირი. წარწერა მოჰყავს ს. მაკალათიასაც, მაგრამ იგი კომენტარს არ აკეთებს¹⁹⁰. ხოლო რაც შეეხება თ. ბერაძეს, იგი ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს და ასკვნის, რომ შედანი არის არა დადიანთა წარმომადგენელი, არამედ ჰილამებისა. მას თითქმის უკლებლივ მოჰყავს ჰილამებზე და მათ სამფლობელოზე ისტორიული ცნობები და შემდეგ დასკვნას აკეთებს: „სახელები ბედანი და შედანი ორივე გვხვდება ჰილამეთა გვარეულობაში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შხეფის ციხე-სიმაგრე, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ჰილას (ე. ი. ჰილამების საგვარეულოს) ეკუთვნოდა, მაშინ შხეფის წარწერის შედანი ამ გვარეულობის წარმომადგენლად უნდა ჩავთვალოთ, რაც იმაზე მიგვიითხოვს, რომ ეს ციხე-სიმაგრე გარკვეულ დრომდე დადიანთა სამფლობელოში არ შედიოდა“¹⁹¹.

¹⁸⁹ M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique, I livre, spb, 1849, გვ. 48; წარწერის გრაფიკულ მონახაზს გამოსცა თავის ატლასში—Atlas du voyage archéologique dans Transcaucasie, spb, pl. XLIII, fig. 3.

Г. М. Джанашивили. От Ново-Сенака до сел. Дихазурга.—Изв. кавказского отделения импер. московского археологического общества, вып. II, Тифлис., 1907, с. 22.

¹⁹⁰ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 232.

¹⁹¹ თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967, გვ. 168.

სახელების დამთხვევით ასეთი დასკვნის გამოტანა, მე მგონია, შეუძლებელია. ხოლო რაც შეეხება, თითქოს ადგილზე, ე. ი. სოფელში, შხეფის ციხეს უწოდებენო, ჩვენ ვერ დაგვიდასტურეს¹⁹².

ქილაძეების სამფლობელო რიონის ორივე მხარეზე კი იყო, მაგრამ არსად არაა ნათქვამი, რომ თითქოს ასე შორს, ჩრდილო-დასავლეთით გადიოდა მათი საზღვარი. ასე რომ, სხვა უფრო მტკიცე საბუთის შიშობებამდე ეს ციხე ბოლო საუკუნეებში სადალიანოში უნდა შევიდეს.

აქვე შეიძლება ისიც დავძინოთ, რომ XVI—XVIII საუკუნეებში დღემდე მოღწეული ყველა საბუთით შხეფის ციხე და მასთან ახლო მდებარე ისეთი ობიექტები, როგორცაა ნოქალაქევი, მარტიელი, დადიანებს ეკუთვნოდათ. აქ შოვიყვანთ რამდენიმე ცნობას.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით 1582 წელს მამია დადიანმა შეიპყრო ტახტის მოცილე „ყრმა... ლეონ და შხეფის ციხეში დაატყუევა“. ბავშვმა ვერ გაუძლო ტყვეობას, გადმოვარდა ციხიდან და მოკვდა¹⁹³.

მეორე ცნობაც იმავე პერიოდისაა. მამია დადიანი და იმერეთის მეფე ლევანი შეიპყნენ 1590 წ. და „გაემარჯვა დადიანსა, და შეიპყრა მპყრობელი იმერეთისა ლეონ და პყრობილ ყვეს იგი ოდინს ციხესა შხეფისასა, და მუნ შოკუდა ლეონ“¹⁹⁴.

უფრო ადრე, იმავე საუკუნის 70-იან წლებში ისეთი სუსტები არიან ჰილაძეები, რომ მათ ხან გურიელები იპყრობდნენ და ხან კიდევ დადიანები¹⁹⁵. საერთოდ, თუ თვალს გადავაუვლებთ საქილაოს ისტორიას, მათ არასოდეს ისეთი ძალა არ ჰქონიათ, რომ გურიელებს და დადიანებს მორეოდნენ.

„საკალანდარიშვილოს“ ციხე

ქალაქ ცხაკაიას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე დგას ციხე, რომელსაც სახელი არა აქვს. მის ახლოს მოსახლეობა არ არის, ხოლო მის სიახლოვეს მდებარე ქალაქის გარეუბანს „საკალანდარიშვილოს“ ეძახიან¹⁹⁶ (აქ ამ გვარის ხალხი ცხოვრობს). რადგან სხვა სახელებს კიდევ ეს ჯობს, ამიტომ ჩვენ მასზე შევჩერდით.

წინასწარვე უნდა განვაცხადოთ, რომ ციხე ეგრისულია. ყველა ის მონაკემი, რომელიც ახასიათებს IV—V საუკუნეების ეგრისის ციხეს, ამასაც გააჩნია. ამიტომ იგი ტიპურად უნდა ჩაითვალოს (სურ. 53, 54, ტაბ. XXXVIII—1).

¹⁹² აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებისთანავე, ჩვენ სპეციალურად გავაგზავნეთ ნოქალაქევის მუზეუმის თანამშრომლები სოფელ შხეფში. მათ იქ რამდენიმე დღე იარეს, დიდი სოფელი კიდეც მოიარეს, მაგრამ ზემონათქვამი ვერ დაადასტურეს.

¹⁹³ იმავე ზღუდულს ჩვენ თვით ვესაუბრეთ სოფლის მსოვანთ. მათ შორის, 80 წელს გადაცემულ, ძეგლის მცველს არტემ ნინუას (რომელიც სახალხო მთქმელი და ისტორიის მოყვარულია). ასეთი ცნობა არავინ დაგვიდასტურა. მაგრამ მთავარი აქ ვაღმოცემა კი არ არის, არამედ ისტორიული ფაქტების ანალიზი და დადიანთა თუ ქილაძეთა შესაძლებლობები.


¹⁹⁴ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 504.

¹⁹⁵ იქვე, გვ. 532.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 462, 504; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 124.

¹⁹⁷ ასევე ეძახიან ამ უბანში მდგარ XIII საუკუნის დიდი ზომის დარბაზულ ეკლესიას (იხ. პ. ზაქარაია. ხუროთმოძღვრული ძეგლი ქალაქ ცხაკაიაში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XIII—B, 1952).

ციხისთვის მაღალ, გრძელ მთაზე შემალვებაა შერჩეული, ისეთი ადგილი, სადაც ჩრდილოეთით ქარაფია, დანარჩენი მხარეები კი თხრილითაა შემოსაზღვრული. თხრილი ვალავანს კონცენტრულად მიუყვება. მიუხედავად იმისა, რომ თხრილისა და ციხის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ათას წელზე მეტია,




სურ. 53. „საკალანდარაშვილს“ ციხის გეგმა.

იგი დღესაც შთამბეჭდავია. ახლაც კი თხრილის სიღრმე 4—6 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე 8—10 მეტრია. ცხადია, თხრილის ნაპირები მისი მოქმედების პერიოდში ვერტიკალური იქნებოდა. ასეთი მკვეთრი პროფილის მქონე თხრილის გადაჭრას მტრის ჯარიდან ცხენოსანი ვერ შეძლებდა, ხოლო ქვეითი ძნელად გადალახავდა. ფაქტიურად ეს მტერს შეეძლო მხოლოდ შესაძინეად ჭარბი ძალებით, ან მაშინ, როდესაც დამკვეთებს ყოველგვარი იარაღი გამოეღოდათ.

თვით ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი ვალავანისაგან. პირველი ვალავანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავდა კოშკში შესასვლელს, ხოლო მეორე ვალავანი კოშკს უვლის სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. ვალავანის ხაზი წრიულია, ისე, როგორც თხრილისა (ვალავანის მაქსიმალური ზომებია: 23×26 მ).

კოშკი თითქმის კვადრატული გეგმისაა (გარე ზომები — 7,0, 7,2 მ). მისი აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები შუაზეა გაბობილი. კოშკს თავიეც მორღვეული აქვს, ამიტომ სართულიანობა არ ირკვევა. აღმოსავლეთის კედლის ცენტრალური ნაწილი გამორღვეულია, მაგრამ ერთგან დარჩენილია მცირე ფრაგმენტი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ კარი მეორე სართულზე ნოფილა. პირველი სართული ჩამონაყარი ქვებითაა სავესე, მაგრამ ჩანს, რომ სარდაფის სართული კამაროვანი ყოფილა, ერთგან ჩასასვლელიცაა. ზედა ორი სართულის სართულშუა გადახურვა კი კოჭოვანი ყოფილა. დარჩენილ კედლებში არავითარი ამბრაზურები არ არის.

კოშკის კედლები ნაგებია ისეთივე კირქვით, როგორც სხვაგან. ფასადები შობირკეთებულია მქისედ გათლილზედაპირიანი ქვით. წყობა ჰორიზონტალური რიგებით ისეთივეა, როგორც იმ ეპოქის სხვა ძეგლებზე. გალავნის შობირკეთებაც მსგავსია, მაგრამ ქვები უფრო მოზრდილია და წყობაც ცოტათი ჩამოუვარდება კოშკისას.



სურ. 54. „საკალანდარაშვილოს“ ციხის ფასადი და განაკეთები.

გალავანი კოშკზე მეტადაა დაზიანებული და ზოგან 4—5 მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ამ კედლებზეც არავითარი ამბრაზურა არ არის შემორჩენილი. არც ის ჩანს, თუ როგორ მთავრდებოდა გალავნის ზედა ხაზი.

ბოლოს, ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს ციხე, ყველა თავისი მონაცემით, ეგრისის. სამეფოს აღმასვლისასაა აგებული და იმ განთქმული „ჩაქვის“ ერთი რგოლია.

მდინარე ცივის ხეობაში, სენაკიდან ათიოდე კილომეტრზე, გზის მარცხენა მხარეს, მაღალი მთის წვერზე დგას ციხე, რომელსაც ადგილობრივნი, ჩვეულებრივად, „ჩიხას“ უწოდებენ. ადგილი ტყიანია და ციხის დათვალიერება სრულად ვერ ხერხდება.

წინასწარული დაზვერვისას ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ.

ციხე შედგება გალავნისა და ერთი კოშკისაგან. ყველაფერ ამას ამთავრებს თხრილი, რომელიც გარს უვლის გალავანს. ციხის ეს სურათი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ტიპური ეგრისის სამეფოში მიღებული სისტემისათვის. ასე რომ, თავისთავად ზემოაღნიშნული გადაწყვეტა მივეითობს თარიღზე, რომელიც IV—V საუკუნეებით განისაზღვრება.

კოშკი დიდი ზომისაა, ოთხკუთხა (8,8×5,25 მ, კედლის სისქე — 2,15 მ). ნაწილობრივ შემორჩენილია სამი სართული. სართულების სიმაღლე საშუალოდ სამი მეტრია. დარჩენილ ორ კედელში სარკმლები, ან საბრძოლო ამბრაზურები გარკვევით არ ჩანს. კარის ნაწილი უნდა იყოს აღმოსავლეთის კედლის მეორე სართულზე. კოშკის ფასადების მოპირკეთებაც ტიპურია ადრეული საუკუნეებისათვის. ფასადზე ნახშირია 30—40 სმ კირქვა, რომლის ზედაპირი მჭიმდება დაშუშავებული. ასეთი ქვებით ფასადებზე ჰორიზონტალური რიგები თითქმის დაცულია. მოპირკეთებისას განხორციელებულია კიდევ ერთი კარგი ჩანაფიქრი: ესაა ქვების ზომების შემცირება ქვემოდან ზემოთ. ბოლო რიგები, საწყისთან შედარებით, თითქმის ერთი მესამედით ნაკლებია. კოშკს ირგვლივ, ათიოდე მეტრის დაცილებით, უვლიდა გალავანი. გალავანიც დარღვეულია და ნაშთები უკეთ ჩანს სამხრეთის მხარეზე. გალავნის შემოსვა კოშკის მსგავსია. მხოლოდ ქვები უფრო წვრილია.

თხრილი, რომელიც გალავანს კონცენტრულად მიუყვებოდა, ახლაც შთამბეჭდავია. მისი ხაზი გალავნიდან დაცილებულია 20—25 მეტრზე. თხრილის პროფილი ამჟამად ასეთია: სიღრმე — 4—5 მეტრი, სიგანე — 6—7 მეტრი. ცხადია, თავდაპირველად თხრილის სიღრმე მეტი იქნებოდა.


ახლომდებარე ციხეებიდან ეკის ციხე უფრო დიდია, ვიდრე კოტიანეთისა და „საკალანდარაშვილოსი“.

ქ ა ქ ვ ი ნ ჯ ი

ქაქვიწყის ციხე მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, ცენტრიდან ჩრდილოეთით 15 კილომეტრის დაცილებით. მაღალ მთებში მისთვის ადგილი ისე მოხერხებულადაა შერჩეული, რომ იქ მჯდომი ძალიან დიდ მანძილზე ზვერავდა. შორს, ქვემოთ კოლხეთის დაცემული დაბლობი მოჩანს და მზიან ამინდში, ალამოქვამს, ზღვაც კი აირეკლება.

ციხის ქვემოთ ფერდობი ნელ-ნელა ეშვება მდინარე ჭანისწყლისაკენ. ეს მდინარე დიდი არ არის, მაგრამ გადასვლა მაინც ჭირს. ციხეზე გზა ამჟამად სამხრეთიდან აღის, მაგრამ ძველად იგი ციტადელს დასავლეთიდან ადგებოდა. იქვე იყო მცირე კარი, ხოლო ქვედა ციხის ეზოში ჭიშკარი უფრო ზემოთ, წყაროს მიდამოებში უნდა ყოფილიყო.

ციხე ძლიერ დაზიანებულია. ნანგრევებში არამტუთ თავდაპირველი სახის დადგენა, არამედ ზოგჯერ კედლების მიმართულების გარკვევაც შეუძლებელია.



სურ. 55. კავკასიური, სიბის 2023ა.

ისტორიულ წყაროებში იგი XVII საუკუნიდან იხსენიება¹⁵⁷. ეს ცნობები ძალზე ცოტას გვაძლევს, რადგან ციხემ იარსება თხუთმეტი საუკუნე და ამ ხნის განმავლობაში მას ცხოვრების დიდი გზა ექნებოდა გავლილი.

ჩვენ ორი წელი (1968/69) ვაწარმოვეთ დიდი მასშტაბის გათხრითი სამუშაოები, ამან ზოგ რამეში ვარკვევლობა შეიტანა.

გაირკვა, რომ ციხე ძირითადად შედგება ორი ნაწილისაგან (სურ. 55, ტაბ. XX XVI—2) — ერთია ციტადელი და მეორე მასთან დაკავშირებული ქვედა ციხე დიდი ფართობით, ციტადელი მალლობზე დგას, ხოლო მასზე მობმული ციხის დიდი ეზო მდებარეობს ჩრდილოეთით, რთულ რელიეფზე, მეორე ნაწილიდან თითქმის აღდგა გალავნის მოხაზულობა, ხოლო ფაქტიურად დარჩენილია ბოლო კოშკის ნაშთი, ჩრდილო განაძირას და ჩრდილო-აღმოსავლეთით, საიდანაც გამოდიოდა გვირაბი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთში მდებარე წყარო ჩართული იყო გალავანში.

ციხის განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აქ ძირითადად სამი ქრონოლოგიური ფენაა — აღრეშუასაუკუნეებისა, მოწიფული ფეოდალური ხანისა და გვიანი საუკუნეებისა. ამ ბოლო პერიოდის ციხის ისტორია დაკავშირებულია დადიანებთან. სამეგრელოს მთავარი დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში იყო, მაგრამ უმცროსი შტოს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ადგილებში. ერთი ასეთი იყო ჭაქვიწყი.

ციტადელის ტერიტორიის მთლიანი გათხრის შემდეგ სამშენებლო ფენები გაიმიჯნა. ციტადელი განლაგებულია გრძელ, ელიფსურ გორაზე. მშენებლებს კარგად გაუთვლიათ რელიეფის თავისებურება. ძნელად მისადგომ მხარეებზე გალავნებით დაკმაყოფილებულან, ხოლო ჩრდილოეთით, სადაც ადვილი მისადგომია, გალავანში სამი კოშკი ჩაურთავთ. ყველაფერი ეს შეიძლება დათარიღდეს ეგრისის სამეფოს საწყისი პერიოდით — IV—V საუკუნეებით. ამ ფენამ საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ იცვალა სახე, მხოლოდ ძირითადის შესარჩუნებით.

შესამჩნევია რეკონსტრუქცია განიცადა ციხემ XIII—XIV სს. ძლიერი შტრის დარტყმებმა ციხე მეტად დააზიანა. აშენდა ციტადელის აღმოსავლეთის ბოლოში ერთი კოშკი, ხოლო ჩრდილოეთის შუა კოშკი ხელახლა იქნა აგებული. იმავე ხაზზე მდებარე განაძირა კოშკები შესამჩნევად გადაკეთდა.

მომდევნო საუკუნეებში მტრის შემოსევები ხშირდება, რაც იწვევს ციხის დაზიანებასაც. დიდი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს XVI ს-დან.

ამ ეპოქის სარესტავრაციო და დამატებითი სამუშაოები თითქმის ყველგან ჩანს. განსაკუთრებით ეს ემჩნევა სამხრეთით, გალავნის ხაზს, XVI—XVII საუკუნეებშია დამატებული სათოფეებიანი ფენა.

ციხის ქვედა, ჩრდილოეთის მონაკვეთი, საკმაოდ რთული და დიდი ფართობისა ყოფილა. სამწუხაროდ, თითქმის მოსპობის გამო, მის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ცხადია, რომ იგი განკუთვნილი იყო გარნიზონის სამოქმედოდ. მის ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი კოშკი აგებულია გვირაბთან ერთად, საიდანაც გვირაბი აღის ციტადელის კარამდე. აქედან მალულად იმობრავებდნენ მეომრები და გარემოცვის შემთხვევაში, კოშკიდან გამოსულები, მოულოდნელად მტერს თავს დაესხმოდნენ. ეს ხერხი ახალი არ

¹⁵⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 449—450, 836; შ. შარდენო, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1925, გვ. 36.

არის, იგი ხშირად გვხვდება ანტიკურ თუ შუა საუკუნეების ციხეებში. თავისთავად კოშკი და გვირაბი აგებული ჩანს XV ან XVI ს.

გათხრებმა ციტადელის ეზოში გამოავლინა პალატი და ეკლესია. არის რამდენიმე ნაგებობის ნაშთი, მაგრამ მათი გეგმის აღდგენა შეუძლებელია. ქვევრებიც ბლომად იყო ეზოში.

პალატი სამხრეთის გალავანთანაა. მისგან დარჩენილია ერთი მეტრის სიმაღლის კედლები. მას შესასვლელი ჩრდილოეთის კედლის ცენტრში ჰქონია. პალატის გეგმა გრძელი ოთხკუთხედია. მის ცენტრში ორი სვეტი დგას. ეტყობა, მათზე გადადიოდა თაღები, რომლებიც კამარებს იმაგრებდნენ. პირველი სართული დამხმარე უნდა ყოფილიყო. მეორე სართული საცხოვრებლად იქნებოდა განკუთვნილი. საერთო მონაცემებით პალატი IX—X საუკუნეებით თარიღდება.

ციტადელის აღმოსავლეთის მონაკვეთში, გარნიზონისა და შიგ მცხოვრებთათვის დარბაზული ეკლესია აუგიათ. იგი გარედან თლილი ქვის კვადრებით ყოფილა შემოსილი. სამხრეთის ფასადზე დეკორატიული თაღებიცაა გამოყენებული. ეკლესია XIII—XIV სს-თა მიჯნით თარიღდება.

როგორც ვნახეთ, ჭაქვიჩი შუა საუკუნეების ერთ-ერთი საიმედო ციხე იყო. იგი მრავალი საუკუნე ემსახურებოდა სამშობლოს დაცვას¹⁹⁸.

ს ა თ ა ნ ჯ ო

მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის წვერზე, წამოდგმულია ციხე, რომელსაც სათანჯო¹⁹⁹ ჰქვია. ციხისთვის ისეთი მოხერხებული ადგილი შეურჩევიათ, რომ ყოველი მხრიდან მოჩანს. იგი არა მარტო ენგურის ხეობაზე ბატონობს, არამედ მთელი კოლხეთის დაბლობზე, ზღვის სანაპიროს ჩათვლით. ეს მეტად მნიშვნელოვანი სადაზვერვო პუნქტი აქ გამავალ სიმაგრეთა ჯაჭვის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი იქნებოდა. სამწუხაროდ, მის მნიშვნელობაზე, გადატანილ ომებზე, მატიანეებში არაფერია ნათქვამი.


ციხის ძირას მისვლისთანავე, ვისაც თვალი გაჩვეული აქვს ეგრისის სამეფოს ციხეებზე, მაშინვე მიხვდება, რომ ესეც ციხეთა იმ ჯაჭვის ერთი რგოლია, წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამაზე მიუთითებს: ციხის კომპოზიცია, კედლების წყობა, ციხის ირგვლივ გამავალი ორი თხრილი და სხვა დეტალებიც (სურ. 56 ა, ტაბ. XXXI—2).

ციხის კედლები ძლიერ დაზიანებულია. კედლები მოპირკეთებულია თეთრი მსხვრევადი კირქვით. რაც მტრებმა დააყლეს, დროთა ვითარებას გაუქმებია. მოპირკეთების დიდი ნაწილი ჩამოკლილია და ამ ნაშხვრევეებითაა ციხის შიგ და გარეთ კედლების ძირები და ეზო დაფარული. დეტალების გარკვევა შეუძლებელია.

¹⁹⁸ ჭაქვიჩისადმი სპეციალური ნაშრომი გვაქვს მიძღვნილი — „ჭაქვიჩა“, 1980.

¹⁹⁹ ეთნოგრაფი ს. შაქალათია სიტყვა „სათანჯო“ ასე განმარტავს: „სახელწოდება სათანჯო წარმოშობილია ტერმინი „თანჯიდან“, რომელიც ნიშნავს სამანს, საზღვრის ნიშანს“. თუ ეს ასეა, მაშინ ვასარკვევია, თუ როდის და რომელი ტერიტორიის საზღვარზე იდგა იგი. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებით, აქ გამავალი საზღვრის ზაზზე არაფერია ცნობილი (ს. შაქალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 235—236).

ციხის კედლები მთის მომრგვალებულ ზედაპირს შემოუყვება და მისი გეგმა ოვალურია. ციხის შიგნით მხოლოდ ერთი კოშკია. კედლების სისქე ძირში თითქმის ორი მეტრია. ამაზე სქელი კედლები აქვს კოშკს. კედლების წყობა,



სურ. 56. სათანაქოსა და წარჩეს სქემატური გეგმები.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ეგრისულია, IV—VII საუკუნეთა ციხეების კედლების წყობას იმეორებს. ეს წყობა კი იმით ხასიათდება, რომ 30—40 სმ ქვები თითქოს ჰორიზონტულ წყობას ქმნის. ასეთი ზომის ქვით გემოვნებით ნაწყობი

კედელი საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი მტკიცედ და მხატვრულად გამოიყურება.

კედლების სიმაღლე ზოგან 5—7 მეტრზეა შერჩენილი, მაგრამ დამთავრება არსად ჩანს. დამამთავრებლად სწორკუთხა ქონგურები რომ იქნებოდა, ეს ცხადია, მაგრამ გალავნის სიმაღლის განსაზღვრა ძნელია.

აღმოსავლეთის გალავანში ჩართული კოშკიც მეტად დაზიანებულია. მას თავიც მორღვეული აქვს, რის გამოც სართულიანობა არ დგინდება. ახლა ჩანს სამი სართული. კარებსა და სარკმლებზე ისეა ჩამოშლილი მოპირკეთება, რომ შათი ფორმებისა და ზომების დადგენაც ძნელია. საერთო შთაბეჭდილების მხედვით ამბრაზურებს ოთხკუთხა მოხაზულობა უნდა ჰქონოდათ. პირველ სართულს ოთხივე მხარეზე თითო ამბრაზურა აქვს. ამთავან სამხრეთისა კარი უნდა იყოს, დანარჩენი — სარკმლები. მეორე და მესამე სართულის ყოველ კედელში თითო სარკმელი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, კვალი ამას გვკარნახობს.

ციხეს კედლე ერთი დეტალი აქვს, რომელიც ადრეფეოდალური ხანის ციხეების აგების თავისებურებაზე მიუთითებს. ესაა თხრილი, შემოვლებული ციხის ირგვლივ. ჩვენ ზემოთ ბევრგან აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ სადაც კი რელიეფი არ დარღვეულა, ციხეს ყველგან უვლის ერთი ან ორი თხრილი. ამის მაგალითებია ნოქალაქევის „ჯიხაზე“ (ციტადელის მთავარი კოშკი), კოტიანეთში, შხეფში, საკალანდარაშეილოში და სხვაგან.

ყველა ზემოჩამოთვლილი თავისებურება, სათანადო ციხეს უკავშირებს ეგრისის სამეფოს ციხეთა დაცვის ჯაჭვს.

ს კ უ რ ი

ჭანისწყლის ხეობა ვიწროა და ტყიანი. სულ ზემოთ სოფელი სკურია. ამ სოფლის გარეთ უზარმაზარი ცალნავიანი ეკლესია დგას, რომელიც XI ს. უნდა იყოს აგებული (მწვანითაა დაბურული და გაწმენდამდე ძნელია გარკვეულად რაიმეს თქმა).

იქვე მახლობლად, სკურპვის ეზოში, მდ. ჭანისწყლის სამხრეთის მხარეს, ძალდა მთებში მდებარეობს ძველი ნაციხარი. ირგვლივ მთებია, მაგრამ ციხის ადგილი თითქმის ვაკეა, ხოლო ჩრდილოეთით დიდი მთებია. ადგილზე გვიტხრეს, რომ ჭანისწყლის ხეობას აღმა თუ ავეყვებით, სვანეთის სოფელ ხაიშთან გავალთ. ცხადია, ეს პატარა ციხე საყარაულოა, სადაზვერვოა, მაგრამ ვისგან იცავდა ამ მხარეს ძნელი მისახვედრია დღეს, თუ არ დავუშვებთ სვანეთიდან გადმოსვლას. კონკრეტული შემთხვევებიც ძნელი დასადგენია შორეული, IV—V საუკუნეებისათვის. ისტორიული წყაროები სულ მცირე მასალას იძლევა ეგრისის სამეფოს ადრეული ისტორიისათვის. ვიცით, რომ ეგრისელები და სვანები სულ სიამტკბილობით არ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ შორის ბრძოლებზე ცოტა რამ ვიცით. მიუხედავად ყველაფრისა, ფაქტი სახეზეა: ვიწრო ხეობიდან გამოსასვლელში დგას ციხე, ცხადია, ხეობიდან გამომსვლელთა წინააღმდეგ.

ციხე შედგება ერთი კოშკისა და მის ირგვლივ გალავნისაგან. ძველი დანერეულია და მის გაწმენდამდე დარჩენილის ზუსტად დადგენაც არ შეიძლება.

კოშკი გეგმით ქართლში გავრცელებულ „ზურგიან“ კოშკებს მოგვაგონებს, მაგრამ მათ შორის კავშირი, ალბათ, არ არსებობდა, მსგავსება შემთხვევითი უნდა იყოს.

კოშკი მისიურია, ზომით საკმაოდ დიდი (12×12 მ). ასეთი დიდი კოშკი იშვიათობას წარმოადგენს. მისგან ნაწილობრივ ორი სართულია გადარჩენილი. პირველი სართული ჩახერგილია ზედა სართულების ნანგრევებით, ამიტომ რა ზღედა შიგნით არ ჩანს. პირველი სართულის ერთადერთი საარქმელია გადარჩენილი. იგი გარედან ჩანს და ისეთი კრილი აქვს, რომ აშკარად ქერქვეშ იყო მოთავსებული.

კედლები ნაგებია თლილი ქვით, სადაც წყობა ორიგინალურია: დიდი ზომის ქვები ჩასმულია წვრილ ქვებს შორის. ასეთი წყობა დამახასიათებელია იმავე ხეობაში მდებარე ჭაქვინჯის ციხის პირველი სამშენებლო ფენისათვის²⁰⁰.

გალავანი 1—1,5 მეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი და კედლის წყობა კოშკის მსგავსია, მხოლოდ ქვის დამუშავებითა და წყობით ჩამოუყვარდება მას. ციხის გეგმის მოხაზულობა იმეორებს კოშკისას, ე. ი. ერთი მხარე სწორია, მოპირდაპირე კი — მრგვალი (გალავნის შიდა ზომები დაახლოებით 22×29 მ).

გალავნისა და კოშკის კომპოზიცია, კედლების წყობა და საერთო გადაწყვეტა აშკარად ევრისის სამეფოს ჩამოყალიბების პირველი პერიოდისაა.

რ ე კ ა

სოხუმისკენ მიმავალი გზატკეცილის ჩრდილოეთით, ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს სოფ. რეკა. ადგილი მთავორიანია. სოფელი გაშლილია და მისი სხვადასხვა მონაკვეთები ერთმანეთს ვერ ხედავენ. ამჟამად სოფელში სამი ციხის ნანგრევია. როგორც ეტყობა, ეს პუნქტი სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ასე საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ.

სოფლის ზემოთ, ხეობის დასაწყისში მდებარე ციხიდან მხოლოდ გალავნის ფრაგმენტებია დარჩენილი და გეგმაც არ იკითხება.


მეორე ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირასაა და მისი ტერიტორია მთლიანად ტყითაა დაფარული. ციხე ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ გეგმის მოხაზულობის დადგენა ხერხდება. თავისთავად, ციხე მცირე შემადგენლობაზეა და როგორც ეტყობა, მას არავითარია ბუნებრივად მიუდგომელი პოზიცია არ ეკავა. ციხის გეგმა მოგრძოა, უსწორო მოხაზულობით, ოვალით, ბოლოები კი წაქვეთილია. კედლები გარედან, დაღმართის მხარეს, მცირე ზომის კონტრფორსებითაა გამაგრებული. ნანგრევებში კარი ან ჰიშკარი არ ჩანს. მისასვლელი საურმე გზაც წაშლილია (სურ. 57).

ციხის გალავნის გაყოლებაზე კოშკიც არა ჩანს. ერთი ნახევარწრიული შევრილი ჩანს დასავლეთით, ეკლესიის პირდაპირ. რაღაც უფორმო ნანგრევებია გალავნის სამხრეთით.

ციხის ეზოში დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. უკეთაა შერჩენილი დასავლეთის კედელი, სადაც ჩანს კარი და მის ზემოთ — საარქმელი. ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით.

ამ ციხის დათარიღება ძნელია, მაგრამ ადრეფეოდალური ხანისა რომ არის, ცხადია.

მესამე ციხე გაცილებით ადრეულია და ეგრისის დაცვის ჯაჭვში შედიოდა, ეს ცხადი ხდება მისთვის ერთი თვალისშეველებითაც კი.



სურ. 57. რეკა. ციხის სქემატური გეგმა.

ციხე იღდა მაღალ მთაზე. მთა, ფაქტიურად, კონკლომერატისგან შედგება და დახსნილია. ზოგიერთი ნაწილის მორღვევისას ციხის კედლებიც თან ჩამოყალიბდა. ამის გამო ციხის გეგმის დადგენა სრულად ვერ ხერხდება.

ციხის საერთო მონახაზი, ასე ზედაპირული დაცვირვებით, გრძელი ოვალური უნდა ყოფილიყო. გარედან საკმაოდ ძნელი მისადგომა. ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. დასავლეთის მონაკვეთში, სქელ გალავანში ორი მეტრი სივანის კარია. იქვე, ცენტრში სწორკუთხა საკურთხეველიანი დარბაზული ეკლესია დგას. მას სამხრეთით, მთელ სიგრძეზე კრიბტა ახლავს. ეკლესიის კედლების ნაწილია გადარჩენილი. საკურთხეველში ერთი სარკმელია. ორნამენტირებული კარ-სარკმლების ფრაგმენტები ბლომად ყრია. საერთო შთაბეჭდილებით ეკლესია XIV საუკუნისაა. გეგობა, აქ სიცოცხლე დიდხანს გაგრძელებულა.

მდ. წარჩეს მარცხენა მხარეს მდებარეობს სოფელი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, მაღალი მთის წვერზე დგას ციხე. ამ მთის წვერიდან ციხე დიდ მანძილზე ბატონობს. მისი კედლები ძალიანაა დანგრეული და ამიტომ ბევრი რამ არ ირკვევა.

ციხის გალავანი მთის წვერის რელიეფს მიყვება, ამიტომ მისი გეგმა უწყისო ფორმის ელიფსურია (სურ. 56-ბ). სამხრეთის მხარე კლდის ზოლს მიყვებოდა და ბევრგან ძირი გამოკლია და ჩანგრეულა. თითქმის ისევეა აღმოსავლეთით. ერთადერთი ჩრდილოეთის რკალია 7—8 მეტრის სიმაღლეზე შერჩენილი. შუაში ქვის ვიწრო კიბეა, გალავანზე გამავალ საბრძოლო ბილიკზე ასასვლელად. ორ მეტრამდე სისქის კედელზე მებრძოლთა სასიარულო ბილიკი თავისუფლად დაეტეოდა. გალავანი საბრძოლო ბილიკით და კიბით ჩვეულებრივი ამბავია აღრეული ხანის ციხეებისათვის (კლასიკურ მაგალითს ნოქალაქევი იძლევა). იმავე პერიოდზე მიგვითითებს კედლების წყობის ხასიათი.

ციხის ორივე ბოლო ძლიერ დარღვეულია, ამიტომ ფორმებზე გარკვეული წარმოდგენა არა გვაქვს. აღმოსავლეთის ბოლოში რაღაც სათავსი აშკარად მდგარა, მაგრამ კოშკი იყო თუ რომელიღაც გრძელი სათავსი, ამ ადგილის გაწმენდამდე ვერაფერს ვიტყვი.

ციხის დასავლეთის ბოლოში უფრო დიდი მასა კი არის შერჩენილი, მაგრამ დაზიანების გამო აქაც გაურკვეველობაა. ციხის ამ წვეტში დიდი მასაა, რომლის ზემოთ, 6—7 მეტრის სიმაღლეზე, დადგმულია ტრაპეციული გეგმის მქონე კოშკი თუ რაღაც ნაგებობა. ამ უქანასკნელის ქვედა ნაწილია შერჩენილი.

არის კიდევ ერთი დეტალი, ესაა წყალსაკავი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში. იგი თითქმის ამოვსებულია. მისი კედლები კარგად, მკვრივად არის შეღესილი.

მართალია, ციხე დაზიანებულია, მაგრამ ყველა მისი დეტალი იმაზე მეტყველებს, რომ იგი აღრეულია, ძველ ციხეთა ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია.

— + —

ეგრისის სამეფოს ციხეებში, ზემოგანხილულის გარდა, კიდევ შედის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორცაა აღმოსავლეთით, დღევანდელი იმერეთის ტერიტორიაზე მდებარე ვარდციხე (ტაბ. XXXIX—1), სკანდა (XXXVIII—2) და შორაპანი. ხოლო შავი ზღვის სანაპიროზე — ბიჭვინტა და პეტრა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ ციხეთა განლაგების საკითხს. აქ თითქოს ერთგვარობა ჩანს. ეს ერთგვარობა გამოიხატება ადგილის შერჩევით. ადგილის შერჩევისას ციხეთა დამკვეთები, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობდნენ მიუდგომლობის პრინციპებიდან, მართალია, ციხე თავისთავად მაგარ კედლებს გულისხმობდა, მაგრამ ამას თუ ძნელად მისაგნელი პირობებიც დაემატებოდა, ცხადია, საიმედოობა მეტი იქნებოდა. ამ საკითხის გადასაწყვეტად იყენებდნენ ბუნებრივ სიმაგრეებს. ამისათვის კი საუკეთესო პირობებს ქმნიდნენ მთები და მდინარეები. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ასეთი ადგილების შერჩევა არ გაჭირდებოდა.

ციხის ასაგები ადგილის შერჩევისას, „მიუდგომლობის“ გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილს. აქ კი მთა-

ვარი იყო გზა. მართალია, თავისთავად ციხე გზას თვითონ „იზიდავს“, მაგრამ ტრადიციულად გამავალ ხაზებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ზემოაღნიშნულ პირობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ რთულ რელიეფიან ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო.

აქ ჩამოთვლილი ციხეებიდან აღნიშნულ პირობებს კარგად ეთანხმება ისეთი სიმაგრეები, როგორიცაა შორაპანი, სკანდე და პეტრა. რაც შეეხება ვარდციხეს, იგი, მართალია, მთაზე არ დგას, მაგრამ მისთვის ძნელად მისაღვამი და გადასალახი მდინარეების შესაყარია შერჩეული. ამავე დროს, ადგილის შერჩევისას გადამწყვეტი და განმსაზღვრელი გზა იყო. იგი მდებარეობდა ქვეყნის მთავარ არტერიანზე, რიონზე გამავალ გზაზე. ეს იყო იბერია — ეგრისის მთავარი მაგისტრალი.

პეტრასთვის (ციხისძირისთვის) ადგილის შერჩევისას, ჩვენ მიერ მითითებული ყველა პირობა დაცული იყო, ამას ემატებოდა ზღვიდან მისადგომიც. ამ ციხისათვის, რამდენიმე საუკუნით ადრე, რომაელების ეპოქაში, იქვე ახლოს რადიკალურად განსხვავებული ადგილი იქნებოდა შერჩეული. რომაელების მიერ ციხისათვის შესარჩევი პირობები ზღვის სანაპიროზე, იქვე ახლოს ჩამდენიც გნებავთ იმდენი იყო, მაგრამ არა, ეპოქა სხვა იყო, მოთხოვნაც სხვა იყო და ციხე მთაზე გააშენეს.

ჩვენ მიერ განხილულ ობიექტებში აშკარად გამოირჩევა ბიჭვინტა (პიტინტი) და ეს სრულიად გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ ციხე-ქალაქის ისტორიას.

დიდი ზომის ეს ციხე მდებარეობს ზღვის ნაპირას, ვაკეზე. იგი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოქმედებდა, მაგრამ ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. ფაქტიურად, ორი სხვადასხვა სახის ციხისგან შედგება. პირველი მათგანი (დასავლეთის მონაკვეთი) აშკარად ბევრჯერ გადაკეთებული რომაული ტიპის კასტელა (Castellum). მისი გეგმა თითქმის კვადრატულია, გარე კოშკებით. შიგნით კი, ჰიშკრის მიმართულებით შენობების ღერძოვანი განლაგებაა²⁰¹. ასეთ გადაწყვეტას არაფერი აქვს საერთო ქართულ ციხეებთან.

შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე განლაგებულმა კასტელებმა ძირითადად ცხოვრება მიატოვეს რომის იმპერიის ექსპანსიის შემცირებასთან, თუ შეწყვეტასთან ერთად. უმრავლესობისაგან განსხვავებით, ბიჭვინტაში IV—VI საუკუნეების მესვეურებს იმავე ობიექტზე გაუგრძელებიათ ცხოვრება, მხოლოდ ის განსხვავებით, რომ ძველი ციხის გაფართოება ახალ პრინციპებზე უწარმოებიათ.

ზემომოყვანილი ციხეების აგება და ცხოვრება ეფარდება ეგრისის სამეფოს ჩვენს მიერ განხილულ ციხეებისას, ამიტომ მათთან შედარება, პარალელების გაღება აუცილებელია. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას ჩვენ სრულად ვერ შევასრულებთ, რადგან იმერეთის სამი და ზღვის სანაპიროს ორი ციხე გათხრებისა და შესწავლის პერიოდშია, მაგრამ მათ ფორტიფიკაციასთან დაკავშირებული პუბლიკაცია მცირეა. აქედან გამომდინარე, აქ მხოლოდ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებულ მცირე მასშტაბის მიმოხილვას ვაუწყებთ.

სიმაგრეთათვის ადგილის შერჩევაზე უკვე ვისაუბრეთ. ახლა პირველ რიგში შევხებით რელიეფებზე განლაგებული ციხეების აგებას; ქართველი კაცი ერთნაირად უდგება მის განსახილველ ეპოქამდე და მის შემდეგაც. ქართველი

²⁰¹ ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. — დიდი პიტინტი, წ. 1-
თბ., 1975, გვ. 77—95, სურ. 4, 6.

ფორტიფიკატორი ციხეს, თუ ციხე-ქალაქს რელიეფს უფარდებს. გეგმარების გადაწყვეტა ხდება კონკრეტულ რელიეფთან დაკავშირებით, ყოველგვარი წინასწარი სქემის გარეშე. უცვლელია მხოლოდ ერთი — ციხის ძირითად ნაწილთან შედარებით ციტადელი ყოველთვის მაღლა, უფრო მიუდგომელ ადგილზე ეწყობა. კედლების გასაყვანად, თუ ციხის შიდა ტერიტორიის მოსაწყობად, რელიეფის მოსწორება არ ხდება, ან თუ ხდება, მცირე მასშტაბით. ციხის კედლები ყველგან მთის ბუნებრივ რელიეფს მიჰყვება. როგორც ვთქვით, ასე ხდება ეს ათასი წლების განმავლობაში²⁰². ცხადია, იმ განსხვავებით, რომ ციხეთა გეგმარება წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამიტომ მათ შორის, გეგმარების მიხედვით, ტიპებისა თუ სახეობათა დადგენა შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ ძნელია.

შემდეგი საკითხი, რომელსაც უნდა შევხვით, ესაა საშენი მასალა. საქართველოს საფორტიფიკაციო ხელოვნების ისტორიის მთლიანად მიმოხილვა ამჟამად შორს წაგვიყვანს, ამიტომ შევხვებით მხოლოდ ეგრისის სამეფოს ხანას. აქ ამ დროს მიღებულია ძირითადად კედლების აგება ფლეთილი ქვით. ხშირია შემთხვევა, როდესაც კედელი ერთიანად, მასიურად იგება და ფასადებზე ზრუნვა მცირეა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მცირედ დამუშავებას ეხედავთ. ე. ი. ეს ის მომენტი, როდესაც ოსტატი ფიქრობს და ცდილობს საფასადე ქვები ცოტათი მაინც დაამუშაოს და კედლებზე ერთი სისტემით განალაგოს. ასეთი გადაწყვეტის კარგ მაგალითს იძლევა ნოქალაქევის ორი პირველი გალავანი და სხვა ძეგლებიც. გარე ძეგლებიდან, არსებული ლიტერატურის მიხედვით, აქ შეიძლება მივუთითოთ შორაპანზე²⁰³, სკანდაზე²⁰⁴, ვარდციხეზე²⁰⁵. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ძეგლების ერთი და იმავე გალავნის მონაკვეთებიც ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დღეს ამის პირდაპირი მიზეზის დადგენა ძნელია, მაგრამ წყობის სისტემაში ზოგჯერ აშკარა განსხვავებაა. ამის კარგი ნიმუშია ნოქალაქევის სამხრეთის გარე გალავნის ის მონაკვეთი, რომელიც მდებარეობს კოშკის აღმოსავლეთით. დაახლოებით ისეთივე წყობაა ვარდციხის გალავნის ზოგ მონაკვეთზე²⁰⁶.

თლილი ქვით კედლების მოპირკეთება ყველა ძეგლზე გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებულ ადგილებზე. ხოლო რაც შეეხება ნოქალაქევის, აქ ქრონოლოგიურად შესამე, გარე კედელი მთლიანად თლილი კვადრებით მოპირკეთების პრინციპზეა აგებული. ზოგიერთ ადგილებში თლილი ქვის კარგად გამოყენებას ეხედავთ ვარდციხეში²⁰⁷ და სკანდაშიც²⁰⁸.

ეგრისული ციხეების მშენებლობის ტექნიკის მხრივ, აღნიშნულის გარდა, კიდევ ერთს შევხვებით — ესაა ყორე ქვის კედლებში აგურის სარტყლების

202 გამონაკლის წარმოადგენს XVIII ს. ქართლ-კახეთში გავრცელებული ციხე-გალავნები (პ. ზაქარაია, თავდაცვითი ღონისძიებანი XVIII ს. ქართლ-კახეთში, — საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII-Б, 1967, გვ. 237—260).

203 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, ტფ., 1936, სურ. 1, 3.

204 იქვე, სურ. 3—6.

205 იქვე, სურ. 10; ვ. ჭაფარიძე, შუა საუკუნეების ვარდციხის საფორტიფიკაციო ნაგებობები. — ფეოდალური საქართველოს არქ. ძეგლები, V, თბ., 1967, ტაბ. V—X.

206 ვ. ჭაფარიძე, იქვე, ტაბ. X.

207 იქვე.

208 ს. ყაუხჩიშვილი, მთ. შრ. სურ. 5.

გაყოლება (onus mixtum). აგურის 3—5 რიგი გვხვდება ძირითადად, მაგრამ არის მეტიც. ასეთ წყობას ნოქალაქევეში და სხვაგანაც ვხვდავთ, მაგრამ ძეგლების გამოუცემლობის გამო, მხოლოდ შორაპნისა²⁰⁹ და ვარდციხის²¹⁰ მითითება შეგვიძლია. სამწუხაროდ, რომელ-ბიზანტიურ სამყაროში გამოყენებული ეს წესი ხშირად დათარიღებას ზუსტად არ ექვემდებარება. მრავალი მკვლევრის ცდა ერთგვარად შეაჯამა ბულგარელმა ს. ბობჩევმა²¹¹. მან სცადა აგურების რიგების რაოდენობით კედლების დათარიღება, მაგრამ მისმა აზრმა ოპონენტების კრიტიკას ვერ გაუძლო. საქართველოში ჭერ არავის უცდია მშენებლობის ამ ტექნიკის სპეციალურად შესწავლა.

კედლებთანაა დაკავშირებული ჭიშკრების მოწყობის საკითხიც. ისევ სხვა ძეგლებზე საილუსტრაციო მასალის უქონლობის გამო, მიემართავთ მხოლოდ ვარდციხეს. ნოქალაქევის ოთხი ჭიშკრიდან (აქედან ორი აღრევე იყო გაუქმებული და ამოქოლილი) ორში კარგად ჩანს, რომ ზღურბლი დაგებულია კარგად თლილი დიდი ქვით. ზღურბლის გარე ხაზი აწეულია, ხოლო გვერდებზე, კუთხეებში ჩაღრმავებებია, ხის თუ რკინის კარის ქუსლის ჩასამაგრებლად. ასეთ გადაწყვეტას ვხვდავთ ვარდციხეშიც²¹².

ზოგ სხვა დეტალებშიაც შეიძლება პარალელის გავლება, მაგრამ არ ღირს ნაშრომის გადატვირთვა, მხოლოდ კიდევ ერთს აღვნიშნავთ, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ესაა ციხის ირგვლივ ღრმა და განიერი თხრილის გაყოლება. ჩვენ მიერ ზემოვანხილული ციხეებიდან ასეთის კარგ მაგალითს იძლევა კოტიანეთისა და „საკალანდარაშვილოს“ ციხეები. ვარდციხეს მდინარეები არ იცავს აღმოსავლეთის მხრიდან. ციხის ამკვებთ სწორედ ეს მხარე გადაუჭრიათ ღრმა და განიერი თხრილებით²¹³. მტერს, ცხადია, მისი გადალახვა გაუჭირდებოდა.

ეგრისის სამეფოს ციხეების უფრო ღრმა და დეტალური ურთიერთშედა-რება მოსახერხებელი იქნება მხოლოდ თითოეული ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ.

²⁰⁹ იქვე, სურ. 2.

²¹⁰ იქვე, სურ. 11, ვ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე. ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, — ფეოდალური საქართველოს არქ. ძეგლები, II, თბ., 1974, ტაბ. IV—I, VI.

²¹¹ С. Н. Б о б ч е в а, მთ.წნაშრ.

²¹² ვ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის. — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, ტაბ. IV—2, V—2.

²¹³ ვ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, გვ. 84, ტაბ. II.

ნოქალაქევისა და მისი „ქვეყნის“ საკულტო ნაგებობები

სამნავიანი ბაზილიკები

სამნავიანი ბაზილიკების წარმოშობისა და გავრცელების საკითხი ქართულ ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში ღიძი ხანია შესწავლილია¹, მაგრამ შესწავლის იმ პერიოდში ძირითადად ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები, ხოლო დასავლეთ საქართველოდან შესწავლის ორბიტაში ზოგჯერ მხოლოდ ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთას“ ეკლესია.

ომის შემდგომი პერიოდის არქეოლოგიურმა გათხრებმა დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლად გამოავლინა სამნავიანი ბაზილიკები. ზოგიერთი მათგანი გახდა კიდევაც განხილვის ობიექტი, მაგრამ შათ, ჩვენი აზრით, სწორი განსაზღვრა ვერ მიიღეს.

ნაშრომის ამ თავში ვიხილავთ ნოქალაქევის შემსწავლელი ექსპედიციის მიერ გათხრებით გამოვლენილ ბაზილიკას და მის გვერდით მდებარე „ორმოცმოწამეთას“, რომლის კედლების გაწმენდამ შესაძლებელი გახდა მისი ახლებური აღქმა. ასევე, ლიტერატურაში აღრევე ცნობილი სეფიეთის ბაზილიკის კედლების შიგ და გარეთ გაწმენდამ ძეგლი ახალი თვალით დაგვანახა.

ქვემოთ ამ ძეგლებს თანმიმდევრულად განვიხილავთ.

1. ნოქალაქევის ბაზილიკები

გათხრების დაწყებამდე ნაქალაქარის ტერიტორიაზე ერთადერთ შთამბეჭდავ ნაგებობას „ორმოცმოწამეთას“ ტაძარი წარმოადგენდა, მაგრამ მისი კედლები, მრავალჯერ გადაკეთების გამო, მკვლევართა წინაშე არაერთ საკითხს სუამდა. ამ ეკლესიის გაწმენდასა და გათხრას, მის ყოველმხრივ შესწავლას, რამდენიმე წელი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში კი, იქვე გვერდით ახალი ბაზილიკა აღმოჩნდა, რომელიც ამ მიწის ზემოთ მდგარ ეკლესიაზე უწინარეს ყოფილა აგებული (სურ. 1). ამ ქრონოლოგიამ განსაზღვრა ძეგლების განხილვის ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობა:

ა. პირველი ბაზილიკა


ორმოცმოწამეთა ეკლესიის გარშემო ტერიტორია ახალ სასაფლაოს ჰქონდა დაკავებული. სასაფლაოს თანდათანობით გადატანის პროცესში² ჩნდებოდა

¹ Чубиннашвили Г. Н. Болнис, Тбилиси, 1940, с. 1.

² ნოქალაქევის ცენტრში მდებარე ახალი სასაფლაო ძალზე გადატვირთული იყო რკინის

სხვადასხვა საინტერესო ნივთები, შენობათა ნანგრევები. ერთგან, სასახლესა და ტაძარს შორის ბუჩქებში ყურადღება მიიქცია თლილი ქვის კუთხემ. მისი გაწმენდის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ ეს იყო შენობის ნაშთი. შემდგომ გაწმენდამ ცხადყო, რომ ეს ნაგებობა ეკლესიას წარმოადგენდა. ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის აღმოჩნდა და მის გათხრას 1976 წლის კამპანიის შოელი სეზონი მოუწია. მისი გაწმენდა და საბოლოო სახემდე მიყვანა მხოლოდ 1978 წელს დამთავრდა (მცირე დაზუსტებები მერეც ხდებოდა).

თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ ბაზილიკის ტერიტორიაზე ცხოვრების ოთხ პერიოდს მაინც ვხვდებით. თუმცა არც ერთი პერიოდის ნაგებობა არაა მთლიანად შემორჩენილი.



სურ. 58. ნოქალაქევისა და ბიკინტის დარბაზული ეკლესიების გეგმები.

წლების განმავლობაში ექსპედიციის წევრების წინაშე თუ სხვა კოლეგებთან საუბარში იდგა საკითხი, თუ რას წარმოადგენდა ის ნახევარწრიული კედელი, რომელიც ბაზილიკის მრავალგვერდა აფსიდის გარედან ერტყმის. გასარკვევი იყო ეს ორი სხვადასხვა ფორმის კედელი ერთი და იგივე ნაგებობისა იყო თუ ორ შენობას ეკუთვნოდა. ძეგლის საბოლოო გაწმენდამ დაგვარწმუნა, რომ ის შენობა, რომელსაც ნახევარწრიული კედელი ეკუთვნის, მრავალგვერდაფსიდიან ეკლესიაზე აღრეა აგებული და მის ქვეშაა მოქცეული, მრავალ-

გალავნებით. ექსპედიციის თხოვნით რაიონის ხელმძღვანელობამ მოსახლეობას აუხსნა სასაფლაოს გადატანის აუცილებლობა, გახსნეს ახალი ადგილები და ყველამ თავისი მიცვალებული გადაასვენა.

გვერდა აფსიდასაგან წრიული აფსიდა სხვადასხვა მანძილითაა დაცილებული (ცენტრში თუ დაცილება ორი მეტრია, ბოლოებში — 1,4 მეტრი). როდესაც ამ ფაქტში დავრწმუნდით, დადგა საკითხი: თუ რას წარმოადგენდა ის შენობა, რომელსაც ეს ნახევარი წრე (აფსიდა) ეკუთვნოდა (სურ. 58-ა, 59; ტაბ. XLII-1, XLIII).

კედლის ნაშთის მიხედვით იმის თქმა შეიძლება, რომ ის დიდ ნაგებობას ეკუთვნოდა და პარალელურად მიმავალი კედლების აფსიდალურ დამთავრებას წარმოადგენდა. აფსიდის ირგვლივ გათხრებმა ახალი ვერაფერი მოგვცა. როგორც ჩანს, შენობა, რომელსაც ეს აფსიდა ეკუთვნის, ერთაფსიდიანი ნაგებობა იყო.

გვიანანტიკურ-აღრეფეოდალური ხანის საქართველოს ნაგებობებს თუ ვადავებდავთ, დავინახავთ, რომ აფსიდის მქონე და, თან ასეთი დიდი, მხოლოდ ეკლესია შეიძლება ყოფილიყო. ამ ეკლესიის სიგანე 11,3 მეტრია, ხოლო მისი სიგრძის დასადგენად არავითარი მონაცემები არა გვაქვს.

საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი და არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ნაგებობებიდან ანალოგიად შეიძლება მოვიშველიოთ ბიჰენტიის ერთი ნაგებობა, რომელსაც გამთხრელები „ცალნავიან ბაზილიკას“ უწოდებენ და IV საუკუნის პირველი მესამედით ათარილებენ³. ესაა დიდი ზომის ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით მთელი შენობის სიგანეზე (სამხრეთ სირიის ბაზილიკათა ტიპის), ისე როგორც ჩვენს შემთხვევაში. შიდა გადაწყვეტა იქაც არ ჩანს, მაგრამ რომ იგი ეკლესიაა, ეს ეჭვგარეშეა (სურ. 58-ბ).

ნოქალაქევის ეკლესიის კედლის სისქე 110 სანტიმეტრია, ხოლო კედლებს შორის მანძილი 11,3 მ. ბიჰენტიის ეკლესიის კედლების სისქე დაახლოებით 80 სანტიმეტრია, კედლებს შორის მანძილი კი 10 მეტრია.

ნოქალაქევის დიდი მალის გადახურვა ერთიანად ძნელი იქნებოდა. აქ შეიძლება ორი ვარიანტი წარმოვიდგინოთ: ერთი — ქვის კამარა და მეორე — ხით ჰორიზონტალური გადახურვა.

ქართველმა ოსტატმა კამარა უკვე რამდენიმე საუკუნით აღრე იცოდა⁴, მაგრამ ასეთ დიდ მალს მოერეოდა თუ არა, ძნელა სათქმელია, რადგან იმ ეპოქისათვის ასეთი გადაწყვეტის სხვა ნიმუში არა გვაქვს. ხოლო რაც შეეხება ხით კოჭოვან გადახურვას, ასეთი კონსტრუქცია საქართველოში ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. ამიტომ ამჯერად გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვი.

სამნავიანი ბაზილიკა, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებული აღმოჩნდა (სურ. 59, ტაბ. XLIII, XLIV-1), ამიტომ მისი გეგმის აღდგენა მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება. ზოგან კედლების მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი, ზოგან კი შათი სიმაღლე 1,8 მ აღწევს. განსაკუთრებით დაზიანებულია შიდა ნაწილი. დარჩენილის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ეკლესიის ტიპზე, ზომებზე, საშენ მასალაზე და სხვა ზოგიერთ მხარეზე, მაგრამ დეტალური განხილვა არ ხერხდება.


უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა სამნავიანი ბაზილიკა შვერილი აფსიდით (გარე ზომები: დასავლეთის კედლის სიგანე — 14,65.

აღმოსავლეთის კედლის სიგანე — 14,45, სიგრძე აფსიდამდე — 22,25, სიგრძე შვერილი აფსიდას — 26,60 მ). აფსიდა შეიძენი ღრმად და კარგად გამოვლენილი ნალისებრი მოხაზულობა აქვს. აფსიდის მომდევნო მოკლე კედელი

³ ი. ციციშვილი, ბიჰენტიის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, — დიდი პიტონური, № 2. 1977, გვ. 100, სურათი 16.

⁴ ვ. ბე რ ა ძ ე, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1974, გვ. 85.

სამხრეთით მცირედაა შემორჩენილი, ხოლო მოპირდაპირე ჩრდილოეთის კედლის ქვედა ნაწილი უკეთაა მოღწეული. შეიძლება აქ ბემა იყო. ბემა თავისთავად არაა დამახასიათებელი ადრეული ხანის ეკლესიისათვის, ამიტომ მის არსებობას პირობითად ვუშვებთ.



სურ. 59. ნოქალაქევი. სამნავიანი ბაზილიკის გვერდი.

როგორ უკავშირდებოდა ბაზილიკის ცენტრალური ნაეი გვერდით ნაეებს, შთლიანად არ ჩანს, მაგრამ დარჩენილი ფრაგმენტები იძლევიან მისი აღდგენის საშუალებას.

ცენტრალური ნაეის ჩრდილო მხარეს შემორჩენილია ბურჯის ძირი დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე (სურ. 59, ტაბ. XLII—1). მის აღმოსავლეთით კედლის კუთხე ჩანს. მოპირდაპირე სამხრეთის მხარეზე კი ბურჯის ნაშთი მხოლოდ მოინიშნება. იმავე სამხრეთის ხაზზე, დასავლეთით კიდევ ერთი ბურჯის ნაშთია. ჩრდილო ბურჯსა და მის აღმოსავლეთით მდებარე კედლის კუთხით შეიძლება დავადგინოთ ბურჯებს შორის მანძილი. თუ ჩრდილოეთის ხაზზე ამ მოდელს გავიმეორებთ, აქ ერთი ბურჯი კიდევ ეტევა და სამ თაღს მივიღებთ. ასეთივე გადაწყვეტა იქნებოდა სამხრეთის მხარესაც, თუ არსებულ ნაშთებს დავეყრდნობით.

რაც შეეხება შუა ნაეის დასავლეთის მხარეს, აქ შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთის კუთხის შიდა პირი. ამ შემთხვევაში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დასავლეთით ერთი განიერი თაღი. თუ აქ წარმოვიდგენთ ორ თაღს, ამის საშუალებას არ იძლევა ცენტრში დარჩენილი იატაკის კვალი, რადგან მათი სავრდენი სწორედ ამ ადგილას უნდა იყოს, ხოლო მისი ნაშთი იატაკზე არ ჩანს. სავარაუდოა აგრეთვე სამი თაღის არსებობაც. ურიგო არ იქნებოდა გვერდითი განიერი და მაღალი თაღების შეფარდება დასავლეთის ვიწრო და დაბალ თაღებთან. აზრი ცენტრში კარის არსებობისა ულოგიკოდ გვეჩვენება, რადგან, თუ ცენტრალური ნაეი გვერდებზე სამ-სამი თაღით იქნებოდა ღია, კარის ფუნქცია გაუგებარი რჩება. ბაზილიკის გეგმა შემდეგნაირია: — ცენტრალურ ნაეს ორი მხრიდან ნაეი ახლავს. ორივე ნაეი ერთნაირია. რადგან გვერდით ნაეებს დასავლეთით ნართექსის⁵ აერთებს. როგორც ეტყობა, შემდეგში ეს გადაწყვეტა შეუცვლიათ. ნართექსში ცენტრალური ნაეის გარე კედლების ხაზზე ჩაშენებული კედლების კვალი აღმოჩნდა. ეს კედლები კონსტრუქციულად არაა დაკავშირებული ეკლესიის პირვანდელ კედელთან (ეკლესიის შიდა კედლები საერთოდ და კერძოდ დასავლეთისა, შეღესილი ყოფილა. ბათქამის ნაშთი ჩაშენებული და უკვე მორღვეული კედლის უკან ახლაც კარგად ჩანს). ახალი კედლის ჩაშენებისას, არსებული იატაკი ოდნავ ჩაუღრმავებიათ.

ჩაშენებული კედლები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მაგრამ ეტყობა, რომ მათში გასასვლელები ყოფილა დატანებული, ეს კარგად ჩანს ჩრდილოეთის მხარეს. როგორც ეტყობა, დასავლეთის ნართექსის შექმნის შემდეგ ამ გასასვლელებით უკავშირდებოდნენ გვერდით ნაეებს.

დასავლეთის ფსაღის მთელ სიგრძეზე 2,5 მ სიგანის სათავსი მიუშენებიათ. ამ შინაშენის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი და კარის ადგილიც არ ჩანს. ეტყობა, ეს შინაშენი კარიბჭის როლს ასრულებდა (შინაშენის კედლების სისქე ეკლესიის კედლების ნახევარია. ისინი ერთმანეთთან კონსტრუქციულად არაა დაკავშირებული). შესაძლოა, ეკლესიის შიგნით დასავლეთის მონაკვეთის გამოყოფა მოხდა მაშინ, როდესაც ეს შინაშენი გაჩნდა.

ეკლესიის გვერდითი ნაეები დაუნაწევრებელი გრძელი სათავსებია. როგორც აღვნიშნეთ, ისინი სამ-სამი თაღით ცენტრალურ დარბაზს უერთდებიან. გარე კედლებიდან სამხრეთის კედელში დატანებული კარის ნაშთი კარგად

⁵ ნოქალაქევის ბაზილიკის დასავლეთ მონაკვეთს ჩვენ ნართექსს ვუწოდებთ, თუმცა იგი, ჩვეულებრივი ნართექსიდან განსხვავებით, ღიად უკავშირდება გვერდის ნაეებს.

ჩანს, ჩრდილო კედელი კი დაზიანებულია, მაგრამ ირკვევა, რომ მას ორი კარი ჰქონია. რა მიზნით ჰქონდა ტაძარს ჩრდილოეთის მხარეს ორი შესასვლელი, დღეს გაუგებარია, მაგრამ კარგად ჩანს, რომ მოგვიანებით ამ კარების საპირობა აღარ ყოფილა და ორივე ამოუქოლავეთ.

ბაზილიკის გვერდის ნაგები ბოლოებში სწორი კედლებით მთავრდება. ცხადია, ნაგებს განათებაც ექნებოდა, როგორც გრძივ, ისე მოკლე კედლებშიც, მაგრამ განათების წყაროთა ნაშთი არ შემორჩენილა.

ამ მხრივ აღრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათ უმრავლესობას მხოლოდ კედლების ძირები აქვთ შემორჩენილი. შედარებით უკეთაა მოღწეული ვანთიადის (ცანდრიანშის) ბაზილიკა, რომელსაც აღმოსავლეთითაც მთლიანად შემორჩენილი აქვს და გვერდებზეც აქვს საარკმლები. სფეიეთში გვერდითი ნაგების ორსართულიანობის გამო ანალოგიის გატარება ძნელდება.

დასავლეთის კარი ბევრად დიდია სამხრეთისაზე და მთავარი შესასვლელიც დასავლეთით ექნებოდა. ეს საერთოდ დამახასიათებელიცაა ბაზილიკებისათვის.

გვერდითი ნაგების გარე კედლებზე დარჩენილია სწორკუთხა საფეხური, რომელიც, ალბათ, ჩამოსაჯდომად იყო განკუთვნილი (ამავე დროს, ის კონსტრუქციულ დანიშნულებასაც ატარებდა, რადგან საძირკვლებს უერთდებოდა და სქელ ძირს ქმნიდა). საფეხური კედელთან ერთადაა შელესილი, რაც იმის ნიშანია, რომ იგი ინტერიერის ნაწილს წარმოადგენდა.

ტაძრის სამხრეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთში, დაბლა, მოთავსებულია კერამიკული მილი (ორი ღარიანი კრამიტია ერთმანეთზე დადებული), რომელიც გარეთა მხრიდან დახრილია. როგორც ეტყობა, ამ მილით ტაძრიდან გარეთ წყალი გადიოდა. ვფიქრობთ, ეს სანათლაგისათვის იქნებოდა საპირო. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ რადგან ეს ტაძარი აღრექრისტიანულ ხანას მიეკუთვნება, სანათლაგი შეიძლება თვით ბაზილიკაში იყო მოწყობილი.

აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკებიდან პირველი ბოლნისია (478—493 წწ.), სადაც სანათლაგი გამოყოფილი სათავსია⁶. ასე მკვეთრად გამოყოფილი სათავსი ქართულ ტაძრებში არც მანამდე და არც მერე არ გვხვდება. თუმცა ყველა სანათლაგი ეკლესიაშია, მაგრამ ხშირად იგი ქვაშია ამოკვეთილი და მისთვის მიჩნეულ ადგილზე დგას.

განსხვავებული შემთხვევა გვაქვს ბიჭვინტაში. ძეგლის შემსწავლელთა აზრით, იგი ეკუთვნის ერთ ადგილზე აგებულ ეკლესიათაგან მესამე ფენას, რომელსაც V საუკუნით ათარიღებენ. ბიჭვინტის დასავლეთის ნავის სამხრეთ ბოლოში აგებული იყო სპეციალური სანათლაგი. ფაქტობრივად, კვადრატული აუზი ჩაშენებულია იატაკში⁷. როგორც ეტყობა, ნოქალაქევის ტაძარშიც იყო ამგვარი რამ, მაგრამ სწორედ ამ ადგილზე შრავლად იყო ახალი საფლავები ჩაპრილი და თუკი აქ სანათლაგისათვის განკუთვნილი რაიმე ნაგებობა იყო, ალბათ, ამას შეეწირა.

ყურადღების ღირსია საკურთხეველის წინ, იატაკზე დაფენილი აგურის წყობა, რომელიც ძალზე დაზიანებულია. ცუდად დგინდება წყობის ხაზი. ერთგან შეიმჩნევა ოდნავი კვადრატული შემადლება. რა უნდა იყოს ეს, ზუს-

⁶ Чубинашвили Г. Н. Болнис, с. 1.

⁷ ა. ციციშვილი, ბიჭვინტის საეკლტო ნაგებობათა კომპლექსი. — დიდი პიტიუნტი. II, თბ., 1977, გვ. 100, სურ. 7, 9.

ტად არ დგინდება. ტრაპეზი არ არის იმიტომ, რომ არც ადგილია შესაფერისი და არც ცენტრალურ ღერძზეა, უფრო ჩრდილოეთითაა. რადგან იატაკის დონე სხვაგან არსად არაა დადგენილი, შეიძლება დავუშვათ, რომ ეს იატაკის წყობის ნაშთია.

ტაძრის დანგრევის შემდეგ აქ აუშენებიათ რაღაც კაპიტალური ნაგებობა, რომლის მცირე ნაშთი შემორჩენაზე სსსახლეზე ჩრდილოეთიდან მიშენებულ კედელს. კიბის ქვედა ფენის ნაპირების შესწავლამ გამოავლინა მოწითალო ფერის, სქელი, კარგად გალესილი იატაკი (კირის ხსნარში არეული დანაყილი აგური). იატაკის ხსნარი მტკიცეა და სწორხაზოვნად ნაფენი. ამ ნაგებობის არც გვემა და არც დანიშნულება დგინდება.

ტაძრის ფასადებზე ძალზე ცოტა რამის თქმა შეგვიძლია. კედლები შიგნიდან საშუალო ზომის ქვითაა ნაგები. აფსიდის მხარეს და კუთხეებში გამოყენებული ქვა უკეთაა დამუშავებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნატეხი ქვის ზედაპირი მოსწორებულია, ქვის გვერდები კი მხოლოდ ზოგანაა დამუშავებული. აგური ნახშირია როგორც შიგნით, ისე გარეთ არა ჰორიზონტალური ხაზის სახით, არამედ უსისტემოდ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიის შიგნით იატაკი არაა აშკარად გამოვლენილი. შეიძლება იატაკის ნაშთად შიგნითაა აფსიდის ირგვლივ 10—30 სმ-ზე შემორჩენილი კირის ხსნარის მკვერივი დუღაბის ზოლი. თუმცა მას პირი შორდებული აქვს, ერთიან ზოლად არ იკითხება, მაინც ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი საეკლესიო იატაკის ნაშთი უნდა იყოს, დარბაზის იატაკი კი ერთი საფეხურით დაბლა იქნებოდა.

ეკლესიის ნაგებში იატაკის კვალი არსად არ შეინიშნება. ვფიქრობთ, აქაც კირის დუღაბით იყო მოსხმული და იმიტომ არ შემორჩა, ქვის რომ ყოფილიყო, სადაც პატარა ფრაგმენტი მაინც გადარჩებოდა.

ცენტრალური ნავის გვერდითი ნაგებიდან გამომყოფ კედლების ზოლში, სვეტების ირგვლივ, თითქოს იატაკი შეიმჩნევა, მაგრამ დარწმუნებით მაინც ძნელია რაიმეს თქმა. მიუხედავად ამისა, არსებული კედლების მიხედვით შეიძლება დაახლოებით აღვადგინოთ იატაკის დონე. ამის საშუალებას იძლევა ჩრდილოეთით შედარებით უკეთ შემორჩენილი სვეტის ძირი, რომლის ორივე მხარეზე ჰორიზონტალური წყობაა დარჩენილი. სწორედ ეს უნდა იყოს იატაკის ფრაგმენტი. აქ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სვეტებს შორის გამავალი იატაკის დონე ნაგების იატაკის დონეზე 10—15 სმ-ით მაღალი იყო.

ბაზილიკის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების აღმოსავლეთ მონაკვეთზე, სამხრეთით დაშენებულია სსსახლე და ჩრდილოეთით ახალი ეკლესია. გათხრების დროს ვცადეთ შემდგომში დაშენებული ნაგებობის ქვეშ თავისუფალი მისადგომების გამოყენება. გაიჩვენა, რომ ბაზილიკას სწორედ ამ აღმოსავლეთ ნაწილში ორივე გარე კედლებზე აქვს შვერილები. ეს კედლები სისქით ისეთივეა, როგორც ბაზილიკისა, შვერილები ერთ მეტრამდეა. აღრეფოდალურ და სხვა დროის ბაზილიკებში ასეთი შვერილები არ გვხვდება. ერთადერთი ძეგლი, რომელსაც ნაგების გარე კედლებზე ასეთი შვერილები აქვს, არის სეფიეთის ბაზილიკა, სეფიეთის ეს შვერილებიც მოკლეა და 70 სანტიმეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ამ შვერილების დანიშნულების პირდაპირი ახსნა მათი ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება. ვვარაუდობთ, რომ ესენი კონტრაფორსები უნდა იყოს. ნაგებობის ამ ადგილას, სადაც აფსიდის კონქისა და ნაგების კამარები ერთ-

დებოდა, ისინი დიდი გამრჩენი ძალების გასაწონასწორებლად უნდა ყოფილიყო აგებული.

ნოქალაქების ბაზილიკის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზის დაწყებისთანავე უნდა ითქვას, რომ შენობის დაზიანების გამო შეუძლებელია არა მარტო მისი მთლიანად წარმოდგენა, არამედ გეგმის სრულყოფილად აღდგენაც. იმ ფრაგმენტების დახმარებით რაც შემორჩენილია, საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ მხოლოდ მისი შიდა და გარე კედლების მოხაზულობა.

ბაზილიკის განხილვისას, ერთ განსაკუთრებულ გარემოებასთან გვაქვს საქმე. იგი გვემით მცირედ ტრაპეციულია. აღმოსავლეთის მხარეს დასავლეთისა სიგანით 20 სმ-ით სწარბობს, ეს, ალბათ, უფრო შშენებლობის ხარვეზი უნდა იყოს, ვიდრე ინდივიდუალური გადაწყვეტა.

ნოქალაქების სამნავიანი ბაზილიკის ძირითადი ვანმასხვაებელი ნიშნებია: შვერილაფსიდიანობა და მისი ნაგებობის არაერთნაირი სიგრძე. შვერილაფსიდიანობა დამახასიათებელია ე. წ. ელინისტური ბაზილიკისათვის, როდესაც მას გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის წინა აზიისა და მაშინდელი საქრისტიანოს სხვა ქვეყნებშიც ვხვდებით. ასევე, იგი დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის. აქ აღმოჩენილი ათი ბაზილიკიდან აფსიდა ყველგან შვერილია (ასევე შვერილაფსიდიანი უნდა ყოფილიყო ცაიშის ბაზილიკა, რომლის ნანგრევები გვიანდელი ეკლესიის კედლებშია ჩატანებული). ცაიშის ტაძრის განხილვისას ნათქვამია, რომ შვერილი აფსიდა დასავლეთ საქართველოში, მომდევნო პერიოდისათვისაც, კერძოდ შუა ფეოდალური ხანისთვისაც, არ არის უცხო⁸. ასეთ აფსიდებს ვხვდებით ისეთ ძეგლებში, როგორცია გელათი, ხობი, წალენჯიხა.

შვერილი აფსიდები არ არის ერთნაირი, გვხვდება წახნაგოვანი და ცილინდრული. ნოქალაქების ბაზილიკა წახნაგოვანია და იმავე ფორმას იმეორებს დასავლეთ საქართველოს ძეგლების დიდი უმრავლესობა (იქვე მდგარი „ორმოცმოწამეთას“ ტაძარი, ვანსარი⁹, ციხისძირი¹⁰, განთიადი¹¹ და ბიჭვინტაში გათხრილი ოთხი ტაძრიდან — სამი¹²), ნახევარწრიული აფსიდა მხოლოდ სეფიეთშია. შვერილი აფსიდების წარმოშობისა და გავრცელების საკითხი განხილული აქვს გ. ჩუბინაშვილს. მან აღნიშნა საქართველოში სად და რა დროსაა: ეს ფორმა გავრცელებული და რამდენ ხანს იყენებდა მას ქართველი ოსტატი. სირიაში ასეთი ფორმა ერთეულების სახით თუ გვხვდება, მაშინდელი წინა აზიის ქვეყნებისათვის კი დამახასიათებელია¹³.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ასეთი ფორმის გარეა აფხაზეთსა და სამეგრელოში, შესაძლოა, ყველაზე მეტად დავუკავშიროთ შუა საუკუნეების ბიზანტიის გარკვეულ გავლენას¹⁴.

⁸ ჯ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1951, გვ. 51.

⁹ Леквинадзе В. А. Материалы по монументальному строительству в Лазике. — საქართველოს სახ. მუზეუმის შიგნით, ტ. XXII-В. 1961, სურ. 9, 10

¹⁰ Леквинадзе В. А. О постройках Юстиниана в Западной Грузии. — Византийский временник, т. 34, 1973, с. 4, 5; Хрушкова Л. Г. Цандриш, Сухумь, 1985, с. 16—60.

¹¹ Леквинадзе В. А. მუზ. შიგნით, XXII-В, სურ. 9.

¹² ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 2.

¹³ Чубинашвили Г. Н. Болнис, с. 127.

¹⁴ Чубинашвили Г. Н. Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959, с. 84.

როგორც აღვნიშნეთ, შვერილი აფსიდა დასავლეთ საქართველოსათვის დაშახასიათებელია, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოშიც წარმატებით გამოიყენებოდა. ამ რეგიონის ბაზილიკებიდან შვერილი აფსიდა აქვს ქართლში ბოლნისისა და აკაურთას სამნავიან ბაზილიკებს, კახეთში ბოდბეს¹⁵, სანაგირეს¹⁶. (ვაზისუბანთან), ერწოს სიონსა¹⁷ და სხვ. ამ ჭკუფებიდან მხოლოდ ერწოს აქვს წახნაგოვანი აფსიდა, დანარჩენი ყველა ნახევარწრიულია¹⁸.

დასავლეთ საქართველოს წახნაგოვანი ბაზილიკებიც არ არის ერთგვაროვანი, თუმცა ყველა ხუთგვერდაა, მაგრამ ზოგს განაპირა გვერდები პარალელური აქვს, ზოგს კი — შიგნიდან დაქანებული. ნოქალაქევის ბაზილიკა შიგნიდან დაქანებული წახნაგებითაა. მისი ანალოგიურია ციხისძირის¹⁹, ვაშნარისა²⁰, მხოლოდ ციხისძირის განაპირა წახნაგები ოდნავი დაქანებითაა, ხოლო ვაშნარისა, რსევე როგორც ნოქალაქევის, უფრო შესამჩნევად. ასევეა განთიადში. რაც შეეხება „ორმოცმოწამეთას“ და ბიქვინტისას (მესამე სამშენებლო ფენა), მათ პარალელური გვერდითი წახნაგები აქვთ. სულ სხვა სურათია ბიქვინტის მოზაიკიან ბაზილიკაში, რომელზედაც შვერილაფსიდიანი არც ითქმის, რადგან მისი მთელი აღმოსავლეთი მხარე, გარე კედლების სიგანეზე, უწესოდ ტეზილია²¹.

ნოქალაქევის ტაძრის აფსიდის შიდა მოხაზულობა აშკარად ნალისებრია. თუმცა მისი კუთხეები დაზიანებულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ნალის დასაწყისი ოდნავ გამოყოფილია.

დასავლეთ საქართველოს ტაძრებიდან მკვეთრად გამოვლენილი ნალისებრი აფსიდა აქვს ციხისძირს, რომელსაც მისი გამოცემა ვ. ლეკვინაძე VI საუკუნის მეორე მეოთხედით ათარიღებს²². ასევე ოდნავ შესამჩნევი ნალისებურობა ახასიათებს „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის აფსიდას. იგი, გ. ჩუბინაშვილის აზრით, აგებულია V ს. მეორე ნახევარში, ან ბოლოს²³; არის კიდევ ბიქვინტის მოზაიკიანი ეკლესიისათვის დასავლეთით მიდგმული მეოთხე ეკლესია; ამ ეკლესიას ხუთგვერდა შვერილი აფსიდა აქვს და შიგნიდან მკვეთრად გამო-

15 იქვე, გვ. 83.

16 იხ. იქვე, გვ. 123.

17 ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955, გვ. 49, ტაბ. XVII—1.

18 გარდა ამისა, შვერილი აფსიდა გვხვდება სხვა ტიპის ძეგლებშიაც. აღსანიშნავია ქვეშო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა, ეფიქრობთ, რომ XIII ს. ბოლოს აგებულ თბილისის მეტეხის სამი შვერილი აფსიდაც აღრინდელი ხანის ეკლესიის ნაშთი უნდა იყოს (ვ. ბერიძე, თბილისი, მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, სურ. 1).

19 Леквинадзе В. А. О постройках... т. 34, 1973, гв. 169, სურ. 5.

20 Леквинадзе В. А. Материалы по монументальному строительству в Лавнике—საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII, 1961, გვ. 137, სურ. 9, 10.

21 ი. ციციშვილი, ბიქვინტის საკულტო ნაგებობათა კორპუსი. — დიდი პიტიუნტი, .11, 1977, გვ. 83, სურ. 9.

22 Леквинадзе В. А. О постройках..., т. 34, 1963, с. 178—179.

23 Чубинашвили Г. Н., К вопросу о Нокалаквин, с. 93, 103.

ხატული ნალისებურია. ეკლესიის გამომცემი ი. ციციშვილი მას VI საუკუნის პირველი მესამედით ათარიღებს²⁴.

ნალისებრი აფსიდების გამოყენების მხრივ დაახლოებით ასეთივე სურათია აღმოსავლეთ საქართველოშიც. ის გვხვდება უკვე IV საუკუნიდან (ნეკრესი²⁵, ზეგანი²⁶ და სხვ.). კახეთში ამ ფორმას დიდი გამოყენება აქვს V—VI საუკუნეებში. ასეთი ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ მატანის ცხრაკარა²⁷, კაწარეთის სამება²⁸, ნატკორა²⁹, ნათლისმცემელი³⁰, ხირსა³¹ და სხვ.

ასეთივე სურათია იმდროინდელ ქართლში. რიგით ძეგლებთან ერთად ნალისებრი აფსიდის დახვეწილ სახეს ვხედავთ ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებში, როგორცაა ბოლნისი³², ურბნისი³³, ანჩისხატი და სხვ. შესანიშნავი ნალისებური თალი აქვს აგრეთვე ჭავჭავთის წყაროსთავის³⁴ ეკლესიას. ამ ეკლესიებს გ. ჩუბინაშვილი V ს. ბოლოთი ან VI ს. დასაწყისით ათარიღებს.

როგორც დავინახეთ, საქართველოში ნალისებრი აფსიდისა და საერთოდ ნალისებრი თალის გავრცელების ყველაზე ინტენსიური პერიოდია V—VI საუკუნეებო, თუმცა იგი კიდევ დიდხანს გამოიყენებოდა და იშვიათად IX—X საუკუნეებშიც გვხვდება. დაახლოებით ასეთივე განვითარების გზა აქვს მას სომხეთშიც³⁵.

ძალზე საინტერესოა, რომ ელინისტური ბაზილიკისათვის არაა დამახასიათებელი ნალისებრი ფორმა, თუმცა მაშინდელი წინა აზიის ქვეყნებში ასეთ ფორმასაც ვხვდებით.

როდესაც თალის ნალისებრ ფორმაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ნალისებრი მოხაზულობა თავის „კლასიკურ“ სახეს მხოლოდ V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისში აღწევს (ბოლნისი, ურბნისი, წყაროსთავი), ნოქალაქევის ბაზილიკაში კი ეს ფორმა არ არის სრულყოფილი, რაც შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ განსახილველი ბაზილიკა ზემოჩამოთვლილ ძეგლებზე აღრეა აგებული.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველი ბაზილიკის შიდა ვადაწყვეტა, მისი დაზიანების გამო, ბოლომდე ნათელი არ არის, მაგრამ ძირითადი სახის დადგენა მაინც ხერხდება. ესაა სამნავიანი ბაზილიკა დასავლეთის ნართექსით.

როგორც უკვე ვთქვით, მის მასათა გადაწყვეტა, შიდა სივრცის კომპოზიცია წარმოგვიდგება მხოლოდ მიახლოებით. ვერც გადახურვისა და განათების სისტემა ირკვევა და ანალოგიებსაც მოკლებულნი ვართ, რადგან სხვა ზემოთ

²⁴ ი. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, — დიდი პიტიუნტო, II, 1977, გვ. 101, სურ. 5, 6, 10.

²⁵ Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетия, Тб., 1959, с. 40—44.

²⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 31, სურ. 10—11.

²⁷ Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, с. 49.

²⁸ იქვე, გვ. 56—58.

²⁹ იქვე, გვ. 66.

³⁰ იქვე, გვ. 68.

³¹ იქვე, გვ. 70.

³² Чубинашвили Г. Н., Болниси. სურ. 4, 8, 9.

³³ ჰ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, სურ. 58, 60.

³⁴ Северов Н. Л., Памятники грузинского зодчества, М., 1947, სურ. 67.

³⁵ Тохарский Н. М. Архитектура Армении IV—XIV вв. Ереван, 1961.

ჩამოთვლილი დასავლეთ საქართველოს მსგავსი ბაზილიკები ჩვენამდე ფაქტობრივად უკედლებოდაა მოღწეული, გარდა სეფიეთისა, მაგრამ მისი გვერდითი ნაგებობები ორსართულიანია და ფასადებიც ძალზე გადაკეთებული, ამიტომ მას ანალოგიად ვერ მოვიშველებთ.

თუ შემორჩენილი ფრაგმენტებით ვიმსჯელებთ, ძველი ეგრისის ტერიტორიაზე მდებარე ბაზილიკებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ. უპირველესად უნდა აღინიშნოს მათი სამნავიანიობა. სამნავიანია იმ ეპოქის დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა აბსოლუტური უმრავლესობა, კერძოდ ბიჭვინტა (მე-სამე სამშენებლო ფენა), ციხისძირი, განთიადი, სეფიეთი, ნოქალაქევის მეორე ბაზილიკა და ვაშნარი. მათი ერთი ნაწილი ნართექსიტაა, ხოლო დანარჩენი — მის გარეშე. მაგრამ თვით ნართექსიტის მოწყობაშიც განსხვავებაა. მაგალითად, ბიჭვინტაში და ციხისძირში ჩვეულებრივი ნართექსიტაა, ე. ი. კარებით გამოყოფილია სამივე ნაწილიდან, ხოლო ვაშნარისა და ნოქალაქევის ორივე ბაზილიკაში არაა გამოყოფილი, არამედ ნაგებობის ერთად ერთიან სივრცეს ქმნის.

დასავლეთ საქართველოს დღემდე ცნობილი ბაზილიკებიდან, ნოქალაქევის განსახილველ ბაზილიკას პროპორციებით საერთო მხოლოდ ბიჭვინტისა და ციხისძირის ძეგლებთან აქვს. ეს სამი ძეგლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე გრძელდება, ბაზილიკურია, თუმცა ნოქალაქევი სიგრძე-სიგანის შეფარდება ერთმანეთთან უფრო ახლოსაა, ვიდრე დანარჩენ ორში (სურ. 66).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს დღემდე ცნობილ შვიდ ბაზილიკაში ამ მხრივ არ არის ერთგვარობა. ამის უფრო ნათლად წარმოსადგენად მოგვყავს მათი ზომები და პროპორციები (იხ. ცხრილი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შვიდი ბაზილიკიდან მხოლოდ სამია ისეთი, რომელთა სიგრძე სიგანეს შესამჩნევად აღემატება. ასეთებია: ნოქალაქევის პირველი ბაზილიკა, ციხისძირი და ბიჭვინტა. სეფიეთისა და განთიადის ძეგლებში ეს განსხვავება ძალზე მცირეა. ამთავან სეფიეთში სიგანე სწარბობს სიგრძეს (სამივე შემთხვევაში სიგრძე შევირამაღდა ნაგულისხმევი). ვაშნარში სიგრძე-სიგანე თითქმის ტოლია. არის კიდევ ერთი ძეგლი, სადაც სიგრძე სიგანეს მცირედ სწარბობს. ესაა ნოქალაქევის მეორე ბაზილიკა.

ნოქალაქევის ბაზილიკა შიდა გადაწყვეტით ანალოგიას პოულობს მხოლოდ ვაშნარის ბაზილიკასთან. ორივეგან ცენტრალურ ნაწილში სამი მხრიდან ნაგებობები უკლის, გვერდითი ნაგებობები დასავლეთის ნაწილშია შეერთებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ისეთივე გადაწყვეტა ჰქონდა ნოქალაქევის მომდევნო პერიოდის ბაზილიკასაც, მაგრამ რადგან ეს „დასაშვების“ ფარგლებს არ სცილდება, ამიტომ მას ანალოგიად ვერ გამოვიყენებთ.

ბაზილიკის ეს ტიპი გავრცელებული არ არის. ვაშნარის გამოცემული გეგმის წარმოდგენისას არავითარ შენიშვნას არ აქვთებს. გათხრის შემდეგ ამ აღზღილას ადმინისტრაციული შენობები დადგეს და ძველი დაიღუპა. გამოცემული გეგმის მიხედვით ცენტრალური ნაწილი გვერდით ნაგებობებს სამ-სამ სვეტზე დაყრდნობილი ოთხ-ოთხი თალით უერთდება. დასავლეთით სამი თალია ნაჩვენები.

ნოქალაქევის ბაზილიკის ნაშთების მიხედვით ჩვენ აღვადგინეთ ნაწილი გვერდებზე სამ-სამი თალი, რაც შეეხება დასავლეთის მხარეს, აქ მთელ სიგანეზე ერთი მთლიანი თალი რომ იყოს, იგი ძალიან მაღალი გამოვა და გვერდით თალებთან მკვეთრ განსხვავებას მოგვცემს, რაც ინტერიერის ჰარმონიას აშკარად დაარღვევს. ამიტომ, იმავე მცირე ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, დასავლეთით სამ თალს ვაქვებთ.

ძველების დასახელება	ექვლის ს- განი	ექვლის ს- სივრცე შე- რიკ აფს- ლაში	ექვლის ს- სივრცე აფს- ლაში	ექვლის ს- სივრცე აფს- ლაში	მთლიანი ს- განის და სივ- რცის შეფარ- დება
1. ნოქალაქევის ძველი ბაზილიკა, I	14,6	22,35	26,60	1:1,53	1:1,8
2. ნოქალაქევის ახალი ბაზილიკა, II	12,0	14,5	17,9	1:1,2	1:1,5
3. ციხისძირი	17,8	33,0	33,0	1:1,5	1:1,8
4. მიქეინტა	13,6	23,9	28,3	1:1,8	1:2,08
5. ვაშნარი	16,5	16,2	21,2	1:0,98	1:1,3
6. სეფიეთი	12,4	10,5	14,7	1:0,85	1:1,2
7. განთიადი	15,3	14,2	20,1	1:0,93	1:1,3

რაც შეეხება ბაზილიკის ინტერიერის მორთულობას, იგი შესაძლებელია არც იყო. ერთადერთი ბურჯის ძირს, რომელიც ჩრდილოეთითაა დარჩენილი, ზანისი არა აქვს, იგი პირდაპირ იატაკზე დგას, კაპიტელების ფრაგმენტებიც არ აღმოჩნდა³⁶.

ნოქალაქევის ბაზილიკის ბურჯის კვეთი კვადრატულია, მსგავსად ყველა იმ ძეგლის სვეტებისა, რომლებიც კი ძველი ეგვიპტის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

ამ მხრივ სრულიად სხვა სურათი გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს იმავე ეპოქის ბაზილიკებში. მაგალითად, V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა ბოლნისი, ურბნისი, ანჩისხატი და ნადგორნა³⁷. ბურჯების გეგმები ჯერის ფორმისაა. დაახლოებით იმავე პერიოდის სხვა ძეგლებში, როგორიცაა შუამთა³⁸, ხირსა³⁹, ახმეტის „ღვთაება“⁴⁰, ვაზისუბანი⁴¹, ბოდბე⁴² და კიდევ რამდენიმე სხვა, გამოყენებულია მოგრძო საყრდენი, ცენტრალური ნაგებობის გამოშვებული პილასტრით (ამ პილასტრის საფეხურების რაოდენობა ადრეფეოდალური ხანის ბოლოს იზრდება). ამავე პერიოდში საყრდენის მესამე ფორმასაც იყენებენ. ესაა გვერდითი მარტივი, მოგრძო სწორკუთხედი. ასეთი ძეგლებია: მატანის „ცხრაქარა“⁴³, კაწარეთის „სამება“⁴⁴, კონდოლი⁴⁵ და სხვ.

როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკებში საყრდენების ფორმის მრავალგვარობაა. რაც შეეხება სწორკუთხა საყრდენებს, რომელთაც არავითარი შვერილები არა აქვთ, ესეც მიღებული ფორმაა⁴⁶.

ნოქალაქევის ძველ ბაზილიკას მარტივი ერთნაწილიანი საკურთხეველი აქვს. პასტოფორიები გამოყოფილი არ არის. გვერდის ნაწილები აღმოსავლეთით

³⁶ ბაზილიკის ნანგრევებზე დადგმულ სასახლეზე კიბის წყობაში ერთგან კარგად დამუშავებული პროფილირებული ქვის თხუთმეტოდე სანტიმეტრის სიღრმის ფრაგმენტი ნაპოვნი. ვგარაუდობთ, რომ იგი კანკელის ფრაგმენტი, მაგრამ რომელი ეკლესიისა, დაუდგენელია.

³⁷ Ч у б и н а ш в и л и Г. Н. Архитектура Кахетии, с. 66.

³⁸ იქვე, გვ. 46.

³⁹ იქვე, გვ. 50.

⁴⁰ იქვე, გვ. 73.

⁴¹ იქვე, გვ. 81.

⁴² იქვე, გვ. 84.

⁴³ იქვე, გვ. 49.

⁴⁴ იქვე, გვ. 56.

⁴⁵ იქვე, გვ. 68.

⁴⁶ Р ч е у л и ш в и л и Л. Д. По поводу интерпретации архитектурных памятников как исторических документов.—მატე, № 4, 1975, გვ. 188—189.

სწორი კუთხით მთავრდება. დასავლეთ საქართველოს დღემდე აღმოჩენილ ბაზილიკებში. ძირითადად ასეთი გადაწყვეტაა. განსხვავებულია ნოქალაქევის იქვე მდგარი მეორე ბაზილიკა და განთიადის ბაზილიკა. ნოქალაქევის ბაზილიკის მრავალმხრივი გადაკეთების მიუხედავად, აშკარაა, რომ აქ, სამხრეთის კუთხეში რაღაც სათავსი იყო გამოყოფილი.

განთიადის ბაზილიკის გვერდითი ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილები სივანით გამოყოფილი კი არის, მაგრამ ისე გარკვევით არა, რომ მათ სათავსები ეწოდოს. თუმცა ძეგლის გამომცემი ვ. ლევეინაძე მას ასე მიიჩნევს⁴⁷, რაც საეკვოა, რადგან ჩვეულებრივ აქ დახურული, კარიანი სათავსები იგულისხმება, განთიადში კი ეს სათავსები გვერდის ნაგებობისგან იმითაა გამოყოფილი, რომ გარე კედლები გარეთ მცირედაა გაწეული. ცენტრალური ნაწიის მხრიდან კი იგი სვეტების საერთო მწკრივშია მოთავსებული.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ეკლესიაში მღვდელმსახურებისათვის საჭირო ყველა სათავსი თავიდანვე კი არ იყო, არამედ საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ეს ეხება საკურთხევის გვერდით სათავსებსაც. ბოლნისის ტაძრის განხილვისას გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოსა და სომხეთში გვერდითი სათავსების გამოყოფა შედარებით ადრე შეიმჩნევა, მაგრამ აუცილებელი და მყარი მხოლოდ VI საუკუნეში ხდება⁴⁸. დასავლეთ საქართველოში თუ ასეთი გადაწყვეტის უშუალო მაგალითი არ გვაქვს, იგი მრავლადაა აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთ მაგალითებს იძლევა ის ძეგლები, რომლებიც აგებულია ბოლნისის (493 წ.) შემდეგ. ასეთი ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ურბნისი⁴⁹, ანჩისხატო⁵⁰, ვახისუბანი⁵¹ და სხვ. ამ ანალოგიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნოქალაქევის ბაზილიკა ამჟამად ბოლნისზე გვიან არაა აგებული.

თუ თვალს გადავავლებთ ადრექრისტიანული ხანის სირიის სამნავიან ბაზილიკებს, დაინახავთ, რომ იქ V საუკუნიდან გვერდითი სათავსები ჩვეულებრივია, ზოგ რეგიონში ადრეც გვხვდება. მცირე აზიის იმ სანაპირო ზოლში, რომელიც ელინისმის გალაენის სფეროს წარმოადგენდა, გვერდითი სათავსები უკვე V ს. გვხვდება⁵².

ნოქალაქევის ბაზილიკის თარიღზე გვერდითი სათავსების მიხედვით ქართული და უცხოური ანალოგიებით თუ ვიმსჯელებთ, იგი V საუკუნეს არ გასცდება. უფრო ზუსტად იგი V ს. მეორე ნახევრისაც კი არ არის. მისი აგების დროდ მიგვაჩნია V ს. შუა ხანები. ამ თარიღის ზემომოყვანილ ანალიზს ემატება და ადასტურებს ისეთი ნიშნებიც, როგორცაა გეგმის დაუხვეწელობა (ტრაპეციულობა), სვეტების სიმარტივე, მორთულობის უქონლობა და სხვ. ყველაფერ ამასთან ერთად კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ ამ ბაზილიკის ნანგრევებზე VI ს. დასაწყისშივე დადგმულია ახალი სამნავიანი ბაზილიკა („ორმოცმოწამეთა“) და მეფეთა სასახლე.

განსხვავებული ძეგლის დათარიღების საკითხში დაგვეხმარებოდა არქეოლოგიური მასალა, მაგრამ იგი ძალიან ცოტა იყო და ისიც ნაკლებად შეტყველი

47 Лехвинадзе В. А., О постройках..., 34, с. 184—185.

48 Чубинашвили Г. Н., Болнис, с. 126.

49 პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, სურ. 64.

50 იქვე.

51 Чубинашвили Г. А., Архитектура Кахетии, с. 81.


52 Чубинашвили Г. Н., Болнис, с. 125.

(მათი საერთო თარიღი IV—VII საუკუნეებია). ასევე, ისტორიული წყაროების გამოყენება ამ კონკრეტული საკითხისათვის არ ხერხდება.

როგორც ეტყობა, ბაზილიკას დიდიხანს არ უარსებია. დაახლოებით მისი მოქმედების ზანგრძლივობა ნახევარ საუკუნეს არ უნდა აღემატებოდეს. დანგრევის შემდეგ მისი აღდგენა შეუძლებელი გამხდარა და რადგანაც დედაქალაქს ტაძარი სჭირდებოდა, მის ჩრდილოეთით აუცილებლად ახალი, ძველზე თითქმის ერთი მესამედით პატარა ეკლესია. როგორც ეტყობა, დიდი ტაძრის აგების შესაძლებლობა იმ პერიოდში აღარ იყო.

ბ. მეორე ბაზილიკა („ორმოცმოწამეთა“ ეკლესია)

ნოქალაქევის მეორე ბაზილიკა ძველი ბაზილიკის ჩრდილოეთით დგას და მისი კარიბჭე ნაწილობრივ ძველი ბაზილიკის ჩრდილო კედელზეა მიბჯენილი. „ორმოცმოწამეთა“ ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული და ამჟამად გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. იმის გამო, რომ ძნელდება ყველა სამშენებლო ფენის გამოჩენა, ჯერ აღვწერთ არსებულს და შემდეგ შევეცდებით მისი ფენების ქრონოლოგიურ გამოჩენას.



სურ. 60. ნოქალაქევი. „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის პირველი სართულის გეგმა.

ტაძარი თავდაპირველად საქნაეიანი პაზილიკა ყოფილა შვეიცრული ზღო-
წახნავა აფსიდით, დღეს მის ინტერიერში შეინჩნევა როგორც ბაზილიკის, ისე
გუმბათოვანი ტაძრის ელემენტები (სურ. 60—63, ტაბ. XI, XII).

ტაძრის მოავარ ნაწილს წარმოადგენს ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც
აღმოსავლეთით ოდნავ შესაძინევი ნალისებური მოხაზულობის საკრთხეველს
აფსიდით მთავრდება. საკურთხეველს სიმეტრიულად განლაგებული სანი სარ-
კმელი აქვს. ისინი თავდაპირველად განივრები ყოფილან, შემდევ კი დაუწვრო-
ლებიათ. ამჟარად ჩანს გადაკეთების კვალი.

გუმბათი ცენტრალური დარბაზის ცენტრშია აღმართული და რკი გრძივ
მხარეზე კედლებს ეყრდნობა, ხოლო მოკლე მხარეებზე — განივრ სარკვენ
თალებს. კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა აფრული წესით ხდება, მარამ
აფრა არაა მკვეთრად გამოხატული. გუმბათის ყელი დაბალია, ხოლო ყელის
საწყისი გამოყოფილი არაა. მის კედლებში ოთხი სარკმელია გაჭრილი. გუმ-
ბათის სფერო უშუალოდ სარკმელთა თაღის დონეზე იწყება. თვით გუმბათი
უფორმოა და ზედპირიცი უსწორმასწორო აქვს. გუმბათქვეშა თაღების დონეზე
გვერდის კედლებში თითო განიერი და მაღალი სარკმელია გაჭრილი. იმვე
დონეზე დასავლეთითაც არის სარკმელი. რომელიც, ამთავან განსხვავებით,
დაბალი და განიერია. ეს სარკმელი დამაკავშირებელი დიობია დასავლეთით
მეორე სართულზე არსებულ სათავსთან.

ტაძრის ცენტრალური დარბაზი ქვედა პორიზონტის გრძივ მხარეებზე
თითქმის ერთნაირადაა გადაწყვეტილი. სამხრეთის მხარეს სამი თალია. პირვე-
ლი, აღმოსავლეთით მდებარე, გვერდით სათავსში შესასვლელს წარმოადგენს.
მომდევნო თალი — ოდნავ განიერი და მაღალი — ცენტრალურ ნავს გვერდით
ნავთან აკავშირებს. მესამე — შესამჩნევად განიერია, იგი აღნიშნული ორი ნავის
ძირითადი დამაკავშირებელია.



მოპირდაპირე ჩრდილოეთის მხარეს არსებული ორი თალი იმეორებს ს-
მხრეთის თაღების ნიშნებს, ხოლო აფსიდისთან ახლოს მდებარე განსხვავებუ-
ლია. საქმე ისაა, რომ აფსიდისგან სამხრეთით მდებარე თალი თავდაპირველია
(სურ. 62). მისი ფორმები ზუსტადაა გამოყვანილი, ხოლო ჩრდილოეთისა გვი-
ნაა გაჭრილი და მისი კედლები და გადახურვა უსწორმასწორო ზედპირით
ზასიათდება. ამ კედლის გაჭრა დაკავშირებულია ჩრდილოეთის ნავის მაგივრად
ახალი სამლოცველოს გაჩენასთან.

ცენტრალური დარბაზი დასავლეთის ნართექსს ერთი განიერი თალით
უერთდება, რომელიც ცოტათი ვიწროა გვერდით დიდ თაღზე. აქვე უნდა
აღნიშნოთ, რომ ცენტრალურ ნავში შემავალი ყველა თალი ნახევარწრიული
მოხაზულობისაა. ეკლესიის გვერდითი ნაეები მრავალჯერაა გადაკეთებული და
ეს გადაკეთებები სხვადასხვა ხახიათს ატარებს.

შედარებით მარტივია სამხრეთი ნაწილის დღევანდელი მდგომარეობა. იგი
ორი ნაწილისაგან შედგება: აღმოსავლეთით ცალკე სათავსია, ხოლო დასავლე-
თით — ნავი. სათავსი რამდენჯერმეა გადაკეთებული. გეგმით იგი სწორკუთხაა
და გვერდით ნაეზე საკმარდ დაბალია. მისი კამაროვანი გადახურვის ღერძი
ეკლესიის ნაეების ღერძებთან საპირისპიროდაა მიმართული. მას ამჟამად ორი
კარი აქვს. ერთი, თავდაპირველი, ჩრდილოეთისა (რომელზედაც უკვე გმქონდა
საუბარი), მეორე — დასავლეთისა, უხეშად გაჭრილი, ამ სათავსს სამხრეთის
ნავთან აერთებს. სათავსის სამხრეთის კედელი გვიანაა ამოშენებული. მას აღ-
მოსავლეთით სარკმელი ჰქონია, რომელიც ამოუშენებიათ. მის მაგივრად სამ-

ზრებით კედლის გაჩენასთან ერთად გაუჭრიათ ახალი სარკმელი, რომელიც თავდაპირველზე მაღლა მოუქცევიათ.

ეკლესიის სამხრეთის ნაეი გადახურულია ცილინდრული კამარით. მისი კედლები გადაკეთებულია. ნაეის აღმოსავლეთის კედელი ძველია, დანარჩენი კი მომდევნო ხანისა ჩანს, მაგრამ შეიმჩნევა ადგილობრივი ხასიათის გადაკეთებებიც.



სურ. 61. ნოქალაქევი. „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის მეორე სართულის გეგმა.

ჩრდილოეთის ნაეის აღმოსავლეთის მონაკვეთი უფრო მეტადაა გადაკეთებული. დასავლეთით დარჩენილია ცილინდრული კამარით გადახურული ვიწრო ნაეი, რომელიც თაღებით უერთდება ცენტრალურ ნაეს.

ჩრდილო ნაეის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დაურღვევიათ და ვრცელს სამლოცველო შეუქმნიათ (სურ. 60). იმისათვის, რომ გაგვერკვია, როგო-

რი იყო ჩრდილო ნავის ეს მონაკვეთი, საჭირო გახდა გათხრების წარმოება. გათხრებით გამოვლინდა, რომ აქ გამოყოფილი ყოფილა სათავსი. სამწუხაროდ, ეს კუთხე ისეა დანგრეული, რომ ამ სათავსის მხოლოდ გეგმის მოხაზულობა რჩევეა. ცხადია, რომ მას სარკმელიც ექნებოდა აღმოსავლეთით. იმის გამო, რომ ცენტრალური ნავის კედელში გაჭრილი კარი გვიანია, ამ სათავსს კარი მხოლოდ დასავლეთით შეიძლებოდა ჰქონოდა.

შემდგომში გაჩენილი სამლოცველო საკმაოდ ვრცელია, მისი აფსიდა ღრმად და მოხაზულობით ნახევარწრეს უახლოვდება. საკურთხეველის ცენტრში ერთი სარკმელია. სარკმლის ქვემოთ მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზის ქვა. აფსიდის კედლებში სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნიშები დატანებული. მათში თავისი სიმაღლით და სიღრმით გამოირჩევა ჩრდილოეთის ცენტრალური ორი ნიშა, რომლებიც ერთმანეთის თავზეა განლაგებული. საკურთხეველში კანკელი როგორც იყო მოწყობილი, არ ჩანს, მაგრამ ერთი სამსაფეხურიანი ტრაპეზი კიდევაა ჩრდილოეთით, აფსიდის ძვიდენე მიდგმული. თითო ნიშაა ჩრდილო კედლის ცენტრალურ ნაწილსა და დასავლეთ კედლის მარჯვენა კუთხეში. რაც შეეხება სარკმელს, იგი, საკურთხეველის გარდა, კიდევ თითო ყოფილა დასავლეთითა და ჩრდილოეთით, მაგრამ შემდგომში ორივე ამოუქოლიათ.

ამ ვრცელი სამლოცველოს შემდგომში ცენტრისაგან ნაწილობრივ გამოყოფის მიზნით, ეკლესიის ნავის გაგრძელებაზე ვიწრო კედელი აუგიათ. ეს 1,5 მეტრის სიგრძის კედელი ცენტრალური ნავის დიდი თაღის საყრდენამდე მოდის, ისე რომ, კარის შებმა უკვე მოსახერხებელი იყო.


შესაძლოა, იმავე დროს მოხდა სამლოცველოს სამხრეთით, აფსიდის გვერდით კედლის განგრევაც, როგორც ეტყობა, ამ დროს სამლოცველომ დაკარგა დამოუკიდებელი სახე და იქცა საკურთხეველის დამატებად.

სამლოცველოს დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს ორი აკლდამა. როგორც ეტყობა, ნოქალაქევის ბოლო მფლობელმა, დადიანების ერთმა შტომ, აქ გაიჩინა საკუთარი საძვლე. ამასვე მიგვანიშნებს სამლოცველოს დასავლეთით გარედან მიდგმული აკლდამაც. სამწუხაროდ, არც შიდა და არც გარე აკლდამას წარწერები ან სხვა რაიმე დამათარიღებელი არ ახლავს, ამიტომ მათი ზუსტი დათარიღება არ ხერხდება (მათ გახსნას ჯერჯერობით ვერიდებით), მაგრამ ამ აკლდამების არსებობითაც შეიძლება აიხსნას სამლოცველოს თავდაპირველი დანიშნულება.

ეკლესიის შიგნით ჩატარებულმა გათხრებმა ვერც ადრეული სამარხები გამოავლინა და ვერც ძველი ფენების გამოვლენის მიზნით მოგვეცა ბევრი რამ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნართექსის პილასტრებსა და ცენტრალური ნავის პილონებს შორის ვიწრო კედლების ფრაგმენტების გამოვლენა. ეს კედლები ჩაშენებულია, შემდეგდროინდელია. შეიძლება, მათი საშუალებით დასავლეთის კარის მიდამოები გვერდითი ნაგებობისაგან გამოყვეს.

აღმოსავლეთით, ცენტრალური ნავის მთელ სიგრძეზე, კედლის ნაშით აღმოჩნდა, მაგრამ რომელი შენობისაა, ამის გარკვევა ძნელია. შეიძლება კანკლის საყრდენიც იყოს. ეკლესიის შიდა კედლები არ არის ერთგვაროვანი, რადგან ისინი სხვადასხვა დროსაა. კედლების წყობა და მასალაც განსხვავებულია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მასალა ძირითადად ნატეხი ქვა და აგურია. აქვე უნდა აღინიშნოს კედლების წყობის ხასიათიც. საკურთხეველის ჩრდილო კუთხის გარდა, ცენტრალური ნავის ქვედა დონეზე (გვერდით თაღებში დაახლოებით 0,5 მეტრის სიმაღლემდე) ნატეხი ქვისა და აგურის ნარევი, ცენტრალური ნავის სამ მხარეს და გარეთ კედლების ისევ სამ

მხარეზე, გარდა აღმოსავლეთისა, ქვა სანახევროდაა დამუშავებული, ზემოთ კი აგურის წყობის ოთხი-ხუთი ზოლი გადის. ასეთივე სისტემაა გამოყენებული გარე კედლებშიც (გარდა გადაკეთებული ადგილებისა).



სურ. 62. ნოქალაქევი. „ორმოგომფათა“ ეკლესიის განაკვეთი სამხრეთით.

აღსანიშნავია, რომ ქვისა და აგურის მონაცვლეობის მხრივ მოპირდაპირე მხარეებში სრული იდენტურობა არ არის, ხოლო ცენტრალური ნაგვის თაღების ზემოთა ნაწილი, გუმბათის ჩათვლით, მთლიანად აგურითაა ნაშენი, ქვედა რიგებში აგური უფრო დიდი ზომისაა და თანაც შრეები ზედაზე დიდია (ცენტრალური ნაგვის პილონებზე აგურის ზომები ძირითადად ასეთია: $32 \times 25 \times 41$ მ.).


კედლის წყობაში აშკარად გაირჩევა მხოლოდ ორი ფენა. ერთი — საკურთხევლის მხარე და მეორე — მისი მომდევნო დასავლეთით.

აფსიდის კედლის წყობა თავისი კონქით ოდნავ ფორმამიტემალი ნატეხი ქვაა. ეს წყობა მსგავსია იმავე მონაკვეთის ფასადის წყობისა, მხოლოდ ფასადზე უკეთ დამუშავებული ქვაა ნახმარი და წყობაც გაცილებით უკეთესია.

საკურთხევლის ეს წყობა გრძელდება დასავლეთისაკენ, ცენტრალური ნაგვის გრძივ კედლებში, მაგრამ ძალზე მცირე მანძილზე — ჩრდილოეთით გვიან გამოჩნებული კარის თავზე სამკუთხედად, დაახლოებით კონქის დასაწყისამდე. ხოლო სამხრეთით, საღიაკენოში შემავალი კარის თავის აღმოსავლეთი ნაწილი ძველია, დასავლეთი კი განახლებულია. მის ზემოთ მდებარე საარკმელი ძველ წყობაშია, ხოლო მისი თალი განახლებული ჩანს.

თავდაპირველი კედლების კვალი შენობის დანარჩენ ნაწილში გათხრებამაც ვერ აღმოაჩინა. რაღაც კედლის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამხრეთის კედლის ქვეშ, ახლანდელი კარბოვის სამხრეთით, მაგრამ არ ირკვევა, რომელი ნაგებობისაა.

ეკლესიას აქვს მეორე სართული, რომელიც ასევე ძლიერ გადაკეთებულია (სურ. 61). რაც მთავარია, არ ირკვევა მისი ფუნქცია, რადგან ასასვლელი არ ჩანს. როგორც ეტყობა, კაპიტალური კიბე არც ჰქონია. გადაკეთების გამო არც ის ჩანს, თუ საიდან შედიოდნენ. სამხრეთის გარე კედელში გაპირილია სარკმლის მსგავსი ორი ვიწრო ხვრელი (მარცხენას სიგანე 70 სმ-ია, მარჯვე-



სურ. 63. ნოკალაქევი. „ორმოცმოწამეთა“ ეალესიის დასავლეთის ფასადი.

ნასი — 60 სმ). ნათი ძირი ამჟამად მეორე სართულის იატაკის დონეზეა. ამიტომ საფიქრებელია, რომ სწორედ ეს დიობები წარმოადგენენ ბოლო დროის შესასვლელებს. ამ დიობებიდან შეიძლება მოხვდეს დასავლეთისა და ჩრდილოეთის მონაკვეთებში, მაგრამ სამხრეთის მარჯვენა ნაწილში კი ვერა. მათ შორის ყრუ კედლებია, შესასვლელი გადაკეთების შედეგად დაკარგულია. ეს ორი კარიც, რომელიც ერთადერთი საშუალებაა მეორე სართულზე შეღწევისა, ძალზე მიუდგომელია, რადგან კედლის გასწვრივ არც კარიბჭე და არც რაიმე სხვა ნაგებობა არ უნდა ყოფილიყო. თავდაპირველი კარი უთუოდ უფრო მოხერხებულ ადგილზე იქნებოდა (ეს დიობები 60-იან წლებშია აღდგენილი. თუ როგორი იყო აღდგენამდე, არ ირკვევა, რადგან ანაზომები არ არსებობს).

მეორე სართულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი ინტერიერში ფუნქციურად ჩართული არ არის. იგი ცენტრალურ ნავთან დაკავშირებულია მხოლოდ დასავლეთის ერთადერთი სარკმლით, ეს სარკმელი პატარაა და თანაც ცენტრში კი არ არის, არამედ სამხრეთით. აქედან გამომდინარე, ეკლესიის მეორე სართული პატრონიკენის როლს ვერ შეასრულებდა.

მეორე სართული სხვადასხვა დროსაა ნაგები. ამჟამად სამხრეთიდან შეჭული მოხვედბა გრძელ დერეფანში, რომლის კამაროვანი გადახურვა ჩანგრეუ-

ლია (იგი შემორჩენილია მხოლოდ გვერდებზე ფრაგმენტულად, ამჟამად რკინა-ზეტონის ფილითაა გადახურული ყოველგვარი წესების დარღვევით).

როგორ უერთდებოდა ეს სათავსი იმავე ხაზზე აღმოსავლეთ ნაწილს, არ ჩანს, და არც არავითარი მონაცემები არ არის მის წარმოსადგენად. უნდა ითქვას მხოლოდ ერთი რამ: ცენტრალური ნავის სხვადასხვა დროის კარი თუ სარკმელი იმაზე მეტყველებს, რომ აქ, სამხრეთის მხარეს ერთიანი სივრცე არასოდეს ყოფილა. აღმოსავლეთის მონაკვეთი დასავლეთისაზე გვიანაა გაჩენილი.

სამხრეთის ნავიდან საშუალო ზომის სწორკუთხა კარით გავდივართ დასავლეთ ნაწილში, რომელიც ქვედა ნავის თავზე მდებარეობს. იმის გამო, რომ ზედა სართულის კედლები ქვედასთან შედარებით ნახევარი სისქისაა, მისი ფართობი გაცილებით დიდია, ამ სათავსის კედლები სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ კედელზე ზემოთ აღნიშნულ ცენტრალურ ნავთან დაკავშირებული სარკმელია. მოპირდაპირე კედლის ცენტრში ერთი მოზრდილი სარკმელია თაღოვანი გადახურვით. მის მარცხნივ მცირე ნიშაა, ხოლო მარჯვნივ — მოზრდილი, კვადრატული. იგი აგურის წყობით შესრულებული წვეტიანი თალითაა გადახურული. სამხრეთის მხარე ორი თალით შუაზეა გაყოფილი. ამთავან მარჯვენა მხარე გასასვლელია, ხოლო მარცხენა კედლის ღრმა ნიშაა. მოპირდაპირე ჩრდილო კედელიც ორი თალითაა გაყოფილი, მაგრამ თაღები საკმაოდ უფორმოდაა გამოყვანილი, თანაც შუა პილასტრი და მარჯვენა თალი ქვისაა, ხოლო მარცხენა აგურის თაღებს შუა პატარა ხუთგვერდა ნიშაა. ერთი მოზრდილი თაღიც მარცხენა თაღის შიგნითაა. კედლის მარჯვენა ნაწილში კარია, ისევე თაღოვანი გადახურვით. ამავე დროს, კარის სივანე თაღისაზე გაცილებით ნაკლებია. დასავლეთის ეს სათავსი გადახურულია ცილინდრული კამარით, რომლის ღერძი და დონე ცენტრალური ნავის კამარისას ემთხვევა.

მეორე სართულის ჩრდილოეთის ნავში დასავლეთის ნავიდან მოხვდებით. ეს ნავი ორნაწიანია. დასავლეთის მონაკვეთი, აღმოსავლეთთან შედარებით, მოკლე და განიერია. როგორც ეტყობა, ეს ორი სათავსი სხვადასხვა დროისაა. როდესაც ჩრდილო ნავის აღმოსავლეთის ნაწილი სამლოცველოდ გადააკეთეს, ზედა სართულის ნავიც დააგრძელეს და შუაში კარი გაუკეთეს. ეს ორივე მონაკვეთი სამხრეთის მონაკვეთის დახურული კამაროვანი სათავსია. მაგრამ აქაც ჩანგრეულია და ანალოგიურადაა რესტავირებული (რკინა-ბეტონის ფილის გადახურვით). ამ სათავსებს გარე კედლებში არც კარი და არც ფანჯარა არა აქვთ. აღმოსავლეთ მინაშენი მცირედ ნათდება ცენტრალური ნავის სარკმლით, სმაგაციროდ ამ სარკმლის დაფარვით თვით ტაძარს მოესპო სინათლის ერთი წყარო.

მეორე სართულის კედლებზე და გადახურვაზე სხვადასხვა მასალაა ნახმარი. ძირითადად პატარა ზომის ნატეხი ქვაა, მაგრამ გვხვდება თლილი ქვა და აგურიც, წყობის ხასიათიც არაერთგვაროვანია, რადგან მათი აგების დრო ხშირად სხვადასხვაა.

ტაძრის ფასადებზე მრავალი სამშენებლო ფენა ჩანს. ფენები აქაც ძლიერაა არეული და მათი ზუსტი გამიჯვნა არ ხერხდება. შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთის ფასადი, რომლის მთავარ ნაწილს შვერილი ხუთწახნაგა აფსიდა წარმოადგენს. სამი ცენტრალური წახნაგი თითქმის თანატოლია.

შვერილი აფსიდის წახნაგებიდან ცენტრალურ სამს თითო სარკმელი აქვს. (სურ. 60). ეს სარკმლები საკმაოდ მოზრდილებია, მაგრამ გადაკეთების მიხედვით ჩანს, რომ თავდაპირველად ისინი უფრო მაღალი და განიერი იყო. რო-

გორც ამოშენებიდან ჩანს, ჯერ პორიზონტალური რიგების ქვედა ხაზი ასწიეს, შემდეგ კი დანარჩენებიც მიუმატეს. ცენტრალური და ჩრდილოეთის საარკმელი სამ-სამი რიგითაა აწეული, ხოლო სამხრეთისა კი მხოლოდ ერთი რიგით. ამ პერიოდის ჩაშენება იმავე ქვითაა შესრულებული, რომლითაც შენობის ძირითადი ნაწილია ნაშენი.

შემდეგ პერიოდში ეს საარკმლები კიდევ უფრო დაუვიწროვებიათ. აქ აღრეულთან შედარებით თლილი ქვაა ნახმარი. პირველდელი ხვრელები თითქმის კონცენტრულ ხაზებადაა შემოშენებული.

სამივე საარკმლის თალი აგურისაა. გვერდის საარკმლებს, ძველსა და ახალს, ცალ-ცალკე თაღები აქვთ. ხოლო ცენტრალურ თავდაპირველ საარკმელს ორი თალი ჰქონია. პირველი რიგის თალი რადიალურად დალაგებული აგურისგანაა, ხოლო მის ზემოთ მდებარე თალი აგურების ბრტყლად დალაგებით არის მიღებული. როგორც ეტყობა, პირველი თალი ძირითადი მზიდია, მეორე — დამატებითი. შევიწროებული საარკმლის თალი შევიწროებულია.

აფსიდის ცოკოლი არ ჰქონია, ხოლო კარნიზი სწორკუთხა და წვრილია. დანამდვილებით თქმა იმისა, თუ რა დროისაა ეს კარნიზი, ძნელია (გათხრების დროს თავდაპირველი შენობის კარნიზის ფრაგმენტი არ აღმოჩნდა).

აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა მხარე, გვერდითი სათავისი კედელი, რამდენჯერმეა გადაკეთებული. თავდაპირველი უნდა იყოს ქვის წყობის რამდენიმე ქვედა რიგი, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე. გათხრების დროს გაირკვა, რომ ეს კედელი სამხრეთის მიმართულებით კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ იგი მალე წყდება და თუ რა იყო შემდეგ, არ დგინდება (აქ ქვაყუთი ჩასმული და ამის გამო კედლის ბოლო დანგრეულია).

კედლის ზედა ფენაში ქვის არეული წყობაა. ზოგან აგურიც ურევია. კარგად ჩანს გვიან ამოშენებული მოზრდილი თაღოვანი საარკმელი. აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა მხარე ფაქტიურად ერთდროულია, რადგან გვიან აგებულ სამლოცველოს ეკუთვნის. ეს კედელი მთლიანად სხვადასხვა ზომის თლილი ქვებითაა ამოყვანილი, მასალა, ეტყობა, ნაქალაქარის ნანგრევებზეა მოკრებილი, მას მარტივი ცოკოლი აქვს, კარნიზი არ შემორჩენია. საარკმელი, რომელიც ამ ფასადზე მდებარეობს, გვიან დაუმატარავენიათ.

ეკლესიის დასავლეთის ფასადი მარტივია. იგი ერთი სიბრტყისგან შედგება. გადახურულია ორფერდა სახურავით. შუაში, ერთ ღერძზე განლაგებულია კარი და საარკმელი. კარი სწორკუთხაა და ფართო. აშკარად ეტყობა, რომ იგი უფრო ვიწრო იყო. ხის კოქოვანი გადახურვა, რომელიც მას აქვს, ახალია.

სარკმელი, რომელიც მეორე სართულს ანათებს, განიერი და მაღალია. მას გადაკეთება არ ეტყობა, იგი იმავე სამშენებლო ფენისაა, რომლისაც კედელი.

ეს ფასადი რამდენიმე სამშენებლო ფენისგან შედგება. ფასადის მთელ სიგრძეზე ქვედა ფენა, დაახლოებით სამ მეტრზე, სხვა წყობითაა ნაშენი, ვიდრე ზედა. მასზე დაშენებულია შუა ნაწილი, ცენტრალური ნავის სივანეზე. მარცხენა მხარეს აშკარად ჩანს მიშენების კვალი, რომელიც მარჯვნივ არ შეიმჩნევა. მთელ ფასადზე გამოფიტული ქვის კედლები აგურითაა შევსებული. აქ ფასადზე, თითქმის საარკმლის დონემდე, მცირედაა შერჩენილი ფრესკის ფრაგმენტები, იგი იმ მინაშენის დროინდელია, რომელიც აქ არსებობდა (ამ მინაშენისაგან მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი).

ეს მინაშენი, როგორც ეტყობა, გვიან საუკუნეებს ეკუთვნის, შესაძლოა ორსართულიანი იყო, რადგან ფრესკის ფრაგმენტები 5—6 მ-ის სიმაღლემდე ჩანს. თვით ამ ფრესკის ნაშთები მსგავსებას უნდა იჩენდნენ ეკლესიის შიდა მოხატულობასთან, ამიტომ მასთან ერთად XVII ს-ით უნდა დათარიღდეს.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სამხრეთის ფასადზე, რადგან აქ ყველაზე მრავალადაა გადაკეთების კვალი. მასზე მიშენებულია გვიანი, ორფერდა სახურავით გადახურული, კარიბჭე, რომელიც ფარავს სამხრეთის ფასადის ცენტრალურ ნაწილს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაძრის აგების ეპოქაში სავსებით კარიბჭეები არ შენდებოდა. ამ კარიბჭის მარცხნივ აღსანიშნავია მაღალი თალი, რომელიც შემდეგში ამოუშენებიათ. ამოშენებულ კედელში, ზემოთ პატარა საკმელი დაუტოვებიათ. კარიბჭის მარცხნივ აშკარად ჩანს კარი, რომელიც ასევე ამოშენებულია. ამ კარს როგორც გადახურვა ჰქონდა და სავსებით, რომელს პერიოდს ეკუთვნის, არ ირკვევა.

ფასადის მარცხენა მხარეს მეორე მართულზე შესასვლელი ორი ღიობია გაცემებული, ისინი თაღოვანი გადახურვითაა, მაგრამ მარჯვენას თალი უკანასკნელი შეკეთების შემდეგ ნაწილობრივად გადაჩენილი. ამ ორი შესასვლელის მარჯვნივ სწორკუთხა საკმელია.

ამ ფასადის მარჯვენა მხარეს, კედელში აშკარად ჩანს აგურის წყობით გამოყვანილი ორქანობიანი გადახურვის კვალი. სათავსი, რომელსაც. ეს სახურავი ეკუთვნოდა, არ შემორჩენილა.

ზემოთ უკვე ნახსენები კარიბჭე ოთხკუთხაა გეგმით (სურ. 60, ტაბ. XLI). კედლები თლილი ქვითაა ნაგები, ჩრდილო სამლოცველოს მსგავსად, მას სამხრეთიდან ღია თალი ჰქონია, შემდეგ ამოუშენებიათ და კარი დაუტანებიათ.

ჩრდილო ფასადის მარჯვენა მხარე საკუთრივ ტაძრისაა, მაგრამ გამოირჩევა ორი ფენა. ქვედა პორიზონტი უფრო ძველია, ვიდრე ზედა. მარცხენა მხარე უკავია გვიან აშენებულ სამლოცველოს. მას კარნიში არ შერჩენია, ცოკოლიც არ ჩანს, სამლოცველოს ჩრდილო ფასადზე მოთავსებული სამრეკლო ამოუკლიდათ. ამავე დროსაა ამოქოლილი დასავლეთის საკმელიც.

როგორც უკვე ვთქვით, ეკლესია ამჟამად გუმბათოვანია. მისი გუმბათი ცილინდრულია და დაბალი. გუმბათის ყელის კუთხეებში გუმბათქვეშა კვადრატის სამკუთხა შვერილებია. გუმბათის ყელი მთავრდება სწორკუთხა ვიწრო კარნიშით. მას ცილინდრული ყელის ჭვარედინად უხალაგებელი ოთხი საკმელი აქვს. გუმბათი ნაგებია წვრილი, თლილი ქვით, ამჟამად გადახურულია კონუსური ფორმის სახურავით.

40-იან წლებში ეკლესია თუნუქით გადახურავთ, მანამდე ყავრით ყოფილა გადახურული (ტაბ. XLI), თავდაპირველი გადახურვა კრამიტისა იყო. მისი ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ტაძრის ირგვლივ, ხოლო გათხრებმა მოგვცა ათამდე ანტეფიქსი. ანტეფიქსების ფორმა ერთნაირია, ქვედა ოთხკუთხედს სამკუთხედი ამთავრებს. ფასადზე ყველას ჭვარი აქვს გამოსახული, მაგრამ ისინი სხვადასხვა ზომისანი არიან და ჭვრებიც განსხვავებული მოხაზულობისაა. როგორც ეტყობა, ისინი უყალიბოდაა ჩამოსხმული.

ანტეფიქსების ზუსტი დათარიღება ძნელდება, კონკრეტული დამთარიღებელი ნიშნის უქონლობის გამო. მაგრამ სავსებით ხასიათით იგი აღრეფეოლალური ხანისაა.

ამ ანტეფიქსების ერთი ნაწილი ნაპოვნია სასახლის ჩრდილო მონაკვეთის სარდაფის გაწმენდისას. ასე რომ, ზუსტად იმის თქმაც ჭირს, ამ მონაკვეთში

მდგარი სამი ნაგებობიდან (სასახლე და ორი ბაზილიკა) რომელს ეკუთვნის ისინი. ანტიფიქსები შეიძლება სასახლისთვისაც გამოყენებინათ, მაგრამ უფრო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ისინი ეკლესიისაა.

ეკლესიის დასავლეთის მინაშენის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მცირე სამლოცველო აუფიათ (სურ. 60). მისი ჩრდილო კედელი მინაშენის სამხრეთ კედელზე იყო მიდგმული. ამ სამლოცველოს ქვეშ ქვით ამოშენებული სამი სამარხი იყო, რომლებიც გაძარცვული დაგვხვდა.

სამლოცველო ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ გეგმის მოხაზულობა ირკვევა. აფსიდის სიმრუდე ძლივს ემჩნევა, კედელზე მიშენებული ყოფილა ტრაპეზი. სამლოცველო თლილი ქვითაა ნაგები და მისი ფსადების წყობა ჰგავს ეკლესიის ჩრდილოეთით მიდგმულ სამლოცველოს⁵³.

საერთო მონაცემებით და კერძოდ, ფრესკული მხატვრობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ეკლესია დაახლოებით XVI საუკუნიდან ერთგვარ აღმავლობას განიცდის. ამ დროსაა მიშენებული ჩრდილოეთის სამლოცველო, დასავლეთით ეკლესიას აფართოებენ, ეკლესიის კედლები ხელახლა იფარება ფრესკით, ეს ყველაფერი, ვფიქრობთ, დადიანების გაძლიერების ეპოქას უკავშირდება.

როგორც აღწერილან ჩანს, „ორმოცმოწამეთა“ ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული და არც ერთი დროის ნაგებობის თავდაპირველი ფორმები არ დგინდება. საქმეს ისიც ართულებს, რომ მის აგებაზე ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი და არც წარწერები ახლავს. არა აქვს აგრეთვე ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ თავდაპირველ ეკლესიას. იგი აგებულია მის სამხრეთით მდებარე დიდი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ. ამ ეკლესიის მხოლოდ საკურთხეველია ნაწილობრივ გადარჩენილი. აფსიდა მთლიანადაა მოღწეული. თავდაპირველია აგრეთვე სამხრეთის სათავის აღმოსავლეთის კედლის ფენები. და სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაგების აფსიდის მოსაზღვრე კედლები.

ერთადერთი რისი თქმის საშუალებასაც იძლევა ძეგლის ნაშთები, ესაა მისი სამნავიანობა. ბაზილიკები დამახასიათებელია ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოსათვის. ასეთებია: ციხისძირი (პეტრა), ბიჭვინტა (აქ საუბარი გვექნება ერთსა და იმავე ადგილზე აგებული სამი ბაზილიკიდან ქვემოდან მესამეზე (სურ. 67). მოზაიკიანი ბაზილიკის მომდევნოზე), ვაშნარი, სეფიეთი, განთიადი (სურ. 66) და ნოქალაქევი (განსახილველ ბაზილიკაზე ადრე აგებული, მის სამხრეთით მდგარი).

აქ ჩამოთვლილ ბაზილიკებში დიდი მრავალფეროვნებაა. კერძოდ, ბიჭვინტა, ციხისძირი და ნოქალაქევი საგრძნობლად წაგრძელებული ფორმისაა, მაშინ, როდესაც ვაშნარი და სეფიეთი თითქმის კვადრატულია⁵⁴. რაც შეეხება განთიადს, მისი გეგმაც კვადრატს მიახლოებულია, მაგრამ საერთო ვალწყვეტით განსხვავებულია. ეს ბაზილიკები შეერილი აფსიდილითაა, აფსიდები, სეფიეთის გარდა, ყველა მრავალწახნავეა, სეფიეთის აფსიდა კი ცილინდრულია

53 ამ სამლოცველოს სამხრეთის კედელში ორი ქვაა, რომელთაც შერჩათ რკინის სამაგრების ნაშთები. მსგავსი ქვები რკინის სამაგრებით სხვაგანაცაა და მათ მივიჩნევთ ქუჩის დროინდელი ნაგებობის ნაშთებად.

54 ასევე კვადრატს მიახლოებული უნდა ყოფილიყო ციხის ტაძრის პირვანდელი სახე (პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ციხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, 1956, სურ. 2).

განთიადის ბაზილიკა ორივე ფორმას ატარებს, ცენტრალური თუ მრავალგვერ-
დაა, განაპირა აფსიდები ცილინდრულებია.

მრავალწახნაგა აფსიდებში სხვა თავისებურებებსაც ვხვდებით. მაგალითად,
აღსანიშნავია წახნაგების ურთიერთმიმართება. ბიკვინტასა და განთიადში, ისევე
როგორც ნოქალაქევის მეორე ბაზილიკაში, განაპირა წახნაგები ურთიერთპა-
რალელურია, დანარჩენ ძეგლებში გვერდები ცენტრისკენაა გადახრილი.

ნოქალაქევის აფსიდა შიგნით ოდნავ შესამჩნევი ნალისებური მოხაზუ-
ლობისაა. დავაღვთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ფორმა აქვს იქვე,
ნოქალაქევეში ადრე მდგარ ბაზილიკას, ციხისძირის ბაზილიკასა და ბიკვინტის
ცალნავეანი ეკლესიის აფსიდებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი ნალისებრ
ფორმას, როგორც აფსიდებში, ისე თაღებზე, ბევრ ადგილას ვხვდებით.

V ს. ბოლოსა და მომდევნო საუკუნის დასაწყისის ბაზილიკებიდან შეი-
ძლება დაეასახელოთ: ბოლნისი⁵⁵, ურბნისი⁵⁶, ანჩისხატი⁵⁷, ხირსა⁵⁸ და მრავალი
სხვ.

ნალისებრი თადის წარმომავლობის საკითხი, გავრცელების არეალი და
საქართველოში მისი გამოყენების ეტაპები განხილული აქვს გ. ჩუბინაშვილს⁵⁹
და ამიტომ აქ აღარ შევეხებით. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ თუმცა ეს ფორმა
ჩვენში გამოიყენება IV საუკუნიდან X საუკუნის ჩათვლით, მაგრამ მისი ყვე-
ლაზე ინტენსიური გამოყენების პერიოდი V—VI საუკუნეებია.

ნოქალაქევის ბაზილიკის თავდაპირველი ნაწილებიდან აღსანიშნავია აგ-
რეთვე საკურთხეველის მებნობელი გვერდითი სათავსები. აღწერაში უკვე აღ-
ვნიშნეთ, რომ ჩრდილო სათავსის ნაშთი აშკარად ჩანს (სურ. 60). მისი გეგმა-
სწორკუთხაა. კარი დასავლეთით უნდა ჰქონოდა; სათავსი, რომელიც ბაზილი-
კას სამხრეთით ახლდა, ისეა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი სახის ზუს-
ტად დადგენა არ ხერხდება. გათხრების შედეგად ირკვევა, რომ ამ მონაკვეთის
აღმოსავლეთის სწორი კედელი სამხრეთით გრძელდება. მიწის ქვეშ აღმო-
ჩნდა საძირკველი, რომელიც დღევანდელი კუთხიდან სიგრძით ერთი მეტრი-
მანძილზეა. სად და როგორ უხვევდა ეს კედელი, დაზიანების გამო არ ჩანს. ამ
კედლის მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სამხრეთის სათავსი
ჩრდილოეთისაზე განიერი იყო. რით იყო ეს გამოწვეული, ამის თქმა ძნელია,
რადგან არ ვიცით არც თავდაპირველი გეგმარება და არც ანალოგიები.

ამ სათავსის განსხვავებული გადაწყვეტა უნდა ჰქონოდა. სხვა ძეგლებისგან
განსხვავებული გადაწყვეტა გვაქვს ბოლნისში, სადაც სანათლაგია გამოყო-
ფილი. მაგრამ იქ სანათლაგია სამხრეთის ნაწილში კი არაა ჩართული, არამედ მის
გარეთაა. ასეთივე დამატებითი სათავსი ახლავს ვაშნარის ბაზილიკას, მხოლოდ
იმ განსხვავებით, რომ ბოლნისში ეს სათავსი დასავლეთით და აღმოსავლეთით
აფსიდებით მთავრდება, ვაშნარში კი სწორკუთხაა.

ზემომოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ნოქალაქევის შვერილი
სათავსი მხოლოდ საკურთხეველის დამხმარე სათავსოდ უნდა ჩავთვალოთ. გასა-
თვალისწინებელია ისიც, რომ ტაძარი იგება იმ ეპოქაში, როდესაც ხდება რი-
ტუალისა და ეკლესიაში მისი განხორციელებისათვის აუცილებელი ფორმების.

⁵⁵ Ч у б и н а ш в и л и Г. Н. Болниси. სურ. 1, 4, 9

⁵⁶ ზ. ზაქარაია, ნოქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, სურ. 58, 60, 64.

⁵⁷ იქვე, სურ. 64.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Болниси, с. 134—136.

შემუშავება. ამიტომ ამ ეპოქის ნაგებობები სხვებისგან განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო. ის, რომ სათავსი გვერდითა კედლის ბაზიდან მცირედ გამოდის, ასეთი გადაწყვეტა, როგორც აღვნიშნეთ, არაა დამახასიათებელი იმ დროის ეკლესიებისათვის, მაგრამ არც ერთადერთია. ასეთი გადაწყვეტა აქვს თბილისში VI ს. პირველ მეოთხედში აგებულ ანჩისხატის ეკლესიას. ანჩისხატში აფსიდის გვერდითი სათავსი ჩრდილოეთით ერთი მეტრითაა შევრილი⁶⁰. რა მიზანი ჰქონდა მშენებელს, როცა ასეთ გადაწყვეტას იღებდა, გარდა ფართობის გაზრდისა, არაა ვარაუდობი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასევე ფართობის გაზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული იქვე, მოპირდაპირე მხარეს სამხრეთის კედლის დაიწროვება.

ბაზილიკის არსებული ფრაგმენტებიდან უნდა შევეხოთ საკუთხეველისა და ცენტრალური ნაეის განათების საკითხს. საკუთხეველში სამი სარკმელია განლაგებული. თითოეული მათგანი თითო ცენტრალურ წახანავშია გაჭრილი. ისინი განიერი და შედარებით მაღლებია. სარკმელთა გვერდები პარალელურია, ან ოდნავ დახრილი, რაც დამახასიათებელია აღრეფეოდალური ხანის ეკლესიებისათვის.

სამი სარკმელი საკუთხეველში უფრო მოსახერხებელია მხოლოდ შევრილი აფსიდის დროს. გარედან სწორკედლიან ძეგლში სამი სარკმელი იჭრება იმ შემთხვევაში, თუ აფსიდის გვერდებზე ნიშებია. ნიშები კი აღმოსავლეთის ფასადზე სიმეტრიულად მხოლოდ X ს. მეორე ნახევრიდან მკვიდრდება (აქ მხედველობაში არაა მისაღები აღრეფული ძეგლები — წრომი და სამშვილდე). აღრეფეოდალური ხანის ბოლნისის სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების ცილინდრული ფორმის შევრილ აფსიდებში თითო სარკმელია⁶¹.

დასავლეთ საქართველოს იმ ეპოქის ბაზილიკებიდან მხოლოდ სამია მიწის ზემოთ შემორჩენილი — ნოქალაქევი, ვანთიანი⁶² და სეფიეთი⁶³. სამწუხაროდ, სეფიეთის აფსიდა ისეა გადაკეთებული, რომ სარკმელთა თავდაპირველი განლაგება ბოლომდე გარკვეული არაა; ხოლო ვანთიანსა და ნოქალაქევიში თითქმის მსგავსი გადაწყვეტაა⁶⁴.

ნოქალაქევის ბაზილიკის ნაგების გეგმის გადასაწყვეტად არაერთადი მონაცემები არა გვაქვს, როგორც აღვნიშნეთ, შერჩენილია მხოლოდ ცენტრალური ნაეის შეხების ადგილები აფსიდასთან.

ბაზილიკის ნაგების გადაწყვეტის საკითხისათვის შეგვიძლია ნაწილობრივ იმ ეპოქის ძეგლების მოშველიება, მაგრამ ეს ყველაფერი ვარაუდს ვერ გაცდება.

60 რ. გვერდწითელი, ანჩისხატის რესტავრაცია, — ძეგლის მეგობარი, თბ., 1966, კრებული მეშვიდე, გვ. 37—42.


61 ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხროთომოდერნიზმის სამი უცნობი ძეგლი. — ქართული ხელოვნება, თბ., 1948, წ. 2, სურ. 1—4, 17, 20, 21; გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სამნავიანი ბაზილიკისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში წერს, რომ აფსიდის დიდი სარკმელი სამნავიანი უნდა ყოფილიყო (გვ. 139), მაგრამ აქ სულ სხვა შემთხვევაა.

62 Леквинадзе В. А. О Постройках... სურ. 7, 8.

63 Леквинадзе В. А., Материалы по монументальному строительству в Лазике. — საქართველოს საბ. მუზეუმის მოამბე. XXXI-в 1961, სურ. 16.

64 ციხისძირში, ვაშნარში და ბიჭვინტაშიც უნდა დაეუშეათ ანალოგიური სურათის არსებობა.

განსახილველი ბაზილიკის თავდაპირველი გეგმის რეკონსტრუქცია პირველად გ. ჩუბინაშვილმა მოგვცა⁶⁵. ამ გეგმაში გვერდითი ნაეები ალმოსაველეთის სათავეების გარეშეა (სურ. 64). 1927 წელს, როდესაც გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი ძეგლის შესასწავლად ადგილზე ჩავიდნენ, მაშინ ეკლესია შიგნიდან და გარედან სქლად იყო გალესილი და შეთეთრებული. გათხრები და კედლების გაწმენდა არ ჩატარებულა. როგორც ჩანს, გეგმის ასეთი არასრული აღდგენაც ამის შედეგია.




სურ. 64. ნოქალაქევი. „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის გეგმის აღდგენა (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).

⁶⁵ Чубинашвили Г. Н. К вопросу о Нокалакеви, с. 93—103,

მეორედ, ნოქალაქევის თავდაპირველი სახის აღდგენა სცადა ვ. ლექვი-
ნაძემ და მას სპეციალური სტატიაც მიუძღვნა⁶⁶. ავტორი უარყოფს გ. ჩუბი-
ნაშვილისეული გეგმის ვარიანტს და იძლევა თავისას (სურ. 65), მაგრამ არც
შაშინ იყო კედლები გაშიშვლებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის გა-
წმენდის შემდეგ აღგილობრივი მონაცემები არც ასეთი გეგმის წარმოდგენის
საფუძველს იძლევა.

როდესაც ამ ორი ვარიანტის უარყოფაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება
ბაზილიკის აღმოსავლეთის ნაწილი, საკურთხეველი საღიაყენით და სამკვე-
ჯლოთი. ხოლო რაც შეეხება მათ გაგრძელებას დასავლეთით, ადგილზე არაფერ-
თარი ახალი მონაცემი არ გამოვლენილა, ამიტომ ჩვენც ვარაუდს ვერ ვცილ-
დებით.

როგორც ძველი ბაზილიკის განხილვისას მოყვანილი ცხრილიდან⁶⁷ ჩანს,
დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების სიგრძეში არის საგრძობი განსხვა-
ლება, რაც ასე მკვეთრად არ შეიმჩნევა მათ სიგანეში. სიგრძის მიხედვით,
შეიძლება მოყვანილი ცხრილი პირობითად ორ ჯგუფად გაიყოს. პირველ ჯგუფ-



სურ. 65. ნოქალაქევი. „ორმოგომოფმეთა“ ეკლესიის გეგმის აღდგენა
(ვ. ლექვინაძის მიხედვით).

ში მოხედება ციხისძირი, ბიჭვინტა და ნოქალაქევი I, ხოლო მეორეში — სე-
ფიეთი, ვაშნარი და ვანთიადი. თუ სიგრძე-სიგანეთა შეფარდების აღრე მო-
ყვანილ ცხრილსაც გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ განსხვავება ღიღია: ზოგან

⁶⁶ Леквинадзе В. А. Базилика Археополиса.—*ბაქართველოს საბ. მუზეუმის
შობაბე. XXX-ვ 1974*, გვ. 111, სურ. 2.

⁶⁷ იქვე, გვ. 176.

სიგანე სიგრძეში თითქმის ორჯერ ეტევა (ბიკვინტა), აქ მოგვეყავს სიგრძე-სიგანის შეფარდება აფსიდიანად, მაგრამ იქ, სადაც მოცემულია სწორი გვერ-დების შეფარდება, ვნახეთ, რომ რამდენიმე შემთხვევაში სიგანე მეტია სი-გრძეზე.

განსახილველი ბაზილიკა, ანუ ნოქალაქევი II, არც ერთ ჭკუფს არ მიე-კუთვნება. მაგრამ მეორეს უფრო ემსგავსება, სიგრძე შედარებით ახლოსაა სიგანესთან.


ბაზილიკის თავდაპირველი გეგმის აღსადგენად თუ ანალოგიებს გამორი-ცხვის წესით განვიხილავთ, პირველ რიგში უნდა გამოვრიცხოთ განთიადი, რადგან მას სამი შეერილი აფსიდა აქვს და შეგნითაც ორიგინალურადაა გადა-წყვეტილი. ასევე პარალელად ვერ მოვიყვანთ სეფიეთს. ჭერ ერთი, მათ შორის აფსიდების ფორმაშია განსხვავება და მეორე, მისი გვერდის ნაევები ორსარ-თულიანები. შედარებისათვის სხვებზე უფრო მეტად შეიძლება გამოვიყენოთ ვაშნარი, შემდეგ გარემოებათა გამო: 1. შედარებით მოკლე ბაზილიკა, 2. სა-შხრეთით რაღაც დამატებითი სათავის აქვს და 3. ნოქალაქევის ძველი ბაზილი-კის მსგავსი, აქაც გვერდის ნაევებს ნართექსი აერთებს. უკანასკნელი გარემოე-ბა წმინდა თეორიული მოსაზრებით მოგვეყავს, რადგან ეუშვებთ. რომ ძველი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ, იქვე, გვერდით ასაგებ ბაზილიკაში მოსალოდ-ნელი იყო დანგრეულის მსგავსი გეგმის გამეორება. ზემოთქმულიდან გა-შომდინარე ვვარაუდობთ, რომ ნოქალაქევი II გეგმით ნოქალაქევი I-ის გეგ-მას უახლოვდება. ვფიქრობთ, რომ იგივე გაიმეორა ნოქალაქევი II-ის შუორედ მშენებელმა, მხოლოდ ნაევების ურთიერთკავშირი განსხვავებულად გადაწყვიტა. რადგან უკვე ჩატარებულია როგორც გათხრითი, ასევე გაწმენ-დითი სამუშაოები, თავს უფლებას ვაძლევთ რესტავრაციის აქ წარმოვდგინოთ პროექტი ერთ ყველაზე რეალურ ვარიანტად მივიჩნოთ (სურ. 61—2). მისი შედგენისას გვერდით სათავსოებს შეძლებისამებრ სრულვყოფთ. კერძოდ, ჩრდილოეთისას მხოლოდ კარსა და სარკმელს აღვუდგენთ. ამ შემთხვევაში სარკმელს სამხრეთ სათავსოში არსებულს ვიმეორებთ. კარის ადგილი მხოლოდ დასავლეთის კედელშია, რადგან აფსიდისკენ ყრუ კედელი იყო. სამხრეთით ზღებარე სათავსის აღმოსავლეთის კედელს აღმოჩენილი კედლის ნაშთის მიხე-დვით ვაგრძელებთ.

ეკლესიის გარე კედლებს უცვლელად ვტოვებთ, რადგან ალაგ-ალაგ არის ძველი კედლის წყობა. სამხრეთით ორსა და დასავლეთით ერთ კარსაც (ამ უკანასკნელს ცოტათი ვეიწროვებთ, რადგან იგი გაუანეორებელია დასავლეთის მინაშენის გაჩენის დროს) ვტოვებთ.

რაც შეეხება ცენტრალურ ნავს, მის გეგმარებას რადიკალურად ვცვლით. თავდაპირველი კედლის ფრაგმენტები შემორჩენილია აღმოსავლეთით. საკუთ-რთხველთან ძველი კედელი, ახლანდელთან შედარებით, თითქმის ერთი მესა-მედით წვრილია. აღდგენილ გეგმაში სწორედ ამ ძველი კედლის დარჩენილ სისქეს ვიღებ. გვერდით ნაევებთან მაკავშირებლად, სიმაღლის გათვალისწინე-ბით, სამ-სამი თალი ვარჩიეთ. სვეტის კვეთად მივიღეთ კვადრატი, როგორც ეს გვხვდება დასავლეთ საქართველოს ადრეული ხანის ბაზილიკებში. რაც შეეხე-ბა დასავლეთით ცენტრალური ნავის სიგანეს, ჩვენი აზრით, სამი თალის არსებო-ბის შემთხვევაში გასასვლელები ძალიან ვიწრო იქნებოდა. ასევე მოუღებლად მივიჩნით ორი თალი და შუაში სვეტი, რომელიც ჰარმონიას დაარღვევდა.

ამის გამო ვარჩიეთ ერთი თალი. ამ თალის სიგანე და სიმაღლე შედარებით უკეთ შეესაბამება გვერდით ნავებთან მაკავშირებელ თალებს.

ნოქალაქევის ეკლესიის მეორე სამშენებლო ფენად მიგვაჩნია ის, რომელიც ამჟამადაა, ჩრდილოეთის სამლოცველოს გამოკლებით (ცხადია, უგუმბათოდ). როგორც ეტყობა, ამ გადაკეთებით ქვედა სართულს გვემის მოხაზულობა არ შეუცვლია. ამ სამნავიანი ეკლესიის თავისებურება ისაა, რომ გვერდითი ნავე-
ზი დასავლეთით ნართექსით ერთდება.



სურ. 66. სამნავიანი ბაზილიკები: ა. ნოქალაქევი I, ბ. ნოქალაქევი II, გ. ვაშნარი; დ. განთიადი; ე. სეფიეთი.


გვერდითი ნავეები სიმაღლითა და სიგანით ტოლებია, ხოლო დასავლეთისა სიგანით ერთნახევარჯერ განიერია და ოციოდე სანტიმეტრით მაღალი. ნართექსი გამოყოფილია დასავლეთის კედლების პილასტრებზე გადასული თალებით.

უნდა აღინიშნოს, გვერდის ნავეები იმდენად ვიწროა, რომ ინტერიერის სივრცის გადაწყვეტაში დიდ როლს არ ასრულებს. თავდაპირველ ბაზილიკაში

ასე არ იქნებოდა, რადგან გარე კედლები და თალებს შორის სვეტები ვიწრო იყო, მათ შორის მანძილი კი დიდი, ამგვარად, ერთი მთლიანი სივრცე შეიქმნებოდა⁶⁸.

ამ მეორე ეტაპის ბაზილიკის შიდა სივრცის განათების საკითხი არაა გარკვეული, რადგან ზედა მხარე შემდგომი გადაკეთების დროინდელია. ცენტრალური ნაწილი გვერდითი კედლების საკმლიდან ნათდებოდა. ეს ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დარჩენილი ერთადერთი საკმლით.

როგორც დავინახეთ, ბაზილიკის აღმდგენელს მისი ძველი ფორმების გამეორება არ დაუსახავს მიზნად. თუმცა მის მიერ აგებული ბაზილიკა სამნავიანია, მაგრამ ორიგინალურადაა გადაწყვეტილი.



სურ. 67. ბიჭვინტისა და ციხისძირის ბაზილიკები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ნაგებობის ცენტრალური ნაწილი თითოეული თალითაა შეერთებული გვერდით ნავთან და ნართექსთან. ამით გარდა,

⁶⁸ პირველი ბაზილიკის ნაგებობის ცენტრალური ნაწილის დანგრევის შემდეგ აღმდგენელმა, როგორც ეტუობა, ვერ გახედა იმავე სისქის კედლებით ტაძრის განახლება (არაა გამოცხადებული, რომ ძველმა სვეტებმა სიმძიმეს თუ შიწისძერას ვერ გაუძლეს). ამიტომ გარე კედლების და ნაგებობის გაყოფი სვეტებიანი კედლების სისქეები გაზარდა.

გვერდით ნაევებთან, აღმოსავლეთ ნაწილებში, თითო ვიწრო თალიცაა. ინტერიერის ასეთი გადაწყვეტის ანალოგია არა გვაქვს. ამიტომ მის დასათარღლებლად არქიტექტურულ გადაწყვეტას ვერ მოვიშველიებთ, ამასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად დაგვეხმარება კედლის წყობის თავისებურება.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ცენტრალური ნავის სვეტებსა და გარე კედლებს ერთ დონეზე გასდევს ქვების წყობის შუაში აგურის წყობა. აგურის წყობა 4—5 რიგისგან შედგება (აგურები დიდი ზომისაა— $32 \times 25 \times 4$ სმ). ასეთი შერეული წყობა (opus mixtum) დამახასიათებელია აღრეკრისტიანული ხანის ბიზანტიის სამყაროსთვის და მათ შორის დასავლეთ საქართველოსთვისაც⁸⁹.

როგორც აღვნიშნეთ, არ არის გარკვეული როგორ ნათღებოდა მეორე პერიოდის ბაზილიკა. თუკი გვერდის ნაევების ზემოთ მეორე სართული არ იყო, მაშინ საფიქრებელია გვერდის და დასავლეთის სარკმლების არსებობა. ჩვენს შემთხვევაში ლოგიკურად ვუშვებთ სარკმელთა არსებობას. სამწუხაროდ, აღვიღებ ამის არავითარი მონაცემი არ არის. თუმცა დასავლეთ კედელში არის ერთი სარკმელი, მაგრამ იგი ფსადაღზე გამოვალს არ ჰგავს, რადგან ძალზე განიერია და უფრო შიდა მომსახურებისათვის განკუთვნილი თუ იყო.

ტაძრის აფსიდა კონქით თავღაბირველია. ცენტრალური ნავის კამარის სიმაღლე სწორად უნდა ჩაითვალოს, ხოლო გვერდითი და დასავლეთის ნაევების სიმაღლეს განსაზღვრავს სამხრეთით, ცენტრალურ ნავში, შერჩენილი სარკმელი. ასეთი გადაწყვეტის დროს ტაძრის გარედან სამნავიანი ბაზილიკის ტიპური სახე იქმნება, იმ თავისებურებებით, რომ ნართექსის სახურავი გვერდითი ნაევების დონეზე ექნებოდა. ამ ნაგებობას კარიბჭე და დასავლეთით მიწაშენი არ ჰქონია.

როდის მიიღო ბაზილიკამ ასეთი სახე, ან როდის და რისგან დაინგრა პირველი ბაზილიკა, ჭერ კიდევ გაურკვეველია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მდგარ თავღაბირველ ბაზილიკას პირველი გამოკვლევა გ. ჩუბინაშვილმა მიუძღვნა. ისედაც მრავალჯერ გადაკეთებული ტაძრის კედლები შიგნით და გარეთ შელესილ-შეთეთრებული იყო. ამიტომ სამშენებლო ფენები არ იმიჯნებოდა. ავტორის განხილვა ეყრდნობა იმ გეგმას, რომელიც აღდგენილი სახით იქვე სტატიაში აქვს მოცემული. ძეგლის გათხრამ და გაწმენდამ საშუალება მოგვცა უფრო ზუსტად გამოგვეყო სამშენებლო ფენები. შიგ და გარეთ კედლების გაწმენდამ და გათხრებმა სხვა შედეგი მოგვცა. განსაკუთრებით ეს ითქმის ეკლესიის აღმოსავლეთის მონაკვეთზე, საკურთხევლის გვერდით ოთახებზე, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება გ. ჩუბინაშვილისა და ვ. ლეკვიანაძის მიერ შედგენილი გეგმებისაგან.

ნოქალაქევის ბაზილიკა გ. ჩუბინაშვილმა დაათარიდა V ს. ბოლოთი და იქვე გამოთქვა. მოსაზრება, რომ ლაზთა სამეფოში ქრისტიანობის მიღება 523 წელს, მეფე წათენ მონათვლით კი არ იწყება, არამედ ეს პროცესი გაცილებით ადრე მომხდარა⁹⁰. მის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას ბევრი მკვლევარი

⁸⁹ აღრეკრისტიანული არქიტექტურის შესწავლისას ბევრ მკვლევარს უღლია ავტორის რიგების რაოდენობაში დაენახა ზუსტი კანონზომიერება, მაგრამ დამაყრებელი არ არის (ამ ხასიათის ნაშრომებიდან თითქოს ყველაზე მეტი ნაშუგვარი აქვს Б о ч е в С. О. Смесената андариа в римските ранневизантискине стрезжи, София, 1952, ზოგადი დასკვნებით ავტორის ასეთი ძლიერი სარტყელი, როგორც ჩვენს შემთხვევაში, VI საუკუნეზე ადრე არ უნდა გახდებოდეს.

⁹⁰ Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о Нокалакени. — Вопросы истории искусства. გვ. 101; ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936, გვ. 30.

ლიდხანს არ ეთანხმებოდა. მაგალითად, 1958 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის პირველ ტომში ნათქვამია, რომ ეგრისისათვის ქრისტიანობას სახელმწიფო მნიშვნელობა მიეცა 523 წელს⁷¹. ეს თარიღი რომ მცდარია და ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში გაცილებით ადრეა მიღებული, ამას, სხვა მონაცემებთან ერთად, ადრეული ეკლესიების არსებობაც ადასტურებს. ამ ბოლო დროს კი მიღებულია აზრი, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება IV საუკუნეში უკვე ფაქტს წარმოადგენს⁷². როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მაშინდელ იბერიასა და ეგრისში, ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს IV საუკუნის პირველ ნახევარში მიუღიათ, იგი სახელმწიფო რელიგია გამხდარა.

ნოქალაქევის პირველი ბაზილიკა, რომელიც სამხრეთით იდგა, ჩვენ V საუკუნის შუა ხანებით დავათარიღებთ. მეორე ბაზილიკა კი აშკარად მისი დანერგვის შემდეგაა აგებული, რაც ადგილზეც კარგად ჩანს. ასეც რომ არ იყოს, სტილისტურად მაინც შეიმჩნევა მათი თანმიმდევრობა. უპირველეს ყოვლისა, ეს დასტურდება საეკლესიო ნაშენების სამნაწილიანობით, აფსიდის გვერდებზე სათავსების არსებობით და სხვ.

გ. ჩუბინაშვილი, ბოლნისის ბაზილიკისადმი მიძღვნილ კაპიტალურ მონოგრაფიაში, ვრცლად იხილავს რა ქრისტიანული რიტუალის განვითარების საკითხებს, ასევე, რომ საქართველოსა და სომხეთში ამ გვერდითი სათავსების გამოყოფა შეიმჩნევა შედარებით ადრე, მაგრამ აუცილებელი და მყარი მხოლოდ VI საუკუნეში ხდება⁷³.

დასავლეთ საქართველოს დღემდე შემორჩენილი ბაზილიკებიდან, განსაზღვრული ძეგლის გარდა, არც ერთს არა აქვს პასტოფორიები. ამიტომ ისინი, ყველა თუ არა, დიდი ნაწილი მაინც, უნდა ჩაითვალოს V საუკუნისად, ეგრისის სამეფოს ძლიერებისა და აყვავების პერიოდში აგებულად. ჩვენი განსაზღვრული ძეგლი კი მომდევნო ეპოქის, კერძოდ, VI საუკუნის პირველი მესამედისად უნდა მივიჩნიოთ⁷⁴. ამ დროს ეგრისის ტერიტორიაზე შედარებით სიმშვიდეა. უკიდურეს შემთხვევაში ეკლესიის აგება არ უნდა გადაცდეს 40-იან წლებს. მართალია, ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზეთში გაბატონებაზე ბრძოლა კარგა ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ მისი კულმინაცია იწყება 540-იან წლებში. ამ ომმა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა, დაასუსტა ეგრისი და ვფიქრობთ, დიდ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბიზანტიასა და ირანს შორის მიმდინარე ომის შესახებ თითქოს ბევრი ცნობა გვაქვს, მაგრამ მაინც ბევრი რამ უცნობია⁷⁵.

VI საუკუნის დასასრულიდან იწყება ეგრისის სამეფოს დასუსტებისა და დაშლის ხანა. მას ჭერ გამოეყო აბაზგია, რომელიც უშუალოდ ბიზანტიას დაექვემდებარა, შემდეგ თანდათანობით მან დაკარგა სვანეთი, აფშილეთი და სხვა

71 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია. I, თბ., 1958, გვ. 99.

72 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 181, 186.

73 Чубинашвили Г. Н., Болнися, с. 124—126.

74 აქ შეიძლება გავიხსენოთ წიგნს მერ 523 წ. ქრისტიანობის მიღება და მეფედ კურთხევა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი დიდი ხანია დამუშავებულია. „წათე მეფე, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე... შემდეგ, როგორც ჩანს, შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენით, ბიზანტიის იმპერატორის ვასალობა ურჩევია და ხელახლა გაქრისტიანებულა“ (ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1960, გვ. 116). ქვეყანა კი, ეგრისი, IV ს-დან ქრისტიანი იყო და ასევე დარჩა ბოლომდე.

75 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 178—179, 251—268.

ერთეულები. მალე თვით ეგრისიც მთლიანად მოექცა ბიზანტიის გავლენის ქვეშ და ბოლოს მეფობაც მოსპეს. მეფის ხელისუფლება პატრიკიოზის ანუ მთავრის ხელისუფლებით შეცვალეს. VII—VIII სს. არაბთა შემოსევებმა ეგრისი უფრო დაასუსტა. ამავე დროიდან იწყება აბაზგიის სამთავროს გაძლიერება, რომლის დროსაც ცენტრი უკვე ნოქალაქევეში აღარაა⁷⁶.

როგორც ვხედავთ, VI საუკუნის ეგრისში ძირითადად სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული პერიოდი. პირველ მესამედში სიმშვიდეა, მეორე მესამედში მამინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი ორი იმპერია იბრძვის ეგრისის დასაპყრობად და მესამე პერიოდი, როდესაც შედარებით სიმშვიდეა, მაგრამ აღარაა ძველი ძლიერება.

ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის ბაზილიკა ჩვენ VI ს. პირველ მეოთხედში აგებულად მივიჩნით, რადგან არც ძეგლის სტილისტიკური ნიშნები და არც პოლიტიკური სიტუაცია მისი აგების სხვა დროს არ გვიჩვენებს.

ნოქალაქე-არქეოპოლისზე ყველაზე მეტი ბიზანტიური წყაროები მოგვეპოვება სწორედ VI ს. შერეულ მესამედის ომებზე. ამ ცნობებში აღწერილია სხვადასხვა დროს არქეოპოლისთან ბრძოლის მომენტები, მაგრამ მის აღებაზე არსად არაფერია ნათქვამი. თუმცა თავისთავად ხარვეზები ამ წყაროებშიაც არის და თან არ არის გამორიცხული სპარსელების მიერ ქალაქის აღების შემთხვევა. შემოსევის შემთხვევაში ისინი უპირველესად ტაძარს დაანგრევდნენ. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროს ემთხვევა ბაზილიკის დანგრევაც.

სპარსელების ქალაქში შეჭრა დროებითი ხასიათისა იქნებოდა, რადგან შემდეგი პერიოდის ცნობებიდან ირკვევა, რომ ორი მოქიშვე ქვეყნიდან სწორედ ის ტოვებს არენას და ბიზანტია რჩება. ამ ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარე, ვუშვებთ, რომ ტაძრის აღდგენა უნდა მომხდარიყო VI ს. ბოლოს, ანუ უკიდურეს შემთხვევაში VII ს. დასაწყისში. დედაქალაქი მთავარი ტაძრის გარეშე დიდხანს ვერ დარჩებოდა. კედლების წყობა და აგურის შრეების მონაცვლეობაც სწორედ ამ ეპოქაზე მიგვითითებს.

გასარკვევი დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი — ესაა ტაძრის რადიკალურად გადაკეთება, ბაზილიკიდან გუმბათოვნად გარდაქმნა. ამ გადაკეთებლებმა ბაზილიკას, მართალია, უცვალეს სახე, მაგრამ ნაგებობას ვერ მისცეს დამახასიათებელი ნიშნები. გადაკეთებლების ნაწარმოებში გამოკვეთილად არაფერია მოცემული. საერთო სახე ან დეტალის ფორმა არც ერთ ეპოქაზე ზუსტად არ შეტყვევებს. ინტერიერის ფორმები უსახოა, გუმბათი დაბალი და ცილინდრული.

ისტორიული წყაროების გადასინჯვა იმაზე მეტყველებს, რომ არაბებისა და განსაკუთრებით, მურვანის ლაშქრობა დაუნდობელი იქნებოდა არა მარტო მოსახლეობის მიმართ, არამედ ნაგებობებისა და განსაკუთრებით ეკლესიების მიმართაც⁷⁷. ამაზე ვახუშტისთან ვკითხულობთ: „ნოქალაქევი, ციხე-გოჭად წოდებული... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჯრდა ქალაქი“. ვფიქრობთ, მეორე პერიოდის ბაზილიკა შეეწირებოდა არაბთა ლაშქრობას, ხოლო მისი აღდგენა VIII—IX საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, რადგან იმავე ვახუშტის ცნობით, ქალაქმა ერთხანს კიდევ გააგრძელა ცხოვრება.

⁷⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 416—417.

⁷⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა ეგრისის ქვეყნისა. — ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 777.

როგორც ვნახეთ, ნოქალაქევეში აღმოჩენილი და აქ განხილული ეკლესიები დიდი მნიშვნელობისაა ბაზილიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის გზის დასადგენად, ამავე დროს, თვით ნოქალაქევის, ეგრისის სამეფოს, დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის. მათ გამოვლინებას და დათარიღებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მიღების ახლებური თარიღის (IV ს. პირველი ნახევარი) საფუძვლის განმტკიცებისათვის.

2. სფიითის ბაზილიკა

აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთის „მთავარანგელოზის“ ეკლესია მდებარეობს აბაშა-მარტილის გზატკეცილის ნაპირას, სოფლის მოქმედ სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომელზეც ჭერ კიდეც 1914 წელს წერდა ე. თაყაიშვილი, როგორც სამეგრელოს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას⁷⁶.

სეფიეთის ბაზილიკა, მართალია, საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ ვადაკეთების გამო საფუძვლიანადაა სახეცვლილი.

ძეგლის შესწავლის დაწყებისას, მიზნად დავისახეთ მისი გაწმენდა როგორც ინტერიერში, ისე ფასადებზე. იმავე დროს რესტავრატორებს ჩავატარებინეთ ფრესკების გაწმენდა და კონსერვაცია⁷⁷.


გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის კედლების გვიანი ნაწილის მოხსნით ძეგლმა არსებითად განსხვავებული სახე მიიღო. მართალია, ვადაკეთებების გამო კიდეც რჩება რაღაც გაურკვეველი, მაგრამ ძირითადად ყველაფერი თავის ადგილზეა. ნაწილის მოხსნის შედეგად თავდაპირველი ფორმების გამოვლენამ ქართული არქიტექტურის ისტორიას ახალი ძეგლი შესძინა.

სეფიეთის „მთავარანგელოზის“ ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას ცილინდრული ფორმის შვერილი აფსიდით (სურ. 68—71). ეკლესიის გეგმა, აფსიდის გარდა, თითქმის კვადრატულია. ცენტრალური ნავი, რომელიც გვერდის ნავეებზე მცირედ მალაღია, სივანით მათზე თითქმის სამჯერ განიერია. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკუროთხევლის აფსიდით თავდება. ცენტრალურ და გვერდით ნავეებს ერთმანეთთან აერთებს სამ მასიურ სვეტზე დაყრდნობილი, ორსართულიანი თაღები. სვეტები მარტივად პროფილირებული კაპიტელებითაა დამთავრებული. გვერდითი ნავეები ორსართულიანი ყოფილა, მეორე სართული პატრონიკნისთვის იქნებოდა განკუთვნილი. ინტერიერი საფუძვლიანადაა გადაკეთებული. ცენტრალური და ჩრდილო ნავეების გამყოფი შუა ორი თაღი ამოშენებულია, დატოვებულია მხოლოდ გასასვლელები კედლის ბოლოებში, ისიც ფორმაშეცვლილად, ამ მხარეს მთლიანად ამოშენებულია პატრონიკნის თა-

⁷⁶ ექ. თაყაიშვილი, სეფიეთი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წ. II, ტფ., 1914, გვ. 33.

⁷⁷ ძეგლის ინტერიერის გვიანი შეღისილობისაგან გაწმენდა, ფრესკების გამაგრება და კედლებზე გარედან მიყრილი მიწის მოცილება ვიზოვით ძეგლსა და ცუცის მთავარ სამმართველოს. სამმართველოს თანამშრომლებმა — შატავარ-რესტავრატორმა გურამ კვიციანი, თემურ ჯაფარიძემ და არქიტექტორ-რესტავრატორმა ნესტან თათარაშვილმა, — მათზე დაქირებული საბუთაობები მალად ღონეზე შეასრულეს, რის გამოც მათ გულითად მადლობას ვუხდით.

ლებიყ. გაწმენდის შედეგად ჩრდილო კედელზე მხოლოდ ერთი, აღმოსავლეთიდან მეორე, თალის ნაქერი აღმოჩნდა. კედლის დანარჩენი სიბრტყე ძველის დანგრევის შემდეგ, გვიანაა ამოყვანილი. ახალ კედელში, როგორც ცენტრალური, ისე გვერდის ნავის მხრიდან, გამოყენებულია დიდი, სუფთად გათლილი ქვები. ეს მასალა სრულიად განსხვავდება ადრეული წყობის მასალისაგან. როგორც ჩანს, ამ კედლის დასავლეთი ნაწილი მთლიანად ახალია.




სურ. 68. სეფეთი. ეკლესიის პირველი სართულის გეგმა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთით (სურ. 70). ცენტრალურ ნავსა და სამხრეთ ნავს შორის სამი თალია შემორჩენილი, ხოლო გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა მეოთხის, ამოშენებული თალის საყრდენის ნაქერები. თვით თალი კი მთლიანად შემორჩენილია სამხრეთი ნავის მხრიდან. რაც შეეხება ამ მხარის პატრონიკეს თაღებს, აქ ისინი დღემდე კარგადაა შემორჩენილი. ცენტრალურ ნავს, აფსიდასთან ერთად, პორიზონტალური სარტყელი შემოუყვება. აფსიდაში სარტყლით კონქია გამოყოფილი, ხოლო ცენტრალურ ნავს პატრონიკეს იატაკის დონეზე გაუყვება.

ცენტრალური ნავი გადახურულია უფორმო ისრისებრი კამარით (სურ. 71). კამარა, ისევე როგორც მისი საბჯენი ორი თალი, უფორმოა და შესრულებულია დაბალი ოსტატობით. ამკარაა, რომ თავდაპირველი კამარა ჩანგრეულია და მთლიანად ხელახლა ამოუშენებიათ. როგორც ჩანს, კამარის ჩანგრევამ გამოიწვია ჩრდილოეთის პატრონიკეს დანგრევა.

საკურთხევლის აფსიდა წრიული მოხაზულობისაა. კონქქვეშა სარტყელი პროფილირებული ქვისაა. აფსიდის სამხრეთის ბოლო ქვა კაპიტელივით იკითხება, ამიტომ მასზე ხუროთმოძღვარს ვარდულები გამოუსახავს. საკურთხეველს ამჟამად ორი სარკმლით ნათდება. ამათგან ერთი გაჭრილია აფსიდის სამხრეთ ნაწილში, ხოლო მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთით. სარკმელთა თაღები სხვადასხვაანაირია: ჩრდილო-აღმოსავლეთისა ორმკვეხურიანია, ხოლო მეორე კი — სადა. ე. თაყაიშვილი რატომღაც აფსიდაში სამ სარკმელს აღნიშნავს, შემდგომი ჩაშენების ამოღებამ გვიჩვენა, რომ სამხრეთის სარკმელი თავდაპირველია, მხოლოდ გადაკეთების დროს გვერდი ამოუშენებიათ, დაუვიწყრე-

ბიათ, სინამდვილეში კი სარკმელი ფართოა, პარალელურწირთხლებიანი, აგურის ნახევარწირიული თალით. ჩრდილოეთით აშკარად გამოჩნდა ძველი სარკმლის ერთი წირთხლის ნაწილი, მაგრამ გვიანი ფრესკის გამო ვერ გავხსენით ბოლომდე, ამიტომ მეორე მხარის დაფიქსირება ვერ მოხერხდა. აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ამჟამად არსებული სარკმელი აშკარად გვიანდელია ფორმით (შიგნით განიერდება, რითაც არ შეესაბამება სამხრეთის პარალელურწირთხლებიანს), ასევე შეუფერებელ ადგილზეა გაჭრილი. მესამე სარკმელი, ყველა ნიშნით, ცენტრში უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ ორსაფეხურიანი ღრმა წრიული ნიშაა, რომლის მოხატულობა (ნიშაში გამოსახულია წმინდა ნინო, რომელიც ჭერჭერობით ერთადერთია დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა საკურთხევლებში) არ გვაძლევს კედლის შეღესილობის გახსნის საშუალებას. ცენტრალური ნიშის ქვედა, მოუხატავი ნაწილის გახსნისას დავრწმუნდით, რომ აქ ნამდვილად პატარა ზომის ნიშა ყოფილა. შესაძლოა, სწორედ ამ ნიშის ზევით იყო გაჭრილი სარკმელი, რომელიც შემდეგ ამოშენეს. წმინდა ნინოს გამოსახულებიანი დიდი ნიშის თაღს ისეთივე პროფილი აქვს, როგორც სვეტების, კონქისა და აფსიდის გამოყოფ სარტყელს. მიუხედავად იმისა, რომ ფასადს გვიანი ნალესობა მოვაცილეთ, აქ სარკმლის ნაშთი მაინც არ გამოჩნდა.



სურ. 69. სეფიეთი. ეკლესიის მეორე სართულის გეგმა.

საკურთხეველი დარბაზის იატაკიდან 20 სმ-თაა აწეული. საკურთხეველსა და ცენტრალურ ნავს XX ს. დასაწყისის ხის კინკელი ყოფს. ე. თაყაიშვილს უნახავს პატარა სვეტის ბაზა და აღნიშნავს, რომ ეკლესიას უწინ ქვის განკელი-ქქონია⁸⁰.

გვერდის ნაევები, როგორც აღვნიშნეთ, ორსართულიანი ყოფილა. პირველ სართულს აგურის ცილინდრული კამარა ქქონია. ხოლო მეორე სართული გამბრჭყენი თაღების საშუალებით ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი. ნაევების აღმოსავლეთის ბოლოები თაღებითაა გამოყოფილი, შიგნით ისინი გეგმით კვადრატ-

⁸⁰ ე. თაყაიშვილი, შთ. ნაშრ. გვ. 34.


ტული სათავსებია. ეს თაღიანი შესასვლელები დაზიანებულია; მათი იატაკი ჩანგრეულია, საიდან იყო ასასვლელი მეორე სართულზე, დღეს არ ჩანს.

მეორე სართულის ოთხი ნაწილიდან, თითოეული ჭვაროვანი კამარით ყოფილა გადახურული. მათგან შემორჩენილია სამხრეთის ნაგის ჭვაროვანი კამარები და ჩრდილოეთის ნაგის აღმოსავლეთის კვადრატული მონაკვეთი მცირედ სახეცვლილი.

ეკლესიის ცენტრალურ ნაგში იატაკი სხვადასხვა ზომის თლილი ქვითაა მოფენილი, რომელთაგან სამი საფლავის ქვაა.

დასავლეთის მხრიდან შუა ნაგს სამი დიდი სარკმელი აქვს. მათი გადაკეთებები კარგად ჩანდა ძეგლის გაწმენდამდეც, ხოლო ახლა კი დანამდილეებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვედა დონეზე გაჭრილი სარკმლები დაეწროებულია, ხოლო მესამე, შუა თიქმის ამოქოლილია, მხოლოდ პატარა დიობია დატოვებული.

ამავე ფასადზე, გვერდით ნაგებს მეორე სართულის დონეზე აქვთ თითო პატარა სარკმელი, რომელთაგან ჩრდილოეთისა გვიანდელია, ხოლო სამხრეთისა გაწმენდამ გამოავლინა. აქ იყო თაღიანი დიდი სარკმელი, რომელსაც შემდეგში გვერდები ამოუშენეს, დააპატარავეს. ამავე ფასადზე სამხრეთის ნაგის პირველ სართულზეც გამოვლინდა თაღიანი სარკმლის წირთხლები. ასეთივე თითო სარკმელი ჰქონია ორივე ნაგს აღმოსავლეთის მხარეს, პირველი სართულის დონეზე. ეს ორივე სარკმელი გვიან ამოუშენებიათ.



სურ. 70. სეფიეთი. ეკლესიის განაკვეთი სამხრეთით.

ორივე ნაგს პირველ სართულზე, გვერდითი ფასადების დასავლეთ მონაკვეთებში თითო სარკმელი აქვს. სამხრეთისა მთლიანად ამოქოლილია (ეს სარკმელი ე. თაყაიშვილის აქ ყოფნის დროს, 1913 წ. ჯერ კიდევ არსებობდა, ვინაიდან თავის აღნიშნულ ნაშრომში მოხსენებული აქვს), ხოლო ჩრდილოეთის ფასადის სარკმლის დასავლეთის წირთხლი ძველია, გარკვევით იკითხება აგურის წყობა, თაღის ქუსლი და თაღის გადაყვანილი სამი აგური. ეს სარკმელი ფორმით სწორკუთხაა, მხოლოდ ფასადისკენ გვიანდელი ჩაშენებებით მრუდდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არის ერთი წინააღმდეგობაც, თუ ამ სარკმელს ძეგლის თავდაპირველი ფენის თანადროულად ჩავთვლით, გადახურვის ჭვაროვანი კამარის კვადრატი, რომელიც სამხრეთის სიმეტრიული იქნებოდა, აქ აღარ თავსდება (ამეამად ძველის წარმოდგენა ძნელდება).

ცენტრალურ ნავს მალა გვერდითი სარკმლები არა აქვს. ნავების სიმაღლეთა მცირე განსხვავება აქ სარკმლების მოთავსების საშუალებას არ იძლევა. ბაზილიკას ამჟამად სამი შესასვლელი აქვს — დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ამათგან მთავარი დასავლეთისაა, სადაც ახლა მინაშენის გავლით ვხვდებით. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კარი თავდაპირველია, სამხრეთის კი — შემდეგშია გაჭრილი. კედლების ნალესობისგან გაწმენდისა და შიგნით და გარეთ მიწის მოცილების შემდეგ დადგინდა, რომ ეკლესიას ორივე გრძივ ფასალზე ორ-ორი კარი ჰქონია. მთლიანად გაიწმინდა ყველა კარის წირთხლები.

ცენტრალური ნავის დასავლეთის კარი, ბაზილიკის მთავარი შესასვლელი, საკმაოდ ფართოა. კარი გადახურული ყოფილა, შიგნით ლუნეტი. ლუნეტი ამჟამად ამოშენებულია. აქვს დიდი ზომის სუფთად გათლილი ზღურბლის ქვა, რომლის მთელ სიგრძეზე ამოკვეთილია წრეში ჩასმული ექვსკუთრა ვარდულები. ზღურბლის ქვაზე შეიღი ვარდულია, ორი ნაპირზე წაშლილია, ხოლო არქიტრაზე კი რვაა. მათ ცენტრში წრეში ჩაბატულია ტოლქლავა ჯვარი. ასეთივე ვარდულებია გამოსახული ახლახან მიკვლეულ სამხრეთის ნავის აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე კარის ზღურბლზე, აფსიდის თაროს განაპირა ქვებზე, ცენტრალურ ნავში პატარა ქვის ფრაგმენტზე (იგი იმერებს კედლებზე გამავალი სარტყლის პროფილს). აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ქვის კაპიტელი, რომელიც მარტივის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული და ამ ორიოდე წლის წინ სეფიეთიდანაა წაღებული (ტაბ. XLVI—2). ამ კაპიტელის ოთხკუთხა თავზე ყველა მხრიდან ამოკვეთილია კომპოზიცია: შუაში ოთხკუთხედში ჩასმული ტოლქლავა ჯვარი, აქეთ-იქით კი წრეში ჩასმული ექვსკუთრა ვარდულები. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა, მის მასშტაბს ეფიეთის ახლანდელ არქიტექტურას ვერაფრით ვუკავშირებთ (ალბათ, თავდაპირველად, ბაზილიკის გარდა, აქვე სხვა შენობებშიც იდგა).

სეფიეთის ბაზილიკა დეკორით ღარიბია. ინტერიერში ერთადერთი ელემენტია ზემოთ აღნიშნული პროფილირებული ქვის სარტყელი (სარტყლის სისქე 14 და 10 სმ), რომელიც აფსიდას კონქის ქუსლის დონეზე შემოუყვება, ხოლო ცენტრალურ ნავს ზოლად მიჰყვება. იგივე პროფილი მეორდება ბოძების ემპოსტებზე. ეს სარტყელი ნახევარწრიულ ფორმას იღებს მხოლოდ დასავლეთის კარის ლუნეტის მალა და აფსიდის ცენტრალური ნიშის თავზე.


ეკლესიის კედლები გვიანი დროის ფრესკებითაა მოხატული. მხატვრობა შემორჩენილია საკურთხეველში, შუა ნავის კედლების ზემო ნაწილში, კამარაზე და დასავლეთ მინაშენში. ფრესკები ე. თაყაიშვილის დროსაც კიდ მდგომარეობაში ყოფილა. ფრესკებთან ერთად ე. თაყაიშვილი მოიხსენიებს ასომთავრულ წარწერასაც, რომელიც დღესაც არსებობს, მაგრამ თითქმის გადარეცხილია. აღმოსავლეთის ფანჯრის თავზე წარწერაა: „დახატა ეკლესია ესე კაპალაქმა ჰყონდიდელმა ზოსიმე. შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ“.

როგორც ე. თაყაიშვილი გვაცნობს, თვით ჰყონდიდელი ზოსიმე კაპალაქე ყოფილა დახატული მარტივის დასავლეთის ექვტერში, მაგრამ სურათი სულ დაღუპულა და მარტო თავი მოჩანსო. ზოსიმე ჰყონდიდელს დაახლოებით XVII საუკუნეში უცხოვრია⁸¹.

სეფიეთი მანამდეც ყოფილა მოხატული, მაგრამ მხატვრობა დროთა ვითარების გამო მთლიანად გაფუჭებულია და ზოსიმეს მეორედ მოუხატავს. ამის

⁸¹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

შესახებ ცნობა მოიპოვება ექვტერის ფრესკის წარწერაში. პირველად ტაძრის მომხატველი ყოფილა აბრამ კილაძე (ალბათ, კილაძეები იმ დროს სეფიეთსაც ფლობდნენ). ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „... და ესე კილაძემა აბრამი, მერმე მე კყონდიდელმან ზოსიმე კობალაძემან დავახატვინე ესე, აწინა⁸².



სურ. 71. სეფიეთი. ეკლესიის განაკვეთი აღმოსავლეთით და დასავლეთით.

⁸² ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

სეფიეთის ბაზილიკაში ოთხი წარწერიანი ქვაა. ორი მათგანი, ასომთავრულით შესრულებული, სულ ცოტა ორჯერაა გამოყენებული. ეს ორი ქვეერთმანეთის გვერდით ყოფილა რომელიღაც შენობაში, შემდეგ კარის ზღურბლად გამოყენებით (ამოჭრილია ფოსოები კარის ქუსლებისათვის). შემდეგში ამ ქუსლებზე ასომთავრული წარწერა ამოუჭრიათ. წარწერა ცუდად არის შესრულებული, კვეთა არ არის ღრმა, ამასთან, ძალზე გაცვეთილია. იგი ცუდად იკითხება⁸³. ვ. სილოგავა ასე კითხულობს ამ წარწერას: „მე დიდმან მახსურთუხუცესმან... შეილმან პეტრე... უხუცესმან... პატრონმა... უნდილმან და ცოდვილმან პავლემან... ჩვენ ორი“. სეფიეთის ბაზილიკაში ეს ორი ქვა ცალ-ცალკეა გამოყენებული. ერთი მათგანი ცენტრალური ნავის იატაკზეა დანგებული, ხოლო მეორე დასავლეთის ექვტერის ჩრდილოეთ ფასადშია ჩასმული (ქვების ზომებია: 175×90 სმ და 175×80 სმ).

ვ. სილოგავას აზრით, ეს ასომთავრული წარწერები არაუადრეს XV საუკუნისაა.

ამ ასომთავრული წარწერიანი ქვებისათვის ექ. თაყაიშვილსაც მიუქცევია ყურადღება. იგი აღნიშნავს, რომ ისინი არიან „უშნო ასომთავრული წარწერით... წარწერა ისე გაფუჭებულია, რომ ამოკითხვა მთელი აზრისა შეუძლებელია, განირჩევა მხოლოდ ცალკე ასოები“.

მესამე ქვა ბერძნული წარწერითაა და ჩაშენებულია სამხრეთის ნავის მეორე იარუსის, აღმოსავლეთიდან მეორე თალის ძირზე, ცენტრალური ნავის მხარეს. (ტაბ. XLVII—1). თავდაპირველად საღ იყო ეს ქვა და აქ როგორ მოხვდა, ესეი სათქმელია, ბერძნული წარწერა, რომელიც გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმა⁸⁴, შემდეგი შინაარსისაა:

„წმინდაო სტეფანე ყველა წმინდანებთან ერთად იშუამდგომლე მონისა ფილოკტისტესათვის და ყოველთა მის ცოდვათათვის“⁸⁵. ტექსტში ისტორიული პირნი არ არიან მოხსენიებულნი.

თ. ყაუხჩიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „წარწერა ალბათ თანამედროვეა, ამ ადგილას ეკლესიის პირველად აგებისა. შესაძლებელია ადრე აქ წმინდა სტეფანეს ტაძარი იყო (თუ თვით ეს არა, მის მახლობლად რომელიმე, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ქვაც თავისი წარწერით)“⁸⁶. წარწერა დათარიღებულია VI—VII სს-ით.

ეკლესიაში და მის გარშემო გათხრებმა 1989 წ. ბერძნულწარწერიანი ქვის ერთი ფრაგმენტიც აღმოაჩინა (ტაბ. XLVIII—2). ხოლო ეზოს გათხრა არ ხერხდება, რადგან აქ მოქმედი სასაფლაოა. ახალ წარწერას თ. ყაუხჩიშვილი ასე კითხულობს: „სალოცველად მონისა კლიმენტისა და ყოველთა ნათესაეთა მისთა“. ამასაც ავტორი VI—XVII საუკუნეებით ათარიღებს.

სეფიეთის ბაზილიკა ნაგებია შერეული წყობით. საშუალო ზომის ქვების ოთხი-ხუთ რიგ საპირე წყობას მოსდევს ზუთაგურიანი ჰორიზონტალური ზოლები, რაც კარგად გამოჩნდა ინტერიერსა და ფასადებზე, ახლანან ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ (ტაბ. XLV). კედლების ასეთი წყობა

⁸³ ვ. სილოგავას წარწერა უნახავს დიდი ხნის წინ. ამოუკითხავს იგი, მაგრამ ჯერ არ გამოუცია. ჩვენს თხოვნაზე, კონსულტაციის გაწევის შესახებ, სიამოვნებით გამოგვიხმაურა. რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხნებთ.

⁸⁴ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 89—91.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იქვე.

ენობილია opus mixtum სახელით. იგი ჩაისახა და ფართო გავრცელება პირა იმპერატორთა ხანის რომაულ მშენებლობაში. შენობებში ამ ტექნიკას მკაფაო თაუდნენ ბიზანტიის ნაგებობებშიც. საქართველოში ასეთ წყობას აღწაბლენენ გერისშიც. ბაზილიკის გვიანდელი გადაკეთებების დროს წყობაში კამოყენებულია სუფთად გათლილი დიდი ქვები. ასეთი ქვები გამოყენებულია დასავლეთის მინაშენის წყობაშიც. მათი წარმოშობა, ზემოთ განხილულ წარწერაშია ქვებთან ერთად, დაუდგენელი რჩება. ბუნებრივია, სეფიქთას საარქონტო სა-მუშაობისათვის არავინ გათლიდა ამოდენა ქვებს და უსისტეზოდ არ გადუნტავდა კედლებში. იგი იქვე ახლოს მდგარი სხვა შენობის ნანგრევებდანაა წამოღებული.

ბაზილიკის ჩრდილოეთ ფასადზე, კარის აღმოსავლეთით, კონტრაფორსის 50 სმ-იანი სიმაღლის ფრაგმენტი შემორჩენილი. სამხრეთ ფასადის გაწერვ გაკეთებულმა თხრილმა ასეთივე კონტრაფორსის ფრაგმენტი გამოაღუნა. ეს კონტრაფორსები ერთ ხაზზე დგეს.

ასეთივე კონტრაფორსები ექსპედიციის მიერ გამოვლენილი რქნა ნოქალაქევის სამნაეიან ბაზილიკაშიც (სურ. 59). როგორც ეტყობა, ასეთი კონსტრუქციული ხერხი მაშინდელი ოსტატების მიერ გამოყენებული იყო კამარების გამბჯენი ძალების ნეიტრალიზაციისათვის⁸⁷.

ეკლესიის კარნიზი გვიანია. აგურები დაწყობილია კბილანებად, როგორც ამას ვხვდებით გვიან საუკუნეებში. თავდაპირველი სახურავი არ ჩანს. ძეგლი ზოლო დროს გადახურული ყოფილა „მარსელის კრამიტით“, რომლის ფრაგმენტები ახლაც შემორჩენილია. 1954 წ. ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს, სახურავი მთლიანად გამოცვალეს. მინაშენის გადახურვა ხის კონსტრუქციაზე დააყრდნეს. 1988—1989 წლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაობის დროს ეკლესია მთლიანად სპილენძით გადახურვინეთ. დასავლეთის კარიბჭეს კი კამარა ბეტონით აღუდგინეს. ექ. თაყაიშვილი სახაურავის კეხზე ცხვრის თავის ქანდაკებას აღნიშნავს, რომელიც დღეს აღარ ჩანს.

ეკლესიის ცოკოლი, რომლის მიკვლევისაც გათხრების საშუალებით ვცდილობდით, არ აღმოჩნდა. კედლები საძირკველიდან ერთ ვერტიკალზე აღმართული, რაც იშვიათია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩატარებულმა გაწმენდითმა სამუშაომ მეტად მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზისათვის.

სეფიქთის ეკლესია საფუძვლიანადა გადაკეთებული. შეცვლილია მისი ინტერიერი და ფასადებიც, მაგრამ ახლად მოპოვებული მასალა საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლებად აღვადგინოთ მისი პირვანდელი სახე. ესაა სამნაეიანი ბაზილიკა, შვერილი წრიული აფსიდითა და ორსართულიანი გვერდითი ნავეებით.

ბაზილიკები დამახასიათებელია როგორც საერთოდ აღრეფეოდალური ხანის ქრისტიანული სამყაროსათვის, ისე დასავლეთ საქართველოსათვის. ასეთებია: ნოქალაქევის ორი ბაზილიკა, ბიჭვინტის ორი ბაზილიკა⁸⁸, ციხისძირი

⁸⁷ თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, — ნოქალაქევი-არქეოოლისი, წ. II, 1987, გვ. 96, სურ. 15.

⁸⁸ ი. ციცი შვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, — დიდი პიტონტი, II, თბ., 1977, გვ. 100—101, სურ. 7, 9, 16.

(პეტრა)⁸⁹, განთიადი⁹⁰, ვაშნარისა⁹¹. და ცაიშის⁹² ბაზილიკა, რომელიც XIII ს. გადაკეთდა გუმბათოვან ტაძრად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ყველა ბაზილიკა აგებულია V—VI სს..

აქ ჩამოთვლილი ბაზილიკებიდან მხოლოდ სამია შემორჩენილი, დანარჩენი გათხრების შედეგადაა მოპოვებული. ამ უკანასკნელებიდან დარჩენილია მხოლოდ საძირკვლები, ან უკეთეს შემთხვევაში, კედლები ცოკოლის დონემდე. ხოლო ის ბაზილიკები, რომლებიც მიწის ზემოთ იდგნენ (სეფიეთი, ნოქალაქევი, „ორმოცმოწამეთა“ და განთიადი), ისე ძლიერაა გადაკეთებული, რომ მათი თავდაპირველი სახე ძნელად თუ აღდგება.

დასავლეთ საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილი ბაზილიკებიდან სეფიეთს განასხვავებს წრიული აფსიდა და ორსართულიანი გვერდის ნაეები. წრიული აფსიდა გვხვდება განთიადის (ყანდრიშის) გვერდის ნაეების დამამთავრებელ აფსიდებში, მაგრამ იქვე ცენტრალური აფსიდა წახნაგოვანია. ორსართულიან გვერდის ნაეებს ვარაუდობს ამავე განთიადის ბაზილიკაში ვ. ლექვიანაძე⁹³, მაგრამ, ლ. რჩეულიშვილის აზრით, ძეგლის მონაცემები არ იძლევიან ამგვარი ვარაუდის საშუალებას⁹⁴.

შვერილი აფსიდების წარმოშობისა და გავრცელების საკითხი განხილული აქვს გ. ჩუბინაშვილს. მან აღნიშნა საქართველოში სად და რა დროსაა ეს ფორმა გავრცელებული და რამდენ ხანს იყენებდა მას ქართველი ოსტატი. სწრაფი ეს ფორმა ერთეულების სახით თუ გვხვდება, ხოლო წინა აზიის სხვა ქვეყნებისათვის იგი დამახასიათებელია⁹⁵.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ასეთი ფორმის გაჩენა აფხაზეთსა და სამეგრელოში შესაძლოა ყველაზე მეტად დაუეკავშიროთ ბიზანტიის გარკვეულ გავლენას⁹⁶.

შვერილი აფსიდები, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოშიც წარმატებით გამოიყენება. ბაზილიკებიდან შვერილი აფსიდები აქვს ბოლნისის სიონს⁹⁷, ბოდბეს⁹⁸, სანაგირეს (ვაზისუბანთან)⁹⁹, ერწოს¹⁰⁰, ქვემო ბოლნისს¹⁰¹, თბილისის

⁸⁹ Леквинадзе В. А., О постройках Юстиниана в Западной Грузии. — Византийский временник, т. 34. М., 1973, карт. 4, 5.

⁹⁰ იქვე. სურათი 8; Хрушкова Л. Цандрипш. Сухуми, 1985 გვ. 15—60.

⁹¹ Леквинадзе В. А., Материалы по монументальному строительству в Лазике. — საქ. საზ. მუზეუმის მოამბე. ტ. XXII. 1961, სურ. 9, 10.

⁹² ვ. ზაქარაია, ცაიშის ზუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1951, სურ. 2.

⁹³ Леквинадзе В. А., О постройках, с. 181.

⁹⁴ Рчеулишвили Л. Д., По поводу интерпретации архитектурных памятников как исторических документов. — მაცნე, № 4 თბ., 1975, გვ. 182—193.

⁹⁵ Чубинашвили Г. Н., Болнис, 1940, с. 127.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე, სურ. 1.

⁹⁸ Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, с. 84.

⁹⁹ იქვე, გვ. 124.

¹⁰⁰ ა. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, ტაბ. VIII, სურ. 2.

¹⁰¹ Чубинашвили Г. Н., Церковь близ селения Квемо Болнис. — Вопросы истории искусства, т. I, с. 104.

მეტეხს¹⁰² და სხვ. ამ ბაზილიკებიდან მხოლოდ ერწოს აქვს წახნაგოვანი აფსიდა, დანარჩენებს, ისევე როგორც სეფიეთს, ნახევარწრიული.

შვერილ წრიულ აფსიდებს გ. ჩუბინაშვილი აღრეულ ეპოქას უკავშირებს და წერს:

„Выступающие наружу полукругом абсиды известны только в древнейшую эпоху. Такова абсида Болнисского Сиона (478—493). Такова абсида церкви в старом Гавази и Ниноцминдского собора половины VI века, в базилике монастыря св. Нины в Бодбе“¹⁰³.

სეფიეთის ბაზილიკის საკურთხეველი ერთნაწილიანია. მას არა აქვს გვერდის სათავსები. დასავლეთ საქართველოს დღემდე შემორჩენილი ბაზილიკებიდან, ნოქალაქევის „ორმოცმწამეთა“-ს გარდა, არც ერთს არა აქვს ეს გვერდის სათავსები. განთიადის ბაზილიკის გვერდითი ნაეების აღმოსავლეთ ნაწილები სიგანით გამოყოფილია, რის საფუძველზეც ძეგლის გამომცემი ვ. ლეკვიანიძე მას პასტოფორიებად მიიჩნევს¹⁰⁴. ლ. რჩეულიშვილის აზრით, განთიადის ბაზილიკას პასტოფორიები არა აქვს¹⁰⁵. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, რადგანაც პასტოფორიები, ჩვეულებრივ, დახურული სათავსებია. განთიადში კი გვერდის ნაეები აღმოსავლეთის მხარეს მხოლოდ მცირედაა გამოწეული, რის შედეგადაც არავითარი დახურული სათავსი არ იქმნება. ასევე ფიქრობს ამ საკითხზე განთიადის ახლახან გამომცემი ლ. ხრუშოვაძე (მით. ნაშრ., გვ. 18). გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის ბაზილიკისადმი მიძღვნილ კაპიტალურ მონოგრაფიაში ვრცლად იხილავს ქრისტიანული რიტუალის განვითარების საკითხებს და ამბობს, რომ საქართველოსა და სომხეთში ამ გვერდითი სათავსების გამოყოფა შეიმჩნევა შედარებით აღრე, მაგრამ აუცილებელი და მყარი მხოლოდ VI ს. ხდება¹⁰⁶.

აღმოსავლეთ საქართველოს აღრეფეოდალური ხანის ბაზილიკებიდან სამნაწილიანი საკურთხეველი აქვთ VI ს. დასაწყისში აგებულ ანჩისხატის ეკლესიას¹⁰⁷ და იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ურითუბანს¹⁰⁸ (ასეა ბოდბეშიც, მაგრამ აქ შეიძლება სხვა მიზეზებიც იყოს); ურბნისს¹⁰⁹, კაწარეთის სამებას¹¹⁰, ხირსას¹¹¹, ნატკორას¹¹² და კონდოლს¹¹³ თითქოს სამნაწილიანი საკურთხეველი აქვს, მაგრამ სინამდვილეში აფსიდის გვერდებზე სათავსები კი არ არის, არამედ ღია უბეებია, ამ ძეგლებში საკურთხეველი გარედან ერთ მთლიან სწორკუთხედშია ჩასმული, შიგნიდან ამ გვერდითი ნაეების გაგრძელებაზე იქმნება უბეები.

102 ვ. ბერიძე, რ. შეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შვერლინ გ. თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, სურ. I.

103 ყუბინაშვილი გ. ნ. Архитектура Грузии.—ВИА. ტაბ. III. სურ. 26—1.

104 Леквиладзе В. А., О постройках Юстиниана в Западной Грузии.—Византийский временник, т. 34, с. 184—185.

105 Рчеулишвили Л. Д. დასახ. ნაშრომი. გვ. 133.

106 ყუბინაშვილი გ. ნ., Болнися, с. 124—126.

107 რ. გვერდწიეთელი. ანჩისხატის რესტავრაცია. — ძეგლის მეგობარი. VI. თბ., 1966, გვ. 37—42.

108 ყუბინაშვილი გ. ნ., Архитектура Кахетии, с. 81.

109 ვ. ზაქარაია, ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 113.

110 ყუბინაშვილი გ. ნ., Архитектура Кахетии, с. 56.

111 იქვე, გვ. 70.

112 იქვე, გვ. 66.

113 იქვე, გვ. 68.

როგორც აღვნიშნეთ, სეფიეთის ბაზილიკას არა აქვს გვერდითი სათავსები, მაგრამ მეორე საბრუნავის აღმოსავლეთი ნაწილები კარებითაა გამოყოფილი. შეიძლება ეს იყო ცდა მათი დამხმარე დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად. ამ პერიოდისათვის ქრისტიანული რიტუალი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო და შეიძლება ამგვარი გადაწყვეტაც დაეწესებინათ.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების პროპორციები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მკვეთრად განსხვავებულია მათი სიგრძე, რასაც ვერ ვიტყვით სიგანეზე, რომელიც მეტ-ნაკლებად მსგავსია. სიგრძის მიხედვით აღნიშნული ძეგლები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფში შედგება ციხისძირი, ბიჭვინტა და ნოქალაქევი I, ხოლო მეორეში — სეფიეთი, ვაშნარი და განთიადი. მათ ზომებს თუ უაფსილოთ ავიღებთ, ამ უკანასკნელთა სიგანე მეტია სიგრძეზე, სეფიეთის ბაზილიკის სიგანე 12,4 მ-ია, ხოლო სიგრძე უაფსილოთ — 10,5 მ, ვაშნარში სიგრძე-სიგანე თითქმის ტოლია, ხოლო განთიადში მცირედ სქარბობს სიგანე¹¹⁴.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებიდან ნაწილი მეტად წაგრძელებული ფორმისაა, ნაწილი ნაკლებად (ვეჯლისხმობთ მთავარ კორპუსს აფსიდის გარეშე), ზოგის გვემა კვადრატულია (ვაშნარი), ზოგის კი კვადრატისაა მიახლოებული (სეფიეთი, განთიადი, ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთა“). არქიტექტურის ისტორიაში ცნობილია, რომ ბაზილიკის ტიპი საქართველოში შემოტანილია, ამის გამო შენობის წაგრძელებულ ფორმას შეგნებულად ხაზი არ ესმებოდა, მაგრამ ქართველი ხუროთმოძღვრები ბოლომდე ყოველთვის მაინც არ იცავდნენ ამ პრინციპს. ტრადიციულად ქართულ არქიტექტურაში მიღებული იყო ცენტრალური გადაწყვეტა, რომელიც ამ წაგრძელებულ კომპოზიციებს ეწინააღმდეგებოდა. გ. ჩუბინაშვილი ამის შესახებ წერს: „Вместо подчеркнутой продольной оси здания, он стремится в длинном по природе своих форм здании затушевать, скрасить это восприятие продольности и по возможности разными средствами... воздействовать симультанному восприятию всего пространства. Другими словами здесь подсознательная борьба двух различных тенденций своей национальной, традиционно развивавшейся еще формы центрального пространственного восприятия, так сказать, пространство с центральной осью, и чужой по пропагандируемой... церкви“¹¹⁵.

სეფიეთის ბაზილიკის ცენტრალური ნაეი მცირედაა ამალელებული გვერდის ნავებთან შედარებით და მას გრძივ კედლებზე სარკმლები არა აქვს. ამასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, მისი გვემა მკვეთრად დამოკლებულია. ვ. ლეჟინაძე განთიადის ბაზილიკის განხილვის დროს აღნიშნავს, რომ ბაზილიკის სიმოკლე გამოწვეულია ცენტრალური ნაეის გვერდითი კედლების უსარკმლობით, რასაც თავისთავად ხელს უშლის მაღალი გვერდითი ნავებიო. მისი აზრით, სიმოკლე გამოწვეულია იმით, რომ მხოლოდ საკურთხევის აფსიდისა და დასავლეთის კედელში მდებარე სარკმლების მეშვეობით უნდა მოხერხებულიყო ეკლესიის განათება¹¹⁶. ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებოთ იმიტომ, რომ ბევრ დამოკლებულ ბაზილიკაში აღმოსავლეთ საქართვე-

¹¹⁴ P. Sakaraiia. Die Bariliken Westgeorgiens. — Georgica. № 7, 1984, გვ. 72—74.

¹¹⁵ Чубинашвили Г. Н., Болниси, с. 143—144.

¹¹⁶ Лехвинадзе Г. А., О постройках, с. 182.

ლოში (ჯალეთი, ხევის სიონი და სხვა) არის ცენტრალური ნავის გრძივ კედლებში გაჭრილი საკმლები¹¹⁷, ხოლო ბაზილიკათა დამოკლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო ადგილობრივ ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

ი. სტრიგოვსკის აზრით, „აღმოსავლურ“ ტიპის ბაზილიკებს ელინისტურისაგან განასხვავებს კამარებით გადახურვა, უსაკმლო გრძივი კედლები და ცენტრალური და გვერდითი ნაევბის სიმადლეთა უმნიშვნელო განსხვავება. ასეთი ძეგლები გვხვდება ცენტრალურ მცირე აზიაში, სირიაში და სხვ.¹¹⁸

სამწინაინი ბაზილიკისათვის დამახასიათებელ სივრცეს სეფიეთის ტაძარში ბურჯების სამ წყვილზე დაყრდნობილი ორსართულიანი თაღები ქმნის. ამ ძირივ სეფიეთის ბაზილიკა ორიგინალურია.

სეფიეთის ბაზილიკის ბურჯების გეგმა კვადრატულია, მსგავსად ყველა ამ ბაზილიკისა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. თუკი ელინისტური ბაზილიკებისათვის დამახასიათებელია კოლონები, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში მხოლოდ ბურჯებს ვხვდებით, რომელთაც გვერდით კედლებზე პილასტრები არა აქვთ. ასევე მხოლოდ ბურჯები იხმარება აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებშიც, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ბურჯების ფორმა მრავალგვარია. მაგალითად, V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისში, ისეთ ძეგლებში, როგორცაა ბოლნისი, დაახლოებით იმავე პერიოდის ძეგლებში — შუამთა¹¹⁹, ხირსა, ახმეტის „ღვთაება“¹²⁰, „ვაზისუბანი“¹²¹, ბოდბე და კიდევ რამდენიმე სხვა — გამოყენებულია მოგრძო საყრდენი, ცენტრალური ნავისაკენ გამოშვებული პილასტრით (ამ პილასტრების საფეხურების რაოდენობა ადრეფეოდალური ხანის ბოლოსთვის იზრდება). ამავე პერიოდში საყრდენების მესამე ფორმასაც იყენებენ. ესაა გეგმით მარტივი მოგრძო სწორკუთხედი. ასეთებია: V—VI სს. მატანის „ცხრაკარა“¹²², კაწარეთის სამება, კონდოლი და სხვა. ამ ძეგლებში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს ძეგლებში, სვეტებს გვერდით კედლებზე არა აქვთ პილასტრები.

სეფიეთის ბაზილიკის ცენტრალური ნავი გადახურულია გვიანი წარმოშობის ოღნავ ისრისებრი კამარით. გვერდითი ნაევბის პირველი სართულები აგურით ამოყვანილი ცილინდრული კამარით იყო დახურული, ხოლო მეორე სართული, როგორც ადრეც ვწერდით, გამბეჯენი თაღების საშუალებით ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი და თითოეული ნაწილი ჯვაროვანი კამარით იყო გადახურული. ჯვაროვანი კამარებით გადახურვა ადრეულ ძეგლებში გვხვდება. ასეთი კამარებია გამოყენებული მატანის ცხრაკარას სამხრეთის კარიბჭეში, მცხეთის ჯვრის მცირე და დიდ ტაძრებში¹²³, მარტივში¹²⁴, ატენის სიონში¹²⁵, წრომში¹²⁶ და ა. შ.

სეფიეთის ბაზილიკის განათების საკითხი შემდეგნაირად გვესახება. მართალია, საეკლესიო კედლების გაწმენდამ მთლად ნათელი სურათი ვერ

117 ლ. რ ა ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

118 S t r y g o w s k i. Die Baukunst der Armenier. Wien, 1912, გვ. 152.

119 Ч у б н и а ш в и л и Г. Н., Архит. Кахетин, с. 46.

120 იქვე, გვ. 73.

121 იქვე, გვ. 81.

122 იქვე, გვ. 49.

123 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 88.


124 იქვე, გვ. 117.

125 იქვე, გვ. 129.

126 იქვე, გვ. 146.

ზოგჯერ, მაგრამ გვერდებზე ორი ძველი სარკმლის გამოვლენის შემდეგ უნდა ვფიქროთ, რომ ცენტრში მესამეც იქნებოდა.

სამი სარკმელი საკურთხეველში უფრო მოსახერხებელია შვერილი აფსიდის დროს. დასავლეთ საქართველოში, იმ ეპოქის ბაზილიკებიდან, სეფიეთის



სურ. 72. სეფიეთი. ეკლესიის პირველი სართულის აღდგენილი გეგმა.

გარდა, მხოლოდ ორია მიწის ზემოთ შემორჩენილი — ნოქალაქევი და განთიადი. ორივეს საკურთხეველში სამ-სამი ფანჯარაა, მაგრამ განსხვავებით სეფიეთისაგან, ამ ძეგლებს ხუთგვერდა საკურთხეველი აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოს შვერილაფსიდიან ძეგლებში სხვადასხვა სურათია. ბოდბესა და ერწოს სიონში თითო სარკმელია, სანაგირეში — სამი და სხვა. ნოქალაქევისა და განთიადში სარკმლები თაღოვანია, ისე, როგორც სეფიეთში.

დასავლეთის მხრიდან სეფიეთის შუა ნაეს, როგორც აღვნიშნეთ, სამი დიდი სარკმელი აქვს. ისინი ერთმანეთთან ძალზე ახლოსაა განლაგებული, ქვედა ორი სარკმელი ერთ სიმაღლეზე, ხოლო მესამე, შუა, შედარებით მაღლაა. ასეთია ძეგლის გაწმენდის შემდეგ დადგენილი თავდაპირველი სახე. ისევე, როგორც აღმოსავლეთის ფასადზე, აქაც სარკმლები პარალელური წირთხლებითაა

და ნახევარწრიული თაღები აქვთ. დასავლეთ ფასადზე გვერდითი ნაგებობის ბოლოებში, მეორე სართულის დონეზე გაჭრილი ფანჯრებიდან, სამხრეთისა ამოშენებულია (თავდაბირველად თალიანი და ფართო ყოფილა), ხოლო ჩრდილოეთისა, ისევე, როგორც მთლიანად კედლის ეს მონაკვეთი, ახალი ამოყვანილია.

დასავლეთის კარი სწვებთან შედარებით საკმაოდ ფართოა, თავზე ასეთივე ფართო და მაღალი ლუნეტით (სურ. 71). მისი ზღურბლი და არქიტრავის ქვები ვარდულებითაა შემკული.

კარის ასეთი ფორმა იშვიათია. მიუხედავად ამისა, ასეთ მაგალითებს ვხვდებით ჩერ კიდეც II საუკუნეში სირიის ქრისტიანობამდელ ძეგლებში. შემდგომში იგი გამოყენებულია ქრისტიანულ ტაძრებში, სირიაშიც, პალესტინაში, მცირე აზიაში და მესოპოტამიაში. ასეთივე თაღები დამახასიათებელია ჩრდილო აფრიკისათვის (ალჟირი), სადაც იგი სირიიდან შემოტანილად ითვლება. აქ თალი ნახევარწრიულია¹²⁷. საქართველოში კარის დამამთავრებელი ლუნეტები გვხვდება ბოლნისში, ანჩისხატში¹²⁸, აკაურთაში¹²⁹, ზღუდერში¹³⁰. უმრავლესობა ამ ლუნეტებისა ნახევარწრიულია, განსხვავებულია მხოლოდ ბოლნისის ლუნეტის ნალისებური ფორმა. საქართველოში ასეთი ლუნეტების გამოყენების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოებია V—VI სს. მიჯნა. ბოლნისსა და ურბნისში ლუნეტისა და შესასვლელი გამოყენებულია ერთნაირად: ბოლნისში ჩრდილოეთის გალერეის შიგნით, ურბნისში სამხრეთ გარშემოსავლელის შიგნით, ანჩისხატში კი — ფასადზე, დასავლეთ კედლის ცენტრშია მოთავსებული, ისევე როგორც სეფიეთში.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ ასეთი ფორმის კარის ფართო გამოყენებას როგორც ქრონოლოგიურ (II-დან VII ს. ჩათვლით), ისე ნაციონალურ-გეოგრაფიული კრილით, მაგრამ არის ერთი შეზღუდვა — საშენი მასალა, ლუნეტები, გამოიყენება მხოლოდ თლილი ქვის არქიტექტურაში¹³¹.

ამ ეპოქისათვის კონქის პროფილირებული სარტყლით გამოყოფა უცხო არ არის. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი სარტყელი შემოუყვება განთიადის ბაზილიკის კონქს¹³².

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ვარდულებით შემკული დასავლეთისა და სამხრეთის მარჯვენა კარის ზღურბლები. ასეთივე ორნამენტი აქვს დასავლეთის კარის არქიტრავეს, აფსიდის სარტყლის განაპირა ქვებს, ასეთივე პროფილის მქონე ქვის მცირე ფრაგმენტს, რომელიც ძეგლის იატაკის გაწმენდის დროს აღმოჩნდა. ვარდულებითაა შემკული ასევე სეფიეთიდან წაღებული, მარტვილის მუზეუმში დაცული კაპიტელის ოთხკუთხა თავი.

ორნამენტი წარმოადგენს წრეში ჩასმულ ექვსკუთხა ვარდულის სარტყელს. არქიტრავესა და კაპიტელზე ამ სარტყლის ცენტრში ტოლმკლავა ჯვარია ჩასმული.

127 Чубянашвили Г. Н., Болнися, с. 141—142.

128 ი. გვერდ წითელი, ანჩისხატის რესტავრაცია, — ძეგლის მეგობარი, № 7, თბ., 1966, გვ. 37.


129 დ. რაქულიშვილი, ქართული ხელოვნების სამი უცნობი ძეგლი, — ქართ. ხელოვნება, წ. II, თბ., 1946, გვ. 27.

130 იქვე, სურ. 16.

131 Чубянашвили Г. Н., Болнися, а. 142.

132 Хрушкова Л. Мით. ნაშრ. ფოტოკლასის მეორე გვერდზე.

როგორც აღვნიშნეთ, მარტვილის მუზეუმში დაცული კაპიტელის ზომები არ შეესაბამება ტაძრის ზომებს. ეტყობა, ეს კაპიტელი, წარწერიან ქვებთან ერთად, ეკუთვნოდა რომელიმე სხვა, ახლოს მდგარ ტაძარს, ან სასახლეს (ტაბ. XLVI—2).



სურ. 73. სეფიეთი. ეკლესიის მეორე სართულის აღდგენილი გეგმა.

ვარდულები შესრულებულია რელიეფური კვეთით. ასეთი ტიპის ვარდულები არის ბოლნისის სიონში აღმოჩენილი ქვის ჭვრების ერთ-ერთ ფრაგმენტზე, ასევე მსგავსებას ამჟღავნებს იგი ბოლნისშივე ვარდანის წარწერიან ქვის ორნამენტთან (ჩრდილო გალერეაში)¹³³, რომელიც გ. ჩუბინაშვილს ტაძრის თანადროულად მიაჩნია. ასეთივე ხასიათის ვარდულებია აკვანებაში, ზღუდერში¹³⁴, წრომში¹³⁵. ერთი პატარა ასეთი ვარდული არის ურბნისის სამხრეთის რივის მესამე სვეტზე და გათხრების დროს აღმოჩენილ ფრაგმენტზეც, მაგრამ ძლიერ დაზიანებულია¹³⁶. ასეთი ტიპის ვარდული აქვს ნოქალაშკეის გათხრების დროს აღმოჩენილ კაპიტელსაც (XLII—2).

¹³³ Чубинашвили Г. Н. Болниси. სურ. 58—69, და სურ. 113.

¹³⁴ ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების სამი უცნობი ძეგლი, — ქართული ხელოვნება, წ. II, თბ., 1948, გვ. 27, ტაბ. XXII—XXIV.

¹³⁵ Чубинашвили Г. Н., Црoმი, с. 38.

¹³⁶ პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, გვ. 120.

სეფიეთის ბაზილიკის ფასადების განხილვამდე უნდა შევეხოთ გარეთა მასების განლაგებას და საერთო გადაწყვეტას. სეფიეთის შუა ნაწი მცირედია ამალღებული გვერდით ნაგებთან შედარებით; გადახურულია ორქანობიანი სახურავით, გვერდითი ნაგები კი ცალკეა გადახურული ცალფერდა სახურავით. ეკლესია კრამიტით იქნებოდა გადახურული და ანტეფიქსებით შემკული, როგორც ეს აღრეულ ხანის ეკლესიებს ახასიათებს. ეს რომ ასე იყო, ამის დამადასტურებელია ანტეფიქსების ფრაგმენტები, ერთი მათგანი ჩართულია გვიანი კარიბჭის დასავლეთ ფასადის წყობაში, ხოლო მეორე — სამხრეთის კედელში შიგნიდან.

სახურავის კეხზე ექ. თაყაიშვილი ცხერის თავის გამოსახლებას აღნიშნავს, რომელიც დღეს აღარ არის. დღემდე შემორჩენილი დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების უმეტესობა დანგრეულია, ხოლო რომელიც შემორჩა, სახურავი არა აქვს და როგორც იყო გადახურული ისიც არ ირკვევა.

აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებშიც დაახლოებით ასეთი სურათია. არსებულთაგან მხოლოდ კაწარეთის სამებაზე აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი — ცენტრალური ნაწიის ამალღება და გვერდის სარკმლები თავდაპირველია¹³⁷. თბილისის ანჩისხატის გაწმენდის შემდეგ დადგინდა, რომ მას ცენტრალური ნაწი ამალღებული ჰქონდა¹³⁸, ისევე როგორც ახმეტის ღვთაებასა და შილდაში, ურბნისშიც, პ. ზაქარაიას აზრით, ცენტრალური ნაწი ამალღებული იყო.

რაც შეეხება ბოლნისს, ჩუბინაშვილის აზრით, ბაზილიკის სამივე ნაწი მოთავსებული იყო ორქანობიანი სახურავის ქვეშ¹³⁹.

ორქანობიანი სახურავის ქვეშ სამივე ნაწიის მოთავსება, ე. ი. ისეთი გადაწყვეტა, როდესაც ცენტრალური ნაწი გამოყოფილი არ არის და მასში ფანჯრებიც არაა მოწყობილი, გ. ჩუბინაშვილის აზრით, აღრეული ხანის გამოძახილია. ურბნისისა და ანჩისხატის ეკლესიები ბოლნისის მომდევნო ძეგლებია და ზოგ შემთხვევაში ახალ პროგრესულ გადაწყვეტას იძლევიან (მაგ., საკურთხევის სამნაწილიანობა და სხვა)¹⁴⁰.

სეფიეთის ეკლესიის გარე კედლების ძირების გაწმენდამ, ორივე მხარის კონტრაფორსების გარდა, კონსტრუქციული ვერაფერი გამოავლინა. არავითარი მინაშენის კვალი არ ჩანს, გარდა დასავლეთის მინაშენისა, რომელიც გვიანია. ეს მინაშენი თავდაპირველად ღია ყოფილა დასავლეთის მხრიდან დიდი თაღით, რომლის შემდგომი ამოშენების კვალი დღესაც კარგად ჩანს. ეს მინაშენი გადახურულია ცალკე ორფერდა სახურავით.

თვით ტაძრის ფასადები, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი გადაკეთების კვალს ატარებს, თუმცა თავდაპირველი წყობა მეტწილად შემორჩენილია. გადაკეთების ადგილებზე ჩასმულია დიდი ზომის კარგად გათლილი ქვები, რომლებიც სხვა შენობიდან მოტანილი ჩანს (ტაბ. XLII).

ეკლესიის ფასადები სრულიად სადაა, როგორც ეს დამახასიათებელია აღრეული ეკლესიებისათვის. მხოლოდ კარებზე და სხვა ადგილებზე გამოყენებული ვარდულები და მაღალი ლუნეტი მიგვანიშნებს მორთულობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის ვარდულები, ასევე ღია ლუნეტი, V—VI სს. ძეგლებში გვხვდება.

¹³⁷ Чубинашвили Г. Н., Архит. Кахети, с. 63.

¹³⁸ რ. გვერდწითელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

¹³⁹ Чубинашвили Г. Н., Болниси, с. 147.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 153—154.

სეფიეთის ბაზილიკას თავდაპირველი კარნიზი არ შერჩენია, ვერც გათხრების დროს აღმოჩნდა ძველი კარნიზის ნაშთი. ის კი უნდა აღენიშნოთ, რომ როდესაც სამხრეთ ფასადის დასავლეთის ამოშენებული ფანჯრის პროპორციებზე აღვადგინეთ, მისმა თაღმა ახლანდელი კარნიზი გადაკვეთა. როგორც ეტყობა, ძველი კარნიზი უფრო მაღლა იყო. შესაბამისად, ეკლესიის გვერდითი ნაგებები, და შესაძლოა შუაე, თავდაპირველად ოდნავ მაღალი იყო ახლანდელზე.

სეფიეთის ბაზილიკა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ადრეული პერიოდისაა. მისი შვერილი წრიული აფსიდა, ერთნაწილიანი საკურთხეველი, პროპორციები, წყობის თავისებურება, კარ-საარკმლების სწორწირთხლიანობა, დასავლეთის კარის ღია ლუნეტი, მორთულობის (ვარდულები) ზოგადი ხასიათი, ჭვაროვანი კამარების გამოყენება და სხვა, მას V—VI საუკუნეების ძეგლებთან აახლოებს. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების უმრავლესობა სწორედ V—VI საუკუნეებს განეკუთვნება. საყურადღებოა ქვეყნის მამუდნელი პოლიტიკური მდგომარეობაც. VI ს. 20-იანი წლების ბოლოს იწყება ის ხანგრძლივი ომი, რომელიც ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მიმდინარეობდა ეგრისის ტერიტორიის დასაპყრობად¹⁴¹. ეს ომი, როგორც ვიცით, რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა და ძალზე დაასუსტა ქვეყანა. ამ სიტუაციაში რაიმე დიდი მშენებლობის წარმოება შეუძლებლად მიგვაჩნია.

სეფიეთის ეკლესია, არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზისა და ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, V—VI სს. ზღვარს უნდა მიეკუთვნებოდეს.

— + —

ნოქალაქევის და მისი მიდამოების სამნავიანი ბაზილიკების განხილვის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მათი დიდი მნიშვნელობა როგორც დასავლეთ, ისე მთლიანად საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების განვითარების ისტორიის დასადგენად.

ნოქალაქევის პირველი ბაზილიკა (გათხრების შედეგად გამოვლენილი), რომელიც ჩვენ მიერ დათარიღებულია V ს. შუა ხანებით, ადრეულია, ერთი პირველთაგანია არა მარტო ნოქალაქევისათვის, არამედ საერთოდ მთელი დასავლეთ საქართველოსათვის. მართალია, მისი გეგმა უახლოვდება ბაზილიკების ტიპურ სახეს, მაგრამ ჭერ კიდევ არ არის სრულყოფილი. კერძოდ, მისი გეგმა ტრაპეციულია და ისიც არაზუსტი, გვერდითი ნაგების აღმოსავლეთის მონაკვეთები არ არის ჩამოყალიბებული და სხვა.

მეორე ბაზილიკის (რომელიც გვიან გუმბათოვნად გადაუკეთებიათ) გათხრებისა და კედლების გაწმენდის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი გეგმის პირველი სახის წარმოდგენა. ამ აღდგენილი გეგმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ტიპურია დასავლეთ საქართველოს V—VI სს-თვის. მისი ზოგიერთი დეტალი კი ბაზილიკას VI ს. პირველ მეოთხედში აგებულად გვისახავს. საქართველოს დღემდე ცნობილი ბაზილიკებიდან მხოლოდ ამ ძეგლს აღმოაჩნდა საკურთხევის გვერდითი სათაესები.

სეფიეთის ბაზილიკა, რომელიც ჩვენ მიერ V—VI სს. მიჩნითაა დათარიღებული, მრავალმხრივ ორიგინალურია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშ-

¹⁴¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 178—179; ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეჯოჯი, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I, თბ., 1981, გვ. 19.

ნოს ის გარემოება, რომ ინტერიერში მისი გვერდის ნაწილები ორსართულიანებშია, რაც ერთადერთი შემთხვევაა არა მარტო დასავლეთ საქართველოსათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის. ხოლო რაც შეეხება ნახევარწრიულ შევირთვ აფსიდას, ასეთი გადაწყვეტა იმ ეპოქის დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში ერთადერთია.

სეფიეთის ბაზილიკა დასავლეთ საქართველოს სხვა ბაზილიკებიდან იმითაც განირჩევა, რომ დასავლეთისა და სამხრეთის კარები (შესაძლოა სხვა კარებიც) გარედან ჩუქურთმით ყოფილა მორთული.

დარბაზული ეკლესიები

ნაშრომის ამ თავში ვიხილავთ ექვს დარბაზულ ეკლესიას, რომელთაგან ოთხი ექსპედიციის მიერ გათხრებითაა გამოვლენილი, ხოლო ორი ექსპედიციას დახვდა. ამათგან სამი ეკლესია თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზეა, ხოლო დანარჩენი სამი ნოქალაქევის გარეთაა. ისინი იმ ციხეების შემადგენლობაში შედიან, რომლებიც ეგრისის სამეფოს დაცვის სისტემის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენენ.

1. ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიები

ნაქალაქარის სამი დარბაზული ეკლესიიდან ერთი, ე. წ. მისარონი, სამეცნიერო ლიტერატურაში შესული იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ეს ძეგლი ინახულა დიუბუა დე მონპერემ¹⁴². ამ ავტორის მიერ შესრულებული გეგმის მიმოხილვით ამავე ძეგლს ეხება გ. ჩუბინაშვილი თავის სტატიაში, რომელიც ნოქალაქევისადმი მიძღვნილი¹⁴³.

გათხრების მიმდინარეობისას, 1980 წ. ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის დასავლეთით, ექსპედიცია წააწყდა ნახევარწრიული აფსიდით დამთავრებულ დარბაზული ეკლესიის ნაშთს. ხოლო მეორე ეკლესია, წახნაგოვანი აფსიდით, გაითხარა გალავნის ხაზის გაყოლებაზე, მაღლა ფერადობზე, 1987—88 წწ.

ძეგლების განხილვას ვიწყებთ ნაქალაქარის ქვედა ტერასიდან:

ა. ქალაქის ქვედა ტერასის ეკლესია

1980 წ. ნოქალაქევის ქვედა ტერასის ტერიტორიის გათხრებისას გამოვლინდა პატარა ეკლესიის საძირკველი (სურ. 74, ტაბ. XLVII—1).


ახლადამოჩენილი ეკლესია დარბაზულია. იგი აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიისგან მხოლოდ საძირკველი და ზოგან კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი.

ეკლესიის კარის ნაშთი მხოლოდ სამხრეთით ჩანს (დასავლეთის კედელი მოგვიანებით, მინაშენის მოწყობისას, კარის გაკრის მიზნით გაუნგრევეით და იყო თუ არა თავდაპირველად კარი, ამჟამად არ ირკვევა). ეკლესია ნაგები ყოფილა საშუალო ზომის ნატეხი ქვით. თლილი ქვა ნახმარია მხოლოდ კარის ზღურბლზე და წირთხლებზე.

¹⁴² Dubois de montpereux. Voyage autour du Caucase. ტ. III, 1839, გვ. 59.

¹⁴³ Чубинашвили Г. Н., К вопросу о Нокалакети, т. I, 1970, с.95—96.

გეგმაში ეკლესიის დარბაზის სწორკუთხედს აღმოსავლეთით პირდაპირ ებმის ნახევარწრიული აფსიდა. კედლების შიდა და გარე ხაზები არსად არ ტყდება. ჩვეულებრივ, აფსიდის გვერდით კედლებთან გადაბმის ადგილზე გვხვდება მცირე ან დიდი მხრები, მაგრამ აქ ეს არაა. გამორიცხული არ არის, რომ ეკლესიათა ამ ორი გადაწყვეტიდან აღრეული იყოს სწორ ხაზზე წრის უშუალო მობმა, მშენებლობის თვალსაზრისით ეს უფრო მარტივი გადაწყვეტაა. ასეთ გადაწყვეტას ჩვენ ვხვდებით აქვე, ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკის ქვედა ფენაში და ბიკვინტაში¹⁴⁴.



სურ. 74. ნოქალაქევი. ქვედა ტერასის ღარბაზული ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის ზედა ფორმებზე ვერაფერს ვიტყვი. რადგან კედლებისა და კამარის ფრაგმენტებიც კი არ არის დარჩენილი.

ამ ეკლესიის ერთი დეტალია შემორჩენილი, რომელიც მეტად საინტერესოა აღრეული ხანის დასავლეთ საქართველოს რელიგიური რიტუალის აღსადგენად. ესაა ეკლესიის შიგნით სანათლავის არსებობა. სანათლავისაგან დარჩენილია კანალიზაციის მილი (მილი შედგენილია ლარინი კრამიტებით). კედელში მილი (აქ მილი აგურითაა შემოწყობილი) იმ დონეზე გადის, რომ ემბაზი შეიძლებოდა მდგარიყო იატაკზე (სურ. 74, ტაბ. XLVIII—2). წყალი, როგორც ეტყობა, ბევრი იხარჯებოდა, რადგან მილი ეკლესიის გარეთ 3—4 მეტრის სიგრძეზე დღემდეა შემორჩენილი (ალბათ, უფრო შორს გრძელდებოდა).

სანათლავის ეკლესიაში მოწყობის ნიმუში ნოქალაქევიში მეორეცაა — იქვე მახლობლად აღმოჩენილ სამნავიან ბაზილიკაში. ამ ბაზილიკის გათხრებისას

¹⁴⁴ ი. ციციშვილი, ბიკვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. — დიდი პიტიუნტი-11, 1977, გვ. 111, სურ. 16.

დასავლეთის ნავის სამხრეთის კედელში აღმოჩნდა კერამიკული მილი¹⁴⁵, რომელსაც დაქანება გარეთეკნა აქვს. ცხადია, ამ მილით წყალი გარეთ გადიოდა. ასევეა ამ პატარა ეკლესიაშიც.

ამ ორი შემთხვევის გარდა, დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი მაგალითია ცნობილი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან¹⁴⁶. იქ ერთ ადგილზე სამჯერ იქნა აგებული ეკლესია და სამივეჯერ დაუნგრევიათ. ამათგან იმ სამნავეიან ბაზილიკაში, რომელიც V ს-შია აგებული, დასავლეთ მონაკვეთში მოწყობილი ყოფილა სანათლავე. იგი ნართექსის სამხრეთის მხარეზეა გამართული. აქ სანათლავე იატაკში ჩაშენებულ სწორკუთხა აუზს წარმოადგენს.

ეკლესიაში ასეთი სახის სანათლავის მოწყობის სხვა მაგალითი საქართველოს ტერიტორიაზე ჭერჭერობით ცნობილი არ არის. როგორც ეტყობა, ზემოთ დასახელებული ძეგლები ერთი ეპოქის, კერძოდ, V ს. უნდა იყოს.

ნოქალაქევის ნაგებობის ქრონოლოგიასა და ეგარისის სამეფოს საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას თუ გადაეხედავთ, აქ განხილული ეკლესიისათვის აგების სხვა თარიღს ვერ ვხედავთ. ზოგი მონაცემებით იგი მხოლოდ V ს. უნდა იყოს აგებული. ამ მაჩვენებლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ეკლესიის შიგნით სანათლავის არსებობა. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ბონისის სიონი, რომელზეც ჩვენ ზემოთ არაერთხელ ვისაუბრეთ. მაგრამ ეს მაინც სხვა შემთხვევაა, რადგან სანათლავე ცალკე სათავსია. ხოლო უშუალოდ შიგნით, სათავისის გამოყოფის გარეშე, იგი გვხვდება იქვე მდებარე სამნავეიან ეკლესიაში და ბიჭვინტაში.

მოგვიანებით, ეკლესიის გაფართოების მიზნით, დასავლეთით სწორკუთხა სათავსი მიუდგამთ (სურ. 74, ტაბ. XLVIII—1). ეკლესიასთან მის დასაკავშირებლად დასავლეთის კედელში კარი გაუჭრიათ, ხოლო რადგან იგი კარიბჭის როლსაც ასრულებდა, ამიტომ მინაშენისათვის სამხრეთით კარი დაუტანებიათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დეტალი, რომელიც ჩაშენებული იყო ეკლესიის სამხრეთის კედელში. ესაა ერთიანი ქვისგან გამოთლილი კარის ზღურბლი ისეთივე ნაქდევებით, როგორიცაა აქვე, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე. წ. სამეფო აბანოში. კარი პატარა შენობისაა, თუ სად იყო იგი, ამის გარკვევა დღეს შეუძლებელია. ცხადია, იმ რომელიც კაპიტალური ნაგებობის დანგრევის შემდეგ, კარის ეს ზღურბლის ქვა აქ, კედელში გამოუყენებიათ, როგორც საშენი მასალა.


ბ. ქალაქის პირველ გალავანში ჩართული ეკლესია

ნოქალაქევის ნაქალაქარის გალავნების შესწავლისას, 1987 წელს, ექსპედიციამ წამოიწყო ზემოთ, ფერდობზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის გალავნების ხაზების შეერთების ადგილის გათხრა. აქ არსებული დიდი ორბო მიგვანიშნებდა რაღაც ნაგებობის ნაშთზე, მართლაც, სულ მალე გამოვლინდა კედლები, რომლებიც ექსპედიციამ, ბუნებრივად, ორი გალავნის შეერთების ადგილზე მდგარი კოშკის ნაშთად მიიჩნია, მაგრამ მომდევნო წელს ამ უბნის საბოლოო გაწმენდამ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგინა. გამოვლინდა კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთი. ანალოგიებით, ლოგიკურად, აქ სწორედ კოშკი იყო

145 თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, — ნოქალაქევი, II, გვ. 95.

146 ი. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, — დიდი პეტრიძის, 1977, გვ. 91, 100, სურ. 7.

მოსალოდნელი, რადგან, ჩვეულებრივ, სიმაგრის მაღალ წერტილზე სადაზვერ-
ვო კოშკს უფრო დგამდნენ. ასეთი სიმალიდან ტეხურის ღრმა ხეობაც კარ-
გად დაიზვერებოდა და სამხრეთით კოლხეთის დაბლობიც. მაგრამ, მიუხედა-
ვდ ამისა, როგორც ჩანს, ქალაქის მესვეურებმა სხვანაირად გადაწყვიტეს, ამ
პუნქტში ეკლესია ააგეს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეკლესია
ქალაქის პირველ გალავანთან ერთადაა აგებული. გალავნისა და ეკლესიის
კედლები გადაბმულადაა ნაგები და კონსტრუქციულად ერთია. როგორც მო-
სალოდნელი იყო, ასეთ შემთხვევაში კედლების წყობაში ერთი ხელი ჩანს.



სურ. 75. ნოქალაქევი. ქალაქის პირველ გალავანში ჩართული დარბაზული
ეკლესიის გეგმა.

ქალაქის გალავანში ეკლესია ისეა ჩართული, რომ მისი აღმოსავლეთის
ნახევარი გარეთაა, ამდენად ამ მონაკვეთში ეკლესიის გარე კედლები ქალაქის
გალავნის ფუნქციასაც ასრულებდა (სურ. 75, ტაბ. XLIX—1). მათი სისქეც
ერთნაირია, 160 სმ-ია, ქალაქის აღმოსავლეთის მხარეს, მთელ სიგრძეზე, ეს
პირველი კედელი თავიდან ბოლომდე ერთი სისქისაა (160 სმ).

ეკლესიისგან დარჩენილია მისი ქვედა ნაწილი, დაახლოებით 1—1,5 მ-მდე.
იგი დარბაზულია, შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით. შიგნიდან ნახევარწრიული
აფსიდა გვერდით კედლებს პირდაპირ უერთდება, შიდა ხაზი არსად ტყდება
(ეკლესიის შიდა მაქსიმალური ზომებია 5,7×9,60 მ). შერჩენილი კედლები
სარკმელთა ქვედა დონემდე ვერ აღწევენ, დარჩენილია მხოლოდ კარი დასავ-
ლეთის კედლის ცენტრში. მისი გვერდითი კედლები სწორკუთხოვანია, ყოველ-
გვარი ნაოთხალის გარეშე, ისე, როგორც ეს აღრეულ საუკუნეებში იყო მი-

ლებული¹⁴⁷. რაც შეეხება აფსიდის შეერილ წახნაგოვნებას, ეს ფორმაც დასავლეთ საქართველოს ადრეული ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ იმათგან განსხვავებით აქ სიზუსტე არაა დაცული, წახნაგების სიგრძე მცირეობს 2,15-დან 2,6 სმ-მდე. ჩვენი აზრით, თავისთავად ასეთი უზუსტობა ადრეულ პერიოდზე მიუთითებს. ეს ის დრო უნდა იყოს, როდესაც ჭერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული საკულტო ნაგებობათა ფორმები.

ეკლესია ნაგებია ყორე ქვით. რამდენადაც ეკლესიის ნაშთიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, კედლებს ინტერვალებით მიუყვებოდა აგურის კონსტრუქციული შრეები, ე. წ. opus mixtum. მართალია, იატაკი ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ მისი სავარაუდო დონიდან აგურის შრე იწყება 125 სმ-ზე. ეკლესიის ჩრდილო კედელზე, 125 სმ-დან დაწყებული, აგურის წყობა შერჩენილია ნ ფენად. სულ რამდენი იყო აგურის წყობა არ ვიცით, ჩრდილო კედლის გაგრძელებაზე მდებარე აფსიდის პირველი წახნაგი უფრო მაღალზეა შემორჩენილი, ამიტომ აქ კარგად ჩანს აგურის წყობის 9 ფენა.

აგურის ზომები: $25 \times 38 \times 4$, $26 \times 21 \times 5$, $31 \times 15 \times 5$, $23 \times 22 \times 5$, $30 \times 15 \times 5$, $28 \times 15 \times 5$, $29 \times 20 \times 5$, $25 \times 18 \times 5$, $25 \times 38 \times 4$, $28 \times 22 \times 4$, $27 \times 21 \times 4$.

ქვისა და აგურის შერეული წყობა ისევ ადრეულ პერიოდზე მიუთითებს, მაგრამ დროის კონკრეტული მონაკვეთის განსაზღვრა არც ჩვენთან და არც სხვაგან არ ხერხდება¹⁴⁸. ეკლესიის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდინარის ფლატეს მიმყოლი გალავანი რელიეფს მიუყვება, ამის გამო ეკლესიასთან სხვადასხვა ზომის ირეგულარული გეგმების მქონე ნაკვეთებია შექმნილი. მათ, ალბათ, ორგვარი დანიშნულება ჰქონდათ. ჩვეულებრივ პირობებში ისინი შეასრულებდნენ ეკლესიის ეზოს ფუნქციას, ხოლო მტრის გაჩემოცვის შემთხვევაში იქ გარნიზონის ნაწილი მოთავსდებოდა. ჩრდილოეთის მონაკვეთს აღმოსავლეთით ვიწრო კარი აქვს. ეკლესიასა და გალავანში გაჭრილი კარი ერთნაირადაა გადაწყვეტილი, ორივეს გვერდები პარალელურებია, ხოლო ძირს, გარე მხარეზე დაუგიათ ზღურბლის ერთიანი დიდი ქვა. ორივეგან გარე ხაზი ხუთიოდე სანტიმეტრით აწეულია, ხოლო განაპირებზე ხის კარის ფოსოებია აწოკეტილი. ეს სისტემა გვხვდება ნაქალაქარის ყველა მონაკვეთის ქიშკრებზე და დიდ აბანოშიც.

გ. „მისარონის“ ეკლესია

ნოქალაქევის ნაქალაქარის შიდაციხეს, ანუ აკროპოლისს, შთის თხემი აქვს მოკავებული (სურ. 1). შიდაციხის გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. იგი გარშემორტყმულია სქელი გალავნით, რომელსაც სამხრეთით ორი მცირე კარი აქვს. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ქალაქის მთავარი კოშკია აღმართული. აღმოსავლეთის ბოლო მონაკვეთი უფრო მომცრო კოშკს აქვს მოკავებული. კიდევ ერთი, მაგრამ ძალზე პატარა ზომის კოშკი, მდებარეობს მათ შუა და მიდგმულია ჩრდილო გალავანზე. ციტადელის სამხრეთის გალავან-


¹⁴⁷ Чубинашвили Г. Н., Болниси, 1960, с. 8.

¹⁴⁸ ადრექრისტიანული არქიტექტურის შესწავლისას ბევრ მკვლევარს უცდია აგურის რიგების რაოდენობაში დაენახა ზუსტი კანონზომიერება (ასეთი ხასიათის ნაშრომებიდან ყველაზე მეტი ნაშუშვარი აქვს Бобчев С. Н. Смешаната Зидария в римските и раннохристиянските строежи, София, 1952, მიუხედავად ავტორის დიდი ცდისა opus mixtum-ით დათარიღება სრულყოფილი ვერ გამოდგა.

ნი ქალაქის შემოშორებულ კედლებშია მოქცეული, ამიტომ კარებიც ამ ხაზზეა განლაგებული. ერთი მათგანი მოთავსებულია სამხრეთის გალავნის დასავლეთის ბოლოსკენ, ხოლო მეორე — აღმოსავლეთისაკენ.

ციტადელის ტერიტორიაზე, გარდა საშუალო ზომის დარბაზული ეკლესიისა, სხვა ნაგებობის კვალიც არ ჩანს. ეკლესიას ციტადელის ცენტრალური ნაწილი უკავია. იგი, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, ციხის გარნიზონისა და სხვა შიგ მყოფთათვის იყო განკუთვნილი. ამაზე მიუთითებს მისი სიმკირეც და ისიც, რომ ციხის ქვედა ნაწილში კიდევ იყო სხვა ეკლესიები, რომლებიც თავისუფლად დააკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნებს.

ციტადელის ეკლესია „მისარონის“ სახელითაა ცნობილი. ეთნოგრაფს. მაკალათიას ცნობით, ძველად, თებერვალში დიდმარხვის დაწყებამდე, მეგრელები იხდიდნენ „მირსობის“ დღესასწაულს. ამ დღისათვის ისინი ასუქებდნენ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდებოდა და რომელსაც ხუთშაბათ დღეს კლავდნენ. ეს დღესასწაული უფრო კარგად ყოფილა დაცული მთიან სამეგრელოში, სადაც იმართებოდა ხატობა, რომელსაც „ჭევე ანუ ჭგევე მისარონი“ ეწოდებოდა¹⁴⁹. მისივე აზრით, ამ მეგრულ წარმართულ მირსას, ამ მისარონის კულტს¹⁵⁰ გენეტიკური კავშირი ჰქონდა ირანულ „მიჰირთან“ და რომაულ „მითრასთან“.



სურ. 76. ნოქალაქევი. „მისარონის“ ეკლესიის ვეგმა, ფასადები და განაკვეთი.

1928 წ. სტატიაში „К вопросу о Нокалакеви“, რომელიც ნოქალაქევის არქეოლოგიურ გათხრებამდე დაიწერა, გ. ჩუბინაშვილი ნოქალაქევის სხვა ძეგლებთან ერთად აღწერს „ჩიხაზე“. მღვარ პატარა ეკლესიასაც; „Посреди

¹⁴⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 302—307.

¹⁵⁰ ჭევე, ჭგევე ნოშავს წმინდანს (ზოგჯერ იხმარება წმინდა გიორგის მნიშვნელობით). ამ საკითხზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა: ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული ერის ისტო-

этого крепостного района стоит небольшая церковка, выведенная снаружи из крупных, грубо тесаных каменных квадров. Внутренние квадры кладки представляют собой крупные клинья, примерно до 40 см., глубиной, кладка каковых держится взаимной пригонкой, а не раствором. Свод южной выведен правильными рядами кладки. Имеются остатки кровли из плоской глиняной черепицы. Таким образом, методы строения этой церкви простого вального типа говорят о ее глубиной древности»¹.

ეკსპედიციის ჩასვლისას (1973 წ.) მისარონის ეკლესია ისე იყო დაზარული ხეებითა და სურთით, რომ თითქმის არაფერი ჩანდა (ტაბ. XLIX—2). საჭირო იყო მისი გაწმენდა. ამას გარდა, ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო კედლები, რომლებიც სასწრაფოდ ითხოვდნენ გამაგრებას. ამ სამუშაოებს თითქმის ორი საექსპედიციო სეზონი დასჭირდა. ეკლესიის სამხრეთის ნაწილს მთლიანად რკინა-ბეტონის საფუძველი გაუკეთდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ეკლესიის აზომვა-ფიქსაცია და სარესტავრაციოდ მომზადება.

მისარონის ეკლესია საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა (6,06 X 9,28). ეკლესიის დარბაზი, აფსიდთან, მოქცეულია გარე სწორკუთხედში (სურ. 76). დარბაზული შენობების უმრავლესობის მსგავსად აქაც არავითარი სათავსო არაა გამოყოფილი. საკურთხევლის აფსიდა ნახევარწრიულია. იგი იატაკის დონიდან ორი საფეხურითაა აწეული. ქვედა საფეხური სრულად, ხოლო ზედას მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი. საკურთხევლის აღმოსავლეთის მონაკვეთი ცენტრში განვრცოვებული დაგვხვდა, დარჩენილი იყო ნაწილობრივ სარკძლის სამხრეთის მხარე.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ბრწყინვალედ ნაგები კონქი (ტაბ. L—1). მისი თლილი ქვები ერთმანეთთან კარგადაა მორგებული და წყობის იშვიათი სიფაქიზით გამოირჩევა. კონქის ქვები ეკლესიის ინტერიერისა და ფასადების ქვებისაგან განსხვავდება. ეს გასაგებია, რადგან აქ შენობის საძირის მსგავსად კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. კონქის თაღის თითოეული ქვა წყობის რიგების შესაფერისია. კონქის სფერო მიღებულია თლილი ქვის რიგებით. რიგების ზომები თანდათანობით მცირდება და ბოლოს, ცენტრში თაღის კლიტით მთავრდება. კლიტის ქვები ღრმად შედის კონქში და წრეები ფაქტიურად მისგან კონცენტრულად ლაგდება. საკურთხეველი თავისი კონქით დაბალი და განიერია. კონქის თავსა და დარბაზის კამარას შორის იქმნება მაღალი შუბლი, რადგან დარბაზის კამარა ვაცილებით მაღლაა აწეული (სურ. 76).


საკურთხევლის ორივე მხარეს, გეგმაში ტრაპეციული ორი პატარა ნიშაა, ეკლესიას ჰქონია კანკელი, რომლის ცუდად შემონახული ნაშთი იატაკზე ახლაც ჩანს. კონქის თაღის ძირის დონეზე, კედელში, ორივე მხარეს მდებარეობს თითო ხვრელი, რომელიც კანკელის ზედა კოქის ჩასამაგრებელი ბუდეა.

ეკლესიის დარბაზი მართკუთხა ფორმისაა, მისი სივრცის გადაწყვეტაში არავითარი დეკორატიული ელემენტი არ არის გამოყენებული, პროპორციები კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დარბაზის სივრცე არ არის დაყოფილი საბჯენი თაღებით, რაც მისი სივრცის

რია, წ. I, თბ., 1951, გვ. 47. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I, თფ., 1959, გვ. 107—207; К и п ш и д з е И. Грамматика мингрельского (и вчерского) языка. СПб., 1914, გვ. 194—195; კ. კახიანი, ა. სოხაძე, საქართველოს წარმართული საკითხის შესახებ, — მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1972, გვ. 183—186.

¹1 Ч у б и н а ш в и л и Г. Н. К. вопросу о Нокалакеви. — Мат. შრომა, გვ. 96.

მთლიანობის შეგრძნებას აძლიერებს. დარბაზის კამარა მთლიანად ჩაქცეულ იყო¹⁵². გვერდით კედლებზე შერჩენილი იყო მხოლოდ მისი საწყისი, შირიმის ქვით ნაგები სამ-სამი რიგი. ეს ნაშთი კამარის ცილინდრულ ფორმაზე მიუთითებდა. როგორც ეტყობა, მშენებელი ოსტატი კარგად ერკვეოდა ქვის თვისებებში. ეკლესიის კედლები ნაგებია ადგილობრივი კირქვით, რომელიც აქ ბლომადაა. კამარაზე გამოყენებულია მტკიცე და მსუბუქი შირიმის ქვა.



სურ. 77. აბელათი. ციხის ეკლესიის გეგმა.


ეკლესიის დარბაზს შიგნიდან ქვის სწორკუთხა ჩამოსაჯდომი შემოუყვება. ეკლესია განათებულია სამი პატარა ზომის სარკმლით. ერთი სარკმელი დასავლეთით, კარის ზემოთაა გაჭრილი, მეორე სამხრეთით, ხოლო მესამე საკუთხეველის ცენტრშია. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ იყო შემორჩენილი. სარკმლები, სწორი გადახურვით, შიგნიდან გაგანიერებულია. მათი ქვედა თაბო ორსაფეხურიანია. ყველა ეს სარკმელი სხვადასხვა დონეზე მდებარეობს.

ეკლესიას კარი დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს. პატარა ეკლესიებს არ ახასიათებთ ჩრდილოეთის კარი, იგი განსაკუთრებულ შემთხვევაში კეთდება. კერძოდ, მისაბრუნის ეკლესიის სამხრეთით კლდოვანი ფერდობი იწყება და ამიტომ ამ მხარეს კარი არ გაუკეთებოდა. ამის გამო ეკლესიის გვერდითი

¹⁵² კამარის ჩანგრევა მომხდარა ცხრაასიანი წლების შემდეგ, რადგან 1903 წ. კ. განის ნოქალაქეში ყოფნისას, კამარა მთელი ყოფილა (К. Г а н Экскурсия в Накалакеви летом 1903 г.—Известия Кавказского отделения Московского Археологического общества. Тифлис, 1907 წ. გვ. 16. ეკლესიის კამარაზე აღებულია წერს, მხოლოდ მას შირიმის ქვა, რომელიც პორებიანია, ტუფად მიიღია (დასახ. ნაშრ. გვ. 59).

კარი ჩრდილოეთით გაკრეს, საიდანაც შედარებით ადვილი მისადგომი იყო. ჩრდილოეთის კარი განგრეული დაგვხვდა. იგი მოგვიანებით უშნო წყობით ამოუქოლავთ. როცა ეს წყობა მოგხსენით, ქვედა ორივე მხარეს შემორჩენილი თითო რიგით ადვილად გაირკვა მისი სიგანე.

ეკლესიის ორივე კარს სწორი, უშვერილო გვერდები აქვს, როგორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება აღრეშუასაუკუნეების სხვა ეკლესიებში. დასავლეთ საქართველოს დღემდე გამოვლენილ ყველა ბაზილიკაში მხოლოდ ასეთ ვადა-



სურ. 78. აბედათი. ეკლესიის განაკვეთი ჩრდილოეთით.

წვეეტას ვხედავთ (ნოქალაქევის ორივე ბაზილიკა¹⁵³, ბიჭვინტა¹⁵⁴, ცინისძირი¹⁵⁵, განთიადი¹⁵⁶, ვაშნარი¹⁵⁷ და სხვა). იგივე სურათია აღმოსავლეთ საქართველოს V—VII სს. საკულტო ნაგებობებში (ძველი შუამთა¹⁵⁸, ვახისუნის ბაზილიკა¹⁵⁹, სანაგირე¹⁶⁰, ბოლნისის სიონი¹⁶¹; ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა¹⁶², და სხვა). დასავლეთის კარს ფასადის მხრიდან არქიტრაული გადახურვა აქვს, განმტვირთავი თაღით (ტაბ L—2), ხოლო შიგნიდან თაღოვანია.

ეკლესიის შიდა კედლებზე ნალესობა არ არის, მაგრამ კონქის მიმდებარე ჩრდილო კედელზე შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. ალბათ, ეკლესია ვვიან

153 თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II; პ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1973—1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I, თბ., 1981, სურ. 9, 12.

154 ი. ციციშვილი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, — დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1976, სურ. 11.

155 Леквинадзе В. А. О постройках... ტ. 34, 1973, გვ. 77, სურ. 5.

156 იქვე, სურ. 8.

157 Леквинадзе В. А. Материалы по монументальному строительству в Ланке, — საქართველოს სახ. მუზეუმის შრომები, ტ. XXII.

158 Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии.

159 იქვე, გვ. 79.


160 იქვე, გვ. 123.

161 Чубинашвили Г. Н., Боляися, с. 8.

162 Чубинашвили Г. Н., Церковь близ селения Квемо Болииси. — Вопросы истории искусства, т. I, с. 104.

საუკუნეებში მოხატეს, მაგრამ მოხატულობამ აქამდე ვერ მოაღწია (ეკლესია ზომ ბოლოს სახურავის გარეშე იღგა).

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები ორივე მხარეს ზედაპირმოსწორებული ქვითაა შემოსილი. ქვებს შორის კირის ხსნარი ბევრგან გამოფიტულია. როგორც იმ ეპოქაში მიღებული იყო, აქაც ხსნარში მკვერივად ჩასაჯდომად თითო-იული ქვა ცერადაა ჩათლილი და ისეა მიწყობილი, რომ ნაკერებში ჩნდება



სურ. 79. აბდათი. ეკლესიის სამხრეთის ფასადი.

ღარები, საპირედ ნახმარი თლილი ქვები ერთი ზომისა არ არის. წყობაში დაცულია ჰორიზონტალობა, მაგრამ რიგები სხვადასხვა სიმაღლისაა. შედარებით დიდი ზომის ქვის რიგები მცირეა. მათ სიცოცხლე შეაქვთ ერთგვაროვან წყობაში. ეკლესიის კუთხეები უკეთ თლილი და შედარებით დიდი ქვითაა ამოყვანილი. დიდი ზომის ქვები ნახმარია აგრეთვე ცოკოლსა და მის მიმდებარე ფენაში და ღიობების ირგვლივ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესია მთლიანად დაფარული იყო მცენარეებით. იგი ვაიწმინდა და გაითხარა შიგნით და გარეთ. აღმოჩნდა, რომ ნიადავის გამოფიტვას ეკლესიის სამხრეთის მხარე ცოტათი გვერდზე გაუცურებია. ამას გამოუწვევია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების შუაზე გაობა. დასავლეთის კედლის შუა მონაკვეთზე ზემოდან ორი ნაპრალი გაჩენილა. ერთი ნაპრალი კარის არქიტრავს მარჯვნიდან უვლის, მეორე — მარცხნიდან. არქიტრავი კი თავისი განმტვირთავი თაღით უცვლელი დარჩენილა (მშენებლობის მაღალი დონე მისი კონსტრუქციული გათვლითაც დასტურდება, არქიტრავის ზემოთ განმტვირთავი თაღის მოწყობით). დასავლეთის კედელში ნაპრალები ზემოდან ქვემოთკენ ვიწროვდება, აღმოსავლეთით კი პირიქითაა. დასავლეთის კარის გვერდებიდან დაწყებული ნაპრალი ზემოთ ათ სანტიმეტრს აღწევს. ასეა აღმოსავლეთითაც: კონქის ზედა ჰორიზონტიდან დაწყებული ნაპრალი ძირს 12—15 სანტიმეტრის სიგანეს აღწევდა.

რესტავრატორებმა დასავლეთის კედლის სწორი ზედაპირი შიგნით და გარეთ შედარებით ადვილად აღადგინეს, მაგრამ აღმოსავლეთით შიგნით რთუ-

ლი სამუშაო იყო ჩასატარებელი. ძველი კონქის ბრწყინვალე წყობას უნდა შეხებოდა შევსება. უნდა ითქვას, რომ რესტავრატორებმა ამ საქმესაც კარგად გაართვეს თავი.

კონქის ნაპრაღის ამოვსება უშუალოდ დაკავშირებული იყო აფსიდის სარკმელთან. როგორც აღვნიშნეთ, განგრეულ სარკმელს შერჩენილი ჰქონდა ქვედა ძორიზონტალური მონაკვეთი და სამხრეთის გვერდი კედლის სივრცე ნაწილით. ძაგრამ ეს იძლეოდა დაქანებული ხაზის აღდგენის საშუალებას მხოლოდ ცალ მხარეს. სარკმლის ხერხელების სივრცე მიახლოებით დადგინდა იქვე არსებული დასავლეთის და სამხრეთის სარკმლების მიხედვით. იგივე სარკმლები და აფსიდის საერთო პროპორციები დაგვეხმარა სარკმლის სიმაღლის და გადახურვის ფორმის დადგენაში.

ჩრდილოეთის კარი აღდგა არსებულზე დაყრდნობით და დასავლეთის კარის ანალოგიით, იმ განსხვავებით, რომ მას გარედან არ გაუყვთა განმტკირთავი თალი, რადგან აღვიღზე ასეთის მონაკვეთი არ იყო და არც უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ დასავლეთის კარის დაწოლას ემატება ფრონტონის სიძშიმეც. ცხადია, დატვირთვა აქ მეტია და განმტკირთავი თალიც აუცილებელი იყო, ჩრდილოეთით ასეთი დატვირთვა არ იყო და ამიტომ განმტკირთავი თალიც არ იყო საჭირო.

კონქი შემორჩენილი იყო მთლიანად, ხოლო მის სახურავეზე დარჩენილი კრამიტებიდან აღდგა მხოლოდ ერთი, გვერდებაკეცილი (ზომები: 37,3×28×4,5)¹⁶³.

ამრიგად, ფრაგმენტების მეშვეობით გაირკვა, რომ დარბაზი და საკურთხეველი გადახურული იყო ცალ-ცალკე, სხვადასხვა დონეზე, ორფერდა სახურავეთ (ტაბ. L—1). ეკლესიის ორივე დონის სახურავეებს ერთნაირი ქანობები ჰქონდათ.

ეკლესიის კარნიზიდან ფრაგმენტიც კი არ შემორჩა. აღდგენის დროს ვიხელმძღვანელებთ ანალოგიებით. როგორც ადრექრისტიანულ ქართულ ძეგლებზე გვხვდება, აქაც სწორკუთხა კარნიზი იქნებოდა. რესტავრაციის დროს გაკეთდა სწორედ ასეთი კარნიზი. იყო თუ არა მისი ზედაპირი მხატვრულად დამუშავებული, ისე როგორც ეს ზოგიერთ ადრეულ ძეგლზეა (ბოლნისი¹⁶⁴, ურბნისი¹⁶⁵), ამის თქმა არ შეიძლება.

ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, სადაა, მორთულობის გარეშე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დასავლეთის კარის არქიტრავეზე მარტივად ამოკვეთილ ოთხკუთხედს, დიაგონალურად გადამკვეთი ხაზებით¹⁶⁶.

ძეგლის ანალიზის დაწყებისთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი პირველი შეხედვისთანავე თავისი სიმარტივეთ და დახვეწილი ფორმით ადრეული პერიოდის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

პირველ რიგში შევეხებით კონქის წყობას, რომელიც, როგორც ვთქვით, გამოირჩევა თავისი სიფაქიზით და მშენებლობის მაღალი დონით. ასეთ წყობას მხოლოდ ადრეულ ხანაში შეიძლება შევხვდეთ.

¹⁶³ კრამიტი ინახება აკად. ს. ჭანაშვიის სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ნოქალაქევის ფონდში.

¹⁶⁴ Ч у б н и а ш в и л и Г. Н., Болниси, с. 39.

¹⁶⁵ პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 124—125.

¹⁶⁶ კვადრატის შიგნით ჭვარდინი ხაზები შეიძლება „ხრისის“ (ქრისტეს სიმბოლოს) გამოსახულებად მივიჩნიოთ.

მისარონის ეკლესიის კონქის თაღსა და დარბაზის კამარას შორის მაღალი შუბლი დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრეული ხანის ზოგიერთი ძეგლისათვის. კერძოდ, მაღალი შუბლი აქვთ: კაწარეთის სამეხას, 167, ახმეტის ღვთაებას 168, შილდის სიონს 169, ურბნისის ბაზილიკას 170, თბილისის ანჩისხატს 171, რკონის ბაზილიკას და სხვა. ამათგან კაწარეთის სამეხას, ახმეტას, თბილისის ანჩისხატს 172 და შილდას საკურთხეველის აფსიდის ზევით სიციარიელე აქვთ 173. მისარონის აფსიდი შეერილი არ არის, ხოლო კონქის თავზე გამოწყენებული სიციარიელეა. მისარონის დარბაზი და მისი კონქი გადახურულია ცალ-ცალკე, სხვადასხვა ღონეზე. ასეთივე შუბლი გვხვდება აგრეთვე ბოდბეს წმ. ნინოს ბაზილიკაში 174. ხოლო პირდაპირ პარალელად ვერ მოვიყვანთ თიანეთის სიონს 175, რადგან შედარებით გვიანი პერიოდისაა. ყველა ეს ძეგლი V ბოლოსა და VII ს. დასაწყისის მონაკვეთში თავსდება, გარდა თიანეთის სიონისა (VI-II—IX სს.), თუმცა მისი აგების დროც არ სცილდება ადრეფეოდალურ ხანას.

დარბაზის გადახურვისას არ არის გამოყენებული საბჯენი თაღები. გადახურვის ასეთი პრინციპი ადრეული პერიოდის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთ გადახურვას ვხვდებით ბოლნისში 176, აკაურთაში 177, აკვანებაში 178, ოლთისში (თრიალეთი) 179, თეთრიწყაროში 180 და სხვაგან. ასევე, დასავლეთ საქართველოს ადრეულ ძეგლებში პილასტრები და საბჯენი თაღები არ გვხვდება.

როგორც ნ. ჩუბინაშვილი და რ. შმერლინგი თრიალეთის ძეგლების, ოლთისისა და თეთრიწყაროს განხილვისას აღნიშნავენ: „Отсутствие подпружных арок в своде церкви, так же может быть названа в качестве одного из проявлений древней эпохи“ 181

მისარონის ეკლესიის სამივე სარკმელი პატარაა, ამიტომ შიდა სივრცე მცირედაა განათებული, რაც ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ხანის ეკლესიებისათვის უფროა დამახასიათებელი (თეთრიწყარო, ოლთისი, ქვემო ბოლნისი).

167 Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, с. 56.

168 იქვე, გვ. 71.

169 იქვე, გვ. 63.

170 პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, გვ. 114.

171 რ. გვერდღითელი, ანჩისხატის რესტავრაცია. — ძეგლის მეგობარი, № 7, თბ., 1966, გვ. 37.

172 რ. გვერდღითელი, ვანა ასეთი უნდა იყოს ძეგლის მეცნიერული დაცვა? — ძეგლის მეგობარი, № 34, 1974, გვ. 73—80.

173 Чубинашвили Г. Н. Архитект. Кахетии, с. 63.

• 174 იქვე, გვ. 83.

175 ნ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 49.

176 Чубинашвили Г. Н. Церковь близ селения Квемо Болниси. — Вопросы истории искусства, т. I, с. 104.

177 ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი. — ქართული ხელოვნება, წ. 2, 1948, გვ. 28.

178 იქვე, გვ. 74.

179 Чубинашвили Н. Г., Шмерлинг Р. О., Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетрицкаро. — ქართული ხელოვნება, ტ. II, გვ. 48.

180 იქვე, გვ. 55.

181 იქვე, გვ. 51.

მისარიონის სარკმლები პორიზონტალური გადახურვითაა, სარკმელი შიგნით განივრდება. მათი ქვედა თარო ორსაფეხურია. შიგნით გაგანიერებულ სარკმლებს ვხვდებით ადრეული ხანის ეკლესიებშიც: აკვანება, ოლთისი, თეთრიწყარო, ზედაზენი¹⁸², კლიკისჯვარი¹⁸³, მცხეთის ჯვარი, წრომი და სხვა.

სარკმლების პორიზონტალურად გადახურვის შესახებ ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „Плоская перемычка окна изнутри (и даже по фасаду) известна в архитектуре древней эпохи, тому примеры памятники Картли и Кахети, которые этот конструктивный прием, несомненно, заимствуют у народного строительства“¹⁸⁴.

იგივე შეიძლება ვთქვათ საფეხურიანი სარკმლების შესახებ, რომელიც ასევე, ძირითადად, ადრეულ პერიოდში გვხვდება (ზედაზენი, კლიკისჯვარი), ასეთივე სარკმელს ვხვდებით მცხეთის ჯვარში¹⁸⁵ და წრომშიც¹⁸⁶ კი.

ეკლესიის ორივე კარს სწორი, ერთხაზოვანი გვერდები აქვს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს VI—VII სს. საეკლესიო ნაგებობებში მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას ვხვდებით (ბოლნისი, წრომი, ჯვარი და სხვა). მისარიონის ორი კარიდან შემორჩენილი დასავლეთისა, არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან თაღოვანია, ფასადის მხრიდან არქიტრავზე განმტვირთავი პატარა თალია.

„განმტვირთავი თალის“ ორი სახე არსებობს. ერთი — ლუნეტი და მეორე — განმტვირთავი პორიზონტული ნაპრალი. პირველის მაგალითს იძლევა ბოლნისი (ჩრდილოეთის ორივე კარი), ანჩისხატი და აკაურთა; მეორისას — ბოლნისი (სამხრეთის კარი) და ნოქალაქევის ქალაქის კვადროვანი გალავანი. როგორც ეტყობა, ნოქალაქევის მშენებლებმა განმტვირთავი თალის ორივე სახე კარგად იცოდნენ, რადგან ერთი გამოყენებულია კვადროვან გალავანში და მეორე — მისარიონზე.

არქიტრავის ზევით განმტვირთავი თალის წარმოშობაზე გ. ჩუბინაშვილს „ბოლნისში“ ვითვალისწინებთ: „Примеры ее мы имеем однако уже во II веке нашей эры в дохристианских памятниках Сирии... В последующие века мы встречаем их в христианских храмах помимо сирийских и палестинских построек, также в Малой Азии и Месопотамии. Везде здесь арки поднимаются над сплошной каменной балкой перемычки, как и в Болнисском Сисне. Кроме того отмечается, что такое устройство характерно было и для архитектуры Северной Африки (Алжир), где арка полуциркульная. Наличие такого приема в алжирских раннехристианских храмах считается заимствованием из Сирии“¹⁸⁷

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ საერთოდ ასეთი ფორმის კარის გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩო II—VII საუკუნეებია, ხოლო საქართველოში V—VI საუკუნეების მიჯნა (ბოლნისი, აკაურთა). აქვე უნდა აღვნიშნოთ,

¹⁸² Чубинашвили Г. Н., Зедзени, Клики-джвари, Гвиара. — ქართული ხელოვნება, ტ. VII. 1971, გვ. 33, სურ. I.

¹⁸³ იქვე, გვ. 41, სურ. 7.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 33.

¹⁸⁵ Чубинашвили Г. Н., Памятники типа Джвари. Тбилиси, 1948, Рис. 4, 5.

¹⁸⁶ Чубинашвили Г. Н., Цромки, М., 1967, с. 33.

¹⁸⁷ Чубинашвили Г. Н., Болнис, с. 141—142.

რომ ისინი გამოიყენებოდნენ მხოლოდ ნაგებობათა ქვის კვადრებით შენების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზული ეკლესიის ტიპი ირასოდეს ყოფილა წამყვანი, იგი ძალზე სივრცობრივად აღმოჩნდა, რადგან მცირე ზომის ეკლესია ყველგან და ყოველთვის საჭირო იყო.

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები და მისი წყობის თავისებურება (ცერად ჩათლილი ქვები), აფსიდის მაღალი შუბლი, დარბაზი საბჯენი თაღების გარეშე, სარკმელთა სიმცირე, არქიტრავის ზემოთ განმტვირთავი თაღი და ბოლოს მორთულობის სიმცირე, უძველესი ეკლესიების დამახასიათებელია.

ეკლესიის არქიტექტურულ-შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი ძეგლი, ნოქალაქევის „მისარონი“ V ს. ბოლო — VI ს. დასაწყისით თარიღდება.

ჩვენი აზრით, იმავე პერიოდზე მიუთითებს ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის მაღალი დონე. დროის ეს მონაკვეთი სამეფოსათვის აღმავლობის პერიოდად ითვლება, ხოლო მას შემდეგ, რაც ბიზანტიაში გამეფდა იუსტინიანე დიდი (527 წ.), იწყება ხანგრძლივი ომები ბიზანტიასა და ირანს შორის, ფაქტობრივად ეგრისში ჰეგემონიისთვის¹⁸⁸. ამ ხანგრძლივმა ომებმა ეგრისის სამეფო დაასუსტა და ამის შემდეგ დიდი მშენებლობა იქ არცაა მოხალოდნელი¹⁸⁹.



ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიები, ბაზილიკებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ამ ქალაქში ცხოვრების ინტენსივობაზე მიგვითითებს. მართალია, ეს ექვსი ეკლესია ყველა ერთდროულად არ მოქმედებდა, მაგრამ დიდი ნაწილი თანადროული ჩანს.

2. ნოქალაქევის გარეთ მდებარე ციხეთა ეკლესიები

ნოქალაქევის მუდმივმოქმედი ექსპედიცია, როგორც ცნობილია, ნაქალაქართან ერთად სწავლობს „ნოქალაქევის ქვეყანასაც“. ამან შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო, ბევრი საინტერესო ეკლესია გამოვლინდა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ეგრისის სამეფოს დაცვის სისტემის შესწავლისას ახლომდებარე ციხეების შიგნით გამოვლენილი რამდენიმე მცირე ზომის ეკლესია, თითოეული მათგანის დანიშნულება სრულიად კონკრეტული იყო: მომსახურებოდნენ გარეზონს.

ასეთი ეკლესიები აღმოჩნდა აბედათის, შხეფის და კოტიანეთის ციხეებში. ამათგან პირველი შედარებით უკეთაა დაცული, კოტიანეთის ციხის ეკლესიის ინტერიერზე მაინც შეიძლება მსჯელობა, ხოლო შხეფის ციხის ეკლესიის მხოლოდ მცირე ნაშთია გადარჩენილი. ამ ეკლესიებს აქ ერთად განვიხილავთ.

¹⁸⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1970, გვ. 249—268. ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I, გვ. 19—20.

¹⁸⁹ ეკლესიის ანაზომები შესრულებულია არქ. მ. ანდრიაძის მიერ.

სოფ. აბელათის ჩრდილო განაპირას, მთაზე დგას ციხე, რომელსაც ადრინდელი სახელი დაკარგული აქვს და ნოქალაქევის ექსპედიციის წევრთა აზრით, ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული „ონოგურისის ციხე“ უნდა იყოს¹⁹⁰.

ციხის გათხრებმა დაადასტურა, რომ იგი რამდენიმე სამშენებლო ფენისგან შედგება. თავდაპირველი ციხის ნაშთები ადრე მომხდარი ნგრევების გამო მცირე ქვეშ აღმოჩნდა. გათხრების შედეგად გამოვლენილი მისი გეგმა არ ემთხვევა შემდეგი ღროის ციხის გეგმას (სურ. 43).

ციხის შიგნით მდგარი ეკლესია არ არის თავდაპირველი, ციხის თანადროული. თავდაპირველ ციხეს შეუძლებელია საკუთარი ეკლესია არ ჰქონოდა, რადგან იგი ციხის გარნიზონს ყოველთვის სჭირდებოდა. ასეა იმავე ეპოქის ისეთ პატარა ციხეშიც კი, როგორც კოტაინეთია. ონოგურისი დღეი ციხე იყო, ამიტომ აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო ეკლესია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ნაშთი ჯერ გამოვლენილი არ ყოფილა.

აბელათის ეკლესია ზამთრის დარბაზული ნაგებობაა (სურ. 77). რგი გეგმით გარედან სწორკუთხედიანია. ინტერიერში დარბაზის სწორკუთხედი აღმოასაღლებით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. დარბაზისა და აფსიდის გადახურვა არ შერჩენილა, მაგრამ კარგად ირკვევა, რომ დარბაზი გადახურული იყო ნახევარწრიული კამარით, ხოლო აფსიდა — იმავე მოხაზულობის კონქით (სურ. 73). კამარა ეყრდნობა პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღს. თალი პილასტრებით ცენტრიდან დასავლეთით ოდნავ გადაწეულია. შესასვლელი სამხრეთ — დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ამთგან გვერდითები თითქმის ტოლებია, ხოლო დასავლეთისა მთზე განივრია (ჩრდილოეთის კარი გვიან ამოუშენებიათ. ამოშენებისაგან დარჩენილია ნახევარი მეტრის სიმაღლის კედელი).

კედლები ნაგებია საშუალო ზომის ოდნავ დამუშავებული ქვით, სამხრეთი ძირითადად გამოყენებულია მოთეთრო კირქვა, მხოლოდ საკურთხეველის კონქის თალის სამხრეთ დასაწყისსა და დასავლეთის სარკმლის წირთხლებზე შირიშია ნახმარი. კარების წირთხლების წყობა არაა გამოყოფილი, სრულიად სხვაგვარია თალის წყობა. იგი ნახევრადდამუშავებული ქვითაა აწყობილი. მართალია, ოსტატი თაღებმა ამოყვანისას ყოველთვის ვერ იცავს ნახევარწრიულობას, მაგრამ თავისთავად წყობა ლაზათიანია. ასეთი წყობა მხოლოდ ოსტატის გამოცდილებისა და გემოვნების შედეგია.

ეკლესიის ინტერიერი ნათდება სამი სარკმლით. ყოველ მხარეს ოთთხა, გარდა ჩრდილოეთისა. ისინი შიგნით გაგანიერებულია. სარკმლებიც ისევეა ნაგები, როგორც კარები, წირთხლების გამოყოფის გარეშე და თაღების სოლისებური ქვებით. სარკმლებს ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურებაც გააჩნია. ესაა შიგნიდან გარეთ გამავალი ქვის აწევა ერთი საფეხურით. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი კონსტრუქციული, საფეხურებისებური გადაწყვეტა აქვს ნოქალაქევის ციტადელზე მდგარ „მისარონის“ ეკლესიას¹⁹¹, მაგრამ ეს სახე კიდევ კარგა ხანს ცოცხლობს.

¹⁹⁰ აგათია სქოლასტიკოსი, ბიზანტიელი მწერლებს ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. III, ტფ., 1936, გვ. 40, 48, 59—62.

¹⁹¹ აბელათის ეკლესიის დასავლეთის სარკმლის თალი თითქმის მორღვეულია. ქვემოთ, კარის თალის შუა ნაწილი განახლებულია. როგორც ეტყობა, განახლება მომხდარა გასული საუკუნის ბოლოს.

საკურთხევლის გვერდზე თითო მაღალი ნიშია, რომელთაგან ჩრდილოეთისა იატაკიდან 80 სმ, ხოლო სამხრეთისა 50 სმ-ზე იწყება (ტაბ. LIII—1). ნიშები გეგმაში ნახევარწრიულია. გადახურვა თაღოვანი აქვთ, მხოლოდ თაღები, რადგან პროფილირებული ორ-ორი ქვითაა მიღებული, უსწორია, და შეისრული მოხაზულობა აქვთ. ასეთი გადაწყვეტა მათ აღრეულობას გამორიცხავს. ინტერიერში ჩვეულებრივზე მაღალი სივრცეა შექმნილი. ასეთი მაღალი პროპორციები ადრეულ ხანას არ ახასიათებს.

ინტერიერის არქიტექტურული მორთულობა მარტივია. მხოლოდ ოთხი იმპოსტია მოზრდილი ოთხკუთხა ქვებით მიღებული. ინტერიერის დამუშავებული ქვით ნაგები კედლები შეღესილი იყო თუ არა, ეს ამჟამად ზუსტად არ დგინდება. მაგრამ ძალიან თხელი, 2—3 მილიმეტრის სისქის ნალესობით რომ იყო დაფარული, ეს ცხადია. ამ ბათქაშის მცირე ფრაგმენტები ბევრგანაა შერჩენილი, ნალესობა ისეთი თხელია, რომ ქვის ჩაღრმავებულ ზედაპირებსაც კი ვერ ასწორებს. ფაქტია ისიც, რომ ამ ფრაგმენტების ზედაპირზე თითქმის ყველგანაა დარჩენილი მოწითალო, მუქი შინდისფერი ფრაგმენტებში სხვა ფერი არ ჩანს, ამიტომ გარკვევით ვერ ვიტყვით აქ მხატვრობა იყო თუ არა.

ჩვენ მიერ ნაშრომში წარმოდგენილი ეკლესიებიდან მხოლოდ ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის პირვანდელ აფსიდაზეა საღებავი გამოყენებული. შინდისფერით ჭვრებია გამოსახული საკურთხევლის აფსიდის კედლებზე. ეს ჭვრები, ძველთან ერთად, VI ს. დასაწყისითაა დათარიღებული¹⁹².

ეკლესია ვასული საუკუნის ბოლოს, თუ ამ საუკუნის დასაწყისში, განუახლებიათ. იატაკი, საკურთხევლის აწეულ ნაწილთან ერთად, მოუფენიათ თეთრი კირქვის კარგად თლილი ქვით. დარბაზის ცენტრში დიდი ზომის ოქტოგონური ფორმის ქვა დევს, მის გარშემო წყობა ამ ოქტოგონის წახნაგებს მიჰყვება. იმავე დროს, საკურთხევლის შუაში ოთხკუთხა ტრაპეზი აღუმართავთ. მისგან დარჩენილია მხოლოდ ზედა ქვა. იატაკის დაგების დროს უნდა იყოს შეკეთებული დასავლეთის სარკმელიც.

ეკლესიის ფასადები შემოსილია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით, სადაც ოსტატს უცდია პორიზონტალური რიგის დაცვა (ტაბ. LII). შენობა დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. კარნიზი შერჩენილია აღმოსავლეთით და ნაწილობრივ სამხრეთით. იგი, თავისთავად, სწორკუთხა, შვერილ ფილას წარმოადგენს (იგი, მართალია, ძველის მიბაძვითაა გაკეთებული, მაგრამ ახალი ჩანს).

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარების არქიტრავეული გადახურვის გვერდებზე თითო კრონშტეინია (ტაბ. LIII—2). კრონშტეინები დიდი ზომის თითო ქვისგანაა გამოთლილი (სურ. 79). ცხადია, ეს კრონშტეინები თაღების დასაყრდენად იქნებოდა განკუთვნილი, მაგრამ გაურკვეველია, თუ რა სათაესს ქმნიდნენ თაღები. ცალკე კარებზე მიდგმული კარიბჭეების არსებობა ადრეული საუკუნეების ძეგლებზე დადასტურებული არ არის (ყერძოდ, ბოლნისის სიონის სამხრეთის კარიბჭე რადიკალურად განსხვავებულ პრინციპზეა აგებული). მაგრამ კატეგორიულად ამის მტკიცება ძნელია, რადგან გ. ჩუბინაშვილი ძველი შუამთის ჩრდილოეთის კარიბჭეს ეკლესიის თანადროულად თვლის (Архитектура Кахетии, გვ. 43). 'გამოჩატული არ არის აქ, ეკლესიის გვერდებზე მინაშენების არსებობაც. მინაშენების საბჯენი თაღები ამ კრონშტეინზე გადა-

¹⁹² გ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის თავდაპირველი ფერწერული დეკორის შესახებ. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. წ. II, გვ. 126—134.

ვიდოდა, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები უშუალოდ ტაძრის ფასადებს მიებჯინებოდა¹⁹³, ეკლესიის ეს დეტალიც მის გვიან წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს.

ეკლესიას დასავლეთით სწორკუთხა კარიბჭე აქვს მიშენებული. მისი სახურავი ჩაქვეულია. კარი მხოლოდ დასავლეთითაა. კარიბჭის ფასადებში წყობა ეკლესიის ფასადების წყობასთან მსგავსებას იჩენს, ნაგრად მას ხარისხით ჩამოუვარდება. ამიტომ ეკლესიას სტილისტიკური ნიშნები გამოკვეთილად არ გაიჩნია, ამიტომ მისი ზუსტად დათარიღება ძნელდება. საერთო შთაბეჭდილებით კი იგი ნამდვილად არ არის ეგრისის სამეფოს დროინდელი ნაგებობა. დათარიღებისათვის მისი ზოგადი მონაცემებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია საერთო პროპორციები. განსაკუთრებით ეს ითქმის მის ზეგანულ პროპორციებზე, რომელიც ინტერიერში იგრძნობა. მეორე ესაა მინაშენების საკითხი. სამწუხაროდ, არ დგინდება თუ რა სახის მინაშენი იყო, მაგრამ ცხადია, რომ თავისთავად კარიბჭეები ადრეულ ხანაში არ კეთდებოდა. ამასთან ერთად, ეკლესია არ შეიძლება IX ს-ზე უადრეს იყოს აგებული. ესაა ბილასტრებისა და მათზე გადასული საბჯენი თალი¹⁹⁴.

ბ. კოტიანეთის ციხის ეკლესია

სოფ. კოტიანეთი მდებარეობს სენაქისკენ მიმავალ გზატკეცილზე, ნაქალაქარიდან ხუთიორე კილომეტრზე. სოფელი ვაკეზეა გაშენებული, მთები კი მდებარეობს ჩრდილოეთით, ორიორე კილომეტრზე, ამ მაღალი მთების ერთ-ერთ ქიშზე დგას ციხის ნანგრევები. ციხე ყველა მონაცემით ეგრისის სამეფოს დაცვითი სისტემის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა.

ციხე მცირე ზომისაა. იგი შედგება გალავნის, ერთი კოშკისა და ეკლესიისაგან (სურ. 47). დაცვის ერთი ზოლი ციხეს გარედანაც აკრავს — ესაა დრმა თხრილი მიწაყრილით. სიმაგრეთა ასეთი სისტემა მიღებული იყო ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდში.

კოტიანეთის ეკლესია სულ მცირე ზომისაა (შიდა ზომები: $4,6 \times 3,77$); ეკლესიის სიმცირე ნაკარნახევია ციხის ზომებით; ასეთი მცირე ზომის ($28,4 \times 17,52$) ციხის შიგნით მხოლოდ მინიატურული ზომის ეკლესიის ჩადგმა შეიძლებოდა. ქვეყნის დაცვის სისტემაში კოტიანეთის ციხეს, ალბათ, უფრო საყარაულოს ფუნქცია ეკისრებოდა. აქ მშვერავები უნდა მდგარიყვნენ მცირე გარნიზონით.

ეკლესია ამჟამად სანახევროდ მიწაში ზის. გეგმით იგი გარედან სწორკუთხაა, შიგნით კი დარბაზია, საკურთხეველის აფსიდით. დარბაზის კამაროვანი გადახურვა და კონქი ჩანგრეულია. ეკლესიის კედლები სადაა, სანახევროდ

¹⁹³ კონსტრუქციულად შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ტაძართან, ხოლო მინაშენის კედლები მიდგმული. ეს დასაშვებია, ასეთი გამოჩაყისები საერთოდ გვხვდება.

აქვე შეიძლება დაეძინოთ, რომ ეკლესიის ჩრდილო მხარეზე ჩატარებულმა გათხრებმა კარიბჭის, ანდა რაიმე მინაშენის სამირკველი არ გამოავლინა. საშხრებით გათხრას შემდეგ ანუთივე სურათი თუ შეიქმნა, მაშინ შეიძლება ერთი ვარიანტი კიდევ წარმოვიდგინოთ. ეკლესიის ავტორმა ძირითადი კორპუსის აშენების დროს კი ჩაიფიქრა რაღაც მინაშენის გაკეთება, მაგრამ შემდეგ აღარ, თუ ვეღარ განახორციელა.

¹⁹⁴ რ. შ. ე. ფ. ი. ს. ა. შ. ე. ი. ლ. ი., ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, — ქართული ზელოვნება. წ. 4, 1955, გვ. 122; ვ. დ. ლ. ი. ძე, სათხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, — ქართ. ზელოვნება, წ. 7, 1971, სურ. 2.

დამუშავებული ქვეთაა ნაგები. შედარებით უკეთაა ამოყვანილი აფსიდის კუ-
თხეები. საკურთხეველი ერთი საფეხურით მაღლაა დარბაზის იატაკთან შე-
დარებით, აფსიდის კედლებში ორი სწორკუთხა ნიშაა დატანებული.

ეკლესიას კარი დასავლეთის კედლის ცენტრში აქვს გაჭრილი. კედლები
დაახლოებით მეტრნახევრის სიმაღლეზეა დარჩენილი და ჰარკმლები, ალბათ,
ამ დონეზე მაღლა ექნებოდა. კედლებს შელესვისა თუ მოხატვის კვალიც არ
შერჩენია.

გ. შ ხ ე ფ ი ს ც ი ხ ი ს ე კ ლ ე ს ი ა

სოფ. შხეფიც სენაკისკენ მიმავალ გზატკეცილზეა. სოფლის დიდი ნაწილი
აქაც ვაკეზეა განლაგებული, ხოლო ჩრდილოეთის მონაკვეთი შედარებით
რთულ რელიეფზე დგას. უფრო ჩრდილოეთით, საკმაოდ მაღალ მთაზე, დიდი
წომის ციხეა წამოშდგარი. ეს ციხეც უგრისის სამეფოს დიდუბის დრო-
საა, იგი რთული გეგმის მრავალფენიან ნაგებობას წარმოადგენს (სურ. 43)¹⁹⁵.

ციხის ზედა, მთავარ ნაწილში აქაც მდგარა ეკლესია, რომელიც გარნიზო-
ნისათვის აუცილებელი იყო¹⁹⁶. სამუშუაოდ, ეკლესია დროთა განმავლობაში
ძლიანად დანგრეულია და მისი ნაშთი მხოლოდ ექსპედიციის მიერ ციხის
ფზოში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა. იკითხება გეგმის სწორ-
კუთხა მოხაზულობა (4,7 X 3,8 მ). ეკლესიის სწორკუთხა დარბაზს აღმოსავლე-
თით ამთავრებდა ნახევარწრიული აფსიდა. კარი თუ ნაგებობის სხვა დე-
ტალები არ შერჩენილა. ეკლესია ნაგები ყოფილა მკირეღ დამუშავებული
ქვით.

— + —

ზემოაღნიშნული სამივე ეკლესიის გეგმა გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი,
ყოველგვარი შევრილების გარეშე. შიგნით კი — სწორკუთხა დარბაზი აღმო-
სავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. კედლები ნაგებია სხვადა-
სხვა ზომის, მცირედი დამუშავებული ფლეთილი ქვით.

სამი ეკლესიიდან ფასადები მხოლოდ აბედათისას შერჩა. აქ კი ფასადებზე
გამოყენებულია თლილი ქვა, მაგრამ, ისე როგორც იმ პერიოდის სხვა ქართულ
ძეგლებში, აქაც ჰორიზონტალობა მთლიანად არ არის დაცული. ქვების თა-
ვისუფალი განლაგება ძეგლს აშკარად ადრეული პერიოდის იერს აძლევს.
რაც შეეხება ამ ეკლესიის სამივე კარის გადახურვის ფორმებს — გარედან არ-
ქიტრავია, შიგნიდან ნახევარწრიული ტიმპანი. ასეთი გადაწყვეტა ამ რეგიონი-
სათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს სისტემა გვხვდება ნოქალა-
ქევის „მისარონის“ ეკლესიაში და სეფიეთშიც (სეფიეთში, განსხვავებით ამ
ორი ძეგლისაგან. დასავლეთის კარის ტიმპანი ნალისებურია).

სამუშუაოდ, განსახილველი სამი ძეგლიდან ერთის მხოლოდ კვალია დარ-
ჩენილი, მეორის — მიწაში ჩამქდარი შიდა კედლები. ხოლო მესამე — შედა-
რებით კარგადაა დაცული, მაგრამ გამოკვეთილი სტილისტიკური ნიშნები არ
გააჩნია. აქედან გამომდინარე, ძინი უგრისის სამეფოს არსებობის მაღალ
და მომდევნო პერიოდით უნდა დათარიღდეს, ნაშრომში ისინი მოქცეულია

¹⁹⁵ მ. იაშვილი, პ. ზაქარაია, შხეფის ციხე. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II, 1987, გვ. 190—202.

¹⁹⁶ იქვე, სურ. 42.

განხილული სხვა დარბაზული ეკლესიების ორბიტაში. მართალია, ამ ეპოქის საკულტო ნაგებობათა ძირითადი თემა სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიებსაც თავისი ადგილი ჰქონდათ. ეს არის ერთადერთი სახე არაგუმბათოვანი არქიტექტურისა, რომელიც შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობათა განვითარების მთელ გზას შემორჩა. საუკუნეების განმავლობაში ჯარბაზული ეკლესიის გეგმა არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს — იცვლება მხოლოდ შენობის პროპორციები, ზომები, დეტალები და ფასადის მორთულობა.

ნოქალაქევის გარეთ ახლად აღმოჩენილი გუმბათოვანი ეკლესიები

ნოქალაქევის ექსპედიცია, როგორც აღრე აღენიშნეთ, სწავლობს არა მარტო ნოქალაქარს, არამედ შეძლებისდაგვარად ცდილობს მოიხვედოს „ნოქალაქევის ქვეყანაც“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად ლოგიკურია, რადგან ნოქალაქევი (არქეოპოლისი-ციხეგოჯი) იყო ეგრისის სამეფოს, დასავლეთ საქართველოს, დედაქალაქი და აუცილებელია იმ ეპოქის ძეგლებზე გათხრების წარმოება თუ არა, მათი გაცნობა მაინც.

ნოქალაქევის შესწავლის პრობლემის ასეთნაირად დაყენებამ გამოიწვია სხვა, გარე ობიექტებთან ერთად გათხრების დაწყება ნოჯიხევიში და ნაჯახოვოში.


1977 წელს ნოქალაქევის ექსპედიციამ დაიწყო გათხრები მარტვილის რაიონის სოფ. ნოჯიხევიში. ვასათხრელი ადგილი მდებარეობს მდინარე აბაშის მარცხენა მხარეს, ვაყეზე, სენაკი — მარტვილის გზატკეცილზე, ნოქალაქევიდან ათიოდე კილომეტრზე. სოფლის ბოლოს გათხრებმა გამოავლინა დასახლების კვალი, რომელიც ადრეფეოდალური ხანიდან იწყება. აღმოჩნდა ამ პერიოდის საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის აბანო და ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთი შემორჩენილია, ხოლო სასახლისა და სხვა დამხმარე ნაგებობებისა კი არა.

ამ კომპლექსის პარალელურად, 1978 წლის სეზონში, დავიწყეთ იქვე მახლობლად 30-ოდე მეტრზე სამხრეთით მდებარე ორი გორაკის გათხრა. ისინი ციხის კედლით იყო შემოფარგლული (სურ. 80). მოზრდილი გორაკის გაწმენდამ გამოავლინა პალატის ნაშთი. ხოლო მეორის, მომცროს გაწმენდისას აღმოჩნდა მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია, რომელიც განსხვავებული წყობის შქონე ნაგებობის ნანგრევებზე იყო დაშენებული (სურ. 83). საბოლოო გაწმენდამ ქვედა ფენაში გამოავლინა რვააფსიდოიანი ტაძარი.

როგორც ვხედავთ, ეს ადგილი კარგა დიდხანს ყოფილა დასახლებული. თავდაპირველად აქ V—VI სს. მიჯნაზე რომელიღაც დიდებულის საცხოვრებელი კომპლექსი აუგიათ, რომელიც VIII ს. დანგრეულა (აბანოდან აღებულმა ნახშირის ანალიზმა ეს დრო გვიჩვენა). შემდეგ, განვითარებულ შუა საუკუნეებში შესანიშნავ ტაძარს ააგებენ, რომელიც ასევე ნანგრევებადაა ქცეული. XVI—XVIII სს. კი „ნაკურთხ ადგილზე“, ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, ცალნავიან, მარტივ ეკლესიას ადგამენ, ხოლო გვერდით ვრცელ პალატებს აშენებენ და ყველაფერ ამას ციხის კედლებით შემოფარგლავენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილას ინტენსიური და ხანგრძლივი ცხოვრება ყოფილა, წყაროებში ამის შესახებ ცნობა არ მოიძებნება (არც ადგილობრივთა გამოკითხვამ მოგვცა რაიმე ახალი). არსებობს ეახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „ამაზედ

(ნდ. აბაშაზე — თ. კ.) არს სახარია ციხე და სასახლე დადიანისა¹⁹⁷. მაგრამ ეს ის ადგილია თუ არა, ამის ზუსტად დადგენა ძნელია, ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს.

ნოჯიხევი დადიანების სასახლის შესახებ ცნობა გვხვდება ნ. დადიანთან: „ამისთვის იმეცადინა გიორგი დადიანის ძემ და მიიბირა გელოვანი ქაიხოსრო



სურ. 80. ნოჯიხევი. სასახლარის ტოპოგეგმა.

და მოუწოდა გრიგოლს თავისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს¹⁹⁸, ბოლო დროს ნოჯიხევის სიძველეებს ყურადღება შიამკცია აყად. ნ. ბერძენიშვილმა¹⁹⁹.


1977—80 წლებში, ნოჯიხევის კომპლექსის გათხრების დამთავრების შემდეგ, ექსპედიციამ გადაინაცვლა სოფ. ნაჯახოვოში, ადრევე შემჩნეული გორაკის გასათხრელად.

¹⁹⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 166.

¹⁹⁸ ნ. დადიანი. ქართლის ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 188, აღნიშნული ფაქტები XVIII ს. 90-იან წლებს მიეკუთვნება.

¹⁹⁹ ნ. ბეკაძე ნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. თბ., 1975, გვ. 463.

ნოჯიხევიდან სამხრეთით, სამიოდე კილომეტრზე, მდებარეობს სოფელი ნაჯახავო, გზის სამხრეთით, ორმოცდაათიოდე მეტრზე ყურადღებას იქცევდა ზეგნით დაფარული 3—4 მეტრის შემადგენლობა, რომელსაც მოსახლეობა „ჯიხას“ ეძახდა (მეგრულად „ჯიხა“ ნიშნავს ციხეს ან შემადგენლობას). აღგილი, ისევე როგორც ნოჯიხევი, ეაკვა.



სურ. 81. ნოჯიხევი. ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიების ტაბულა.
1. სუხიები, 2. გაეაზი, 3. ნოჯიხევი, 4. ქაშეთი.


„ჯიხას“ ზედაპირზე აქა-იქ რიყის ქვის კედლები მოჩანდა. გათხრების დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ ეს რიყის ქვები კაპიტალური კედლების ამოყორვა ყოფილა.

გორაკის გაწმენდამ გამოავლინა ეკლესიის ნანგრევები, რომლის კედლებიც ორიოდე მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ამ ტერიტორიაზე გამოვლენილ ძეგლებს ქვემოთ ქრონოლოგიურად განვიხილავთ.

1. ნოჯიხევის ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია

ნოჯიხევის ნასახლარზე გათხრების დაწყების რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა ნაგებობის ნაშთი, რომელიც აბანო გამოდგა. ამის შემდეგ გაუართოვდა გასათხრელი ტერიტორია. იქვე მახლობლად მდებარე ბორცვის გათხრამ სრულიად მოულოდნელი სურათი გადაგვიშალა. ეს იყო შენობა ერთმანეთზე მიდგმული ოთხი ნახევარწრივით. გარეთა კუთხეების საბოლოოდ გაწმენდის შემდეგ აშკარა გახდა, რომ საქმე გვქონდა ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთთან (სურ. 81, ტაბ. LIV—1).



სურ. 82. ნოჯიხევი. ტეტრაკონქული ეკლესიის რეკონსტრუქცია (შედგენილი არქიტექ. კ. მელითაურის მიერ).

სამწუხაროდ, ეკლესია დანგრეულია საძირკვლამდე, ნანგრევების მიხედვით არამცთუ ეკლესიის მასებზე და კომპოზიციაზე შეიძლება საუბარი, არაშედ კარ-სარკმლების განლაგებაც არ დგინდება.

ეკლესია გეგმით ზუსტად ერთნაირი ზომის ოთხი ნახევარწრისაგან შედგება. წრეების შეერთების ადგილზე, შიგნით წვეტი იქმნება, ხოლო გარედან მცირე ზომის მომრგვალებული შევრილება.

ეკლესია მცირე ზომისაა (მაქსიმალური ზომებია 5,6 მ. ეკლესიის სისქეც მისი შესაფერისია — 0,90 მ), კედლები ნაგებია თლილი კირქვით და შირიმით, ქვები შედარებით პატარებია.

ეკლესიის გახსნის პარალელურად დამთავრდა აბანოს პრეპარაციაც. გაირკვა, რომ აქ საქმე გვაქვს საცხოვრებელ კომპლექსთან.

ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში აქ, მდინარე აბაშის მარცხენა მხარეს, ნაპირიდან სამასიოდ მეტრზე, დასახლებულა მცირე შესახლებლობის მქონე ფეოდალი. მის საცხოვრებელ კომპლექსში, ეკლესიისა და აბანოს გარდა, აუცილებლად იქნებოდა სასახლე და მასთან დაკავშირებული საცხოვრებელი, თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოუღწევიათ. დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ცხოვრებიდან ვიცით ერთი ანალოგია დღევანდელი ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში. დღეს მკიდროდ დასახლებულ შუაგულ სოფელში გათხრების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ სასახლე და მასთან დაკავშირებული აბანო²⁰⁰; ალბათ, იქვე სადმე იქნებოდა ეკლესია და სხვა აუცილებელი ნაგებობებიც.

მესამე მაგალითი გვაქვს ნოსირში, აქაც ვაკეზე, ტახურის მარცხენა მხარეს გამოვლინდა აბანო. მის ირგვლივ დაფნის პლანტაციის გაუმწეებისას სხვა ნაგებობები დანგრეულა, თორემ აქაც ფეოდალის ნასახლართან გვაქვს საქმე.

გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის საქართველოსთვის დასახლების ასეთი ფორმა იმ ეპოქაში, შესაძლოა, ჩვეულებრივი იყო, იმ ეპოქის ანალოგიური ნასახლარი სხვაც იქნებოდა.

თავისთავად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარტივი ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ტიპის ეკლესიებიდან დასავლეთ საქართველოში ეს პირველია და მეორეც, საერთოდ ასეთი ეკლესია სულ რამდენიმეა ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიათა ტეტრაკონქის ტიპის გენეზისსა და მისი განვითარების თავისებურებებს პირველად აკად. გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია უზრაღდება ჯერ კიდევ 1936 წ.²⁰¹. შემდეგში, კერძოდ, 1959 წ., იგი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და უფრო ვრცლად შეეხო მას²⁰². ამ საკითხით სხვებიც დაინტერესდნენ²⁰³, მაგრამ ეს ტიპი მონოგრაფიულად ჯერ შესწავლილი არ არის.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ჩამოყალიბების ეტაპები და თავისებურებები. ამასთანავე ცნობილია, რომ ბაზილიკურ ნაგებობათა განვითარება თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს V ს. ბოლოს²⁰⁴. ამის საუკეთესო მაგალითია ბოლნისის ტაძარი, რომლის აგება დამთავრდა 493 წ.²⁰⁵.

²⁰⁰ П. Закарая, В. Леквиадзе. Археологические раскопки Шухути. — *მეცნ.*, 1966, № 1, გვ. 120—135; П. Закарая, В. Леквиадзе. Шухутская баня. — *Византийский временник*. 1968, XXIII, с. 115—137.

²⁰¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნება, თბ., 1936, გვ. 56—59.

²⁰² Чубинашвили Г. Н. *Арх. Кахетии*, 1959, с. 216—231.


²⁰³ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 118; შ. დვალის, მანგლისი, თბ., 1924.

²⁰⁴ Чубинашвили Г. Н., *Болнис*, 1940, с. 193—198.

²⁰⁵ იქვე, გვ. 81.

ზოგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, „გუმბათიანი თემა“²⁰⁶ საქართველოში უკვე მუშავდებოდა IV და V საუკუნეებში, მაგრამ ჩამოყალიბება ცოტათი გვიან ხდება, თავისთავად VI საუკუნე ის ხანაა, როდესაც ხდება გუმბათოვანი არქიტექტურის მიმართულებით ძიება არაჩვეულებრივი ტემპით²⁰⁷. ამ შრავალფეროვნებაში ჩანს ის უშრეტი პოტენცია, რომელმაც ქართული არქიტექტურა მცხეთის ჯვრის ტაძრამდე მიიყვანა.

გუმბათოვანი არქიტექტურის განვითარების ამ გზაზე, როგორც გაირკვა, პირველი ტიპი, რომელიც შეიქმნა, ესაა ტეტრაკონქი²⁰⁸. ქრისტიანობისათვის, ყოველთვის და განსაკუთრებით ამ რელიგიის გავრცელების პირველ ხანებში, ჯვარი წარმოადგენდა სათაყვანებელს. ეს არქიტექტორმა მარტივად გამოავლინა ოთხი ნახევარი წრის თანაბრად შეკავშირებით. ერთმანეთზე პირით მი-



სურ. 83. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ტაძრის ნანგრევებზე დაშენებული დარბაზული ეკლესია.

დგმული თანატოლი ოთხი აფსიდა შუაზე კვადრატს ქმნის. ამ კვადრატზე გუმბათი იყო აღმართული (სურ. 82).

წმინდა ტეტრაკონქი, ე. ი. ისეთი ტეტრაკონქი, რომელიც შიგნიდან და ვარედან ნახევარი წრეებით მთავრდება, საქართველოში მხოლოდ ოთხია ცნობილი. ესენია — გავაზი, ქაშვეთი, სუხბეჩი და ნოჯიხევი. იყო ერთი ტეტრაკონქი მანგლისშიც, მაგრამ იგი, სხვებისგან განსხვავებით, ვარედან რვაგვერდაა. მიუხედავად ამისა, ამ ძეგლების მოქცევა ერთ ჯგუფში შესაძლებლად მიგვაჩნია.

ზემოდასახელებული ძეგლებიდან კარგადაა შესწავლილი გავაზი²⁰⁹ და მანგლისი²¹⁰. გავაზი, გ. ჩუბინაშვილის აზრით, თარიღდება VI საუკუნის შუა

²⁰⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნება, გვ. 6.

²⁰⁷ Чубиниашвили Г. Н., Арх. Кахетия, с. 216.

²⁰⁸ იქვე, გვ. 224.

²⁰⁹ გ. ჩუბინაშვილი ქართული ხელოვნება, გვ. 56—59; მისივე, Арх. Кахетия... с. 216—231.

²¹⁰ მ. დვალის, მანგლისი, თბ., 1974.

წლებით, ყოველ შემთხვევაში, მესამე მეოთხედს არ გადასცილდება²¹¹. მ. დვალი მანგლისის ტეტრაკონქის აგების თარიღად იძლევა V ს. ბოლო მეოთხედს და იქვე დასძენს, რომ ყოველ შემთხვევაში მისი აგების დრო VI ს. მესამე მეოთხედს ვერ გადასცილდება.

რაც შეეხება თბილისის ქაშვეთის ეკლესიას, მას გავაზის განხილვის დროს გავკრით ეხება გ. ჩუბინაშვილი და მის აგებას უკავშირებს ასურელ მამათაგან დავითს (შემდგომში — დავით გარეჯელს). ცნობილია, რომ დავითი ჩამოსულა დაახლოებით 520 წელს. ქაშვეთის ეკლესია, ალბათ, აუცილად დავითის ჩამოსვლის პირველ პერიოდში, ე. ი. VI საუკუნის მეორე მეოთხედში²¹².

სამხრეთ საქართველოში იშხნის ტაძრის ახლოს მდგარ სუზბეჩის ტაძარს მისი გამომცემელი ექ. თაყაიშვილი ათარიღებს V—VI საუკუნეებით²¹³. ამ თარიღის დაზუსტება ახლა არ ხერხდება მონაცემთა სიმცირის გამო.

როგორც ნახეთ, აქ ჩამოთვლილი სამი ტეტრაკონქი შედარებით კარგადაა დათარიღებული, ხოლო მეოთხე იმავე წრეში შედის. ოთხივე ეკლესიის თარიღი ექცევა დაახლოებით ასი წლის ფარგლებში. ესაა V ს. უკანასკნელი მეოთხედიდან VI საუკუნის მესამე მეოთხედის ჩათვლით. ჩვენი გამოსაკვლევი ეკლესიაც აღნიშნულის ფარგლებში ექცევა. შესაძლოა, ეს თარიღი უფრო დაკონკრეტდეს.

ტეტრაკონქურ ეკლესიათა იმ ჯგუფში, რომელშიც ნოჯიხევის ეკლესია მოექცა, იგი ყველაზე პატარაა, რასაც ვხედავთ აქვე წარმოდგენილ ცხრილში და ტაბულაზე (სურ. 81, 82).

ძეგლების დასახელება	ზომები (მ—ბით)	
	ჩრდ.-სამხ. ხაზზე	აღმ.-დას. ხაზზე
ნოჯიხევი	5,6	5,6
სუზბეჩი	8,4	8,4
გავაზი	12,6	13,4
მანგლისი	16,1	17,2
ქაშვეთი	18,5	20,9

ნოჯიხევის ეკლესიის სიპატარავე შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით: პირველი და ძირითადი ჩვენ გვგონია პატრონის ქონებრივი შესაძლებლობანი, საქმე იმაშია, რომ ამ ნასახლარზე აღმოჩენილი აბანოც მცირე ზომებისაა. საფიქრებელია, რომ ნოჯიხევის მოსახლე ვერ იქნებოდა დიდი ქონების პატრონი და ყველა საჭირო ნაგებობა მინიმალური ზომებით ააგო. ეს ნაგებობები მის მცირერიცხოვან ოჯახს დააკმაყოფილებდა.

არის მეორე გარემოება, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავწიოს. ესაა ებოქა და მისი თავისებურებები. ცნობილია, რომ პირველი ქართული ეკლესიები მცირე ზომისა იყო²¹⁴. ჭერ კიდევ რელიგიის საკითხები დამუშავების პროცესშია, ასევე ჩამოყალიბების პროცესში იყო კულტურის მსახურების სა-

²¹¹ Чубяняшвили Г. Н., Арх. Кавказа, с. 224.


²¹² გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნება, გვ. 59.

²¹³ ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. 1960, გვ. 73.

²¹⁴ გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1926, გვ. 35.

კოთხები, რიტუალი, ცხადია, ამათ შესაბამისად მიმდინარეობდა ეკლესიათა ფორმების ჩამოყალიბება, ნაგებობათა მასშტაბის ზრდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნოჯიხევის ეკლესიის მცირე ზომები შეიძლება იყოს მისი აღრეულ ეტაჟზე წარმოშობის შედეგიც. როგორც ეტყობა, ეს მიზეზიც მხედველობაშია მისაღები. თუ ამ პრინციპიდან გამოვალთ, მაშინ ნოჯიხევის ეკლესიის აგების დროდ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ტერაკონქულ-გუმბათოვანი არქიტექტურის გაჩენისა და განვითარების პირველი ეტაპი. ეს კი მოდის V ს. ბოლო მესამედზე და VI საუკუნის პირველ მესამედზე.



სურ. 84. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ეკლესიის გეგმა და განაკვეთები

ეკლესიის აგების აქ მოცემულ თარიღს ამაგრებს აგრეთვე ეგრისის სამეფოს ისტორიაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანა IV საუკუნიდან იწყება და გრძელდება VI საუკუნის მეორე მესამედამდე.

ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I მეფობის დასაწყისიდანვე (527 წ.) იწყება ზანგრძლივი ბრძოლა ეგრისის ტერიტორიაზე პრიორიტეტისათვის. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის სამი ათეული წლის განმავლობაში წარმოებულმა ომებმა ეგრისი დაასუსტა²¹⁵. სამოციანი წლებიდან კი ბიზანტიის ძალა აქ უფრო მეტად ჩანს, რაც თავისთავად ეგრისის სამეფოს დასუსტებას გულისხმობს.

ეგრისის სამეფოს ზემოთყვანილი პოლიტიკური მდგომარეობაც გვიკარნახებ, რომ ასეთი სახის მშენებლობები მოსალოდნელი იყო VI ს. ორმოციან წლებამდე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ნოჩიხევის დასახლებაც მანამდე უნდა მომხდარიყო.

ზემოთ მოყვანილი დებულებები, რომელთაგან აღსანიშნავია ეკლესიის სტილისტიკური თავისებურებანი, ანალოგიების მონაცემები, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია და სხვა, ჩვენ უფლებას გვაძლევს ნოჩიხევის ტეტრაკონქი დავათარილოთ V საუკუნის ბოლო მესამედით, ან VI საუკუნის პირველი ოთხი ათეულით.

2. ნოჩიხევის რვააფსიდოანი ეკლესია

ნოჩიხევის ორი გორაკიდან (სურ. 80) მომცროს გათხრამ პატარა ზომის, ყოვლად უსახო დარბაზული ეკლესიის ნაშთი გამოავლინა (სურ. 83). რადგან რგი დადგმული იყო საინტერესო, კაპიტალურად ნაგები ტაძრის ნანგრევებზე, გადაწყდა მისი მოხსნა. ეკლესიის ნაშთის სრული ფიქსირების შემდეგ იგი მოიხსნა²¹⁶.

დარბაზული ეკლესიის აღებამ არქეოლოგიური მასალის მხრივ ბევრი არაფერი მოგვცა, მაგრამ გამოაჩინა არქიტექტურის მშვენიერი და იშვიათი ძეგლის ნანგრევები.

ტაძარი რვააფსიდოანი აღმოჩნდა (სურ. 84, ტაბ. LVI). ეს სრული სიახლეა არა მარტო ისტორიული სამეგრელოსათვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც. ასეთი ტიპის ტაძარი საქართველოში ნოჩიხევამდე ცნობილი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ძალზე დაზიანებულია, მისი გეგმის დადგენა მაინც ხერხდება. ეკლესიას შიგნიდან რვა აფსიდი აქვს, გარედან კი მრავალწახნაგა იყო. მას სამი კარი აქვს ღერძებზე — დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ორი უკანასკნელი გვიან ამოუშენებიათ. ჩრდილოეთის კარზე ამოშენების დაშლის შემდეგ აღმოჩნდა ზღურბლი, შვერილი ნაოთხალით, დასავლეთის კარი, როგორც მთავარი, დანარჩენ ორზე ცოტათი ვანიერია.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესია შიგნიდან რვა აფსიდისაგან შედგება. ცენტრალურ, გუმბათქვეშა ფართობის გარშემო აფსიდები რადიალურადაა განლაგებული და ერთიან სივრცეს ქმნიან. აფსიდების წრიული მოხაზულობა ყველგან ზუსტად ერთნაირი არ არის. შვიდი აფსიდა უბეზოა და უშუალოდ ერთვის ცენტრალურ სივრცეს. ისინი ზომებით ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შედარებით დიდებია ის აფსიდები, რომლებშიც კარებია გაჭრი-

215 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 249—268.

216 საკითხი შეთანხმებული იყო ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო საბჭოსთან.

ლი. საკურთხევლის აფსიდა მათზე განიერია, ბემა ახლავს და ამის გამო ღრმაა,

საკურთხევლის აფსიდის მოხაზულობა სხვა აფსიდების ზომისაა, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ბემის დასაწყისში განიერდება.



სურ. 85. ნოჩხევი. რვააფსიდიანი ეკლესიის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები.

საკურთხევლი ეკლესიის დარბაზის ღონეზე ორი საფეხურით მაღალია. შუაში, აღმოსავლეთ კედელთან, ტრაპეზის ქვაა მიდგმული. ბემის კედლებში, მარჯვნივ და მარცხნივ, თითქმის იატაკის ღონეზე, თითო მომრგვალებული ნიშაა, რომელთაც იატაკის დონიდან გამოშვოფი ქვის ფილები ახლავთ.

ჩრდილოეთით აფსიდებს შორის ორი გადარჩენილი პილასტრის ზედაპირი სამ-სამი ლილეითაა დამუშავებული (ტაბ. LVIII—1).

გუმბათი შიგნიდან როგორც იყო გადაწყვეტილი, ზუსტად არ დგინდება. ნანგრევებში აღმოჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გუმბათის ყელზე გადასვლა აფრული ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია გარედან უფრო მეტადაა დაზიანებული, ვიდრე შიგნით, კარგად ჩანს, რომ ცოკოლსა და საძირკველს წრიული მოხაზულობა აქვთ, ხოლო ზემოთ თვით კორპუსი წახნაგოვანი ყოფილა. საძირკველი ნაგებია ყორექვით, ხოლო ორსაფეხურიანი ცოკოლი — თლილი ქვით. ცოკოლი შენობის ირგვლივ კარგადაა შერჩენილი. ზედა კორპუსისაგან კი მოღწეულია მხოლოდ სამი გვერდი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ისიც ნაწილობრივ. სწორედ ამ ნაშთით ირკვევა, რომ ტაძრის კორპუსი წახნაგოვანი ყოფილა. წახნაგებს ძირში ორნამენტური არშია გასდევს, მის ზემოთ კი რთული პროფილის მაღალი ფრიზი ყოფილა, რომლის ფრაგმენტი შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთის წახნაგზე (სურ. 86, ტაბ. LVIII—2). რა ხდებოდა ამის ზემოთ, ადგილზე არ ჩანს.

ეკლესიის ნანგრევებში ბლომდაა ნაპოვნი არქიტექტურული დეტალი და ჩუქურთმის ფრაგმენტი (ტაბ. LIX—LXIII), მათ საკიროების მიხედვით ქვემოთ განვიხილავთ.

ტაძარი გარედან მოთეთრო კირქვის კარგად თლილი კვადრებით ყოფილა შემოსილი, ხოლო შიგნიდან — თლილი, პატარა ზომის შირიმის ქვით. შირიმში აქა-იქ გარეულია სხვა ჯიშის მომწვანო ქვა. შირიმი გამოყენებულია პილასტრების ლილვებზეც.

ეკლესიის მონატულობა არაა შემორჩენილი, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მონატული იყო. ამის მაუწყებელია ჩრდილო აფსიდების ზედაპირის ნაქდევებით დამუშავება ბათქაშის დასამაგრებლად.

ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები, რომლებიც შესრულებულია ისეთივე კირქვის ფილებზე, როგორითაც ტაძრის ფასადებია შემოსილი (სურ. 85, ტაბ. LXVI).

ეკლესია რელიეფებითაც ყოფილა მორთული. ამთგან ჩვენამდე მოაღწია ერთადერთმა ხარის თავმა (ტაბ. LV).

ნუმისმატიკური მასალიდან აღსანიშნავია ის მონეტები, რომლებიც აღმოჩნდა ნაგებობის ირგვლივ. ერთი მონეტა უშუალოდ ტაძრის ნანგრევებშია აღმოჩენილი, იატაკის დონეზე. თერთმეტი მონეტა განძის სახით ნაპოვნია ჩრდილო-აღმოსავლეთით 50-ოდ მეტრზე, გალავანთან (ქოთანში იყო), სამი მონეტა კი ნაპოვნია ტაძრის გარშემო, სხვადასხვა ადგილას.

მონეტები ვერცხლისაა, კარგად შენახული, მათი ნაწილი ტრაპიზონის საკეისროსია, ნაწილიც სელჯუკური (XIII ს. ქრონოლოგიურად 1236—1263 წწ. თავსდება²¹⁷).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოჯინევის ახლადაღმოჩენილი ეკლესია, მრავალაფსიდიან ტაძარს წარმოადგენს. მრავალაფსიდიანი ტაძრების თემა, გ. ჩუბინაშვილის აზრით, საქართველოსა და სომხეთში განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში ჩნდება და ამ ეტაპზევე ამთავრებს თავის არსებობას²¹⁸. საქართველოში ამ ტიპის ძეგლებია: გოგაძე (ყოფილ არტაანის ოლქში)²¹⁹, კაღმის-ალთი (ოლთისის ყოფილ ოლქში), ბანას მახლობლად²²⁰, ოლთისის ციხის ეკლესია²²¹, კაცხი²²², ბოქორმა²²³ და რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ პრინციპულად ამ ძეგლების მსგავსი ტაოსკარი²²⁴. ამ ძეგლებთან ევო-

217 თ. აბრამიშვილი, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოებული მონეტები (1937—1902 წწ.). — ნოქალაქევი-არქეოლოგიის II, გვ. 274—285.

218 Чубинашвили Г. Н., Армянское искусство с конца X и до начала XI в. — თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „სასულიერო დავითი“, თბ., 1939, გვ. 39.

219 Такашвили Е., Христианские памятники, გვ. 13—17, ტაბ. XVI, სურ. 47—49.

220 იქვე, გვ. 85—88, სურ. 58; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლი 1907 წელს. პარიზი, 1939, გვ. 28—29, Беридзе В. Архитектура Таокларджети. გვ. 59, სურ. 21; ე. თაყაიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების აღბოძი. 1924, ტაბ. 24.

221 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 47—48, Беридзе В. დასახ. ნაშრ., ნახ. 21; კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენისა, ტფ., 1920, გვ. 31.

222 ე. ბერიძე, კაცხის ტაძარი, — ქართული ხელოვნება. ტ. III, თბ., 1950, გვ. 53—94.

223 Чубинашвили Г. Н., Арх. Кахетия, с. 416.

224 კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენისა, ტფ., 1920, გვ. 51. ე. თაყაიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრული აღბოძი. ტაბ. 12, 13, 14; მისივე, არქ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 67—70.

ლუციურად დაკავშირებულია აგრეთვე კუმურლო და ნიკორწმინდა. აქ ჩამოთვლილი ძეგლები ექვსაფსიდიანია. როგორც ვხედავთ, მრავალაფსიდიანი ტაძრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება, თუმცა უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში მდებარეობს.

სომხეთის ძეგლებიდან აღსანიშნავია რვააფსიდიანი ტაძრები: ზორავეანი (ელვარდის მახლობლად), ირინდი, მაცხოვრის სახელობისა ანისში და ვარდძახანი. ექვსაფსიდიანებიდან აბუგამარენცი ანისში.

კომურლო და ნიკორწმინდა ზუსტად დათარიღებული ძეგლებია (კომურლო — 964 წ., ნიკორწმინდა — 1010—1014 წწ.)²²⁵. იმავე ჯგუფის ძეგლებიდან სამშენებლო დამთარიღებელი წარწერა აქვს აგრეთვე კაცხს, ესაა X—XI საუკუნეთა მიჯნა²²⁶. გოგაუბასა და კვალმის-ალთისათვის ექვთიმე თაყაიშვილი X ს. ასახელებს²²⁷. მისივე აზრით, ოლთისის ციხის ეკლესიაც „ქვეშა-რიტი კოპიო არის... კვალმის-ალთის ეკლესიისა“²²⁸, ამავე პერიოდის ძეგლია ბოქორმაცი.

სომხური ძეგლებიდან აბუგამარენცი²²⁹ წარწერის მიხედვით 994 წ. თარიღდება. რვააფსიდიანი ტაძრებიდან სამშენებლო წარწერა აქვს მაცხოვრის ტაძარს ანისში²³⁰, რომლის დამთავრების თარიღად 1036 წელია მიჩნეული. ზორავეანისა და ირინდას ტაძარს სომეხი მკვლევარნი VII ს-ით ათარიღებენ²³¹, გ. ჩუბინაშვილი კი მათი აგების დროდ X ს. ბოლოს მიიჩნევს²³².

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მრავალაფსიდიანი ტიპის ძეგლები ქრონოლოგიურად მკვიდრო ჯგუფს ქმნიან. ისევე, როგორც ყველა ორგანული ხუროთმოძღვრული თემა, მრავალაფსიდიანი ტაძრების თემაც არ შეიძლება გაჩენილიყო მოულოდნელად, გარკვეული ევოლუციის გარეშე. მრავალაფსიდიანი გეგმის გენეტიკურ ურთიერთობათა ძიებას უძველეს ქართულ ტეტრაკონქებთან მიეყვება²³³.

ტეტრაქონქის თემამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ცენტრალური კომპოზიციის ტაძრის ტიპის დამუშავებაში. თვით მცხეთის ჭვარიც კლასიკური ნიმუშის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობისა, ტეტრაკონქის თემას მიეკუთვნება. სწორედ მცხეთის ჭვრის ჯგუფის ძეგლებში და მის წინამორბედ ნინოწმინდასა და გაეაზში უნდა ვეძებოთ მრავალაფსიდიანი თემის ჩანასახიც²³⁴. ესენია დამატებითი მომრგვალებული კამერები ნინოწმინდაში და მცირე აფსიდოლოები ჭვარში.

დროთა განმავლობაში ამ თემის გადამუშავებას მიეყვართ მრავალაფსიდიანი ტაძრის ტიპის ჩამოყალიბებამდე.

²²⁵ Северов Н. П., Чубинашвили Г. Н., Кумудо и Никорцинда. — Памятники грузинской архитектуры, 1947.

²²⁶ ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, გვ. 53—94.

²²⁷ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიციები, გვ. 47.

²²⁸ იქვე, გვ. 47.

²²⁹ Халпахчян. Восьмиапсидные центрально-купольные сооружения средневековой Армении. — Арх. искусства, № 30, М., 1982, с. 60; Якобсон А. А., Очерки истории зодчества Армении, V—XVIII вв. — Л., 1950, с. 29; Торамания Т. Материалы по истории армянской архитектуры. Т. I. Ереван, 1942, с. 1:18.

²³⁰ Халпахчян О. Х. დასახ. ნაშრ. გვ. 63.

²³¹ Торамания Т. დასახ. ნაშრ. გვ. 118; Якобсон А. А. დასახ. ნაშრობი, გვ. 29.


²³² Чубинашвили Г. Н., Разыскание по армянской архитектуре, с. 157—158.

²³³ Чубинашвили Е. Н., Разыскание..., с. 157—158.

²³⁴ ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, გვ. 75.

შემორჩენილია 13 გრაფემა. ამთგან „ა“ გამეორებულია ექვსჯერ, „ბ“ ორჯერ (მეორე შემთხვევაში დაზიანებულია), ხოლო დანარჩენი — თითოჯერ. ამათგან „გ“ და „ფ“ მოღწეულია დაზიანებულად.

ასოები ჩაკვეთით არის შესრულებული. გრაფემები შეღებილი ყოფილა წითელი საღებავით, სინგურით, რომლის კვალი ზოგიერთ ასოს სიღრმეში აჩუქმადაც მკაფიოდ შეემჩნევა. ეს ნიშნები დამახასიათებელია X ს. დასასრულისა და XI ს. ლაბიდარული წარწერებისათვის. ამასთანავე, უყელო დონი, ქორაპუსზე მკდარი განივი ხაზით, 7(ე) და 8(დ) მარცხნივ გაზიდული განივი ხაზებით, ტიპურია მხოლოდ X საუკუნისათვის²³⁷.



სურ. 87. ნოჭიხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის აღდგენილი გეგმა.

ფრიზად განლაგებული წარწერა გუმბათის ყელის თაღედის ზემოთ უნდა ყოფილიყო, უშუალოდ ქოლგისებური კარნიზის ქვეშ (იხ. ქვემოთ).

როგორც აღვნიშნეთ, ნოჭიხევის ეკლესია, თავისი რვა აფსიდით, განსხვავდება საქართველოს დანარჩენი მრავალაფსიდიანი ეკლესიებისაგან, რომელთაც ხუთი ან ექვსი აფსიდა აქვთ, მაგრამ მათი საერთო მასები ზოგადად დი-

²³⁷ ნოჭიხევის გრაფემებისათვის კონსულტაცია ეთხოვეთ ისტორიკოს-ჰალეოგრაფებს ნ. შოშიაშვილსა და ე. სილოგავას. მათ ნიმუშები ცალ-ცალკე შეისწავლეს და დასკვნები მოგვცეს წერილობით. ნ. შოშიაშვილის აზრით, ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები X საუკუნისაა, ხოლო ე. სილოგავა X—XI სს. მიჯნას მიაკუთვნებს, პატივცემულ მკვლევარებს გავწული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ.

დად უახლოვდება ერთმანეთს. ყველა ამ ძეგლში აფსიდები ცენტრალური სივრცის გარშემო სხივისებურად ლაგდება, კუმურდოსა და ნიკორწმინდას აფსიდების განლაგებაც რადიალურია, მაგრამ ამათგან განსხვავდება. ქართული მრავალაფსიდიანი ძეგლები სიდიდის მხრივ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (კაცხისა და ბოქორმის ეკლესიების დიამეტრები თითქმის შთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, დაახლოებით 12 მ, ნოჯიხევისა — 10 მ).

ნოჯიხევის ეკლესიის რვა აფსიდი თითქოს აახლოვებს მას სომხეთის ამ ტიპის ნიმუშებთან, მაგრამ მათში პრინციპული განსხვავებაა. ნოჯიხევისათვის, ისევე, როგორც ამ ტიპის სხვა ქართული ძეგლებისათვის, უცნობია აფსიდების სიმრავლის გარეთ გამოტანა, ისე, როგორც ეს ანისის ე. წ. ბეჰენცის კაბელაშია²³⁸. ამ გარეგნულ, ტიპოლოგიურ მხარეებზედაც რომ არაფერი ვთქვათ, სომხეთში წმინდა მხატვრული ასპექტითაც განსხვავებული ტრადიციებია. ამისათვის საკმარისია ერთმანეთს შევედაროთ ანისის მაცხოვრის ტაძარი²³⁹ („იარკიჩ“ და ანისისავე „მწყემსის“ ეკლესია)²⁴⁰.

განსხვავებით სომხური მრავალწახნავა ძეგლებისაგან, სადაც საკურთხეველის მხარე არაფერი არაა გამოყოფილი, ამ ტიპის ქართულ ძეგლებში, გარდა გოგაშუბანის, რადიკალურად განსხვავებულ გადაწყვეტას ვხვდებით. ქართულ მრავალაფსიდიან ძეგლებში გამოკვეთილია მთავარი ღერძი, ნოჯიხევი ეს მიღწეულია საკურთხეველის წინ ბემის ჩამატებით, რისი მეშვეობითაც მიღებულია ღრმა აღმოსავლეთის აფსიდი, რომელიც გარედან შესამჩნევად შვერილია. ასეთივე გადაწყვეტას ვხვდებით ბოქორმაში²⁴¹, კაალმის-ალთაში²⁴², ოლთისში²⁴³ და კაცხში²⁴⁴.

ქართულ ძეგლებში საკურთხეველის აფსიდები ხაზგასმულია აგრეთვე ორივე მხარეს, კედლის მასივში, ზოგჯერ მცირე კამერების, ზოგჯერ კი ნიშების ჩასმით. პირველის მაგალითს იძლევა კაალმის-ალთი და კაცხი, ხოლო მეორისა — ბოქორმა და ნოჯიხევი. იმ ძეგლებში, რომელთაც საკურთხეველში კამერები აქვთ, ფასადზე საკურთხეველის ორივე მხარეს სამკუთხა ნიშები არ უკეთდებათ. როგორც ეტყობა, ამ კამერებს, გარდა პრაქტიკული მნიშვნელობისა, კედლის განტვირთვის როლსაც აკისრებდნენ.

ნოჯიხევის ეკლესიის ინტერიერში გუმბათის საყრდენი პილასტრების ლილვებით დამუშავების ზუსტ ანალოგიას ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამ პერიოდის ძეგლების გუმბათის საყრდენები, ისევე როგორც ნოჯიხევი, ყველგან პროფილირებულია. ოსტატი აქაც მრავალფეროვნებისაკენ მიისწრაფვის, რაც თავისთავად ეპოქის დამახასიათებელია.

ნოჯიხევის ტაძრის ფასადები ძალზე დაზიანებულია. ადგილზე არსებულისა და ნანგრევებში ნაპოვნი ფრაგმენტებიდან ზოგიერთ გარკვეულ დეტალზე დაყრდნობით ძეგლის გარეგანი სახის ერთი ვარიანტი ისახება.

²³⁸ Strzygowski. Die Baukunst [der] Armenien und Europa. ტ. 1. გვ. 126, ტ. II, სურ. 557.

²³⁹ იქვე, I, სურ. 45. Чубинашвили Г. Н. Армянское искусство. გვ. 43—44, სურ. 12

²⁴⁰ Strzygowski, დასახ. ნაშრ. 1. სურ. 244, ტ. II, სურ. 593, 670.


²⁴¹ Чубинашвили Г. Н. დასახ. ნაშრომ. გვ. 41, სურ. 42.

²⁴² Чубинашвили Г. Н., Арх. Кахети, с. 416.

²⁴³ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციებმა კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 1907, პარიზი, 1938, გვ. 47; Беридзе В. Арх. Тао-Кларджети. გვ. 34, სურ. 21.

²⁴⁴ ე. ბერიძე, კაცხის ტაძარი, გვ. 55.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წრიული ცოკოლი მთლიანადაა შემორჩენილი. ფასადებზე შემორჩენილი სამი წახნაგის მეშვეობით ჩვენ ვიციტ წახნაგების სივანე. ამ მოდელის გამეორებით, ცამეტი წახნაგი ზუსტად ემთხვევა და შე-
 ჰოფარგლავს შვიდ აფსიდლასა და მათ შორის მდებარე არეს. ამ წახნაგების აღმოსავლეთის ბოლოებზე კიდევ თითო მოკლე წახნაგია. ხოლო რაც შეეხება




სურ. 88. ნოჭიხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის აღდგენილი განაკეთი. ჩრდილოეთით.

საკურთხეველის აფსიდის წახნაგების რაოდენობას, ამას, ჩვენი აზრით, გან-
 საზღვრავს ის რამდენიმე ორნამენტიანი ქვა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.
 ქვების პროფილი ემთხვევა მთავარი კორაპუსის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე
 ადგილზე შემორჩენილი ფრაგმენტის პროფილს, მხოლოდ მას სიმბალითა

მცირედ ჩამოუვარდება. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთავარი კორპუსის წახნაგებს შორის კუთხე 147°-ია. ცხადია, ეს ქვეები მთავარი კორპუსისა ვერ იქნება. იგი მხოლოდ და მხოლოდ საკურთხეველის შვერილისა უნდა იყოს. მართლაც, ამ კუთხეების ზომები ზუსტად მოერგო საკურთხეველის შვერილს და მოგვცა შვიდი წახნაგი (სურ. 87). აქვე მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება, რომ მრავალაფსიდიანი ძეგლების შვერილი საკურთხეველები ყოველთვის წახნაგოვანია (კიაღმის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი).

X ს. ბოლო პერიოდის ქართული ტაძრების ფასადების მორთულობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს თაღნარი. ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი რამდენიმე დეტალი სწორედ ფასადის თაღნარით მორთვას ადასტურებს.



სურ. 89. ნოჩიხევი. რვააფსიდიანი ეკლესიის აღდგენილი ფასადი (პირველი ვარიანტი).

ასეთებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს წიბოების ამჟოლი ლილვები და თაღედის ფრაგმენტები (სურ. 86, ტაბ. LII—1). თაღნარის პილასტრების ლილვებად მიჩნეული გვაქვს ორმაგი, ერთმანეთის საპირისპირო გრეხილებისაგან შემდგარი ლილვები.

ამ გრეხილ ლილვებთან ერთად ნანგრევებში გვხვდება გლუვზედაპირიანი ლილვის ფრაგმენტებიც. ზომებით გრეხილი ლილვი ოდნავ დიდია მეორეზე. ეუშვებთ, რომ უფრო განიერი ლილვები ქვედა კორპუსისაა, ხოლო შედარებით წვრილი — გუმბათის მორთულობისა. თაღნარის ფრაგმენტები რამდენიმე გვაქვს, ისინი სწორკუთხა პროფილიანებია. თაღების მოხრის რადიუსი ზუსტად ემთხვევა ლილვოვან წიბოებს შორის მანძილს. ვფიქრობთ, ეს წიბოვანი პროფილის თაღები ქვედა კორპუსისაა. ტაძრის ფასადის ქვედა ნაწილში ორნამენტული და ლილვოვანი არშია, რომელიც ძირითად კორპუსს დღემდე შემორჩა, რაგორც ეტყობა, თაღნარის საყრდენს წარმოადგენდა.

ფასადების თაღნარის ნაწილებია ის რამდენიმე ქვა, რომელთაც „სოლი-სკებური“ მოხაზულობა აქვთ. ეს ქვები თაღებს შორის უშუალოდ იმპოსტებს ზემოთ წიბოებს ქმნიდა (ტაბ. LXI—2).


გვაქვს კიდევ სამი ქვა, რომელიც თაღების შიდა არის მოპირკეთებას ეკუთვნის. ამ ქვების წრიული მოხრა ზუსტად ემთხვევა თაღის შიდა მოხაზულობას. ფასადის მორთულობის კიდევ ერთი დეტალია საინტერესო. ესაა სამკუთხა ნიშები. ნოჯიხევის ტაძრის გაწმენდისას მისი სამხრეთის კარის დასავლეთით ეიპოვეთ სამკუთხა ნიშის ფრაგმენტი, რომელიც სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის აფსიდებს შორის მდებარე მასის მონაკვეთს ეკუთვნოდა. ამ ფრაგმენტის შიდა კუთხე დაახლოებით 70—75° წარმოადგენდა. ნიშა შემოსილი იყო ისეთივე თლილი ქვით, რაგორც ფასადები. ასეთი ნიშები იყო, ალბათ, აფსიდებს შორის ყველა მონაკვეთში. სულ ექვსი ნიშა უნდა ყოფილიყო. ამ ტიპის შემორჩენილი ძეგლებიდან ნიშები გვხვდება გოგუბანში, კალიმოს-ალთში, ოლთისსა და ბოჰორმაში (არ არის კაცხში იმის გამო, რომ შიგნიდან ეს ადგილები მოკავებული აქვს სხვადასხვა დანიშნულების კამერებს).

თაღნარის გარდა, ფასადებს სხვა მდიდრული მორთულობაც ახლდა. მათ შორის აღსანიშნავია სარკმლების და კარების მორთულობა. თითოეულ მათგანზე მცირე მონაცემები გვაქვს. შედარებით უკეთაა წარმოდგენილი სარკმლების ფრაგმენტები. ამ ფრაგმენტებიდან შემორჩენილია ორი სარკმლის თაღი, რომელთაგან ერთს ფართობროფილიანი არშია შემოუყვება, ხოლო მეორეზე, არშიასთან ერთად, არის ვარდული (სურ. 86, ტაბ. LX—1, LXII—1). ამათ გარდა, სარკმლის გვერდების მოჩარჩოების პროფილიანი ქვები ათამდეა შემორჩენილი. ეს ფრაგმენტები არ მიგვანიშნებენ ფასადებზე სარკმელთა განლაგებას.

ნოჯიხევის სამივე პორტალი ძირითადად, ალბათ, ერთნაირი გადაწყვეტისა იქნებოდა, მხოლოდ ზომებში იყო მცირე განსხვავება. ფრაგმენტებიდან კარის მოჩარჩოების ერთნაირი დამუშავების ხუთი ქვაა შემორჩენილი (რთული პროფილის ფესტონებით შემკული). ერთი მათგანი პორტალის თაღის საწყისს წარმოადგენს. ამ ფრაგმენტებით კარების მორთულობა ფასადების სიბრტყიდან შვერილი უნდა ყოფილიყო.

მთავარი პორტალის მორთულობის დეტალად მიგვაჩნია ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ათიოდე ნაბიჯზე ნაპოვნი ხარის თავის სკულპტურა. ეს სკულპტურა აშკარად ფასადის პერპენდიკულარულად იქნა, მაგრამ თუ სად,

ამის მონაცემები არა გვაქვს. ანალოგიების მოძებნას თუ დავიწყებთ, პირველ რიგში გაგვახსენდება XI ს. პირველი მესამედის ძეგლის, სვეტიცხოველის, დასავლეთის კარიბჭის დეკორი²⁴⁵. ამ ანალოგიის მიხედვით ჩვენ გამოეთქვამთ ვარაუდს, რომ ნოჯიხევიში ხარის თავის სკულპტურა ამშვენებდა დასავლეთის



სურ. 90. რვაათსიდიანი ეკლესიის აღდგენილი ფასადი (ნეორე ვარიანტი).

შთავარ პორტალს. იგი უნდა ყოფილიყო თავის წყვილთან ერთად პორტალის თაღის გვერდებზე.

²⁴⁵ ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მეღვინეობის კათალიკოსის ანდერქთან. — ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 133—142.

ტაძრის ძირითადი კორპუსის წახნაგოვნებისა და მათი თაღნარით მორთვის გარკვევის შემდეგ, ასევე უნდა შევეხოთ გადახურვის საკითხს. პრინციპში მრავალაფსიდიანი ძეგლების უმრავლესობას ქოლგისებრი სახურავი აქვთ, აქედან გამომდინარე, ლოკალური იქნებოდა განსახილველი ძეგლის ანალოგიური გადაწყვეტა, რაც დაადასტურა ნანგრევებში აღმოჩენილმა ფრაგმენტებმა. ერთი ზომის, ერთი პროფილის, ერთნაირი დეკორატიული დამუშავების ქვეპიდან კარგად აიწყო ხერხულა კარნიზი, რომელიც ოთხმოკდაათჯარაღუსიან კუთხეს ქმნის (ტაბ. LXIV—1). ამ ქვებით შედგენილი კარნიზის კუთხეებს შორის მანძილი უფრო ვსადაგება გუმბათის წახნაგების ზომებს.

თუ საღ იყო მოთავსებული წარწერა, ამის პირდაპირ პასუხს ნანგრევები არ იძლევიან. ასოები დიდი ზომისაა (ერთ ქვაზე გვერდიგვერდ ასოთა სიმაღლე ძერყეობს 10-დან 20 სმ-მდე), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ წარწერა ერთ-ხაზოვნად, გრძლად ყოფილა განლაგებული, მაგრამ თუ საღ და როგორ, ამაზე მიახლოებით მხოლოდ ორი წარწერიანი ქვა გვკარნახობს. ორივე ქვა შენობის წიბოს ნაწილს წარმოადგენს და წიბოს ხაზზე ჩაქრილია 90° მქონე კუთხით, რომელიც წვეროთი ქვევითაქნა მიმართული. მასში ჩადგმული უნდა ყოფილიყო ქოლგისებური კარნიზის ქვედა კუთხეები. წარწერის პორიზონტალურად, ფრიზირებულ განლაგებაზე ისიც მიგვითითებს, რომ მხოლოდ შერჩენილ-ასუბიანი ქვების საერთო სიგრძე 5 მ-ს აღემატება და ეს ხომ ისეთი წარწერის ფრაგმენტებია, სადაც ამჟამად არც ერთი სიტყვა არ იკითხება. აქედან გამომდინარე, ზოგადად თუ წარმოვიდგენთ, წარწერის მთელი სიგრძე ხუთ მეტრს აშკარად აღემატებოდა.

სამწუხაროდ, მთავარი კორპუსის გადახურვის ფრაგმენტები არ შემორჩენილა. მაგრამ ანალოგიებიდან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ აქაც ისეთივე გადაწყვეტა იქნებოდა, როგორც გუმბათის ყელზე. არ არის გამოჩენილი პორიზონტალური კარნიზიც.

ტეხილი კარნიზისა და ნახევრადდაკეცილი ქოლგისებრი სახურავის მოტივი საქართველოში უკვე X ს. შუა ხანებიდან იყო შემუშავებული²⁴⁶. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ტაო-კლარჯეთის ძეგლებში²⁴⁷.

გუმბათის ინტერიერისა და ფასადთა ფრაგმენტები რამდენიმეა შერჩენილი. ამთგან, ჩვენი აზრით, გვაქვს ინტერიერში ქვედა კორპუსიდან გუმბათზე ვარდამავალი აფრის ფრაგმენტი და ფასადის დეტალი, რომელიც წარმოადგენს გუმბათის საყრდენი სარტყლის ნაწილს (სურ. 86, LXIII—2). წახნაგოვანი გუმბათის სარტყელი, ჩვეულებრივ, წრიულია ხოლმე, აქაც ამ ფრაგმენტის ფა-სადის წრის მოხაზულობა ემთხვევა გუმბათის წრეს. მრუდხაზოვან ქვას ზე-ჰოთ მღალაი შუბლი აქვს. ამ შუბლს ქვემოთ ე. წ. საცრემლე ახლავს. შემდეგ ისევ ვერტიკალურ სიბრტყეზე ნახევარფესტონებია ამოკვეთილი. ბო-ლოს, ქვემოთ ღონიერი გლუვზედაპირიანი ლილვი გასდევს. სარტყელს ზემოთ დაეყრდნობოდა წახნაგოვანი გუმბათის ყელი.

გუმბათის თაღედის ვერტიკალური ლილვის ფრაგმენტი შეიძლება იყოს რს გლუვზედაპირიანი რამდენიმე დეტალი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ასევე შეიძლება ამ ლილვებისაგან შედგენილი პილასტრის კაპიტელი იყოს ის მცირე ფრაგმენტები, რომლებიც შემოგვრჩა, გუმბათის სხვა დეტალები გამოკვეთილად არ გამოირჩევა.

246 ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, გვ. 78—79.

247 Беридзе В. Архитектура Тао-Кларджети, с. 159, 164, 188.

ზემოგანხილულის გარდა, ტაძრის ნანგრევებში ნაპოვნია ფასადების მორ-
ცულობის ისეთი ფრაგმენტები, რომელთა დანიშნულების და ადგილის გან-
საზღვრა შესწავლის ამ ეტაპზე არ ხერხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოჯიხევის ეკლესიის ფასადის შემკულობაში
უხვადაა ნახმარი სხვადასხვაგვარი გრეხილი. ისინი ძალიან ოსტატობითაა
შესრულებული, განიერი ჩაღრმავებული არხები წერილდაროვანი ქედებითაა
გამოყოფილი. გრეხილი, როგორც ფასადების დეკორის ერთ-ერთი ელემენტი,
X ს. შუა ხანებში უკვე ჩამოყალიბებულია. მისი ფორმებისა და ზედაპირის
დამუშავება თანდათან რთულდება და მრავალფეროვანი ხდება. იგი XI ს.
პირველ ნახევარში თავისი დეკორატიულობის განვითარების წენიტს აღწევს.
ნოჯიხევის გრეხილი უშუალო ანალოგიას პოულობს ოშკეში²⁴⁸, იშხანში²⁴⁹ და
სხვა X—XI სს. მიჯნის ძეგლებში.

ნოჯიხევის ფრაგმენტებზე გვხვდება ეპოქისათვის დამახასიათებელი კი-
დეგ ორი მომენტი. ესაა ფესტონებისა და წრეების ჭაჭვი. ფესტონებისა და
ნახევარფესტონების ჭაჭვი ბრტყელზედაპირიანია, მათი რელიეფის სიმაღლე
დაახლოებით 1 სმ-ია. ორივე მოტივს ძირითადად იყენებენ X ს. შუა ხანიდან
XI ს. 30-იანი წლების ჩათვლით. ასეთებია: ოშკეი, იშხანი, სამთავრო²⁵⁰, სამთა-
ვისი²⁵¹ და სხვ.

ტაძრის ნანგრევებში ფასადის მორთულობიდან ჩუქურთმის რამდენიმე
ფრაგმენტიცაა შერჩენილი. ამათგან ორი მცენარეულია, დანარჩენი გეომეტრიუ-
ლი. მცენარეული მოტივებიდან, ერთი სარკმლის რთული პროფილის მქონე
თაღოვანი მოჩარჩოების შიდა წრიულ არშიაზე მდებარეობს. სამწუხაროდ,
ფოტოლი დაზიანებულია და მოტივი არ იკითხება. ხოლო მეორე მცენარეული
ჩუქურთმა — *in situ* — დარჩენილია. ეს ჩუქურთმა ცოკოლს ზემოთ კორპუსს
არშიად გასდევს. არშიაზე ამოტივფრული ჩუქურთმის სიმაღლე 35 სმ-ია,
ასეთი სიმაღლე არცთუ ხშირია, მოტივი სამკუთხად გაშლილ ორ ღეროზე
გამობმულ ფოთოლს წარმოადგენს. ჩუქურთმა გამოირჩევა გრაფიკულობით,
ნაკლებად პლასტიკურია, მკვეთრად გამოვლენილი ორი სიბრტყე აქვს, ფონი
და ორნამენტი, მისი ლენტი სადაა, განიერი, გვერდები პერპენდიკულარუ-
ლადაა ჩაკვეთილი. ასეთი ხასიათის ჩუქურთმის პირდაპირი ანალოგია ჭერ-
ჯანგრობით ვერ მოვიძიეთ, მაგრამ საერთოდ დამახასიათებელია X ს-ის ძეგ-
ლებისათვის. ზოგადი ხასიათით კი ერთგვარ მსგავსებას იჩენს კუმურდოს
(964 წ.) ზოგიერთ მცენარეულ ორნამენტთან²⁵². აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ
ნოჯიხევისა მას შესრულების ხარისხით ჩამოუვარდება. არშის მთელ სი-
გრძეზე ნახატის საერთო სურათიც არ არის ერთიანი. როგორც ეტყობა, ქვაზე
ორნამენტის დახატვა და ამოკვეთა ადგილზე მორგებამდე ხდებოდა სიზუს-
ტის დაუცველად. ამიტომ ქვების ადგილზე დალაგების შემდეგ ნახატის მწყობ-
რი სურათი არაა მიღებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული და სომხური მრავალათსიდიანი ტაძ-
რების ყველა ძეგლის თარიღი X—XI სს. შემოიფარგლება.

²⁴⁸ ე. თაყაიშვილი, მითითებული ნაშრომი, ტაბ. 9—13, 51; მისივე. 1917 წლის
არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. 50, 66, 71.

²⁴⁹ იქვე, გვ. 21.

²⁵⁰ Ш м е р л я н г Р. Самтавро—памятник XI в.—ქართული ხელოვნება. თბ., 1942, გვ. 61.

²⁵¹ გ. სოხაშვილი, სამთავისი, თბ., 1973, ტაბ. IX.

²⁵² რ. შ შ ე რ ლ ი ა ნ ი, ქართული ხელოვნების მემკვიდრეობა. თბ., 1954, გვ. 35.

ნოჯინების რეაგსიდიანი ტაძარი, ზემოთ მოყვანილი არქიტექტურულ-შხატურული ანალიზის საფუძველზე, X—XI სს-თა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

აქვე ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ძეგლის აზომვისა და რესტავრაციის პროექტის შედგენის საკითხს.

ძეგლი აზომა, გამოხაზა და რესტავრაციის პროექტი შეადგინა ექსპედიციის მიერ მოწვეულმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა კ. მელითაურმა (1981 წ.). სამწუხაროდ, მან რესტავრაციის პროექტს არ დაურთო განმარტებითი ტექსტი და არ მოამზადა გამოსაცემად, მის მიერ შედგენილი ნახაზები ანახება ექსპედიციის ნახაზების ფონდში.

უფრო ადრე (1979 წ.) ძეგლი აზომეს, გამოხაზეს, კონსერვაციისა და რესტავრაციის პროექტი შეადგინეს ძეგლთა დაცვის სამმართველოს რესტავრატორ-არქიტექტორმა — რ. გვერდწითელმა, მ. ანდრიაძემ და თ. ვაბუნიამ. ამ ჯგუფმა პროექტს თან დაურთო საკმაოდ ვრცელი განმარტებითი ტექსტი. მათი ტექსტი ნახაზებისა და ფოტოების თანხლებით იბეჭდება „ნოქალაქევე-არქეოპოლისის“ მესამე კრებულში. ავტორების ნებართვით (რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვასხენებთ) ჩვენ რამდენიმე ნახაზს (სურ. 82—85) ვიყენებთ ამ მონოგრაფიაში²⁵³.


ვ. ნაჭახოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია

ნაჭახოვოს გორაკის გათხრამ გამოავლინა ეკლესიის ნანგრევი, რომლის თუმცა მხოლოდ ქვედა ნაწილია დარჩენილი, მაგრამ ტიპი მაინც კარგად დგინდება. ესაა მცირე ზომის (შიდა ზომები 8,3×11,8 მ), მარტივი გეგმის „გუმბათოვანი დარბაზი“. ეკლესიის დარბაზი გრძივი კედლების ორი წყვილი მასიური შევრილით ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. აღმოსავლეთის მონაკვეთი დასავლეთისას სიდიდით თითქმის სამჯერ აღემატება. თვით დარბაზში კედლების შევრილები არათანაბრადაა განლაგებული. ჩრდილოეთის მხარეს მათ შორის მანძილი 3,7 მ-ია, ხოლო სამხრეთით 3,2 მ. ამის გამო ეკლესიის ინტერიერი ასიმეტრიულია. დარბაზს ირგვლივ სწორკუთხა საფეხური უვლის, რომელიც ჩამოსაჯდომად იქნებოდა განკუთვნილი. საკურთხეველი უშუალოდ დაკავშირებულია დარბაზის აღმოსავლეთის მონაკვეთთან (სურ. 91). შევრილებს სხვადასხვანაირი პილასტრები ამთავრებს. სამხრეთის შევრილების პილასტრები სამსაფეხურიანია, ხოლო ჩრდილოეთისა — ორსაფეხურიანი. ამ შევრილებზე გუმბათი იყო დაყრდნობილი. გუმბათის საყრდენ ოთხივე შევრილს დასავლეთის მხარეს თითო მაღალი სწორკუთხა ნიშა აქვთ. სამხრეთის მხარეს ორივე ნიშა მთლიანადაა შემორჩენილი, ხოლო შევრილებში აღმოსავლეთისას — ზედა გადახურვის ქვა და სამხრეთით კიდევ ერთი ქვა აკლდა. სამხრეთის კედლის დასავლეთის შევრილის ნიშა მთლიანად მორღვეულია. ჩანს მხოლოდ მისი ძირის შიდა ნაწილის ნაშთი. ეს ნიშები იატაკის დონიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზეა განლაგებული.

საკურთხეველის აფსიდის მოხაზულობა ნალისებრია, მაგრამ ნალი მკვეთრად არაა გამოვლენილი. ნალისებურება ჩრდილოეთის მხარეს მტკია, ვიდ-

²⁵³ რესტავრაციის პროექტების შედგენაში ემონაწილეობდით მე და ექსპედიციის ხელმძღვანელი ბ. ზაქარაიი.

რე სამხრეთით. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან 40 სმ-თაა ამაღლებული. ამ შემადგენლის შუა ნაწილში ოთხი საფეხურია. აქედან ქვედა ორი ნორმალური საფეხურია, ხოლო დანარჩენი დაბლებია, 10 სანტიმეტრსაც ვერ აღწევს. საკურთხეველის წინ გვიანი პერიოდის კანკელის ნაშთია დარჩენილი.



სურ. 91. ნახახოვო. ეკლესიის გეგმა და განაკვეთები.

დარბაზის იატაკი კარგადაა შემორჩენილი. იგი შელესილია 2—3 სმ-ის სისქის მტკიცე ხსნარით (კირის ხსნარში დანაყილი აგურია არეული). ყურადღებას იქცევს კედლის ნაღესობა. ხსნარი მტკიცეა და ძალზე თხელი ფენითაა შე-

სრულებული (2—3 მმ). ეკლესიის კედლები მოხატული ყოფილა. სამხრეთის ქსარეს, აღმოსავლეთის პილონის ნიშაში კარგადაა შემორჩენილი ჭერის გამო-სახლება. ამავე დროს, სამხრეთ-დასავლეთის ნიშისა და ჩრდილო-აღმოსავ-ლეთის პილონის ნიშის მარჯვენა მხარეებში შეჩვენებულია რომელიღაც მხატვ-რული კომპოზიციის შემომსახვრელი ვერტიკალური წითელი ზოლები, მხა-ტრობის კვალი შეიმჩნევა სხვა ადგილებშიც.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდი-ლოეთით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები კედლებს შეერილებიან შუაშია მოქცეული, დასავლეთისა კი ცენტრშია გაჭრილი. სამივე კარი თითქმის თანა-ბარი სიგანისაა (0,8 მ).

სამივე კარზე სწორკუთხა მინაშენებია. ამ მინაშენებიდან დასავლეთისა და სამხრეთისა პატარა ზომის კარიბჭეებს წარმოადგენს, ხოლო ჩრდილოე-თისა დახურული სათავისა. სამხრეთის კარიბჭე მხოლოდ სამხრეთიდან ყოფი-ლა ღია, ხოლო დასავლეთისა — სამი მხრიდან. საგულისხმოა, რომ ღიობები თაღოვანი იქნებოდა. ჩრდილო სათავსი შედარებით დიდია (4,0×1,7 მ), მასში მხოლოდ ეკლესიის დარბაზიდან შეიძლება მოხვედრა. სავარაუდოა, რომ ეს გვედერი სანათლავე იყოს. აქ, აღმოსავლეთით, იატაკის ღონეზე, რო-შელიღაც კედლის კვალი შეიმჩნევა.

კარიბჭეების კედლები ეკლესიის კედლებზეა მიშენებული. შეიძლება ეს კონსტრუქციული თავისებურება იყოს. ყოველ შემთხვევაში, ისინი სტილის-ტაქურად დიდად არ განსხვავდებიან, ეპოქა ერთი ჩანს.

მოგვიანებით, კარიბჭეების ყველა ღიობი გაურკვეველი მიზეზით ამოუ-შენებიათ. ამოშენების კვალი ჩანს დარბაზის დასავლეთ კარშიც. თუ დავუ-შვებთ ამოშენებას ეკლესიის გაუქმებისას, მაშინ გაუგებარი ხდება მასალის ერთგვარობა. ეკლესიის დასავლეთის კარი და ამავე კარიბჭის სამხრეთის ღიობი რაღაც მიზეზით ოციოდე სანტიმეტრით ამაღლეს.

ეკლესიის დასავლეთის მონაკვეთი და კარიბჭეები ვადახურული ყოფილა ცილინდრული კამარებით, რაზეც მეტყველებს დარბაზში და სამხრეთ კარიბ-ჭეში ნაპოვნი კამარების საკმაოდ დიდი ფრაგმენტები, რომლებიც შიგნიდან მთლიანად შირიმის ქვით იყო მოპირკეთებული.


ეკლესიის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, კუთხეში გათხრების პრო-ცესში გამოვლინდა გუმბათის სფეროს მცირე ფრაგმენტი. შირიმის თლილი ქვით მოპირკეთებული სფეროს ფრაგმენტი ძალზე ფხვიერი იყო (საუკუნე-ების განმავლობაში მცენარეთა ფესვებს დაურღვევია) და გაწმენდის დროსვე დაიშალა.

თვით ეკლესია შემოსილია შირიმის თლილი ქვით (ტაბ. LXIV—2). ქვები სი-ღრმისკენ ტრაპეციულია (ქვებს შორის ხსნარის უკეთ მოჭიდების მიზნით). ცოკოლში, შესასვლელებში და შენობის კუთხეებზე გამოყენებულია კირქვის კარგად თლილი ქვა. ზოგან წყობის გასასწორებლად ნახშირია აგური. აგური კარგად გამომწვარია, მაგარი, წითელი ფერის (ძირითადი ზომებია: 29×22×4,5; 27×27×4,5; 27,5×30×4; 28×4,5, 26×2,5, 17×6 და სხვა).

ეკლესიისაგან განსხვავებით მინაშენები ცოკოლიანად მთლიანად შირიმის ქვითაა შემოსილი. შემოსვის შიგნით ყველგან ყორე ქვის დუღაბია.

საინტერესოა, რომ ეკლესიის საკურთხევლის შევირდ აფსიდის ორი ცო-კოლი აქვს. პირველი ცოკოლი სწორკუთხაა. როგორც ეტყობა, ნაგებობა სწორ-კუთხა მოხაზულობის ჩაუფიქრებიათ. შემდგომში, აფსიდის ფორმა შეუცვლიათ. იგი წრიულად შევირდია. ახალ აფსიდს ცოკოლიც წრიული ახლავს. თავდა-

პირველი ცოკოლის სიმოკლის გამო, ახალ ცოკოლს მომრგვალების საშუალება არ ეძლეოდა, ამიტომ წრე, შუა ნაწილში, ორიოდ მეტრზე, სიგრძეზე წაკვეთილია (ყველაფერი ეს აშკარად მშენებლობის პროცესში გეგმის შეცვლის შედეგია).



სურ. 92. ნაჯახოვო. ეკლესიის კამიტეები.

ეკლესიის ნანგრევებიდან საშენი მასალა ადგილობრივ მოსახლეობას დაუტაცნია. ამიტომ ქვა უმნიშვნელო რაოდენობით ამოვიღეთ მიწიდან, ხოლო კრამიტისა და შინის ფრაგმენტები ბლომად იყო. კრამიტებში საკმაო რაოდენობით გვხვდება ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები (სურ. 92, ტაბ. I.IV—2).

შინის ფრაგმენტები სარკმლებისაა. მათში გვხვდება წრიულიც, რომელიც გარე ხაზი ოდნე გასქელებული აქვთ, შინა მოიხსროა და სუსტი გამკვირვებების.

მოპოვებული ფრაგმენტების მიხედვით ეკლესია კამიტით ყოფილა გადახურული. კრამიტებში ურევია საღურსმნე ნახვრეტებიანიც, მაგრამ ლურსმანი არ უხმარიათ, ისე ჩაუფლავთ დულაში.

ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენში, 1,5 მ სიღრმეზე (ნანგრევების ზედაპირიდან) ამოვიღეთ ვერცხლის მონეტა — ტრადიციონის ასპრი, ხოლო საკურთხევის ჩრდილო ბოლოში — არაბული დირჰემის მინაბაძი. ეკლესიის ცენტრში, მიწის ზედაპირიდან ოციოდე სანტიმეტრზე, აღმოჩნდა კედელ ერთი მონეტა — თურქული ყურუში, იგი შესაწირი უნდა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაჯახოვის ახლად აღმოჩენილი ეკლესია „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპისაა. ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ამ ტიპის აღმოჩენისა დასავლეთ საქართველოში, რაც მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია წარმოადგენს ერთიან წარტყლებულ ნაგებობას, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე სამი მონაკვეთისაგან შედგება. ამათგან შუა მონაკვეთზე აღმართულია

გუმბათი. გუმბათი ეყრდნობა გვერდითი კედლების ორ წყვილ შევრილს. ეს შევრილები დარბაზის ერთნაივან სივრცეს სამ ნაწილად ყოფს. „გუმბათიანი დარბაზის“ გრძივ კედლებში შევრილი პილონების შედგეგად სამ-სამი უბეა მიღებული. თითოეული მათგანი ცილინდრული კამართაა გადახურული.

ამ ტიპის ჩასახვა და ჩამოყალიბება, ი. სტრიგოვსკის აზრით, გამომდინარეობს არქიტექტორის სურვილიდან, რომ კვადრატზე დაყრდნობილი გუმბათით შეცვალოს საბრჯენ თაღებზე ამართული კამარა, რომლითაც გადახურული იყო დარბაზული ნაგებობის წაგრძელებული სივრცე²⁵⁴.

გ. ჩუბინაშვილი „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიების ჩასახვისა და განვითარებას გზებს ქართულ და სომხურ არქიტექტურას უკავშირებს²⁵⁵.

საქართველოში „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის მაგალითს გვაძლევს IX ს. დასაწყისში აგებული ვანნაძიანის ყველაწმინდის ტაძარი, რომელიც რთულ ნაგებობას წარმოადგენს. მასში ორგანულადაა შერწყმული ბაზილიკისა და ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მთავარი ელემენტები. ვანნაძიანის ყველაწმინდა, როგორც გარდამავალი ხანის ძეგლი, გამოირჩევა სტილისტური გაორებით: აქ ვხვდებით როგორც ქართული არქიტექტურის კლასიკური ეპოქის დამახასიათებელ ელემენტებს (ტრომპი, წაგრძელებული აღმოსავლეთის ნაწილი, გუმბათის ოთხი საკმეილი და სხვა), ასევე მკვეთრად გამოხატული ახალი, ცხოველხატული სტილის შემცველ ელემენტებსაც (აფრა, შუქ-ჩრდილების მუდმივი ცვლა, მრავალსაფეხურიანი ფასადი, თორმეტწახანაგა გუმბათის ყელი და სხვა).

ვანნაძიანის ყველაწმინდის ტაძრის საკურთხეველი, ბემის დამატებით, აღმოსავლეთით წაგრძელებულია. ტაძრის დარბაზის აღმოსავლეთისა და დავლეთის მონაკვეთები ტოლებია, რაც, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, ვანნაძიანს „გუმბათოვანი დარბაზის“ უძველეს ნიმუშს მიაკუთვნებს²⁵⁶.

ღრთა განმავლობაში დარბაზის სამი მონაკვეთიდან აღმოსავლეთისა ვიწროვდება და უკვე X საუკუნეში საკურთხეველის აფსიდის წანაზარდად იქცევა, ზოგჯერ კი სრულიად ერწყმის მას²⁵⁷. სწორედ ამგვარ გადაწყვეტას ვხედავთ ნაჯახოვოს ეკლესიაშიც. აქ გუმბათი დასავლეთით გვერდითი კედლების ორ შევრილს, ხოლო აღმოსავლეთით აფსიდისთან მდებარე შევრილებს ეყრდნობა, გუმბათი მიუახლოვდა საკურთხეველს.

გუმბათის ოთხი საყრდენი, რომელსაც ვხვდებით VII საუკუნიდან (წრომი), X—XI საუკუნეების ზოგ ოსტატს აღარ აკმაყოფილებს და მის გადასინჯვას ცდილობს. მალე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო და 1030 წ. აგებულ სამთავისის ტაძარში ოსტატი გუმბათის საყრდენად დასავლეთით მდგარ ორ პილონსა და საკურთხეველის კუთხეებს იყენებს.

ნაჯახოვოს ეკლესიის დარბაზის აღმოსავლეთის ნაწილის შერწყმა საკურთხეველის აფსიდისთან ძეგლის მთავარ დამატარებელ ნიშნად მიგვაჩნია.

სომხეთის ამ ტიპის ძეგლებიდან ყველაზე ადრეულებშიც კი (შირაკავანი — IX ს. დასასრული, ტალიში, არუქი — IX—X სს. მიხანა)²⁵⁸ აღმოსავლეთ-

²⁵⁴ Strzygowski. Die Baukunst... წ. II. 1918, გვ. 508.

²⁵⁵ Чубинашвили Г. Н., Арх. Кахетии, с. 317.

²⁵⁶ იქვე, გვ. 319.

²⁵⁷ იქვე, გვ. 318, Strzygowski, დასახ. ნაშრომი. ტ. I. გვ. 188.

²⁵⁸ არუქი და პტნა სტრიგოვსკის შიერ დათარიღებულია VII ს-ით, ძირითადად, არუქზე მოთავსებულ წარწერაზე დაყრდნობით. ამ აზრს იზიარებს სომეხი მკვლევრების დიდი ნაწი-

თის ნაწილი შემცირებულია, ხოლო შემდგომი პერიოდის (X ს.) ძეგლებში (კერძოდ ახპატში²⁵⁹, კეჩარისში²⁶⁰) აღმოსავლეთის ნაწილი შერწყმულია საკურთხეველის აფსიდასთან.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნაჯახოვოს ეკლესიის სიმატარავეც. „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიების აღრეულ წარმომადგენლებს (ვაჩანძიანი, შირავეჯანი, არუჭო, პტლნი) ახასიათებთ გრანდიოზულობა, დიდი სივრცის შექმნა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ ნაჯახოვოში, შემდგომი პერიოდის ძეგლებში იგრძნობა ზომების დაბატარაება და სივრცითი ღერძის დამოკლების ტენდენცია.

ნაჯახოვოს ეკლესიის საკურთხეველის აფსიდა შევრილია. შევრილი აფსიდა აქვს ვაჩანძიანსაც, მხოლოდ მისი აღმოსავლეთის ფასადი სამნაწილიანია, რთულია, ნაჯახოვოსი კი — მარტივი. აქვე უნდა შევჩერდეთ ნაჯახოვოს ეკლესიის ფასადის ორმაგ ცოკოლზე. როგორც ძეგლის აღწერაში იყო ნათქვამი, ქვედა სწორკუთხაა, ზედა კი წრიული. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეკლესია სწორკუთხედში დაუგეგმარებიათ, შემდეგ კი, დასავლეთ საქართველოს ძეგლების თავისებურების გათვალისწინებით, აქაც შევრილი აფსიდა გაუყვებიათ. წრიულ აფსიდას კი ცოკოლიც წრიული აქვს.

როგორც ვხედავთ, „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ქართულ ძეგლებში საკურთხეველის სხვადასხვა გადაწყვეტაა: რთული (ვაჩანძიანი) და მარტივი (ნაჯახოვო). სულ სხვა სურათია ამ ტიპის სომხურ ძეგლებში, სადაც მხოლოდ სამნაწილიან საკურთხეველს ვხვდებით. ეს ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სომხურ ძეგლებში აფსიდა არ არის გამოსული კორპუსის გარეთ. იქ აღმოსავლეთის ფასადის სიბრტყეს მრავალფეროვნებას ანიჭებს მხოლოდ ნიშები, რომლებიც მთავარ და გვერდით აფსიდებს შორისაა მოთავსებული.

როგორ იყო განხორციელებული გუმბათქვეშა კვადრატის გუმბათის წრეზე გადასვლა, ნაჯახოვოში არ ჩანს. ვაჩანძიანში მთავარ დარბაზში ნახვარია აფრა, ხოლო გვერდით სათავეებსა და კამარების გადახურვისას — ტრომპი. სომხური ძეგლებიდან: არუჭოში აფრაა, პტლნიში — ბრტყელი ტრომპი. გ. ჩუბინაშვილის აზრით, X ს. დასასრულსა და განსაკუთრებით XI ს. დასაწყისში, როდესაც „გუმბათიანი დარბაზის“ კომპოზიციის შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებლობა საბოლოოდ ითქვიფება მთლიანში, ქრება სივრცით წარმონაქმნის სიფართოვისა და სიღრმის შთაბეჭდილება, ხოლო სიმაღლე სქარბობს, ზდება ახალი მეთოდის ათვისება ფუძის კვადრატის გუმბათის წრეზე გადასასვლელად (სახელდობრ — ტრომპების ნაცვლად აფრის ხმარება)²⁶¹.

ნაჯახოვოს ეკლესიის დასავლეთის მონაკვეთი გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით. „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის აღრეული ნიმუშების

ლიც (ორბელი, ტოკარსკი, არუტუნიანი და სხვები). ორბელის გამოკვლევით წარწერა X ს. ისაა, როგორც პალეოგრაფიით, ისე შინაარსით, მაგრამ ის ვარაუდობს აღრეულ ძეგლზე წარწერიანი ფილის შემდგომ ჩასმას.

გ. ჩუბინაშვილი არ ეთანხმება ამ თარიღს (კიდევ არუჭის ტაძრის (სომხეთი) დათარიღების საკითხისათვის, Разыскание по армянской архитектуре, და სხვა). იგი ძველ IX—X სს. მიენიოთ თარიღებს.

259 Чубинашвили Г. Н. Разыскание по армянской архитектуре, с. 118.

260 იქვე.

261 იქვე. გვ. 133—134.

კარიბჭესა და გარშემოსავლელელებში ერთი და იმავე დროს გვხვდება როგორც ცილინდრული, ასევე ჭვრული კამარები. ამის აშკარა მაგალითებია: ვაჩნაძიანი, აჩუქი, პტლნი და სხვა. მომდევნო პერიოდში ჭვრულ კამარებს აღარ იყენებენ.


სამეწი მასალიდან აქ შეეჩერდებით სახურავის კრამიტის ანტეფიქსებზე, რომელზეც რელიეფურად გამოსახული ჭვრებია. მათ პირდაპირი ანალოგია არ გააჩნიათ, მაგრამ ცნობილია, ძირითადად, ადრეფეოდალური ხანის ძეგლებზე (ურბნისი, რუსთავი, ნოქალაქევი, ვაჩნაძიანი, გურჯაანის ყველაწმინდა, აქურა და მრავალი სხვა).

ეკლესიის საკუთრებელის ჩრდილო ნაწილში აღმოჩენილი მონეტა, არაბული ღირებუნი მინაბაძი, X—XI სს-ისაა²⁸². ეს ფაქტი ხელს უწყობს ძეგლის X საუკუნით დათარიღებას.

როდის და რა მიზეზით დაინგრა ნაჯახოვოს ტაძარი, არ არის ცნობილი. ერთადერთი მონაცემი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა, ეს არის მონეტა, ნაპოვნი ეკლესიის ჩრდილო მინაშენის შიგნით, ნანგრევებში. ეს ვერცხლის მონეტა არის ტრაპიზონის ასპრი, მოჭრილი XIII ს. შუა ხანებში.

ამავე ტიპის მონეტები ნაპოვნი იყო განძის სახით, იქვე, ჩრდილოეთით, სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე რეაფსიოდის ეკლესიის ნანგრევებში, როგორც ეტყობა, ძლიერმა მტერმა ეს მხარე მოაოხრა და ეკლესიები დაანგროა XIII ს. II ნახევარში.

ნაჯახოვოს ეკლესიის აღმოჩენა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია. გარდა იმისა, რომ ეს ტიპი დასავლეთ საქართველოში ცნობილი არ იყო და ნაჯახოვო პირველი ასეთი ეკლესიაა, მისი აღმოჩენა ნოჯიხევის კომპლექსთან ერთად ადასტურებს ამ რეგიონში VI—XVIII სს. ორი მნიშვნელოვანი ცენტრის მოქმედებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ეკლესიები მარტვილის საეპისკოპოსო ტაძართან (VII ს. პირველი ნახევარი) ერთად განლაგებულია ერთ ხაზზე 5—6 კილომეტრის მანძილზე, მათი ისტორიული მნიშვნელობა უფრო იზრდება.



ნაშრომის ამ თავში განხილული სამი ეკლესიის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ხუროთმოძღვრების გზებისა და მიღწევების დასადგენად. დასავლეთ საქართველოში ამ გათხრებამდე ცნობილი არ ყოფილა ტეტრაკონქისა და „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიები. ამ ძეგლებმა ერთგვარად გაზარდეს დღემდე ცნობილი შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის მასშტაბი, ამით, ფაქტიურად, შეიკრა განვითარების ჭაჭვი დასავლეთის ზღვისპირეთიდან, აღმოსავლეთით მდებარე კახეთის ჩათვლით.

²⁸² თ. აბრამიშვილი, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1972—1982 წწ.), — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II, გვ. 274—285.

ნოქალაქევი-ციხეგოჯი-არქეოპოლისის შესწავლას საერთოდ და კერძოდ, მის არქიტექტურის წარმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე მთელი საქართველოს ისტორიისათვის.

ნოქალაქევი ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგინა თვით ამ ქალაქის სურათი, მისი მასშტაბი, აღნაგობა, გამაგრების სისტემა, ეკონომიკური და კულტურული სახე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ქალაქები დიდი ხანია შესწავლის ობიექტებია, მაინც მათ შესახებ ჭარბობით ცოტა რამ ვიცით. ძირითადად ამ ეპოქის საქართველოს საქალაქო ცხოვრებაზე მსჯელობა გეხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მავალითზე, რადგან ისინი უკეთ იყო შესწავლილი და ისტორიული წყაროები მეტი იყო.

ნოქალაქევის სტაციონარულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ მიმართულებით დიდი მასალა მოგვცა. ჯერ ერთი, ციხეგოჯი-არქეოპოლისი ადრეული საუკუნეების მანძილზე ეგზისის სამეფოს, ე. ი. მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი იყო, სადაც ყველაზე მეტად გამოვლინდა ამ ხანის საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მეორე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ესაა დასავლეთ საქართველოს ნაქალაქარებიდან განსხვავებით უკეთ შემონახული გრანდიოზულ არქიტექტურულ ნაგებობათა ნანგრევები. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა აქ გამოვლენილი საკულტო ნაგებობები.

ამ მიმართულებით პირველ რიგში უნდა შევეხოთ ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ სამნავიან ბაზილიკას, რომელიც დაშენებულია წრიულაფსიდიანი დიდი ზომის ეკლესიაზე. ამ ახლადაღმოჩენილ ბაზილიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობასა და ევოლუციის გარკვევის საკითხში. აღსანიშნავია, რომ ასეთი ადრეული საეკლესიო ნაგებობები ცოტაა შემორჩენილი საერთოდ საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ბაზილიკა არ ყოფილა უძველესი ნოქალაქევისათვის, რასაც ადასტურებს მის ქვეშ აღმოჩენილი ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით. ეს ეკლესია IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, რაც საქართველოს საკულტო ნაგებობათა ისტორიის დასადგენად უაღრესად მნიშვნელოვანია. იგივე ფაქტი ადასტურებს ეგზისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას არა 523 წელს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ IV საუკუნის პირველ ნახევარში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვით ნოქალაქევი მდგარი და გათხრებით აღმოჩენილი ეკლესიების რაოდენობა (წრიულაფსიდიანი, სამნავიანი ბაზილიკა, გუმბათოვნად გადაკეთებული „ორმოცმოწამეთა“ სამნავიანი ბაზილიკა, იქვე ახლოს მდებარე ცალნავიანი ეკლესია, ქალაქის პირველ გალავანში ჩართული ისევ ღარბაზული ეკლესია და ციხადელის „მისარობა“, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეულ პერიოდში ციხეგოჯი-არქეოპოლისი დედაქალაქისათვის დამახასიათებელ საეკლესიო ცენტრსაც წარმოადგენდა. ვარაუდის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად ერთ-ერთი საეკლესიო კათედრა ნოქალაქევიც უნდა ყოფილიყო¹.

¹ ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. წ. 2, გვ. 39—40.

ნოქალაქევის ექსპედიცია, როგორც უკვე ითქვა, ნაქალაქართან ერთად სწავლობს „ნოქალაქევის ქვეყანასაც“. ნაშრომში შესული ამ რეგიონის ძეგლებიდან პირველად უნდა აღვნიშნოთ სეფიეთის ეკლესია, რომლის კედლების გაწმენდისა და გათხრის შემდეგ იგი თითქმის ახალ ძეგლად წარმოგვიდგა. ეს ეკლესია მრავალმხრივია საინტერესო. ხაზგასმულია, რომ იგი საქართველოში ერთადერთი ორსართულიანი ძეგლია, მაგრამ სხვა მხრივ ყველაფრით ტიპური ქართული სამნავიანი ბაზილიკაა.

გასაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნოქიხევისა და ნაქახოვოს ნასა-ღარებზე აღმოჩენილ ძეგლებს. მართალია, მათგან მხოლოდ ერთია ეგრისის სამეფოს პერიოდისა, მაგრამ მას ტეტრაკონის ეკლესიათა ტიპის განვითარების არეალის წარმოსახენად მეტად დიდი ღირებულება აქვს. ხოლო ორი დანარჩენი ცოტათი მოგვიანო ხანისაა, მაგრამ თავისთავად უპირველესი მნიშვნელობისანი არიან.

იმავე ნოქიხეში X ს. ბოლოთი დათარიღებული რვააფსიდისანი ეკლესიის აღმოჩენის როლი საქართველოს საკულტო ნაგებობათა განვითარების ისტორიისათვის განუზომელია.

ასევე არანაკლები მნიშვნელობისაა ნაქახოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიის აღმოჩენა. ამ ტიპის ეკლესია დასავლეთ საქართველოში პირველადაა გამოვლენილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ადრევე იყო ცნობილი.

ნაქახოვოს ეკლესიის აღმოჩენა ერთგვარად ავსებს ამ ტიპის გავრცელების არეალს, იგი მთელ საქართველოს მოიცავდა.

აქვე ხაზი იმასაც უნდა გავსვას, რომ ნოქალაქევისა და მის მიდამოებში აღმოჩენილი საკულტო ნაგებობები თავიანთი ხასიათით აშკარად ადგილობრივი, ეგრისის სამშენებლო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ და, ამასთან ერთად, ზუსტად არიან ჩაწერილი ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო ხაზში.

ნოქალაქევისა და მისი მიდამოების სამნავიანი ბაზილიკების განხილვისას მოკლედ უნდა შევეხოთ იმ სამყაროს საკულტო ნაგებობათა მშენებლობას, რომელშიაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ეგრისელი ხუროთმოძღვრები. ეს სამყარო კი საკმაოდ დიდი და ვრცელი იყო. იგი, ამიერკავკასიის გარდა, მოიცავდა წინა აზიას, ბიზანტიას და ხმელთაშუაზღვის ირგვლივ მდებარე სხვა ქვეყნებს. იმავე სამყაროში შედიოდა შავი ზღვის ჩრდილოეთის სანაპირო, ყირიმის ნახევარკუნძული.

რადგან ქრისტიანობა საქართველოში შემოსული და არა ადგილობრივი წარმოშობილი რელიგია იყო, მას, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა კულტის მსახურებისათვის საკურო ნაგებობათა ფორმები, რიტუალისათვის საკურო სახეობები და სხვა.

საკულტო ნაგებობებიდან უპირველესი ფორმა იყო ბაზილიკა, რომელიც ასევე გავრცელებული იყო ზემოაზიის მთელი ქვეყნებში. ქართულ ხელოვნებაშიცოდნობაში დიდი ხანია დამკვიდრებულია გ. ჩუბინაშვილის აზრი, რომ ბაზილიკის თემა პირდაპირ კი არ მიუღია ქართველ ხუროთმოძღვარს, არამედ მას იგი ვადაუშუავებია, სათავისო გაუხდია. გ. ჩუბინაშვილმა ეს აზრი ორმოცდაათი წლის წინათ გამოთქვა, ძირითადად ქართულ-კახეთის ბაზილიკების შესწავლის შედეგად. მაშინ დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ერთი ბა-

ზილიკა, და ისიც გადაკეთებული სახით, იყო მისთვის ცნობილი. ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში გათხრებით გამოვლენილმა ბაზილიკებმა მის მიერ აღრე გამოთქმული აზრი დაადასტურა.

დასავლეთის ქვეყნების ბაზილიკებისათვის ძირითადად ორი რამაა დამახასიათებელი, ერთია — დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე ნაგებობის დაგრძელებული კომპოზიცია და მეორე — შიგნით ნაგების გამყოფად კოლონები. ქართულ ბაზილიკებს არც ერთი ეს არ ახასიათებს. ქართულ ბაზილიკებში, ჩვეულებრივ, სიგრძე სიგანეს აღემატება, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც გეგმა კვადრატს უახლოვდება (ვაშნარი, „ორმოცმოწამეთას“ პირვანდელი გეგმა და სხვა). გვხვდება კვადრატული გეგმის მქონე ბაზილიკებიც (ბოლნისი) და ისეთიც, როცა სიგანე სჭარბობს სიგრძეს (სეფიეთი). ქართულ ბაზილიკებში სვეტების რაოდენობა ორ და ხუთ წყვილს შორის მერყეობს, მაშინ, როდესაც რომაულ ბაზილიკებში კოლონების „ტყეა“.

ახლა, რაც შეეხება ბაზილიკებში ნაეზბის გამყოფ საყრდენებს. დასავლეთის ქვეყნებში, როგორც წესი, საყრდენი ცილინდრული ფორმისაა, კოლონაა, ხოლო საქართველოში — კუთხოვანი (კვეთში — კვადრატი, სწორკუთხა, ჯვარი). მართალია, კოლონას იყენებენ საქართველოშიც, მაგრამ ეს არაა დამახასიათებელი, დამახასიათებელი სწორედ კუთხოვნებაა.

ბაზილიკების ზოგადი ნიშნებიდან უნდა აღვნიშნოთ კიდევ შვერილადსიდიანობა. დასავლეთის ქვეყნებისათვის ასეთი ფორმა დამახასიათებელია, საქართველოში კი არ არის ერთგვარობა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოსათვის ასეთი ფორმა აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში დღემდე გამოვლენილი ძეგლები მხოლოდ ასეთ სურათს იძლევიან. ქართლში იგი იშვიათად გვხვდება, ხოლო კახეთში გვხვდება როგორც გამოჩაყლისი (ბოდბე, სანაგირე).

თვით შვერილი აფსიდებიც არაა ერთსახოვანი, ზოგი მათგანი ნახევარწრიულია, ზოგიც — წახნაგოვანი. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები, ერთის გამოკლებით (სეფიეთი), წახნაგოვანია. აღმოსავლეთ საქართველოში კი გვხვდება ორივე ფორმა.

დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთ გამოჩაყლისს აქვს ადგილი. ესაა ბაზილიკა სამი შვერილი აფსიდით. ასეთ ძეგლს წარმოადგენს განთიადი (ცანჯრიფში). ეს ეკლესია სამი შვერილი აფსიდითაა, ამათგან ცენტრალური წახნაგოვანია, გვერდითები კი — ნახევრადწრიული³.

ახლა ძალიან მოკლედ, ზოგადად, გადავხედოთ ნაშრომში განხილულ V—VI საუკუნეების ბაზილიკების ურთიერთობას ზემონახსენებში სამყაროს ზოგიერთი ქვეყნის ბაზილიკებთან. მიმოხილვა შეიძლება დაიწყოთ ახლომდებარე ტერიტორიიდან, ამიერკავკასიიდან.

აღრეფეოდალური ხანის პირველ მონაკვეთში ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა ქრისტიანული იყო. ქრისტიანული არქიტექტურის განვითარებაც ერთმანეთში ბევრ საერთოს პოულობდა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ერთხანობრივნი იყვნენ. თითოეულ მათგანს საერთოთან ერთად საკუთარი სახე გააჩნდა. კერძოდ, ამჟერად ბაზილიკებზეა საუბარი. მეზობელი ქვეყნებიდან აღბანეთმა აღრე დაჯარა ქრისტიანული სარწმუნოება და ნაშთები ფაქტობრივად შეწავლილი არ არის. სომხეთი კი კარგადაა წარმოდგენილი.

ამ შემთხვევაში ჩვენ შევხებით მხოლოდ რამდენიმე საკითხს. ესაა — ბაზილიკათა ზომები და კომპოზიცია, შვერილადსიდიანობა, ნაეზბის გამყოფი საყრდენების ფორმები და სტილობატი.

³ Л. Г. Хрушкова. Циклриш. Сухуми, 1985, ტაბ. II.

თუ დაეწეებთ ზემოჩამოთვლილი ბოლო საკითხებიდან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი წამყვანი ბაზილიკები, როგორცაა ერერუიქი და თეკორი, აღმართულია რამდენიმესაფეხურაიან სტილობატზე⁴. ასეთი გადაწყვეტა საქართველოში არ გვხვდება.

მეორე საკითხია ბაზილიკების ზომები და კომპოზიცია. ქართული ბაზილიკების მსგავსად, არც სომხური ძეგლებია გრძელები, სადაც სიგრძე სიგანეს ბევრად სწარბობს. ნაგების გამყოფი საყრდენების წყვილები არ აღემატება შვიდს. აქვე შეიძლება ისიც დავძინოთ, რომ კოლონა სომხური ეკლესიებისთვისაც არ არის დამახასიათებელი⁵.

რაც შეეხება ბაზილიკების შვერილაფსიდიანობას, შეიძლება ითქვას, რომ სომხურისთვისაც არაა დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება. ხოლო რაც შეეხება აფსიდების გარე მოხაზულობას, ის ძირითად წახნაგოვანია⁶.

ზემომოყვანილი ერერუიქის გეგმარებასა და კომპოზიციაზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ დასავლეთის ორივე მხარეს მდგარი კოშკი. ასეთი გადაწყვეტაც საქართველოში არ გვხვდება.

ამიერკავკასიიდან თუ ჩრდილოეთით გადავინაცვლებთ, პირველ რიგში უნდა შევეხოთ ყირიმს. ამ ქვეყნის ნაქალაქარებიდან სხვებზე მეტი ეკლესია ხერსონესშია. აქ გათხრებით გამოვლენილია რამდენიმე სამნავიანი ბაზილიკა. მათი ერთი ნაწილის გეგმა კარგადაა შენახული, ზოგისა კი ცუდად, მაგრამ საერთო გადაწყვეტა მაინც გასაგებია.

ხერსონესში გამოვლენილი ყველა ბაზილიკა შვერილაფსიდიანია. მათში წახნაგოვანი და ნახევარწრიული აფსიდებიანი ბაზილიკები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა. ხოლო რაც შეეხება ნაგების გამყოფ საყრდენებს, აქ მხოლოდ კოლონებს ვხვდებით⁷. ამასთანავე ხაზი უნდა გავსვას იმასაც, რომ კოლონათა კაპიტელები ხერსონესში ისეთი მრავალფეროვანი და რთული ნახატიითაა, რომ ამის მსგავსს V—VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ჩვენს მიერ განხილულ ბაზილიკებში არ ვხვდებით. ხერსონესის ბაზილიკების კაპიტელები, ისევე როგორც გუმბათოვნისაც, ფოთლოვანია, ბერძნულიდან და რომაულიდან შომდინარე⁸.

ეგრისულ და ხერსონესის ბაზილიკებს შორის კიდევ ერთი დიდი განსხვავებაა. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები ნაგებია ნატეხი ქვით და ზოგჯერ ფასადებზე ნახმარია მცირედ დამუშავებული ქვა. ხერსონესში კი ეკლესიათა დიდი უმრავლესობა ნაგებია თლილი ქვით⁹, მაგრამ გვხვდება მცირედ დამუშავებული ქვით შემოსილი ფასადებიც.

ხერსონესის ბაზილიკების მკვლევართა აზრით, ამ ნაქალაქარზე არსებულ ეკლესიებს კოჭოვანი, პორიზონტალური გადახურვა ჰქონდათ¹⁰. ასეთი შე-

⁴ В. Арутюнян. Каменная летопись армянского народа. Ереван, 1985, гл. 32—33, таб. X, XI; Fr. Gangolfo, Le basiliche armene. Roma, 1982, гл. 67—76; Г. Н. Чубиниашвили. Очерки армянского зодчества.

⁵ В. Арутюнян. Мит. ნაშრ. ტაბ. X და XI.

⁶ იქვე.

⁷ А. Л. Якобсон. Раннесредневековый Херсонес. 1959, სურ. 2, гл. 152—197; его же. Средневековый Крым. М.-Л., 1961, гл. 6 — 26; Д. В. Айялов. Памятники христианского Херсонеса. М. 1905, სურ. 3, 27, 61.

⁸ Средневековый Крым. ტაბ. VII; Д. В. Айялов. Мит. შრ. სურ. 5—7, 64.

⁹ Д. В. Айялов. Мит. ნაშრ., გვ. V; Раннесредневековый Херсонес, სურ. 60, 61, 93.

მთხვევა დასავლეთ საქართველოში დადასტურებული არ არის. მბრლოდ ვა-
რაულს გამოთქვამს ბიჰენტის პირველი ეკლესიის გამომცემი¹¹ და ჩვენც შე-
საძლებლად ზიგეაჩნია ნოქალაქების IV ს-ის დიდ დაზარაზულ ეკლესიას, სიგა-
ნის სიდიდის გამო, ჰქონოდა ჰორიზონტული გადახურვა.

ერთ გარემოებას კიდევ უნდა მიეკუთვნება ყურადღება. ესაა ცალკე მდგარი
ზაბტისტიკურიუმი. ხერსონესსა თუ სხვა საქრისტიანოში იგი თუ თითქმის
აუცილებელია, დასავლეთ საქართველოსათვის, ისე როგორც მთელი საქარ-
თველოსათვის, მიუღებელია¹²; სანათლავი ეწყობა შენობის შიგნით.

ბიზანტიაშიც, ისე როგორც მთელ საქრისტიანოში, საკულტო ნაგებობათა
პირველი ჩამოყალიბებული ტიპი ბაზილიკაა. ბიზანტიის იმპერია დიდი იყო.
შას ვრცელი ფართობი ჰქონდა მოკავებული, როგორც ევროპის, ისე აზიის ტე-
რიტორიებზე. თითოეულ მათგანს საკუთარი ისტორია, განსხვავებული ტრა-
დიციები ჰქონდა, ამიტომ ბაზილიკებს საერთოსთან ერთად აქვთ განმასხვავე-
ბელი ნიშნებიც. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა რეგიონის ბიზანტიური სამ-
ნავეიანი ბაზილიკა მინც ჩამოყალიბებული ერთეულია. სწორედ ასეთი ბიზან-
ტიური ბაზილიკიდან პრინციპულად განსხვავდება ჩვენ მიერ განხილული
ეგრისული ბაზილიკები: ცხადია, სამნავეიანი ბაზილიკის ზოგადი მონაცემები
ყველგან ერთია, მაგრამ დაწყებული საერთო კომპოზიციიდან, დამთავრებულ
კედლის წყობით, განსხვავება შესამჩნევია. თავისთავად ამაში გასაკვირი არა-
ფერია, რადგან ისინი იქმნებოდნენ ერთმანეთისგან განსხვავებულ კონკრე-
ტულ გარემოში.

დამახასიათებელი ნიშნებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ
შვერილაფსიდიანობა. გამოწკლისის გარდა, ყველა შვერილაფსიდიანია. თა-
ვისთავად შვერილ აფსიდიებში გვხვდება როგორც ნახევარწრიული, ისე მრ-
ვალგვერდაც.

რაც შეეხება ნავეების გამყოფ საყრდენებს, ეს აშკარად განსხვავებულია
ქართული ბაზილიკებისაგან, აქ თითქმის ყველგან კოლონაა და ისიც მრავალ-
ფეროვანი კაპიტულუმებითა და ბაზისებით¹³.

სხვა რეგიონიდან თუ ავიღებთ ზულგარეთს, აქაც ბაზილიკები საკმაოდ
მრავალადაა. მაგრამ ისინი ქრონოლოგიურად მომდევნო პერიოდს მიეკუთვნე-
ნიან. მათი გამომცემი ნ. ჩანგვა-დაჩევსკი ამ ბაზილიკებს IX საუკუნითა და
უშუალოდ მომდევნო პერიოდით ათარიღებს¹⁴.

¹⁰ А. Л. Яковсон. Мит. ნაშრ. გვ. 188.

¹¹ ი. ციციშვილი, ბიჰენტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. — დიდი პიტონტი.
№ 2. თბ., 1977, გვ. 100.

¹² გულდავში ერთი პატარა შენობის მიმართ მის გამოხრელებს მხოლოდ ვარაუდი აქვთ
გამოთქმული. პ. ზაქარაია, ვ. ლექვიანიძე. გულდავში 1971 წ. ჩატარებული არქეოლო-
გიური გათხრების ანგარიში. — საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, 1974,
გვ. 140.

¹³ Z. Ebersolt., Monuments d'architecture byzantine, Paris, 1934, სურ. 4, 8,
2. ტაბ. III, VI; Ch. Diehl. Manuel d'art Byzantin., Paris, 1926, სურ. 265.

¹⁴ Нелли Чанева-Дачевска. Церковната архитектура на първата
Българска държава, София, 1984.

Археологическое изучение древней столицы Эгрисского (Лазского) царства Цихегоджи-Археололис-Нокалакеви ведется с 1973 г. экспедицией музея Грузии имени акад. С. Н. Джанашиа. За этот период был собран обширный материал по истории и культуре Колхидского и Эгрисского царств — государственных объединений Западной Грузии.

Основные научные достижения экспедиции изданы в виде 2 сборников (1981 г. и 1987 г.) и отдельных статей в местных и зарубежных журналах.

Данная книга посвящена архитектуре столицы Эгрисского царства Нокалакеви и его окрестностей. Исследования в этой области еще полностью не завершены, но некоторые выводы и сейчас можно сделать.

Книга состоит из двух частей. Автором первой, рассказывающей о фортификационных и гражданских сооружениях, является П. Закарая, а автором второй, рассказывающей о культовых сооружениях Нокалакеви и его окрестностей, — Т. Капанадзе.

Первая глава первой части посвящена укреплениям города Цихегоджи.

Город с двух сторон омывала р. Техури. Со стороны крутого берега реки, так же как и в нижней части города, в начале IV в. была возведена крепостная стена толщиной от одного до 1,6 метра. В дальнейшем к ней в более опасных местах пристроена в нижней части города вторая стена толщиной 2 метра. По всем данным, это произошло в конце IV или начале V в. Спустя какое-то время и эти две параллельно идущие стены оказались недостаточным укреплением при осаде вражескими войсками, и в конце V в. с юга и востока была возведена третья стена толщиной 2,5 м. При этом почти вдвое была увеличена площадь города. Несмотря на такую систему укреплений, город не устоял против натиска войска арабского полководца Мервана в середине тридцатых годов VIII в. и пал, после чего просуществовал еще несколько веков, но не как столица.

В книге также рассмотрены дворцовые сооружения. Остатки первого царского дворца, построенного в начале IV в., расположены в юго-восточной части городища (рис. 29, табл. X, XI). После разрушения этого дворца новый был возведен в центре города на развалинах трехнефной базилики. Вероятнее всего, это произошло в самом начале VI в. В отличие от первого второй дворец был трехэтажным (рис. 30, 31, табл. XVII—2).

В третьей главе дается описание бань, как в городе, так и вокруг него. Две бани расположены в самом городе (рис. 35—38, табл. XXIII—XXVIII) третья — неподалеку от него, выше по течению реки, в селе Бетлами. Четвертая баня стояла на территории теперешнего с. Ноджихеви (рис. 41, табл. XXVIII—2). Пятая баня была обнаружена на территории теперешнего районного центра Мартвили, а шестая стояла приблизительно на расстоянии 15 километров к юго-западу от города, на территории с. Нооири (рис. 40 табл. XXIХ). Первые две бани принадлежали городу (одна из них, весьма капитальное здание вероятно, была царской, а вторая — городской), другие предназначались местным феодалам. Все бани построены по системе «центрального отопления», и каждая имеет разное плановое решение.

Датировка башни, согласно общим данным, ограничивается IV—V вв.

В следующей главе рассматривается вопрос защиты страны в целом, а конкретно — ее центральной части.

Защита этой части страны определялась рельефными особенностями. На колхидских низменностях с юга или с запада враг мог беспрепятственно проникнуть в глубь страны, однако в предгорье его ожидала цепь укреплений. Фортификаторы того времени расположили по одной линии в начале ущелья ряд крепостей.

Удар врага принимали на себя крепости, воздвигнутые у входов в ущелья. Из этой цепи фортификационных укреплений по сегодняшней день обнаружены и более или менее изучены следующие крепости, начиная с востока от реки Абаши: Абадати, Нокалакеви, Котианети, Шхепи, Сакаландаришвило, Эки, Сатанджо, Скури, Река, Царче и др.

Во второй части, посвященной культовым сооружениям в столице и вокруг нее, рассматриваются четырнадцать памятников. Из них десять церквей обнаружены экспедицией во время раскопки.


В центральной части городища были обнаружены большая однонефная церковь середины IV в. и трехнефная базилика середины V в. Там же стояла трехнефная базилика, описанная в более ранних публикациях. Расчистка дала возможность датировать этот памятник началом VI в. и по-новому осмыслить его сложную историю. Обнаружение этих церквей имеет решающее значение для установления даты принятия христианства в Западной Грузии. В отличие от ранее принятой даты окончательно устанавливается, что в Западной Грузии как и в Восточной, христианство было принято в первой половине IV в.

Церкви типа тетраконх и т. н. купольного зала давно известны в Восточной Грузии, в Западной Грузии же они впервые были обнаружены экспедицией. Первая из них находится в селе Ноджихеви (Мартвильский р-н) и вторая — Наджахово (в том же р-не).

Особо надо отметить восьмиполудную церковь в Ноджихеви. Этот тип церкви впервые был обнаружен на территории Грузии, поэтому она имеет очень большое значение как этап в развитии культовых сооружений страны. Этот памятник интересен еще и тем, что в его развалинах были обнаружены многочисленные фрагменты древнегрузинского письма «асомтаврли». Церковь вместе с надписью датируется концом X века, или началом XI в.

Экспедицией также были раскрыты залынные церкви раннего периода V—VI веков. Из них три находились на территории городища, четвертая — в крепости Шхепи, пятая — в Котианети, а шестая — в крепости Абадати. В большинстве своем они снаружи прямоугольные, а внутри имеют полукруглую апсиду. Одна церковь этого периода, стоявшая на нижней террасе городища Нокалакеви, как внутри, так и снаружи имеет полукруглую апсиду. Церковь, обнаруженная на склоне горы городища, также имеет отличительную черту. Апсида этой церкви в интерьере полукруглая, а снаружи — пятигранная. Для Западной Грузии характерна граненная форма апсиды.


Архитектурные памятники городища Нокалакеви и его окрестностей подтверждают высокую уровень строительной культуры Эгрисского царства и последующего периода. Можно определенно сказать, что Цихегоджи-Нокалакеви-Археополис — единственный памятник во всей Грузии, где можно проследить периоды жизни и строительства величественных сооружений раннесредневековой эпохи.




1. ნიქალქევი. ხელი დასველიდან.



II. ნოქალაქევი. მდ. ტეხურის ნაპირები.




111. ნოქალაქევი. ნაქალაქარის სამხრეთის ზოლი.




IV. ნოქალქევი. ნაქალქარი სმზბიოდან.




V. ნოქალაქეი. ნაქალაქარის დასაქულეთის მონაქვეთი.







VII. ნოქალქევი. ნაქალაქობის აღმოსაქულეობის გოლანქეზი გარედაწ.




VIII. ნაქალაქევი. ნაქალაქარის აღმოსავლეთის გლავნები შეგნიდან.




IX. ნოქალაქი. ნაქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.




X. ნოქლაქვი. გეგია სსახლე სამბრო-აღმოსავლეთიდან (კონკრეტული).



XI. ნოქალქევი. მეფეთა სასახლე აღმოსავლეთიდან (კონსტანტინის შუბლები).




XII—1. ნოქალაქევი. კვადროვანი გალანის დეტალი და ჭვრის გამოსახულება.




XII—2. ნოქალაქევი. კიშკრის დეტალი რკინის კარის ქუსლით.




XIII—1. ნოქალაქევი. კვადროვანი გალენის კიშკრის ნაშთი.



XIII—2. ნოქალაქევი. სამხრეთის კიშკრის ნაშთი.



XIV—1. ნოქალაქევი. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთი.




XIV—2. ნოქალაქევი. კოშკი კიშკარის ჩრდილოეთით.



XV—1. ნოქალაქევი. პირველი ჭიშკრის მიდამოები ეზოდან.



XV—2. ნოქალაქევი. პირველი ჭიშკრის საეტი ჭაჭვი.




XVI—1. ნოქალაქევი. სამხრეთის კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



XVI—2. ნოქალაქევი. სამხრეთის კოშკი პილონებით ეზოდან.



XVII—1. ნოქალაქევი. გვირაბი შიგნით.




XVII—2. ნოქალაქევი. მეფეთა მეორე სასახლე აღმოსავლეთიდან.



XVIII—1. ნოქალაქევი. სამეფო უბნის კიშკრის კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (კონსერვაციამდე).




XVIII—2. ნოქალაქევი. სამეფო უბნის კიშკრის კოშკი. სამხრეთ-დასავლეთიდან (კონსერვაციის შემდეგ).




XIX—1. ნოქალაქევი. კვარდოვანი გალენის მცირე კარი გარედან (ფერდობზე).



XIX—2. ნოქალაქევი. კვარდოვანი გალენის იგივე კარი შიგნიდან.




XX—1. ნოქალაქევი. № 6, კოშკის შიდა დეტალი.



XX—2. ნოქალაქევი. ციტადელის სამხრეთის გალავნის ნაშთი ეზოდან.




XXI—1. ნოქალაქევი. ციტადელის მთავარი კოშკი („ჩიხა“) აღმოსავლეთიდან.




XXI—2. ნოქალაქევი. ციტადელის აღმოსავლეთის კოშკი აღმოსავლეთიდან.



XXII—1. ნოქალაქევი. ციტადელის მთავარი კოშკის („ჯიხას“) პირველი სართულის თაღები.



XXII—2: ნოქალაქევი. კვადროვანი გალანის ფასადი ფერდობზე.




XXIII. ნოქალაქევი. „საშეფო“ აბანო ჩრდილოეთიდან.




X X IV. ნოქალაქევი. „სამელო“ აბანო სამხრეთიდან (კონსერვაციის შემდეგ).



XXV—1. ნოქალაქევი. „სამეფო“ აბანო ჩრდილოეთიდან (კონსერვაციის შემდეგ).




XXV—2. ნოქალაქევი. „სამეფო“ აბანო. ბერძნულ წარწერა აგურზე.



X XVI—1. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანო ჩრდილოეთიდან.




X XVI—2. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანოს თბილი საბანაოს კალორიფერები,




X X V I I — 1. ნოქალქევი. „სამოქალაქო“ აბანოს საქვაბე.



X X V I I — 2. ნოქალქევი. „სამოქალაქო“ აბანოს აუზი.



XXVIII—1. ნოქალაქევი. „სამოქალაქო“ აბანოს ცხელი წყლის კერამიკული მიღება.



XXVIII—2. ნოქიხევი. აბანო ჩრდილო-დასავლეთიდან.



X XIX—1. ნოსირი. აბანო აღმოსავლეთიდან.



X XIX—2. ნოსირი. აბანოს ჩრდილო აუზი კალორიფერით.



XX X—1. ნოქალაქევი. მარცხნიდან-მარჯვნივ: საქართველოს მეცნ. აკადემიის წ.-ჯ., პროფ. პ. ზაქარაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. ი. ვეკუა-უფროსი მეცნიერ-მუშაკები: მ. იაშვილი და მ. ზამთარაძე, აკად. შ. ძიძიგური (1973 წ.).




XX X—2. ნოქალაქევი. მარცხნიდან მარჯვნივ: საქართველოს მეცნ. აკად. წ.-ჯ. პროფ. პ. ზაქარაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. ე. ზარაძე, სენაკის რაიკომის პირველი მდივანი ე. ესევანჯია, პროფ. ნ. ლომოური (1981 წ.).



XXXI—1. აბელათი, ცხე სამხრეთიდან.



XXXI—2. სათანჯო. ციხის ხედი.



X X X 11—1. კოტიანეთი. ციხე სამხრეთიდან.



X X X 11—2. კოტიანეთი. ციხე აღმოსავლეთიდან.



XXXI—1. შევი. ციხე სამხრეთიდან.



XXXI—2. შევი. ციხე ჩრდილო-დასავლეთიდან.



XXIV. შხვის ცხე სამხრეთიან. ღოებუა დე მონეირეს ნახატი (1830-იანი წლები).



XXXV. შხეფი. ციხის მთავარი კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



XX XVI—1. შხეფი. ასომთავრული წარწერა კოშკზე.




XX XVI—2. ტაკეინჯი. ციბაღლის კოშკები ეზოლან.



XXXVII—1. შხეფი. შთავარი კოშკის პირველი სართული (ქვევარი თოფის კაქის 500 ჩასართავით).



XXXVII—2. შხეფი. გათხრისას ამოღებული კერამიკული ფილები.



XX XVIII—1. „საკალანდარაშელო“. კოშკი სამხრეთ-დასავლეთიდან.




XX XVIII—2. სკანდა. ციხედლის დეტალები.




XXXIX—1. ვარდციხე. ციხის დეტალი.



XXXIX—2. შორაპანი. ციხის დეტალი.




X.I. ნიქალაქევი. "ოპოციონი" ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



X.LI. ნოქალქევი: "ორმოციმეოჭმეთა" ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლელიდან. დოებუა დე შინ პერეს ნახატი (1830-იანი წლები).



XLII—1. ნოქალაქევი. ადრეული ეკლესია და სამნავიანი ბაზილიკა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.




XLII—2. ნოქალაქევი. კაპიტელი (გადაღებულია 1930—31 წლებში).



X.LIII. ნიქალაქები. აბრეულთა ეკლესია და სამეფოანი გაბლიკა აღმოსავლეთიდან.



XLIV—1. ნოქალაქევი, სამწავიანი ბაზილიკა დასაველეთიდან.




XLIV—2. ნოქალაქევი. ანტეფიქსები მეფეთა მეორე სასახლიდან.




XLV—1. სეფეთი. ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



XLV—2. სეფეთი. ეკლესიის დასავლეთის ფასადი.



XLVI—1. სეფიეთი. ეკლესიის ცენტრალური ნაჲის სამხრეთის თაღდის მეორე სართული.



XLVI—3. სეფიეთი. ნეკროპოლისანი ფრაგმენტები.




XLVI—2. სეფიეთი (ინახებოდა ეკლესიაში. წარმოშობა უცნობია).



XLVII—1. სეფიეთი. ბერძნული წარწერა.



XLVII—2. სეფიეთი. ბერძნული წარწერის ფრაგმენტი.



XLVIII—1. ნოქალაქევი. ქვედა ტერასის დარბაზული ეკლესია დასაფლავიდან.



XLVIII—2. ნოქალაქევი. ქვედა ტერასის დარბაზული ეკლესიის სანათლავედან წყლის გასაცემი მილი.



XLIX—1. ნოქალაქევი. დარბაზული ეკლესია ფერდობზე. ხედი აღმოსავლეთიდან.




XLIX—2. ნოქალაქევი. „მისარონის“ ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან (რესტავრაციამდე).




ს.—1. ნოქალაქევი, „მისარონის“ ეკლესიის კონქი.



ს.—2. ნოქალაქევი, „მისარონის“ ეკლესიის დასავლეთის კარი.




LI—1. ნოქალაქევი. „მისარონის“ ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (რესტავრაციის შემდეგ).



LI—2. ნოქალაქევი. „მისარონის“ ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან (რესტავრაციის შემდეგ).



LII—1. აბეღათი. ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან.



LII—2. აბეღათი. ციხე აღმოსავლეთიდან (შუაზე ეკლესიის ფასადი).



L.III—1. აბელათი. ეკლესიის საკურთხეველის ჩრდილოეთის მხარე.



L.III—2. აბელათი. ეკლესიის სამხრეთის ფასადი კრონშტეინებით.




L.IV—1. ნოჩიხევი. ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია დასაველთიდან.




L.IV—2. ნაჯახოვო. ანტეფიქსები ეკლესიიდან.





LV. ნოჭიბევი. რვაფსიდიანი ეკლესია. ხარის თავის სკულპტურული გამოსახულება.



LVI—1. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ეკლესია აღმოსავლეთიდან.



LVI—2. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ეკლესია დასავლეთიდან.





LVII. ნოჯიხევი, რვაფსილიანი ეკლესიის წარწერის ფრაგმენტები.




LVIII—1. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ეკლესიის ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთით.



LVIII—2. ნოჯიხევი. რვააფსიდიანი ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადი.




LIX ნოჯიხევი. რვაფსილიანი ეკლესიის დეტალები.




LX—1. ნოჯიხევი. რეაფსილიანი ეკლესიის დეტალები.




LX—2. ნოჯიხევი. რეაფსილიანი ეკლესიის დეტალები.



LXI—1. ნოჯიბევი, რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.




LXI—2. ნოჯიბევი, რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.




1 X II—I. ნოჯიხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.




LXII—2. ნოჯიხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.



LXIII—1. ნოჩხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.



LXIII—2. ნოჩხევი. რეაფსიდიანი ეკლესიის დეტალები.



LXIV—1. ნოჯიბევი, რვააფსილიანი ეკლესიის კარნიზი.



LXIV—2. ნაჯახოვო, ეკლესია აღმოსავლეთიდან.




LXV—1. ნოქალაქევი. ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთი (წვალსაცავი ისრითაა ნაჩვენებო).



LXV—2. ნოქალაქევი. წვალსაცავის სამხრეთის კედელი (ერამიკული მიღები ისრებითაა ნაჩვენებო).



LXVI—1. ნოქალაქევი. წყალსაცავი შიგნით (ჩანს კერამიკული მიღები).



LXVI—2. ხორში. ეკლესიის ნანგრევები გაწმენდის შემდეგ.



I.XVII—1. ხორში. ეკლესიის ჩუქურთმიანი კვები.



I.XVII—2. ხორში. სარკმლის ფრაგმენტი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთის წახნაგზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვა	3
შესავალი	4
თ ა ვ ი I. ციხეგოფის სიმაგრეები და საერო ნაგებობები	7
ქალაქის გამაგრება	7
სასახლეები	87
ნოქალაქევისა და შისი „ქვეუნის“ აბანოები	97
ციხეგოფი-ნოქალაქევის აბანოები	100
აბანოები ნოქალაქევის გარეთ	114
ეგრისის სამეფოს დასაუღეთი ნაწილის დაკვის სისტემა	126
აბედათი	127
კოტიანეთი	137
შხეფი	139
„საკალანდარიშვილოს“ ციხე	150
ეკი	153
კაქვიწყი	153
სათანჯო	156
სკურო	158
რეკა	159
წარჩე	161
თ ა ვ ი II. ნოქალაქევისა და შისი „ქვეუნის“ საკულტო ნაგებობები	165
სამნაფიანი ბაზილიკები	168
1. ნოქალაქევის ბაზილიკები	165
ა. პირველი ბაზილიკა	163
ბ. მეორე ბაზილიკა	178
2. სეფიეთის ბაზილიკა	198
დარბაზული ეკლესიები	215
1. ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიები	215
ა. ქალაქის ქვედა ტერასის ეკლესია	215
ბ. ქალაქის პირველ გალავანში ჩართული ეკლესია	217
გ. „შისარონის“ ეკლესია	219
2 ნოქალაქევის გარეთ მდებარე ციხეთა ეკლესიები	228
ა. აბედათის ღვთისშობლის ეკლესია	229
ბ. კოტიანეთის ციხის ეკლესია	231
გ. შხეფის ციხის ეკლესია	232
ნოქალაქევის გარეთ აბლადამოქენილი გუმბათოვანი ეკლესიები	233
1. ნოქიხევის ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია	236
2. ნოქიხევის რუაფსიდიანი ეკლესია	241
3. ნაქაბოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია	254
დასკვნა	261
Цицегоджи-Археополис-Николакеви (резюме)	266
ტაბულები	269
	269

Пармен Парнаозович Закаря,
Тамила Вахтанговна Капанадзе

ЦИХЕГОДЖИ—АРХЕОПОЛИС—НОҚАЛАКЕВИ

ЗОДЧЕСТВО

(на грузинском языке)

ТВИЛИСИ
МЕЦНИЕРЕБА
1991

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4380

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ქ ე ე ბ ე ნ ა ე ა
მხატვარი გ. ლ ო შ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. ქ ი ქ ი ა
გამომწვევი ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 18.10.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.7.91;
ქალაქის ზომა 70X108¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირ. საბეჭდი თაბახი 30.1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25;
ტირაჟი 4200; შეკვეთა № 2662;

ფასი 4 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбџлиси, 380060, ул. Кутузова, 19